

რუნღეა  
რეგვიანი

ქართული  
ქართული  
ქართული



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

თბილისი 1978

~~И(ИИД)~~  
891.434-31  
რ 14

თანამედროვე ინდოელი მწერლის რ. რაგჰაეის რომანში  
ასახულია მოჰენჯო-დაროს — მსოფლიოს ერთ-ერთი უძვე-  
ლესი ქალაქის — უკანასკნელი დღეები.

თარგმნა ზივი ციციშვილმა

— თენდება! დიდო ბატონო, თენდება! — შესძახა ანძაზე ასულმა შეაწვერა მეზღვაურმა.

— აბა, იალქნები აუშვით! ჩქარა, გაინძერით!

მეზღვაურები გამოცოცხლდნენ, ერთბაშად დასწვდნენ ბაგირებს.

განთიადმა ალერსით შეკონა ღამის შავი დალალები და მთრთოლვარე ხელით შეამკო მშვენიერი ყვავილით — ცისფრად მოციმციმე შუქრათი\*. ოკეანემ გაიღვიძა, დილის მსუბუქმა ფრთონვამ გადაუარა წყალს.

მდიდარი ვაჭრის, მანიბანდჰის გემი ლურჯ ტალღებში დაირწა. მას გარს ერტყა დიდი და მომცრო ხომალდები, დატვირთული ძვირფასი საქონლით.

ქარმა დაბერა ოქროსფერი იალქნები, და ქარავეანი კვლავ გაცურდა ოკეანის უკიდვგანო სივრცეში. ახლად თვალახელილი დღის სინათლეზე შეიძლებოდა გაგერჩიათ ტანადი და კუნთმაგარი მენიჩბე ზანგები, შორეულ ეგვიპტეში რომ ეყიდა მანიბანდჰს. მზის ამოსვლას შეჭაროდნენ მენიჩბენი, მღეროდნენ და მღეროდნენ. სიმღერა ქარს აეტაცა, და იგი დაჰფრენდა ტალღებს, ხან თრთოდა, ხან კი ყუჩღებოდა ცივ მოწმენდილ ცაში.

გემები მიტურავდნენ მოჰენჯო-დაროში, ძლევაგამოსილებითა და სიმდიდრით განთქმულ ქალაქში. დიდებულად გადაშლილიყო ეს ქალაქი წყალუხვი ინდის ორსავე ნაპირზე, გეგონებოდა, თვით ცას ეტოქებოთ კადნიერად; დამცინავად იღიმებოდა, დარწმუნებული იმაში, რომ ბადალი არ ჰყავდა ქვეყნად. აი, ამ ქალაქში ბრუნდებოდა ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ გამდიდრებული მანიბანდჰი. სიხარულსა და სიამაყეს ვერ იტევდა გული მისი.

გემის მკერდი, ზედ რომელიდაც ზღაპრული მხეცი რომ იყო გამოჩუქურთმებული, იოლად კვეთდა ტალღებს და აქეთ-იქით ტოვებდა ქაფქაფა წყალს. მანიბანდჰმა ცად აღაპყრო თვალნი. მზის პირველი სხივები მსჭვალავდა დილის ნისლს. ოქროს ეტლში ჯდებოდა დღის მნათობი, რათა ცის თაღზე დაეწყო სრბოლა.

\* შუქ რ ა — ვენერას ძველინდური სახელწოდება.

ძვირფასი ყელსაბამები, განიერ მკერდს რომ უფარავდნენ ვაჭარს, ყოველ ამოსუნთქვაზე წკრიალებდნენ. ხშირი შავი თმა ტალღოვან კულულებად ჩამოშლოდა ბექებზე. მზისაგან შერუჯულ კანზე ბრინჯაოს ფერი დაპკრავდა. ქარავნის პატრონის მზერა ქედმაღლური იყო და თან უღმობელი, როგორც მტრის გასაგმირად დაქნეული ხანჯალი.

შორს, ცის დასალიერზე, წვრილი ზოლი გამოკრთა. მეწვლეურმა აღფრთოვანებით გადმოსძახა ანძიდან:

— მიწა, დიღო ბატონო! შეხეთ — მიწა!

მისმა მოთვალთვალე ეგვიპტელმა მონაქალებმა გადაიკისკისეს. მანაც გულიანად გაუღიმა, და ხშირ შავ წვერში ქათქათა კბილები გამოუჩნდა.

მენიჩბეთა სიმღერამ კიდევ უფრო იმძლავრა; მალე მას ბანი მისცა შორეულმა გამოძახილმა, რაც აშკარად მოასწავებდა მიწის სი-ახლოვეს.

ფიქრში წასული მანიბანდში გამოერკვა და ირგვლივ მიმოიხედა. ეგვიპტელ ქალს, მშვენიერ ნილუფარს სამკაულების ყუთი გაეხსნა. ორი ქალიშვილი უვარცხნიდა თმას, და ისიც გულუბრყვილოდ შეჭხაროდა თვალისმომკრელად მოლივლივე აღმასს. ძვირფასი ქვების ანარეკლი ციმციმებდა მის ზღვასავით უძირო თვალებში. რაღაც უცნაური აღტაცება პირისახეს უცისკროვნებდა ნილუფარს. მანიბანდში გულში იცინოდა, მისი ღელვის შემეყურე.

მოგონებები დაეუფლნენ მანიბანდს. აგერ უკვე, ვინ იცის, რამდენი ღლეა მშვიდობიანად მიცურავენ გემები თავიანთი გზით. რა არის ეს, თუ არა ღვთის წყალობა? რა შესაბრალისნი არიან ადამიანები სტიქიის წინაშე! ან კიდევ ეს სიმღერა, ქარავანს რომ დაჰფრენს თავს, რა ეულად და მიუსაფრად ჟღერს გულგრილ ცასა და ავბედით ოკეანეს შორის!..

მანიბანდმა თვალი გააყოლა გრძელ მწკრივად მიმავალ გემებს. აი, ისინი, აღსავსენი უთვალავი განძეულთ! მოჰქნჯო-დაროს რომელა მშვენიერი ასულის გულს არ მოიგებს ეს განძეული? მაგრამ იყო დრო, როცა მანიბანდში მეთევზეთა ერთ პატარა გემს გაჰყვა უბრალო შეზღვაურად. მაშინ ხომ კაცი სულიერი არ გაუყადრებდა თავს ამ ღარიბ-ღატაკს, ერთი შეხედვის ღირსადაც არავინ გახდიდა. ახლა კი... ოკეანის მრისხანე ტალღებიც გარინდულან მის ფერხთა წინაშე, თითქოს თვით დიდებული ინდიც ესალმება მობუბუნე ტალღებით. ხოლო იქ, შორს, სადაც ცა და მიწა ერთმანეთს ეკვრიან, სადაც ნათელ ცივ სივრცეში არავის ტანჯავს არც ამაოების კვამლი და არც უსასობის

ცეცხლი, ქშითიჯას\* სტუმართმოყვარედ გაუშლია მის წინაშე აღის-  
ფერი ბილიკი. მანიბანდჰს ეჩვენება, რომ იქ, ნაპირზე, მისალმებია  
ნაშნად დაფდაფებს სცემენ.

ღიახ, მისთვის მრავალჯერ დაუდიათ პატივის ჯერ ელამაში,  
სადაც სამი წლის ნოგზაურობის შემდეგ ჩავიდა უკვე საკმაოდ მდი-  
დარი. ელამის მლიქნელი ქურუმები ხელებს ზეცად ადაპყრობდნენ  
და ხოტბას ასხამდნენ ვაჰარს, როცა ეტლით, რომელშიც ოქრომკედლით  
მოკანზმული კანჯრები ება, მთავარ ქუჩაზე გაივლიდა, ანდა ტახტრევან-  
ში იჯდა, ფეხმარდ მონებს რომ შეედგათ მხარზე...

შორს დარჩა ნილოსის ხეობა თავისი სიცხოველითა და ყრიაშუ-  
ლით... ეგვიპტის მეუფეს მონებმა პირამიდა აუგეს, და შენობის დამ-  
თავრების აღსანიშნავად დიდებული ზეიმი გაიმართა. იმ დღეს თვით  
დიდი ფარაონი წამოდგა ტახტიდან და ვაჰარ მანიბანდჰს მიესალმა. ცა  
ქუხდა და მიწა ბუბუნებდა მუსიკის გრიალში, ხოლო ეგვიპტის მბრძ-  
ნებლის დიდებული სასახლე და სახელმწიფო საბჭოს მოედანი ზანზა-  
რებდა საზეიმოდ, შეწყობილი ნაბიჯით მიმავალი ლაშქრის ფერხთა  
ქვეშ. ღვითთ მოვლენილი მეუფე განაცვიფრა ინდოელი ვაჰარის სიმ-  
დიდრემ, გულგრილობის ნიღაბი შეუთრთოლდა სახეზე.

უსაზღვროა ძლიერება ფარაონისა: მის ერთ ხელის გაქნევაზე  
შიშითა და მოკრძალებით ირინდება ჩრდილოეთი და სამხრეთი, აღმო-  
სავლეთი და დასავლეთი; მისი ერთი შემოხედვაც კმარა, რომ მტვერში  
გაგორდეს ათასობით მოკვეთილი თავი. ახლა კი იგი, ვის გულცივ  
ლიმილშიც იხატება პირამიდათა დიდებულება, რომლის ძლევა მოსილე-  
ბა და შეუღახველი მეუფება ისევე მიუწვდომელია, როგორც სულთა  
ნარადიული გადასახლების საიდუმლოება, — ეს ადამიანი ქედს იხრის  
მის წინაშე, წელანდელი ღარიბი მენავის, მაწანწალისა და მათხოვრის  
წინაშე! მეუფემ განსვენებული დედის მუმიის შესამკობად სთხოვა  
მანიბანდჰს საუცხოო ცისფერი ქვა — იგი თვალს ჭრის მნახველს და  
იდუმალად ციმციმებს ბნელში. დიდებულმა მეფემ ეგვიპტისამ, ვისი  
სიტყვაც აქამდე კანონი იყო, ხოლო დუმილი — ყველაზე საშინელი  
სასჯელი, განახვნა ბაგენი და მოკრძალებით უთხრა: „მანიბანდჰ, მად-  
ლობას გწირავთ!..“

\* მოგონებებმა ააღელვა ვაჰარი. უცებ ყურში ჩაესმა სიმთა ხმატკბო-  
ლი ჟღერა. ნილუფარს მსუბუქი ლეჩაქი მოესხა, ხალიჩაზე წამოწო-  
ლილიყო, ბარბითს უკრავდა და თან ღიღინებდა.

\* ქ შ ი თ ი ჯ ა — მარსის ძველინდური სახელწოდება.

ზოლო ამ დროს ზეცაში ოქროსტანა მზეკაბუჯი ელტვოდა მეწამული ფერით შებურვილ მშვენიერ ასულს—აისს, და სადაც იყო დაეწეოდა.

მანიბანდში ნილუფართან მივიდა და გვერდით მოუჯდა. სიმთა ხმა მიწყდა.

— ეს რა მიყავ, ინდივარ?

ეგვიპტელი ქალის სიმღერამ დაჯაბნა სიმდიდრესა და დიდებაზე ფიქრი, რომელსაც შეეპყრო მანიბანდში. ინდურ ყაიდაზე გადაკეთებული სახელის გაგონებაზე ნილუფარს გაელიმა.

— ნილუფარ, სად არის შენი სიმღერა? იქნებ გგონია, რომ ზღვის ხმაური და ქარის სისინი უფრო ეამება ყურს?

ეგვიპტელმა ქალმა გაიცინა.

— ჰოი, ჩემო ბატონო, ნილუფარი მონაა თქვენი! უბრძანეთ და კვლავ ამღერდება...

მანიბანდს გულში მოხვდა ეს სიტყვები. ნუთუ ნილუფარს არ უყვარს იგი? ნუთუ არც მისთვის არის უცხო, რომ არსებობს ერთადერთი ძალაუფლება—ძალაუფლება სიმდიდრისა და უხეში ძალისა? აბა რად უნდა ეს განძეული, თუკი ქალს არ ძალუძს შეიყვაროს? ნაღვლიანად შესცქეროდა ეგვიპტელს. რაც მართალია, მართალია, ფიქრობდა ვაჭარი, ნილუფარი მონაქალია მხოლოდ. მანიბანდში იყიდა იგი. მაგრამ მონამ შეძლო დაეტყველებინა მისი გული... ნილუფარმა მყის მიიზიდა მანიბანდში.

— მე შენ მიყვარხარ, მშვენიერო ქალო! დღეიდან ერთადერთი მეუფე ხარ ჩემი გულისა!

ნილუფარი ხალიჩიდან წამოდგა და ხელები გაუწოდა.

— წამოდექით, ჩემო მბრძანებლო!

მანიბანდს თავისი თავისადმი რწმენა დაეკარგა. რა ადვილად წამოეგო მისთვის კარგად ცნობილ ანკესზე! თვით საშინელი სილატაკის დროსაც კი არ უგრძვნია თავი ასე უმწეოდ...

იგი წამოდგა და უთხრა:

— ნილუფარ, სიყვარულო ჩემო!

ეგვიპტელი თვალს არ აშორებდა.

— ნილუფარ! — განაგრძო აღელვებულმა მანიბანდში. — თანდათან უფრო ახლოვდება მშობლიური ნაპირი, თანდათან უფრო მიშფოთავს გული... არავინ გვიცნობს იქ!.. არავინ მოისურვებს გვიწამოს მე და შენ! ვერც ჩვენ ვენდობით ვინმეს! რას გვიმზადებს ბედი, მშვენიერო? რა მემართება? რადა ვარ დღეს ასე აღელვებული?

— თქვენ, ჩემო ბატონო? — გაიკვირვა ნილუფარმა.

მანიბანდჰი დაჟინებით გაჰყურებდა შორეულ ნაპირს, გეგონება რაღაცის დანახვის სურვილი აქვსო.

— შენ კი მშვიდად გაქვს გული, ნილუფარ?

— რას ბრძანებთ, მეუფეო? ნილუფარი ხომ მონაქალივით არ გადავა გემიდან, არამედ იგი იქნება მეუღლე დიდად პატივცემული მანიბანდჰისა!

ეგვიპტელის ხმაში დაუფარავი სიამაყე გამოსკვიოდა. ამასწინდელი მონის გულში ბობოქრობდა დაუხარჯავი ძალა სიყმაწვილისა, ჩქეფდა დიდი ხნის დაგროვილი სურვილები და იმედები, მსგავსად იმისა, როგორც მოჩქეფს და მობობოქრობს ზღვასთან შერთვისას მძლავრი ნილოსი, სიცოცხლით აღსავსე ნაპირების გამოძახილი რომ მოაქვს თან. ნილუფარი თავისი მბრძანებლისა და ქმრის ფერხითი იყო დამზობილი და თითქოს ეუბნებოდა: „შენ ჩემი მეუღლე ხარ და ყველაფერი, რაც მებაღია, უკლებლივ შენია“.

მანიბანდჰს გული ეტკინა, როცა იგრძნო, თუ რაოდენ დაუფლებოდა ამ ქალს სურვილი — წამომდგარიყო, ამადლებულიყო, დაევიწყებინა წარსული. „მე შიშს მგერის ჩემს სამშობლოსთან შეხვედრა, — ფიქრობდა იგი, — მას სძულს ეგვიპტე. მე აქ მიცნობდნენ როგორც ლატაკს და მაწანწალას, ეს ქალი კი ეგვიპტეში მონად დაიბადა და ბაზარში ყოველ შემვლელს შეეძლო ეყიდა იგი...“

— ნილუფარი მეუღლევ ჩემო! — მიმართა მანიბანდჰმა. — შენ დაეუფლე ჩემს გულს. მხოლოდ შენ იცი, რა არის ამ გულში!

ეგვიპტელს გაელიმა.

— ჩემო მბრძანებელო! კაცის გული რომ შეიცნო, სიბრაზის დროს უნდა ნახო იგი. ალბათ ფარაონიც კი ამბობს, ცოლი მიყვარსო.

მანიბანდჰმა მწარედ გაილიმა.

— არა, ნილუფარ, ფარაონს მხოლოდ ლამაზი ქალი უნდა. თქვენს დიდი მეუფე ხომ ღვთის ნაწილია. იგი მაშინაც კი არ დაკარგავს თავის უპირატესობას უბრალო მოკვდავთა წინაშე, როცა პირქუშ ქვის საკოფაგში გადასახლდება. მაგრამ ვინ იცის, რაოდენ ტანჯვად უღირს მას ეს სიცრუე?..

— ო, ჩემო მეუღლევ! — შეჰყვირა შეშინებულმა ნილუფარმა. — თქვენ არ იცით, რას ამბობთ! მაგ სიტყვებისთვის ოზირისი\* სასჯელს მოგაგებთ!

\* ოზირისი — ძველ ეგვიპტელთა უზენაესი ღმერთი.

ეგვიპტელი მანიბანდჰის ფერხთით დაემხო და შეევედრა:

— უარყავით თქვენი სიტყვები, ბატონო! უზენაესმა რომ გაიგონოს...

და იგი შიშით ატირდა. მანიბანდჰიც შეძრწუნდა. ეგვიპტელი მუხლმოყრილი ევედრებოდა ზეცას:

„ხოცით, სულითა და სიტყვით შეგცოდნეთ ჩვენ, მძლეთა მძლე ოზირის! ღირსნი ვართ სასჯელისა... შეგვიჩვენე, მეუფეო! უნებურად აღმოგვხვდა ბილწი სიტყვები. დაე, კაშკაშა მზის სხივებმა გაფანტონ ბნელი, რომელსაც მოუცავს ჩვენი სული, მეუფეო!

შეგვიჩვენე, სულგრძელო და მძლეთა მძლე ოზირის! მეოხ გვეყავ და შეგვიწყალე ამა ქვეყნად და სამარეში, მეუფეო! ცის თაღზე შენი ძლევამოსილი სრბოლისაგან შიშით კრთიან ვარსკვლავთ კრებულნი. ოდეს რისხვით წარბს შეჭრაი — ზეცა დაიქუხებს, მეუფეო! ოდეს გაიღიმებ — ნაპირებს გადმოხეთქავს უზარმაზარი ჰა-პი, უხვად ასხურებს წყალს ნაყოფიერ მიწას, ჰოი, ოზირის!

თაყვანს გცემთ შენ, დიდო ოზირის!“

მანიბანდჰი თავდახრილი უგდებდა ყურს ლოცვას. ბოლოს ნილუფარი წამოდგა.

კიდევე უფრო ხმაძალდა გაისმა მენიჩბეთა სიმღერა:

„ჰოი, ტალღებო! შეხეთ — ეს მანიბანდჰის გემებია, ჩვენი ბატონის, აღსავსენი მისი აურაცხელი ქონებით. ოკეანის ვეებერთელა ტალღებმა წყალობა მოიღეს ჩვენდა და დაიცხრეს თავიანთი რისხვა. ჰოი, ტალღებო, აქაფებულნი რომ ლოკავთ ნაპირს, მოდიოთ და სიყვარულით განბანეთ ფეხი ჩვენს მბრძანებელს!

ამ ხომალდებით მოცურავენ მშვენიერნი ასულნი შორეული ეგვიპტიდან, ელამიდან და შუმერიდან, ჰოი, ქარო! თვით ღმერთებსაც კი ტრფობის სახმილი დასწვავთ, მათ მშვენიერ პირისახეს რომ მოჰკრან თვალი! ჰოი, ქარო, მოდი და შენი სუნთქვით მიეალერსე მათ ნაზ ტანს!“

შავკანიანი მონაქალი ეახლა მანიბანდჰს; მახვილი ეპყრა ხელში. ვაჰარმა მრისხანე მზერა ესროლა:

— რა გინდა?

— დიდად პატივცემული ამენ-რა გადმოვიდა თავისი გემიდან. თქვენთან შეხვედრას ითხოვს, ბატონო...

— პატივი ეციო სტუმარს!

მონა გაემართა ბრძანების აღსასრულებლად.

მანიბანდჰმა ნილუფარს ჰკითხა:



— რაზე ფიქრობ, ნილუფარ?

— იმაზე, ბატონო, რომ აღრეულ გაზაფხულზე დიდი ჰა-პის წყალი გამჟღავნდება და წმინდა, როგორც ცრემლები, მერე იგი ცასავით ფირუზი ხდება, ხოლო წვიმიანობის დროს წითელია, ვითარცა სისხლი... ჩემო მეუღლე! სული ამიშფოთე! რაც უფრო ვუახლოვდებით ნაპირს, მით უფრო ძლიერ ვგრძნობ, როგორ მოიწევს ჩემკენ იღუმლების შავი ლანდი...

— გეშინია? როგორც გატყობ, საკუთარი თავისადმი რწმენა დაგიკარგავს.

ამის პასუხად წელანდელმა მონამ მხრებზე ხელები ჩამოსდო მანიბანღჰს. მისი თვალები მუდარით შესთხოვდნენ თანაგრძნობას...

ამენ-რა უკვე გემბანზე მოაბიჯებდა. მანიბანღჰი მის შესაგებებლად გაეპარტა.

— მშვიდობა შენდა, დიდებულო ვაჰარო! — წარმოთქვა მოხუცმა ამენ-რამ და თაყვანი სცა. — გფარვიდეთ ძე ზეცისა და ხელებითსა!

სახეზე დასწავლილი ღიმი აუთამაშდა, რომელიც ისევე მკვირცხლად დამალა, როგორც გველთა მომთვინიერებელი ერთი მარჯვე მოძრაობით ჩაადგებს ხოლმე კალათში იქიდან ამომძვრალ ქვეწარმავალს.

— მშვიდობითამც იყავ, ამენ-რა! — მხიარულად მიუგო მანიბანღჰმა. — მგონი, ჩვენი სიზმრები ხდება.

ორივეს გაელიმა. ამენ-რამ უთხრა:

— ეს უკვე სიზმარი აღარაა, დიდებულო ვაჰარო! რაც უფრო მოკლდება ჩვენი გზა ოკეანეში, მით უფრო აღაფრთოვანებს სიხარული ამენ-რას გულს. ახლა მაგონდება, აქლემებით რომ გავუღეჭით გზას... აბა ვინ იტყოდა მაშინ, რომ ჩვენი მოგზაურობა ესოდენ წარმატებით დასრულდებოდა?

— ყველაფერი დიდებული ქალღმერთის, მაჰამის წყალობითაა, პატივცემულო ამენ-რა! ისევე როგორც ეგვიპტეში, მოჰენჯო-დაროშიც შეხვდებით თქვენ ტიგროსის, ეფრატისა და ჰელმენდის\* ნაპირებიდან მოსულ სტუმრებს. თქვენ ნახავთ ქვეყანას, მდიდარს ოქროთი, აღმასითა და სხვა ძვირფასეულობით, რაც ბუნებას უბოძებია.

რათა მოგვეჩვენა ჩვენი ყანები, მდინარე ინდიდან არხები გავიყვანეთ. თქვენ ნახავთ ჩვენს სახლებს, რომელთა კედლებს ვაბათქაშებთ და ვღებავთ სხვადასხვაფერი ფისით. თქვენ თვალს ვერ მოაშორებთ ჩვენს მშვენიერ ასულებს — ბათ შალის ტანისამოსი აცვიათ და სპილოს

\* ჰ ე ლ მ ე ნ დ ი — მდინარე დღევანდელი ირანის ტერიტორიაზე.

ძვლისა და ფერადი თვლების სამკაულებს ატარებენ, იციან სიმღერა და გაწაფული არიან მხატვრობაში...

და მაშინ თქვენ დაგავიწყდებით ეგვიპტის მივარდნილი უდაბნოები. აბა სად არის იქ უხვი წვიმები, რითაც განთქმულია ჩვენი ქვეყანა.

თქვენ განსასვენებლად ეწვევით კარსარავინის წმიდა ნაპირს და მაშინ გაიგებთ, რა მშვენიერია მდუმარება ჩვენს წინაპართა საფლავებისა.

იცით თუ არა; რომ ღმერთ აპირაჟის სადიდებლად გამართულ დღესასწაულზე ჩვენს ქალაქში თავს იყრის და წესს აღასრულებს უამრავი მლოცველი? ო, ამენ-რა, ამენ-რა...

— ჩემო დიდებულო მეგობარო, თქვენ ძვირფასზე უძვირფასესი ხართ ადამიანთა შორის! — შესძახა ამენ-რამ და მანიბანდჰისკენ ხელე-ბი გაიწვდინა.

და მათ ისევ გაეცინათ.

— ამენ-რას არასოდეს მოუხრია ქედი უბრალო მოკვდავთა წინაშე, — განაგრძო ეგვიპტელმა. — მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ჩემ წინ ქეშმარიტად დიდი ადამიანი დგას!

კიდევ უფრო ძალუმად დაირხა მეზღვაურთა სიმღერა. მენიჩბენი მიწას შეჭხაროდნენ და მღეროდნენ:

„ჰოი, ოკეანე! მაღლი მოგვიხსენებია სიკეთისათვის! ჰოი, ქარო! შენ არ ყოფილხარ მკაცრი ჩვენ მიმართ, და ჩვენ მაღლობას გწირავთ შენ! იყავ მარადეამ ჩვენი მფარველი!

ერთგული ცოლები და წვრილშეილი გველოდებიან შინ. ჰოი, ნათელო ზეცავ, შენ არ ხარ მოსურნე ადამიანთა დაღუპვისა, და ჩვენ თავყანს გცემთ შენ!

მრავალგზის იბადება ადამიანი, მაგრამ მხოლოდ ერთხელ წარდგება იგი დიდი სამსჯავროს წინაშე. იყავ მოწყალე, ოზირისის ძეო, ჰოი, ცისა და მიწის მბრძანებლო, ყოვლად ძლიერო მეუფეო, მიწისზედა და მიწისქვეშა სამყაროთა უფალო, — ეს დიდად პატივცემული მანიბანდჰის გემია! ჩვენ მისი მონები ვართ, გვფარვიდე ჩვენ...“

სწრაფად ახლოვდებოდა ნაპირი. თვალწინ გადაიშალა ინდის ბარაქიანი, მწვანედ მოლივლივე ხეობა. მანიბანდჰის ბრძანებით მეზღვაური ანძაზე აძვრა და ხმამაღლა აუწყა ყველას, რომ ნავმისადგომი ახლოს იყო. ქარავნის პატრონის პატივისცემის ნიშნად გემებზე ყველა უნდა შემოსულიყო ტანსაცმლით.

ატყდა ფუსფუსი. მხედრები, ვაჰრები, ქალები — ყველანი ცდილობდნენ რაც შეიძლება ჩქარა ჩაეცვათ და სამკაულებით მორთულიყვნენ. მხოლოდ შავი მონები და მონაქალები არ მონაწილეობდნენ

ამ საერთო ფუსფუსში. მარტო ერთმა მათგანმა, გოლიათმა ზანგმა აპაპმა, შეიმოსა თეძოები შალის ნაჭრით და სპილენძის სამაჯურიც გაიკეთა. მან ხარხარით აიტაცა ხელში ერთი ყვითელკანიანი პატარა მონაქალი, მიუხედავად წინააღმდეგობისა და ყვირილისა, ჰაერში დაატრიალა და მერე კი ფრთხილად დაუშვა ძირს. ქალმა ლანძღვა დაუწყო ზანგს. ყველას გაეცინა. იღიმებოდნენ მონაქალებიც, — მათ მოსწონდათ, ამ ორ, სხვადასხვაფერკანიან ადამიანს რომ ერთმანეთი უყვარდათ. ჯერ კიდევ გუშინ ნილუფარი და ჰეკა თანასწორნი იყვნენ. ახლა ნილუფარმა თავისი სილამაზით დაატყვევა მანიბანდჰი, ხოლო ჰეკამ თავისი გრძნების ისრები დაჰყარა შავი გოლიათის წინაშე. მრის-ხანებისას აპაპი ნადირს ჰგავდა, გულის საყვარელთან კი ცხვარივით თვინიერი იყო. პატარა ჰეკას ძალიან უყვარდა თავისი გოლიათი, მაგრამ ახლა იგი გაუბრაზდა და გაბუტული მივიდა თავის ახალ ქალბატონთან.

ნილუფარსაც ეცინებოდა აპაპის ქცევაზე.

— ეს აპაპი ნამდვილი ბნელეთის მოციქულია! — თქვა ჰეკამ.

— კი მაგრამ, ჰეკა, — ალერსით შეესიტყვა ნილუფარი, — იმას რატომ არ ფიქრობ, თუ როგორ ციმციმებს ამ ბნელეთში სიყვარული ქალიშვილი გაწითლდა.

— კმარა, ჰეკა, — უთხრა ნილუფარმა. — შენ არ იყავი, თვალ-ცრემლიანი რომ მარწმუნებდი, უმისოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო?! ნუთუ ტყუილად ვთხოვე ბატონს, ერთმანეთს არ დააშოროთ-მეთქი? ჰეკა ნილუფარის ფერხით დაემხო.

— ო, ქალბატონო!

ნილუფარს სირცხვილმა შეუფუაკლა დაწვები. ჰო, დღეიდან იგი ქალბატონია! დღეიდან მას უფლება არა აქვს უყვარდეს ეს უბედური ადამიანები. ახლა რომ მის ადგილას დიდგვაროვანი ქალი ყოფილიყო, თავს არ დაიმდაბლებდა და ღიმილსაც კი არ აღირსებდა. მაგრამ ნილუფარი ხომ ჰეკასთან ერთად გაიზარდა!

ერთხელ, როცა ისინი ვარსკვლავთმრიცხველთან მივიდნენ, მან ნილუფარის ხელისგულს დახედა და თქვა: „ქალბატონად გახდომა გიწერია!“ ხოლო ჰეკას განუცხადა: „შენ კი ნადირის მეუღლე გახდები!“ როგორ ზეიმობდა მაშინ ნილუფარი და რამდენ ცრემლსაღვრიდა ჰეკა! და აი დღეს მონა ჰეკა ბედნიერად და უზრუნველად გრძნობს თავს თავის ნადირთან ერთად, ხოლო ნილუფარი — ბატონის ცოლი — მოჰგავს ცას, რომელსაც წვიმის არც ერთი წვეთი არ სწყდება, მაგრამ არც ღრუბლები სცილდება.

გული აუჩუყდა. ალერსით მოჰკიდა ხელი მეგობარს და უთხრა:

— ჰეკა! მე შენთვის ახლაც ის ნილუფარი ვარ!

ორივენი მიხვდნენ, რა ნაღვლიანი იყო აზრი ამ სიტყვებისა. გაახსენდათ ის დღე, როცა ბატონმა უკვე სრულწლოვანებად მიიჩნია და ბაზარზე გასაყიდად გაიყვანა. ტანშიშველნი იყვნენ გამწკრივებული სხვა მონაქალებთან ერთად, ხოლო მანიბანდში აუვლ-ჩაუვლიდა მათ, კბილებს უსინჯავდა, ფერდებზე ხელს არტყამდა, — ისე სინჯავდა, როგორც შინაურ პირუტყვს. მანიბანდშია ორივე ქალიშვილი იყიდა. ერთ ღამეს ჰეკამ ბატონის სურვილი შეასრულა და მისი განსასვენებელიც დატოვა. იმავე ღამეს მიპგვარეს მანიბანდში ნილუფარი, მაგრამ ბატონს იგი კი არ გამოუსტუმრებია, არამედ ცოლად გაიხადა ნილუფარმა დაითანხმა მეუღლე, ეყიდა ჰეკასათვის ზანგი აპაპი. მანიბანდშია ცოტაოდენი ფულიც მიუგდო გამყიდველს და კიდევ ერთი მონა შეიძინა. მაგრამ ხომ ყოველ წუთს მოსალოდნელია, რომ ბატონმა ასევე უფიქრელად გაყიდოს რომელიმე მათგანი და ამით ამოძიკვოს ოდნავ ამოზრდილი ხე სიყვარულისა! თვითონ ნილუფარიც—სწამს კი თავისი ბედნიერების შეუვალობა?

ამის გაფიქრებაზე ნილუფარი შეკრთა. მან მეგობარს ხელი ხელზე მოუჭირა და უთხრა:

— მე არასოდეს მავიწყდება, ჰეკა, რომ მონა ვიყავი, და ახლაც მონად ვრჩები!

— ო, ქალბატონო! — ჩურჩულებდა გულაჩვილებული ჰეკა.

ნაპირი უკვე ძალიან ახლოს იყო. მგზავრები თავის საქონელს ფუთებად კრავდნენ. ჰეკა წავიდა. ნილუფარი მოუსვენრად მიმოდრიოდა გეშბანზე. მისი მსუბუქი ქვედატანის ფოჩებს მზის სხივები დასთამაშებდნენ. მისი ძვირფასი სარტყელი ოქროსფრად და წითლად ლივლივებდა.

ხალხმრავალი ნავსადგურიდან ყრიაპული აღწევდა. გრძელ ნავმისადგომებთან ათობით გემი და ნავი მოჩანდა. იქვე ახლოს მონები შეგროვილიყვნენ, იცინოდნენ, საუბრობდნენ და ცნობისმოყვარეობით აღევნებდნენ თვალს ნავსადგურში შემავალ ქარავანს. მზე აცხუნებდა, მაგრამ ზღვიდან მონაბერ სიოს მაცოცხლებელი, საამო სიგრილე მოჰქონდა. მგზავრები გემთა ქიმებთან შექუჩებულიყვნენ, ცდილობდნენ რაც შეიძლება ჩქარა დაედგათ ფეხი მიწაზე. გაილია გრძელი გზა, იწყება ცხოვრების ახალი ფურცელი!

აპაპი ზღვაში გადაეშვა. მან რამდენიმე მონის დახმარებით მიაბა ნავმისადგომზე პირველი გემი. შემდეგ დანარჩენი გემებიც მიადგნენ ნაპირს. მონებმა გემების გადმოტვირთვა იწყეს.

მანიბანდჰი ცოლთან მივიდა:

— ნილუფარ!

ქალმა მისკენ გაიწია; მოეჩვენა, რომ მანიბანდჰს უნდოდა რაღაც საგულისხმო ეთქვა მისთვის. იგი მაგრად მიეკრა მეუღლეს, თვალებში შეხედა და წაიჩურჩულა:

— რაო, ჩემო მბრძანებელო?..

მანიბანდჰი ღელავდა. ტუჩები უთრთოდა.

— აი, უკვე დიდ ქალაქში ვართ! აბა, ჩავიდეთ... — წარმოთქვა ხმადაბლა.

და უცებ მოიღუშა. ნილუფარი ვერაფერს ვერ მიმხვდარიყო. ეს ყაცი მდიდარია, ძლიერი, თავისუფალი, — და მაინც გაუხარელია მისი გული!

ვაჰარმა განაგრძო:

— ნილუფარ! მანიბანდჰი აქამდე ქვეყნად ყველაფერზე მალლა სიმდიდრეს აყენებდა. მაგრამ ახლა გული უკარნახებს, რომ ფული და ღიდება ყველაფერი როდია... და თავისუფლება დღეს მძიმე ბორკილად ეჩვენება...

ნილუფარს გულში გაეცინა. მისი მეუღლე ფლობდა ყოველივე იმას, რაც სურდა, და ამიტომაც ყოველივემ დაკარგა მის თვალში ფასი. ხოლო გვერდით უდგანან საბრალო არსებანი, რომელთათვის იმის უფლებაც კი წაურთმევიათ, რომ ადამიანებად იწოდებოდნენ. და ახლა იგი გრძნობს, რომ არაფრით არ სჯობს მათ! მას შეეცოდა ქმარი.

— მანიბანდჰ!

— თქვი, ნილუფარ, თქვი! ერთხელ კიდევ მომაგონე, რომ ქვეყნად არსებობს კეთილი გული, რომელიც მუდამ მზად არის ჩემს უბადრუკ ხორცში ტანჯული სული შეიციოს...

„ვინც სხვას იმონებს, თვით იქცევა საკუთარ მანკიერებათა მონად“, — გაიფიქრა ნილუფარმა, ქმარს მხარზე თავი მიაღო და ჩუმად უთხრა:

— ხომ გიყვარვარ, მანიბანდჰ? გახსოვს შენი სიტყვები?

მანიბანდჰმა შეაწყვეტინა:

— დევი!• დღეს არ მინდა მოგატყუო. სანამ ეგვიპტეს გავემგზავრებოდი, მე ჩემს სამშობლოში...

მანიბანდჰს სიტყვა პირზე შეაშრა. მის ყურამდე მოაღწია მონათა ბრბოში ხმამაღლა წარმოთქმულმა სიტყვებმა:

• დ ე გ ი — ქალბატონი (ძველინდ.).

— ეს სახელგანთქმული ვაჭრის, მანიბანდჰის გემებიც ახლახან ჩამოვიდა შორეული ჰა-პის ნაპირებიდან. შეხეთ, გემები პირთამდე სავსეა საქონლით. თურმე უმდიდრესი ეგვიპტელი ვაჭრებიც კი თითებს იკბენდნენ შურით, როცა მის ათასაქლეშიან ქარავანს შეჰყურებდნენ...

აი, რას ამბობს ხალხი მანიბანდჰზე! მას კი... გრძნობებიც ვერ დაუფარავს დიაცის წინაშე! ნუთუ მანიბანდჰი ასე სულმოკლეა? დიდგვაროვანი კაცი ხომ შეძლებდა თავის დაჭერას... მანიბანდჰს შერცხვა.

ნილუფარს თვალები კვლავ მეუღლისკენ ჰქონდა მიპყრობილი. იგი ელოდა.

მანიბანდჰმა დაამთავრა:

— ... მე ჩემს სამშობლოში ყველანი პატივით მეპყრობოდნენ.

ნილუფარი კვლავ თვალმოუშორებლივ შესცქეროდა, ვაჭარმა დიდის ამბით წარმოთქვა:

— მანიბანდჰი ინდის ნაპირზე მიმართავს შორეული ჰა-პის მშვენიერ ასულს: — მშვიდობა შენდა!

ნილუფარი ღირსეული ნაბიჯებით ჩაჰყვა კიბის საფეხურებს. უკან მოხედვისას მან დაინახა ჰეკა, რომელსაც ძვირფასეულობით სავსე ყუთი მოჰქონდა. მის წინ ლომივით მოაბიჯებდა მანიბანდჰი.

ბინდი წვებოდა მოქენჯო-დაროს თავზე, თანდათან უფრო ემატებოდა სიცხოველე დიდებულ ქალაქს. საღამოს სიგრილით გახალისებული მკვიდრნი ქალაქისა ყრიაშულით მოსდებოდნენ ქუჩებს. კობტად გამოწყობილი, მხრებზე შალმოგდებული ჭაბუკები ნელ-ნელა სეირნობდნენ და მშვენიერ ქალიშვილებთან მასლაათში კლავდნენ დროს. ნახევარწრედ შემოვლებული ოქროს ყელსაბამები ჩრდილს ჰფენდნენ ქალიშვილთა ნაზ, ბრინჯაოსფერ კანს, ხოლო მათს ჩამოსხარტულ ფეხებზე წკარუნებდნენ ეყვნები.

გზებს გრძელი რუხი ჩრდილები დასთამაშებდნენ. ცაზე ერთიმეორის მიყოლებით ინთებოდნენ ვარსკვლავები. ბაზარში ყვავილთა სურნელება სამსხვერპლო ცეცხლის კვამლს ერწყმოდა. ლამპართა აღის ენები ნიავის დაქროლვაზე იკლაკნებოდნენ ანდა ერთბაშად ირინდებოდნენ ლამის გუშავთა მოელვარე მახვილებივით. მშვენიერი ქალიშვილები უკვე მისხდომოდნენ საუცხოო ქსოვილებითა და ძვირფასი სამკაულებით გაწყობილ დახლებს. ყველაზე შორეული ქვეყნებიდან, ეგვიპტიდან, ტიგროსისა და ეფრატის ნაპირებიდან ეზიდებოდნენ ვაჭრები ყველანაირ საქონელს და აქ, დიდი ქალაქის ბაზრებში ყიდდნენ. მხოლოდ ის საქონელი, რომლის ყიდვასაც არ ისურვებდნენ ხოლმე მოქენჯო-დაროს მკვიდრნი, ჩრდილოეთით, ჰარაბაში მიჰქონდათ.

— ეჭვი, მოქენჯო-დაროს ლატაკნო! — გაჰყვიროდა გზაზე სალოსი. — მოღალატის მახვილივით გეპარებათ დღე, როცა ქვითინით დაიტრებთ საკუთარ გვამებს! ჩასადენი მიწების გაყვანა გისწავლიათ და აღარ იცით, რა ჰქნათ! სულელებო! ქალაქის მთელი სიბინძურე მაგ მიწებს მიჰყვება, თქვენს ძარღვებში კი უტოდინარობის შხამი ჩქეფს...

ყვირილს არავინ გაუყვირებია. ქალაქში კარგად იცნობდნენ შეშლილს: ოდესღაც იგი მდიდარი და სახელგანთქმული კაცი იყო, ახლა კი ქუჩებში დაეხეტებოდა და ათასგვარ სისულელეს ჩმახავდა. ის მუდამ ერთსა და იმავეს ამბობდა, მაგრამ გამველე-გამომველნი მაინც დიდი ცნობისწადილითა და გულისყურით უსმენდნენ. თითქოს ეს სალოსი უმსუბუქებდა მათ ტანჯვას, უამებდა საღდაც გულის სიღრმეში ჩაბუდებულ წყლულს. მაგრამ სალოსისა ეშინოდათ კიდევ: მას

შეეძლო ნოურიდებლად მიეხალა პირში ყველასათვის, რაც ენაზე მოადგებოდა.

როგორც ყოველთვის, ახლაც შეგროვდა მის ირგვლივ სანახაობით გატაცებული ხალხი. მაგრამ შემლილი აღარავის უყურებდა. ხელები ცისკენ აღეპყრო და კვლავ გაპყვიროდა:

— როცა მოქენჯო-დაროში დამკვიდრდებიან ქეშმარიტი ადამიანები, მაშინ მათ აქლემებსავით მრუდე კისრები აღარ ექნებათ!

მათხოვრის სიტყვებმა გაპყვეთა შეგროვილი ხალხის დაძაბული ღუმილი. გაისმა ხორხოცი. მათხოვარმაც გაიციანა.

— ეჭვი, კყუათხელნო! — განაგრძო მან, როცა სიცილი მიწყდა. — როდემდე უნდა სცემდეთ თაყვანს გველებს? თქვენ ხომ სხვა არაფერი გაგეგებათ, თუ არა შხამიან ქვეწარმავალთა რძით გამოკვება! თქვენ ისიც კი არ იცით, რომ შეიძლება უკეთესი საქმე იშოვოს კაცმა!

ქვაფენილზე თქარათქური გაისმა. ბრბო გაიფანტა. ვამოჩნდა ორი ეტლი. თვითეულ მათგანზე იდგა გრძელწვერა ვაჟარი, რომელთაც წოწოლა, ელვარე ეგვიპტური ჩაფხუტები ეხურათ და სადავეებით აკავებდნენ ათოხარიკებულ კანჯრებს. ირგვლივ განცვიფრების შეძახილები ისმოდა. რა საუცხოოდაა მორთული ეტლები! ეტლებს კამეჩებივით ჯოგად მოსდევდნენ შავკანიანი მონები. ზოგჯერ ისინი სირბილს შეანელებდნენ, სულს მოითქვამდნენ და კვლავ თავქუდმოგლეჯილნი გარბოდნენ.

მათხოვარმა გაელვებულ ეტლებს თვალი გააყოლა და იკითხა:

— ვინ არიან ეს ამპარტავანნი?

— დიდებული მანიბანდჰის ეტლებია, — უპასუხა ვილაცამ. — მან აურაცხელი განძეული ჩამოიტანა ეგვიპტიდან.

ბერიკაცმა ღვარძლიანად გადაიხარხარა. ხალხი კვლავ შემოერტყა გარს.

— მაშ ქალაქს ისევ მოველნენ კეთროვანნი! — შეპყვირა სალოსმა. — უბედურნი! არც კი იციან, რომ ის, რითაც ღლესათავი მოაქვთ, დაღუპავს მათ!

— რა უნდა დაემართოთ? — შეესიტყვა ვილაცამ. — თავიანთ მშვენიერ სასახლეებში ისინი უვნებელნი არიან. მსგავსი სასახლეები ალბათ მთელ დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება. მათი თვითეული ქვა ჩუქურთმითაა მოხატული. გეგონება ეს-ეს არის გაცოცხლდებაო.

— მანიბანდჰს მშვენიერი ასული ჩამოუყვანია ეგვიპტიდან, — იგი თითქმის ტანშიშველი დაიარება! — შესძახა მეორემ.

ბრბო ახორხოცდა. ნილუფარს უკვე გაეთქვა სახელი ქალაქში



თავისი ზღაპრული სილამაზით. მაგრამ იგი არავის თვლიდა ყურადღების ღირსად, და ეს არად მიჩნევა თავმოყვარეობას ულახავდა ქალაქის მკვიდრთ.

— ვისზე ამბობთ? იმ ქანდაკებაზე, რომლისთვისაც მშობელ დედას ღმილიც კი არ უსწავლებია?

— იმას, ვინც დღეს თითქმის ტანშიშველია, — კვლავ ალაპარაკდა პათხოვარი, — ხვალ სულ მთლად შიშველს გამოიყვანენ ამავე მოედანზე საჯაროდ გასაყიდად. და მაშინ თქვენ, ხარბად რომ შესცქერით მის სიმშვენიერეს, სირცხვილით მოარიდებთ თვალს და შორს განიტაცებთ...

ვილაცამ შეუძახა:

— რაებს ბოდავ? ჩვენ ამაოდ დავშვრებით და ვერასოდეს მოვესწრებით ამ დღეს! მშვენიერი მშვენიერია! ამგვარ ქალს ვერც ამქვეყნად შეხვდები და ვერც სამოთხეში...

ბრბოში კვლავ გაისმა სიცილი. ვილაცამ თქვა:

— ახლა პატივცემული ვიშვაჯითი მოხუცებულია. მაგრამ იცით თუ არა, როგორი იყო ქაბუკობისას?! ვერც ერთი ჩვენთაგანი თავის დღეში სიზმრალად კი ვერ ნახავს, რასაც ეს ანტი ანერხებდა მხოლოდ ერთი ღამის განმავლობაში...

სხვა ხმაც აპყვა:

— ამბობენ, პატივცემულმა მოხუცმა მთელი სამყარო მოიარაო დაე, თვითონ თქვას: უნახავს კია სადმე მსგავსი სიმდიდრე?

— სიმდიდრეო? — გესლიანად გაიმეორა ბერიკაცმა. მერე დაიღუნა, მწიკვით მტვერი აიღო, ხელის გულზე დაიყარა და სულის შებერვით აღგავა. — აი, თქვენი სიმდიდრე, ჰკუთხელნო! ამაზე მეტი არც ერთ თქვენთაგანს არ უნახავს და ვერც ნახავს...

ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ შემოერტყა მოხუცს. რამდენიმე მონაც მოვიდა. მათს თვალეებში მხოლოდ ცნობისწადილს როდი ამოიკითხავდით. მათში ღვიოდა დაუმცხრალი ვნება, დაუოკებელი სურვილი, ეგემათ აკრძალული ხილი.

— ეჰეი! — შესძახა რომელიღაც პატივცემულმა მოქალაქემ ერთერთ მონას და სახეში მჭილი ჰკრა. — როგორ გაბედე ხელი გეკრა ჩემთვის? აქ რას უყურებ? მონებს რა უნდათ ქალაქის თავისუფალ მკვიდრთა შორის?!

მაგრამ მისი ხმა ბრბოს ხმაურში ჩაიკარგა.

— ეჰეი, მოჰენჯო-დაროს მკვიდრნო! — ცეკვა-ცეკვით წაიმღერა მოხუცმა. — თქვენ კარგად იცით, როგორ აღმართოთ თქვენს თავზე

კერი, მაგრამ ეგ კერი მალე ჩამოგექცევათ! სამყარო ერთ დღეშია შექმნილი, მის დანგრევას კი ერთი დღეც არ დასჭირდება! როცა კარსარავინისა და დიდი ინდის ტალღები ვნებით გაშმაგებულნი აღზევდებიან, რათა ერთმანეთს შეერწყნან, იმ დღეს თქვენი დიდი ქალაქი, ნათელი და საამური, ვითარცა სანდალის ხე, აღიგვება პირისაგან მიწისა!

ბერიკაცმა ავბედითად გადაიხარხარა. შუბლზე ბლუჯა-ბლუჯად გადმოყრილი თმა ზიზღისმომგვრელს ღლიდა მის პირისახეს. ყველას, ვინც პირველად უყურებდა ამ უგვანო ცეკვას, შიშით უფანცქალებდა გული. თითქოს თვით სილატაკის სული, საუკუნო წყევლით დალდასმული, გაკადნიერებულიყო და ორთაბრძოლაში იწვევდა გოლიათ სასან-ლეებს...

მოხუცი მათხოვარი ბუტბუტებდა:

— რისთვის ცოცხლობთ, უბადრუკნო, რა დღეს მოელოდებით? თქვენ ხომ საკუთარი გვამებიც არ გეკუთვინით! თქვენს მამაკაცებს ხელი არ მიუწვდებათ ცათა დიდებამდე, ისინი ცხვირებით ჩიჩქნიან ჯოჯოხეთის უწმინდურ ქვესკნელს, თქვენი ქალები კი სიამეთა ხეზე შემომსხდარან, კისკისებენ და კივიან... ხოლო იმას, რომ მათ აღაშფოთქნ მიწის მპყრობელი ქალღმერთი, ვერ გაიგებთ ვერც თქვენ, ვერც თქვენი დები და ვერც დედები...

უეცრად ბრბოში კვერთხებით შეიარაღებულ მცველთა რაზმი შეიჭრა. ეს იყო ერთ-ერთი იმ რაზმთაგანი, რომელიც ვაჭრებსა და წარჩინებულებს ჩამოეყალიბებინათ თავდასაცავად. ჯარისკაცები ტანშიშველნი იყვნენ, მხოლოდ ქამარზე ჰქონდათ მიმაგრებული უხეში ქსოვილის სამკუთხა ნაჭერი, რომელიც მუხლებამდე ძლივს სწვდებოდათ; თმა გამოენასკვათ. ჯარისკაცები ეგვიპტელ მსროლელთა მსგავსად იყვნენ შეიარაღებულნი. მარცხენა მხარზე თვითველ მათგანს ფარი ეკიდა, ხელთ კი წვერბასრი გრძელი წვრილი შუბი ეპყრა.

ჯარისკაცებმა სწრაფად გაფანტეს ყველა, მაგრამ ბერიკაცისთვის ხელი არ უხლიათ. ვინ არ იცნობდა ვიშვაჯითს, მოჰენჯო-დაროში ოდესღაც ყველაზე პატივცემულ ვაჭარს! იყო დრო, როცა ისე შორს ჰქონდა გავარდნილი სახელი, რომ შეხვედრისას ყველანი მდაბლად სცემდნენ თავყვანს. ახლა კი ფენშიშველი დატანტალებდა მტვრიან ქუჩებში. იღუმალებით იყო მოცული მისი ცხოვრება, არავინ იცოდა მიზეზი მისი ჰკუაზე შერყევისა. რამდენი გესლი და სიძულვილი იყო მათხოვრის სიტყვებში! თითქოს სურდა შური ეძია ჟამთა სიავებზე! ზოგჯერ იგი წინასწარმეტყველი ქურუმის მსგავსად მრისხანებდა და აუგად იხსენიებდა ქალაქის მკვიდრთ; ამ დროს ბრბო მორჩი-

ლად იხრიდა ქედს მის წინაშე და უღრტვინველად ითმენდა შეურაცხყოფას.

შუალამე გადასულიყო. ჯარისკაცები აღარ ჩანდნენ. მედუქნეები ხურავდნენ დუქნებს. სინათლეები ჩაქროთ. ირგვლივ სიმშვიდე სუფევდა. რჩისფერ ბურჯსში გახვეული მთვარე მკრთალ ნათელს ჰფენდა მძინარე ქალაქს. ლაპლაპებდნენ ლითონის მაღალი სახურავები. უზარმაზარი სასახლეები ბნელ ჩრდილებს ჰფენდნენ ქუჩას.

სალოსმა მოხერხებული ადგილი შეარჩია და შიშველ მიწაზე მოიკუნტა. ის იყო იძინებდა, რომ სამარისებურ სიჩუმეში ფეხის ხმა გაიგონა. ვილაცამ მხარზე ხელი შეახო მათხოვარს. გაისმა კაცის ხმა:

— ღამის გასათევს ვეძებთ...

ბერიკაცმა გადაიხარხარა. .

— უსახლკარო მაწანწალას ღამის გასათევს ეკითხებით? განა ქალაქში ცოტაა მდიდართა და წარჩინებულთა სახლი! ა? თავი დაგიკარავს, ყეყერო!

უცხო კაცმა შიშით უკან დაიხია. მან მხოლოდ ახლა გააჩნია მთვარის მკრთალ შუქზე სალოსის საშინელი სახე.

ბერიკაცი ხრინწიანი ხმით ლაპარაკობდა:

— ქვისა და კაცის გარჩევა არ ძალგიძს? ნუთუ ქუჩაში ღამის გათევისათვის ვინმეს თანხმობაა საჭირო?

მან ჩაიხიბითა და ირგვლივ ხელები შემოატარა.

— მთელი ქალაქი შენს ხელთაა! სადაც გენებოს, იქ მოისვენე, ვინ გიშლის!

კაცმა თანამგზავრი ქალისაკენ გააპარა თვალი.

— ძალიან დავილაღეთ, — თქვა ქალმა, როგორც კი შიში დაძლია. — სოფლები იშვიათად გვხვდებოდა. წინ საშინელი გზა გვედო... ყაჩაღებს და ნადირთაც ვუფრთხოდით... ახლა კი არ ვიცი, რა ექნათ...

სალოსი მოულოდნელად მოლბა.

— ვინა ხართ?

— ღრავიდთა ქვეყნიდან გახლავართ, კიკათიდან, მოქენჯო-დაროს ჩრდილოეთით რომ მდებარეობს... — მოლლილი ხმით მიუგო კაცმა.

— კიკათი? ვიცი! ეგ ხომ ჰარაპის სამხრეთ-აღმოსავლეთითაა. კირათი, შამბჰუ, პანეთი — სუყველა მომივლია... ჰო, მე ვიცი კიკათი! იქ არ არის ისეთი თავაშვებულობა, როგორც აქ. მაგრამ, ჩემი აზრით, უძრავობასა და დამყაყებას ისევ გარყვნილება სჯობს! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმას მაინც ზედავ, თუ რაზომ დიღია აღამიანთა უგუნურება...

— იძულებული შევიქნით ყველაფერი მიგვეტოვებინა და აქეთ წამოვსულიყავით, — თქვა ახალგაზრდა ქალმა.

— ნუთუ სიყვარულისთვის იქ აღგილი არ კმარა? — გაიცინა სალოსმა. — ანდა იმისათვის, რომ ერთმანეთი გყვარებოდით, კიდევ დაგჭირდით რამე? რად მოიქცეთ ასე განუსჯელად?

— ჩვენი ქვეყნის მმართველს თვალში მოუვიდა ვენი, — ნაღვლიანად უპასუხა უცხომ. — და ჩვენ იძულებული შევიქნით გამოვქცეულიყავით, არადა ორივეს დაგვხოცავდა...

— არა! — შეესიტყვა ბერიკაცი. — ის მხოლოდ ერთს მოჰკლავდა თქვენ ორში — შენ! შენს მეგობარს კი ისევე ჩაიგდებდა ბრჭყალებში, როგორც ალბათ მთელი ქვეყნის ჩაგდება სურს. გაიგე? ქალს ხომ ნადირნიც არა ჰკლავენ, თუ სისხლი არ მოსწყურდით...

უცნობს არაფერი უპასუხია. ახალგაზრდა ქალს აკანკალებდა, მას არ ესმოდა მათხოვრის უცნაური ლაპარაკი.

— რა გვეშველება, ვილიბჰითურ? — შესძახა შეშინებულმა ქალმა. — ნუთუ ამ ქალაქში არავინ გაგვათევეინებს ღამეს?

— როგორ არ გაგათევეინებთ? — გააჯვრდა მათხოვარი. — ვინ გაბედავს, რომ ჩემს სტუმრებს აწყენინოს?

— ღმერთო დიდებულო! — წაიჩურჩულა ქალმა და დაღლილი დაეშვა ქვებზე.

— თუ თქვენ დიდებული ვიშვაჯითის სტუმრები ხართ, დაე, მთელმა მოქენჯო-დარომ მდაბლად გცეთ თაყვანი! — შესძახა ბერიკაცმა.

უცნობნი შეკრთნენ. რაებს ბოდავს ეს კაცი?

— მაგრამ ვინა ხართ თქვენ? რაში მდგომარეობს თქვენი რწმენა? — დამცინავად შეეკითხა სალოსი. — თქვენ საკუთარი ქედმაღლობის მსხვერპლნი ხართ! ახლა თქვენ მათხოვარნი ხართ, კარდაკარ დატანტალებით და მხოლოდ ამიტომ კადრულობთ ჩემთან ლაპარაკს. მაგრამ, თუ ხვალ მოქენჯო-დაროს მთელი სიმდიდრე იგდეთ ხელთ, მაშინ... მაშინ უწინარეს ყოვლისა მოხუცი ვიშვაჯითისადმი სიძულვილს გამოამყლავნებთ! ცრუპენტელებო! რატომ ტყეს არ შეაფარეთ თავი, — იქ ხომ არავინ შეუშლიდა ხელს თქვენს სიყვარულს? თქვენს სულელებში ამაოებისა და ბიწიერების ჯოჯოხეთური ცეცხლი გიზგიზებს! თქვენ მანამდე არ დამშვიდდებით, სანამ ერთმანეთს არ დაფერფლავთ!..

ქალი წამოდგა. უცნობმა მკლავში ხელი მოჰკიდა; ორივენი უსასოოდ შეჰყურებდნენ ერთმანეთს. სად უნდა წასულიყვნენ? ირგვლივ ღამის მღუმარება ჩამოწოლილიყო. მათხოვარს ზურგი აქციეს და ნელ-ნელა გაჰყვნენ ქუჩას.

უცებ სალოსმა მიაძახა:

— შენ ხომ ქალი ხარ? ესე იგი შენთვის უცხო არაა დიაცური ეშმაკობანი? ცეკვა, სიმღერა? ა?

ამ აგდებულად ნათქვამმა სიტყვებმა თავმოყვარეობა შეულახეს ქალს, და მას არაფერი უპასუხია.

— ო, ვენი საუცხოოდ ცეკვავს! — შეაქო იგი უცნობმა.

— უყურე შენ! — გაიკვირვა ბერიკაცმა. — მერედა, აქამდე გულში ვერ აძგერა ხანჯალი მპყრობელს? იმას, მე მგონი, უმაგისოდაც ბევრი ცოლები ჰყავს?

— ყოველ თვეში ახალ-ახალ მშვენიერს მიჰგვრიან ხოლმე.

— მერე, შენ რას მიკეთებ, ჭკუის კოლოფო? თუ, გარდა სიყვარულისა, არაფერი გისწავლია?

ქალმა ჩაიციხა. მერე ამაყად თქვა:

— თქვენს დიდ ქალაქსაც კი არ უნახავს ოდესმე ისეთი პოეტი, როგორიც ვილიბჰითური გახლავთ!

— განთიადს დაველოდოთ! — თქვა სალოსმა. — ხვალ თქვენთვის ახალი მზე ამოვა! დიდებული ვიშვაჯითი უმდაბლესად გთხოვთ, როგორმე გაატაროთ ეს ღამე!

მან ქვაფენილზე მიუთითა. უცხოელებმა გაკვირვებით მიმოავლეს თვალი.

— არ მოგწონთ? — გაჯავრებით წაიბუზღუნა ბერიკაცმა. — დაწე-ქით, უბედურნო! ხვალ რომ ბუმბულის ლეიბზე წამოწვევებით და ზეციურ ნეტარებაზე ოცნება გაგიტაცებთ, მე მოვალ თქვენთან და მოგაგონებთ ამ ღამეს და შიშველ მიწასაც, რომელზედაც გეძინათ...

მგზავრები ქვაფენილზე დაწვნენ. მათ შორიახლო მიდო თავი სალოსმაც.

ვენიმ თეთრად გაათენა ღამე. მას ეჩვენებოდა, რომ საკმარისი იყო თვალი მიელულა, რომ დილით თავისი ვილიბჰითური ველარ ეხილა. ვილიბჰითური მიატოვებს და წავა... რა ენაღვლება? მას ახლავე შეუძლია გაემართოს თავისი სამშობლოსაკენ. კაცს არაფრის შიში არა აქვს. ვენიმ რა ქნას? ვის შესთხოვოს შველა საბრალო ქალმა?

ვენის მოაგონდა დედ-მამა, და, მეგობრები... ვერც ერთმა მათგანმა ვერ დაიცვა იგი, ყველანი უწინარეს ყოვლისა თავის კეთილდღეობაზე ფიქრობენ. და მიანიც როგორ ნაღვლობს მათთან განშორებას!..

მან ვილიბჰითურს გადახედა. მგზავრობით დადლილ-დაქანცულს, გულისძილით ეძინა. ახლა იგი ჰგავდა გემს, რომელიც, ქარიშხალთან

ბრძოლაში მოღლილი, ტალღებს მიენდობა. კაცის გამძლეობასაც ხომ აქვს საზღვარი!..

მცირე ხნის წინათ კი... პალმის ფოთლებით ნაგები პატარა ქოხების წინ, ჩამავალი მზის მეწამულ სხივებს რომ გაენათებინა, ვილიბჰითური ხმადაბლა იწყებდა ხოლმე სიმღერას, და ვენიც, წმიდა მუდრას\* შესაფერად ხელებდაწყობილი, მაყურებლებში გამოგოგმანდებოდა და ფეხებზე შებმულ ევენებს აწკარუნებდა... რა მშვენიერი რამ იყო!

უცებ მძინარე სალოსს გაეცინა. ვენი შიშით მიეკრო თავის სატრფოს. ბერიკაცი ერთხანს ხროტინებდა, თითქოს რალაცის ამოთქმას ლამობსო, და ბოლოს გაელვია.

თენდებოდა. გამოჩნდნენ პირველი გამვლელ-გამომკლელნი.

— ეჭვი, უცხოელნო! — ხმამალა შესძახა სალოსმა. — მთელი სიცოცხლე ძილში ხომ არ გინდათ გაატაროთ? ეგებ კიდევ ჰპოვოთ ამქვეყნად კარგი რამ?

ვენი წამოდგა და ვილიბჰითური შეანჯღრია. სალოსი დაკვირვებით ათვალიერებდა ორივეს. რალაცნაირი ქალური, ნაზი იერი დაჰკრავდა პოეტის სახეს. ვენი უფრო მოურიღებელი და უხეში ჩანდა; ისინი თითქოს ავსებდნენ ერთმანეთს.

— მშია! — თქვა ვენიმ.

— მანდ ქვა გდია, აიღე და ჰაქე! — ბუზღუნით უთხრა მათხოვარმა. — თუ გსურს ქალღმერთ მაჰაჰაიდ იქცე, უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებ!

ბერიკაცის უკმეხობამ გული ატყინა ვენის. იგი მხოლოდ იმით იმშვიდებდა თავს, რომ მოხუცი ჰკუაზე იყო შემცდარი. აბა როგორ შეიძლებოდა სცოდნოდა მას, რომ ადამიანის ყველაზე მაღალი ღირსება მოყვასისადმი თანაგრძნობა იყო?

— ეჭვი, თქვენ, მოჰენჯო-დაროს ჰკუათხელნო! — რაც ძალი და ღონე ჰქონდა შეჰყვირა სალოსმა. — შემოკრბით ყველა! ახლა დიდებული ვიშვაჯითი შეავსებს თქვენს შეცოდებათა მყრალ ჰურჭლებს!

უცხოელნი შეძრწუნდნენ.

სწრაფად შეგროვდა ხალხი. აქეთ-იქიდან კითხულობდნენ:

— ვინ არიან ეს ადამიანები, პატივცემულო მოხუცო? ვინ არის ეს ქალი?

— ეჭვი, ცუდლუტო! — მიმართა მათხოვარმა ვენის. — ალბათ მოი-

---

\* მუდრა — პოზა და ხელების მდგომარეობა კლასიკური ინდური ცეკვის დროს (ძველინდ.).

ტყუე, მშიაო, რომ სთქვი. თუ მართლა მშვიერი ხარ, რაღას აყოვნებ? აი, რამდენი სულელი გელოდება, გადაგველაპოსო, იქნებ ცეკვა არ იცი?

— მე ვიცი სიცოცხლის ცეკვა! — მიუგო ვენიმ.

— იცეკვე, მშვენიერო, იცეკვე! — გაისმა აძები.

ვენიმ მარცხენა ფეხი წინ წადგა, ვილიბპითურმა კი ხმადაბლა დაიწყო სიმღერა.

მაგრამ სწორედ ამ დროს გაისმა შეძახილი:

— აბა, განზე გადექით, ვისაც სიცოცხლე არ მოგბეზრებიათ!

ვენი გაჩერდა. სალოსმა ბრაზით შესძახა:

— ვინ ერევა დიდებული ვიშვაჯითის საქმეში? ვინ იქცევა ეგზომ კადნიერად?

— თვით შენ ვინა ხარ, გამოთაყვანებულო ბებერო! — შეუყვირა მონამ, რომელიც გზას წმენდდა. — სიცოცხლე მოგბეზრდა? ალბათ არც კი იცი, ვისთანა გაქვს საქმე. მე დიდებული მანიბანდჰის მონა ვარ!

— „მონა, მონა“, — გამოაჯავრა მოხუცმა. — თუკი მონა ხარ, ბატონთან თავხედობას როგორ ბედავ?

ბრბოში ღვარძლიანი ხარხარი გაისმა. სალოსის პასუხმა უჩვეულო სიხარული მოჰგვარა ყველას, — მათხოვრის გარდა, ვერავინ გაბედავდა ასეთ ხუმრობას. იგი ამაყად იდგა და მშვიდად გაჰყურებდა მოახლოებულ მანიბანდჰს. ვენიმ დაბნეული მზერა შეავლო ვილიბპითურს. მაგრამ ეს უქანასკნელი სულ არ ლელავდა, თითქოს არც კი ესმოდა, რა ხდებოდა ირგვლივ.

ხალხი მიიწ-მოიწია. ვაჰარს უზარმაზარი შავი ჩრდილივით განუშორებლად ახლდა გოლიათი აპაპი.

ვაჰარი განრისხებული იყო, და შეშინებული ხალხი უკუიქცა. სალოსი თვალმოუშორებლივ შესცქეროდა მანიბანდჰს. უცებ ჰკითხა:

— ვაჰარო, ხომ არ ყოფილხარ წინათ ჩვენს დიდ ქალაქში? თითქოს მეცნობი.

მანიბანდჰს თავგზა აუბნია ამ შეკითხვამ და ერთხანს ვერაფერი უპასუხა. ბოლოს ძალი მოიცა და მკაცრად თქვა:

— გატყობ, ჭკუაზე შეშლილხარ, ბერიკაცო...

— მე შევეშლილვარ? თუმცა ვინ არ არის ამქვეყნად შეშლილი? — ღირსეულად მიუგო მოხუცმა. — გახსოვდეს, დიდებულო, შენზე ნაკლებ პატივცემულსა და მდიდარ კაცს როდი ელაპარაკები!

მაგრამ ამ დროს გაისმა ვილიბპითურის ხმა. ვენიმ ცეკვა დაიწყო. მანიბანდჰმა შეხედა და თვალი ველარ მოაშორა. მკაცრი გამოხედვა

თანდათან ალერსიანმა, ნაზმა ღიმილმა შეუცვალა. ასე ჩამორეცხავს ხოლმე წვიმის ნაკადი სიცხისაგან გამომშრალ მტვრიან ლედვის ხეს და უეცრად ხასხასა მწვანე ფერს უბრუნებს. ბრბო მოჯადოებულებით ადევნებდა თვალს ცეკვას. ყველას მიავიწყდა მოხუცი, ის კი დაკვირვებით მისჩერებოდა ვაჭარს, თითქოს რაღაცას იხსენებდნო...

ცეკვა რომ დაამთავრა, ვენიმ თაყვანი სცა მანიბანდჰს და ხელი გაუწოდა. მანიბანდჰი დიდხანს შეჰყურებდა ქალს, მერე ხმაამოუღებლივ მოიხსნა აღმასის ყელსაბამი და გადაუგდო. ბრბოს აღტაცების შეძახილები აღმოხდა. სალოსმა გადაიხარხარა და შეჰყვირა:

— დიდება დრავიდთა მშვენიერ ასულს! მან თავისი ოსტატობით დაიპყრო მანიბანდჰის გული!

ხალხს გაეცინა. მდიდარმა ვაჭარმაც გაიღიმა.

— დიდება დრავიდ მოცეკვავეს! — ყვიროდნენ გარშემო.

მანიბანდჰმა ზურგი აქცია მათ და გზა განაგრძო.

ვენიმ ვილიბჰითურთან მიიბრინა და ყელსაბამი ჩამოაცვა. ბერი-კაცმა დამცინავად თქვა:

— რა ჰკვიანი ხალხია დედამიწის ზურგზე... გველი და საბელი ვერ გაურჩევიან!

და კვლავ გადაიხარხარა.



გაფურჩქნილ ყვავილებს ჰგვანან თავიანთი მშვენებით მოჭენჯო-  
დაროს ასულნი. თავზე კოხტად ვარცხნილი თმა ადგათ გვირგვინად,  
აქოკრებული მკერდი ბრწყინვალე სამოსში გამონაკეთიათ. წელზე ლი-  
თონის ნაყშიანი სარტყელები უჩხრიალებთ. მათს ყოველ მოძრაობაზე  
მელოდიურად ეხმატებილებიან ერთმანეთს მთრთოლვარე საყურენი.  
მოჭადლოებნი და ვერაგნი არიან მათი დიდრონი, ქურციკისებრი თვა-  
ლები. მათი გამოხედვა ისევე ზვიადია, როგორც მოჭენჯო-დაროს დი-  
დებული სასახლეები.

ახლა მათ გართობა-თამაშობებს აღარ იკითხავთ? როგორც კი  
მალალ სახურავებზე მზის პირველი სხივები აციმციმდება, ქალიშვილე-  
ბი უკვე ზეზე არიან. მერე სახლიდან გადიან და მხოლოდ გვიან ღამეს  
ბრუნდებიან შინ. ისინი ყოველწლიურად ირჩევენ სილამაზის დედო-  
ფალს, რომელსაც ფარვანასავით დასტრიალებენ თავს ახალგაზრდა  
თაყვანისმცემელნი.

...ოქროს სამაჯურთა წკარუნი ათრთოლებდა ჰაერს. ყრიამულისა-  
გან დროდადრო თითქოს წყალიც კი ირხეოდა აუზში. თეთრი მარმა-  
რილოს საფეხურებზე ჩამომსხდარი ნაირფერ სამოსში გამოწყობილი  
მშვენიერი ასულნი მოგაგონებდნენ ცისარტყელას, თოვლიან მწვერვა-  
ლებზე გადაწოლილი რომ ისვენებს. ჰაბუკები ტანთ იხდიდნენ და  
წყალში ხტებოდნენ. მათი მოყვანილი ტანი ჰაერში გაიღვებდა, მერე  
შხაპუნით ქრებოდა სიღრმეში და ზედაპირზე ტოვებდა უამრავ წრეს,  
რომლებიც ნელ-ნელა იშლებოდნენ და ერთმანეთს კვეთდნენ. ზეთიანი  
წყალი ნარინჯისფრად შეეღება ზაფრანისა და სანდალის ნელსაცხე-  
ბელს, რითაც ქალიშვილების ტანი იყო დაფარული, და ივი გამაბრუე-  
ბელ სურნელს აკმევდა ირგვლივ.

აუზის ნაპირზე განლაგებული იყო ტანისამოსის გამოსაცვლელი  
მრავალი ოთახი, რომელთა ყოველ საკურთხეველზე სამსხვერპლო  
ცეცხლი ენთო. ბანაობის შემდეგ აქ შეიძლებოდა ტანი ნელსაცხებით  
დაეზილათ და სამკაულებით მორთულიყვნენ.

შუმერთა სახელგანთქმულ დედაქალაქ ქიშზე რომ არაფერი ვთქვათ,  
ცხადია, დიდებულ ქალაქ ურშიც შეიძლებოდა გენახათ სასახლეები,  
რომლებიც არ ჩამოუვარდებოდნენ მოჭენჯო-დაროს სასახლეებს,

პაგრამ ასეთ საუცხოო აუზს ვერსად ნახავდით. აუზის გასწვრივ ჩამწყარივებულ სვეტებზე ენთო მრავალი ლამპარი, და როცა ღამით მათი კაშკაშა შუქი წყლის ზედაპირს დასთამამებდა, ქუჩაში ანთებული სინათლეები ოდნავდა ბუტყავდნენ. უცნაურ, დამბნედ თუ დამათრობელ გრძობას აღვიძრავდათ ეს სურათი. საღამოს, ჩამავალი მზის ოქროსფერ სხივებში გახვეული აუზი ნარინჯის მტვერმოფრქვეულ ლოტოსის უზარმაზარ ყვავილს წააგავდა. მის გარშემო მოყოლებული ხშირი ბარდნარი იყო სავანე შეყვარებული წყვილებისა, რომლებსაც განმარტოებით ყოფნა სურდათ.

აუზის თავზე გაისმოდა ყრიამული, სიცილ-კისკისი — მშვენიერი ასულნი ხალვათად გრძობდნენ თავს. მოცურავე ქალთა თავები ხან გამოჩნდებოდნენ და ხან გაქრებოდნენ ხოლმე წყლის ზედაპირზე, ისევე როგორც ჩნდებიან და ქრებიან მდინარეზე პატარ-პატარა ბუშტები წვიმის დროს.

ერთიმეორის მიყოლებით მოდიოდნენ ეტლები და ხეების ჩრდილში ჩერდებოდნენ. ეტლიდან ჩამომხდარნი აუზის ნაპირას, გრილ ფილაქანზე გამოეფინებოდნენ და თავიანთი სიმშვენიერით ხიბლავდნენ მკვრეტელს. თითქოს მთელი მათი სიცოცხლე მხოლოდდა სიამე იყო. აქ მყოფთაგან ფიქრად არავის მოუვიდოდა, რომ საქმეზე ჩამოეგდო საუბარი. მსუბუქ თეთრ მოსასხამებში გახვეული მამაკაცები დინჯად მიმოდრიდნენ მობანავეთა შორის. ისინი შემკული იყვნენ მარგალიტის ყელსაბაჰებითა და სამაჯურებით, ზოგ მათგანს კი თავს უმშვენებდა ოქროს დიადემა. უცნაურად მოგეჩვენებოდათ, მახვილი ან სახელმწიფო ბეჭედი რომ დაგენახათ ვინმეს ხელში — აქ მხოლოდ ქალებზე ფიქრობდნენ და საუბრობდნენ. აქ იშვიათად თუ შეხვდებოდით მაიმე საქმით დამაშვრალთ.

მით უფრო საკვირველი იყო სალოსის მოსვლა. თითქოს რაღაცაზე ფიქრობსო, იგი კუთხეში მიყუჟულიყო და აქედან ადევნებდა თვალს ყველას, ისე, რომ ვერავინ ხედავდა. მახინჯი სხეული ბერიკაცს კონკრეტით ჰქონდა დაფარული. ქალიშვილები გვერდით ჩავლისას პირს იბრუნებდნენ ხოლმე, მისი ჭუჭყიანი და გრძელი ფრჩხილების შემყურე. მოქნჯო-დაროს მკვიდრთათვის ეს კაცი უფრო მეტი ილუმალებით იყო მოსილი, ვინემ ეგვიპტელი გრძნეულხი და ვარსკვლავთმრიცხველნი. ყველაზე ბრძენი, ჭალარით მოსილი მოქალაქენიც კი მასთან გამოლაპარაკებისას ვერ მალავდნენ ძრწოლას და ზიზღს; ისინი განზე გადგებოდნენ ხოლმე, ზეცად აღაპყრობდნენ ხელთ და შიშით ევედრებოდნენ ქალღმერთ მაჰანას:

-- ნუ მოგვაქცევ ესრეთ, დიდებულო ქალღმერთო! ნუ დასცემ ჩვენს შთამომავლობას ევსომ მჯაბლა, ვითარცა დააკნინე შვილნი მისნი!

-- შენეთ! — თქვა ერთ-ერთმა გამკლელმა ახალგაზრდამ. — დიდებულ ვიშვაჯით\* არად მიაჩნია მთელი სამყაროს დაპყრობა, მას სურს დაიმონოს რომელიღაც მშვენიერი ასულის გული! ხედავთ, როგორ იმალება? გულში ცეცხლი აღარ უგვიზგიზებს, მაგრამ, როგორც ეტყობა, არც სულ მთლად განელვბია!

— პაემანი აქვს დანიშნული! — განაგრძო ზემრობა ვილაქამ. — აი, მოირბენს მასთან მშვენიერი ასული, კისერზე მოეხვევა და თავის გაბრაზებულ სატრფოს დაამშვიდებს. თმა სულ მთლად შევერცხლია, — ვერცხლის გარდა, სხვა რა უნდათ მშვენიერ ასულთ!

უცებ სალოსი შეერთა და ზეზე წამოდგა. აუზის ნაპირს მანიბანდჰის ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ეტლი მოადგა, ერთი გაიპრიალა და გაჩერდა. მის უკან კიდევ ორი ეტლი ჩამოდგა. შავი მონა გადმოსვლაში მიეშველა მანიბანდჰს. მომდევნო ორი ეტლიდან ეგვიპტელნი ჩამოხდნენ. მათ შორის იყო აშენ-რა.

— ეჭვი, აპაპ! — გასძახა ვაჰარმა და თვალეში ქედმაღლური, მბრძანებლური ცეცხლი გაუქრთა; ასე მოედება ხოლმე ცეცხლი გაპოხილ ქსოვილს.

— რას მიბრძანებ, ჩემო ბატონო? — მჯაბლად დაუქრა თავი ზანგმა.

— შეეტლევებს უბრძანე დაგველოდონ!

აპაპის მითითებისთანავე ეტლები ვვერდზე მიდგნენ.

— ეჭვი, მონავ! — კვლავ მოუხმო მანიბანდჰმა.

— რას მიბრძანებ, ჩემო ბატონო?

— ტანისამოსი მოამზადე? თუ ისევე დაგავიწყდა, როგორც საკუთარი სიკვდილი?

ზანგმა ჩაიციინა და თეთრი კბილები გამოუჩნდა.

— ტყუილუბრალოდ წუხს ბატონი. რა ხანია ყველაფერი მზადაა! ამენ-რამ აუზისაკენ გადადგა ფეხი, მაგრამ უეცრად შედგა და გზა მანიბანდჰს დაუთმო. მოხუცმა სალოსმა დაინახა, თუ როგორი ღირსებით ექირა თავი ამ მდიდარ კაცს, და აღელდა — ისიც ხომ პატივცემული იყო ოდესღაც ქალაქში!.. მაშინ თითქოს მიწაც ზანზარებდა მის ფერხთა ქვეშ. ხოლო ღღეს, როდესაც ღარიბია და ყველასაგან მოძუ-

\* ე ვ ი შ ვ ა ჯ ი თ ი — სამყაროს დაპყრობი (ძველინდ.).

ლებული, მიწასაც კი ეზიზღება და აღარ სურს იტვირთოს. მანიბანდჰის მბრძანებლურმა მზერამ განაცვიფრა სალოსი. რა მშვენიერია ეს თვალები! მანიბანდჰის ეტლი მზის სხივებზე ლივლივებს. უდარდელად წკარუნებენ ჰენებისას მოსართავის ზანზალაკები, — ასე უდარდელია ხოლმე ნაქეიფარი დარდიმანდი კაცი, რომელიც სულთ და გულთ მზად არის მთელ ქვეყანას გადაეხვიოს...

ქალაქის მკვიდრნი აღფრთოვანებით შეეგებნენ მანიბანდჰს. მისაღმების ნიშნად გაისმა სიჰლერა, საზეიმო შეძახილები; ეს იშვიათი პატივი იყო თვით მდიდარი ვაჭრისთვისაც კი! მანიბანდჰმა ხუმრობით უბიძგა ამენ-რას წყალში მოჭყუშპალავე ტურფა ასულებისაკენ. ეგვიპტელი გაუბედავად შედგა აუზის წინ, რამაც უეცარი სიცილ-კისკისი გამოიწვია.

სალოსმა შეამჩნია, რომ აუზისაკენ მიემართებოდნენ ხელიხელგადახვეული ვენი და ვილიბჰითური. მოცეკვავე ქალის ნაზი ხელი გველივით შემოჰხვეოდა წელზე პოეტს. ვაჟის მკერდზე ყელსაბამი ბრწყინავდა. ვენის არავითარი სამკაული არ ჰქონდა, გარდა ოქროს სამაჯურებისა. მას ეცვა მოკლე სარი, რომელიც მუხლებამდე ძლივს სწვდებოდა და რომლის ზედა მხარე მკერდს უფარავდა. ღრუბელივით მსუბუქად მიცურავდა იგი თავისი სატრფოს გვერდით.

— ეპეი, მზაკვარო! — შესძახა ბერიკაცმა. — მოდი აქ!

— რა ნებავს დიდებულს? — მხიარულად შეეხმიანა ვენი.

ქალმა გაიხარა მოხუცის ნახვით, დაიმორცხვა და წამოწითლდა, რამაც კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა იგი. დიდრონი თვალები ისე უკრთოდა, როგორც ელვა გაიკრთომარებს ხოლმე შავ ღრუბელში. ყველაფერი ცოცხლობდა და იცვლებოდა ამ ქალში, ისევე როგორც დაუსრულებლივ იცვლიან სახეს ცაზე მსრბოლი ღრუბელნი.

ვილიბჰითური შესახედავად სუსტი და ნაზი იყო, შორიდან ვენის მეგობარ ქალად შეიძლებოდა მიგეჩნიათ. მაგრამ სამაგიეროდ მის ელვარე თვალებში ამოიკითხავდით შინაგან ძალას, მსგავსს დიდებულ არნდის ტალღებისა, რომლებიც კლდეებს მოარღვევენ და შესართავისკენ მიერეკებიან. ეს იყო ძალა შემოქმედებითი ნიჭისა.

— სად მიდიხარ? — მკაცრად ჰკითხა ბერიკაცმა.

ვენიმ აუზისაკენ გაიხედა.

— ჰო, მივხვდი, ცეკვის დიდებულ ქალდმერთს მოუსურვებია ინახულოს ცნობილი საბანაო აუზი! — თქვა მათხოვარმა და მერე ვილიბჰითურს შეაკერდა: — შენ ხომ პოეტი ხარ?

— პოეტიც არის და მომღერალიც, — ღიმილით თქვა ვენიმ.

— პატივცემულო მოხუცო! — წარმოთქვა პოეტმა. — მისწინე და ნუ გაგეცინება. ვილაყამ შეათრთოლა ჩემს გულში ტანჯვის სიმები... ვერ გამივია რა მემართება...

— გაიგებ! — ხრინწიანი ხმით წაილაპარაკა სალოსმა. — გაიგებ, როცა ქვეყნად აღარ დარჩება ადამიანი, შემსქენი შენი სიმღერებისა. როცა აღარავინ გამოეხმაურება შენს მოწოდებას. და შენი სულის სიზიცი ისევე გაწყდება, როგორც გაწყდება ქვეყნად ყველაფერი! საით იჩქარით? იმ შხამით აღსავე ხერელისაკენ? გესმით? ეს მობანავეთა ხმები როდია, ეს ჩვენი გაშიშვლებული ცოდვები ღალატებენ ადამიანთა პირით! ქალაქის მკვიდრნი ყალბი დიდებისა და მოჩვენებითი სიმდიდრის ცეცხლში არიან შთაცეცხლენი და იდაგვიან! ნუთუ არა გცემთ ტრუსის სუნნი?! კკუათხელნო, ეს ნაირფერი ცისარტყელა ნუვილად გსურთ იხმართ და თქვენი აღუვსებელი გულის ისარნი შესტყორცნოთ ზეცას?!

— მე შშია! — ნაღვლიანად თქვა ვენიმ. — აქ ცოტას ვიცეკვებ და ლუკმა პურს ვიშოვი.

ვენიმ ვერ დამალა სასოწარკვეთილება, ვერ აიტანა შეურაცხყოფა. თითქოსდა თვალწინ გაუთელეს საყვარელი ყვავილი; ახლა მისი გული ფუტკარივით დასტრიალებდა ამ წინანდებურად მშვენიერ, მაგრამ უკვე შებღალულ ყვავილს და ვერ გადაეწყვიტა, მიჰკარებოდა თუ არა... ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ მოხუცი მოლბა და თქვა:

— ნუ ეცდებით შეაჩეროთ საცოდავი მწერი, რომელიც ობობას ქსელისაკენ ისწრაფვის, — სულ ერთია, დაღუპვა მაინც არ ასცდება. მოხუცი ვიშვაჯითის თვალეები შეჩვეულნი არიან დროების წყვილადს, და მას არასოდეს აებნევა გზა! მან იცის, რომ ქალის გული ჰრელ პებელას ჰგავს: დაიჭერ — ხელში გიფანტქალებს, თითებს შეგიფერავს თავისი ფრთების მტვრით, გაუშვებ — გაფრინდება, ველ-მინდვრებს ეწვევა და კვლავ დაეფინება ფრთებზე ყვავილთა მტვერი. მოხუცი ვიშვაჯითი ყველაფერს ხედავს. მაგრამ არაფრის არიდება არ ძალუძს. სხვა რაღა დარჩენია, თუ არა ის, რომ ამ უბედურ მსხვერპლთა ბედისწერაზე იცინოს?!

ვალბჰითურმა ნაღვლიან თვალეებში ჩახედა თავის მეგობარს და უპასუხა:

— პატივცემულო მოხუცო! შენ ბრძენი ხარ. მაგრამ ხომ იცი, რომ ქალს ბაღის გული აქვს. რა უშავს, ნახოს...

— პოეტო! — ღრმა ამოოხვრით გააწყვეტინა სიტყვა მათხოვარმა. — ამ მოწამლულ ქაობში ოდესღაც დაიღუპა დიდებული ვიშვაჯითი.

იქ მამაკაცები კი არა, წყლის ურჩხულები არიან, ქალები კი არა — ვერაგი მოლიბულები შლანძიანი ალაგნი არიან. აღამიანი ეფლობა ამ შლანძში, იძირება, მაგრამ გადის დრო, და ეს შლანძი ისევ იტყუებს კაცს, ისევ გლუვია, ჭავერდოვანი, საამო... თუმცა, ახლად გაღვიბულმა აღამიანმა, — შეჰყვირა უცებ ბერიკაცმა, — როდი იცის რა ქნას, მან არაფერი არ იცის!

და ვიშვავითი განშორდა მათ.

ვენი და ვილიბპითური აუზთან მივიდნენ და ერთ-ერთ საფეხურზე ჩამოსხდნენ.

— რა საშინლად ლაპარაკობს მოხუცი! — თქვა ვენიმ. — ნეტავ რაზეა გაბრაზებული?

— ნულარ იფიქრებ მასზე! ის ხომ ჰკუთხება შუქცდარი. აღბათ ყველაფერი წააგო ცხოვრებაში და ახლა სურს, რომ აღამიანებმა ეს დამარცხება გამარჯვებად ჩაუთვალონ. ამითლა იმშენილებს თავს!

ვილიბპითურმა აღერსიანად გაუსწორა თმა თავის მეგობარს. ვენი შეეკითხა:

— ვიმღეროთ?

მწუხარე მელოდია დაირხა მობანავეთა ჟრიაჟულში და ერთბაშად დაიმორჩილა ყველა. მსმენელნი მკვიდროდ შემოერტყნენ მომღერლებს და აღტაცებული ისმენდნენ მიზიდველ ჰანგებს, წყლის აქორჩილ ხედპირზე ჩრდილთა თრთოლვას რომ მოჰგაგდა. ამენ-რას თვალეში ავხორცული სურვილი დამცხრალიყო. მანიბანდპი ფართოდ გახელილი თვალეებით შესტყეროდა ახალგაზრდა მოცეკვავე ქალს, — მათი მზერა წამდაუწუმ ხვდებოდა ერთმანეთს. ვილიბპითურს თვალეები მიელულა და ერთთავად მისცემოდა მუსიკას...

როცა მომღერლის ხმა მიწყდა, მანიბანდპმა საზეიმო კილოთი წარმოთქვა:

— პატივცემულო მოქალაქენო! ჩვენ გულითადად უნდა მივესალმით მოჰენჯო-დაროს სტუმარებს! დაე, მათი წმინდა სიმღერა ჟღერდეს ჩვენს დიდ ქალაქში! ვისმენდი ამ სიმღერას, და თვალწინ მედგა მრავალხმიანი გუნდი, რომელიც ჩვენს სულიერ ტაძარს აღამენებს. ასეთია ძალა მათი ხელოვნებისა! კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, ჩვენო სტუმარნო!

მომღერალმა თვალი გაახილა.

— კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, ძვირფასო სტუმარო! გთხოვთ აუზში ჩახვიდეთ და განიბანოთ! — მიმართა მანიბანდპმა პოეტს, ისე რომ მისი მეგობარი ქალისათვის თვალი არ მოუშორებია.

ვილიბპითურმა გაიღიმა და მიუგო:

— განა ღირს ვართ პატრეცემულ სტუმრებს გაუტოლდეთ, დიდებულო ვაჰარო?

— დიდ ქალაქში ყველანი ერთმანეთის სწორნი არიან! — შეესიტყვა მანიბანდპი და შეგროვილ ხალხზე მიუთითა. — ყველანი, გარდა მონებისა, თანაბარი უფლებით სარგებლობენ.

ამენ-რას პირისახე დაემანჯა. არ ექაშნიკა ეს სიტყვები. იგი ბევრად უფრო კარგად გრძობდა თავს ისეთ მკაცრ მმართველთანაც კი, როგორც ფარაონი იყო. ეგვიპტელი ვაჰარი ადამიანთა თანასწორობაში ხედავდა წმიდათა წმიდას შეურაცხყოფას — სიძლიდრის, გვარიშვილობის, კანონისა და რელიგიის შეურაცხყოფას. განა შეიძლება რომელიმე ლატაკს მისი თანასწორი უფლებები ჰქონდეს?!

— ახლა კი, მშვენიერო ასულო, წყალში გმართებს ცეკვა. — გაეხუმრა მანიბანდპი ვენის. — ქალაქის მკვიდრთ სურთ მოქნჯო-დაროს ლამაზ ქალთა შორის გიხილონ. შეხე, როგორ ანთებიათ თვალები!

ვენიმ მალულად შეავლო თვალი მანიბანდპის ჯან-ლონით აღსაესე ტანს და უპასუხა:

— კი მაგრამ, დიდებულმა მოხუცმა რომ გვითხრა, თქვენ, უცხო ქვეყნის მკვიდრთ, აუზში ბანაობა გეკრძალებათო?..

— ვისზედ ამბობ, მშვენიერო? — ჰკითხა განცვიფრებულმა მანიბანდპმა.

— დიდებულ ვიშეაჯითზე!

ატყდა უჩვეულო ხარხარი. ვილაც ჰაბუკმა, რომელიც სიცილით იგუდებოდა, ჩაილაპარაკა:

— ერთი ამ დიდებულს დამიხედეთ! იგი ეგვიპტის ფარაონსაც თავის მონად მიიჩნევს!

ბრბო კვლავ ახარხარდა. ვილიბპითურმა მიმოიხედა და თქვა:

— მე აჰ, აუზის ნაპირას ვიმღერებ, თქვენ კი ბანაობით იჯერეთ. გული. ისე დავიღალე, რომ გართობის თავი აღარა მაქვს...

— შეიძლება თუ არა, რითიმე გავუწიოთ საძსახური ჩვენს სტუმარს? — თავაზიანად იკითხა მანიბანდპმა.

— მადლობას გწირავთ, დიდებულო! მე არაფერი არ მინდა.

მაგრამ მანიბანდპმა უკვე გასძახა:

— ეჰეი, აპაპ! ღვინო მოართვი დიდებულ პოეტს!

აპაპი ბრძანების აღსასრულებლად გაეშურა.

— დეი! — მიმართა მანიბანდპმა მოცეკვავე ქალს. — შენ ლოტოსი

ხარ. ეუტყართა მიმზიდველი! შენ სიმღერით დაიპყარ ჩვენი გულები. მიიპატრუეთ თქვენთან! — გასძახა ქალებს.

— ჩამოდი ჩვენთან, მშვენიერო, — გაისმა ხმები.

მოცეკვავე ქალი აუზში გადაეშვა, და წყალმა შესაქნით ჩაიხუტა გულში.

— ეჰეი, მოჰენჯო-დაროს მკვიდრო! — გაიძახოდა წყალში მდგარი მანიბანდძი. — ესაა ასული ღრავიდთა ქვეყნისა — ჩვენი გულების ყველაზე სანუკვარი სიმღერა! იგი გვირგვინია ჩვენი დიდებისა!

ვენი მისალმების ნიშნად იქნევდა ხელს და ამბობდა:

— თაყვანს გცემთ ყველას!

— დიდება ჩვენს მანიბანდძს! — შესძახა ერთმა ჰაბუკმა. — მან მხიარულება შემოიტანა მოჰენჯო-დაროში!

ვილიბპითური თვალს ადევნებდა, როგორ გასცურეს ვენიმ და მანიბანდძმა აუზის საპირისპირო მხარეს. მოცეკვავე ქალი დაიღალა და ზურგზე გადაწვა, მანიბანდძი კი ნელ-ნელა დაცურავდა მის გარშემო. ნაპირზე ამოვიდა ამენ-რა. ცოტაოდენი შეისვენა და ტანისამოსის გამოსაცვლელი ოთახისაკენ გაემართა. მანიბანდძს სულ მთლად გადავიწყებოდა იგი.

უცებ პოეტს ვილაცა შეეხო მხარზე და შეეკითხა:

— ჰაბუკო! აქ ხომ არ არის დიდებული მანიბანდძი?

ვილიბპითური მიბრუნდა. მის წინ იდგა მშვენიერი ეგვიპტელი ქალიშვილი.

— ჰეკა! — ვილაცამ გამოსძახა ქალიშვილს.

— ახლავე გავიგებ ყველაფერს, ქალბატონო! — მიუგო მან. — აბა, რას მეტყვი, ჰაბუკო?

ვილიბპითურს არ უპასუხია მონაქალისათვის, იგი მის ქალბატონს უცქეროდა. მშვენიერ ქალბატონს გაუკვირდა და გრძელი წარბები მოემშვილდა.

— ვინა ხარ, ჰაბუკო? — ჰკითხა ნილუფარმა და წარბები შეუთრთოლდა.

— მე პოეტი ვარ... — დაბნეულად მიუგო ვილიბპითურმა.

ქალმა გაუღიმა.

— შენ იცი, რომ მე დიდებული მანიბანდძის მეუღლე ვარ?

— კურთხეულ იყავ, დევი! — კვლავ დაბნეულად ჩაილაპარაკა პოეტმა. — დიდებული ვაჭარი აუზში ჩავიდა განსაზანად!

ჰეკამ ჰკითხა:

— ის ქალი ვინლაა?



— ჩემი მეგობარია, მოცეკვავე. ეგაა ყველაფერი, რაც მებაღია...

— ბერედა, ასე მშვიდად ზიხარ აქ? — გაუკვირდა ნილუფარს.

— ქალბატონო! წავიდეთ აქედან! — უბოდიშოდ უთხრა ჰეკამ.

— რომელი ქვეყნიდანა ხარ, პოეტი? — კვლავ შეეკითხა ნილუფარი. — ნუთუ თქვენში ქალები იმას სჩადიან, რაც სურთ?

— ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს, — ღიმილით მიუგო ვილიბჰითური-მა. — თუ ოდესმე მისი გული მოისურვებს, რომ ჩემს გულს მოსწყდეს, ქვეყნად ვერავითარი ძალა ვერ შეძლებს ჩვენს კვლავ შეერთებას. მე პოეტი ვარ. სიყვარულს ვეძებ, ბორკილებს კი არა!

— კი მაგრამ, სიყვარული ხომ ცვალებადია?

ნილუფარს ხმა უთრთოდა.

— რას გააწყობს საწყალი პოეტი? ყველაფერი იცვლება ქვეყნად... აღრე თუ გვიან ჭაბუკი ბერიკაცად იქცევა. განა ამით ქვეყანა კარგავს სიყმაწვილის მომხიბლაობას?!

ნილუფარს აღარაფერი უპასუხია, ჰეკასთან ერთად განშორდა მას. მალე პოეტთან მანიბანდჰი და ვენი მოვიდნენ.

— ვის ელაპარაკებოდი, ვილიბჰითური? — ჰკითხა ვენიმ.

— დიდებული ვაჭრის მეუღლეს, — გულგრილად მიუგო პოეტმა. მამაკაცებმა თვალი გაუსწორეს ერთმანეთს. პოეტის თვალები ნათელი იყო და უშფოთველი, როგორც ამომავალი მზის მოციმციმე სხივები, მთვლემარე ლოტოსს რომ აღვიძებენ. ვაჭარს პირქუშმა ჩრდილმა გაურბინა თვალებში. მან დაკვირვებით შეათვალიერა პოეტი. სულ მთლად ახალგაზრდაა, გუშინდელი ბლარტი... თვითონ კი... თვითონ რა ხანია განვლო სიყმაწვილე.

— ვილიბჰითური! — დაუძახა ვენიმ.

— რა... რა იყო? — თითქოს გამოფხიზლდაო, ისე მიუგო მან. — შეხედე, ვენი, რა მშვენიერი ოქროსფერი ღრუბელი მიცურავს ცაზე!

მანიბანდჰმა და მოცეკვავე ქალმა მალა აიხედეს, მაგრამ ცა მოწყმენდილი იყო. ისინი გაკვირვებით შეაცქერდნენ ერთმანეთს. ვაჭარმა მხრები აიჩეჩა და გაემართა ოთახისაკენ, სადაც მისთვის უკვე გაემზადებინათ ტანისამოსი.

აპაპმა დაიყვირა:

— ეჰეი, დიდებული მანიბანდჰის მსახურნო! მოამზადეთ ეტლები! ვაჭარმა ტანისამოსი გამოიცვალა და დაბრუნდა.

— მშვენიერო, რატომ არ ატარებ სამკაულებს? — ჰკითხა მან ვენის. ქალი მოიღუშა და არაფერი უპასუხა.

— შეიბი ყელსაბამი, და შენ დაემსგავსები მშვენიერ მთას შიამა-

ლას, თოვლის გვირგვინით მოსილს! გახსოვდეს, მშვენიერო, რომ ჩვენ დიდი ქალაქის ღირსება დღეიდან შენი ღირსებაც არის. მთელი ქალაქი მზადაა გემსახუროს!

— პოეტო! — მიმართა შემდეგ ვილიბჰითურს. — რა უნდოდათ იმ ქალებს?

— თქვენ გიკითხეს, ღრმად პატივცემულო ვაჟარო!

— მერედა, არ დამელოდნენ? — უკმაყოფილოდ თქვა მანიბანდჰმა და მაშინვე ტუჩზე იკბინა: არ შეიძლება გამომამკლავნოს თავისი გრძნობები, მეტადრე უცხოელთა წინაშე!

როცა მანიბანდჰი და მისი თანამგზავრნი წავიდნენ, მოცეკვავე ქალმა დიდხანს ვერ მოსწყვიტა თვალი ეტლებს, რომლებიც თანდათან შორდებოდნენ მათ.

პოეტი შეშფოთებული უცქეროდა თავისი მეგობრის ახალ მარგალიტის ყელსაბამს.

— ვინ მოგცა ეგ?

— ჩემმა ხელოვნებამ, — თვალი არ მოუარიდებია, ისე უპასუხა ვენიმ.

პოეტი გაჩუმდა. მერე ოდნავ შეახო თითები ქალიშვილის თმას და თქვა:

— მოცეკვავე ქალო!

— პოეტო! — მიუგო ვენიმ, ეტყობა, მიუხვდა გადაკრულ სიტყვას. ორივემ თვალი მოარიდეს ერთმანეთს, სიტყვა აღარ დაუძრავთ, ისე გასწიეს ერთმანეთის მხარდამხარ. სწორედ ამ წუთს დიდი ქალაქი შეზანზარდა. გაისმა საშინელი გრუხუნნი. თითქოს ვიღაც უზარმაზარმა კაცმა ავბედითად გადაიხარხარა და მძიმედ ამოიოხრა. და კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. ეს იყო ავისმომასწავებელი სიჩუმე...

— ვილიბჰითურ! — ვენი შეძრწუნებული მიეკრა პოეტს. ჭაბუკმა მაგრად მიიხუტა ქალი. ვენიმ წაიდუღუნა: — ვილიბჰითურ...

— ვენი...

მან თავზე ხელი გადაუსვა მეგობარს.

— რა გულადნი ხართ მამაკაცები! — ოხვრით უთხრა ვენიმ. — აზნაც კი ვერ შეგაშინა!

უცებ, თითქოს მიწიდან ამოძვარაო, სალოსმა ჩაურბინათ. ის ბუტბუტებდა და თან გულშემზარავად ხითხითებდა:

— საბრალო ცოდვილნო! აი, ყველაზე დიდი სიმდიდრე! გესმით, როგორ სცემს მიწის გული? ღმერთები განგირისხდნინ თქვენ, ბოროტ-

მოქმედო სულნო!.. მცირედი ხანი დაგრჩათ შეცოდებისათვის... ქალ-  
ღმერთი მაჰამაი ბრაზით კმუნის წარბებს...

მოხუცი ბოროტად ახარხარდა. შეშინებულმა ვენიმ შეპკივლა.  
პოეტმა კიდევ უფრო მაგრად მიიხუტა.

— ვენი...

ქალიშვილმა მის მკერდში ჩარგო თავი. შორიდან ისმოდა მათხოვ-  
რის წამოძახილები:

— ქალღმერთმა მაჰამაიმ კი არა, იგი მშობელმა დედამაც მიატოვა...  
შენ კი შეიფარე...

ვილიბპითური და ვენი დაბნეული უცქეროდნენ ერთმანეთს—ისი-  
ნი ვერ მიმხვდარიყვნენ სალოსის სიტყვებს.

აუზში მოუსვენრად შხაპუნობდა წყალი.

ფისის ლამპართა ალის მკრთალი ათინათები თრთოდნენ კედლებზე. ისინი წამლაუწუმ ენაცვლებოდნენ ჩრდილებს, რომლებიც ისე იკლაკნებოდნენ, როგორც გაავებული კობრები. სევდისმომგვრელ სანახაობას წარმოადგენდა უკაცური პალატი. თითქოს ჰაერიც გარინდულიყო, მსგავსად შეგუბებული სულისა. ღია კარიდან მოჩანდა აივანი, აივნის იქით — ვრცელი ეზო. აქ თავისი ჩამოსვლის პირველ დღეს დიდებულმა მანიბანდჰმა მოჰქენჯო-დაროს მკვიდრთ წარუდგინა ნილუფარი...

მზის სხივები ვიწრო სარკმელში იჭრებოდნენ და თითქოს წკრიალი გაჰქონდათ; ისინი ახსენებდნენ იქ მყოფ ადამიანს, რომ სასახლის სქელ კედლებს მიღმა იყო სიცოცხლე, იყო სიხარული, — სწორედ ასე ოკეანის თვალუწვდენელ ზედაპირზე აქა-იქ მოჩანან ამოწვერილი მარჯნის რიფები, გეგონება სიღრმეთა ბნელეთიდან სინათლისაკენ მიილტვიანო. სხივებმა გაჰკვეთეს სურნელოვანი საკმევლის რუხი ნაკადი; ნილუფარს მოუნდა უღმობლად გაეთელა ეს კვამლი, თითქოსდა ის იყო სახლში დაბუდებული სევდის მიზეზი.

ეგვიპტელი ქალი ტახტზე მიწოლილიყო და ნადვლიანად ფიქრობდა თავის ბედზე. იგი თავს გრძნობდა ლოტოსად, რომელსაც ღამის სიცივე დაუვლის ხოლმე, — მის წვნიან ფურცლებს სჭირდებოდა მცხუნვარე მზე, რათა კვლავ ჩაუდგეს წვენი, რათა ყვავილი ამაყად გაიმართოს წელში.

ნილუფარმა თვალი მოავლო პალატს, გველივით მოქნილი ტანით გაიზმორა — მას ჯერ კიდევ შემორჩენოდა ტრფიალში გატარებული ღამის სურნელი, — და კვლავ ფიქრს მიეცა. ნუთუ ყველაფერი სიცრუე იყო? საამური ტკივილი, ტრფობის მახვილისაგან დატოვებული, მთელ ტანში უვლიდა და მასში ბადებდა მხურვალე სურვილს, რომლის წინაშე ყოველგვარი ძალა, ყოველგვარი სიმდიდრე ამა ქვეყნისა არარაობაა. ასე უზარმაზარი სასახლეები, ჰა-ჰის ყალყზე შემდგარი ტალღების მსგავსი, მხოლოდ უბადრუკი მტვერია წმიდა ასკეტის ჭეშმარიტი სიდიადის წინაშე...

ნილუფარმა სასოწარკვეთით ამოიკვნესა. სად შეუძლია გაფრინდეს ახლა მის გულს, ამ დამფრთხალ ჩიტს? ის სანუკვარი, ერთადერთი

ტოტი, რომელიც ოდესღაც საიმედო თავშესაფრად ეჩვენა, უკვე მოტეხილია...

ეგვიპტელმა თვალი აახილა. ირგვლივ კვლავ სიცარიელე, მღუმარება და ნალველია... რა მოხდა? გვერდით არავინ ჰყავს! ნუთუ ასე უსახელოდ სიკვდილი უწერია და ამ უზარმაზარ უკაცურ სასახლეში?

რა ფაფუკია მისი ლოგინი... რა საუცხოოა ოქრომკედით მოქარგული გადასაფარებელი... მაგრამ დღეს, თითქოს მახვილი დაჰკრესო, ისე განირღვა მისი ბედნიერების მოჩვენებითი მარმაში...

ხმადაბლა გასძახა:

— არის მანდ ვინმე? ეჰეი, მონაქალო!

მისი ხმის მორთოლვარე გამოძახილი ოთახს გასცდა და ერთგული შიკრიკივით გაიჰრა შორეთში.

მოისმა ბებრული ფრატუნნი.

— მონაქალო!

— გახლავარ, ქალბატონო! — მიუგო წრიპინა ხმამ.

— შენ რად მოხვედი? ჰეკას დაუძახე! — დედაბრისთვის არც კი შეუხედავს, ისე უბრძანა გაბრაზებულმა ნილუფარმა. მაგრამ მაშინვე შერცხვა თავისი წამიერი გაცხარებისა. განა შეეძლო დაევიწყებინა, რომ ცოტა ხნის წინათ თვითონ იყო მონა?

შემოვიდა ჰეკა და თაყვანი სცა. სახე ანთებოდა, რალაციით იყო აღგზნებული. ალბათ შავ ფოლიათს გამოსტაცეს მკლავებიდან... უცებ ნილუფარს შეშურდა ჰეკასი. მან სცადა დაემშვიდებინა თავი — ქალს ხომ დაბადებიდანვე უწერია, რომ სიყვარულში მოტყუებული დარჩება; სიყვარულის წილ სიძულვილი უნდა მიაგონ; იგი ტრფიალის მსხვერპლი უნდა შეიქნეს... ბედნიერებით გასხივოსნებულ ჰეკას სახე სიამეს არ ჰგვრიდა ნილუფარს. ნუთუ ეს არის სიყვარული — სულის დაუმცხრალი ვნება, საშინელი ალი, რომლის შემდეგ მხოლოდ მწველი კვამლია რჩება? დამწუხრებულმა ნილუფარმა მონაქალს თვალი მოარიდა. ჰეკა გაოგნებული შეჰყურებდა ნილუფარს. რატომ არ ახარებს ამ ქალს ცხოვრება? ხომ ეწია მიზანს — ქალბატონი გახდა. სხვა რაღა უნდა?

ჰეკამ ალერსიანად უთხრა:

— გახლავართ, ქალბატონო!

— აგრე ნუ მეძახი, ჰეკა. მე აღარ ძალმიძს მხრებით ვატარო ეს გვამივით საშინელი ტვირთი, — მე ხომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ლამაზი ვარ!

ჰეკა გაოგნებული შეაჯერდა, მერე მიუახლოვდა და ალერსიანად მოჰკიდა ხელზე ხელი:

— ნილუფარ!

ნილუფარი აეანკალდა. მეგობრის თანამგრძობი კილო ცუდად ენიშნა. ჰეკასათვის არაფერი უპასუხია, შიშნაკრავი თვალები მიაპყრო მხოლოდ.

— ქალბატონი რაღაცამ ააღელვა? — წყნარად ჰკითხა ჰეკამ.

ნილუფარმა ოდნავ გაიღიმა.

— რატომ დუმხარ, ნილუფარ? რა დაგემართა? შენ ხომ ბედნიერება მომანიჭე, ნუთუ ახლა არ შემიძლია რამე გავაკეთო შენთვის?

— ჰეკა! სად არის მანიბანდჰი?

— არ ვიცი, ქალბატონო! თუ გნებავთ, აპაპს დავუძახებ და ვკითხავ.

ნილუფარმა მძიმედ ამოიოხრა. ჰეკა გავიდა და იმავე წუთს დაბრუნდა აპაპის თანხლებით.

— ყური მიგდე, მონავ!

— გისმენ, ქალბატონო! — მიუგო ზანგმა და თავი დახარა.

— სად წავიდა ბატონი? — მკაცრად ჰკითხა ნილუფარმა და გამომცდელად შეათვალიერა ზანგი.

აპაპმა არ იცოდა, რა ეპასუხა.

— რატომ დუმხარ? ხომ არ დაგავიწყდა, ვინა ვარ?

ზანგმა ჰეკას გადახედა, მაგრამ მის თვალებში თანაგრძობა ვერ ამოიკითხა.

— ქალბატონო! — მიუგო ბოლოს ზანგმა. — მე ვიცი, რომ ბატონი იმ მოცეკვავე ქალთან წაბრძანდა...

ნილუფარს ელდა ეცა.

— შეგიძლია წახვიდე, — უთხრა მან.

აპაპმა თაყვანი სცა და გავიდა.

— ჰეკა!

— გისმენ, ქალბატონო.

— უბრძანე ეტლი მომართვანი!

ჰეკა არ განძრეულა.

— შენ გინდა იცოდე, სად მივდივარ?

ჰეკა დუმდა.

— მაშ იცოდე: იმ ღრავიდ მათხოვარასთან მივდივარ!

— ქალბატონო! — უნებურად შეჰყვირა ჰეკამ.

— სამკაულები მომიტანი! — უბრძანა ნილუფარმა.

ჰეკა ბრძანების აღსასრულებლად გავიდა.

ნილუფარმა ძვირფასი ყელსაბამებით დაიფარა მკერდი. მერე ყველაზე მსხვილმძივებიანი ყელსაბამი აირჩია და მონაქალს აჩვენა.

— ჰეკა!

— გისმენ, ქალბატონო!

— მამაკაცებს კიდევ უფრო უყვართ ქალები, როცა ისინი ოქროთი არიან შემკულნი. მაგრამ ზოგჯერ ისინი ყიდულობენ მონას, საუცხოო ტანისამოსში გამოაწყობენ და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევიან მასთან სიამეს.

ნილუფარს გაეცინა.

ჰეკა შემკრთალი თვალებით შესცქეროდა ეგვიპტელს. ეს რა გრძნობები დაუფლებია მის ქალბატონს? დაუმცხრალი ვნება? შურისძიების წყურვილი? თუ იღუმალი ტანჯვა?

ეტლზე ასვლისას ნილუფარი შეეკითხა:

— გითხრა აპაპმა, სად ცხოვრობს პოეტი?

— დიახ, ქალბატონო!

— ქალბატონი კი არა — მათხოვარი ვარ! — გაბრაზდა ნილუფარი.

ეტლი დაიძრა. ჰეკა ქალბატონის უკან იდგა. ჰაბუკები ჩერდებოდნენ, უცხოელი მშვენიერი ასულის ნახვით განცვიფრებულნი, მაგრამ ნილუფარი ვერაფერს ამჩნევდა, — ფიქრებს გაეტაცა. მან არ იცოდა, რას ეტყოდა პოეტს, თუმცა გადაულახავი ძალა კი იზიდავდა მისკენ.

ეგვიპტელს მოეჩვენა, რომ ეტლი ძალიან ნელა მიდიოდა.

— ეჰეი, მეეტლევ! ხომ არ დაგეძინა?

— არა, ქალბატონო!

კამეჩებმა კიდევ უფრო უმატეს სირბილს, მიწას ტორავდნენ და ბღღვირს აყენებდნენ. მაგრამ ვერც ამ თავაწყვეტილმა სვლამ დააშოშმინა ნილუფარი.

— მეეტლევ! იცი, სად უნდა მიგვიყვანო?

— ვიცი, ქალბატონო, — მიუგო მეეტლემ, რომელიც ძლივძლივობით აკავებდა გაქანებულ კამეჩებს.

ეტლი ერთ პატარა სახლთან გაჩერდა. ნილუფარი ეტლიდან ჩამოხდა, მცირე ხანს შეიცადა და კარზე დააკაკუნა.

— პოეტო!

შიგნიდან მოისმა მშვიდი ხმა:

— ვინა ხარ?

— შეიძლება შემოვიდე?

— მობრძანდი, სტუმარო! ვილიბჰითურის სახლის კარი ყველასა-

თვის ღიაა. სხვისი სიმდიდრე მას არ უნდა, მას აქვს სიყვარული და ამ განძს ვერავინ წაართმევს — ვერც მოჭენჯო-დაროს ყველაზე მდიდარი ვაჰარი და ვერც თვით უზენაესი ღმერთი...

ნილუფარი შევიდა. პოეტი იწვა.

— თქვენა ხართ? — გაიკვირვა ვილიბჰითურმა. — მშვიდობა შენდა, მშვენიერო!

მან მშვიდად გაიღიმა, ეტყობა, წამოდგომას არ აპირებდა. ნილუფარმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი.

— დევი! რაოდენი ზიზღია თქვენს თვალებში, რაოდენი უნდობლობა! რა დაგემართათ?

ვილიბჰითურმა წამოიწია და საწოლზე წამოჯდა.

— რომელი ქვეყნიდანა ხარ, პოეტო? — აღეღვებით ჰკითხა ნილუფარმა. — გეტყობა, სტუმარმასპინძლობის წესებიც არ იცი!

— ნუ განრისხდებით, დევი! — გაიღიმა ვილიბჰითურმა. — დაე, მოჭენჯო-დაროს მდიდრებმაც ისწავლონ, როგორ მიუხალმონ მონებს, და მაშინ ვილიბჰითურიც თავაზიანად მოეპყრობა მდიდრებს...

ნილუფარის რისხვა გაკვირვებამ შეცვალა.

— რისთვის შეუწუხებია ქალბატონს თავი? რა ნებავს?

— შენი ცოლი აქ არ არის? — ჰკითხა ნილუფარმა და თან ოთახს სწრაფად მოავლო თვალი.

— არა. მე ავადა ვარ. დღეს იგი მარტო წავიდა.

— მერე იცი, ვისთან არის ახლა?

— თუ ვენის საქმე აქვს ადამიანისსახოვან არსებასთან, მაშინ არაფრისა არ უნდა მეშინოდეს. ხოლო როცა მხეცს შეხვდება...

— განა არ იცი, — სიტყვა გააწყვეტინა ნილუფარმა, — რომ ადამიანთა შორისაც არიან მგლები?

პოეტს გაეცინა.

— ქალბატონო! თქვენ ქალი ხართ, და ახლა თქვენში ქალის სისხლი მეტყველებს...

შემოვიდა ჰეკა და შეშფოთებით შეავლო თვალი ნილუფარს.

— ქალბატონო, უკვე ღროა...

— დამტოვე, მონაქალო!

— როგორც გენებოთ! — თაყვანისცემით მიუგო ჰეკამ და განშორდა.

ერთხანს ნილუფარი თვალებში უცქეროდა ვილიბჰითურს. მერე გაიღიმა და ჰკითხა:

— შენზე ამბობენ, დიდი პოეტიაო?



— არა, დევი. — მან დარცხვენით დახარა თავი. — მე მხოლოდ სილამაზის მონა ვარ, მე მათხოვარი ვარ, მორჩილად რომ ითხოვს სიყვარულს...

— მზადა ხარ შეასრულო ჩემი სურვილი?

— მიბრძანეთ, ქალბატონო. ჩემთვის არ არსებობს უფრო დიდი პატივი, ვინემ ის, რომ თქვენ გემსახუროთ...

— შეგიძლია თუ არა შეთხზა სიმღერა იმ ტანჯვაზე, რომელიც გულს მიკოდავს?

პოეტს გაეღიმა.

— სიმღერა შევთხზა? მომიახლოვდი, მშვენიერო!

ნილუფარი თამამად მიუახლოვდა ქაბუქს და გვერდით მოუჭდა. იგი უნდობლად უყურებდა მას, მსგავსად ჭიუტი ბავშვისა, რომელსაც უფროსი და მოუხმობს.

— განა ეგზომ დიდია შენი ტანჯვა? — ჰკითხა პოეტმა, თან დაეინებით ჩასცქეროდა თვალებში ეგვიპტელს.

ნილუფარს შერცხვა.

— მიმოიხედე გარშემო, დევი! უღმობელი შოლტი ტყლაშუნობს ადამიანთა ზურგებზე — ეს უფრო მიკოდავს გულს, ვიდრე ქალის თვალთა მზაკვრული ისრები. რა საოცარია თქვენი ქვეყანა, — აქ პოეტს ევალება სხვისი განკარგულებით შეთხზას სიმღერები! ირგვლივ ადამიანები ლუკმა პურს ითხოვენ, შენ კი სიყვარულს დაეძებ — განა ეს საოცარი არაა? არ ვიცი, ქალბატონო, ნუთუ ისე დიდია შენი ტანჯვა, რომ მასზე სიმღერები შეითხზას?

— შენ უხეში და გაუთლელი ხარ, უგუნურო მეოცნებე! — გაბრაზდა ეგვიპტელი. — შენ გაბედე კოცონი გაგეჩაღებინა ჩემი სულის ტევრში! გინდა დამღუპო? გინდა ნაცარტუტად აქციო მთელი ჩემი ავლადიდება — ყველაფერი, რაც მე მოვიპოვე ურცხვ თამაშში, როცა ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა?

ნილუფარი აქვითინდა და ქუჩაში გავარდა. აღშფოთებისაგან სული ეხუთებოდა. კარებში გამოჩნდა ვილიბჰითური.

— მშვენიერო!

მაგრამ ეგვიპტელს არც კი მოუხედავს მისკენ. ჰეკამ დიდი მწუხარება შენიშნა თვალებში ქაბუქს. ეტყობოდა, ძლივს იკავებდა თავს, რომ არ აქვითინებულიყო.

— წავიდეთ, ჰეკა.

ნილუფარის ხმამ შეაშინა ჰეკა. ჩუმზე ჩუმი იყო ეს ხმა. ასეთი სიჩუმე იცის ხოლმე მეხის ჩამოვარდნის წინ.

ეტლი დაიძრა. ნილუფარი დოლბანდის ყურით იწმენდდა ლაწვებზე ჩამოდენილ ცრემლს.

ქუჩის ხმაურმა დაამშვიდა ეგვიპტელი ლამაზმანი. მის სახეს კვლავ ჩვეული ქედმაღლური გამომეტყველება დაუბრუნდა. ის ვერ ამჩნევდა გრძელ სავაჭრო რიგს, რომელსაც ეტლმა ჩაუარა, ვერ ამჩნევდა მამაკაცთა აღტაცებულ მზერას, არ ესმოდა შექაზილები მეეტლისა, რომელიც ძლივძლივობით მიიკვლევდა გზას ბრბოში, — იგი მწარე ფიქრს მისცემოდა.

ჰეკა გააკვირვა ქალბატონის ქცევამ პოეტის სახლში. როგორ გაბედა ვილაც ლატაკმა, მდაბიო ადამიანმა ასე ეტყინა გული მისთვის! და უცებ ჰეკას გაუელვა აზრმა: მონა მაინც მონაა! ნილუფარს არ შესწევს იმის უნარი, რომ ქალბატონი იყოს! მაგრამ ჰეკამ იმწამსვე ჩაიკლა გულში ნიშნის მოგების გრძობა. განა უფლება აქვს გაკიცხოს ქალბატონი, რომელიც ასეთი სიყვარულით ეპყრობა?

— ქალბატონო! — შესძახა ჰეკამ.

გაკვირვება და შიში გამოსჰვიოდა მის ხმაში. მაგრამ ნილუფარს არც კი მიუხედავს მისკენ.

— რაო, მონაქალო? — ჰკითხა მცირე ხნის შემდეგ.

ჰეკა დაიბნა.

— მომიტევეთ, დევი!

— რა მოხდა?

— ხომ არ ინებებს ქალბატონი მარჯვნივ გახედვას? — კრძალვით უთხრა ჰეკამ.

ნილუფარმა თავი მიაბრუნა.

— მეეტლევ!

— გისმენ, ქალბატონო!

— შესდექ!

მეეტლემ მყისვე შეაჩეხა კამეჩები. ეტლიდან კარგად მოჩანდნენ მანიბანდჭი და მოცეკვავე ქალი, რომლებიც ხის ქვეშ ისხდნენ. ვაჭარი საფირონის თვლებით მოოჰვილ ოქროს ყელსაბამს ჰკიდებდა ვენის. ოქრო ბრწყინავდა მოცეკვავეის შავგვრემან ტანზე, როგორც ელვა მოქუფრულ ცაზე. მანიბანდჭი თვალს არ აშორებდა მშვენიერ ყმაწვილ ქალს.

ნილუფარმა ზურგი აქცია.

— ჰეკა, მეეტლეს უთხარ, უკან დაგვაბრუნოს.

ეტლი შემოტრიალდა. მეეტლემ მოიხედა და დააპირა ეკითხა, საით წასულიყო ამჯერად, მაგრამ ქალბატონის მრისხანე სახეს რომ

მოჰკრა თვალი, ველარ გაბედა შეეწუხებინა. ნილუფარმა მოულოდნელად გაიღიმა.

— მეეტლევ! სად მიდიხარ?

— არ ვიცი, დევი! მიბრძანეთ!

ნილუფარს გაეცინა.

— სულელო! ცხადია, შინისაკენი სხვაგან სად შეიძლება წასვლა?! კამეჩებმა მკვირცხლად გასწიეს ნაცნობი გზით. ხმატკბილად წკარუნებდნენ ზანზალაკები. ძლიერ მოსახვევში მელოდისურმა წკარუნმა იმძლავრა, და ამან განაცვიფრა ნილუფარი.

— ეჰეი, მეეტლევ! დაე, ყველა ზანზალაკმა იწკარუნოს.

მეეტლე გაუჩავრდა კამეჩებს. მათ ადგილიდან მოსწყვიტეს ეტლი, და ზანზალაკები მხიარულად ახმიანდნენ. გახალისებულმა ნილუფარმა გადაიკისკისა.

— მეეტლევ! უთხარი ჰეკას, რა გქვია. შენ ჯილდოს მიიღებ!

— თუ ქალბატონს მოსწონს ამგვარი მგზავრობა, ეს ყოველთვის მოხერხდება! — მხიარულად შესძახა მან.

— სულელი ყოფილხარი! გამუდმებული წკარუნი გულს უწყალებს ადამიანს...

ქალბატონის გამხიარულებამ ჰეკაც გაახალისა; მისთვის კიდევ უფრო სასიამოვნო იყო იმაზე ფიქრი, რომ სასახლეში ბრუნდებოდა. მაგრამ უცებ ნილუფარი ხელში სწვდა:

— ჰეკა, მე არ მინდა მივბრუნდე იქ!

— რას ამბობთ, ქალბატონო?!

ნილუფარმა გადაიკისკისა.

— აბა რა უნდა გავაკეთოთ სასახლეში? მე არ მიყვარს, როცა უსიციოცხლო თვალებში ვუყურებ ქვებს. მე მსურს ბალახი, რომელიც თვინიერად განირთხება ჩემს ფერხთა ქვეშ. — ნილუფარს იღუმალი ღიმი აუთამაშდა სახეზე. — მე მსურს პოეტთან მივიდე! იგი სიმღერას შეთხზავს ჩემთვის! რა უჩვეულო ადამიანია, ჰეკა!

მონაქალი განცვიფრდა და ენა ვერ დაძრა.

ეტლმა კვლავ პოეტის სახლისაკენ აიღო გეზი. ნილუფარმა გულმოდგინედ შეათვალიერა თავისი თავი და კმაყოფილი დაჩჩა. ჰეკას განცვიფრებამ კიდევ უფრო გაამხიარულა იგი.

ნილუფარმა პოეტის სახლთან გააჩერებინა ეტლი, ჩამოხდა და ჰეკას უბრძანა:

— აქ დამელოდე!

მერე სწრაფად მივიდა კართან და დაიძახა:

— პოეტო!

არავინ გამოეპასუხა. კარს იქით დუღუნი ისმოდა. ნილუფარმა ფრთხილად შეაღო კარი. ვილიბპითური თვალდახუჭული იჯდა და ფიქრს მისცემოდა. ერთხანს ნილუფარი აღტაცებული ადევნებდა თვალს, მერე ძალიან ახლოს მივიდა და თქვა:

— მე ისევ მოვედი, პოეტო! ახლა შენ არ ძალგამს ჩემი დამცირება — უკვე დამცირებული გეახელ!

პოეტმა თვალი გაახილა.

— ნურაფერს იტყვი. ახლა მე სულ სხვა ვარ! მე მინდა, რომ შენ სიმღერა შეთხზა ჩემს სულში ჩამქრალ ცეცხლზე. ნუთუ ორიოდ წვეთი წყალიც არ მოგეძევება, რომ ჩემი გულის ხორმაყ უღაბნოს აპკურო?..

ნილუფარს ხმა ჩაუწყდა.

— დაბრუნდი, მშვენიერო?

— დიახ, პოეტო!

— აგრე რად ცხარობ, დევი? რა საჭიროა პირველსავე შემხვედრს გადაუშალო გული?

— კი მაგრამ, შენ ხომ პოეტი ხარ! ამბობენ, პოეტი არ არჩევს თავისას და სხვისას, თავის გულში მთელი ქვეყნის ტკივილს გრძნობსო...

ვილიბპითურს გაეცინა. ნილუფარი ხელში სწვდა მას.

— მე არ გთხოვ სიყვარულს, რომელიც ჩემს ტანს შენს მკლავებს მიანდობს, პოეტო... არ მსურს, რომ შენ ჩემს სიყმაწვილესა და სილამაზეს შეასხა ხობტა... არც იმას გთხოვ, რომ ნუგეში მცე... მაგრამ ნუთუ ჩემს გულისტკივილს ნებას დართავ სიძულვილად, შურად ან ექვად იქცეს? ნუთუ შენ ვერ დამარწმუნებ, რაოდენ უაზროა ქალბატონად გახდომის სურვილი?

ნილუფარს თვალთ ცრემლი მოადგა. ვილიბპითურმა თავისი სამოსის კალთით შეუშშრალა თვალები.

— შენ სტირი, მშვენიერო? მაშ არც ისე დიდი მწუხარება გქონია. განებივრებულ ბავშვს დიდხანს წუხილი არ შეუძლია. ქალბატონს სურს, რომ დარდი განუქარვო?

— მიმიხვდი, პოეტო! — აღტაცებით შესძახა ნილუფარმა. — შენ ნამდვილი ადამიანი ხარ. ამქვეყნად მხოლოდ შენგან გავიგონე ადამიანური სიტყვა... მე შენ...

— ქალბატონო! — შესძახა შეშინებულმა პეკამ, რომელიც ოთახში შემოვარდა. იგი ნილუფარის ყურთან დაიხარა და ჩასჩურჩულა: — უბედურება, ქალბატონო, უბედურება!

— უბედურება? — ანგარიშშიუცემლად გაიმეორა ნილუფარმა და ადგილიდან არ დაძრულა. — პოეტო, — განაგრძო მან, — შეთხზე სიმღერა იმაზე, რომ ნილუფარს არავინ უყვარს... რომ მან ისწავლა მოტყუება. მას სძულს, სძაგს ის თამაში, რომელსაც თქვენ, მამაკაცები, სიყვარულს უწოდებთ...

ჰეკა იდგა და ელოდა, მაგრამ ნილუფარი განაგრძობდა:

— თქვენ, მამაკაცები, კერძო საკუთრების მოყვარულნი ხართ, მგლებზე უფრო საშინელნი! თქვენ გსურთ ქალები ამაყობდნენ იმით, რომ ისინი თქვენი მსხვერპლნი არიან...

პოეტმა გაიღიმა.

— დევი! — შენიშნა წყნარად. — მონაქალს სურს რაღაცა გითხრათ.

— ნებადაურთველად რად შემოხველ, ჰეკა? — უკმაყოფილოდ ჰკითხა ეგვიპტელმა.

— მომიტევეთ, ქალბატონო, — მიუგო ჰეკამ და თავი ჩალუნა. — ყოვლად ღირსეული პოეტის მეუღლე...

— იმან გამოგზავნა? იმ მოცეკვავემ? — ნილუფარმა ჩაიციხა და სახე დაემანჭა.

— მას არ გამოუგზავნივარ, ქალბატონო... მან მხოლოდ ბრძანება გაიმეორა...

— ბრძანება? ვისი ბრძანება, სულელიო?

— დიდი ბატონის, დიდებული მანიბანდისა! — კანდიერად მიუგო ჰეკამ და გავიდა.

ნილუფარს თითქოს გველის ნესტარი ჩაესო გულში. მან თვალები დახარა. პოეტი ფიქრს მისცემოდა. ბოლოს თქვა:

— წადი, მშვენიერო! მეუღლე გელოდება! განა შენს გარდა ვინმეს შეპტერის მასთან შეხვედრა?

ნილუფარი აკანკალდა. ვილიბჰითური წამოდგა.

— გეშინია? მე გამოგყვები! აბა, წამოდექ!

ნილუფარი წამოდგა და ნელ-ნელა გაემართა კარისაკენ. ქუჩაში გასულს, პირველად მეეტლე მოხვდა თვალში; იგი მშვიდად თვლემდა. ეტლის ახლოს იდგა გაბრაზებული ჰეკა.

— ჰეკა, სად არის ის მოცეკვავე ქალი?

— ქალბატონო, — წყნარად შენიშნა ვილიბჰითურმა, — გიჯობთ თქვენი მეუღლის ამბავი გაიგოთ. მოცეკვავე ქალს მე თვითონ შევხვდები.

— ისინი წავიდნენ, — უთხრა ჰეკამ და მოწიწებით დაუკრა თავი.

ნილუფარმა რისხვა გულში ჩაიკლა და ხმა არ ამოუღია, ისე ავიდა ეტლზე. რა უნდა ეთქვა ამ ადამიანებისათვის? ის ხომ სხვისი ნების მონა-მორჩილი იყო, ის ხომ თავის თავს არ ეკუთვნოდა...

ეტლი დაიძრა. ვილიბპითური დიდხანს იდგა გაუნძრევლად და გას-  
ცქეროდა კამეჩებისაგან დაყენებულ ბღღვირს, რომელიც თანდათან იფანტებოდა. ნუთუ ვენი არ დაბრუნდება?

ჩაქუფრდა ღამე. ვენი არ მოსულა. პოეტმა ნაღვლიანად დახუჭა თვალი.

საამოდ ლივლივებდნენ ღრავიდი მოცეკვავის ოქროს ბეჭდები და სამაჯურები. ღიმილით უსმენდა იგი მანიბანდჰს.

— მაშ შენ სიყვარული ცოდვად მიგაჩნია, მშვენიერო? — ეუბნებოდა ვაჭარი. — ეგ ცდომილება მხოლოდ შენი ზვედრი როდია: ჩვენს ქვეყანაშიც და შორეულ ეგვიპტეშიც მაგ აზრს ადგანან. მაგრამ, ეგ რომ მართალი იყოს, განა ტრფობა ასეთ უსაზღვრო ნეტარებას მოგვანიჭებდა?! განა შეიძლება სიყვარული მაცდუნებელი გრძნობა იყოს, თუკი იგი, როგორც მზის სხივი, ისე მსჭვალავს მთელ ჩემს არსებას?

— ახლა კი მჯერა თქვენი, — მიუგო მოცეკვავემ, — მაგრამ შეიძლება გიყვარდეს ადამიანი, რომელსაც ატყუებ და არ ენდობი? ტყუილი საბოლოოდ ჰკლავს ადამიანის გულში რწმენას.

— რწმენას? — წამოიძახა მანიბანდჰმა და ვენისაკენ გადაიხარა. — იცი თუ არა, მშვენიერო, რა არის რწმენა? რწმენა ხომ შიშს შეიქმს? ამ ჩვენს მერყევ, ცვალებად წუთისოფელში ყოველი წამი აღსავსეა იღუმალებით, ხოლო ადამიანი სუსტი არსებაა, მომავალს უფრთხის და ამიტომ წარსულს ეკიდება. იგი ქმნის აურაცხელ სულელურ და სასტიკ ცრუ აზრს, რომლებსაც რწმენას უწოდებს. ზოგ რამეს რწმენა მშვენიერად მიიჩნევს, ზოგს კი — საძაგლად. მაგრამ განა ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ ქვეყნად ყველაფერი ერთდროულად კარგსაც და ცუდსაც მოიცავს? რაც ერთი მხრივ შესანიშნავია, მეორე მხრივ საზიზღარია. ლხენისა და ბედნიერებისაკენ ღტოლვა — აი, რა არის აზრი ცხოვრებისაჲ სისულელეა სულის ნაწილი მივცე იმას, ვინც მძიმე ჭაჭვივით გვიბორკავს ხელ-ფეხს.

— მაგრამ თუკი ქვეყნად არაფერი არ იძლევა ნუგეშს, მაშ საიდანღა შეიძლება მოვიცეთ ძალი მომავალი ცხოვრებისათვის?

მანიბანდჰს გაეცინა.

— მომავლის შიში გაქვს, მშვენიერო? მე იგი არ მაშინებს. რაც გუშინ ვიყავ, ის აღარა ვარ დღეს, ხოლო ზვალ რა მომელის, არავინ უწყის. მაგრამ რატომ არ უნდა ვიყო ის, რაც დღესა ვარ?

— განა თქვენი ცხოვრება საფეხურიდან საფეხურზე ხტუნვანა? განა თქვენ ცხოვრების ტალღებს არ მიარღვევთ მკერდით და წინ არ მიდიხართ? — ჰკითხა ვენიმ.

მანიბანდჰი მოუთმენლად შეეპასუხა:

— მოიძებნება კია მოჰენჯო-დაროში კაცი, რომელსაც ძალუძს წინ აღმიდგეს მე? ვინ იქნება ის სულელი, რომელიც მონურად არ დაეცემა ჩემს ფერხთა წინ და თაყვანს არ მცემს? ადამიანს სჩვევია წინ ისწრაფოდეს, მაგრამ მისი სიცოცხლე ხანმოკლეა. ნუთუ შენ იმიტომ ცოცხლობ, რომ ოდესღაც დაიბადე, თუ იმიტომ, რომ სიკვდილს ჯერ არ მოულწევია შენამდე?

— მანიბანდჰ! — შეჰყვირა განრისხებულმა მოცეკვავემ. — თქვენ მეტისმეტად მკაცრი ხართ!

— გნებდები, მშვენიერო, გნებდები! მომიტევე! — მსწრაფლ მიუგო ვაჰარამა. — თავს დამარცხებულად ვგრძნობ!

— არა, მე უნდა დაგიტომოთ, — ნაღვლიანად თქვა ვენიმ. — თქვენ მოგივლიათ მთელი ქვეყანა, გისაუბრიათ მეფეებთან, თქვენზე პოეტებს სიმღერები შეუთხზავთ. განა რა ვარ მე თქვენს წინაშე?!

— შენ დაიმონე ჩემი გული! თუკი ამქვეყნად რაიმეს შეუძლია ტკივილის დაამება და ნუგეშისცემა, ეს შენი მომხიბლავი ცეკვაა მხოლოდ! შენმა ნიჭმა გულის სიმები შემითრთოლა! დიდებული ვაჰარი ფარ-ხმალს ყრის შენი ხელოვნების წინაშე. დევი, შენ ჰუმმარითად დიდი მოცეკვავე ხარ!

ქებამ დააბნია ვენი.

— მე არ ვიცი, ვინა ვარ... — ოღნავ გასაგონად თქვა მან.

— რა? შენ არ იცნობ შენს ძალას? — მანიბანდჰმა ქალისაკენ მიიწია.

ვენიმ აღერსიანად შეხედა, ტუჩებზე ღიმი აუთრთოლდა და წამსვე შეეყინა. ორივენი ღუმდნენ და ერთმანეთს თვალს არ აშორებდნენ. ეს ღუმილი ჰგავდა უძირო ოკეანეს, რომელშიც თანდათან ინთქმებოდნენ. თითქოს ელოდნენ, რომ იქ, სიღრმეში, იპოვიდნენ ჯადოსნურ მარგალიტს, რომელიც მთელ ნაღველს, მთელ შხამს ცხოვრებისას სიყვარულად და აღერსად აქცევდა.

— დიახ, ადამიანი შეეჩვია თავის ბორკილებს, — ღუმილი დაარღვია მანიბანდჰმა. — ისე შეეჩვია, რომ მათთან განშორებაც კი სინანულს ჰგვრის. ძველი ადათ-წესებისადმი მონური მორჩილება — აი, ჰუმმარითი მიზეზი ჩვენი ქცევისა. ის, ვინც ადათ-წესების ერთგულია, მუდამ კურთხეულად ჩათვლის თავის ბორკილებს.

— თქვენ ძლიერი ხართ! — აღმოხდა ვენის. — რაოდენ სამართლიანია ეს, დიდებული! თქვენს სიმამაცეს მთელი ქვეყანა ტაშს უკრავს! ყველა ბორკილის დამსხვრევა და მძლეთამძლეობა — შესანიშნავია!



მაგრამ ნუთუ ამისათვის საჭიროა, რომ აღამიანმა მსხვერპლად გაიღოს ყველაფერი, რაც წინათ ძვირად უღირდა?

მანიბანდში ჩაფიქრდა. ვინ იცის, თვითონაც რამდენჯერ უკითხავს თავისი თავისთვის: რატომ გათელა მან ყველაზე ძვირფასი ნაწილი თავისი სულისა, — და ეს კითხვა მუდამ საგონებელში აგდებდა მას. რაოდენ მკაცრი შეიძლება ყოფილიყო პასუხი! საჭირო სიტყვებს ვერ პოულობდა.

მაგრამ ვენის უკვე შერცხვა თავისი გატაცებისა. მანიბანდის კისერზე შემოხვეული ხელები ძირს დაუშვა, კვლავ დაჯდა და ვაჟარს თვალი მოაჩინა. მაგრამ უეცრად თავი ასწია და ჰკითხა:

— რა არის სიყვარული, დიდებულო?

ეს კითხვაც უპასუხოდ დარჩა. ვაჟარი მზის ჩასვლის ცქერით ტკბებოდა. „ყველაფერი წარმავალია, — ფიქრობდა იგი. — აგერ მეწამული დაისი იფერფლება, მალე სულ მიეფარება თვალს, და ვერაფერ შეძლებს მის მობრუნებას“. უცებ მანიბანდშია საოცარი დაღლილობა იგრძნო. მან უსიტყვოდ დაუშვა ხელები და თავი ჩალუნა, ისევე როგორც იმ დაუვიწყარ დღეს, როცა პირველად მოჰკრა თვალი ღვთაებრივ სახეს ფარაონისას, ტახტზე რომ იჯდა იმ პირამიდის წინ, რომელსაც მზის უზარმაზარი გამოსახულება ამშვენებდა. იქნებ ყოფილ მეზადურს ძალა არ შესწევს იტვირთოს დიდებული მანიბანდის ყოველდღიური ზრუნვა? არა! მის სხეულში რომ ასეთი ძლევამოსილი სული არ იდგეს, განა იგი ასე ამაღლებას შეძლებდა?! მანიბანდშია ამაყად დახედა ვენის. მოცეკვავე ჩაფიქრდა. მისი პირისახე ჰგავდა ცას, რომელზედაც წვიმისა და სიგრილის მომვლინებელ ღრუბელთა ნაცვლად მოჰქროდნენ ყოველი ცოცხალი არსების მომსვრელი მტკრის ცხელი ღრუბლები.

— მე თქვენ დაგქანცეთ, დევი! — თქვა მანიბანდშია. — ხომ არ ინებებს ქალბატონი გასეირნებას?

პასუხს არ დალოდებია, ტაში შემოჰკრა და ძახილზე მოსულ შავკანიან მონას უბრძანა:

— ახლავე ეტლი მომართვან!

ისინი ინდის სანაპიროზე გავიდნენ, და ვენიმ იგრძნო გრილი სუნ-თქვა დიდი მდინარისა; მის ვერცხლისფერ ზედაპირზე დაისის მეწამული სხივები ირეკლებოდა. ვენის მოაგონდა თავისი გულსათუთი ვილიბ-პითური, მოაგონდა ის პირქუში საღამო, როცა ცეკვით მოაჯადოვა პოეტიც და კიკათის მფლობელიც. იგი სახლიდან მაშინ გამოვიდა, როცა ქალაქის თავზე მწუხრი წვეებოდა. რამდენი სევდა იყო მაღალი სახლების სახურავებზე მოციმციმე მიმქრალ სხივებში! რა ნაღვლიანად მღე-

როდა მაშინ თავისი განმარტოებული ქოხის წინ ახალგაზრდა პოეტი; მღეროდა იმაზე, რომ ისადგურებს ღამის მღუმარება, რომელიც სევდით ბურავს ადამიანთა სულს. ამ სიმღერის თანხლებით ვენიმ გატაცებით დაიწყო ცეკვა, რითაც ყველა მოხიბლა. კიკათის მფლობელი თვალეზით ჭამდა მას. ვენის შეუყვარდა პოეტი. მაშინ ვილიბპითურმა უთხრა: „შენი გულისთვის მზად ვარ ყველაფერი მივატოვო. ქვეყანა ხომ ვრცელია და უსასრულო! ვინ დაგვიშლის, რომ მონურ უღელს თავი დავაღწიოთ?“ და ვენი გამოჰყვა ჭაბუკს, მიატოვა მშობლიური სახლ-კარი, დედ-მამა...

მაგრამ ახლა? განა უფლებამოსილია იგი, თავისი სიცოცხლე დაუკავშიროს ამ ვაჭარს? ვინ იცის, ეგებ ხვალ მისი სიყვარული ჩაქრეს, და ვენი დარჩება მარტოდმარტო, განადგურებული, სასომიხდილი!

მას თვალწინ წარმოუდგა თითქმის ტანშიშველი ნილუფარი, ქედმალურად რომ იდგა ეტლზე. მთელი ქალაქი ხარბად ათვალიერებდა ეგვიპტელ ქალს, გეგონება, ჩაყლაპვას უპირებსო. ამ ადამიანებს, თავისი ქალაქის სიძველით რომ მოჰქონდათ თავი, ქალის სხეული ყოველგვარ ცხოველთა ხორცზე უფრო ეგემრიელებოდათ. გახრწნილი არსება! განა შეუძლია მანიბანდჰს, ესოდენ სულდიდ ადამიანს, დიდხანს უყვარდეს ამგვარი ქალი?

ახლა ამ ტანშიშველ მაცდურს პოეტის სიყვარულის ხელყოფა სურს! და მხოლოდ იმიტომ, რომ ვილიბპითური სუსტია და უმწეო! მისი გულისთვის ვენიმ ყველაფერი უარყო და მასთან ერთად გამოიქცა კიკათიდან, თორემ ვენის ხომ შეეძლო სამშობლოში დარჩენა. განა დასაძრახისია ქალისათვის სამეფო მბრძანებლის ცოლთა შორის ყოფნა?.. საბრალო პოეტი როსკიპს მიელტვის! არა, ეს არ მოხდება!

— დიდებულო! — შესძახა უეცრად ვენიმ. — პოეტი უნდა მოვინახულო!

მანიბანდჰი კინადამ ლანძღვა-გინებას მოჰყვა, — თურმე ტყუილუბრალოდ დაიახლოვა ქუჩის მოცეკვავე!..

— ეჰეი, იქითკენ გასწი! — უბრძანა მეეტლეს.

მეეტლემ ძლივძლივობით შეაჩერა გაქანებული კამეჩები და ახლა სხვა მხრისკენ დაუწყო მიბრუნება ეტლს; დაიძაგრა, მკლავებზე ძარღვები ამოებურცა.

— მე იმას ვასწავლი ჰკუას, — თქვა ვენიმ, — დიდხანს ემახსოვრება ჩემი გაკვეთილი.

მანიბანდჰი ელოდა, რას იტყოდა შემდეგ.

— მე მან მიღალატა! — განაგრძო ვენიმ. — სიმდიდრემ დაუესო თვალი.

— რა. სიმდიდრეზე ლაპარაკობ, მშვენიერო? — ჰკითხა გაოცებულმა მანიბანდჰმა.

— ნილუფარმა, თქვენმა მეუღლემ, თავისი ურცხვი სილამაზის ბაღეში გაპხვია იგი!

— ვიცი, — მშვიდი ღიმილით მიუგო ვაჭარმა.

— მერედა, აგრე გულგრილად უყურებთ ამას? — განცვიფრდა ვენი.

— ნილუფარს უფლება აქვს ვინც უნდა ის უყვარდეს. თუკი იმ ქალს ჩემდამი სიყვარული აღარა აქვს გულში, განა მე ძალმიძს ჩემი სიმდიდრის წყალობით დავიბრუნო იგი?

ვენის თითქოს სილა გააწნეს.

— ვერ გავიგე თქვენი ნათქვამი, — წაიდუღუნა მან, — არ მესმის თქვენი, დიდებულო...

ახლა ვენი ჰგავდა ღონემიხდილ მოცურავეს, რომელსაც ზედიზედ ატყდება თავს მღელვარე ზღვის მრისხანე ტალღები, კიდევ წუთი — და იგი უძირო ზღვაში შთაინთქმება... რას ამბობს ეს მანიბანდჰი!

ვაჭარი თითქოს მიუხვდა გულისნადებს.

— გული ხომ არ გატკინე, მშვენიერო? — ხმადაბლა წარმოთქვა მან.

— დიდებულო! — მოცეკვავის თვალებში იმედი კრთოდა.

ვაჭარი წელანდელივით გულგრილად გასცქეროდა შორეთს. ვენის მოეჩვენა, რომ ღვთის უზარმაზარი ქანდაკების წინაშე იდგა; იგი რალაცას ევედრებოდა ღმერთს, მაგრამ მისი სურვილი უმნიშვნელო იყო და წარმოთქმული სიტყვები ვერც კი აღწევდნენ ღვთის ყურამღე... ვენი მხრებში სწვდა ვაჭარს.

— დიდებულო, მიხსენით! მე ვილუპები, მე გავიხლართე ცხოვრების აბლაბუდაში. გესმით?

— სასახლისაკენ გასწი, მეეტლევ! — უბრძანა მანიბანდჰმა.

მეეტლემ ორთვალა მოაბრუნა და შოლტი გაატყლაშუნა. აწკარუნდნენ ზანზალაკები. კამეჩები ისე სწრაფად დაიძრნენ, რომ ვენი კინალამ გადმოვარდა. მანიბანდჰმა მოასწრო დაჭერა, და ხელი მოცეკვავის სარტყელზე დარჩა შემოხვეული. ორივენი ღუმდნენ.

გამოჩნდა ქალაქის შენობები. კამეჩებმა სირბილს უკლეს და მალე მთავარ ქუჩაზე გავიდნენ. ხალხი გაკვირვებული შესცქეროდა მოცეკვავეს, რომელიც მანიბანდჰის გვერდით იდგა. ჩაიარეს თუ არა, უკნი-

დან უწმინდური ხუმრობა შემოესმათ: ამდენი ფული აქვს, ამდენი ქონება და აბა ლამაზი ქალის გარეშე როგორ გაძლებსო! ქალებს კი ოქრო ყველაფერს ურჩევნიათო... ხალხი ცდილობდა გესლიან ხუმრობაში გადმოენთხია თავისი დაუკმაყოფილებელი სურვილები. უცებ ხალხში გაისმა ვიშვაჯითის ხრინწიანი ხმა. ვიშვაჯითს სახე აფორეჯებოდა.

რომელიღაც ჭაბუკმა თქვა:

— შეხეთ ბერიკაცს! ეტყობა, ამ ლამაზმა ქალმა შეღებილი ფეხი დააბიჯა სახეზე!

მოხუცმა ისე დაიჭირა თავი, თითქოს ხუმრობა მას არ ეხებოდა, და მკაცრად იკითხა:

— ვისზე, ლაპარაკობთ, ჭკუათხელნო?

არავის უპასუხია. მაშინ კი აყვირდა:

— რა დაგემართათ, ენა ხომ არ ჩაგვივარდათ? ფრთხილად იყავით — ხვალ ღრავიდი მოცეკვავე გულს დაგიკოდავთ და ფეხქვეშ გათელავს თქვენს ნაქებ ღირსებას! მაშინ კი ათას ენას ამოიდგამთ და ისე აღრი-  
ალებით, როგორც განრისხებული ქალღმერთი მაჰამაი, მაგრამ გვიან-  
ლა იქნება! — მან ღვარძლიანად გადაიხარხარა. — ეპეი, მოჰენჯო-დაროს მკვიდრო, თქვენი გონება უცოდინარობის ბურუსითაა მოცული! უსა-  
ზღვრო სიამაყე ხელს გიშლით, რომ რამე გაიგოთ. სულ იმას იკვებნით, ქვეყნად ყველაზე განთქმული ქალაქის მცხოვრებნი ვართო. თავი მო-  
გაქვთ იმით, რომ ძლიერი ხართ, რადგან თქვენს ბრძენთ ათასნაირი საშუალებით შეუძლიათ აგირიოთ გონება. თქვენ პეპლებივით ეხვევით მათ მიერ ეშმაკურად დახლართულ სიტყვების ქსელში და არ გაგონდე-  
ბათ ის უბრალო ჭეშმარიტებანი, რომელთაგანაც შედგება ცხოვრება. სად არის თქვენი ადამიანობა? სად არის მოყვასისადმი თანაგრძნობა? რა შეგიძლიათ თქვენ, საძაგელო ძაღლებო, ტრაბახის გარდა? თქვენ-  
თვის არ არსებობს კანონი. თვინიერი იმისა, რასაც თვითონვე ჰქმნით!..

მოხუცის სიტყვები მწარედ ამათრახებდნენ ხალხს. მართალია ბე-  
რიკაცი, თუმცა ქალაქის რჩეულნი სულ იმას გაიძახიან, რომ იგი ჭკუა-  
ზეა შეშლილი და ყველაფერი ქუფრი ფერებით ეხატება.

«კი მაგრამ, რისა უნდა გვეშინოდეს? — ფიქრობდნენ ზოგიერთე-  
ბი. — განა გაბედავს ვინმე ამქვეყნად, რომ ჩვენსავით მალლა ეჭიროს თავი?»

მოხუცი დადუმდა, თითქოს რაღაც მოულოდნელმა აზრმა ელდასა-  
ვით გაურბინა თავში. მანიბანდჰის ეტლი თვალს მიეთვარა.

როცა ეტლი გაჩერდა, მანიბანდში აპაპის დახმარებას არ დალოდებოდა, ისე ჩამოხდა. სასახლის თავზე დაცურავდა წმიდა საკმეველთა დამათრობელი სურნელი, შიდა პალატიდან რომ მოჰქონდა ქარს. მანიბანდში ეტლიდან ჩამოსვლაში მიეშველა ვენის. შეიგრძნო თუ არა მისი ღონიერი ხელების სითბო, ვენი მიხვდა თავის მარცხს. ამ წამიერმა შეგრძნებამაც კი მღელვარებით აღავსო მისი გული.

— მობრძანდი, მშვენიერო, — შეიპატიჟა მანიბანდშია.

ვენიმ ვაჭარს შეხედა. მას ისე მშვიდად და დარბაისლურად ექირა თავი, თითქოს შემთხვევით შეხებას სულაც არ უმოქმედია მასზე. ამან საბოლოოდ დაიმონა მოცეკვავე ქალი. მანიბანდში თვალს არ აშორებდა ქალს. ვენი ერთხანს ჩაფიქრებული იყო, მერე კი შესძახა:

— დიდებულო!

— გისმენ, მშვენიერო!

— იცით, რაზე ვფიქრობ ახლა?

— არა, მაგრამ ვხედები.

— აბა, რაზე?

— მშვენიერს ექვი არ ასვენებს.

— სხვის უფლებებში ხომ არ ვიჭრები-მეთქი, ვფიქრობ.

მანიბანდში ამაყად გაიმართა წელში.

— განა უფლება ტვირთად უნდა ვაქციოთ? ადამიანს უფლება იმისთვისა აქვს მინიჭებული, რომ ბედნიერებით დატკბეს. თუკი უფლებანი ხელს უშლიან და თრგუნავენ მის გრძნობებს, მაშინ ისინი უფლებები კი არა — მონური ხუნდები ყოფილან! მანიბანდს არად მიაჩნია ასეთი უფლებები!

ვენის წინაშე ნამდვილი მამაკაცი იდგა. ქალს სიყვარულის სახმილი მოედო, ვნება მოერია და მოუხდა გულში ჩაჰკვროდა მას. ვენის გაახსენდა ვილიბითური. ყოველთვის, როცა თავს უტოლებდა ვილიბითურს, ქალი გრძნობდა, რომ არარაობა იყო. ახლა კი, სხვის ნებას დაყოლილსა და დამონებულს, მას შეეძლო გამხდარიყო ქალბატონი და უზრუნველად მისცემოდა ცხოვრების სიამეს, — ეს ხომ უმაღლესი ბედნიერებაა.

ვილიბითურს ჰბუჯური ტანი აქვს. მის გვერდით ვენის არასოდეს განუცდია ნამდვილი მამაკაცის ფლობით გამოწვეული სიამაყის გრძნობა. პოეტი მოკრძალებულია და სუსტი, მის სულს, ისევე როგორც აედრიან ცას, მწუხრის ზეწარი ფარავდა ხოლმე; მხოლოდ ხანდახან თუ გაიელვებდა მასში მხურვალე ვნება, და ვენი ჩქარობდა სიყვარულის ზეცაზე აპყოლოდა ამ გაელვებულ ვნებას. მანიბანდში კი ოკეანეს ჰგავს

და საჭირო არ არის ქარიშხლის ლოდინი! — მისი ოდნავი ფრთონვაც კი საკმარისია სურვილის მწვერვალთა მისაწვდომად.

მაგრამ ამ დროს მის გონებაში ცეცხლოვანი გველივით გამოკრთა ნილუფარის მომაჯადოებელი სახე, ქედმალღური ღიმილი, ნახევრად შიშველი თეძოები, მაკდური მიხრა-მოხრა.

— დიდებულო! სად არის ეგვიპტელი მომღერალი? — ჰკითხა პალატში შესულმა ვენიმ. — ამბობენ, რომ თქვენს სასახლეში ცხოვრობდა.

მანიბანდჰი არ მობრუნებულა, ისე უპასუხა:

— მან აქ თავშესაფარი და საჭმელი მიიღო.

ფიქრში წასულ ვენის თითქოს არც გაუგონია პასუხი, ღიმილით ჰკითხა:

— სად არის ახლა ის ეგვიპტელი?

— ის ქალი ჩემი მონაა.

ვენი შეცბა, მაგრამ მაშინვე მოეგო გონს.

— მონა? — მას გაეცინა. — განა დიდ ქალაქ მოჰენჯო-დაროში ყველანი თანასწორნი არ არიან?

— ის ქალი დასავლეთში ვიყიდე, — იქ, მშვენიერო, მონობა ოდითგანვე წესად არის შემოღებული. მოჰენჯო-დაროშიც არის მონობა, უკვე ორი თაობაა მისი შემსწრე. იგი ხელს უწყობს ვაჭრობას.

ვენის სულაც არ აინტერესებდა ვაჭრობა.

— ის ლამაზია, ხომ?

მანიბანდჰი დუმდა.

— მე ვიცი, — არ ეშვებოდა ვენი, — რომ დასავლელი ქალები ლამაზები არიან. განა დიდებული ვაჭარი ურიგო ნივთს იყიდდა?

ამქვეყნიურ ნაკლოვანებათაგან მანიბანდჰს ყველაზე უფრო საძაგლად ღიაცური ცნობისმოყვარეობა და აბეზარობა მიაჩნდა. ადამიანს მათი მოგერიება მხოლოდ ერთი რამით შეუძლია, — ესაა დუმილი! ვენის ყოველ კითხვას ვაჭარი მხოლოდ ღიმილით უპასუხებდა.

— გიყვართ ის ქალი?

ვენის ეგონა, რომ ეს კითხვა დააბნევედა მანიბანდჰს. აი, ახლა მობრუნდება და იტყვის: „რას ამბობ, მშვენიერო? შენ ხომ ჩემი გულის ქალღმერთი ხარ!“ მაგრამ ვაჭარს მშვიდად ეჭირა თავი.

— არა, — უბრალოდ მიუგო მან და გაიღიმა, თითქოს მოცეკვავე პატარა გოგო ყოფილიყო, რომელიც ასეთ გულუბრყვილო შეკითხვებს აძლევდა.

ვენი მანიბანდჰის პალატის კართან შედგა.

— შეიძლება შევიდე?

— ეს შენი სახლია! — მიუგო ვაჰარმა.

მათ ვერ შენიშნეს, თუ როგორ გაიელვა სვეტთან ვილაციის სახემ. ეს იყო ნილუფარი. წყენისა და შეურაცხყოფისაგან გული ამოვარდნას ჰქონდა. რა კარგად გრძნობდა თავს ნავი, სანამ ტალღები არწევდნენ, — რა ლალად გრძნობდა თავს! მაგრამ ახლა იგი ხმელეთზე გამოჩიყეს ტალღებმა. ნილუფარი ღონემიხდილი მიყრდნობოდა სვეტს. გადაიტანს კი ამ საშინელ დარტყმას?

ნილუფარმა თავი ასწია. მის წინ იდგა ჰეკა.

ისინი ისე შეჰყურებდნენ ერთმანეთს, თითქოს ხელახლა უპირებდნენ საჯაროდ გაყიდვას ტანშიშველთ. და კვლავ არავე იყო მათი მხსნელი.

მაგრამ ჰეკას თავისი თავის შიში როდი ჰქონდა, მას ნილუფარის მომავალი აზფოთებდა. ჰეკას იოტისოდენადაც არ ესმოდა მისი ტანჯვა, — თვითონ ხომ არასოდეს ყოფილა ქალბატონი. უწყლო უდაბნოს მკვიდრი მზის ამოსვლისას ან ჩასვლისას მხოლოდ შევარდისფერებულ სილის ბორცვებს თუ ხედავს და უჭირს წარმოიდგინოს, რა მშვენიერია, რა მდიდარია ბუნება. ასევე ჰეკას არ შეეძლო ნილუფარის სულიერი ტანჯვის გაგება. და მაინც მეგობრის დარდი ხომ მისი დარდიც იყო?!

მაგრამ ნილუფარი გულგრილი იყო სხვისი თანაგრძნობის მიმართ. მწვანედ აბიბინებულ ჭეჭილს ისევე ღუპავს თოვლი, როგორც სიცხე, — განა სიცივე, რომელსაც ძალა შესწევს გააჩეროს ძარღვებში მჩქეფარე სისხლი, ცეცხლზე სუსტია?!

ჰეკა უმწეოდ და ნაღვლიანად შეჰყურებდა მეგობარს. რა სიტყვები გამოეძებნა, რომ ნილუფარისთვის რისხვა დაეცხრო და ნაღველი გაეჭარვებინა? იქნებ ახლა მას ყველაზე მეტად მოსვენება ესაჭიროებოდა?.. ჰეკა დაბნეული აღდევენბდა თვალს ფიქრში წასული ნილუფარის გულ-მკერდზე მოციმციმე საფირონს. მის გაშეშებულ ტანსა და პირქუშ სახეში რაღაც შინაგანი ძალა გამოსკვიოდა. ნილუფარი ჰგავდა გველს, რომელიც კამარის შესაყარავად არის შემართული.

ჰეკას ერთიმეორის მიყოლებით წარმოუდგა შორეული წარსულის სურათები. თუმცა, არც ისე დიდი ხნის წინ მოხდა ყოველივე ეს. სამწუხარო ამბები, რომლებიც წარსულს ბარდებიან, კავშირს წყვეტენ ერთმანეთთან.

...ეგვიპტე... მოხუცი არაბი, მოხეტიალე ვაჭარი... მაშინ ჰეკა ცხრაათი წლის იქნებოდა, მაგრამ ბერიკაცს ეგონა, რომ მხოლოდ ექვსი

წლისა იყო. მას კარგად ახსოვდა ბაზარი, სადაც ეს ვაჭარი ცხოვრობდა. ვინ იცის, იქნებ ვაჭარმა იცოდა კიდეც, საიდან წამოიყვანა ჰეკა და ვინ იყვნენ მისი მშობლები, მაგრამ არასოდეს კი არ უამბია ამის შესახებ.

ერთხელ ქალაქში უცხოელნი შემოიჭრნენ. ატყდა ერთი ალიაქოთი. ბევრი დახოცეს მომხდურებმა, ახალგაზრდა ქალები კი ტყვედ ჩაიგდეს. ჰეკაც წაიყვანეს. ვილაცამ თქვა: „დაანებე თავი, ეგ ხომ ჯერ პატარა გოგოა!“ მაგრამ მეორემ, ვისაც ჰეკა ეჭირა, მიუგო „ხვალ აღარ იქნება პატარა გოგო“.

დამით ხარკის ამკრეფ იუდეველთა რაზმი თავს დაესხა გადამთიელებს. ბრძოლა სასტიკი იყო, იუდეველთ ვერ გაუძლეს და დაიფანტნენ. მომხდურებმა შური იძიეს და სახლები დასწვეს. მთელი ქალაქი ცეცხლში გაეხვია. ალის საშინელი გრძელი ენები სწვდებოდნენ ცას, თთქოს უნდოდათ აელოკათ იგი. ამ დროს ჰეკას ვილაცამ წასჩურჩულა: „გაიქეცი!“

მის წინ თოთხმეტი წლის ლამაზი ბიჭი იდგა. ჰეკამ შეხედა თუ არა, მაშინვე მოიხიბლა. ნეტავი ჰეკა მისი მეგობარი გამხდარიყო, რა ბედნიერება იქნებოდა! ერთ-ერთ შესახვევს შეაფარეს თავი. უცებ ბიჭი მიწაზე დაეცა. იგი სისხლში ცურავდა. მის გვამს მეომარმა გადააბიჯა. ასე შეიძინა ჰეკამ ახალი პატრონი.

განთიადისას ეგვიპტელმა მეომრებმა ალყა შემოარტყეს მომხდურთ და ყველანი ამოხოცეს. სიხარულით შეჰყურებდა ჰეკა, როგორ აწყდებოდა აქეთ-იქით მისი შეშინებული პატრონი. პირისახეზე ნახმლევი აჩნდა, წვერი სისხლით მოთხვროდა. ჰეკა დაეჭყანა და სიცილი დააყარა. მერე მან დაინახა, როგორ გაგორდა გადამთიელის თავი მიწაზე.

და კვლავ ვილაცამ წამოაშველა ხელი. ვილაცამ დაუყვირა: „აქ მოდი! აქ!“ იგი ქარავანს მიადგა. უფრო გვიან ქარავანს კიდეც ერთი გოგონა შეემატა; მან მტკიცედ მიიხმო აქლემზე მჯდარი ჰეკა და სთხოვა, ერთად ვითამაშოთო.

— ვინა ხარ შენ? — ჰკითხა ჰეკამ.

— ნილუფარი!

ჰეკამ ალერსიანად აკოცა ლოყაზე თავის ახალ ნაცნობს. რა კარგი გოგო იყო მაშინ, რა ალალმართალი!.. მერე ისინი დამეგობრდნენ. ერთად ჰამდნენ, ერთად იძინებდნენ, ერთად თამაშობდნენ.

უშველებელმა შავმა აპაპმა წუთით დაჩრდილა პატარა ნილუფარი. მაგრამ შემდეგ აპაპი თანდათან დაპატარავდა და ბოლოს ეთიობ ბიჭუნად იქცა; იგი თავს წამოსდგომოდა მტირალ ჰეკას და თანაგრძნობით ეკითხებოდა: „რა გატირებს, პატარა გოგოვ?“



ისინი სამნი გახდნენ. თავდაპირველად ჰეკა ვერ იტანდა მის შავ კანს. აპაპს გული მოსდიოდა. ნილუფარი ყოველთვის ცდილობდა შეერივებინა ისინი. აპაპიც ბავშვი იყო ჯერ კიდევ, — გულუბრყვილო, სათნო ბავშვი. როგორ ხარობდა აპაპის მოხუცი მამა, მათს მეგობრობას რომ აღევნებდა თვალს!

მაგრამ მალე უბედურება დატრიალდა. აპაპის მამა, რომელიც პირამიდას აშენებდა, ხარაჩოდან გადმოვარდა და მძიმედ დაშავდა. გოგონებმა ფრთხილად გაიყვანეს გვერდზე და მიწაზე დააწვინეს. დიდხანს არ უწვალთ საწყალს. დადგა სადამო. მონებმა გულგრილად ჩაუარეს მიცვალებულს. გოგონებმა თვითონვე დამარხეს იგი. როცა აპაპმა გაიგო, რაც მომხდარიყო, ცხარე ცრემლი ღვარა.

სამი დღის შემდეგ სამივენი გაიქცნენ. მაშინ ჰეკა თერთმეტი წლისა არც კი იყო. ხოლო აპაპი თანდათან ვაჟკაცდებოდა და შავ ღემონს ემსგავსებოდა.

აპაპი და გოგონები ახლა ერთ მიწათმოქმედს ჩაუვარდნენ ხელში, ნილოსის პირას რომ ჰქონდა ყანები. აქ კიდევ უფრო გაუჭირდათ. მაგრამ ახალგაზრდა სიყვარულს აბა რა გადაეღობება წინ! ჰეკას ანდამატივით იზიდავდა შავკანიანი მეგობარი, რომელიც მის თვალწინ თანდათან იქცეოდა მძლეთა მძლე გოლიათად.

მოსავალს იღებდნენ. მეპატრონის ზედამხედველი ყანაში დააბიჯებდა და გამეტებით იქნევდა შოლტს, — მონებს უჯავრდებოდა. ყველას ხაბრძანები ჰქონდა ემღერა, — ეს ძალას უორკეცებდა მათ. რა ბედნიერი იყო ის წამი, როცა ჰეკამ და აპაპმა გულლიად გაუსწორეს თვალი ერთმანეთს და ყელი ყელს გადააქდეს! უეცრად უღმობელმა შოლტმა აუწვიათ ზურგი...

მერე ისინი საჯაროდ გაყიდეს... ნილუფარი ქალბატონი გახდა. ჰეკამ აპაპს მთანდო თავისი გული, მაგრამ დადგა დღე, როცა იგი მანიბანდპის სარეცელზე აღმოჩნდა. ნილუფარმა იცოდა ეს, მაგრამ მაშინ უფლება არ ჰქონდა ეჭვი გაეელო გულში. აპაპმაც იცოდა. ჰეკას თავისი ბატონი ეხვეოდა, ხოლო აპაპი გულმოდგინებისაგან ენაგადმოგდებული ერთგული ძაღლივით ყარაულობდა კარს.

უეცრად აპაპი გაყიდეს. ჰეკა სასოწარკვეთილი იყო. ნილუფარი მიხვდა, რომ მის მეგობარს არ შეეძლო უსატრფოოდ სიცოცხლე. თვალეზზე ცრემლი მოადგა და უთხრა: „ნუ სტირი! დავაბრუნებინებ შენს აპაპს“.

როცა ერთხელ ნილუფარი ღვინით უმასპინძლდებოდა ბატონს, მანიბანდპმა როგორც იქნა ამოღერდა დიდი ხნის ნალოდინევი ბრძანე-

ბა: აპაპი ისევ იყიდეს, და იგი ბატონის პირადი მსახური გახდა. ჰეკას კვლავ ჰყავდა აპაპი, თავისი სიყვარული, გულის ნაწილი! მას სხვა აღარაფერი უნდა! იგი ყოველგვარ სიმდიდრეზე ძვირფასია, — აბა ოქროს ვინ დაენდობა! თუმცა, ვინ იცის, იქნებ ოდესმე კვლავ განაშორონ სატრფოს?..

და აი ახლა ნილუფარი, რომელმაც შეძლო დაებრუნებინა მისთვის აპაპი, თავჩალუნული დგას მის წინ.

ჰეკამ შეათვალა მებობარი: იგი კვლავ მომხიბლავი იყო, მაგრამ წინანდელი სინორჩე აღარ ეტყობოდა. წარვიდნენ წლები... დიახ, ასეთნი არიან მდიდარნი: ძვირფას, სურნელოვან ყვავილს დაყნოსავენ, მერე კი გადააგდებენ.

ვინ არის ის თავხედი დრავიდი მოცეკვავე? რისთვის მოვიდა აქ? ნუთუ იმისათვის, რომ გულში დაეჭრა ნილუფარი? მაგრამ რაოდენ მკაცრი უნდა იყოს ადამიანი, რომ თავისი ბედნიერება სხვის უბედურებაზე ააგოს! განა ხვალ ისევე ვერ გააგდებენ ქუჩაში, როგორც დღეს მის ბედუქუდმართ წინამორბედს მოეპყრენ?

ან კი რა კაცია ეს ვილიბპითური? ნუთუ საკუთარი ცოლი ვერ დაუმორჩილებია? რად არის მისდამი ასე გულგრილი — უანგარო და მიმნდობია თუ უძლურების გამო მოსდის ეს? კი მაგრამ, ისინი ხომ მშობლიურ ქვეყნიდან იმიტომ გამოიქცნენ, რომ კიკათის მმართველმა აუკრძალა ერთმანეთი ჰყვარებოდათ? ამას ვერ უარყოფს ვილიბპითური. თავისუფალი სიყვარული? ეს უფრო თავაშვებულობაა, რომელიც სხვა ადამიანთა ბედნიერებას შთანთქავს.

უკვე კარგა ხანი გავიდა. ნილუფარი დუმდა. ჰეკას მოთმინება აღარ ჰყოფნიდა. ის ელოდა, რომ ნილუფარი თავის გულს გადაუშლიდა, მაგრამ ეს უკანასკნელი თითქოს ქვად ქცეულიყო.

დრო არ იძროდა ნილუფარის თვალში. მის გონებაში ელვის სისწრაფით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს მშფოთვარე აზრები. მაგრამ, რაზედაც არ უნდა ეფიქრა, მისი ფიქრის საბოლოო საგანი მაინც დრავიდი მოცეკვავე იყო.

როგორ მოხდა ეს? მის თვალწინ სახლში სხვა ქალი შემოიჭრა! იგი სამოწყალოდ ხელგაწვდილი როდი შემოვიდა. მან კაღნიერად, დიასახლისივით შემოაბიჯა. და მანიბანდპი თაყვანისცემით შეხვდა ამ თავხედურად მოტმასნებულ დედაკაცს.

— რისთვის? რისთვის უნდა დასაჯოს ღმერთმა? ის ახლა უცხოა საკუთარ სახლში. შემოიჭრა მტერი, და მის სიმშვიდესა და კაღნიერე-

ბას წინ ვერაფერი აღუდგება. ნუთუ ნილუფარს მცირეოდენ უფლებას მაინც დაუტოვებენ?

მისი ნათელი ოცნებანი, მრავალი წლის ოცნებანი, ბურუსივით გაიფანტნენ და მხოლოდ ტკივილი დაუტოვეს გულში. როგორ ევედრებოდა ღმერთს, მიწაზე გართხმული: „ჰოი, ღმერთთა შორის უზენაესო ოზირის! ერთხელ, მხოლოდ ერთხელ, სიზმრად მაინც მომივლინე ის, რასაც ვერასოდეს ვნახავ ჩემს სიცოცხლეში“.

და მან იხილა ბედნიერების მარტოოდენ მოჩვენებითი ანარეკლი, რომელიც იმწამსვე გაქრა. ახლა? რა დარჩა მას? რისთვის უნდა იცოცხლოს? რატომ არ სურს სიკვდილი? რომელი ძალითაა მიჯაჭვული სიცოცხლეს?

რამ აფიქრებინა დიდგვაროვან ქალებს გატოლებოდა? იგი მონაა! გუშინაც მონა იყო და დღესაც მონა გახდება, რადგან ესაა მისი ხვედარი. დიდგვაროვან ქალს არ ყიდულობენ, — იგი თვითონ ირჩევს კაცს, რომელსაც თავისი სულის თრთოლვა უნდა მიუძღვნას. დიდგვაროვანი ქალი ძალდატანების გარეშე იძლევა აღთქმას, რომ იგი ერთგული იქნება თავისი მეუღლისა, და ყოვლისშემძლე იზიდას წყალობით ამ აღთქმის ძალა ყოველგვარ გასაქირს სძლევს.

ნილუფარი? მტვერში მცოცავი მატლი, რომელიც შემთხვევით მოხვდა სასახლეში; მას არასოდეს უპაექრია ბრძენებთან ღმერთსა და ბედზე, გულგრილი იყო სამყაროს საიდუმლოებათა მიმართ... ნილუფარს ეჩვენებოდა, რომ მის სხეულში ცოცხლობდა სწორედ ის კეთროვანი, საშინელი წყალულებით, რომელიც ოდესღაც ენახა ეგვიპტის ერთ პატარა სოფელში. გვარიშვილობა! მან არ იცის, რა ერქვა მამამისს, დედა ხომ ბუნდოვნადაც კი არ ახსოვს! ალბათ ნილუფარი, ძუძუს წოვას რომ გაანება თავი, მაშინ გაყიდეს, ანდა უფრო ადრეც, რათა მის ახალგაზრდა დედას სილამაზე არ მოჰკლებოდა და ამით ბატონს არ ეზარალა, — მას ხომ ახალი ხასის მოყვანა მოუხდებოდა. ო, რა მწარეა არ გახსოვდეს დედის აღერსი! რად ექცევა ასე უმოწყალოდ ბედი ნილუფარს?

რა იმალებოდა წინასწარმეტყველთა სიტყვებში? „ქალიშვილო, — ეუბნებოდნენ ისინი, — შენ საკვირველი რამ ხარ. შენ არ ჰგავხარ სხვა მონაქალებს. სიმშვიდე ვერ დამკვიდრდება იქ, სადაც შენ იცხოვრებ“ ნეტავ მაშინვე რად არ მოაშთვეს იგი!

რა ქნას? მის გამომშრალ ყელს რამდენიმე წვეთი მაცოცხლებელი წყალი ეპკურა, მერე კი კვლავ დაიწყო წყურვილი, — რით დაიმსახურა

ეს ტანჯვა? მას რომ სიხარული არ ეგემა, ახლაც ხომ არ ეწამებოდა მისი სული დაკარგულისადმი სინანულით!

იქნებ ამოდ ესწრაფოდა ასე დაჟინებით ქალბატონად გახდომას? მის სილამაზეში ხომ მთელი სიმდიდრე იმალებოდა, და განა ცოტა ლამაზი ქალი ჰმსახურებდა ეგვიპტის დედოფალს? იგი გაურჯელად მოხვედებოდა მათ რიცხვში! და განა მას არ შეეძლო ბანაკში ცეკვა-სიმღერით ერჩინა თავი?!

ნილუფარმა გადაიკისკისა. ჰეკამ ქალბატონის სიცილში გამოუთქმეული ნაღველი შენიშნა და შეკრთა.

— ნილუფარ! ვიცი, რომ იტანჯები! — უთხრა მან.

— ჰეკა! — მკაცრად შესძახა ნილუფარმა. — შენ ვერ გაიგებ ამას! აპაპს არასოდეს უღალატია შენთვის. ამგვარი შფოთვა არ გადახდომია შენს სულს. შენ ხომ შიშის გარდა არაფერი არ გამოგიცდია ცხოვრებაში. მე კი შიში როდი მაწამებს, — წყურვილი მკლავს...

ამ სიტყვებმა დაამწუხრა ჰეკა. მან თავი ჩაღუნა და მოკრძალებით წარმოთქვა:

— ქალბატონო!

თითქოს გულში გაუარა ამ სიტყვამ ნილუფარს. რა არის ეს? გესლიანი დაცინვა? ნუთუ ჰეკამ გაბედა სამაგიერო მიეზლო ქედმაღალი ნილუფარისათვის და მოშხამული ისარი ეტყორცნა? არა, ჰეკა მანამდე გამოთქვამდა თავის საყვედურსა და წყენას.

ნილუფარს თვალზე ცრემლი მოადგა. უძლურობის შეგრძნებამ მწარე ტკივილად დაუარა გულში. ხელები თავისდა უნებურად გაიწვდინა წინ, თითქოს ცდილობდა შეენარჩუნებინა ის ერთადერთი რამ, რაც ჯერ კიდევ არ დაჰკარგოდა.

— ჰეკა! — შესძახა ნილუფარმა. სხვა ვერაფერი ვერ თქვა, თუმცა სიტყვები არც იყო საჭირო. ტუჩები უთრთოდა, ახლა კი აღარ შეეძლო თავის შეკავება.

— ნილუფარ! — აკანკალებული ხმით მიუგო ჰეკამ. — ნილუფარ!

მეგობრები ერთმანეთს ჩაეკონენ. ისინი ქვითინებდნენ, გულს იოხებდნენ, — სიხარულის დასაწყისი და დარდის დასასრული მუდამ ერთნაირად ვლინდება ხოლმე.

სადღესასწაულო მხიარულება ჩქეფდა დიდებული ქალაქის ქუჩებში. წუთის მოცლა არ ჰქონდათ მარჯვე და მკვირცხლ ვაჭრებს, რომლებსაც თავიანთი საუცხოო საქონელი გამოეფინათ ქალთა წინაშე. დღეს მათ ზღაპრული მოგება ელოდათ. ბრბოში მიმოდრიდნენ სურნელოვან გამაგრილებელ სასმელთა გამყიდველნი, ხელში ნაირფერად მომინანქრებული უცნაური სასმისები ეჭირათ. გამვლელთ მხიარული სიმღერით სთავაზობდნენ სურნელოვან საქონელს მეყვავილე ქალიშვილები, რომლებსაც ყვავილთა გვირგვინები ეკიდათ. კოხტად გამოწყობილი ჭაბუკები ქალიშვილებს გაეთამაშებოდნენ ხოლმე, და ისინიც მიმზიდველი ღიმილით უპასუხებდნენ. აქა-იქ მოჩანდა მკვირალა ბრბო მათხოვრებისა — სიმდიდრის უცილობელი თანამგზავრებისა.

სახლები მოერთოთ. კედლების გასწვრივ და ქუჩების გადაკვეთაზე ყვავილების გირლანდები ჩაეყოლებინათ. ჰაერი კეთილსურნელებით იყო გაჟღენთილი. ქალაქელ ლამაზებს სადღესასწაულოდ გაპრიალებული სპილოს ძვლის სამკაულები და ოქროს სამაჯურები უბრწყინავდათ. თვალგასახარად ლივლივებდნენ მარჯნის ყელსაბამები. დღეს შეყვარებულთა შეხვედრის დღე იყო. აქაური ადათის მიხედვით, ამ დღეს რძალს შეეძლო მოეტყუებინა დედამთილი, ქალიშვილს კი — დედა. ყველგან ისმოდა ლაღი სიმღერა.

დღისით ქალაქის მკვიდრთ ტანი განიბანეს. გუბურებთან უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ისინი წმიდა ზეთით და ნელსაცხებლით იზელდნენ ტანს, აუზში ჩადიოდნენ და დიდხანს ჰყუშპალაობდნენ თბილ წყალში. ქუჩებში ხმიანობდა ბუკი და ნალარა. წკარუნებდნენ უამრავ ეტლთა ეყვნები, ისმოდა მეეტლეთა შეძახილები, რომლებიც დაოჩნებულ კამეჩებს უჯავრდებოდნენ. ხოლო მდიდართა ჭიშკრებთან უკვე ჩამწკრივებულიყვნენ გლახაკნი, სადღესასწაულოდ მოწყალებას რომ ითხოვდნენ. როცა ისინი მოწყალებას მიიღებდნენ, ხმამალა შეასხამდნენ ხოტბას გამკითხავთ და თაყვანისცემით შორდებოდნენ.

მაღალ ფიცარნაგებზე ჩამომსხდარიყვნენ საღვთო წიგნთა მქადაგებელნი, რომლებიც რჩევა-დარიგებას აძლევდნენ ხალხს. ზოგჯერ მათ სიბრძნის დარგში ეპაექრებოდნენ სასამართლო ორატორები, განთქმული ხელოვანნი საბრალმდებლო სიტყვების წარმოთქმაში.

ღვინის სავაჭროებს დილიდანვე აწყობდნენ მოქალაქენი. წამდაუწყუმ მოდიოდნენ მათხოვრები: „ბატონო! ლატაკსაც არგეთ ერთი ყლუპი ღვინო!“

მაგრამ დიდი ქალაქის მკვიდრთ მათთვის სად ეცალათ, — ირგვლივ ყვავილებით მორთული ქალიშვილები დასეირნობდნენ!

ყველაფერი აოცებდა დღესასწაულზე ამ ქალაქში ჩამოსულ უცხოელთ. ევფრატისა და ტიგროსის ხეობათა მკვიდრთ არასოდეს უნახავთ ამგვარი მხიარულება. განცვიფრდნენ შუმერებიც, რომელთაც თავიანთი ძველი სატახტო ქალაქით, ქიშით მოჰქონდათ თავი. პირქუშ სახეზე ღიმი მოადგათ ელამელ ქურუმებს. ბრძოლებში გამოწრთობილმა ეგვიპტელებმა, რომლებიც თავიანთ ქურუმთა და წინასწარმეტყველთა მკაცრ სიტყვებს იყვნენ ჩვეულნი, დღეს პირველად შეიცნეს, რაოდენი სიხარული შეიძლება ახლდეს ცხოვრებას. ისინი აღტაცებით ადევნებდნენ თვალს კეკლუცად მოცეკვავე ქალებს.

ქალაქის მახლობელი სოფლებიდან გამთენიიდანვე მოეშურებოდნენ მლოცველნი, რათა იოგების დიდ მეფეს ხლებოდნენ. დედებს შვილები მოჰყავდათ და აიძულებდნენ შორიდანვე მდაბლად ეცათ თაყვანი მეფისათვის. ამ სადღესასწაულო წესს რომ აღასრულებდნენ, მლოცველნი ფულს უგდებდნენ გზად შეხვედრილ მათხოვრებს და გულუბრყვილოდ ხარობდნენ, როცა ისინი ამის პასუხად დიდებას უსურვებდნენ მათი გვარის შვიდ თაობას. იოგთა დიდი მეფის მშვენიერი, ღირსებით აღსავსე შუბლი ისე გამოირჩეოდა ამ უამრავ ხალხში, როგორც უმადლესი, შეუვალი და ყოველისმძლეველი ძალის განსახიერება, როგორც სიმბოლო მისი მარადიული უპირატესობისა მოკვდავთა მიმართ; ამ ზღვა ხალხის ხმაური თითქმის ისევე ეკარებოდა მის გულს, როგორც ფეხზე აღოღებული ჭიანჭველის შეხება...

როცა მანიბანდი და ვენი წავიდნენ, მშვენიერმა ნილუფარმა თავისი ოთახი დატოვა. ახლა ეგვიპტელი ქალი ჰგავდა ლოტოსს, რომელსაც მოულოდნელად დაჰკრავს სუსხი, — იგი კვლავ წარმტაცი იყო, მაგრამ თვალეში ნაღველი და სულიერი ტკივილი ჩაბუდებოდა; ისინი თავიანთ მშვენიერ სამყოფელში ველარ ჩერდებოდნენ და მისგან თავის დაღწევას ლამობდნენ.

ნილუფარს ჰეკასათვის არ დაუძახია, თვითონ შეაკითხა სენაკში. ჰეკა ჩალაში შემძვრალიყო და ეძინა. ნილუფარი გვერდით მიუჯდა და სახეზე ჩალა მოაშორა. ძვირფასი ჰეკა რა პატარაა, რა ნაზი, რა კარგი! და მანც მონაა. ნილუფარმა ალერსიანად გადაუსვა თავზე ხელი მეგო-

ზარს. ჰეკას გაეღვიძა. ნამძინარევი თვალები აახილა და ნილუფარი დაინახა. მონაქალმა მსუბუქი მოძრაობით მოირთხა ფეხი; შეშფოთებული სახე ჰქონდა.

— აქ რამ შემოგიყვანათ, ქალბატონო?

ნილუფარს მაშინვე არ უპასუხია. ქუჩიდან სადღესასწაულო ხმაური მოისმოდა. მონების საცხოვრებელ სენაკებშიც კი გაისმოდა დრო-დადრო სიმღერა.

— დღეს ზეიშია, ჰეკა! ამიტომ გადავწყვიტე შენი გავიძება. — უთხრა ნილუფარმა და ბაგეზე ღიმილმა გადაურბინა. — ყველა ილხენს და დროს ატარებს, შენ კი აქამდე თვალიც არ აგიხელია!

ამ დროს სიმღერა კიდევ უფრო ხმამაღლა გაისმა. ჰეკამ თვალი შეაევლო ქალბატონს — რა თავისუფლად ზის ჩალაზე! ეს იყო სწორედ ის ნილუფარი, რომელიც მასთან ერთად იდგა მონათა ბაზარში; სიმღიდრეს კიდევ მეტი სილამაზე და ბრწყინვალეობა მიეცა მისთვის... ჰეკას შეეშინდა: ვაითუ რომელიმე მონამ დაინახოს აქ ნილუფარი?

— ქალბატონო, წადით აქედან! მე ახლავე შემოვალ თქვენთან, — სხაპასხუპით უთხრა მან.

მაგრამ ნილუფარი ადგილიდან არ დაძრულა.

— სად არის აპაბი?

— რა მკითხეთ, ქალბატონო?

— გონება ხომ არ აგრევიან? აპაბი სად არის-მეთქი, გეკითხები.

— აქ არ უნდა იყოს, — სასწრაფოდ მიუგო ჰეკამ. — მგონი, ბატონს გაჰყვა.

ნილუფარი ჩაფიქრდა. ჰეკა წამოდგა, ჩამოშლილი თმა უკან გადაიგდო, ტანისამოსი გაისწორა და თქვა:

— ჰო, გამახსენდა, ბატონმა წაიყვანა!

კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა...

რამდენიმე დღის წინ აპაბი ჩვეულებრივ მივიდა ჰეკასთან გვიან ღამით, და ჰეკამ აუწყა ნილუფარის მწუხარების ამბავი. აპაბმა გულგრილად უპასუხა:

— ცუდად არის მაგის საქმე! ბატონი ჰეკას კარგავს იმ მოცეკვავე ქალისთვის...

— მერე, ნილუფარი? რა ეშველება? — შეეკითხა შეშინებული ჰეკა. მაგრამ მის მთრთოლვარე ხმას არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია აპაბზე.

— აპაბ! ნილუფარის ბედი ხომ იგივეა, რაც ჩვენი ბედი? — განწირულის ხმით შესძახა ჰეკამ.

ზანგმა გულცივად მიუგო:

— დაე, ბატონებმა თვითონ გადაწყვიტონ თავიანთი საქმე. ისინიც რომ ისევე ფიქრობდნენ ყველაფერზე, როგორც მე და შენ ვფიქრობთ, ოზირისი მათაც მონებად აქცევდა. დაიძინე, ჰეკა! მალე უნდა წავიდე.

ის ღამე ჰეკამ თეთრად გაათენა. ფიქრობდა საწყალ ნილუფარზე, თავის ცხოვრებაზე, აპაპზე...

— აპაპს აქ სძინავს ხოლმე? — მოულოდნელად შეეკითხა ნილუფარი. უკვე კარგა ხანია აღარ უკითხავს ჰეკას ამბავი და ახლა ცდილობდა გამოესყიდა თავისი დანაშაული.

— ყოველთვის არა! უფრო ხშირად თავისი ბატონის საწოლი ოთახის კართან ათენებს ღამეს. ხომ იცით, უერთგულეს მსახურად მიაჩნია ბატონს!

ნილუფარმა სინდისის ქენჯნა იგრძნო. მას უკვე დავიწყებოდა, რომ მონებს არც სახლი შეიძლება ჰქონდეთ და არც ოჯახი...

მანიბანდში და ვენი საბანაო აუზის ქვის კიბეზე ჩადიოდნენ. მათ დანახვაზე დიდი ქალაქის ლამაზმა ქალებმა მითქმა-მოთქმა დაიწყეს. ამ ქალაქში ვენის პირველ გამოჩენას დიდი ყურადღება არ მიუქცევია. მაშინ მას გვერდში ვილიბპითური ჰყავდა და თანაც ღარიბულად ეცვა... სამაგიეროდ ახლა ბევრ ქალს როდი შეეძლო გატოლებოდა მდიდრული ჩაცმულობითა და სამკაულთა სიუხვით!

განსაკუთრებით დაყინებით ათვალეირებდა ღრავიდ მოცეკვავეს ქალაქის ერთ-ერთი მკვიდრი — ვინა. მისი მეუღლე მდიდარი და პატივცემული კაცი იყო და სავაჭრო კავშირი თვით კრეტამდე ჰქონდა გაბმული. მაგრამ ვინას მაინცდამაინც არ აინტერესებდა მეუღლის საქმეები, — იგი მდიდარ ოჯახში იყო გაზრდილი, ბავშვობიდანვე იყო შეჩვეული ფუფუნებას და მხოლოდ გართობას ესწრაფოდა. სანდომიანი ტანი ჰქონდა და წვრილი მოგრძო თვალები. უყვარდა მუსიკა, მაგრამ ყველაზე დიდ სიამოვნებას განიცდიდა, როცა მოცეკვავეთა ნარნარ, თანაზომიერ მოძრაობას აღევნებდა თვალს. მის გემოვნებას ქალაქის ყველაზე დახვეწილი არისტოკრატებიც კი აფასებდნენ.

ამ ორი ქალის მზერა ერთმანეთს შეხვდა. ვინა სავარძლიდან წამოდგა და ალერსიანად უთხრა შავგვრემან მოცეკვავეს:

— მობრძანდი, მშვენიერო! კურთხეულ იყოს შენი მოსვლა!

— ქალბატონი ვენი კიკათიდან ჩამოვიდა — ღრავიდთა ქვეყნიდან! — თქვა მანიბანდში. — მოჰენჯო-დარო უნდა ამაყობდეს ასეთი სტუმრით — იგი უბაღლო მოცეკვავეა! მშვიდობა შენს მოსვლას, ღვი!



ყველამ ერთბაშად წამოიძახა:

— მშვიდობა შენს მოსვლას, დევი!

ვიღაცამ იკითხა:

— ქალბატონო, დღესასწაულზე თუ მოხვალთ?

— ჩვენ მადლი უნდა შეეწიროთ ქალბატონს, — მიუგო მანიბანდჰ-მა. — მან თანხმობა განაცხადა ჩვენს მოწვევაზე.

ვენი აღტაცებული იყურებოდა აქეთ-იქით.

აუზის თავზე გაისმოდა ქალების მხიარული შეკვივლება და კისკისი, რასაც მამაკაცთა ხარხარი უერთდებოდა. ქალთა ხმები, თითქოს მღე-ვარს გაურბიანო, ნაპირზევე იკარგებოდნენ, მამაკაცთა ხმები კი ციცა-ბო ფერდობს ხვდებოდნენ და კვლავ წყლის ზედაპირს დასტრიალებ-დნენ. წმიდა აუზის სქელი, ათი წყრთის სიფართე კედლები, გამომწვა-რი აგურით რომ იყო ამოშენებული, მრავალჯერ აძლიერებდნენ ბრბოს ხმაურსა და სიცილს. აქა-იქ დაცურავდნენ ყვავილები, რომლებიც ლა-მაზმანებს გამოსძრობოდათ თმიდან. ზოგი მათგანი ისე ჩასულიყო აუზში, ტანი ნელსაცხებლით არ დაეზილა, რის გამოც კანს მოშორე-ბული სანდალისა და ზაფრანის ფერი, თმის ცხიმთან შერეული, წყლის ზედაპირს გრძელ ნაირფერ ზოლებად მოჰკიდებოდა. ჭყუმპალაობით გულნაჯერები ქალები ქვის მაღალ ჯებირს გადმოღმა ისვენებდნენ და მერე ტანის შესამოსად მიდიოდნენ. რგოლების წკარუნი ედებოდა არე-მარეს.

მხოლოდ ამენ-რა შესცქეროდა გულგრილად ყოველივეს. წყალში მხიარულად მოთამაშე ჭაბუკები და ქალიშვილები თითქოს არც არსებობდნენ მისთვის. მან ნაჩქარევად განიბანა ტანი და ტანისამოსის ჩასაცმელ ოთახს მიაშურა. იქ მან ტანისამოსი გამოიცვალა, თმა სურ-ნელოვან კვამლში შეიშრო, მერე ორი კათხა ღვინო გადაჰკრა და სია-მოვნებით მიესვენა სავარძელში, რომელსაც სანიდაყვეებზე ჯიქის თავები ჰქონდა გამოჩუქურთმებული...

იყო დრო, როცა მთელი ზემო ეგვიპტე ძრწოდა ამენ-რას მრისხანე მახვილის წინაშე. ფარაონის ბრძანებით გაილაშქრებდა ხოლმე იგი თავისი მბრძანებლის მტრების წინააღმდეგ, სიკვდილს თესავდა ირგვ-ლივ და უღმობლად სჯიდა ურჩ ხალხს. იგი ერთ-ერთი იყო იმ მცირე რჩეულთა შორის, ვინც საკუთარი მხრით მიასვენა აკლდამამდე ფარა-ონის ცხედარი; მას წილად ხვდა ბედნოება — ენახა, როგორ აქციეს მუმიად მეუფის ნეშტი ამ საქმეში დახლოვნებულმა ქურუმებმა, რომ-ლებიც ლოცვა-კურთხევას უგზავნიდნენ ღმერთებს. დიადი ჭმუნვით შეპყრობილი იდგა მაშინ ამენ-რა უხუცეს ქურუმთა შორის, რომლე-

ბიც უზარმაზარი ქვით ხურავდნენ აკლდამას, რათა განკითხვის საშინელ უამამდე არავის დაერღვია ღვთიური მბრძანებლის სულის სიმშვიდე...

სიბერემ გამოფიტა ამენ-რას გული, და ახლა საყოველთაო ზეიმი არ ეკარებოდა მას. „ქალები უნდათ? — ფიქრობდა იგი. — ჰოდა, წაიყვანონ! ლამაზების მეტი რა არის ირგვლივ?!“

სინანულით იგონებდა ძველი მხედართმთავარი სიყვარულის უამრავ ცდუნებას, სიჭაბუკის ხანს რომ შეხვედროდა გზაზე. ახლა მას აღარ აღაგზნებდა არც მშვენიერთა მზერა, არც მათი მიმზიდველი ტანი. მხოლოდ მცირე გამოცდილების მქონე და სიჭაბუკის გამო თავაწყვეტილი ადამიანები სცემენ თავყვანს იმას, რასაც პოეტები სილამაზეს ეძახიან და რაზეც სიმღერებს თხზავენ. ვინც ქალებს თავისუფალ დროს შეაღვეს, ტყუილებრალოდ ღუპავს სასიცოცხლო ძალებსო, — ფიქრობდა ამენ-რა...

ქალაქი მუსიკის ჰანგებში დანთქმულიყო. მრავალი ქვეყნიდან ჩამოსულიყვნენ დღესასწაულზე მემუსიკენი, და ახლა სახლებსა და ქუჩებში გაისმოდა მათი საამო სიმღერები. ყველაფერი სიხარულსა და ბედნიერებას მოეცვა.

მხოლოდ ნილუფარი იჯდა დამწუხრებული თავის ოთახში. რა ეულად გრძნობდა თავს დღეს! არც კი გამოლაპარაკებია ვინმე... მხოლოდ ჰეკამ შემოაკითხა, მაგრამ მალე ისიც წავიდა. ნაღვლიანი ფიქრები არ შორდებოდა ნილუფარს. ნუთუ მისი ახალგაზრდული სილამაზე ექვის ცეცხლში უნდა ჩაიფერფლოს?

შუადღისას დაბრუნდნენ მანიბანდჰი და ვენი. თითქოს ყველაფერი უჩვეულო ჰქონდათ დღეს, ქათქათა ტანისამოსიც კი. ფარდას ამოფარებული ნილუფარი ხედავდა, როგორ შეუხსნა მონაქალმა ფეხებზე შემბმული ძეწკვები ვენის, რომელიც მოთენთილი ღიმილით მიწვა სარეცელზე. მოცეკვავე ქალმა თვალი მილულა. ეგვიპტელის ყურამდე მიაღწია მთვრალი ადამიანის სუნთქვამ.

შემდეგ მონაქალებმა ბატონს სუფრა გაუშალეს. დიდი თეფშებით მოართვეს საჭმელები — თევზი, ნიანგის, ძროხისა და თხის ხორცი. სავარძლის უკან მდგარი მონაქალები ოღნავ იქნევდნენ მარაოებს — დღეს არ ცხელოდა...

ირგვლივ ყველაფერი მიწყნარებულიყო. მხოლოდ ხანდახან წკრილებდნენ ქალის სამკაულები. მთელ სახლს მოსდებოდა შემწვარი ბანანის სურნელება. მანიბანდჰი აღტაცებით უყვებოდა ვენის ეგვიპტური კერძების შესახებ.

— იქაური ხორბალი, — ამბობდა იგი, — ძალას მატებს ადამიანს. მოჰენჯო-დაროში აქამომდე არ იყო ამგვარი ხორბალი. მაგრამ მე ჩამოვიტანე; მინდა ერთი ვსინჯო და დავთესო.

— ეჭვი არ მეპარება, რომ წარმატება გელით, — გაიღიმა მოცეკვავემ.

...ჰეკას თვალეზში ნაღველი რომ შეამჩნია, აპაპმა უთხრა:

— გატყობ, კვლავ შენს ნილუფარზე ჩაფიქრებულხარ. აბა შენ რა გესაქმება იმასთან? ის ხომ მონა აღარ არის!

ჰეკამ დამცინავად შეხედა აპაპს, პირი იბრუნა. ზანგმა კარს მიაშურა და ხელი ჩაიქნია: გიცნობ, რა ზნისაცა ხარო.

ჰეკა ნილუფარის ოთახში შევიდა, მაგრამ მცირეოდენი ფიქრის შემდეგ უკან გამობრუნდა და კვლავ წინანდელ ადგილას დაჯდა. ცოტა ხანი რომ გავიდა, ჰეკამ ისევ დააპირა ნილუფართან შესვლა, მაგრამ მაშინვე გაახსენდა, რომ მანიბანდჰი ჯერ კიდევ არ გასულიყო სასახლიდან. გარდა ამისა, როგორც ის ფიქრობდა, თანაგრძნობის წყალს შეეძლო იმედის უკანასკნელი ნაპერწკალიც ჩაეჭრო. ამიტომ ჰეკამ სამზარეულოსაკენ გასწია.

სამზარეულოში მუშაობას თვით მოურავი ადევნებდა თვალყურს. ჰეკას რომ შეავლო თვალი, გაუღიმა და უთხრა:

— სარდაფში ჩადი, გელოდებიან!

გაოცებული ჰეკა სარდაფში ჩავიდა. იქ კაცი სულიერი არ იყო. უკან მობრუნებისას მოურავს შეეფეთა, ის უღიმოდა. ჰეკას შიშისაგან გააცივა.

— გეშინია?

ჰეკამ უკან დაიხია და კინალამ შეჰყვირა — თაროდან ჩაფი გადმოვარდა და დაიმსხვრა.

— ჰაიტ, შე ანტო! — ხუმრობით გაუჯავრდა მოურავი. — მე შენ გიჩვენებ სერს!

და უეცრად ჩაპროშტა გაოგნებული ქალი. ჰეკა ხელიდან გაუსხლტა და გამოიქცა.

მან ფრთხილად შეაღო ბატონის პალატის კარი და გამოცარიელებულ დარბაზში დაინახა აპაპი, რომელიც ხარბად ტორავდა თეფშებს და დარჩენილ ხორცის ნაჭრებს იტენიდა პირში. ახლა ის ზუსტად ჰგავდა იმ მოთვინიერებულ ჯიქს, რომელიც ერთხელ ჰეკამ ფარაონის ცოლის ოთახში ნახა, — იგი ქალბატონის ფერხთით იწვა და თათს ილოკავდა. აპაპმა პირი გამოიტენა საქმლით, და როცა ჰეკა შენიშნა, მხოლოდლა გაეცინა და ხელებისა და თავის ქნევა დაიწყო. ეტყობა,

ეპატიებოდა: მოდი, შენც ჰამეო! ჰეკამ ისე მოაჩვენა თავი, თითქოს ვერ გაიგო.

მაშინ აპაპმა ძალისძალად მიათრია თეფშებთან ჰეკა. ცალი ხელი ლოყებზე მოუჭირა, მეორით კი პირში ხორცის ნაჭერი ჩაუტენა. ჰეკას ისე მოეწონა, რომ ყველაფერი გადააფიწყდა. მას უნდოდა კიდევ ერთი ნაჭერი აეღო, მაგრამ აპაპი არ უშვებდა, ეტყობა, ეუბნებოდა: ავი უარზე იყავიო თუმცა ერთდროულად ჰამაც და ჰეკას გაკავებაც ვეღარ მოახერხა, და ქალმა მალე გაითავისუფლა თავი. ახლა უკვე ორივენი სანსლავდნენ საჭმლის ნარჩენებს. ჰეკამ გაიფიქრა:

„იმიტომ ხომ არ დარდობს ასე ძალიან ნილუფარი, რომ შიშობს, ვაითუ გემრიელი ლუქმა დაგვარგო? განა ასეთი კერძების შემდეგ ოდესმე დააკარებს პირს უბრალო ნაჭრებს?“

უცებ ფეხის ხმა მოისმა. აპაპი ელვისუმალ გაქრა, ხოლო ჰეკა დაიბნა და ნაბიჯი ვერ გადადგა. მისკენ ჩიქურ მოაბიჭებდა სახეგაბადრული მოურავი. მან ქოთნიდან ხორცის ნაჭერი ამოიღო, ქალს პირში ჩაუღო და უთხრა:

— სულ ასეთ ნუგბარ-ნუგბარ საჭმელს მოგართმევ ყოველდღე! სამზარეულოში ყველა მონაქალი ასეთ გემრიელ კერძებს ჰამს ჩემი წყალობით. შენ კიდევ უკეთესს გაჭმევ.

ჰეკა გაიქცა.

ქალაქში ისევ ილხენდნენ. გამოჩნდნენ მთვრალი ჯარისკაცები. ქუჩებში მცველთა რაზმები დაეხეტებოდნენ. ჩვეულებრივ, ქალაქის მკვიდრნი თავიანთი მონების მეშვეობით ამყარებდნენ წესრიგს, და მცველებს მძიმე რამ საქმე აღარ რჩებოდათ გასაკეთებელი. დიდი-დიდი, ვინმე ღარიბ-ღატაკისათვის წაესწროთ, რომელიც რაღაცის მოპარვას ლამობდა. თუმცა, არც იმას ელოლიავენოდნენ დიდხანს, — ერთი-ორს წამოართყამდნენ და შერე თავის ნებაზე უშვებდნენ.

მოხუცი ვიშვაჯითიც რაღაცნაირ აღტაცებას მოეცვა. ყელზე ყვავილების რამდენიმე გირლანდა ეკიდა და ქუჩებში დაეხეტებოდა, თან ეცინებოდა.

— თქვენ გინდათ ღვინოში ჩაახშოთ თქვენი ცოდვები! — გაპყვიროდა შეშლილი. — არა, თქვენ სიკვდილიც კი ვერ მოგარჯულებთ, ბიწიერნო!

მაგრამ ახლა ეს უტიფარი, დღესასწაულისათვის ყოვლად შეუფერებელი სიტყვებიც კი რატომღაც სიხარულს ჰგვრიდათ ადამიანებს.

ქალღმერთ მაჰამის ტაძარი განსაკუთრებით მდიდრულად მოერ-

თოთ ქალაქის მკვიდრთ — ისინი არ მორიდებოდნენ ხარჯებს. მონებს სულის მოთქმასაც არ აცლიდნენ, განთიადიდან მიმწუხრამდე უქმელ-უსმელთ ამუშაებდნენ.

მხოლოდ იოგთა დიდი მეფე მისცემოდა კვლავინდებურად ღვთა-ებრივ თავდავიწყებას. მისი შემყურე უცხოელნი თითებს იკვნეტდნენ შიშით. „ეს კაცი, — ფიქრობდნენ ისინი, — თვითონ არის ღმერთი, იგი საშინელი განკითხვის უამსაც არ აღშფოთდება“. და ყოველ-თვის, როცა იოგთა დიდი მეფე ნიჟარაში ჩაბერავდა, — ეს მოასწავებ-და მისი ღვთაებრივი ექსტაზის შეწყვეტას, — სხვა ქვეყნებიდან მოსუ-ლი ყველა სტუმარი, ოზირისის თაყვანისმცემელი იქნებოდა იგი, მზისა თუ წმიდა ხარისა, მორჩილად იხრიდა ქედს უცხო ღვთაების წინაშე.

რაც უფრო იხრებოდა მზე დასავლეთისაკენ, მით უფრო მატულობ-და ქალღმერთ მაჰამაის ტაძრისკენ მიმავალი ხალხის ნაკადი. ბავშვი თუ მოხუცი, ქალი თუ კაცი — ქალაქის ყველა მცხოვრები — მიეშურე-ბოდა სადღესასწაულო ცერემონიის საყურებლად. ქუჩები თანდათან ცარიელდებოდა. ვაჭრები ხურავდნენ თავიანთ ღუქნებს; ღღეს მათ ზღაპრული მოგება ხვდომოდათ წილად. ღვინის ვაჭრებს ერთი წვეთი სასმელიც აღარ დარჩენოდათ ჭურჭლებში. ყველაზე ძვირფასი საქო-ნელი თვალის დახამხამებაში იყიდებოდა, — ასეთ ღღეს არავინ ცდი-ლობდა მომპირნეობის გამოჩენას. განსაკუთრებით ეტანებოდა ხალხი ჩაქვისა და სირაქლემას ფრთებს.

აქა-იქ ჩანდნენ ყვავილებით მორთული მოცეკვავე ქალები. ამ ზღვა ხალხში ძნელად თუ შეხვდებოდით ფხიზელ კაცს. რაც უფრო უახლოვ-დებოდნენ ტაძარს, ხმაური თანდათან კლებულობდა და ქალაქის მკვიდ-რნი იწყებდნენ დიდი ქალღმერთის, მაჰამაის სადიდებელს.

ბრბო ყრიამულთ, მაგრამ ყოველგვარი ჯგლეთის გარეშე ავსებდა ტაძარს — თვითეულმა იცოდა თავისი ადგილი. მხოლოდ მონების გარეკვა უხდებოდათ წკეპლის ცემით და ისიც — ხანდახან. ქალღმერ-თის უზარმაზარი ქანდაკების ფერხთით აღმართული იყო ღია ფერის ქვისაგან ნაგები კვარცხლბეკი, სადაც ისხდნენ სახელგანთქმული მოქა-ლაქენი და უცხოელნი. ქვემოთ ეშვებოდა განიერი ქვის კიბე, რომლის საფეხურებზეც ადგილს იკავებდნენ ღღესასწაულის სხვა მონაწილენი; ქალები და კაცები ცალ-ცალკე მწკრივებად იდგნენ. აქვე ჯგუფ-ჯგუ-ფად იჯდა ათი-თხუთმეტი ბავშვი.

მემუსიკენი ხმაშეწყობილად უკრავდნენ ბუკებს, რომლებიც შესა-ხედავად სხვადასხვა ნადირთ მოგაგონებლათ, და ბრბოს კეთილი

ანგელოზებივით დაჰფრენდნენ თავს ტკბილი ჰანგები. მებუკეებს ქამრებზე წინწილები ეკიდათ, რომლებსაც რიტმულად ახმიანებდნენ გვერდით მდგარი ბიჭები. მისასალმებელი მუსიკა შორს, ტაძრის გარეთ იფანტებოდა.

ნელსაკმეველთა სურნელოვანი კვამლი ყველა კუნჭულამდე აღწევდა და, ხალხის სუნთქვით შეთრთოლებული, თაღებამდე აღიოდა. მაღალ სვეტებზე ლამპრები გიზგიზებდნენ. იქვე ახლოს ჩირაღდნებით ხელში იდგნენ მონები. და თუ რომელიმე გაუფრთხილებელი მოქალაქე შემთხვევით მიუახლოვდებოდა სვეტებთან მდგომთ, მას იმწამსვე შეაჩერებდნენ ხოლმე მცველები, რათა ხანძარი არ გაჩენილიყო.

ტაძარში ხმაური იდგა. ხმების ნაცვლად მობუბუნე გამოძახილი ისმოდა და თაღებქვეშ შეუძლებელი იყო იმის გარჩევა, თუ რას ლაპარაკობდნენ ირგვლივ. დედებს შვილების შიში არ ჰქონდათ გულში — ბავშვები მცველთა მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ. ხოლო იმ დედებისათვის, რომლებსაც ძუძუთა ბავშვები ჰყავდათ წამოყვანილი, ბრბოსაგან მოშორებით მიეჩინათ ადგილი; იქ მათ შეეძლოთ მშვიდად მოესვენათ და თან ჩვილ ყრმათათვის ეწოვებინათ ძუძუ.

სახელგანთქმული მოქალაქენი და უცხოელი სტუმარნი იოლად პოულობდნენ მათთვის განკუთვნილ ადგილს — მონები მისაწავლიდნენ ხოლმე. აი, მოვიდა და თავის სავარძელში მიესვენა სახემოლიმარი ვენი. იგი ცნობისმოყვარედ იყურებოდა აქეთ-იქით. წელს განსაკუთრებით საინტერესო უნდა ყოფილიყო დღესასწაული — წინათ ხომ უცხოელებს იმის უფლებაც არ ჰქონდათ, რომ ქვემოთ, ბრბოში მაინც მდგარიყვნენ. მაგრამ მანიბანდჰმა მიაღწია იმას, რომ ზეიმზე მიეწვია ზღვისიქითელი სტუმრები, და ახლა ისინი ამაყად ისხდნენ კვარცხლბეკზე. ზოგ მათგანს ხარჯიც კი გაეღო ტაძრის მოსართავად. ეს, რა თქმა უნდა, უანგაროდ არ მომხდარა: დღესასწაულის წყალობით ისინი არცთუ მცირე გამორჩენას ელოდნენ — ასეთ დღეს ხომ პირდაპირ იტაცებდნენ ხოლმე საქონელს.

ზვიადად და ქედმაღლურად წამოჭიმულიყო ამენ-რა თავის მაღალ ქვის სავარძელში, რომელზეც რბილი ქსოვილი ეფინა. ის აქ თავის დროზე მოვიდა და ახლა მალულად ადევნებდა თვალს სახელგანთქმულ სტუმრებს. იგი დროდადრო ზანტად ისვამდა წვერზე ხელს, ეტყობა, სულაც არ აინტერესებდა, რა ხდებოდა ირგვლივ, მაგრამ სადღესასწაულო მხიარულების ტალღები მასაც ელამუნებოდნენ. ასობით ადამიანთა სუნთქვისაგან ღვინის სუნი ტრიალებდა ირგვლივ...

ყველასაგან მიტოვებული ნილუფარი მანიბანდჰის სასახლეში იჯდა და მწარე ფიქრს მისცემოდა.

— ჰეკა! ჰეკა! — წამოიძახა მან.

შეშინებული ჰეკა იმწამსვე მასთან გაჩნდა, — სირბილისაგან გული ამოვარდნაზე ჰქონდა.

— ბრძანეთ, ქალბატონო!

ნილუფარი სივრცეს მიშტერებოდა.

— რა მოხდა, ქალბატონო?

ნილუფარი დამშვიდდა. მრისხანება ჩაუქრა. შიშისაგან გაოგნებული ჰეკა იდგა და ელოდა. იგი მუდამ იბნეოდა, როცა ქალბატონს რისხვა შეიპყრობდა ხოლმე.

ნილუფარი წამოდგა, სწრაფად მიუბრუნდა ჰეკას, თვალი თვალში გაუყარა და ჰკითხა:

— ნუთუ არ იცი, რომ დღეს ზეიშია?

ჰეკამ თავი დაუქნია, თითქოს ეუბნებოდა: როგორ არ ვიცი, რომ დღეს ზეიშია, მაგრამ ასე რა ტანჯავს ჩემს ქალბატონსო?

— მე კი არ მიმიწვიეს! — თითების მტკრევით თქვა ნილუფარმა. — ახლა გაიგე? მე ხომ ვიცი, თავის ტაძარში მათ მრავალი უცხოელი ჰყავდათ მიწვეული! — იგი წუთით გაჩუმდა. — განა ეს დამცირება არ არის? განა მე შეურაცხყოფილი არა ვარ? რატომ დუმხარ? დრავი-დელი მოცეკვავე, ცხადა, უკვე იქ იქნება... მისი მიპატოება არ დავიწყებიათ! რატომ? იმიტომ, რომ მან ცეკვა იცის? — ნილუფარმა გესლიანად გაიცინა. — სამაგიეროდ მე სიმღერა ვიცი! — წამით ხმა ჩაუწყდა. — ახლავე ჩავიცვამ ტანისამოსს, ჰეკა!

მონაქალი გახევედა. ნილუფარი მხრებში სწვდა და შეანჯღრია:

— გესმის, მე დღესასწაულზე მივდივარ!

— მიუპატიებლად? — აღმოხდა ჰეკას.

— ჰო! ჰო! ჰო! — ყვიროდა ნილუფარი.

ჩირალდნის შუქზე ეგვიპტელი გამალებით იცვამდა. თითქმის დააცარიელა სამკაულთა ყუთი, მაგრამ ამან ვერ შემატა რწმენა. როცა ორნი მესამისათვის იბრძვიან, ძლიერის გამოვლენა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ეს მესამე ბრძოლაში არ არის ჩაბმული. ახლა კი იგი მტრის მხარეზეა! აბა როგორღა უნდა ჰქონდეს ნილუფარს მტკიცე რწმენა?!

მან სწრაფად გაიხადა ტანისამოსი და ახალი ჩაიცვა, ხოლო თავი ეგვიპტური დიადემით დაიმშვენა. ახლა იგი ნამდვილი ეგვიპტელი იყო! ნილუფარმა ნიკაპზე შეავლო ხელი ჰეკას და ჰკითხა:

— რას იტყვი, ჰეკა, მიხდება?

ჰეკას თვალი მოსჭრა სამკაულთა ელვარებამ.

— საოცარი რამაა, ქალბატონო!

ნილუფარმა გაიცინა და ნაზად მოჰხვია ხელი მონაქალს.

— შენც გამოეწყვე!

ჰეკამ გულისფანქვალით ჩაიცვა ქალბატონის მიერ შეთავაზებულ ტანისამოსი. ნილუფარმა თვალი შეავლო და მხიარულად უთხრა:

— საუცხოოა, ჰეკა! მშვენივრად გამოიყურები!

ისინი ეტლზე ავიდნენ და გაჰყვნენ დაცარიელებულ ქუჩებს, სადაც მცირე ხნის წინ ხალხის ტევა არ იყო.

— მეეტლევ, განა თქვენთან უკაცური ქუჩები მხიარულების მომასწავებელი ნიშანია? — შეეკითხა ნილუფარი. — ანდა ასეთი უხალისო დღესასწაული ითვლება მოჰენჯო-დაროში დიდებულ დღესასწაულად?

— ჯერ სადა ხართ, ქალბატონო, — მიუგო მეეტლემ და თან კამეჩები მოთოკა. — ამ დღესასწაულზე ჩვენი ქუჩები მართლაც რომ ცარიელდება ხოლმე, მაგრამ აბა ახლა იმ მოედანს გახედეთ!

ნილუფარმა ჩაიცინა და ტუჩები მოებრიცა. რა იცის ამ ჩეჩეტმა, თუ რაოდენ ბრწყინვალე დღესასწაული უნახავს ნილუფარს!

და მან უარყოფის ნიშნად თქვა:

— მე მგონი, მთელი ეს ხმაური იმიტომ ატეხეს, რომ მაჰამაის რისხვა გაანელონ. ხომ ასეა, ჰეკა? მაგრამ დაე იცოდნენ, რომ ოზირის არასოდეს არ შეინდობს მათ!

— ქალბატონო, — უთხრა მან, — უნდა დამშვიდდეთ, თორემ ყველანი დღესასწაულს კი არა, ჩვენ დაგვიწყებენ ცქერას.

„ჰეკა მართალს ამბობს, — გაიფიქრა ნილუფარმა, — ღირსეულად უნდა დავიჭირო თავი“. მაგრამ მაინც თქვა:

— ნეტავ როგორ ითმენს ღმერთი მათ თავაშვებულობას? მასსოვს, ეგვიპტეში ჩემი მეუღლე ამბობდა, ყოველგვარი ცოდვა სურვილისა და სიხარბისაგან წარმოდგებოა.

— მონებს არ შეუძლიათ გაიგონ ეს, — გულგრილად მიუგო ჰეკამ.

უცებ ნილუფარმა თვალი მოჰკრა მის წინ მდგარ ვილიბჰითურს. მკრთალი შუქი ფარნისა, უბადრუკ ღუქანს რომ დანათოდა, რომლის პატრონსაც უკვე კარგა ხანია მოეჭამა თავისი საუკეთესო დრო, თავჩაქინდრულ პოეტსაც სწვდებოდა. საით გაუწევია ამ უცნაურ კაცს? მის სატრფოს დიდი პატივით ეპყრობიან, თვითონ კი მდაბიოსავით დაეხებება ქუჩებში! ნუთუ არც ეკვი აღეძვრის და არც შური? როცა ეტლი პოეტს გაუხწორდა, ნილუფარმა მასზე ანიშნა ჰეკას. ჰეკამ გაყ-



ვირეებით შეხედა ჭაბუკს: იგი რაღაცას დაემწუხრებინა და თავჩაქინ-  
დრული მიაბიჯებდა.

როცა ნილუფარი და ჰეკა ტაძარს მიადგნენ, იქიდან ყურისწამლები  
ყრიამული მოესმათ. ახალგაზრდა ქალებმა უბრძანეს შეეტლეს,  
გვერდზე მიეყენებინა ეტლი, თვითონ კი ბრბოს შეერივნენ, თან ცდი-  
ლობდნენ შორიშორ ყოფილიყვნენ. მოსალოდნელი ხიფათის შესაგე-  
ბებლად ორივე მათგანს წვერბასრი სტილეტი ჰქონდა გარჭობილი  
სარტყელში.

ნილუფარმა მცველს აუხსნა, რომ უნდოდა თავისი ქმარი მოენახა.  
მცველმა შესვლის ნება დართო, და ეგვიპტელმა ქალმა თითქმის  
კვარცხლბეკამდე მიაღწია. ცნობისწადილით შეპყრობილი ადევნებდა  
თვალს, რა ხდებოდა ირგვლივ. ხალხი უკმაყოფილებას გამოთქვამდა,  
რომ სადღესასწაულო ცერემონია ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო.  
ელოდნენ ყველაზე მდიდარ მოქალაქეებს, აგრეთვე მსახიობებსა და  
მემუსიკეთ. ვიღაცამ ჰკითხა ნილუფარს: „თქვენ ეგვიპტელი ბრძანდე-  
ბით? მაშ რატომ არ ახვალთ კვარცხლბეკზე?“

სწორედ ამ წუთს მიაშურეს თავიანთ მაღალ სავარძლებს მანი-  
ბანდჰმა და ვენიმ. ყველა იქ მყოფმა მათ მიაპყრო თვალი. ნილუფარმა  
უკან დაიხია, თუმცა ეს არავის შეუნიშნავს. იგი დამშვიდდა და ირგვ-  
ლივ მყოფთ თვალი მოავლო. ამ დროს მან შენიშნა ვილიბპითური,  
რომელიც ფრთხილად მიიკვლევდა გზას მისკენ.

— ხომ ჯანმრთელად ბრძანდებით, ქალბატონო? — ღიმილით შეეკი-  
თხა ვილიბპითური.

— თქვენი ლოცვა-კურთხევით, — მიუგო ნილუფარმა, უნდოდა  
კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ სიტყვა გაუწყდა: დაინახა, რომ მისკენ  
თვალმოპყრობილი ვენი რაღაცას ჩასჩურჩულებდა მანიბანდჰს. ნილუ-  
ფარი დაიძაბა. იგი შეძრწუნდა, როცა წარმოიდგინა, როგორ აიგდებდა  
მასხარად ეს უზარმაზარი ბრბო, ქვევით თავმდაბლად მდგარს, —  
მანიბანდჰი სხვა ქალთან ერთად იჯდა საპატიო ადგილზე! ერთადერთი  
კაცი ვილიბპითური იყო, რომელიც არ გაიცინებდა, — ის ხომ თვითო-  
ნაც მიეტოვებინა სატრფოს!.. ნუთუ ვილიბპითური შეურაცხყოფილად  
არ გრძნობს თავს? ეგებ მამაკაცები სხვაგვარად უყურებენ ამგვარ  
ამბებს? მათ ხომ შეუძლიათ ერთდროულად რამდენიმე ქალი უყვარ-  
დეთ! ნილუფარს კი მხოლოდ ერთი მეუღლე შეიძლება ჰყავდეს... დიდ-  
გვაროვან ბანოვანთაც კი, რომლებსაც წყალობას არასოდეს აქლებს  
ღმერთი, არა აქვთ მეტის უფლება... ნილუფარი შეშფოთებული აცე-  
ცებდა თვალს და სიმშვიდეს ვერა და ვერ პოულობდა.

იოგთა დიდი მეფე ამ სოდომშიც კი ინარჩუნებდა თავის განსაცვიფრებელ უშფოთველობას. ზოგიერთი ჭაბუკი ცდილობდა მიეხატა მისთვის და ღვთისმოსავ ფიქრს მისცემოდა, მაგრამ ამაოდ იქნევდა შეუპოვრად თავს სხვა ფიქრების გასაფანტავად, — მისი მზაკვრული მზერა კვლავ ქალიშვილებზე ჩერდებოდა, და თითქმის აღარაფერზე შეეძლო ფიქრი, გარდა იმისა, რომ ღამით რომელიმე ღამაზმანს შეხვედროდა... იგი, გონსმოსული, წამოიძახებდა:

— არა, არა! არ შემძლია იოგი ვიყო! იოგთა დიდი მეფე თვით არის ღმერთი, ზეციით მოვლენილი.

ბოლოს კვარცხლბეკზე ადგილი დაიკავა უხუცესმა ქურუმმა. როცა ხმაური მიწყდა, ქურუმმა გალობით წარმოთქვა:

— ჰოი, დიდებულო ყოვლისშემძლე ქალღმერთო! შობა კაცისა ღიმილია შენი, სიკვდილი — მკუმუნვარება შენი. ყველაზე უდიდესი სიამაყე შენს მწყალობელ თვალს და შენგნით მონიჭებულ მცირეოდენ ძალას შეუძლია მოკვდაროს კაცსა. მხოლოდღა იოგების დიდ მეფეს, მარტოდენ მას ძალუძს იგრძნოს ეს სიამაყე თვითცნობის ჟამს!

საუკუნოდ თანა სდევს კაცს ტვირთი უმეცრებისა, რომლისგანაც წარმოდგება ცოდვა და ბიწიერება. წყვედიადი უვსებს თვალს და სიბრძნეს მისსა ქედმაღლობად აქცევს.

ჰოი, დიდებულო ყოვლისშემძლე ქალღმერთო! პური ჩვენი არსობისა მოწყალებაა შენი, ხოლო ცხოვრება სიკეთეა შენი. გულისხმად ჰყოფდე უმეცრებასა ჩვენსა და არა განგვსჯიდე მკაცრად.

მოგვაპყარ თვალნი, დიდებულო ქალღმერთო! ქალაქის მკვიდრნი და შორეულ სოფელთა მცხოვრებნი — ყველანი გეახლნენ, რათა ფერხთ გემთხვიონ და მონინიონ შეცოდებანი თვისნი.

შენ, რომელი სასჯელს მიაგებ ყაჩაღთა და მკვლელთა, ბოროტ სულთა და დემონთა ჯოჯოხეთისათა; შენ, რომლის მრისხანე სუნთქვა ერთვის სუნთქვას განძით აღვსილი და ოკეანეებით შემოსილი მიწისას; შენ, ყოვლისშემძლე და ყველასაგან პატივცემულო ქალღმერთო, — წმიდა ხარ, ვითარცა ცისკარი დილისა.

ღმერთი აშვათჰა და გველი-ღემონი ნაგი შიშით ძრწიან შენს წინაშე, და თვით მზეც მხოლოდ ერთი თვალია შენი ეტლისა.

ჰოი, ქალღმერთთა შორის უპირველესო მაჰამაი! ნუ შეიკრავ მრისხანედ წარბს, მეოხგვეყავ ჩვენ, უგუნურთა! თაყვანისცემით გვედრებით, დიდებულო ქალღმერთო!

ღვთისადმი აღვლენილი ვედრება ამ ურიცხვი ხალხის რიგებს გადაურბენდა და საღდაც თაღებქვეშ წყდებოდა. ახლა ყველას ეგონა,

რომ უბედურებას გადარჩენ. პირისახეზე ღიმილი დასთამაშებდათ გული სიხარულით უცემდათ. დღეიდან აღარ შეიძვრის და არც იგრგვინებს მიწა, არ ჩამოვარდება ავბედითი მესხი!..

შემდგომ ამისა ლხენას მიეცნენ. აბობოქრებული ხალხი ყვავილების გირლანდებს ისროდა კიბისა და კვარცხლბეკისაკენ; მაღალ საფეხურებს თვალისდახამხამებაში დაეფინა ნაირფერი ხალიჩა. კიდევ უფრო აკაშკაშდნენ ლამპრები, კიდევ უფრო იმატა ნელსაკმეველთა ნაკადმა.

უხუცესი ქურუმის წინაშე გალობა დაიწყეს ბავშვებმა. მათ აჰყვინენ ხმანარნარი ქალები. მემუსიკეებმა შეათრთოლეს საკრავთა სიმები, აამეტყველეს სალამურები და ბუკები. ტაძარში დაირხა მომაჯადოებელი მელოდია. მშვენიერნი გალობდნენ:

— ჰოი, მაჰამაი! განა შეიძლება განრისხდეს შეილის სიცილქის შემყურე დედა?! შეილი თმას სწიწკნის მშობელს, ის კი მხოლოდ აღერსით უღიმის ამის პასუხად! განა ძალუძს შენს ნაშობს შენი მწყალობელი თვალის გარეშე აღიზარდოს და გონება გაინათლოს?!

ჰოი, დედაო ჩვენო! შენი რისხვა უფრო საშინელია, ვიდრე ზეცაზე გამომტყვრალი ელვა, უფრო შემზარავი, ვიდრე ოკეანეში ტალღათ ღრიალი და მთებში — მეხთ გრგვინვა. იმ დღეს, როდესაც შენ მთელი მკერდით ამოისუნთქე, მიწა შეიძრა და ცანი განიხვნენ ბავშვის ტირილისაგან, და მრავალმა ქალმა ნაადრევად შვა თავისი ნაყოფი.

იყავ მოწყალე! იყავ მოწყალე, დიდებულო და ყოვლისშემძლე ქალღმერთო! ძლიერება შენი თავზარს სცემს ყველას! ღრუბლებში გრგვინვის გაგონებაზე შიშით შეჰკივლებს ხოლმე ბოლოქრელი ფარშევანგი, მაგრამ იმწამსვე აიფხორება და გახლებული დაუვლის ცეკვას! ჰოი, მეუღლევ უზენაესისა! ჰოი, თაყვანისმცემელო ლინგამისა! შენი სახება ბარტოოდენ შიშის ზარს როდი გცემს, არამედ სიხარულსაც გვევრის!

მოგვიტევე, დიდებულო ქალღმერთო! მიანიჭე სიცოცხლე ჩვენს ყრმათა! ჰოი, დიდებულო, ყოვლად ძლიერო მაჰამაი! გულისხმად ნუ ჰყოფ შეცოდებათა ჩვენთა!

როცა გუნდის გალობა მიწყდა, მანიბანდჰი ნელ-ნელა წამოიძარტა სავარძლიდან.

— დიდი ქალაქის მოჰენჯო-დაროს მკვიდრნო! — მიმართა მან ხალხს. — ჩვენს ქალაქს მოევლინა ცეკვის უმაღლესი ხელოვნების განსახიერება. ეს დღე დაუვიწყარი იქნება ჩვენს ცხოვრებაში. ასეთი ბედნიერება ქვეყნად ჯერ არც ერთ ქალაქს არ ხვდომია წილად. ყოვლად ძლიერმა მაჰამაიმ შეიწყნარა ჩვენი ვედრება.

— დიდება შენდა, ყოვლისშემძლე ქალღმერთო! — შესძახეს კვარცხლბეკზე.

— სახელგანთქმული მოცეკვავე დრავიდთა ქვეყნისა, ქალბატონი ვენი, — განაგრძო ვაქარმა, — გაგვახარებს თავისი საუცხოო ხელოვნებით და გულს მოულობს ქალღმერთ მაჰამაის. დიდი ქალაქის მოჰენჯო-დაროს მკვიდრთა სახელით სალამს ვუძღვნი დრავიდ ქალბატონს!

ხალხმა დიდად გაიხარა.

— კურთხეულ იყავ! კურთხეულ იყავ! — მოისმა შეძახილები ყოველი მხრიდან.

ქალები შურის თვალით უმზერდნენ ვენის. მონებმა ათასობით ახალი ლამპარი აანთეს კვარცხლბეკზე, და მათ შუქზე თვალები გაუბრწყინდათ წინ მსხდომთ. უცხოელი სტუმრები ღიმილით გამოხატავდნენ თავიანთ სიხარულს. ვენის აღტაცებისაგან კინალამ ცრემლები გადმოსცივდა. რა პატივი დასდეს! როგორ ამალდა დღეს! ის ზომ მარტოოდენ სათამაშო, თვალგასართობი საგანი იყო კიკათში. აქ კი...

მსუბუქი ნაბიჯით გავიდა ვენი საცეკვაო მოედანზე და გაირინდა. მანიბანდჰი სავარძელზე დაეშვა. ვენიმ თავი დაუქრა ირგვლივ მყოფთ და საცეკვაოდ მოემზადა. ყველანი აღტაცებით შესტკეეროდნენ და ელოდნენ. მემუსიკენი, რომელთაც ღვინის სმისაგან დაწითლებული თვალები უელავდათ, საკრავებს დასწვდნენ. გრძელი, მხრებამდე ჩამოშვებული ვაპოხილი თმები უბრწყინავდათ. აუღერდნენ სიმები, დაიკვნესა სალაქურმა, აბრაგუნდა დოლი და დაიწყო ცხოველმყოფელი სიხარულის ცეკვა.

ვენიმ მთელი თავისი ოსტატობა მოიკრიბა და ცეკვა-ცეკვით გაგოგმანდა ქალღმერთ მაჰამაის ვეება ქანდაკებისაკენ. ფეხებზე შებმულ რგოლთა მელოდიური წქარუნი დოლის ბრაგაბრუგს ენაცვლებოდა, და ყველას ეჩვენებოდა, რომ ყურში ჩაესმოდათ ნაზი გალობა ფრინველისა, რომელიც განთიადზე შორეულ გრუხუნს გაეღვიძებინა, და ახლა შევებისმომგვრელ დილის სიჩუმეში ეს ხმატკბილი გალობა ესმინის სურნელებსა და ყვავილის მტვერთან ერთად მოჰქონდა ქარს... მოცეკვავის ვეება ჩრდილი, მის ყველა მოძრაობას რომ იმეორებდა, ქალღმერთის ქანდაკებას დასთამაშებდა, რაც კიდევ უფრო განაცვიფრებდა მაყურებლებს. ყველანი მოხიბლულნი იყვნენ დრავიდული ცეკვის მრავალფეროვანი და ლამაზი მოძრაობით. რა საუცხოოდ ცეკვავს ეს ქალი! თვით ქალღმერთი მაჰამაი ხომ არ ასრულებს სიცოცხლის

ამ ვნებიან ცეკვას, რათა სულის სიმშვიდე დაურღვიოს იოგთა დიდ მეფეს?

— სწორად არ ცეკვავს! ამ მოცეკვავეს მუდამ ეშლება რაღაც! — მოისმა ბრბოდან წამოძახილი.

ვენის ბრაზისაგან სისხლი მოაწვა თვალებში. იგი გაჩერდა. კვარცხლბეკს უშიშრად მიადგა ეგვიპტურ ტანისამოსში გამოწყობილი ქალი. ყველანი განცვიფრებით შესცქეროდნენ მას. ჰკუთხე თუ შეცდა! იქნებ თვითონაა უბადლო მოცეკვავე?

მანიბანდჰმა პირველმა დაარღვია სიჩუმე.

— რა გინდა, დედაკაცო? — ჰკითხა მან მკაცრად.

— დაე, გწყალობდეს დიდებული ქალმერთი! — მიუგო მან. — მე არ ვცრუობ და შევძლებ ამის დამტკიცებას!..

ამენ-რა აღშფოთდა:

— შენ შეურაცხჰყავ სტუმარი, რომელსაც თვით დიდებული მანიბანდჰი მიესალმა დიდი ქალაქის მკვიდრთა სახელით!

— არა, ბატონო, მე არ შეურაცხმიყვია სტუმარი, — შეესიტყვა ქალი. — პირიქით, ყოვლისშემძლე ქალმერთ მაჰამაის მიაყენეს შეურაცხყოფა! არა ვგონებ, ასეთმა ცეკვამ მოაღბოს მისი გული...

ეგვიპტელი ქალის ამ უჩვეულო სიმტკიცემ ააღელვა ვინა. იმის გაფიქრებამ, რომ ქალმერთი მაჰამაი შეიძლებოდა მთელ დიდ ქალაქზე განარისხებულებოდა, სული შეუძრწუნა მას. ვინას მოეჩვენა, რომ გულზე შხამიანი მორიელი შეაბობლდა, რომელიც ეს-ეს იყო დაგესლავდა. იგი წამოხტა და ხმამაღლა დაიწყო, თან ცდილობდა არ აღელვებულიყო:

— რაზე დაობთ? აქ ხომ მარტოოდენ ხელოვნებათა შეჯიბრი არ არის! ეს ქალი ამტკიცებს, რომ საღმრთო ცეკვა სრულყოფილი არაა, და რომ ამან შეიძლება გარდუევალი უბედურება დაატეხოს დიდ ქალაქს. თუკი მას შეუძლია დაამტკიცოს თავისი სიმართლე, ჩვენ რატომღა არ უნდა ვათხოვოთ ყური?

დაძაბულობა გაქრა. ნილუფარი უკვე ავიდა საცეკვაო მოედანზე. ეგვიპტელი და დრავიდი ზიზღით შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ვენიმ ვერ გაუძლო მეტოქის მზერას. მას უნდოდა მოეშოთ ეს საძაგელი ქალი. ერთი წუთის წინ იგი დიდების მწვერვალზე იდგა — აქ მხოლოდ მის სახელს ახსენებდნენ, ჩირადნების კაშკაშა შუქზე დაცურავდა ზღვა ხალხის თავზე, ხალხისა, რომელიც თვალს ვერ ამორებდა იშვიათ სანახაობას და თვით ქალმერთი მაჰამაიც დავიწყებოდა... ახლა კი? ვენიმ მანიბანდჰს ადახედა, მაგრამ მის სახეზე თანაგრძნობა ვერ

ამოიკითხა. რა ქნას? ეს ქალისსახოვანი გველი ელოდება. იგი იწვევს, აბა, ჩემ წინაშე იცეკვეო. მაგრამ ვენი რომ დამარცხდეს? მაშინ?.. ვილიბპითური უქვევლად გადაარჩინდა, მაგრამ გვერდში რომ არა ჰყავს?.. ვენი შიშისაგან მოიკუნტა...

ქალაქის მკვიდრნი ცნობისწადილით ათვალეირებდნენ მეტოქეებს და ელოდნენ, რა მოხდებოდა შემდეგ. მხოლოდ უცხოელი სტუმარნი უტკებროდნენ გულგრილად ამ პაეჭრობას. მათ ცეკვა-თამაშის ყურება ეწადათ. სულ ერთი არ იყო, ვინ გაიმარჯვებდა? ორივე ახალგაზრდა იყო, ორივე — ლამაზი.

— რა გქვიათ, ქალბატონო? — შეეკითხა ვინა.

— ახლავე ყველას მოვასხენებ, ყოვლად ღირსო! — მიუგო ნილუფარმა. — ვიცი, გამიჭირდება დავამტყიცო ჩემი სიმართლე. ვხედავ, რომ ჩემი ვინაობით ყველა მივიზიდე...

— თქვით, ქალბატონო! — ნება ღართო ვინამ.

ვინა წარჩინებული კაცის ცოლი იყო, და ვერვინ გაბედა შესიტყვებოდა.

ნილუფარმა წინ წარდგა ნაბიჯი და ხალხს მიმართა:

— დიდი ქალაქის მოჰენჯო-დაროს პატივცემულო მკვიდრნო! უცხოელო სტუმარნო! მონებო და მონაქალებო!

ხალხი კიდევ უფრო განცვიფრდა. აქამდე არავის დაუწყია ასე თავისი სიტყვა. გაოცდნენ მონებიც. ვინ არის ეს საკვირველი ქალი, რომელიც მათ მიმართავს? აქა-იქ სიცილიც მოისმა, მაგრამ ამას არ დაუბნევია ნილუფარი. მცველებმა დაიყვირეს:

— სიწყნარე! სიწყნარე!

— მე შორეული ეგვიპტიდან ჩამოსული მომღერალი ვარ, — განაგრძო ნილუფარმა. დიდებული მანიბანდში ყველასათვის ცნობილია იქ. როგორც სიმღერისა და ცეკვის ხელოვნების ჭეშმარიტი შემფასებელი. გაუგებარია, როგორ ვერ შენიშნა შეცდომები ამ უბრალო ცეკვაში! დაე, დრავიღმა მოცეკვავემ განაგრძოს, და ყველა მიხვდება, რაზეც ვლაპარაკობ...

ნილუფარმა ზურგს უკან მსხდარ მემუსიკეებს ანიშნა. ჩამოვარდა სიჩუმე. ეგვიპტელმა სიმღერა დაიწყო.

იგი თანდათან უმაღლებდა ხმას. მღერისას ნილუფარმა თვალი გააპარა ვენისაკენ და მიხვდა, რომ დრავიდი მოცეკვავე ჭერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს წედანდელი ღელვის შემდეგ. ამან რწმენა განუმტყიცა ნილუფარს.

ვენის სასოწარკვეთილი იყო. რა თქმა უნდა, დიდებულ მანიბანდს

შეეძლო გამოქომაგებოდა მოცეკვავეს, მაგრამ გამოწვევა, რომლის მოწმეც მთელი ქალაქი იყო, ცაში გამოკიდებული დამცინავი მთვარე-სავით შეუჩნდებოდა და მოსვენებას არ მისცემდა. არა, ვენის არ შეეძლო უკან დაეხია და ნაცემ ძალსავით მოეძურწა. მერედა, რას იტყოდა ვილიბჰითური, მისი სიმბდალის ამბავს რომ შეიტყობდა? ვენის უკანდასახევი გზა აღარ ჰქონდა! ერთილა რჩებოდა: მეტოქის გამოწვევაზე დათანხმებულიყო და მისი მზაკვრული ილეთი მოეგერიებინა.

მოცეკვავის ხმალი მომღერლის ფარს დაეძგერა. ვენი თავბრუდამხვევი სისწრაფით გაიჭრა მოედნის შუაგულისაკენ. მაგრამ ნილუფარის გულშიჩამწვდომმა ხმამ მალე დაჯაბნა ცეკვა — ცხოვრებისეულმა ტანჯვა-წამებამ სძლია ავხორცობისა და მხიარულების სულს. ხალხი შეჭყურებდა საოცარ ცეკვას და თან ყურში ჩაესმოდა ნარნარი ხმა; მეტოქენი თითქოს ერთმანეთს შეერწყნენ, — ასე ერთდება ხოლმე ჯაღოქრის ხელში მისგან ნაკუწ-ნაკუწად ქცეული გველი. ამ ერთიან ნაკადში ისინი იზრდებოდნენ და ყოველ წუთს იკრებდნენ ძალას... ეს იყო დაუძინებელ მტერთა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, მტრებისა, რომლებიც საშველად უხმობდნენ მთელ თავიანთ ჯაღოსნურ ძალებს. და ხალხი გრძნობდა ამას.

უეცრად ნილუფარმა სიმღერის რიტმი შეცვალა. მედლოემ, რომელიც ეგვიპტელის ხმას მისდევდა, შესვენების ნიშნად დაჰკრა დოლს, და ვენიმ, ისევე როგორც მორევში ჩათრეულ ადამიანს ემართება ხოლმე, გაჩერება ველარ შეძლო. ნილუფარმა გადაიკისკისა. სიცილის გამგონე ვენი გაძეშდა. მან თვალები შეანათა ეგვიპტელს, რომელიც გამარჯვებას ზეიმობდა. ვენი ნატრობდა ფეხქვეშ მიწა გასკდომოდა და თან ჩაეტანა... მანიბანდჰმა თავი დახარა.

— მოჰენჯო-დაროს მკვიდრნო! — შესძახა ნილუფარმა. — ჭეშმარიტებამ გაიმარჯვა! ჭეშმარიტების გამარჯვება ქალღმერთ მაჰამაის გამარჯვება!

მაგრამ ვილაცა მრისხანედ შეესიტყვა:

— ეგვიპტელი მომღერალი უსინდისოდ მოიქცა!

ბრბო აჩოჩქოლდა. რა ხდება დღეს? ზეიმის ხომალდი ხან ბობოქარ ტალღებში ინთქმება, ხან კი ისევ ნაპირისაკენ მოექანება...

— ვინ გამომიწვია მე? — შეჰყვირა განრისხებულმა ნილუფარმა. — ხელოვნებაზე პაექრობაში მე არავის წინაშე არ მოვიხრი ქედს! თუ ვინმეს არ სჯერა ჩემი, დაე აქ ამოვიდეს! მე კამათში დამარცხება არ დამამცირებს, — ხელოვნება უსაზღვროა...

რომელიღაც კაცი გამოეყო ბრბოს და კვარცხლბეკზე ავიდა. ნილუფარი გაკვირდა: მის წინ ვილიბპითური იდგა.

ისევ ის აქ რამ მოიყვანა ეს შეურაცხყოფილი ჩერჩეტი? ნუთუ სურს ეკლებით მოუფინოს გზა?

ჩირალდნის შუქზე საოცრად ბრწყინავდნენ პოეტის თვალნი.

— შენა ხარ, პოეტო?.. — ჰკითხა დაბნეულმა ნილუფარმა.

ვილიბპითური იღიმებოდა. მან ამაყად ასწია თავი და ხალხს მიმართა:

— დიდი ქალაქის მოჰენჯო-დაროს პატივცემულნი მკვიდრნი! დრავიდი მოცეკვავე თქვენ თვალწინ დამარცხდა. ეჭვი არავის ეპარება, რომ იგი ოსტატურად ცეკვავს, მაგრამ ეგვიპტელ მომღერალთან შებმა იოლი როდია მისთვის. ეგვიპტელმა გაიმარჯვა, თუმცა ეშმაკობით გაიმარჯვა. დაე, მოცეკვავემ ხელახლა დაიწყოს. მეც ვიმღერებ. თვითონ განსაჯეთ, ვის მხარეზეა სიმართლე!

ვენი საცეკვაოდ მოემზადა. მანიბანდჰს თვალეზე შეემა ჩრდილმა გადაურბინა. უკანასკნელ ცდას ხომ არ მიმართა პოეტმა თავისი სატრფოს დასაბრუნებლად? თუ პოეტის ბედნიერება ვენის წარმატებაში მდგომარეობს, მაშინ ნუმც გაუმარჯვია დრავიდ მოცეკვავეს!..

და კვლავ გატაცებით აცეკვდა ვენი. სიმღერას ნილუფარი იწყებდა. როცა შეჩერდებოდა, ვილიბპითური აგრძელებდა. მაგრამ ამჯერად ცეკვა უფრო აღაფრთოვანებდა ხალხს, ვინემ თვით სიმღერა. დრავიდი ქალის მოძრაობათა შემყურე ყველაზე გამოცდილი შემფასებელნიც კი ვერ იკავებდნენ თავს, რომ შეძახილით არ გამოეხატათ მოწონება. ერთხელ თვით ამენ-რამაც იკადრა და კმაყოფილება გამოთქვა.

თვალმილულული მღეროდა პოეტი, მშვიდი ღიმილი არ შორდებოდა მის სახეს. ნილუფარი ჭმუნვას შეეპყრო. ვენი კვლავ გატაცებით ცეკვავდა. დაძაბულობა თანდათან იზრდებოდა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდნილიყო, რომ ფეხებზე შებმულ რგოლთა წყარუნი უკანასკნელ რიგებშიც ისმოდა. თითქოს მთელი სამყარო ერთ გუნდად შეკრულიყო და დუმილით შესცქეროდა ამ უბადლო ცეკვას. დაღლილი მემუსიკენი სულს ძლივს ითქვამდნენ. ისინი პირველად უკრავდნენ დღეს ასეთ დახელოვნებულ მოცეკვავეთათვის.

უცებ ვილიბპითურმა სიმღერა დაამთავრა და ნილუფარსაც ანიშნა გაჩერებულყო. მაგრამ ნილუფარმა ვერ შეამჩნია. აღგზნებისაგან ცხვირის ნესტოები ებერებოდა ეგვიპტელს. უეცრად ყურში ჩაესმა პოეტის შეძახილი:



— გაიმარჯვა დრავიდმა მოცეკვავემ! ეგვიპტელმა მომღერალმა წააგო შეჯიბრი!

სახეგაბრწყინებულმა მანიბანდჰმა ხმამალა მიმართა ხალხს:

— მოჰენჯო-დაროს მკვიდრო! ვადიდოთ დრავიდი მოცეკვავე!

დაქანცული ვენი გონმხიდილი იწვა ქალღმერთ მაჰამაის ფერხთა წინაშე, ალტაცებული ბრბო ხმაურობდა. წამით თითქო ოდნავმა ღიმილმა შეათრთოლა დიდებული ქალღმერთის ბაგენი. უხუცესი ქურუმი სავარძლიდან წამოდგა და შესძახა:

— ყოვლისშემძლე ქალღმერთმა შეიწყნარა ჩვენი ვედრება! ეჰეი, პატივცემულო მოქალაქენო! ყოვლად ძლიერის ბაგეებზე ღიმი შევნიშნე!

უეცრად თითქოს დაიქუხა; თვით ზეცაც შესძრა მხიარულმა შეძახილებმა. მოჰენჯო-დაროს უძველეს ქვებზე ასხლეტილი ძალუმი ხმები მოედო სამყაროს...

ვენი კარგა ხნის შემდეგ მოვიდა გონს. მას შემოეხვივნენ უცხოელი სტუმარნი. ისინი ერთმანეთს არ აცლიდნენ გამოეხატათ თავიანთი ალტაცება. მომხიბლავი და საუცხოო იყო მისი ცეკვა, თითქოს ყველაფერი, რაც მიმზიდველია ადამიანის ცხოვრებაში, ერთ მოზეიმე სახეზად ქცეულიყო! სიხარულმა თავბრუ დაასხა ყველას.

მანიბანდჰმა ღვინით აღვსილი ფიალა მიართვა მოცეკვავე ქალს. ვენი ხარბად დაეწაფა სასმისს და დაცალა. ცეცხლმა დაუარა ძარღვებში, ახალი ძალის მოზღვავება იგრძნო. მან მადლიერი თვალი მიაპყრო ვაჟარს.

— ქალბატონო! ჩემს სავარძელზე დაბრძანდით და დაისვენეთ. — შესთავაზა მანიბანდჰმა.

ვენიმ თანხმობის ნიშნად დაუქნია თავი. მაგრამ მანიბანდჰის მალალ სავარძლამდე ვერ მიაღწია და მოღლილი დაეშვა თავის სკამზე, რომელზედაც რბილი ქსოვილი ეფინა.

ზეიმი დამთავრდა. ხალხის რიგები ერთმანეთში აირივნენ, და უზარმაზარი ბრბო დაემგვანა ოკეანეს, სადაც ერთმანეთს ეხეთქება ახმაურებული ტალღები. ხალხი ნელ-ნელა მოედინებოდა ტაძრიდან. ხმაური თანდათან წყდებოდა. ყველანი თავ-თავიანთი სახლებისაკენ მიეშურებოდნენ. მაგრამ ქალაქში კიდევ დიდხანს ისმოდა გამვლელ-გამომვლელთა ხმა. ისინი საუბრობდნენ და ქება-დიდებით იხსენიებდნენ დღესასწაულს.

ზეიმის ადგილი დაცარიელდა. სახელგანთქმულ მოქალაქეთ და უცხოელ სტუმრებს ღვინით ავსებული ფიალები მიართვეს. ამენ-რა

კმაყოფილებით ისვამდა წვერზე ხელს. ელამელი ქურუმი ეუბნებოდა:

— მშვენიერი ცეკვა იციან ჩვენს ქვეყანაში. მათგან ყველაზე საუკეთესოა ლომის ცეკვა. მაგრამ დღეს ჩვენ ღვთაებრივი ცეკვა ვიხილეთ. ეტყობა, თვით ღმერთები შველოდნენ ახალგაზრდა მოცეკვავეს.

ამენ—რამ ღიმილით დაუდასტურა ნათქვამი.

უაზროდ ხარხარებდნენ გამომთვრალი შუმერი მეომარნი, გრძელი შავი წვერები უცანცარებდათ.

ვილიბპითური განზე გამდგარიყო. პოეტს მადლობაც არავინ უთხრა. იგი რაღაცას ელოდა. მასთან მივიდა ნილუფარი და კვარცხლებეზე მიუთითა. იქ იდგა ვენი; უშველებელი ფიალა მოეყუდებინა ორივე ხელით და ხარბად ეწაფებოდა ღვინოს. ნილუფარმა გაიცინა.

— რას იცინით, ქალბატონო? — შეეკითხა ვილიბპითური.

— შენს უგუნურებაზე მეცინება, თუმცა სატირალი კი არის. პეპელაც კი, რომელსაც ალში დაფერფლვა სწადია, ლამპარს მიელტვის და არა ვარსკვლავებს.

— მომღერალო! — აღშფოთებით შესძახა პოეტმა.

— ბრმავ! — დაცინვით მიუგო ნილუფარმა.

ვილიბპითური შეცბა.

— ქალბატონმა ბრმა მიწოდა! კი მაგრამ, რატომ? ვერ მიემხვდარვარ...

— ვერც მიხვდები! — მიახალა ნილუფარმა.

ნილუფარი ხელში სწვდა პოეტს.

— თქვენა, ქალბატონო? — გაკვირვებით შესძახა ვილიბჰითურმა.

— ქალბატონს ნუ მიწოდებ! ნილუფარი დამიძახე! ქალბატონი ის არის, ვინც იმ მგლების გული მოინადირა! — მან კვარცხლბეკისაკენ გაიქნია თავი. — ახლა მიმძიმს მოვიგონო, რომ მე ვცდილობდი ქალბატონის მდგომარეობა მომეპოვებინა. ჰოო, მეც ისეთი ქედმაღალი, მორთულ-მოკაზმული თოჯინა ვიყავი, პოეტო...

ნილუფარმა ჩვეული თავდაპყრილობა დაკარგა. თითქოს აუტანელი წყურვილი უდაგავდა მთრთოლვარე ტუჩებს, უბინდავდა თვალს. მძვინვარების ტალღები ბობოქრობდნენ მის სულში, ისევე როგორც ქარიშხლის მოლოდინში იზრდებიან და ქაფდებიან ზღვის ტალღები! მკერდი მძიმედ აულ-ჩაუდიოდა...

მაგრამ პოეტი ვენიზე ფიქრს გაეტაცა. რას იფიქრებს ვენი, როცა ეგვიპტელ ქალთან ხელიხელჩაკიდებულს დაინახავს? რა აბეზარია ეს ქალი! ვინ არის იგი? ჭაბუკმა კვარცხლბეკისაკენ გაიხედა და მყისვე გადაავიწყდა ნილუფარი. ვენის მანიბანდში ედგა წინ და თავისი ხელით ასმევდა ღვინოს. ამით მოჰენჯო-დაროს უპირველესი მოქალაქე ყველა იქ მყოფ ქალზე მაღლა აყენებდა ღრავიდ მოცეკვავეს! ვილიბჰითური თვალს არ აშორებდა ვაჭარს და თავის სატრფოს. ბოლოს ეგვიპტელმა მკლავში მოჰქაჩა.

— სულელო! — დაცინვით უთხრა მან. — შეგაქცია თუ არა ზურგი? ახლა მას ყველაზე მდიდარი და წარჩინებული ადამიანები სცემენ თავყვანს, შენ კი აღარ ახსოვხარ. მეც ქალის გული მიცემს მკერდში, და ვიცი, რომ ქალებს მამაკაცებზე ნაკლებ არ უყვართ სიმდიდრე. ან კი რა აქვს იმ მოცეკვავეს ისეთი, რომ ოქროს წკრიალსა და დათაფლულ სიტყვებს გაუძლოს?.. განა შენ ღირხარ იმად, რომ შენი გულისთვის ქალმა დიდება და სიმდიდრე უარყოს და შენ წინაშე ქედი მოიხაროს?! აბა თვითონ განსაჯე, განა მას ძალუძს შენთვის, ღარიბისათვის, დათმოს ყველა ამქვეყნიური ცდუნება?

და მან ღვარძლიანად გადაიხარხარა. ვილიბჰითურს გულში მოხვდა ეს უკეთური სიცილი. გაოგნდა. რა ქნას, სად წავიდეს?

— საით მიგიპყრია თვალი, პოეტო? — განაგრძო ნილუფარმა. — ხომ არ უცდი, რომ დაგიძახებდნენ და გვერდით მოგიხვედნენ? მეცოდები.

ვილიბპითურმა ველარ აიტანა ეს. იგი შეიცოდეს!

— მერე, თქვენ რა გნებავთ? — ჰკითხა პოეტმა.

ნილუფარს სახე შეეცვალა. უგულოდ მიუგო:

— მე ვიცი, რაც მინდა! მაგრამ შენ ვერ მიმიხვდები ფიქრს!

ნილუფარმა ქვემოთკენ გაიყოლია.

— ჩემი გეშინია? განა მე, ქალი, შეიძლება საშიში ვიყო შენთვის? პოეტმა მიიხედ-მოიხედა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

— რას იყურები იქით, სულელო! დაივიწყე ის! მე და შენ იქ არ გვედგომება.

„ეს ქალი ახლობელსავით მელაპარაკება!“ — განცვიფრდა ვილიბპითური.

ირგვლივ ყვავილები იყო მიმოფანტული. ისევ აფრქვევდნენ სურნელს. ისევ ნორჩი ჰქონდათ ფურცლები, მაგრამ ჰკნობა მაინც შეჰპარვოდათ. ნილუფარმა სურნელოვანი, დანამული ყვავილები ფეხით გათელა და უეცრად გულს მოეშვა.

ისინი ქვემოთ ჩავიდნენ და ეტლისკენ გაემართნენ. ხეთა ფოთლებში მთვარის შუქი ატანდა და ყველაფერი უზარმაზარი და ბრწყინვალე ჩანდა. მაგრამ ეტლები ხის ძირას, სიბნელეში იდგნენ, სადაც ძნელი იყო რამის გარჩევა. ნილუფარმა გასძახა:

— მეეტლევ!

პასუხი არ იყო. მეეტლეს, ეტყობა, ჩაეთვლიმა.

მერე ხის ძირას ვილაცამ იკითხა წყნარად:

— თქვენ ბრძანდებით, ქალბატონო?

— მოდი აქ! — უბრძანა ნილუფარმა.

— ვინ არის? — შეეკითხა პოეტი.

— ჩემი ერთადერთი იმედი, შენ ხომ ჯერ არ გენდობი, — მიუგო ნილუფარმა.

სიბნელიდან ახალგაზრდა ქალი გამოვიდა. ეს იყო ჰეკა. მან გამკიცხავად შეხედა ორივეს.

— მე ვარ! — უთხრა ნილუფარმა. — ნუ გეშინია!

— საით ინებებს ქალბატონი წასვლას?

— არსაით. მე მალე მოვალ. აქ დამიცადე. ნუ აღელდები. ნილუფარი არც ისე სულელია, რომ თავი დაიღუპოს. ოღონდ შორს არ წახვიდე, ჰეკა. — მერე ვილიბპითურს მიუბრუნდა და ალერსიანად უთხრა: — წავიდეთ, პოეტო!

მთვარე კარგა ხნის ამოსული იყო. ახლოვდებოდა მთვარის მოვანების ჟამი, როცა ღამის მნათობი კიდევ უფრო მშვენიერი ხდება. სასწაულებრივი ძალა შესწევთ მის სხივებს. მთელი სამყარო ეხვევა მათ შუქში და როგორც რძეში, ისე ბანაობს. და ყველაფერი წმიდად მოჩანს მაშინ. ეგვიპტის მბრძანებლის ცოლი ათასი ფურკამეჩის რძეში განიბანება ხოლმე და ღღისით ვერვინ შეედრება კანის ბრწყინვალეობით და სინაზით. მაგრამ მთვარის შუქზე ათასობით ქალი ემსგავსება მას, თითქოს ზეცას მოსტაცესო მშვენება.

დაჰქროლა ნიაფმა და თან სიგრილე და სიმშვიდე მოიტანა. თრთიან ფოთლები, შევერცხლისფერდნენ ხეთა კენწეროები. აბა ვინ მოარიდებს თავს ღამის მომხიბლავ მღუმარებას?! აღმასებივით ბრწყინავენ წმიდა ხის, პიპალის ფოთლები. ზეცას რძისფერი გადაჰკვრია. ღამის მნათობის ელვარე ეტლის დანახვაზე კრძალვით ციმციმებენ ცის თაღზე მიმოფანტული ჭუჭა ვარსკვლავები. მხოლოდ მშვენიერ როჰინის\* დაურთავს ნება დარჩენილიყვნენ მის ირგვლივ. ასეთ ღამეში ღელვა ეუფლება სულს. გული ღელავს და ისწრაფვის შეუერთდეს თავისსავით მხურვალე გულს.

ვილიბჰითური ჩაფიქრებული მიჰყვებოდა ნილუფარს. საით წარიმართება ახლა მისი ცხოვრების მდინარე? ხორცი ნაგვემი აქვს, სული კი ექვებში დანთქმული ეწამება; წყლის ზედაპირზე წარმოქმნილი ბუშტებვით გაქრნენ მისი იმედები, და კვლავ არარაობა შემორჩა. მხოლოდღა მარადიული ყოვლისშთანმთქმელი ცეცხლი უნთია გულში. რას მიაღწია სახლ-კარის მიტოვებით? დედას ალბათ მღუღარე ცრემლმა დაუსივა თვალები. ვაჟმა, ვნებისაგან დაბრმავებულმა, დედა მიატოვა და მაწანწალად იქცა.

— სად მივდივართ? — შეეკითხა პოეტი.

პასუხად ნილუფარმა მაგრად მოუჭირა ხელზე ხელი. მამაკაცი ძლიერია, მაგრამ ნილუფარმა იცოდა, რომ თუ ქალი ალერსითა და ნდობით მოუჭერს ხელზე ხელს მამაკაცს, ეს უკანასკნელი ემორჩილება მას, სურვილი ალად მოედება, და იგი უკვე თვითონ ელტვის თავდავიწყებას...

— ქალბატონო! — ისევ ჰკითხა ვილიბჰითურმა. — სად მივდივართ? ნილუფარს გაეცინა.

— რამ შეგაშინა? ჩვილ ყრმასავით მფრთხალი ყოფილხარ! დამშვიდდი, მე ყველაფერი დავკარგე ქვეყნად, გარდა გულისა. იმ მხეცებს

\* როჰინი — ოქროს კერპის თანავარსკვლავედის ძველინდური სახელწოდება.

კი ყველაფერი აქვთ მოხვეჭილი, ოღონდ გული დაუჟარგავთ. შენ იმათი არ გეშინია და ჩემი, უსუსური ქალის შიში გაქვს?

— ამას იქით აღარ წამოვალ! — მტკიცედ თქვა პოეტმა და გაჩერდა. — თქვენ ისევე მშვენიერი ხართ, როგორც თვითონ მომავალი, მაგრამ ვინ დაგართოთ ნება, ასე შემეთვისოთ და ნაზად მომეპყრათ?

ნილუფარმა უცებ ვერ გასცა პასუხი.

— როცა აუზთან პირველად შევხვდით ერთმანეთს, — უთხრა მან ბოლოს, — მე შენში ახლობელი ადამიანი ვიგრძენ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მას შემდეგ შენკენ მოვილტვი. უფლებათ, შენა სთქვი! მე რომ უფლება მქონდეს, განა შენ ასე უგულოდ ლაპარაკს გამიბედავდი?! არა, შენ მოუთმენლად დაუწყებდი ჩემს სიტყვებს ლოდინს, და მე კი ალბათ დუმილს ვარჩევდი...

ვილიბპითურმა სწრაფად გაითავისუფლა ხელი და უკან დაიხია. ნილუფარი ამაყად გასწორდა წელში. წამით ნიავემა შეარხნია ფოთლები, და ეგვიპტელის თვალებმა ავად გაიელვეს მთვარის შუქზე. ნილუფარმა ბოროტად გაიცინა. მაგრამ უეცრად სიცილი შეწყდა. და მაშინ პოეტს გული შეუტოკდა. მოეჩვენა, რომ ეგვიპტელი, მთვარის ნათელით მოჭადოებული, დაუოკებელი ვნებით მიელტვოდა მას... თითქოს ეს-ესაა გულში ჩაეკვრებო!..

— რა დაგემართათ, ქალბატონო?

ნილუფარი ქვად იქცა.

— რა დაგემართათ? — ისევ თანაგრძნობით ჰკითხა პოეტმა და მხარზე ხელი დაადო.

უეცრად ნილუფარმა თავი დახარა.

— პოეტო! — წყნარად თქვა მან. — იშვიათია ცხოვრებაში ამგვარი წამები, მაგრამ ისინი ნარადიულ წყურვილს უკლავენ გულებს...

ვილიბპითურის ხელი სწრაფად მოსცილდა ეგვიპტელის მხარს. ნილუფარმა ენის ბორძიკით განაგრძო:

— მე შენ მიყვარხარ! ათასჯერ ვევენე და ვეწამე, შენ კი ერთხელაც არ შემოგახედავს ჩემთვის ალერსიანად... თუ შენ მართლა პოეტი ხარ, ქანდაკებასავით ცივი რადა ხარ? რატომ არ გინდა იხსნა ადამიანი, რომელიც შენ თვალწინ იღუპება?..

ნილუფარი მიწაზე დაეშვა. თავი მუხლებში ჩარგო და ატირდა. ვილიბპითური დაიბნა. ამას კი არ მოელოდა. რა ქნას? წავიდეს? კი მაგრამ, მტირალ ქალს ხომ არ მიატოვებს? წყლის გველის სტვენას ჰგავდა ეგვიპტელის სლუკუნი. მღვრიე ნაკადულად მოჩქეფდა ნალველი მისი

სულიდან — ასე მოედინება ღარში წყალი, რომელსაც აღარაფერი ელობება.

— ქალბატონო! იქით წავიდეთ! — კრძალვით შესთავაზა პოეტმა. — იქ სინათლეა....

ნილუფარმა თვალი გაუხსწორა.

— ახლა ჩემთვის ყველგან წყევლიაღია.

აბა ვინ უარყოფდა ნილუფარის სიტყვებს? მხოლოდ ის შეძლებს განასხვავოს ბნელი და ნათელი, ვისი სულიც ჭერ კიდევ შფოთავს. ნილუფარი ბედნიერი რომ ყოფილიყო, ბედნიერებას წყევლიაღშიც დაინახავდა, ახლა კი მისთვის, მიტოვებულისთვის, ყოველგვარი სინათლე სამარის უკუნს უღრიდა.

— ქალბატონო, უნდა დამშვიდდეთ, — უთხრა პოეტმა. — მე თქვენ გაგაცილებთ!

მაგრამ ნილუფარმა ხელები გაიწვდინა მისკენ და შესძახა:

— ღოღი! ჩემთან მოდი!

ეს იყო ძახილი ქალისა, ვნებიანი და დაუფარავი!

ვილიბჰითური უმწეოდ დაეშვა მიწაზე. თავი უბრუოდა. ნილუფარი მიუახლოვდა და ხელებში სწვდა. რა ნაზი, რა თბილი და ღელვის მომგვრელი ხელები აქვს ნილუფარს!

— მე შენ მიყვარხარ, პოეტო. — ჩაილაპარაკა მან.

— ვენიც მაგას მეუბნებოდა! — წაიდუღუნა ვილიბჰითურმა.

— პოეტის სახელის გულისთვის როდი მიყვარხარ, — განაგრძო ეგვიპტელმა. — არც სიმდიდრისათვის, შენ ხომ ღარიბი ხარ. ჩვენ ორივენი მიგდებულნი და უარყოფილნი ვართ. მაგრამ ჩვენ ბედნიერი უნდა გავხადოთ ჩვენი ცხოვრება! — იგი პოეტისაკენ გადაიხარა: — ვილიბჰითურ! გავიქცეთ აქედან!

უცებ პოეტს ნაღვლიანად გაეცინა. ნილუფარი სწრაფად მოშორდა.

— რა გაცინებს, პოეტო?

— სხვა რა დამრჩენია? — და კვლავ გაეცინა. — სად უნდა წავიდეთ, ქალბატონო? თქვენ ახლა ბრაზობთ. მანიბანდჰს უყვარდით, ხომ მართალია? ახლა კი თვალი დავსებია და გსურთ სამაგიერო მიუზღოთ!..

— ვილიბჰითურ! — შესძახა ნილუფარმა და პირზე ხელისგული მიაფარა. მერე მტკიცედ წამოდგა და თქვა: — წასვლის დროა! უნდა წავიდე. მაგრამ სიტყვა მომეცი, რომ ხვალ ინდის ნაპირას მოხვალ. ვილიბჰითურს არ უპასუხია.

— მომეცი სიტყვა! შენ უნდა მოხვიდე!

— მოვალ, ქალბატონო! ხვალ უთუოდ მოვალ ინდის ნაპირას!

— მპირდები?

— დიახ, ქალბატონო! ახლა მე აღარ მეშინია თქვენი. თქვენი ტანჯვა გაუგებარი აღარ არის ჩემთვის. უთუოდ მოვალ!..

აღტაცებული ნილუფარი გადაეხვია პოეტს, და ვილიბჰითურმა წამით იგრძნო მისი ტანის საამო თრთოლვა.

— ქვეყნად არავინაა შენი სწორი!.. — აღელვებით ეუბნებოდა ნილუფარი, — მე მწამდა, რომ უპასუხოდ არ დატოვებდი ჩემს მწუხარე ძახილს. თორემ უსიტყვოდ გადავიტანდი ყოველგვარ ტანჯვას და ჩემს გრძნობებს გულში დავიმარხავდი...

ხელიხელჩაკიდებულნი კვლავ ტაძრისაკენ გაემართნენ. ნილუფარი თანდათან მშვიდდებოდა. ვილიბჰითური კვლავ მისცემოდა თავის უსასრულო ფიქრებს.

უცებ ნილუფარმა უთხრა: „შეხედე!“ ისინი ვეება ქანდაკების ჩრდილს შეეფარნენ, რათა მოქეიფეთ არ შეემჩნიათ. მაგრამ სიფრთხილე ზედმეტი იყო. შექეიფიანებული მოქალაქენი ერთმანეთს ძლივს ცნობდნენ. შუმერი მეომრები სავარძლებში ირწეოდნენ. პარაპელ ვაჟარს ჩასძინებოდა და თავი ვენის მკერდზე გადავარდნოდა. დრავიდი ქალიც უგონოდ იყო. მანიბანდჰი დაბინდულ მზერას ავლებდა სტუმართ და იცინოდა. ვილაცა საზარლად ხარხარებდა და ყვიროდა:

— ეჰ-ე-ი, მოჰენჯო-ო და-ა-როს მკვი-ი-დრნო-ო!

და ყველას ძალიან სასაცილოდ მიაჩნდა ეს.

ხოლო მონებს და მონაქალებს კვლავ დოქებით შემოჰქონდათ ღვინო და ფიალებში ასხამდნენ. მხოლოდ იოგთა დიდი მეფე იჯდა წინანდებურად ფიქრში წასული. მისი დაძაბული სახე, ერთადერთი საიმედო ციხე-კოშკივით რომ მოჩანდა ამ გაუტანელ წუთისოფელში, სხვა უფრო მაღალი ძალების არსებობას მოაგონებდა კაცს. თითქოს მთელი ეს ცოდვილთა დღესასწაული მხოლოდ და მხოლოდ მისი გულუხვი მოწყალებით იყო შესაძლებელი.

ტანდრას, ღვინის ვაჰრის ცოლს, ელამელი ქურუმის ყელსაბამში გახლართვოდა ხელი. ბოლოს მან გაწყვიტა ძაფი, და მსხვილი მარგალიტები მოიფანტა კვარცხლბეკზე. ქალმა ლოყაში გასცხო ქურუმს და შეჰყვირა:

— გამშორდი, რეგვენო, სმაც კი არ გცოდნია!

ელამელ ქურუმს წუთით დაუბრუნდა განსჯის უნარი.

— მოლხენაა საჭირო, — თქვა მან, — უნდა მოილხინონ დიდი ქალაქის მკვიდრებმა! დაე, კვლავ იცეკვოს ვენიმ, კიდევ ერთხელ იცეკვოს...



სხვა ველარაფერი თქვა — ენამ უმტყუნა. მაგრამ ახლა მეზობლებმა აუბეს მხარი:

— კიდევ... ერთხელ კიდევ...

— რა ერთხელ კიდევ? — შეეკითხა ტანდრა.

შუმერმა მეომარმა, რომელსაც ფიალიდან ღვინო ტანისამოსზე ჩამოედვარა, წაიბურღლუნა:

— კიდევ ერთხელ, ლამაზო!.. კიდევ...

ტანდრამ გადაიკისკისა.

შუმერი მეომარი წამოდგა და ბარბაცით გასცილდა. ელამელმა ქურუმმა მხოლოდ ერთი სიტყვა ამოთქვა:

— დღესასწაულია!

— დღესასწაულია! — ბანი მისცეს დანარჩენებმა.

შუმერი მეომარი მანიბანდჰთან მივიდა, თითი ასწია და თქვა:

— დღესასწაულია... დიდებულო ვაჭარო!

შუმერს დავიწყებოდა, რომ სხვის სამშობლოში იყო, და თავის ენაზე ლაპარაკობდა. მაგრამ მანიბანდჰი მიუხვდა ნათქვამს.

— დღესასწაულია? — ჰკითხა მან და შეტორტმანდა.

ახლა უკვე ყველანი თუთიყუშებივით იმეორებდნენ: „დღესასწაულია... დღესასწაულია...“

შუმერმა ტანდრასაკენ გადადგა ნაბიჯი.

— ქალბატონო... დღესასწაულია...

— პირუტყვები! — წამოიძახა ვილიბჰითურმა. — მე მივდივარ!

— ნუ წახვალ! — სთხოვა ნილუფარმა.

მაგრამ პოეტი სწრაფად განშორდა. ნილუფარი მცირე ხანს შედგა, მერე კი თავისი ეტლისაკენ გაემართა. როცა იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც ჰეკა დატოვა, ეგვიპტელს ლაპარაკი შემოესმა. ქალურმა ცნობისმოყვარეობამ წასძლია. ხეს ამოეფარა და სული განაბა.

— ქალბატონი არ დაბრუნდა, — გაისმა ჰეკას ხმა. — ნეტავი ხომ არაფერი დაემართა?

— რა უნდა დამართნოდა? — მიუგო აბაჰმა. — გახსოვს იქ, ნილოსის პირას, მოხეტიალე ვაჭრის ვაჟი?.. რა ღონიერი იყო, რა ნაპატივეები! მაშინ ალბათ უფრო უჭირდა... ახლა კი დიდებული ვაჭარი მოცეკვავეს გაუტაცია — დიდი ხანია ვამჩნევ, რომ ჰეკუას კარგავს მცხთვის. აბა, თვითონ იფიქრე, რად უნდა იყოს ყმაწვილი ქალი მარტო?

— ნილუფარი ხომ უბრალო მონა არ არის?

— მაინც რით განსხვავდება შენგან? მე თუ მკითხავ, სჯობიხარ კიდეც.

— ზუმრობას თავი დაანებე! წავალ, მოვნახავ. ვაითუ რამე შეემთხვეს!..

— გეყოფა! გასაგებია, რაც იქ ხდება. თუ შეგამჩნია, ვიცი, რაც მოჰყვება მაგას.

— რა იცი?

— რა და თავს წააგებ!

— კი მაგრამ, რატომ? მე ხომ ბევრჯერ მინახავს იგი დიდებულ ვაჭართან ერთად.

— შენ შორიდან უცქეროდი ჩუმად, როგორც მონის წესია. ახლა კი მათთან მისვლა სიცოცხლის ფასად შეიძლება დაგიჯდეს.

— იქნება სცდები?

— მაშ რაღად იმალები ბნელში? აქ ხომ ბევრად უკეთესია?

ჰეკა დუმდა.

— როგორ გამოთვრენ! — სხვა რამეზე გადაიტანა საუბარი აპაპმა. — რას არ შვრებიან ხოლმე, როცა გამოთვრებიან! იცი, რა დამემართებათ იმ ქალებს?

— რა?

— აი, რა! — მიუგო აპაპმა და ტუჩებში აკოცა.

— ჰეკა! — დაუძახა ნილუფარმა და ხეს მოსცილდა.

ჰეკა და აპაპი შიშით განშორდნენ ერთმანეთს.

— ქალბატონო! — შესძახა ჰეკამ. ნუთუ ნილუფარმა გაიგონა მათი საუბარი? ამის გაფიქრებაზე ჰეკას ყელი გაუშრა.

— მეეტლე! — სიბნელისაკენ იბრუნა პირი ნილუფარმა.

ამოიხვნეშეს კამეჩებმა, კრიალით დაიძრა ეტლი.

— ჰეკა! — მკაცრად თქვა ეგვიპტელმა. — აპაპს უთხარი, ტაძარში შევიდეს და თავისი მოვალეობის აღსრულებას შეუდგეს.

მონაქალს სიტყვა პირზე შეაშრა. აპაპი გატრიალდა და წავიდა. ნილუფარი ხელში სწვდა ჰეკას.

— ცუდი რამ გაიფიქრე ჩემზე?

— რას ბრძანებთ, ქალბატონო! მაგას როგორ გავებდავ!

— სულელი! — აღერსიანად უთხრა ნილუფარმა და გაიცინა. — ყველა ისინი მატლები არიან. მატლები!

სასახლისაკენ მდუმარედ მიდიოდნენ; მხოლოდ ეტლიდან ჩამოსვლისას მიაძახა ნილუფარმა მეეტლეს:

— ზვალაც წავალთ!

— იცი, ჰეკა, სად ვიყავი? — უთხრა ნილუფარმა თავის ოთანშე შესვლისას.

— არა, ქალბატონო.

— პოეტს ვესაუბრე. ხვალაც შეეხვდებით ერთმანეთს ინდის პირას. დღესვე დაეამთავრებდი ყველაფერს, მაგრამ ვერ გავბედე. ასეთი რამეებისთვის განმარტობაა საჭირო, ხომ მართალია?

— რისთვის, ქალბატონო?

— არ გესმის? — გაკვირვებით გააგრძელა სიტყვა ნილუფარმა და დიდრონი თვალები მოჭუტა. — ამდენი წელია ჩემთან ხარ და მაინც ვერაფერი ისწავლე. შენ მე სულ არ მიცნობ!

ნილუფარი საწოლზე ჩამოჯდა. გული უჩქროლავდა. ჰეკამ ქეჩის სანდლები გააძრო. ნილუფარმა თვითონვე მოიხალა დიადემა და ფრთხილად დაიღო გვერდით. სახეზე კვლავ სინაზე და ალერსი აღებეჭდა.

— ჰეკა, სისულელე ჩავიდინე?

ჰეკამ სარტყელი შემოხსნა ქალბატონს და მიჩიგდანი ჩამოათარა.

— ...დაე, აურაცხელი სიმდიდრე დამიყარონ ფერხით და დამიწყონ დაბეჭითებით რწმუნება: აიღე, შენიაო, — არათერს არ ავიღებ! მაგრამ იმაზე, რაც მიტაცებს, უარს არ ვიტყვი!

მონაქალს ხელები გაუშეშდა. ნილუფარს გაეცინა.

— რა დაგეშართა? შეგეშინდა? ახლა ხომ მიხვდი? მოდი ერთი თმა ჩამომიშალე!

შავმა ტალღამ დაფარა მხრები. ღაწვზე ჩამოვარდნილი დალალი გველივით დასრიალებდა ღია ფერის კანზე. ჰეკა სამკაულებს ხსნიდა ქალბატონს და გულმოდგინედ ალაგებდა ყუთში.

— გესმის თუ არა? ხვალ... ხვალ ვნახოთ, ვინ იზეიმებს... — ამბობდა გახელებული ნილუფარი.

მისი ყოველი სიტყვა ისეთი სიძულვილით იყო გამსჭვალული, რომ ჰეკა გაოგნებული მისჩერებოდა. როცა მონაქალის ხელებმა თავისი საქმე დაამთავრეს, ნილუფარი მხარზე დაეყრდნო ჰეკას, ნელ-ნელა გასწია თავისი საწოლისაკენ და ბალიშებზე მიწვა.

— ხვალ დამით... ისეთივე სიმშაგით განაგრძო ნილუფარმა. — თუნდ მთელი სამყაროც დაეცეს ჩემს ფერხით და შემეგედროს!.. სულ ერთია!.. ეს საშინელი ქარიშხალი... ეს საზარელი ქარიშხალი...

ჰეკამ არ დაამთავრებინა:

— ქალბატონო, ალბათ რამემ აგაღელვათ?..

— ამაღელვა? არა! ჩემს წვერბასრ ხანჯალს რომ გავუყრი ყელში იმ მხდალ პოეტს, მაშინ არათფერი დამენანება...

— თქვენ? — შესძახა ჰეკამ. — თქვენ კაცს მოჰკლავთ?

ჰეკა თვალს და ყურს არ უჯერებდა. ეგებ ნილუფარს მისი სიმამაცის შემოწმება სურს და სხვა არაფერი? იქნებ დასცინის?

— არა, არა! არ მოვკლავ... მე ჩემი შეურაცხყოფისათვის ვიძიებ შურს! თავსლავის დასხმას არავის ვაპატიებ. არც ისე სუსტი და უჭკუო ვარ. არც უსუსური ვარ, ჰეკა. არც შებრალებას ვთხოვ ვინმეს. სიბრაღულით პირუტყვს ეპყრობიან, ადამიანს კი არა...

ჰეკა დუმდა. ნილუფარმა განაგრძო:

— შენ იცი, რომ ნილუფარს ყველაფრის ატანა შეუძლია. მაგრამ მე არ მსურს უპატრონო ძაღლივით დავწანწალებდე! ჩვენს ქვეყანაში ამბობენ, ლომი, რომელიც ადამიანის სისხლს გაუსინჯავს გემოს, ბალახის ჭამას არ დაიწყებს, გინდაც შიმშილით სული ზღებოდესო... — უეცრად მან შესძახა: — წადი, ჰეკა! შენ ახლა ვერაფერს გაიგებ. მართო დამტოვე.

მაგრამ ჰეკა ადგილიდან არ დაძრულა.

— დამალევიწნე რამე! — სთხოვა ნილუფარმა.

ჰეკამ პატარა მაგიდიდან სპილოს ძვლით მოხატული ოქროს ჭურჭელი აიღო, ფიალა ღვინით აავსო და ქალბატონს გაუწოდა. ნილუფარმა სულმოუთქმელად დაცალა.

— ცოტა კიდევ...

მეორე ფიალაც რომ დაცალა, ნილუფარმა უთხრა:

— წადი, ჰეკა...

სარეცელზე მიესვენა და თვალები დახუჭა. ჰეკა წავიდა.

მაგრამ ნილუფარს არ ეძინებოდა. შიშისაგან გული ბაგაბუგით უტემდა. იგი წამოდგა და დიდხანს მიმოდრიოდა ოთახში. მერე ეზოში გავიდა. ქვად ქცეული მეომრები, რომლებიც ღამით კიდევ უფრო პირქუში ჩანდნენ, სახეში შეამტერდნენ; შუბლები შემართეს, თითქოს ეს-ესაა აძგერებენო. ნილუფარი ისევ უკან გაიქცა. რა უნდა მის გულს? გაბედავს კი ძლევაგამოსილ მანიბანდძს შეებრძოლოს? განა ძალუძს მის მიმზიდველ სილამაზეს, რომ მოცეკვავე ქალის სინორჩესა და მომხიბლაობას აღუდგეს წინ? არ ძალუძს, არა...

„არა...“ — გულისწამლებად კვნესოდა ქარი.

„არა...“ — გუგუნებდნენ სასახლის ქვები.

ნილუფარი სარეცელზე დაეშვა, თავში ხელები იტაცა.

იმ ღამეს ჰეკასაც გაუტყდა ძილი. რა უცნაურად ლაპარაკობდა ქალბატონი! ერთიც ვნახოთ და მართლა მოკლას პოეტი?.. მოახერხებს კი? მერედა, მანიბანდძი ცოცხალს გაუშვებს? თუ მოცეკვავე ქალს

ქემშარიტად უყვარს პოეტი, იგი უბრძანებს ნაკუწ-ნაკუწად აქციონ ნილუფარი და ტურების კერძი გახადონ...

შიშისაგან შეძრწუნებული ჰეკა ჩალაზე ტრიალებდა. მალე გაათენდება... აპაპი მაინც მოვიდოდეს. ჰეკა ყველაფერს უამბობს, რჩევას სთხოვს. მაშინვე შევებას იგრძნობს. რა იქნება, აპაპთან ერთად ამ მღუმარებით აღსავსე ღამეს რომ გაიპაროს საღამე? მაგრამ აპაპი ხომ ზანგია. კანის ფერით ყველგან იცნობენ მონას და დაიჭერენ. იმ უბედურს არსად ედგომება ამქვეყნად. ვერსად იცხოვრებს მშვიდად და ბედნიერად. იგი იმისთვის არის დაბადებული, რომ სხვებს ემსახუროს. ის კი არა, აპაპს არც არასოდეს უფიქრია თავისუფალ ადამიანად გახდომაზე, არც ტყვეობიდან თავის დაღწევა უცდია.

სატრფოსადმი სიბრალულისა და თანაგრძნობის ნიშნად ჰეკას თვალთაგან ცრემლი გადმოსცვივდა. მონაქალმა მოიწმინდა ცრემლი. მერე კვლავ ქალბატონზე დაიწყო ფიქრი. ეგებ დავმშვიდდებო, წყალი მოსვა და ისევ მიწვა სარეცელზე.

აპაპი არა და არ მოდიოდა. იქნებ ჯერ არ დაბრუნებულა? ჰეკას უცნაურად ეჩვენა ეს: ნუთუ ზეიმი ისევ გრძელდება? ალბათ აპაპი ფიალებს მიართმევს სტუმრებს... ჰეკა ვერ ხვდებოდა, რომ როცა მონები ლწინობისას ბატონებს ემსახურებიან, უჩუმრად თვითონაც გადაჯრავენ ხოლმე ცოტაოდენს. არც ბატონს მოუვა აზრად, რომ ასეთი ცქვიტი და აზრიანი მსახურნი ჰყავს.

— ჰეკას გაახსენდა ვენი. ახლა მოცეკვავე ალბათ ბატონის სასახლეში იცხოვრებს. ნუთუ ნილუფარმა უნდა მოითმინოს? რა მოუვა მას? როგორ დამთავრდება ეს ამბავი? მოცეკვავე ქალბატონი გახდება, ნილუფარი კი ისევ მონა იქნება? თუ...

შესაძლოა, ნილუფარი მეორე ცოლად დაიტოვოს მანიბანდჰმა? უცებ ჰეკას სასიხარულო ფიქრმა გაუბრწყინა სახე. ხვალვე მოთხრის აყალო მიწას და იქიდან თოჯინას გამოძერწავს; მერე სახეში შეაფურთხებს და ჩეჩმაში გადააუძახებს, რათა ყოველგვარი სიბინძურით წაიბილწოს. აგრემც დაღუპულა იმ დრავიდის სილამაზე და სიყმაწვილე! როცა ეგვიპტის ერთ-ერთი მთავრის მეუღლემ განიზრახა თავისი მეტოქის სილამაზე დაეღუპა, მოხუცმა ვარსკვლავთმორიციხელმა მასაც ასევე უჩრჩია მოქცეულიყო. მთავრის მეუღლის მონაქალმა, რომელმაც ჩუმიად მიაყურადა მათ საუბარს, თავის მეგობარ ჰეკას უამბო ყოველივე.

ჰეკა სიხარულით ცას ეწია. იგი სიკეთეს არ დაიშურებს ნილუფარისთვის! რას იტყვის იგი, როცა შეიტყობს, რომ ჰეკამ თავისი შე-

ლოცვით დაუბრუნა ნილუფარს ქალბატონობა მანიბანდჰის სასახლეში?

განთავისუფლდება თუ არა მაშინ ჰეკა? ანდა სად წავა, როცა თავისუფლებას მისცემენ? განა ვინმეს შეუძლია ისევე კარგად მოეპყრას მას, როგორც ნილუფარი ეპყრობა?.. ნუთუ აპაპი ჯერ კიდევ არ მოსულა? ნეტავ რა ხდება იქ ბოლოს და ბოლოს?.. პოეტის სისხლი დაიღვრება...

ჰეკას თავგზა აერია. გულჯავრიანი, წამოდგა და ქალბატონის პალატისაკენ გაემართა. კარში შეიხედა, მაგრამ ვერაფერი გაარჩია. ბნელადა. უცებ ჩუმი ღრქიალი ჩაესმა ყურში. ღრქიალი მალე მიწყდა. გამოჩნდა შუა ოთახში მდგარი ნილუფარი. ჰეკამ უკან დაიხია, მერე ფეხბაკრეფით მივიდა კართან და ფარდა გასწია.

ნილუფარი თავის ხანჯალს ლესავდა და იღიმებოდა. თვალები ბოროტად უელავდა. აი, თურმე რატომ მოესმა ღრქიალი ჰეკას! ნილუფარმა ხანჯალი აიღო და ნეკზე პირი გაუსინჯა. სისხლი წამოუყვიდა. ქალმა გადაიკისკისა; გახარებული იქნევდა თავს და თან თითიდან სისხლს იწოვდა. ჰეკა შეძრწუნდა. უცებ ნილუფარმა შეამჩნია იგი.

— ჰეკა! გამომყევი!

შინ დაბრუნებული პოეტი დიდხანს შფოთავდა. დღეს ყველაფერი აირია მის გონებაში. კვლავ დაუბრუნდა აზრი ცხოვრებას, პოეტს დაკარგული რომ ეგონა. დიდი ხნის სიცხის შემდეგ კვლავ დაჰბერა გრილმა ნიავმა, რომელიც ცხოველმყოფელ წვიმას მოასწავებდა.

ლოგინზე მიწვა. მთვარის შუქი ატანდა ოთახში. პოეტის გული ჰგავდა ნავს, რომელიც ტალღებს ეკითხება: „საით გავცურო?“

თანდათან უფრო კაშკაშებდა მთვარე. მის სხივთა ტბაში ბანაობდნენ შეყვარებულნი და ქვეყნის ამაოებათა და ბიწიერებათაგან იწმენდნენ გულებს.

მაინც რა არის ის ნაპერწკალი, ყოველ გულში რომ დაუშრეტელ ცეცხლს აღანთებს? პოეტის ბაგენი შეთრთოლდნენ, და ლამის მღუმარებაში აჟღერდა ახალი, აქამომდე ყველასთვის უცნობი სიმღერის სიტყვები:

„ნუ დამქროლავ, გრილო ნიავო! ჩემ სატრფოს გზა დაებნა და საალერსოდ სხვას მიენდო. გასწი, გაფრინდი, ჩემი გულის ტკივილი ამცენ და ასე უმღერე: ულმობელო, შენი სატრფო ლამპრის ალივით თრთის ქარში, და, ვინ იცის, იქნებ მალეც ჩაქრეს-თქო!“

აჰ მთვარევ! მშვენიერია, მაგრამ ცივია შენი ნათელი. ვითარცა

მტვერი აღმასის გვერდით, ისე მოჩანს შენი შუქი ჩემი სატრფოს სხივ-  
მფინარ თვალთა წინაშე!

ლამევ მღუმარევ! ჩემს გულს სიყვარული სწყურია, ჩემს ვედრე-  
ბაში ვნება ხშიანობს. ნუ შთამაგდებ მარადიული ტანჯვის ცეცხლში, ნუ  
დააქნობ ჩემი ტრფობის ყვავილს! გწამდეს, არ ვუფრთხი, ლამევ,  
ქარიშხალს, მაგრამ განა შემიძლია მშვიდად ვუტკირო, როგორ მოწყვე-  
ტენ მოტყუებით ლოტოსის ნაზ ყვავილს?..“

მანიბანდჰი და ვენი უგონოდ მთვრალნი დაბრუნდნენ ნადიმიდან.  
მბჟუტავ სანათთა შუქზე მონაქალებმა მსუბუქი სანდლები გააძრეს  
მათ, მერე ლოგინში ჩააწვინეს ვენი და საბანი დაჰხურეს. შაკვანიანი  
მონაქალი მახვილით ხელში დადგა კარებთან.

ნილუფარმა დაინახა ყველაფერი ეს. მან გადახედა ჰეკას, ნაძალა-  
დევად ჩაიციხა და უთხრა:

— წავიდეთ, ჰეკა! წავიდეთ აქედან!

ისინი ფეხაკრეფით მიდიოდნენ, ფარდებს ეფარებოდნენ. დერე-  
ფანში გავიდნენ და ერთი წუთის შემდეგ უკვე ეგვიპტელის ოთახში  
იყვნენ.

ნილუფარმა კარი ჩაკეტა და ჰკითხა:

— იცი, რისთვის მოვიდა ეს ქალი?

ჰეკამ ცნობისმოყვარედ შეხედა ქალბატონს.

— შენ გგონია მართლა მიატოვა პოეტი?

ნილუფარმა ჩაიციხა.

— სიმდიდრე და ფუფუნება ისარივით მოხვდათ თვალში ამ გადამ-  
თიელ დრავიდებს. მათ მოსურვებიათ დაეპატრონონ აურაცხელ გან-  
ძეულობას. მაგრამ მე მათს ოცნებას ცრემლებად ვაქცევ. მოცეკვავეს  
განზრახული აქვს გველიც მოკლას და ჯოხიც მთელი შერჩეს ხელში.  
ეს არ მოხდება! იგი დაკარგავს პოეტს. მხოლოდ ერთი რამაა უცნაუ-  
რი... ქალმა პოეტი შეურაცხყო, ის კი ისევ ძველებურად ისწრაფვის  
მისკენ. — ნილუფარი ჰეკას მიუახლოვდა. — არ გჯერა ჩემი?

— განა შემიძლია თქვენი არ მჯეროდეს, ქალბატონო? განა მყავს  
ვინმე ქვეყნად, თქვენზე ძვირფასი?

— აპაპი?

— მონაქალისთვის მონა ბურჯი როდის ყოფილა!

ნილუფარი ჩაფიქრდა. მერე წარმოთქვა:

— ძვირად დაუჯდება პოეტს ეს შეხვედრა. მე ვიცი, რომ მას დი-

დებულები ვაჭრის აურაცხელ სიმდიდრეზე რჩება თვალი. მოჰენჯო-დაროში ადამიანები კი არა, პირუტყვები ცხოვრობენ; ისინი თავიანთი სიძლიერით იწონებენ თავს, მაგრამ ღმერთებს მათთვის არ მიუციათ ჰკუა-გონება, რომ ადამიანების ტანჯვა გაიგონ. ან კი რად უნდათ ეს? მართალი მითხარი, ჰეკა, ხომ არ გჯერა, რომ პოეტი და მოცეკვავე ერთსულოვნად მოქმედებენ? შენ გგონია, ისინი ასე მიაშიტნი არიან? აჰ, რა სულელი ხარ, რა სულელი! — ნილუფარმა სინანულით გააქნია თავი. — ერთადერთი კაცი ქალაქის მკვიდრთა შორის, რომელიც ღირსია „დიდებულის“ სახელს ატარებდეს, მათხოვრებთან ერთად დაეხეტება ქუჩებში. ფულით გატენილი ტომრები გაჭირვებიდან ვერ იხსნიან კაცს. ვილიბითურს ესმის ეს! სანამ მანიბანდჰს ძირს დასცემდეს, მანამდე იგი მომშხამველ ამბორს უძღვნის დრავიდი ქალის სახით. როცა დიდებული ვაჭარი თავს დააღწევს მის ხევენას, უკვე ღონემიზდილი იქნება.

— ქალბატონო, — მოკრძალებით შეეპასუხა ჰეკა. — იქნებ თქვენ სცდებით? მაშინ სინდისი არ მოგასვენებთ — თქვენ ხომ უდანაშაულო კაცს მოჰკლავთ!

— არა! — მტკიცედ მიუგო ნილუფარმა. — არა, ჰეკა! ეს სულ ვილიბითურის ხრიკებია! შენ არ იცი, რა გაქნილია! ასი ნაბიჯიც არ გეკონდა გავლილი, რომ შეჩერდა და მითხრა: „სად მიგყევართ?“ იმ წუთში იგრძნო რაღაც. მაშინ მე ისე დავუწყე ლაპარაკი, თითქოს შეყვარებული ვიყავი. პოეტი სულ მთლად დაიბნა! — გამარჯვებულის კილოთი თქვა ნილუფარმა და გაიცინა. — ასეა თუ ისე, შესახედავად კი ძალიან მიაშიტნი ჩანს, გეგონება მიწიერი ამბებისა არაფერი გაეგებო. მაგრამ შენ არ იცი, რა ვერაგია ის მეოცნებე! სწორედ მან ჩამოიყვანა დრავიდა ქვეყნიდან მოცეკვავე, — თავბრუ დაახვია თავისი ზრახვებით. მაგრამ ის ქალი სულელია! მხოლოდ მამაკაცთა მოხიბვლა შეუძლია და სხვა არაფერი. ოდესღაც მეც ბევრ რამეს მპირდებოდა მანიბანდჰი. მეც მეგონა, რომ არ მატყუებდა. მაგრამ დღეს თვალი ამეხილა! მამაკაცი ისწრაფვის დაიმორჩილოს ქალი, — ბრაზით განაგრძო მან. — მაგრამ პირადი ღირსებების იმედი როდი აქვს. სიმდიდრით სურს მოისყიდოს, ძალით დათრგუნოს. მე რომ წარჩინებული გვარისა ვიყო, მთელი ეს ტანჯვა-წამება არ მეცოდინება. შენ კიდევ ნახავ, ჰეკა, როგორ გახდება მანიბანდჰი ჩემი მონა; მე მას მოვათვინიერებ და ისე დავისვამ ფერხთით, როგორც იმ ჩიქს, ეგვიპტის დედოფალს რომ ჰყავს. შენ კი სამუდამოდ გაგათავისუფლებ მონობიდან. იმ მოცეკვავეს ისე გავაგდებ აქედან, როგორც რძეში ჩავარდნილ ბუზს გადააგდე-



ბენ ზოლმე... მაგრამ თუ ეს ვერ შეეძელი, მაშინ ნილუფარი, მსგავსად იოგი ქალებისა, სამუდამოდ მიატოვებს სასახლეს და ათავსვარ ზღაპრებს მოუყვება ხალხს ისეთ ილუმალ ძალთა შესახებ, როგორცაა იოგთა დიდი მეფე, ქალღმერთი მაჰამაი და სხვა ამგვარნი. დაე, რისხავდეს აჲ ცოდვილთ მძლეთა მძლე ოზირისი!..

ნილუფარი არ ცხრებოდა. შხამს ანთხევდა, თითქოს ამით საკუთარი სულის გაწმენდა სურსო. ჰეკას ბნელში ჩაკარგული საზარელი უფსკრული ედგა თვალწინ... უცბად ნილუფარი შეჩერდა და შეშლილივით წამოიძახა:

— შენ, ჰეკა? შენ ვისთან იქნები?

— ქალბატონთან...

— ქალბატონთან არა, ჰეკა! ვინც მზად არის ბატონის პირველსავე დაძახილზე თავი გასწიროს, ის მონაა, ძალი, და არა ადამიანი, რადგან მონას და ბატონს არ შეუძლიათ ერთი და იგივე ისურვონ. პირობა მომეცი, ჰეკა, რომ შენს ნილუფართან იქნები, იქნები როგორც ადამიანი და არა როგორც პირუტყვი! აი, შეხედ!

და ნილუფარმა შემცბარი ჰეკას თვალწინ განიძარცვა ტანი, გამოაჩინა უჩვეულო სილამაზის განძი — თავისი სავსე, მომრგვალო მოხდენილი ძუძუები, თეთრად რომ კიაფობდნენ ბნელში. არც ნილუფარს დაურცხვენია და არც ჰეკას, — ისინი ხომ ერთხელ ტყვეთა ბაზარში ტანშიშველნი იდგნენ, მათ ჩაუვლიდნენ ზოლმე მამაკაცები, რომლებიც ათვალიერებდნენ ქალიშვილებს, ტანის ყოველ ნაკვთზე შეავლებდნენ ზოლმე ხელს, გეგონება პირუტყვს ყიდულობდნო. ან კი რად უნდა რცხვენოდეს ქალს თავისი თანასწორი ქალისა?

მაგრამ იმიტომ როდი გაიძრო ტანისამოსი ნილუფარმა, რომ ჰეკასათვის თავისი სილამაზე ეჩვენებინა.

ნილუფარმა ზურგი შეაქცია მონაქალს, და ჰეკას თვალში ეცა ნაჲღევები — შოლტის ნაკვალევი. ეს ნაჲღევები მკვეთრ ზოლებად დასტყობოდა სუფთა, ნაზ კანს და მთვარის შუქზე შავად მოჩანდა. ისინაჲ ჰგავდნენ წარწერებს, რომლებიც ადამიანის მარადიულ გულქვაობაზე მეტყველებდნენ. ჰეკას მოაგონდა, რა მაგრად სცემეს ერთხელ ნილუფარს...

— არც ნილუფარია ქალბატონი, ისიც მონაა! — თქვა ეგვიპტელმა. ჰეკას თვალეზში რისხვა ჩაუდგა. მან თავი ასწია და მხურვალედ შესძახა:

— ნილუფარ!

ეგვიპტელმა გულში ჩაიკრა ჰეკა.

ირიყრაჟა. სასახლის სახურავზე მეწამული სხივები აციმციმდნენ. მთავარ შესასვლელთან მშვიდი, საამო ჰანგები ისმოდა — რომელიღაც მსახური უკრავდა. ოთახებს დილაბინდზე ალაგებდნენ. როცა ბატონს ჯერ კიდევ ეძინა. დილის სიოსაგან გაღვიძებული მანიბანდპი მძინარე მოცეკვავის ცქერით ტკებებოდა. თითქოს საუცხოო სურათიდან ვაღ-მოსულიყო მშვენიერი ქალი და მის გვერდით მიწოლილიყო განსასვენებლად. ვაჭარი ლოტოსის ყვავილივით ნაზ ლოყაზე ვიეალერსა ვენის. მძინარე ქალს ფაქიზ, გადატყეცილ კანზე შეხებისაგან ქუთუთოები შეუთრთოლდა. მანიბანდპს მოეჩვენა, რომ მის თვალწინ გაიშალა კოკორი, საიდანაც ბზუილით ამოფრინდა ფუტკარი. ვენის ნებიერად მილულულ თვალეში დაუმცხრალი ვნება გამოსჰვიოდა, ხოლო მის მკრთალვარდისფრად შეფაკლულ ღაწვებს თითქოს ქვეყნად ყველა აღისფერი განთიადისთვის გამოეტაცათ შუქმფინარობა.

მოკადრებულებით ადევნებდა თვალს მანიბანდპი, როგორ ამოსწია საბნიდან ვენიმ მოთენთილი ხელები, მერე კი იდაყვებზე დაეყრდნო და წამოდგა. პირმოდუშული იყო, დარცხვენილი, ჯერ კიდევ ძილი ჰქონდა თვალეში და არც ღვინო გამოწელებოდა.

— გულისძილით გეძინათ, — უთხრა მანიბანდპმა და გაუღიმა. — ქალბატონს ძილი დაეუფრთხე. ალბათ სასჯელი არ ამცდება ამ დანაშაულისათვის!

— დიდებულო! დასჯა რა სახსენებელია! — გაიცინა ვენიმ.

...ბაღში გავიდნენ, რათა მოახლოებულ სიცხეს მორიდებოდნენ და ხეების ჩრდილს შეფარებულნი, საამო სიგრილით დამტკბარიყვნენ. მაცოცხლებელი სიო დანავარდობდა ხის ტოტებში. მიწა არც კი ჩანდა, ისე დაეფარა იგი ყვავილის მტვერს. ღურვის\* ღეროებზე აღმასივით ციმციმებდა ცვარი. ხასხასა მწვანე ფოთლებში თუთიყუშები ფუსფუსებდნენ:

ისინი შეჩერდნენ კიბესთან, რომელიც ხელოვნური ტბისაკენ ეშვებოდა. იქიდან კარგად მოჩანდა ჰიშკრისაკენ მიმავალი ბილიკი. ვენი

\* ღურვა — ინდოეთში ფართოდ გავრცელებული ბალახი, რომელიც წმიდაა მიჩნეული.

მოიხიბლა გედების კვრეტით, ლოტოსებს შორის რომ დაცურავდნენ. ახლა იგი საბოლოოდ გამოფხიზლდა, მხოლოდ სიმთვრალის მცირედო კვალი შემორჩენოდა თვალებში. იგი დროდადრო ინშორებოდა, რაღა თაისი მოქნილი ტანისთვის სიმკვირცხლე დაებრუნებინა.

მანიბანდჰი ლაპარაკობდა ვენის სილანასეზე, მის ხელოვნებაზე. ხოტბას ბოლო არ უჩანდა.

— ქალბატონო! მე არაფრით არ დავრთავდი ნებას იმ თავხედ მომღერალს, რომ თქვენ შეჯიბრში გამოეწვიეთ, თუკი მთელი ქალაქიც ისევე არ იქნებოდა დარწმუნებული თქვენში, როგორც მე ვიყავი. ხალხს შეიძლებოდა ეფიქრა, დამარცხებას განაჩიდაო. ახლა კი სულ სხვაგვარადაა საქმე. თვითონაც ხომ ნახეთ: მოჰქნჯო-ღაროს ყველა წარჩინებულმა ჯეროვნად დააფასა თქვენი ხელოვნება.

ამ სიტყვებმა ჩააფიქრა ვენი. ნუთუ მან მართლა გაიმარჯვა შეჯიბრში? პოეტმა თქვა, დრავიდი მოცეკვავე დამარცხდაო, ხოლო შემდეგ რა მოხდა, აღარ აგონდებოდა... მაგრამ მას ხომ დიდი პატივით ესალმება ხალხი!

— მალე ისევ იქნება დღესასწაული, ქალბატონო!

— ნუთუ მართლა, დიდებულო?! — გაკვირდა ვენი. — ასე ხშირად იმართება თქვენთან დღესასწაულები?

— დიახ, ქალბატონო! არ გახსოვთ, რა გადაწყდა წუხანდელ ზეიმზე?

— ო, დიახ, დიახ, — მორცხვად დაუდასტურა ვენიმ.

— ხომ არ ინებებთ ახალი სამკაულები გიყიდოთ? მოქნჯო-ღაროს დუქნებში თქვენ რომ მოგეწონებათ, ბევრ ისეთ საქონელს შეარჩევს კაცი, — მოურიდებლად შესთავაზა ვაქარმა. — განთქმულ მოცეკვავეს არ შეჰფერის — მუდამ ერთი ტანისამოსი ეცვას და ერთი და იმავე სამკაულით ირთვებოდეს. ხალხი სასაცილოდ აიგდებს მანიბანდჰს იმისათვის, რომ...

— დიდებულო! — სიტყვა გააწყვეტინა მოცეკვავემ.

— ქალბატონო! — უშფოთველად განაგრძო მანიბანდჰმა. — ნუთუ თქვენ, სამოთხის კართან მდგარს, კვლავ ჯოჯოხეთის ხილვა გიტაცებთ?

— დიდებულო, რას ბრძანებთ? — აღელდა ვენი. — რას ბრძანებთ! მე არაფერი არ მესმის!

— შენ ჯერ ძალიან გულუბრყვილო ხარ, ხოლო სამყარო მეტად რთულია! — უეცრად „შენობით“ დაუწყო ლაპარაკი მანიბანდჰმა. წარბი მოღუშა და ქედმაღლურად განაგრძო: — შენ უნდა იცოდეს: მანი-

ბანდის გემი ჯერ არვის შეუჩერებია თავის ნავსაყუდელში. ვერავითარი ქარიშხალი ვერ შეაშინებს მას, ოღონდ ეს არის, რომ მესაქე სჭირდება...

— მანიბანდჰ! — შესძახა ვენიმ.

და მან იმწამსვე ინანა, რომ ვერ შეძლო შეეჩერებინა პირზე მომდგარი სიტყვა. როგორც მშვილდით ნატყორცნ ისარს ვერ დააბრუნებ, ისე ვერ შეძლო ვენიმ წამოცდენილი სიტყვის უკან წაღება. ქალმა სინანულით მოიფშენიტა ხელები. მან შეხედა მანიბანდჰს და დარცხვენით გაუღიმა.

თავისი სახელის გაგონებაზე მანიბანდჰი ნაზ ხელში სწვდა და ალერსიანად გადაუსვა ხელი. ხელის მხურვალე შეხებაში ელვავა ჩაჩალული — ზოგჯერ იგი ერთმანეთისაგან განიზიდავს ადამიანებს, მაგრამ უფრო ხშირად ძალუმად იზიდავს ერთუროთისაყენ და მაშინ თვით სიკვდილსაც კი აღარ შესწევს ძალა მათი დამორიშორებისა. ვენი ვერ გაინძრა, მისი ხელი ვაჭრის ხელში დარჩა მომწყვდეული. თითქოს რაღაც გრძნებას წაერთმია მისთვის ძალ-ლონე და ნებისყოფა.

— განა მე თავისუფალი ვარ? — ძლივს გასაგონად წარმოთქვა ვენიმ. — დიდებულო...

— მანიბანდჰი დამიძახე! — სიტყვა გააწყვეტინა ვაჭარმა.

— მანიბანდჰ! უნდა გითხრა, რომ... — მას დაწყებული ფრაზა აღარ დაუმთავრებია, მხოლოდ ესა თქვა: — მე თავისუფალი არა ვარ!..

— განა შენ ვინმეს მონა ხარ? — გაიკვირვა მანიბანდჰმა, მერე ჩაფიქრდა და დაუმატა: — ის დრავიდი ჭაბუკი ღარიბია.

მანიბანდჰმა ოდნავ მოუჭირა ხელზე ხელი, და მისი უჩვეულო ძალის შეგრძნებამ კვლავ სული აუღელვა ვენის. აქამდე მისთვის მხოლოდ ერთი კაცი არსებობდა, — ეს იყო პოეტი. მაგრამ ვენის ახასიათებდა რაღაცნაირი ქალური გულჩვილობა, რომელსაც ცოლქმრულ ცხოვრებაში მისი ძალდაუტანებელი ქცევა და ნებისყოფის სიმტკიცე ავსებდა. დღეს კი იგი იდგა იმ ადამიანის წინაშე, რომელიც სულ მთლად ძალად იყო ქცეული. მანიბანდჰი პასუხს არ დაელოდა და ფიქრს მიეცა. მოცეკვავის ხელი დაუსხლტა ხელებიდან. ვენიმ სუსტი, მავედრებელი ხმით წარმოთქვა:

— შენ არ გიყვარვარ, მანიბანდჰ?

— მიყვარხარ! — მკაცრად უპასუხა მან.

ვენი შეერთა. ნუთუ შეიძლება ასე გულცივად წარმოთქვას კაცმა ეს ალერსიანი და აღმასივით მოციმციმე სიტყვა?! ამას იგი არ ელოდა. ვენის სურდა, რომ დიდებულ ვაჭარს გული გადაეშალა მისთვის, რომ

სიოს ნავარდის მსგავსი თრთოლვა დაუფლებოდა მის სულს. გველივით წამოყო თავი ეჭვმა ვენის გულში.

— მე პოეტი მიყვარს, დიდებულო, — ჩუმაღ თქვა მან. — შენ მე გიყვარვარ, მე კი პოეტი მიყვარს!

ხმა ისე უთრთოდა, როგორც უმანკო ქალწულს, მამაკაცი რომ შეახებს ხელს.

მაგრამ მანიბანდჰი კვლავ დიდებულ უშფოთველობას ინარჩუნებდა, და ამან განაცვიფრა ვენი!

— პოეტს ვუყვარვარ მე! — კვლავ უთხრა მან.

— არა, არ უყვარხარ! — შესძახა ვაჰარმა.

— ეგ რა სთქვი, მანიბანდჰ? — წარმოთქვა აღელვებულმა ვენიმ. — ნუთუ შეიძლება ყველაფერი, რაც ჰემშარიტია ცხოვრებაში, ასე უბრალოდ გამოაცხადო სიცრუედ? ნუთუ ასე იოლია დაარღვიო ის წმიდათა წმიდა, რასაც აქამომდე ეგზომ ღრმა რწმენით ვინახავდი გულში? რა სთქვი, მანიბანდჰ? შენ გსურს ურწმუნოების ეკალგესლეთ დამიჩხვლიტო გული! რით შეგიძლია დაადასტურო შენი ნათქვამი?

— მანიბანდჰს ადამიანური სისუსტის გამოვლენა ჰემშარიტებად არასოდეს მიუჩნევია! — უთხრა ვაჰარმა. — მას მხოლოდ გონივრული ქცევა სწამს! ყველაფერი, რასაც გონების მახვილი შეეხება, ბანანით იჭრება. და რაგინდ საამო და მოხდენილიც არ უნდა იყოს ტყუილი, ადამიანის ჰკუა უკვალოდ გაფანტავს მას. არც სიმდიდრეს, არც ვნებას, არც სილამაზეს — არაფერს არ ძალუძს დაფაროს სიცრუე! შენ მეუბნები, ურწმუნოების გესლიანი ეკლები ჩამასეო გულში? შენ სცდები, მშვენიერო! პირიქით, მე მსურს შხამიანი ეკალი ამოგაძრო გულიდან, და ამიტომაც არ გასვენებს მწარე ტკივილი. შენ ისე იქცევი, როგორც ადამიანი, რომელსაც ჰრილობიდან ისარს აცლიან, ის კი გაიძახის: ხელს ნუ ახლებთ, დამაცათ მოგკვდეთ! ეგ ეკალი თუ არ ამოგაძრე, — გაცხარებით განაგრძო მანიბანდჰმა, — ტკივილი არასოდეს დაგიამდება. გულში ჩარჩენილი ხიწვი უფრო საშიშია, ვინემ ფეხში შესობილი ეკალი, რომელიც სიარულს უშლის მგზავრს. ბრძენად ის თქმულა, ვისაც წუთიერი ტანჯვა მოუთმენია და გულში ჩარჩენილი ეკალი მოუშორებია. გული მოიეც და მომისმინე! სწორედ ამ ეკალივით ჩასობია პოეტი შენი ცხოვრების ბედნიერებას. იგი, ვითარცა გალიაში მომწყვდეული უცხო ფრინველი, ნატრობს ლომივით ძლიერი იყოს, მაგრამ ძალი არ შესწევს. თავისი უძლურებით გაავებულს, აზრად აქვს მოსრას ყოველი არსი, დაადუმოს ხმატკბილად მოდუდუნე ინდის ტალღები და ქვად აქციოს ისინი, დაამსხვრიოს ცად მოფენილი ვარსკვლავები.

მაგრამ ამოდ დაშვრება, რადგან მხოლოდ ჰუმანიტად დიდი ადამიანების ხვედრია ძალაუფლება. ვენი! მაჰამის ფერხთა ნატერფალს ვფიცავ, ვერც იოგთა დიდი მეფის თაყვანისცემით, ვერც თვით ღვთისადმი მსახურებით, ვერც მწირთა — ტყეებსა და გამოქვაბულებში მცხოვრებთა — განდგომით ვერ ვეწევით იმ სიამეს, რასაც განიჭებს მარტოოდენ იმის შეგნებაც კი, რომ ვილაყას ჰუმანიტად ვუყვარვართ!

— დიდებულო! რა მეშველება? — ჰკითხა აცახცახებულმა ვენიმ. — ნუთუ ეს მართალია? არა, არა. მითხარი, მანიბანდჰ, გვედრები, მითხარი, რომ ეს ასე არ არის, რომ შენ შეეცდი!.. პირობას გაძლე. ყველაფერს გაპატიებ...

მანიბანდჰს კამარის შესაკრავად შემართული გველივით შეეკუმშა გული. შეურაცხყოფილმა, უკანასკნელად შეუტია:

— პოეტი ისე გაწევს თავზე, როგორც ამომავალ მზეს — შავი ღრუბელი. ღრუბელი იგი უნდა გაიფანტოს, — წვიმის წვეთებად გარდაიქმნას, ციდან მიწაზე ჩამოვიდეს და ხალხის ფეხქვეშ მოექცეს. ღრუბელი იგი უნდა დაიშრიტოს! ეს თვით შენ უნდა გააკეთო!

— მაგას რაზედ ამბობ? — შესძახა ვენიმ.

— მშვენიერო! შენ ერთი გამოხედვით ძალგიძს დაიმონო კაცის გული. მაგრამ ახლა თვალთმაქცური მოკრძალება როდია საჭირო, რომლითაც იმორჩილებ მამაკაცს, შენს მოსახვევნად რომ მოიწევს, არც მზაკვრული შეხედვა. სიმამაცეა საჭირო! და მაშინ, მსგავსად ცეცხლისა, ყველაფერს აღგვი, რაც წინ აღგიდგება! თვით ლითონიც კი, რომელიც ესოდენ იოლად ანაფოტებს ხეს, ცეცხლთან შეხვედრისას ვარვარდება და წყალივით თხიერი ხდება. შენ გზიდან უნდა ჩამოიცილო პოეტი!..

— მანიბანდჰ! — შეძრწუნდა ვენი. — ეგ რა სთქვი? კაცი მოვკლა?

— ეს მკვლელობა როდია, მშვენიერო. — უთხრა მანიბანდჰმა და ლომის მომცრო ქანდაკების წინ გაჩერდა. — ადამიანი იმისათვის მოღის ამქვეყნად, რომ ლხენა-სიამეს დაეწაფოს, ეს კი ათასგვარ ხარკს ითხოვს მისგან. მოჰენჯო-დაროს მკვიდრნი ოდითგანვე სცემდნენ თაყვანს ლხენა-სიამეს. მათი დათმენა მხოლოდ ფილოსოფიაა და სხვა არაფერი.

— არა, არა, არ შემიძლია! აბა როგორ მოვკლა პოეტი იმ ხელებით. რომლებითაც ვიკრავდი გულში, რომლის ფეთქვაშიც ჩამესმოდა მომჯადოები წყარუნს ფეხებზე შებმული რგოლებისა? ჩემივე ხელებით მოვკლა პოეტი, რომლის ყოველ ძარღვშიც ჩემდამი სიყვარული ჩქეფს? ნუთუ მე შევძლებ განვურღვიო მკერდი და იქიდან ამოვაცალო

კასისხლიანებული გული? არა, ეს შეუძლებელია! დიდებულო მანიბანდჰ, ეს შეუძლებელია...

მაგრამ ვაჭარმა ღიმილით გააწყვეტინა სიტყვა:

— არა, მშვენიერო, შეიძლება! და ამას გააკეთებ კიდევ. გრძობათა მხურვალეობა გავიწყებს საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვას. ყური მიაპყარ შენს გონებას! როგორც ყოველმა მოკვდავმა, შენც უნდა გაიღო ხარკი იმისათვის, რასაც ამქვეყნად სჩადისხარ... მანიბანდჰს ეზიზნება ყველა ის, ვინც დანაშაულის ჩადენაზე ბოროტმოქმედად ავლის თავს. მხოლოდ ლაჩარნი ფიქრობენ იმაზე, თუ რით იმართლონ თავი. ბოლო ის, ვისაც თანა სდევს სხვათა მიმართ უპირატესობის გრძობა, რაც მბრძანებელთა ქეშმარიტი თვისებაა, თავის ყოველგვარ საქციელს კანონად მიიჩნევს და, მაშასადამე, ამართლებს კიდევ... — უეცრად მანიბანდჰმა მთავარი გასასვლელისაკენ მიმავალ ბილიკზე მიუთითა. — აბა, იქით გაიხედე!

ქიშკარს ორი ქალი უახლოვდებოდა. ვენიმ მაშინვე იცნო ისინი. ერთი ნილუფარი იყო, მეორე — ჰეკა. ვენიმ თვალი გააყოლა მათ. ქალები ქიშკართან მივიდნენ. ნილუფარს დიდი პატივით მიესალმნენ ბჭესთან მდგარი გუშაგები. ეგვიპტელი მართლაც ძალიან ლამაზი იყო. ვენის მისი კანის უჩვეულო სითეთრე ეცა თვალში. მან უნებურად დაისედა თავის შავგვრემან მკლავებზე.

— იცი, სად მიდიან ისინი? — ჰკითხნ მანიბანდჰმა და თან მრავლისმეტყველი მზერა მიაპყრო.

ვენი ვერ მიხვდა, რა იმალებოდა ამ მზერაში. ის მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ ეს ეგვიპტელი ლამაზმანი ჯერ კიდევ ცხოვრობდა აქ, ამ ფუფუნებასა და პატივისცემაში, და რომ დიდებული ვაჭარი ოდნავადაც არ ზღუდავდა მის თავისუფლებას. რა საოცარი კაცია! ვაითუ ამ ფუტკარს სხვადასხვა ყვავილზე ფარფატის გარდა სხვა რამეც სურს... თვით მანიბანდჰს ხომ არ მოუგზავნია სადღესასწაულოდ? კი მაგრამ, მანიბანდჰი ხომ კეთილად არის განწყობილი მისდამი! მაშ რატომ ცხოვრობს აქამდე ნილუფარი მის სასახლეში. რატომ ჰვამს მის პურს?..

ვენის აღარ შეეძლო ამაზე ფიქრი. აფორიაქებულმა ჰკითხა:

— სად მიდიან?

— პოეტთან!

პოეტთანო! ნუთუ ამას თვით დიდებული ვაჭარი ამბობს? თან ოდნავადაც კი არ შემცბარა? ის ცრუობს!

— შეგიძლია დაამტკიცო შენი სიზარტლე, დიდებულო? სადა გაქვს ჰაგის საბუთი? — შესძახა ვენიმ.

— საბუთი? — გაიცინა მანიბანდძმა. — მშვენიერო, მე არ ვცრუობ. ახლავე დარწმუნდები ამაში. მე უკვე კარგა ხანია მაცნობეს ნილუფარისა და პოეტის ტრფილის ამბავი, მაგრამ ალბათ ნილუფარს ჰგონია, რომ მე ბაიბურშიაც არა ვარ. მოიცადე, ყველაფერს შენი თვალთ ნახავ...

ვენიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ვაჟარმა ხელი ხელს შემოჭკრა, და მაშინვე მოისმა ხმა: „გახლავართ, ბატონო!“

მათ წინაშე წარდგა აპაპი. ვენი განცვიფრდა — ამ განმარტოებულ ადგილას მსახური ასე ჩქარა როგორ მოვიდაო. მას აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მანიბანდძი ფრთხილი იყო და მცველ მონათა გარეშე ფეხს არსად დგამდა:

აპაპი ბატონის წინ იდგა და მოკრძალებით დაეხარა თავი. ვაჟარმა გულგრილად ჰკითხა:

— საით წავიდნენ ის ქალები?

— მონამ რა იცის, ჩემო ბატონო!

მანიბანდძმა უნდობლად შეხედა, მერე უბრძანა:

— წადი და ყველაფერი გაიგე!

აპაპი თვალს მიეფარა.

— ძალი! — აღმოხდა ვაჟარს. — დღეიდან მონებს მხოლოდ მოჭენჯო-დაროში ვიყიდი!

„რამ გააბრაზა ასე იმ მონაზე?“ — გაოცდა ვენი, მაგრამ კითხვა ეერ გაბედა.

— მშვენიერო! — მიმართა მანიბანდძმა. — როგორც ვატყობ, გგონია, რომ მანიბანდძი შენს მოსატყუებლად ათასნაირ ზღაპრებს იგონებს. შენ გულუბრყვილო ხარ, ვენი. შენ არ იცი, რა ბინძურია ეს ქვეყანა, შენ ჯერ კიდევ მაიას\* ქსელში ხარ მომწყვდეული.

მოცეკვავეს არ უპასუხია. ახლა მოვა ზანგი. ნეტავ რას იტყვის? გული კიდევ უფრო აუჩქროლდა. ნუთუ მანიბანდძის ნათქვამს დააღასტურებს? რას იტყვის?

ბოლოს აპაპი დაბრუნდა.

— ბატონო, — დაიწყო მან, — ყველა მსახურსა ვკითხე, მაგრამ არავინ არაფერი იცის. მხოლოდ ერთმა მეეტლემ მითხრა, მონა საინდჰავმა პატივცემული ქალბატონისთვის შეკაზმავო ეტლი. ეზოში ნუ შემოხვალ, აქ დამიცადეო, ასე უბრძანებია. მე თვალი მოვკარი ეტლს. მაგრამ ისინი უკვე შორს იყვნენ...

\* მ ა ი ა — ილუზია (ძველინდ.).



— იტყვი თუ არა ბოლოს და ბოლოს, რასაც გეკითხები? —  
სიტყვა გააწყვეტინა მანიბანდძმა.

აპაპმა თაყვანი სცა.

— მომიტევე, ბატონო. მე მხოლოდ ის ვიცი, რაც მეეტლისაგან  
გავიგონე... ისინი ღრავიდ პოეტთან გაემგზავრნენ...

— სიცრუეა!.. — წამოიყვირა განრისხებულმა ვენიმ. — უტიფარი-  
სიცრუე! ყველაფერი საგანგებოდაა მოწყობილი! ეს შეუძლებელია! ეს  
არ შეიძლება მოხდეს!

აპაპმა შიშით უკან დაიხია. კმაყოფილმა ვაჭარმა გადაიხარჩარა.  
უცებ მოცეკვავე დაშვილდა და ვედრებით უთხრა:

— მანიბანდძ!

ვაჭარმა იმწამსვე შეწყვიტა სიცილი, ხოლო აპაპმა კიდევ ერთი-  
ნაბიჯი გადადგა უკან. ვენი ზანგს მიუბრუნდა და უთხრა:

— წადი!

აპაპმა უკან-უკან დაიხია, მაგრამ, მწვანე ფარდას რომ გასცდა,  
შეჩერდა. გულმა ბაგაბუგი დაუწყო. ეს შეიძლებოდა ცუდად დამთავ-  
რებულისო მისთვის. დიდებულ ვაჭარს რომ ცოტა წინდანედულება-  
გამოეჩინა, აპაპს უთუოდ ძაღლებს დააგლეჯინებდა. მაგრამ ზანგს  
ჰკეას სიყვარული არ უშვებდა აქედან. აპაპმა გაიგონა:

— რახან აგრეა, მე მოვკლავ პოეტს! დღესვე გავაფრთხოებინებ-  
სულს... მანიბანდძ, მომიტევე! დღევანდელ დღემდე გველი ბაჭრად  
მიმაჩნდა...

— კი მაგრამ, სად შეხვდები პოეტს?

მოცეკვავემ მაშინვე ვერ უპასუხა.

— სახლში მივალ... — თქვა მან ბოლოს.

— არა, აგრე არ შეიძლება, ვენი, — მცირე ხნის ფიქრის შემდეგ  
შეეპასუხა მანიბანდძი. — ვიცი! — წამოიძახა უცებ და სახე სასიხარუ-  
ლო აზრმა გაუბრწყინა. — საღამოს მანიბანდძი მონათა გარეშე გამოვა-  
ქუჩაში, როგორც უბრალო მოქალაქე. დღესვე მოვაწყობ. ამაღამ  
ინდის ნაპირას შეხვდები პოეტს.

— ეგვიპტელი მონაქალის საქმე როგორღა იქნება? — ჰკითხა-  
ვენიმ.

— იმაზე მე თვითონ ვიზრუნებ, მშვენიერო! შენ, მხოლოდ შენ  
იქნები მთელი ჩემი სიმდიდრის პატრონი, ყველა ჩემი უფლების ღამ-  
წესებელი, ჩემი სიცოცხლის განმგებელი!..

აპაპს თვალთ დაუბნელდა...

როცა ნილუფარი დაბრუნდა, მანიბანდძი უკვე მზად იყო გასამ-

გზავრებლად. ნილუფარისათვის არაფერი უკითხავს, თითქოს მისი წედანღელი არყოფნა არც შეუმჩნევიანო, და თვითონ შევიდა საჯინი-ბოში. საინდჰავს ახლახან გამოეშვა კანეჩები და ერთი იღლია თივა დაეყარა მათთვის.

— საინდჰავ! — დაუძახა ვაჭარმა.

— გახლავარ, ბატონო.

— საიდანაც ქალბატონი დაბრუნდა, იქ წამიყვანე.

საინდჰავმა თვალეხი აახამხამა.

— სხვა ეტლი შეები! — უბრძანა გაბრაზებულმა მანიბანდჰამა.

— როგორც ბატონს ნებავს!

საინდჰავმა კამეჩები შეაბა და მალე ისინი მთავარი ჰიშკრიდან გავიდნენ. ზანზალაკების წყარუნი რომ გაიგონა, ცნობისმოყვარეობითა და მოუთმენლობით შეპყრობილმა ვენიმ ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო. მერე, სიარულით დაღლილი, ლოგინზე მიწვა და ძილს მიეცა.

...მანიბანდჰს არ დაუკაკუნებია, მან გაბედულად შეალო კარი და დაიძახა:

— პოეტო!

ვილიბჰითური შეკრთა და საწოლიდან წამოიწია. ამას ვის ხედავს? სულ ცოტა ხნის წინ აქ ნილუფარი იყო, ახლა კი... ის ხომ იფიცებოდა, რომ თავისი მოსვლის ამბავს არავის გაუმჟღავნებდა!

— მშვიდობა შენდა, დიდებულო! — მიესალმა იგი ვაჭარს, ისე რომ ლოგინიდან არ ამდგარა.

მანიბანდჰს გულში მოხვდა ეს, მაგრამ თავი შეიკავა და დაჯდა.

— მიატოვე? — ჰკითხა მან.

— ვინ, დიდებულო ვაჭარო?

— მე ყველაფერი მიაბზო ნილუფარმა. იმ ქალმა, წედან აქ რომ იყო.

პოეტი შეკრთა. ნილუფარს ყველაფერი უამბია მანიბანდჰისთვის! ყურმა ხომ არ მომატყუა? მაგრამ ვაჭარს ისე მშვიდად ეჭირა თავი, რომ მის სიტყვებში დაეჭვება ძნელი იყო.

— ვინ მივატოვე, დიდებულო ვაჭარო? — კვლავ ჰკითხა პოეტმა.

— ის, ვინც სინანულის გარეშე დათმო შენი გულისთვის ყველა და ყველაფერი — დედ-მამა, სახლ-კარი, ზნე-ჩვეულება, მშობლიური მიწა... მას შეეძლო კიკათის მმართველის მეუღლე გამხდარიყო, ამის ნაცვლად კი ცრემლებში იხრჩობა... მე თავშესაფარი მივეც იმ მოცეკვავეს, მის გულს ხომ ფულით ვერ მოისყიდო! როგორ შესძელ ასე შეუბრალებლად მისი მითოვება?

— ნეთუ ეს მართალია? — შესძახა პოეტმა. — დიდებულო! არ კიცი. რა ვიფიქრო. მე არ მჭერა, დიდებულო!

— სწორედ ამიტომაცაა ის ქალი უბედური, — თქვა მანიბანდჰმა და წამოდგა. — მე არ ძალმიძს დავეპატრონო სხვათა ბედს, სხვათა ბედ-ნიერებას. მე მხოლოდ ის ვქენი, რაც ჩემმა მოვალეობამ მიკარნახა.

და იგი მტკიცე ნაბიჯით გაემართა გასასვლელისაკენ.

— დიდებულო! ყური დამიგდეთ! — მიადახა ვილიბპითურმა.

— რა გინდოდა გეთქვა? — მიუბრუნდა მანიბანდჰი.

— შემიძლია თუ არა ერთხელ მაინც ვნახო?

— თუ გნებავს, დღეს, ინდის ნაპირას!

— მაშ დღესვე იყოს, დიდებულო! და თუ თქვენ მართალი მითხარით, მე გამოვისყიდი დანაშაულს! განა შეიძლება ქალღმერთის განაწყენება!

— მაგრამ... — დაიწყო ვაჰარმა, ნერე კი მტკიცედ გაწყვიტა სიტყვა: — კარგი! ვფიქრობ, შენ შეხვდები მას.

და მანიბანდჰი კარისკენ გაემართა. ვილიბპითურმა გარეთ გამოაცილა. იმავე მეეტლემ მათრახი გადაუტყლაშუნა კამეჩებს. და ეტლი სწრაფად გაქანდა გზაზე. აი, თურმე რა განუზრახავს ნილუფარს — ვენის უნდა დააშოროს! უცებ მას გაახსენდა, ეგვიპტელს რომ შეჰპირდა, დღეს ინდის პირას შეგხვდებო. ესე იგი ნილუფარი და ვენი ერთდროულად მოვლენ? განა ეს ექვს არ აღუძრავს ორსავე ქალს? ორივეს ხომ შესძულდება პოეტი? რას ეტყვის იგი მათ?

საით უნდა გასცუროს ნავმა, რომელსაც ორი მხრიდან აწყდება ქარი და დაღუპვას უქადის? ვენის ნახვა ვილიბპითურის წმიდა ვალია, მაგრამ ნილუფარს როგორღა მოექცეს?

...როცა ეტლმა კარგა მანძილი გაიარა, მანიბანდჰმა გასძახა:

— მეეტლევ!

— გისმენ, ბატონო!

— ჩვენ რომ აქ ვიყავით, საიდუმლოდ უნდა დარჩეს. თორემ...

— კეთილი, ბატონო, — სწრაფად მიუგო მეეტლემ. იგი შესანიშნავად მიხვდა, რას ნიშნავდა ეს „თორემ“.

მანიბანდჰმა უბრძანა, ამენ-რას სასახლეში წამიყვანეო. მოხუცი ეგვიპტელი ჭიშკართან გამოეგება.

— მშვიდობა შენდა, დიდებულო! — თავაზიანად წარმოთქვა მან.

ო-ჰა მონამ აქლემის ბეწვის ხალიჩა გაუგო ფეხქვეშ, და ვაჰარები პალატში შევიდნენ.

მასპინძელი და სტუმარი დასხდნენ. ამენ-რა ათას რაჰმეზე ესაუბრა მას, მერე კი წუხანდელი ზეიმი გაიხსენა.

— დიდებულო! ასეთ საკვირველ დღესასწაულს არასოდეს დავსწრებოვარ...

მონამ ღვინით სავსე ჭურჭელი და ფიალები ჩამოდგა და განშორდა. მანიბანდჰი დაეთანხმა მასპინძლის ნათქვამს და უთხრა:

— პატივცემულო ამენ-რა! ჩვენ კიდევ გავმართავთ იმგვარ დღესასწაულს. ოღონდ ისე ხალხმრავალი აღარ იქნება.

— ძალიან კარგი! — გაუხარდა ეგვიპტელს. — ჩემი გემები ალბათ ახლა მეწამულ ზღვაში არიან. როგორც კი ისინი დაბრუნდებიან, დიდებულო, მე თქვენ მოგართმევთ ძღვენს, რომელიც დიდ სიხარულს მოგგვრით!

მან ღვინით აღვსილი ფიალა გაუწოდა სტუმარს.

მანიბანდჰმა ფიალა გამოართვა და ხმადაბლა უთხრა:

— პატივცემულო ამენ-რა! თქვენ მიმიხვდით სურვილს. მე თქვენგან ჩემთვის ყველაზე ძვირფას საჩუქარს ველი!

მანიბანდჰმა აუჩქარებლად დაცალა ფიალა, იატაკზე დაფენილ ჭიქის ტყავს ხელი გადაუსვა და განუცხადა:

— მონა მჭირდება!

— მონა? — გაიკვირვა მასპინძელმა. — ნუთუ დიდ ქალაქში ასე ძნელია მონის ყიდვა?

მანიბანდჰს გაეცინა:

— თქვენ მართალი ხართ, პატივცემულო ამენ-რა, ისეთი მონების ყიდვა, როგორც მე მყავს, ძნელი არ არის. მაგრამ მათ ვერ დაენდობა კაცი. მე მჭირდება ერთგული მონა, ისეთი, როგორც მხოლოდ ფარაონს ჰყავს; თავდადებული და იმის შემძლე, რომ საჭირო შემთხვევაში საგულისნმო რჩევა მომცეს.

— რა გაეწყობა, მაგისტანა მონას იშოვის კაცი, — მცირე ხნის ფიქრის შემდეგ მიუგო ამენ-რამ, — მაგრამ ცოტა ჯახირი როდი მოუწდება ამას.

მანიბანდჰმა გაიცინა.

— მაჩუქეთ თქვენი ყველაზე ერთგული მონა, სამაგიეროდ კი წაიყვანეთ იმდენი მონა, რამდენსაც ისურვებთ, — შესთავაზა მან.

ამენ-რამ კმაყოფილებით გადაისვა წვერზე ხელი და უარი ჰკადრა:

— დიდებულო! რად მინდა ისეთი მონები, რომლებსაც ვერ დავენდობი? მე თქვენ გიშოვით ერთგულ მონას. საღამოს ბაიადს უნდა შევხვდე, და იგი, უეჭველია, კარგ რჩევას მომცემს.

— თქვენ ჰეშმარიტი სიტყვა წარმოთქვით, — უთხრა მანიბანდ-ჰმა. — ბაიადს ღვთისაგან უებრო ნიჭი აქვს მომადლებული, ამაში აუეთონაც დაერწმუნდი.

— სწორედ ამიტომაა ჩემი მეგობარი, — ამაყად თქვა ამენ-რამ. —  
ორივეს გავცინა.

აპაჰმა ანიშნა ჰეკას, რომ მასთან საუბარი უნდოდა. ისინი ჰეკას სენაკში დაყრილ ჩალაში შეძქრენ, და აპაჰმა ჩურჩულით უამბო, რა-საც შემთხვევით მოჰკრა ყური.

— ეს წუთია გავიგე. — ეჩურჩულებოდა იგი, — რომ დიდებული ვაჭარი საინდჰავთან ერთად გაემგზავრა პოეტთან და ჯერაც არ დაბრუნებულა. ჰეკა! რა ეშველება ახლა ნილუფარს? ეტყობა, ნილუფარი ჩვენც აღარ გვენდობა. ნუთუ მიგვატოვებს?

ჰეკა შეაშინა სატრფოს სიტყვებმა. მას ახლა კვლავ დასტრიალებდა თავს უცნობი მომავლის ავისმომასწავებელი აჩრდილი.

— აპაჰ! ხომ არაფერი წაგიმატებია? — შეეკითხა ქალი.

აპაჰმა სილა გააწნა.

— სულელი ხარ! — ბრაზით წასჩურჩულა მან. — შენთან ლაპარაკი წყლის ნაყვია. აბა, რა ხეირს ვნახავ იმით, რომ ათასგვარი ზღაპრებით დაგაშინო? მართლაც, აჯობებდა, დიდებულისთვის მეკითხა რჩევა!

ჰეკამ აწითლებულ ლოყაზე მოისვა ხელი. რაკი მისმა მოტრფიალე აპაჰმა სილა გააწნა, ამიტომ მის სიმართლეში ეჭვი აღარ ეპარებოდა. მაგრამ მას არ შეეძლო გადაეწყვიტა, რა მოემოქმედა.

— რა ვქნათ, აპაჰ? — თქვა მან. — მოდი ნილუფარს ვუამბობ ყვე-  
ლაფერს. დაე, როგორც ენებოს, ისე მოიქცეს.

აპაჰი დაეთანხმა.

ნილუფარმა თავიდან ბოლომდე მოუსმინა ჰეკას და კინალამ გრძნობა დაკარგა. რეტდასხმულივით იჯდა საწოლზე და უაზროდ მიშტერებოდა სივრცეს. ჰეკამ წყლით სავსე ფიალა მიუტანა და ტუჩებზე მია-დო. ნილუფარი ხარბად დაეწაფა წყალს, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ყლუპის დაღვევა შეძლო. პირისახე აუვარდისფერდა. თუმცა კვლავ თვალდაჭყეტილი მიშტერებოდა სივრცეს. ჰეკა შიშისაგან გაფითრებულიყო. იგი ნილუფარს მისჯდომოდა, მისი თავი კალთაში ჩადო და მარათი უნიავებდა ქალბატონს.

— წყალი! — ძლივს გასაგონად აღმოხდა ნილუფარს.

ჰეკამ ფიალა შეავსო და კვლავ ტუჩებთან მიუტანა ეგვიპტელს.

ნილუფარს თვალები დაბინდოდა. „მე მომკლავენ, — ფიქრობდა

იგი. — აღსასრული შორს აღარაა...“ მას ეჩვენებოდა, რომ დაძაპვისაგან საცაა ძარღვები დააწყებოდა. თავი დამძიმებული ჰქონდა...

კარგა ხანი გავიდა, სანამ ცოტა მომჯობინდებოდა. მეტი ბრძან

— ჰეკა! აპაპს დაუძახე!

ჰეკა წავიდა და ნილუფარს კიდევ უფრო აუჩქროლდა გული. ისევ დაებინდა თვალში ყველაფერი. როცა უეცრად ნგრევას იწყებს ყოველივე, რის რწმენაც ჰქონდა ადამიანს, მას აღარ ძალუძს შეინაგროს თავი. ნილუფარი ლოგინზე მიწვა. ბოლოს გონს მოვიდა. მის ფერხით აპაპი იჯდა. ნილუფარმა გააშეორებინა ნათქვამი. როცა აპაპმა თხრობა დაასრულა, ქალბატონმა უთხრა:

— კარგი, წადი!

მლიმარე აპაპმა თეთრი კბილები გამოაჩინა და განშორდა. ნილუფარი კვლავ ფიქრს მიეცა. ნუთუ ტყუილუბრალოდ შეეპარა პოეტში ეჭვი? მაშინ იგი არაფერში არ არის დამნაშავე, არც მისი მტერია? მისი მზაკერული ზრახვაც მხოლოდ ნილუფარის გონების ნაყოფია? ბუხულა, რომელიც ოდნავ ხელის კვრახვაც კი დაინგრა?

ჰეკამ კალთაში ჩაიდო ქალბატონის ფეხები და ნაზად უსვამდა ხელს.

— ჰეკა! — შესძახა ნილუფარმა. — მაშ მე სულელი ვარ?..

— არა, — მიუგო ჰეკამ. — თქვენ განრისხებული იყავით მხოლოდ. გაბსოვთ, პოეტი არც კი წამომდგარა თქვენთან შეხვედრისას: მისთვის სიმდიდრეს ფასი არა აქვს.

— მანიბანდჰმა სამუდამოდ მინატოვა, — თქვა ნილუფარმა და ამოიოხრა. ყელში ცრემლი მოაწვა და ხმა აუთრთოლდა.

— ნუთუ ყველაფერი დაკარგულია? — წამოიძახა ჰეკამ.

— აგრეა, ჰეკა! შენ ხედავ, რომ მანიბანდჰს ჩემი და პოეტის მოკვლა აქვს განზრახული, განა ახლა ჩემი აქ დაჩენა შეიძლება?!

თვალეში უღონობისა და უსასოობის ცრემლი უბრწყინავდა.

მაგრამ არა, მას არ სურს დანებდეს! ტყუილად როდი უჩქეფს ძარღვებში ეგვიპტური სისხლი. ნილუფარმა ხელები დამუშტა და ლოგინიდან წამოხტა.

— ეს არ მოხდება! მე ნებას არ მივცემ ასე მომიქცეს! ამაღამდელი ღამე ყველაზე საშინელი იქნება ჩემს ცხოვრებაში.

— რა ჩაიფიქრეთ, ქალბატონო? — შეეკითხა შეშინებული ჰეკა.

— გაჩუმდი! დღეს ის მოცეკვავე ვერ შეძლებს განახორციელოს თავისი განზრახვა.

ნილუფარი დადუმდა. მერე განაგრძო:

— ოზირის მხოლოდ ერთი იარაღი უბოძებია ჩემთვის ამქვეყნად ბედნიერების მოსაპოვებლად, — ესაა ახალგაზრდობა და სილაპაჴე. და მე არავის წინაშე არ მოვიხრი ქედს, სანამ ამ იარაღის მფლობელი ვარ! როცა მას დავკარგავ, მაშინ აღარც ჩემი სიცოცხლე ეღირება... წადი! — მიმართა ჰეკას. — შებინდებისას გამაღვიძე! ძალიან დავიღალე და მეძინება. თუ ვინმემ მოისურვოს აქ შემოსვლა, გამაფრთხილე!..

როცა ჰეკა წავიდა, ნილუფარმა ქარქაშიდან მახვილი ამოიღო და ბალიშქვეშ შეინახა, სარტყელში კი ვეფხვის ბრქვალის გაირჭო. მხოლოდ ამის შემდეგ მიესვენა საწოლზე, მაგრამ დაძინება მაინც ვერ შეძლო.

მიმწუხრის რუხი ჩრდილები წვებოდნენ უკვე ქალაქის თავზე, როცა მანიბანდჰი ამენ-რას სასახლიდან დაბრუნდა. მცველები საგუშაგოს შეცვლით იყვნენ გართულნი, და ვერავენ შეაჩნია მისი მოსვლა. იგი ჩუმად შევიდა თავის ოთახში და დიადემა მოიხადა. ტაში შემოკრა, მაგრამ არავინ გამოცხადდა, შავკანიანმა აპაჰმაც კი არ მოაკითხა.

გამძვინვარებული მანიბანდჰი ოთახიდან გამოვიდა და სმენად იქცა. იქ, ეზოში, ვიღაცები ლაპარაკობდნენ. დაისის შუქი ჯერ კიდევ არ მიჰქრალიყო, და სანათები ჯერ არ აენთოთ. სვეტს ამოფარებულ მანიბანდჰს აპაჰის მკაცრი ხმა შემოესმა:

— იცოდე, თუ კიდევ გიხლია ხელი ჰეკასათვის, ბუხსაფით გაგჰყლელ!

მოურავის დამცინავმა ხმამ მიუგო:

— გასწი, გასწი! რაღაც ამ ბოლო დროს თავი წამოჰყავით მონებმა! ნეტავ როდის აქეთია, რაც მონაქალები მეუღლისადმი მიცემულ ფიცს არ ღალატობენ? თქვენი ლუკმა ხომ ბატონიანთ სუფრაზე დარჩენილი ნამუსრევეია!

მანიბანდჰი წამსვე მათთან გაჩნდა. სიკვდილის აჩრდილივით აღიმართა აპაჰის წინაშე. დაუმორჩილებელი, თითქმის მხეცური ძალა თვალის დახამხამებაში დაუცხრა მონას, გეგონება კადნიერ საქციელს ინანიებსო. ჰეკა შიშისაგან ცოცხალ-მკვდარი იყო. მოურავი გახევებული იდგა, მხოლოდ უღონოდ ჩაქინდრულ თავს აქნევდა ძალის ენასავით.

— მონა ხარ და თავხედობას ბედავ? — შეჰყვირა განრისხებულმა ვაჰარმა. — აქში!

— დიახ, დიდებულო! — თქვა მოურავმა და ნაბიჯი წარდგა.

— ხედავ, როგორ გაუვიდათ თავს მონებს? რახან მოჰენჯო-ღაროს

მცხოვრებნი ერთმანეთის სწორნი არიან, მონებსაც გადაუწყვეტიათ, რომ მათ გაუტოლდნენ! ჩვენ ეს რესპუბლიკა საკუთარი სისხლისა და ზორცის ფასად ვვაქვს შექმნილი! ჩვენ არ გვსურს ეგვიპტელი მონები მოქენჯო-დაროს სრულუფლებიან მოქალაქეებად ვალიაროთ და ამით ჩვენი ქვეყანა დავაყინოთ! აქში! დღეიდან ჰეკა შენ გეკუთვნის. აპაჰს უთხარი, აქედან წაეთრიოს!

აპაჰმა თავი ჩაღუნა და გარეთ გამოვიდა. მანიბანდჰმა თვალი შეავლო ჰეკას: შიშსა და შეურაცხყოფას ქვად ექცია ქალი. ვაჰარმა ჩაიციხა და პალატისაკენ გაემართა. აქში ხელში სწვდა ჰეკას, სამზარეულოში შეათრია და კარი ჩაკეტა. ჩქამიც არ გამოსულა სამზარეულოდან, თითქოს ჰეკა წინააღმდეგობას არც უწევდა...

ოთახში შესულმა მანიბანდჰმა დაინახა ვენი, რომელიც ჩაფიქრებული იყურებოდა წინ. მანიბანდჰი თეთრი ქვისაგან გამოთლილ სავარძელთან მივიდა და ზედ დაჯდა. ვენიმ თვალი მიაპყრო.

— ლოდინმა დამქანცა. სადა ხარ ამდენხანს? — ღიმილით შეეკითხა ქალი.

— წახვალ, მშვენიერო? — პასუხის ნაცვლად შეეკითხა ვაჰარი.

— სად?

მანიბანდჰი შეკრთა.

— უკვე დაგავიწყდა, მშვენიერო, პოეტთან შეხვედრა რომ გინდოდა?

— შენ ნახე იგი?

ვენიმ ვერ გაბედა სახელით მოეხსენიებინა ვილიბჰითური.

— ვნახე, მშვენიერო! როცა შენი თავი მოვაგონე, მან მხოლოდ გაიცინა.

— გაიცინა? — შესძახა ვენიმ და გაფითრდა.

— ძლივს დავითანხმე შენთან შეხვედრაზე. სრულიად გულგრილია შენდამი.

შურისგების წყურვილი განახლებული ძალით მოედო ვენის. იგი ჩაიკვას შეუდგა.

— რატომ შენს ყველაზე საუკეთესო ტანისამოსს არ ჩაიცვამ?

— საუკეთესოს? — გაუკვირდა ვენის. — რისთვის? რა საჭიროა ასეთ ღამეს?

— რა გულუბრყვილო ხარ! — შენიშნა მანიბანდჰმა. — პოეტი ამაყობს იმით, რომ ნილუფარს დაეპატრონა! ნუთუ პოეტთან მდაბიოსავით შემოსილი მიხვალ. ის ხომ დაგცინებს, ასე შესაბრაალისი, უსუსური და უმწეო რომ ეჩვენები!



— ყველაფერს ვაზღვევინებ!

ვენიმ ბრაზით იკბინა ტუჩზე. თავის ოთახში შევიდა და საუკეთესო ტანისამოსი ამოალაგა. იგი ისე კი არ უნდა მოირთოს, როგორც მის ჭეჯანაშია მიღებული, არამედ მოჰენჯო-დაროს წარჩინებულ ქალთა მსგავსად. მოცეკვავემ წარბები შეისურმა, ნაწნავებზე ყასმინის გირლანდები მიიმადრა, ხელში ლოტოსის ყვავილი აიღო.

როცა ვენი ეტლზე ავიდა და ჭიშკარს გასცდა, უკვე დაღამებული იყო. ცაზე მთვარე ამოდიოდა. მის შუქზე ცისფრად ელვარებდნენ სასახლეთა მაღალი სახურავები...

ჰეკა ჰამა-ჰამით შევიდა ნილუფარის ოთახში. ხელში ბანანი და რამდენიმე ნაჭერი მოხარშული ხორცი ეჭირა.

— სად იყო კამეჩის ხორცი? — ჰკითხა განცვიფრებულმა ეგვიპტელმა.

მონაქალი ილუკმებოდა და დუმდა.

— მეტყვი თუ არა სად იყავი?

— დიდებული ვაჭრის ბრძანებით მოუტრავ აქშაის მოვემსახურე. — ჰქალმა გაიცინა. — შეხედა, — მან ხელი გააქნია, — შეხედე რა მომცა! ნილუფარი ბრაზისაგან გაწითლდა.

— კიდევ რა ჰქენი იქ?

— სურვილი ავუსრულე, — წყნარად უთხრა მან.

— შეგეშინდა მისი? — ნილუფარი ძლივს მალავდა აღშფოთებას. — ნუთუ არც სინდისი გაწუხებს, არც თავმოყვარეობა!..

— სულაც არ შემშინებია, — მიუგო ჰეკამ.

— აქში... განა ასე ძლიერია? თავხედია და მეტი არაფერი!

ჰეკა ისევ მშვიდად ილუკმებოდა.

— შენ შიმშილობ? — როგორც იქნა მიხვდა ნილუფარი. — რატომ არასოდეს არ მთხოვ საჭმელს?

— ვიტყვი, თუ ქალბატონი არ გაბრაზდება.

— თქვი, ჰო! — ალერსით გაამხნევა ნილუფარმა.

— სანამ შენ კარგად გრძნობდი თავს, სხვებზე არ ფიქრობდი. დღეს კი მოგავგონდი, მაღლობა ღმერთს!

ნილუფარმა უნებურად დახარა თვალი: მეტად მკაცრი იყო სიმართლე.

— უკვე დამეა, — დუმილი დაარღვია ნილუფარმა. — წასვლის დროა. ყველაფერი გადავწყვიტე.

— მე მეშინია... — წაიჩურჩულა ჰეკამ.

— გეშინია? ნილუფარს კი არაფერის შიში არა აქვს, თუმცა დღეს ყველაფერი დაკარგა!

ნილუფარმა ქვებს შორის დატოვებულ ხვრელში შეყო ხელი, ხანჯალი ამოიღო და ტანისამოსში დამალა. მერე თმა დაივარცხნა და სანდლების შეკვრა დაიწყო.

— ჰეკა! აპაპს არაფერი უთქვამს შენთვის?

— აპაპს? — ჰკითხა მონაქალმა, თან ბანანს ფცქვნიდა. — რა უნდა თქვას?

— სად არის?

— არ ვიცი. მას შემდეგ, რაც დიდებული ვაჭარი გაუბრაზდა, აპაპი აღარ მინახავს.

— ალბათ უმძიმს.

— რატომ? პირველად ხომ არ მომხდარა?

— რატომ უხსენე აქში?

— არ ვიცი, რატომღაც მომეპრიანა ჩემს ღირსებაზე ლაპარაკი. თითქოს კეთილშობილი ქალი ვიყო, — მსჯელობდა ჰეკა და თან მორიგ ნაჭერს იტენიდა პირში. — ხვალ ისევ მივალ მასთან — აპაპის გულსთვის.

ნილუფარმა გაკვირვებით შეხედა და ბრაზით შეუყვირა.

— ჰეკა!

— რა? — გაეცინა მონას.

უცებ ნილუფარს შერცხვა.

— იმ დამეს... — მოაგონა ჰეკამ, — ნუთუ დაგავიწყდა ის დამე, ჩვენ რომ მეზღვაურებთან...

ნილუფარი შეკრთა.

— რა კარგად ვგრძნობდი თავს! — გატაცებით ამბობდა მონა. — მერედა, რამდენი ტკბილეული იყო, მთად აზიდული...

ნილუფარს ძვირფასეულობით სავსე ყუთი ხელიდან გაუვარდა. ყუთს თავი აეხადა და სამკაულები იატაკზე მიმოიფანტა. ნილუფარმა დაბნეულად დაჰხედა სამკაულებს და უთხრა:

— გახსოვს, არა? მე კი დამავიწყდა...

— როგორ არ უნდა მახსოვდეს? — გაიკვირვა ჰეკამ. — არც ისე ხშირად მარგუნებენ ხოლმე ტკბილეულს, რომ იმის გემო გადამავიწყდეს. შენზე არაფერს ვამბობ, შენ ქალბატონი ხარ, განა შეგიძლია გულთან მიიტანო ჩვენი გაკირვება?!

ნილუფარი ფართოდ გახელილი თვალებით შესცქეროდა ჰეკას.

— შენ კი არ ცხოვრობ, სამოთხეში ხარ, — განაგრძო მონაქალმა. — ჩვენ კი ჯოჯოხეთში ვართ ჩაცვივნილი...

— ჰეკა! — შესაბრალისად შესძახა ნილუფარმა. — ჰეკა!

ხმა ჩაუწყდა.

— წავიდეთ, ჯალბატონო, უკვე გვიანაა, — წყნარად უთხრა ჰეკან. ნილუფარმა კარისკენ გასწია, მაგრამ მაშინვე დაბრუნდა, თავის ლოგინზე ბალიში დადო, ოდნავ გააბუა და ზედ საბანი გადააფარა, — ახლა შეიძლებოდა ვინმეს ეფიქრა, რომ საწოლზე ვიღაცა იწვა. ამის შემდეგ ორივენი ჩუმად გავიდნენ ქუჩაში. იქ მეეტლე უცდიდათ. ნილუფარმა ანიშნა ეტლიდან ჩამოსულიყო. ისინი ეტლზე ავიდნენ, და ჰეკა სადავეს დასწვდა.

ნელ-ნელა მიდიოდნენ. ცაზე მოცურავდა დიდებული მთვარე. წყლის ზედაპირზე წარმოქმნილი ბუშტებივით გამჭრალევიყენ ვარსკვლავები მის კაშკაშა სხივებში. დამის მნათობის ჭადოსნური შუქი მდულარე რძესავით იღვრებოდა დედამიწაზე და თეთრი ქაფით ფარავდა მას.

მათ გაიარეს მთავარი ქუჩა, რომლისგანაც გამოდიოდა მრავალი ვიწრო შესახვევი, და მალე გარეუბანს მიაღწიეს. უჩვეულო დღეულამ მოიცვა ნილუფარი. გული აუფანტკალდა. შუბლზე ცივი ოფლი დაასხა. მან მხარზე დაადო ხელი მონაქალს.

— სიტყვა მომეცი, ჰეკა, რომ არასოდეს დაივიწყებ ამ საღამოს!

— მონები გადაჩვეული არიან დღეთა და ღამეთა აღრიცხვას; მათი დამახსოვრება ხომ ზედმეტი ტანჯვაა... — ჰეკამ გაიცინა. — ქალბატონო! შენ დაგავიწყდა, რომ მე მონა ვარ. შენ ისე გულკეთილად მეპყრობი, რომ ხანდახან მეჩვენება, თითქოს თავისუფალი ადამიანი ვარ. მაგრამ განა ეს მონობის უღელს მომაშორებს?

მისმა სიტყვებმა გული დაუკოდა ნილუფარს. რამდენი ტანჯვა ხვდა წილად ჰეკას; ის ხომ საკუთარი სხეულის პატრონიც აღარ არის! მაგრამ განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ნილუფარი თვითონ იყო მონა და ათას ვინმეს შეეძლო თავი გაერთო მასთან ყოფნით? ნუთუ იმათ, რომ ერთ-ერთი მონა ქალბატონი გახდა და ადამიანური უფლებები მოიპოვა, სხვა მონებისთვისაც დასრულდა საშინელი წამება?..

თვით აპაპსაც კი — ამ მთასავით კაცს, — არ ძალუძს ბრძოლა. იგი ჰგავს სპილოს, რომელსაც ანკუშის\* ცემით ერეკებიან. ამ ღონიერი მონის ხვედრია საქონლის ფუთები უზიდოს ვიღაცას...

\* ანკუშის — წვეტიანი ჯოხი, რომლითაც ინდოეთში სპილოსს ერეკებიან.

— შორს აღარ არის, — აღელვებით წარმოთქვა ნილუფარმა.

— ქალბატონო! — უთხრა ჰეკამ. — ამის შემდეგ ეტლით ვეღარ ვივლით. ფეხით სიარული მოგვიხდება.

ჩამოხდნენ და ოღროჩოღრო გზას გაჰყვნენ. ჩრდილები სასაცილოდ იმეორებდნენ მათ ყოველ მოძრაობას.

— ჩუმად, ჰეკა, ჩუმად, ხმა არ ამოიღო... — წასჩურჩულა უცებ ნილუფარმა. — რალაც ხმა მესმის! მგონი, ის ქალია...

ისინი ერთ დიდ ქვას ამოეფარნენ და დააყურეს. სულ ახლოს გაისმა მამაკაცის ხმა:

— მოხვედი, ვენი?

— ვილიბჰითურ! — მიუგო მოცეკვავის ხმამ; მასში ჟღერდა სინაზე, ერთგულება, ალერსიანი საყვედური, და ეს ისარივით ეძგერა გულში ეგვიპტელს.

ნილუფარი სულგანაბული უსმენდა.

უეცრად მიწის უზარმაზარი გული საზარლად შექანდა. იღუმალეებამ ძრწოლა მოჰგვარა ადამიანებს.

იმ ღამეს მრისხანედ ბობოქრობდა დიდი ინდის კორომი. გაპბენ-ვარებული ქარი ერთბაშად აღკვეთდა ყოველგვარ სულიერს, რომელსაც კი გზად გადაეყრებოდა, და თითქოს დაღუპვას უქადდა სამყაროს; სანაპიროზე სილის სვეტები დაატრიალა, ბრძოლის ყიყინა დასცა ტალღებს, ყალყზე შეაყენა და ერთმანეთს შეაჭახა... ტალღების ღრიალთან შერწყმული ქარის ყურისწამლები ღმუილი თითქოს მთელ ქვეყანას მოსდებოდა.

ნადირნი და ფრინველნი შიშისაგან აქეთ-იქით აწყდებოდნენ და რაღაც შესაბრალის ხმებს გამოსცემდნენ. უზარმაზარ ხეებს ღრეკდა და აქრიალებდა ქარიშხალი. მთელი ეს ველური ხმაური საშინელი იყო; თითქოს ათასობით მღვიმეს დაეფჩინა ხახა და ლომებივით შეპლრიალებდნენ ზეცას. „დიდი ღმერთის მსახური ვარ მე! — ღმუილითა და ხარხართ იმუქრებოდა ქარიშხალი. — ქვეყნიერების იავარქმნა ჩქვია სახელად...

თვალისდახმამებაში სისხლისფრად შეიღება მთვარე. მკრთალი ნათელის ნაცვლად მიწაზე აცეკვდნენ სისხლისფერი ათინათები, გეგონება, მეწამულ საბურველში გახვეული ავი სულები არიანო. ყოვლისშემძლე მაჰამაის დიდმა რისხვამ შეაზანზარა დედამიწა. და ირგვლივ წყვდიადმა დაისადგურა.

უეცრად მოვარდნილმა ქარიშხალმა კვანძად შეკრული თმა ჩამოუშალა ვენის. ქალი შეშინებული დაეცა მიწაზე და პოეტთან ერთად ადევნებდა თვალს სრბოლას ქარისას, რომელიც მეხთა მრისხანე შეძახილებს არ ეპუებოდა და თითქოს მათრახის ცემით ერეკებოდა ვებერთელა შავ ღრუბლებს... მალე ქარიშხალი ჩადგა და კვლავ ღამის ჭადოქრის წყნარი, რძისფერი შუქი მოეფინა მიწას. დამშვიდდა მიწა. ასე ისვენებს ხოლმე საწოლზე მკაცრი წამებისაგან განთავისუფლებული თეთრად შემოსილი მელოგინე ქალი; სიყვარულის სხივებს აფრქვევენ მისი თვალები.

— ვენი! — აღერსით უთხრა ვილიბპითურმა. — როცა მიწა პირველად იძრა, შენ შეშინებული მომეკარ მკერდზე. ახლა კი თითქოს უცხოდ იქვე! დღეს კიდევ უფრო საშინლად აუძგერდა გული დედამი-

წას. რადგან ვერ აიტანა ადამიანთა ბიწიერება, ველარ გაუძლო იმის ყურებას, თუ როგორ კნინდება სიყვარული...

პოეტის სიტყვებმა აღაშფოთა ვენი. ახლა იგი მასაც ბილწს უწოდებს! მაგრამ ვენი ძლივძლივობით იკაეებდა რისხვას და ღუმდა.

— ვენი! — განაგრძო პოეტმა. — ნუთუ არ გახსოვს, აპირაჯის წმინდა ხეს რომ შემოვუარეთ და ფიცი დავდეთ, არასოდეს გავყრილიყავით? ჩემთვის ის ფიცი ახლაც წმიდაა. ვილიბპითური არ დაივიწყებს მას, იგი არ არის ფიცის გამტეხი! იგი აროდეს აღუდგება წინ ღმერთთა ნება-სურვილს!..

უცხო ღმერთებზე საუბარი ოდნავაც არ იზიდავდა ნილუფარს. მას მხოლოდღა გაელიმა ამ ბარბაროსთა უმეცრებაზე, როცა ყოვლისშემძლე ოზირისი გაიხსენა. უცებ გაისმა ვენის ხმა:

— რად მომეჩქეც აგრე მკაცრად, ვილიბპითური?

ვილიბპითური! ამ სიტყვამ თითქოს გაჰყვეთა ის ქვა, რომელსაც ნილუფარი ამოფარებოდა, და ახლა მის ყურებში გაიკლერა. რა არის ეს — უდიდესი თვალთმაქცობა? თუ მოსიყვარულე ქალის გულიდან ამოძხდარი ძახილი, ქალისა, რომელიც ვნებას აუთართოლებია და მთვარის ნათელს დაუთვრია?

ვილიბპითური! პოეტის სული აღტაცებამ მოიცვა. ეს იყო ხმა, რომლის გულისთვისაც თავს არ დაზოგავდა და ინდის საშინელ ტალღებში გადაეშვებოდა, ყველაზე უღრან ტევრში შევიდოდა; ეს ხმა კვლავაც მბრძანებლურად მოუხმობს მას, იგი მუდამ დაჯაბნის ქარიშხლის ყურისწამღებ ღრიალს და მეხთა გრგვინვას...

ენი დანამული თვალებით უცქეროდა პოეტს; ამ ერთი ფრაზით მან თითქოს ერთბაშად გადმონათხია ყველაფერი, რაც გულზე მოსწოლოდა. პოეტმა შთაგონებით წარმოთქვა:

— ღმერთს ბევრი მშვენიერი რამ შეუქმნია ქვეყნად, მაგრამ მე ვირწმუნე, რომ ყველაზე მშვენიერი იყო ის, რაც ჩემს თვალებში ისახებოდა. მე ვამაყობდი შენით, ვენი! რტოებში მოქანავე კოილას\* ვნებიანი სიმღერაც კი არ მხიბლავს ისე, როგორც შენი სილამაზე! მხოლოდ ერთმა სიმღერამ გამიყოლია თან, ისევე როგორც მგზავრს მოუძღვის ხოლმე პოლარული ვარსკვლავი. ეს სიმღერა შენა ხარ, ვენი. მე შენ მიყვარხარ! და ამიტომ არ შემიძლია შეურაცხვეო სხვათა სიყვარული...

ამ სიტყვების გაგონებაზე ნილუფარი თავით მიეყრდნო ქვას. თითქოს ბედნიერებამ ფრთა გაშალა და სული გაუტისკროვნა. და ეს მოხუა

\* კოილა — გვგული.

ახლა, როცა მის ირგვლივ საშინელი უსიციოცხლო უდაბნო გადაშლილიყო, ის კი დაღლილი, სიცხისაგან გასაავათებული, შორეულ, დაუსრულებელ გზას მიჰყვებოდა და ამოდ უხმობდა მშველელს.

— ვენი! — განაგრძო ვილიბპითურმა. — შენ დაანთე ჩემს გულში პირველი სიყვარულის ცეცხლი. შენს ფეხებზე შებმულ რგოლთა მსგავსად ხმინობდა ჩემი ვინა\* საღამოს უამს, როცა მწუხრის ზეწარი უარავდა ზეცას. რამდენჯერ აღმოხდომიათ ჩემს ბაგეებს მუდარა, მაგრამ შენ ყინულივით ცივი იყავი. ჩემს სიმღერებსაც კი არ ძაღვდვათ შენი სიამაყის გაუვალ ტყეში შედწევა. ახლა ისევ იკლებს სიცხე. ვენი, დამიბრუნე განთიადის მსუბუქი ნისლი, მე მსურს კვლავ ვუძღვნა სიმღერები ვნებათა ღელვას. შუა ღლის სიცხეც კი ქედს მოიხრის შორეულ ჰოგონებათა წინაშე. მხოლოდ ერთი რამ მსურს — შენ გვერდით ვიყო. მე ახლაც მჭერა შენი, რადგან ჩემი სიყვარული გულწრფელია. ცხოვრებაში მრავალჯერ აგემებს ადამიანს ბედის სიმწარეს. დაე, სულ მთლად დამისისხლიანდეს ფეხები, მე მაინც წინ ვივლი. მაგრამ შენ? შენ თითქოს ქვა ხარ, ვენი! განა შენ შეიცან ჩემი გულის ტკივილი? „კეთილი და წყნარი პოეტი! — ამბობდი ჩემზე. — საუკუნეთა ტკივილებს ინახავს გულში!“. ნუთუ გგონია, რომ ეს ტკივილი არასოდეს არ ამოხეთქავს გულიდან? ცოდვასაც აქვს საზღვარი! და როცა მოთმინების უაღა ამეცება, მაშინ ნახავ, ცეცხლის ალივით რომ ავარდება ჩემი სიმღერა!

ვენის აუტანელი ტკივილი და სიმწარე დაუფლებოდა. ქალმა თვალი მიაპყრო მთვარის შუქით განათებულ ცას, მერე ადიდებულ ინდს გადახედა და უთხრა:

— ვილიბპითურ! მოდი გულში ჩამეკარ, და ყველაფერი დაგვაიწყდება!

— ჰო, ვენი! — გრძნობაპორევიტ მიუგო პოეტმა. — მაგრად ჩამეკონე. სამუდამოდ, რომ არასოდეს დავშორდეთ ერთმანეთს...

— ვილიბპითურ... — აღერსიანად უთხრა ვენიმ და მოეხვია.

უეცრად მათ უკან ვილაცამ გადაიხარხარა. მოიხედეს. ქალი წამოსდგომოდათ თავზე. ნილუფარი იყო. ავის მომასწავებელი ღიმილი დასაამაშებდა ტუჩებზე ეგვიპტელს, თვალეები ბოროტად უელავდა.

— შენა ხარ? — აღმოხდა ვენის.

— დიახ, მე! — ღვარძლიანად გაიცინა ნილუფარმა. — ქალბატონად გახდომიან განვიზრახავს, თავხედო მოცეკვავე? მაგრამ როგორ გახდები,

\* ვ ი ნ ა — სიმებიანი საკრავი.

თუკი დიდებული ვაჭრის ბრძანება არ აღასრულე? შენ ვერ მოჰკლავ ვილიბჰითურს! თუკი ისეთი სულმდაბალი არსება, როგორც შენა ხარ, შეძლებს ნილუფარს აღუდგეს წინ, მაშინ სიცოცხლე რაღად უნდა!

მოცეკვავის ხელი მალლა შეიმართა, მაგრამ სწორედ ამ დროს ნილუფარმაც აღმართა ხელი. მთვარის შუქზე ორი ხანჯალი გადაეჭდო ერთმანეთს, გაიღვა ცივმა, სისხლმორწყურებულმა ლითონმა. ნილუფარმა ნაბიჯი წარდგა.

— გულადი ყოფილხარ, მოცეკვავე. მაგრამ შენ დედის ძუძუ გიწოვია, მე კი მგლისა! მე შენს გვამს ინდის გაუმამღარ ტალღებს ვაჩუქებ!

ვენიმ უკან დაიხია.

— ნილუფარ! — შეჰყვირა პოეტმა. — რას შვრები?

ეგვიპტელმა გაიცინა.

— ამ ქალს გველივით ბრძენი ჰგონია თავი. მაგრამ მსურს ვუტყვირო, როგორ მოკვდება! აბა აქ რისთვის მოვიდოდი?

— ნუთუ... ნუთუ... ეს მართალია? — მთრთოლვარე ხმით წამოიძახა პოეტმა.

— დიახ, მართალია, — მტკიცედ თქვა ნილუფარმა, ისე რომ მისკენ არ მიუხედავს. — არ მიეკარო, თორემ ეგ გველი ნესტარს ჩაგასობს...

ვენი უკან-უკან იხევდა ქვისკენ, რომელსაც ჰქვია იყო ანოფარე-ბული.

— ასო-ასო აგქნი და კუს შევაკმევ შენს თავს, სულმდაბალი არსებავ! სისხლის ნაცვლად სიბინძურე გიჩქეტს ძარღვებში, შე ფიცის გამტენო, შენა! როგორ გაბედე ნილუფარის მოსაკლავად აგემართა ხელი! გგონა შემაშინებდი? — უტევდა ეგვიპტელი და თან სიძულვილით უყვიროდა: — უბადრუკო გომბიოვ! ქალბატონად გახდომა მოგინდა? დაიცადე, სანამ ვაჭარს ვაჟი გაეზრდებოდეს!

უცებ მოცეკვავე მიწაზე დაეცა. ქვის უკანიდან ვილაც გამოხტა, ხელი ჰკრა და ხანჯალი გააგდებინა. ახლა ვენი განიარაღებული იყო. მაგრამ იგი არ შემდრკალა, ქედი არ მოუხრია.

— მომღერალო! — გააფთრებით შესძახა ვენიმ. — შე უბედურო, ნუთუ ვერ ხედავ, რომ სიკვდილის აჩრდილი დაგფარფატებს თავზე?!

ნილუფარი ზეიმობდა, მაგრამ სწორედ ამ დროს ვილიბჰითურმა, რომელიც ამდენხანს დაბნეულად იდგა, ისკუბა და ხელში ხელი ჩასჭიდა. ეგვიპტელს მომუჭული ხელი გაეშალა, და ხანჯალმა მიწაზე გაიწკრიალა. პოეტმა ფეხი დააბიჯა ხანჯალს.



— არც მე მენდობი, პოეტო? — წამოიძახა ნილუფარმა. — ზაგ ჭაკვირის გამო შიშობ? რას მივაღწევდი, რომ მომეკლა? მე მხოლოდ იმის დამტკიცება მინდოდა, რომ მაგას არასოდეს არაფერს არ დავეუთმობ. მაინცდამაინც მკვირცხლი და მოხერხებული ნუ ჰკონია თავი. ნილუფარს არავის წინაშე არ მოუხრია ქედი, გარდა ოზირისისა!... — ეგვიპტელმა ზიზლით მოარიდა პირი დამარცხებულ მოწინააღმდეგეს. — ნილუფარს ბევრი ცოდვა აწევს კისერზე, მაგრამ არასოდეს, — არავითარი ანგარებით არ დათანხმდება იგი უდანაშაულო ადამიანი მოჰკლას. ვილიბპითურ, ნუ მომეჩქევი უსამართლოდ! მე არ მინდოდა დამედვარა იმ ქალის სისხლი. მე მას დიდი სიამოვნებით მივუტყევებ! თუ იმ ქალის-სახოვან პირუტყვს ადამიანობის ნატამალი მაინც შერჩენია, მთელ სიცოცხლეში ემახსოვრება, რაოდენ სულგრძელი იყო ამ დამეს ნილუფარი. დანაშაულის მოტყეებაზე უფრო მეტი სასჯელი არ არსებობს. ჩემს ადგილზე ის ქალი ასე არ მოიქცეოდა, იმიტომ რომ სულმდაბალია. მე რომ ახლა ის გველი მომეკლა, მის წამებასაც მოედებოდა ბოლო. მაგრამ მე მინდა, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ქენჭნიდეს სინდისი. იგი ჩემს დასალუპავად ათასგვარ ხრიკებს მიმართავდა, მაგრამ მე არ ვნანობ, რაც დღეს აქ მოხდა. ის ხომ ცდებოდა! სისულელე იქნება იფიქრო, რომ დიდებული ვაჟარი მხოლოდ იმიტომაა ასეთი, რომ მამაკაცია. არა, ფულმა და ძალაუფლებამ ადამიანობა ჩაჰკლეს მასში! დაე, ვენი მასთან იყოს. დაე, იცოცხლოს ამ სულმდაბალმა არსებამ, რათა შემდეგ, რამდენჯერაც გამიხსენებს, იმდენჯერ შეაძრწუნოს საკუთარი თავისადმი ზიზლმა! რათა თავის ქალბატონობაში არასოდეს განიცადოს სიხარული! რათა დანაშაულის შეგრძნება მუდამ ბრჭყალებით უკაწრავდეს გულს!..

მოცეკვავემ თავი ჩაღუნა.

— იგი კვლავ დამარცხდა, პოეტო! — განაგრძო ნილუფარმა. — იმ დღესაც შენ იხსენი და ამ დამესაც შენ დაიცავი მტყიცედ. მაგრამ ნილუფარი შურისმგებელი ქალი როდია. ეს მოცეკვავე იმის ღირსიკი არ არის, რომ ნილუფარის მონა იყოს! მან მოატყუა თავისი შეყვარებული. აქაც იმიტომ მოვიდა, რომ ზვევან-კოცნის დროს განეგმირა და ფეხქვეშ გაეთელა მისი გული ერთი ბეწო ოქროს გულისთვის.

— ნილუფარ! — შესძახა პოეტმა. — ვენის ასე აუგად მოხსენიებით მეც შეურაცხყოფ. შესაძლოა, ვენის არ უყვარს პოეტი, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ვილიბპითურს არ უყვარს ვენი. თუ შენ იოტის ოდენა სიყვარული მაინც დაგრჩენია გულში, ასე სასტიკი არ უნდა იყო, ნილუფარ!

— მაგრამ ეს მართალია, ვილიბჰითურ! — სიტყვა შეაწყვეტინა ნილუფარმა. — ერთი წუთით მაინც გამოდი შენი ოცნების სამეფოდან! მე რომ არ მოვსულიყავი, ეს ქალი შენს გასისხლიანებულ გვამს დიდი რძის ტალღებში გადაუძახებდა! — ნილუფარმა ხელები ზეცად აღაყრო და შესძახა: — ჰოი, იზიდა! ჰოი, დიდებულო, ძღვევამოსილო! შენ მომანიჭე ძალა, რათა ეს საშინელება თავიდან ამეცილებინა! — და შემდეგ ისევ ვილიბჰითურს მიუბრუნდა: — პოეტო, ეს მართალია, ის შენ მოგკლავდა.

— დაე, ასე იყოს, — თქვა პოეტმა. — დაე, ვენიმ გულისწადილი აღისრულოს! დაე, დაუმტკიცოს მანიბანდქს, რომ ისიც ძლიერი გულისპატრონია! მე სახლ-კარი და ახლობელნი მივატოვე ოცნების გულისთვის, მშვენიერი ოცნების გულისთვის. მე ამ ოცნებას ვერვინ წამართმევს. დაე, სიყვარულის ცეცხლში დავიფერფლო! დაე, გამშორდნენ ყველა ისინი, ვინც ცდილობდა მტრობა ჩამოეგდო ჩვენს შორის, დაე, იფიქრონ, რომ სულელი ვარ! განა მათ დაცინვას შეუძლია მგზნებარე სიყვარული ჩააქროს?! — ვენი! — გასძახა მან მოცეკვავეს. — მოდი ჩემთან! თუ ჩემი მოკვლა გსურს, რაღას აყოვნებ?

— ვილიბჰითურ! — შესძახა ნილუფარმა და ცრემლები ყელში მოებჯინა.

რა კეთილშობილი და სულგრძელია ეს კაცი! მან ნილუფარის ხელიდან გაგდებინებული ხანჯალი აიღო და ვენის გაუწოდა! არყოფნის მყუდროება ცხოვრების ამაოების ხმაურზე მეტად უღირს მას!

და რა სულმდაბალია ეს ქალი! პოეტის კეთილშობილმა საქციელმაც კი ვერ სძლია მასში მხეცის სისასტიკეს.

— არა, თუ ნილუფარს ჯერ კიდევ შეუძლია ბედნიერი იყოს, — მხოლოდ მის გვერდით: პოეტის დიდი სულის წიაღიდან ამომჩქეფარე ცხოველმყოფელი წყაროები მოედებიან ნილუფარის გულის უდაბნოს და მაშინ ამწვანებულ ხეთა ხშირი ტევრი აღიმართება იქ. სადაც ღღეს მარტოოდენ სილა და ქვებია...

— ვილიბჰითურ! — წარმოთქვა ეგვიპტელმა. — ღღეს მე უკვდება ვპოვე. ღღეიდან დავივიწყებ ჩემს ქედმაღლობას, დავივიწყებ ჩემი წარსულის გულისმომწყველელ წყვილადს, ნება დამართე წამით მუხლი მოვიყარო შენ წინაშე! რა დიდი ადამიანი ხარ, პოეტო! შენ შეიღი ბრძენის თანავარსკვლავედზე\* მაღლა დგახარ... შენ კეთილშობილი ხარ... სულგრძელი... გულადი...

\* შვიდი ბრძენის თანავარსკვლავედი — დიდი ღათვი.

შერცხვენილი ვენი უღონოდ დაეშვა მიწაზე. მას ეგონა, რომ ვი-  
ლიბპითური აბუჩად აიგდებდა.

— ვაჰარი კაცი კი არა, ავი ძაღლია, — განაგრძო ნილუფარმა. —  
ვლეს მე გავკადნიერდი და არ დაგიჭერე. ვილიბპითურ. მომიტყევე!

ნილუფარმა მუხლი მოიყარა და პოეტს ხელში სწვდა.

— არა, ნუ მომიტყევებ! ადამიანი, რომელსაც დანაშაულისათვის  
სასჯელს მიაგებენ, მონანიების აუტანელი ტანჯვით განიწმინდება.  
პოეტო, შენი გულისთვის მზად ვარ ყველაფერი დავთმო! შენ სიყვა-  
რულს მაჩუქებ, და ყოველგვარი ცოდვისაგან განვიწმინდები. ვილიბ-  
პითურ, თავს ნუ მოაკვლევინებ! თუკი მანიბანდჰს სისხლი სჭირდება  
ჯოჯხეთური წყურვილის მოსაკლავად, აიღე და ჩემი სისხლი მიეც!  
შენ უნდა იცოცხლო, პოეტო! ქვეყნად კარგი ადამიანები ცოტანი  
არიან. არა საკუთარი თავისთვის, არამედ ჩემთვის, მთელი სამყაროსა-  
თვის უნდა იცოცხლო შენ...

ეკვიპტელი აქვითინდა. პოეტმა ზეზე წამოაყენა ქალი.

— შენ სტირი, ნილუფარ?

— ქალბატონო! — შეჰყვირა უეცრად ჰეკამ. — ფიცის გამტეხი  
კაიქცა!

კენი უკვე შორს იყო. იგი ქვიშიან ნაპირს მიჰყვებოდა და გაიძახო-  
და: „მეეტლევ! მეეტლევ!“

პოეტმა და ნილუფარმა გაოგნებულებმა გადახედეს ერთმანეთს. ნუ-  
თუ მოცეკვავე ასე უფრთხილდება თავს? ნუთუ ეშინია, რომ არ მოკ-  
ლან?

— ნილუფარ, უნდა დავეწიოთ! — განაგრძო ჰეკამ. — მიბრძანე და  
ეტლს მოგართმევ.

— საჭირო არაა. ისედაც ცახცახებს შიშისაგან.

— გველი გაჭაგრებული დაგვიძვრა ხელიდან, — უკმაყოფილოდ  
შენიწნა ჰეკამ. — ცოცხალი არ უნდა გაგვეშვა!

ან სიტყვებმა თითქოს გამოათხზილა პოეტი. მან შესძახა:

— ვენი! ვენი! დაბრუნდი... ვენი! გულს ამოვიგლეჯ და შენ მოგ-  
ცე? ნუ წახვალ, ვენი! შენს ფერხთით მოკვდები, თუ ჩემი სიკვდილი  
გსურს. მხოლოდ შენ თვითონ მითხარი! ვენი, დაბრუნდი...

მისი ხმა მთელ სანაპიროზე დაირხა, მერე კი ინდის ტალღებს გაჰ-  
ყვა — საუკუნეობით ისწრაფვიან ბობოქარი ტალღები, აინუნშიც არ  
აგდებენ ადამიანთა დარღს.

ვილიბპითურის ხელები უნებურად დაეშვენ ძირს. გზადაბნეული-

ვით გასცქეროდა პოეტი სიბნელეს. ნილუფარი საცოდავად ევედრებოდა:

— დაეხსენ, ვილიბჰითურ! ის ქალი არ არის შენი სულგრძელობის ღირსი! მას სურდა ეშმაკობით დაემორჩილებინე. მხდალი რომ არ ყოფილიყო, განა გაიქცეოდა?! იგი შენ გვერდით ისევე მოჩანს, როგორც დიდებული ქოქოსის პალმის გვერდით მისი ჩრდილი! შენ სწუხარ მასზე, პოეტო და მომღერალო? დაივიწყე ის მატყუარა ქალი, იგი შენი თვალის შეველების ღირსიც არ არის...

— გაჩუმდი, ნილუფარ. შენ ზღუდედ აღიმართე ჩვენს შორის! შენ დაღუპე ჩემი სიყვარული, ჩემი ბედნიერება!

ნილუფარს ელდა ეცა, მოეჩვენა, რომ კვლავ შეზანზარდა დედამიწა. პოეტი ყველაფერში მას სდებს ბრალს! იგი მოცუკვავე ქალს ამართლებს! თუ ყოველივე ეს საგანგებოდ მოწყობილი თამაშია? მაშ რატომ არ ღელავს?

ეგვიპტელმა თავი დახარა. იგი ჰგავდა ყვავილს, რომელსაც ფურცლები ეკლით დაჩხვლევია. ვიღას სკირდება იგი ახლა? სამყაროში, რომელზედაც ოცნებობდა, არ მიიღო...

უცებ მან დაინახა, რომ პოეტი მიდიოდა. ნილუფარს უნდოდა დაეყვირა, შეეჩერებინა, — მაგრამ რა უფლებით შეეძლო გაეკეთებინა ეს? ვილიბჰითურმა უპასუხოდ დატოვა მისი ალერსი, მისი სიყვარული. რასასტიკია, რა უღმობელი! და რაც უფრო შორდებოდა პოეტი, მით უფრო ველარ იოკებდა სურვილს — დაეძახა მისთვის. და აი, იგი ხეებში მიიშალა. წავიდა, ისე წავიდა, რომ ვერაფერს მიუხვდა! ნილუფარს მიწაზე დაეცა და აქვითინდა.

— ვილიბჰითურ! — საცოდავად წამოიძახა მან, მაგრამ პოეტს უკვე აღარ შეეძლო გაეგონა მისი ხმა.

ჰეკა გვერდით მოუჯდა და მისი თავი კალთაში ჩაიღო.

— ჰეკა!..

— იგი წავიდა, ნილუფარ, — მიუგო მონაქალმა და თმაზე ხელი გადაუსვა. — ტირილით ვერაფერს გააწყობ! აქ დარჩენა სახიფათოა. წავიდეთ!

— არის კი ახლა სადმე ადგილი, სადაც ხიფათი არ მომელის? — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ეგვიპტელმა.

— ნილუფარ! — ალერსითა და საყვედურით უთხრა ჰეკამ.

ეგვიპტელს შერცხვა. როგორ გაივლო გულში, ყველამ მიმატოვაო? არა, მართალია, მან ბევრი რამ დაკარგა, მაგრამ სამაგიეროდ წინანდელი ჰეკა დაიბრუნა! დღეიდან ჰეკა ქალბატონს აღარ დაუძახებს. გულს

საბურველი ჩამოსცილდა, ტანჯვის ბუდე მეგობრის თანაგრძნობის ტოტებზე დაყრდნობილი და ისე აღარ უმძიმებს სულს.

ნილუფარი ეტლზე ავიდა. ჰეკა კვლავ დასწვდა სადავეს.

— ახლა სად წავიდეთ, ნილუფარ? შინისაქენ?

— შინისაქენ? არა! იქ მისვლა საშიშია! იმ მხდალმა პირუტყვმა ალბათ ყველაფერი უამბო მანიბანდჰს.

— მაშ სად წავიდეთ?

— არ ვიცი!

ჰეკამ კამეჩებს შოლტი გადაუტყლაშუნა, გაუჯავრდა, და მათ ქალაქიდან გამავალ გზაზე გადაუხვიეს. მოჰენჯო-დაროში ღამით ალაყაფის კარებს არ კეტავდნენ, — ქალაქის მკვიდრთ თავდასხმის შიში არ ჰქონდათ. ყველას შეეძლო დღე-ღამის ნებისმიერ დროს შემოსულიყო ქალაქში ანდა დაეტოვებინა იგი. ეტლს არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია, ისე გასცდა ალაყაფის კარს და ვიწრო სწორ გზას დაადგა.

აქედან იწყებოდა სოფლები. გზის გასწვრივ, ხეთა ხშირ ჩრდილებში აქა-იქ მოჩანდა თივის ზვინები და გროვა-გროვად დაყრილი წივა. კაცის ჰაქანება არ იყო. ერთ-ერთ სოფელში ნილუფარმა უბრძანა ჰეკას, ჰის ახლოს გაჩერებულიყო.

— წყალი მწყურია, ჰეკა!

ეტლიდან ჩამოვიდნენ.

— აქ არც თოკია და არც სხვა რამ ჰურჰელი, — თქვა ჰასთან მისულმა ჰეკამ.

— შეუძლებელია! სოფლელები მიმნდობნი და თავმდაბალნი არიან. მათ იციან, ვის რა სჭირდება.

ჰეკამ თვალი მიმოავლო ირგვლივ, მაგრამ ვერაფერი იპოვა. ეტყობა, გლეხები არც ისე მიამიტნი არიან, როგორც ნილუფარს ჰგონია.

— რომელიმე ქოხში ხომ არ შევიდეთ? — ჰკითხა მონაქალმა.

— უკვე ყველას სძინავს, თანაც ჩვენმა ქალაქურმა ჩაცმულობამ შეიძლება ეჭვი აღუძრათ.

— რატომ? აქ ხომ ხშირად მოდიან წარჩინებული ადამიანები, რომელთაც ნადირობისას გზა დაებნევათ ხოლმე, — ამ ადგილებში ჩიქი იცის.

— განა მე ქალბატონს ვგავარ? არავითარი სამკაული არა მაქვს — არც სარტყელი, არც ყელსაბამი, არც საყურე. ბექდებიც არ გამიკეთებია...

ჰეკა ჩაფიქრდა. უცებ შორიახლო კვამლი შეამჩნია. უეცრად ღამის სიჩუმე დაარღვია ქალის გულშემზარავმა კივილმა. მერე მოისმა ვილა-

ცის წრიპინა ხმა. და იმწამსვე საძაგლად აკივლდნენ ტურები. ამ დროს ალბათ ქოხებში ტირილით გაედგიათ ბავშვებს, დედებმა გულზე მიიხუტეს და საალერსო სიტყვებს ჩასჩურჩულებდნენ.

— ნილუფარ! — უთხრა შეძრწუნებულმა ჰეკამ. — აქ ყოფნა საინფათოა! ალბათ ღმერთებს დაუწყევლიათ ეს ადგილი.

— არა, ჰეკა, აქედან არ წავალ! — მტკიცედ მიუგო ნილუფარმა და წინ გასწია. ქალები მალე მიხვდნენ, რომ მათ მიერ შემჩნეული კვამლი კოცონს ასდიოდა. ისინი ჩუმად მიეპარნენ პატარა მინდორს, სადაც ცეცხლი ენთო, და აღის ათინათში გაარჩიეს მხეცის მაგვარი ადამიანი. იგი გვამზე იჯდა. მის წინ გაკოჭილი ქალი იწვა. მისი გულამოსკენილი ტირილი ტურების კივილს ერწყმოდა. კოცონის ირგვლივ ადამიანთა თავის ქალები ეყარა.

ნილუფარსა და ჰეკას შიშისაგან გააცივათ. მათ თვალწინ მხეცის მაგვარმა ადამიანმა შოლტის ცემა დაუწყო ქალს. ქალი საზარლად კიოდა და შებრალებას ითხოვდა.

უცებ მეგობრებმა ფეხის ხმა გაიგონეს — ვიღაცა ტყე-ტყე ჩიქურ მოდიოდა მათკენ.

— აქეთ მოდიან! — შიშით თქვა ნილუფარისაკენ მობრუნებულმა მონაქალმა.

— წავიდეთ, ჰეკა!

— გვიანაა, ქალბატონო! რომ გავიქცეთ, დამნაშავეებად მიგვიჩნევენ!

ნილუფარმა ის იყო შეპასუხება დააპირა, რომ სიბნელიდან ვიღაც ქალი გამოვიდა.

— ვინა ხართ? — მტრულად ჰკითხა ქალმა.

სარტყელზე მიმაგრებული პატარა ნაჭერი უფარავდა სიშიშველეს, მაგრამ სამაგიეროდ მთელი ტანი სადაფითა და წვრილ-წვრილი ნიჟარებით ჰქონდა დაფარული.

— წყურვილი გვკლავს, — მიუგო ჰეკამ. — წყალი გვინდოდა და გველია. კი მაგრამ, რა არის ეს, სოფელია თუ ჯოჯოხეთი? შიშისაგან სული გვძვრება და ნაბიჯი ვერ გადაგვიდგამს — თითქოს მიწას ველარვაცილებთ ფეხებს.

ქალიც შეშინებულს ჰგავდა.

— თქვენი აქ ღვომა არ შეიძლება! წავიდეთ იქ, სადაც ადამიანები არიან!

და იგი გაუძღვა მათ შემადლებული ადგილისაკენ, სადაც დაჩოქილი გლეხები და მონები შექუჩებულიყვნენ. აქედან კარგად ჩანდა

მხეცის მაგვარი ადამიანი. მოისმოდა მისი ცალკეული სიტყვები: „აშვათჰა... გველი... სიკვდილი...“

ნილუფარმა და ჰეკამ მათი აქ მომყვანი ქალის მიბაძვით ვუხლიც მოიყარეს და სალოცავად დაიკრიფეს გულხელი.

— ვინ არის? — შეეკითხა ნილუფარი.

— მწირია, მთიდანაა ჩამოსული, — მიუგო ქალმა.

— მერედა, რატომ უყურებს მთელი სოფელი ასე მშვიდად ამ ველურ ძალმომრეობას? რატომ არავინ აღუდგება წინ ამ მტარვალს?

— მაგას ნუ ამბობ, ქალო! ის წმინდა კაცია. ბედნიერებას მოგვეტანს, სახელს გაუთქვამს ჩვენს სოფელს. ჩვენი არხები წყლით აივსება, ბარაქიანად მოვა ხორბალი. ათი წყრთის სიმაღლე პურის ყანა აბინდდება დიდებული მანიბანდჰის მიწაზე!

— დიდებული მანიბანდჰის? ნუთუ ეს მიწა მას ეკუთვნის?

— დიახ, ის არის მფლობელი ამ ყანებისა, ჩვენ კი მისი მოვალენი ვართ. თითქმის ყველა გლეხმა ქალაქელ ვაჭრებს მიჰყიდა თავისი მიწა...

— ჩუ, იქით გაიხედეთ! — საუბარი შეაწყვეტინა ჰეკამ. — რა საშინელებაა! რას სჩადის ეს კაცისსახოვანი ეშმაკი!

მწირმა მაჯაში გადაუგრიხა ხელი თავის მსხვერპლს. იგი ხმამაღლა აღრიალდა და უცებ დადუმდა, ეტყობა, გრძნობა დაკარგა.

— ხმა ჩაიკმინდე, შე ავყიავ! — გაუჯავრდა ქალი. — ჩვენ თაყვანს ვცემთ ჩვენს ღმერთს. ეს ქალიშვილი ამ სოფლიდანაა. იგი თავისი ნებით შეეწირა ღვთაებას...

— რომელ ღმერთსა სცემთ თაყვანს? — ჰკითხა აღელვებულმა ნილუფარმა.

— მას თერთმეტი სახე აქვს. ერთი — გველისა, მეორე — ლომისა, მესამე — დათვისა, მეოთხე — მგლისა... ყველა როდი მახსოვს... ეს მხოლოდ ჩვენმა მამასახლისმა იცის. შენ დასცინი ჩვენს ღმერთს?

— არა, ქალბატონი არ დასცინის, — სასწრაფოდ უპასუხა ჰეკამ. — ის მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო კითხულობს თქვენი ღმერთის შესახებ.

— რატომღა ანთია იქ ცეცხლი?

ქალმა ისე შეხედა ნილუფარს, გეგონება შუმ სულელს ელაპარაკებო, და უკმეხად მოუჭრა:

— მაშ რაზე უნდა შეწვიან ხორცი, შენს თავზე ხომ არა?

— რას მოგაგებთ ამ მაღლის სანაცვლოდ თქვენი ღვთაება?

— ღმერთი შეძლებასა და კეთილდღეობას მოგვანიჭებს. წი-

ნაპართა სულები მშვიდობას დაიმკვიდრებენ და ჩვენდამი კეთილად განწყობიან. ნადირნი საფლავებს აღარ გადათხრიან და გვამების ქამას თავს დაანებებენ. ჩვენს ბავშვებს აღარ დასტანჯავენ ავი სულები — ანეულებანი.

მწირმა კოცონის ირგვლივ დაიწყო ხტუნვა. ცხელი ნაცრით იზელდა ტანს და ეშმაკეულივით შემადრწუნებლად ცეკვავდა: ხან თმას იგლეჯდა, ხან გულშემზარავად გაჰკიოდა, ხან კი მუშტებს იშენდა გულში.

ყველანი, ვინც ბორცვზე იყვნენ, აქეთ-იქით ირხეოდნენ, მდაბლად ხრიდნენ თავს და შუბლით ეხებოდნენ მიწას, თითქოს თვალს ვერ უსწორებდნენ თავიანთ თერთმეტსახოვან ღმერთს, რომელიც უშველებელი კბილებით ახრამუნებდა ადამიანთა გვამებს...

ბოლოს მწირი შეჩერდა. ჩამოვარდა ავისმომასწავებელი სიჩუმე. განდეგილი შეკოჰილ მსხვერპლთან მივიდა და საბელი შეხსნა. მერე წამოაყენა და გვამზე დასვა. მღუმარედ ათლიდა გვამს ხორცის ნაჭრებს, ქალს აჰმევედა და თვითონაც შეექცეოდა.

კარგად რომ გამოძღა, ეშმაკეული ერთხანს თვალმოუშორებლივ შესცქეროდა მთვარეს, თითქოს მისგან ბრძანებას ელოდებო, მერე კი ორივე ხელით სწვდა ყელში ქალს. დაძაბულ სიჩუმეში ყრუ ქვითინი ვაისმა, და ყველაფერი მიწყნარდა. ენა გადმოუვარდა უბედურს. სული ამოხდა. მაშინ მწირმა გრძელი დანა ჩასცა გულში...

დაჰქროლა ქარმა. თითქოს საშინელი სიზმრიდან გამოერკვაო, ნილუფარი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. ჰეკაც უკან მიჰყვა. შიშმა ძალა შემატათ და მალე უკვე ეტლთან იყვნენ.

— აბა, ჩქარა! — შესძახა გულამოვარდნილმა ნილუფარმა.

კამეჩები წამოდგნენ. რაღაცამ ზუზუნით გაუარა ყურთან ჰეკას. ეტლი დაიძრა, მაგრამ სწორედ ამ დროს ისევ ვაისმა ზუზუნი, და რაღაც ტყაცუნით ჩაესო ეტლის ზურგს. ჰეკამ შოლტი გადაუტყალაშუნა კამეჩებს...

როცა სამშვიდობოს გავიდნენ, ჰეკამ ეტლი გააჩერა, რათა საწყალ კამეჩებს სული მოებრუნებინათ. მხოლოდ ახლა შენიშნეს ქალებმა ეტლის ხის ზურგში ჩარჭობილი გრძელი და წვრილი ისარი. გაიხსენეს საშინელება, თავს რომ გადახდათ, და აკანკალდნენ.

— ისარი სადმე წყალთან ახლოს უნდა დავაგდოთ. — თქვა ჰეკამ. — იქ დაწყევლილი ადგილია... რა საშინელება იყო!

გუბურის ახლოს ეტლი გააჩერეს. ჯერ ორივემ მოიკლა წყურვილი,



მერე ისარი მოიტანეს, წყალი ასხურეს და სილაში ჩაარქეს, თან ჩურჩულით შეულოცეს.

მღუმარედ ავიდნენ ეტლზე და ნელა გასწიეს ქალაქისაკენ. მთვარე მიმქრალიყო. მისი კაშკაშა ყვითელი შუქი უსიცოცხლო მკრთალმა ნათელმა შეცვალა. გზას თითქოს მონაცრისფრო საფარველი გადაპკროდა.

ქალაქს რომ მიუახლოვდნენ, ნილუფარმა მხოლოდ მაშინ დაარღვია გულზე შემოწოლილი სიჩუმე:

— გამბედაობა არ მყოფნის, რომ სასახლეში მივბრუნდე...

ჰეკა დუმდა.

— იქნებ ვენიმ ვერ გაბედა ყველაფერი ეამბნა მანიბანდჰისათვის? — კვლავ წამოიწყო ნილუფარმა. — კი მაგრამ, როგორ აუხსნის თავის მარცხს?

— სად წავალთ ახლა? — წამოსცდა ფიქრში წასულ ჰეკას. — ნეტავ როგორ არის ჩემი აპაბი? მანიბანდჰი მოკლავს მას!

— მაშ დამბრუნდი, — ნაღვლიანად უთხრა ეგვიპტელმა.

— არა! ჩვენ სამივენი უნდა გავიქცეთ!

— მერე, არ გეშინია?

ჰეკამ თავი ასწია და თქვა:

— კარგი, დაე, მანიბანდჰმა, თუ მოისურვებს, ცეცხლში ჩააგდოს აპაბი. ჩვენ ორნი გავიქცეთ.

მაგრამ ნილუფარი გაქცევაზე არ დაეთანხმა, და მათ გადაწყვიტეს სასახლეში მიბრუნებულებიყვნენ, — მეგობრობამ სძლია შიშს.

ნილუფარმა ზიზლით გაიხსენა სასახლე — სიცრუის სავანე. როგორ გაბედავს იქ მიბრუნებას? განა მას ძალუძს ვაჰარს აღუდგეს წინ? ის ეტყვის: „საძაგელო, მე შენ უსაზღვრო სიკეთე მოგანიჭე და ქალბატონად გაქციე. მაგრამ შენი მონა როდი გავმხდარვარ; მაშ რაღად აჩენ ჩემი ბედნიერების სამოთხეში ხანძარს?“

იბადებოდა ახალი დღე. დაჰქროლა დილის გრილმა სიომ.

როცა ეტლი მთავარ ქუჩას მიადგა, ვაჰრები უკვე აღებდნენ თავიანთ დუქნებს. კამეჩები ნელ-ნელა მიიზღაზნებოდნენ სუფთა ქვაფენილზე, — ისინი მთელ ღამეს მორბოდნენ და რამდენიმე წუთის შესვენების დროსაც კი უღლიდან გამოუხსნელნი იდგნენ. ჰეკას უნდოდა რაც შეიძლება ჩქარა ეამბნა აპაბისათვის ყველაფერი, და იგი წამდაუშუშმ უჩავრდებოდა განაწამებ პირუტყვებს.

ქუჩა სასწრაფოდ ივსებოდა ხალხით. ყველა ცდილობდა აღრიანად გამოსულიყო ქალაქში და სანამ მზე დააცხუნებდა, მანამ მოეგვარებინა

თავისი საქმეები. ცნობისმოყვარედ ათვალეირებდა ბრბო ორ ახალგაზრდა ლამაზ ქალს. ერთს კამეჩების სადავე ეპყრა ხელთ, მეორე კი ქალბატონის იერთ იდგა ეტლზე, ამაყად თავაწეული; მის მზერაში გამოსკვევიოდა უდიდესი ზიზღი შექუჩული ადამიანებისადმი, თითქოს ისინი პირუტყვები იყვნენ.

ნილუფარის ბრწყინვალეობა ოდნავ გაფერმკრთალდა. თვალეები უძილობისაგან დაუწითლდა. სამკაულები აღარ ამშვენებდა, ტანისამოსი გაუქუჩყიანდა. გეგონებოდა, ახლახან გაუღვიძია და თავისი თავისათვის ჯერ არ მიუხედავსო.

ამან ბრბოს ყურადღება მიიპყრო. განსაკუთრებით ცნობისმოყვარენი იყვნენ ახალგაზრდა მოქიფენი, რომლებიც ღვინის ღუქნებთან შეგროვილიყვნენ. წუხანდელ დროსტარებას ვერ დაეცხრო მათი ავხორცული ვნება, და ახლა მოურიდებლად ათვალეირებდნენ თმაგაწეწილ კანთეთრ ნილუფარს. დიდგვაროვანი ახალგაზრდები ამ აღრიან დილასაც კი იქცევდნენ თავს. დაე, ჩვენმა მამებმა იზრუნონ ოქროებზე, — ფიქრობდნენ ისინი. — მოვა დრო და ჩვენც გაგვიჩნდება საქმეებიო. ჯერჯერობით კი ტყუილად რაზე უნდა შევაკლათ თავი შრომასო?

— ნილუფარ! — უთხრა შეშფოთებულმა ჰეკამ. — ხალხი სულ მოდის და მოდის...

ვილაცამ დამცინავად შესძახა:

— გაჰყლიტე, ლამაზო, გაჰყლიტე!

მათ თვალწინ თანდათან იზრდებოდა ბრბო. ქალაქის მკვიდრნი ქალღმერთ მაჰამაის ტაძრისაკენ მიეშურებოდნენ. გულებში კვლავ შიში შეეპარათ. განა დიდი ხანია, რაც სასოებით ასხამდნენ ხოტბას ყოვლისშემძლე მეუფეს? განა უხუცესმა ქურუმმა კეთილი ღიმი არ შენიშნა მის ღვთაებრივ პირისახეზე? მამ რატომ გაისმა წუხელ საშინელი გრუხუნნი, ან რამ შეღება მთვარე სისხლისფრად? ნუთუ მაჰამაიმ კვლავ მოისურვა მსხვერპლი? ქალაქის მკვიდრნი დამწუხრებულნი მიაბიჯებდნენ ტაძრისაკენ და მხოლოდ მაშინ ჩამოდგებოდნენ ხოლმე გზიდან, როცა კამეჩების თავები მათთან სულ ახლოს აღმოჩნდებოდნენ.

უცებ ვილაცამ შეჰყვირა:

— შეხეთ, ეგვიპტელი მომღერალი! ეგ იყო, ყოვლისშემძლე მაჰამაის თავყანისცემის წესი რომ დაარღვია. საძაგელმა ეგვიპტელმა ჩვენი ღვთაებისადმი უპატივეცემლობა გამოამჟღავნა. აი, რატომ ქუსს კვლავ მრისხანედ დედამიწა!

ირგვლივ აყაყანდნენ.

— კიანკველამ მძევის შეძერა განიზრახა! ჩვენი ქალღმერთი, ჩვენი მსხვერპლის შეწირვა არარაობაა ამ თავაშვებული ქალისათვის! შეხეთ, რა ამაყად უჭირავს თავი! ქალი კი არა, ავი სულია. წყეული კუდიანი! ლამაზ ქალად უნდა რომ მოგვევლინოს!.. იგი ლამაზია მხოლოდ მაშინ, როცა მთელი ქვეყნის დასანახად მოდის ეტლით — თითქმის შიშველი, მკერდმოღელი და თეძოებშეუმოსავი: მოდი, ცოდვათა მორევში ჩაიძირე და სიცოცხლეს გამოესალმეო... თავაშვებული!

ნილუფარმა შოლტს წამოავლო ხელი და მოლაპარაკეს პირისახეზე გადაუჭირა. მან სიმწრისაგან შეჰყვირა და წაბარბაცდა. ხელი მიაშველეს. აბუჩად ამგდებს სისხლი სდიოდა. ზღვა ხალხი მოაწყდა ეტლს: წინ ნაბიჯის გადადგმაც კი შეუძლებელი იყო.

ვილაცის ხელი სწვდა სადავეს. ვიშვაჯითი გახლდათ.

— საით გაგიწევია, მშვენიერო? — შეეკითხა იგი. — მშვიერ მგლებს ხორცის სუნი ეცათ და თავს დაგესხენ? შენ ხომ თავი მოგქონდა შენი ძალით, მამ გაჰფანტე ეს მგელთა ხროვა! სად არის შენი მანიბანდკი?

— იგი ჩემი როდია! — წამოიძახა ნილუფარმა. — ახლა ის ჩემთვის არარაობას წარმოადგენს!..

ვიშვაჯითმა გადაიხარხარა.

— რას უყურებთ, ჰკუთხელნო? — შეჰყვირა მან. — სულ ერთი არ არის — მოცეკვავე იქნება თუ მომღერალი? აბა, სტაცეთ ხელი! მცველთა უფროსთან მიათრიეთ!

ატყდა წარმოუდგენელი ხმაური. აღელვებული მოქალაქენი ხარბად იწვდიდნენ ქალებისაკენ ხელებს.

— ნილუფარ! — შიშით წასჩურჩულა ჰეკამ. — უნდა გავიქცეთ...

— გადატე, ჰეკა!

მონაქალმა ისკუბა და ბრბოში მიიმალა. მას მიჰყვა ნილუფარიც. ყველაფერი აირ-დაირია, ხალხი ერთმანეთს მიაწყდა. ლტოლვილთ კი თავი დაეღწიათ ბრბოსათვის და უკვე შორს იყვნენ. როცა ნახეს, მსხვერპლნი ხელიდან დაგვისხლტნენო, შექუჩებული ადამიანები აღრი-ალდნენ. ისინი განცვიფრებით შესტყეროდნენ ერთმანეთს.

ვილაცამ გადაიხარხარა. ხალხის ყურადღება ახალმა თვალშესაქცევმა მიიპყრო, და ყველას ერთბაშად დაავიწყდა ეგვიპტელი.

მოხუცი ვიშვაჯითი ეტლზე ამძვრალიყო, კამეჩებს უჯავრდებოდა და გაჰყვიროდა:

— ვირებო! გაგექცათ! ის რომ თქვენსავით გონებაჩლუნგი ყოფილიყო, შორეული ეგვიპტიდან არ ჩამოვიდოდა. გაიგეთ? აბა, გზა მიეცით დიდებულ ვიშვაჯითს!

კამეჩები ჯერ არ შეეპუენ და უკან დაიხიეს, მაგრამ ვიშვაჯითმა, როგორც მარჯვე მეეტლემ, ოსტატურად დაიოკა ისინი.

— დიდებული ვიშვაჯითი კვლავ ახალგაზრდავდება! — შესძახა ვილაცამ. — დიდება ვიშვაჯითს!

მრავალი აპყვა ამ შეძახილს. ყველანი გამხიარულდნენ.

— აბა, კიდევ ერთხელ, უსაქმურნო! — დაიღრიალა ბერიკაცმა. — კიდევ ერთხელ შესძახეთ!

კამეჩები გზაზე გარბოდნენ. ეტლზე მდგარი ვიშვაჯითის შემყურე ხალხი თავისდა უნებურად უთმობდა გზას მოხუცს: ეს ღვთის გლახა ყველას უღმობლად გაგვსრესსო. მაგრამ ვიშვაჯითმა ვერ იჭერა გული სეირნობით. მანიბანდძის სასახლის წინ კამეჩები უეცრად გაქვევდნენ. ბერიკაცმა შოლტის ცემა დაუწყო. კამეჩები ხროტინებდნენ, პირიდან ქაფს ყრიდნენ, მაგრამ ადგილიდან არ იძროდნენ. მონებმა ეტლზე მანიბანდძის ნიშანს მოჰკრეს თვალი და მაშინვე მიხვდნენ, რატომ გაჩერდნენ კამეჩები. მათ შეჰყვირეს:

— დიდებულო ვიშვაჯით! ბატონი თავის სასახლეში გიწვევთ!

ვიშვაჯითი კმაყოფილის ღიმილით ჩამოვიდა ეტლიდან. იგი ისე ამაყად მიაბიჯებდა, თითქოს თვით მანიბანდძი ყოფილიყო. მონებმა გაითვალისწინეს, თუ რა სეირი მოჰყვებოდა ამას, და დიდი სიამოვნებით მიასწავლეს. აბა ვინ არ იცოდა, რომ დიდებული ვიშვაჯითი ყველაზე მალლა იდგა მთელს ქვეყანაზე?! მათ სერიოზული სახეებით, ოღონდ გულში დაფარული სიხარულით წარუდგინეს ერთი დიდებული მეორეს.

ამ დროს მანიბანდძი თავის მწერალს უკარნახებდა ნუსხას იმ საქონლისას, რომელიც დასავლეთ აზიაში უნდა გაეგზავნათ. მან გაკვირვებით შეხედა სალოსს და მორჩილად თავდახრილ მსახურთ.

— შილპაჰას! რა არის?

— დიდო ბატონო! — თაყვანისცემით მიუგო შილპაჰასმა. — დღეს ჩვენ სიხარული მოგვეგვარა შემთხვევამ, რომ ღირსი გავხდით მისვალმებოდით დიდებულ ვიშვაჯითს! მოჰქნჯო-დაროს ყოველი მკვიდრი — ბავშვი თუ მოხუცი — ქება-დიდებას ასხამს მას!

მანიბანდძი გაოცებით შესტკეროდა მსახურს.

— დიდო ბატონო! — განაგრძო შილპაჰასმა, რომელიც ძლივძლივობით იკავებდა სიცილს. — დიდებულ ვიშვაჯითი ჩამოხდა თქვენს კართან, რათა თქვენ მოენახულებინეთ. ჩვენი ვალი იყო თქვენამდე მოგვეცილებინა იგი. მოუტევეთ თქვენს მონებს! — მეორე მონა ვიშვაჯითისკენ მიბრუნდა და წარმოთქვა: — მშვიდობა თქვენდა, დიდებულო!

მანიბანდჰს გაეღიმა, — აი, თურმე რა ყოფილა!

— მშვიდობა თქვენდა, — გულგრილად უთხრა ვაჰარმა.

შილპაპასი ბატონთან მივიდა და წასჩურჩულა:

— დიდო ბატონო! ეს სულელი თქვენი ეტლით მოვიდა. ამიტომაც მოვიყვანეთ თქვენთან.

— ჩემი ეტლით? — განცვიფრდა მანიბანდჰი.

— დიახ, დიახ; ეტლზე თქვენი ნიშანია ამოკვეთილი.

— ჩემი ნიშანი?

— მონებმა იმწამსვე შეამჩნიეს.

— კარგი, წადი.

შილპაპასი განშორდა.

ამ დროს მწერალმა ვრიშაბჰამ სამუშაოდან თავი აიღო და უთხრა:

— ბატონო, ჩავიწერე. ას ორმოცდაათი კალათი წითელი ფისი...

მაგრამ მანიბანდჰს არც კი შეუხედავს მისთვის. მწერალი დიდის ვაი-ვაგლახით წამოდგა ზეზე, — ძალიან სქელი იყო. ხელში ლითონის გრძელი ნემსი ეჭირა, რომლითაც ტყავის ნაჭრებზე იეროგლიფებს ფხაჭნიდა. მერე ნაფხაჭნ ადგილებს მელნით ავსებდა.

მანიბანდჰის თვალეში შიშმა გაიელვა. რა დაემართა ვენის? მათ-  
ხოვრის დაჟინებულმა მზერამ საგონებელში ჩაავლო მანიბანდჰი. სა-  
ლოსის უცნაური გამოხედვა თან აშინებდა და თან ანდამატივით იზი-  
დავდა. უცებ რატომღაც მოაგონდა შორეული წარსული. მაგრამ თავს  
ძალა დაატანა და პირქუში ფიქრი განავლო.

— მშვიდობა შენდა, დიდებულო! — კვლავ უთხრა ვაჰარმა.

ვიშვაჯითი დუმდა.

— შემობრძანდი, დიდებულო, ჩემს სასახლეში! იქ მარტონი დავ-  
რჩებით და წავისაუბრებთ.

ვაჰარი პასუხს არ დალოდებია და წინ გასწია. სალოსი უეცრად  
მოიბუზა, მოიღუშა და უკან გაჰყვა.

მანიბანდჰმა თავის ოთახში შეიყვანა მოხუცი, სავარძელზე დასვა  
და ჰკითხა:

— სად იშოვე ეტლი, დიდებულო?

— მოჰენჯო-დაროს მთავარ ქუჩაზე...

ვიშვაჯითის ხმას უგუნურებისა არაფერი ეტყობოდა. პასუხი ზუსტი  
და მოკლე იყო. „დიდებულო მანიბანდჰ, — უნდა ეპასუხა მოხუცს,  
როგორც ჩვეულებრივ იცოდა. — ნუთუ შენ მეკითხები მაგას? ეს ხომ  
მთელმა ქალაქმა იცის, რომ დიდებული ვიშვაჯითი მოჰენჯო-და-

როს მთელი ქვეყნიერებისათვის ცნობილ ქუჩაზე წააწყდა მიტოვებულ ეტლს!“

— მთავარ ქუჩაზე? — გაოცდა მანიბანდძი.

მათხოვარმა თავი დაუქნია. ვაჭარი ჩაფიქრდა. ვენი, ვგონებ, მეეტლესთან ერთად წავიდა. თუკი ის არ დაბრუნებულა, მეეტლეს რაღა დაემართა? საინდჰავმა არაფერი არ იცის, იგი არ მჯდარა ეტლზე, მაშ საიდან გაჩნდა ეს ეტლი? ეს რა ხათაბალაა? წუთით თავი უმწეოდ იგრძნო.

— ვერ ხვდები, მანიბანდძი? — შეეკითხა მოხუცი. — ქალის გულს ძნელად ჩასწვდება კაცი. მე ვიცი ეს, მე ოდესღაც ყველასაგან პატივცემული ადამიანი ვიყავი. დიდგვაროვან ქალებს უზნეობად არ მიაჩნიათ რომელიმე ქალაქელ ჰაბუკთან გაატარონ ღამე. შენი ეგვიპტელი დილაადრიან ბრუნდებოდა საყვარელთან ტრფიალის შემდეგ და, ეტყობა, ძალიან ჩქარობდა სასახლეში მისვლას. ტანისამოსი მოუწესრიგებელი ჰქონდა, თვალები — ამოღამებული. ხალხმა დაცინვა დაუწყო. დაცინვა აგრე არ უნდაო, და შოლტი გადაუჭირა ვიღაცას. მის ეტლს ალყა შემოარტყეს, მაგრამ იგი თავის მონაქალთან ერთად გადმოხტა ეტლიდან და გაიქცა. მე ვიცი, ძალიან მარჯვე ქალია.

— მაშ ნილუფარმა ღამით დატოვა სასახლე? — აღმოხდა მანიბანდძის.

— შერედა, რა არის აქ საკვირველი? — განაგრძო სალოსმა. — ვიშვაჯითისთვის უცხო როდია ამგვარი საქმეები. თუკი შენ ახალ ლამაზმანს გაიჩენ, განა წინანდელი საყვარელი შენი ფეხის ნაკვალევს დაიტირებს? მომღერალი მეტისმეტად ქედმაღლობს, მაგრამ, რას იზამ, ასეთია სიმდიდრის ძალა, — ადამიანები ვერ ბედავენ ხმა აღიმალღონ მის წინააღმდეგ.

— ნილუფარი — წამოიძახა მანიბანდძმა. — ნილუფარ...

ბერიკაცმა გადაიხარხარა. ეტყობა, მის ცნობიერებას კვლავ გადაეკრა უგუნურების ბინდი.

— შენ თვალთმაქცი ხარ! შენ თვითონ იცი ყველაფერი! — იცინოდა მათხოვარი. — გეყოფა სიმამაცე, რომ ჩემს კითხვაზე მიპასუხო?

— კიდევ რა გინდა? — უკმაყოფილოდ შეეკითხა ვაჭარი, რომელიც შიშობდა, ვაითუ შეშლილმა უტიფარი რამ წამოროშოსო.

— ვიცი, გამიბრაზდები, დიდებულო, მაგრამ მითხარი, ვინ იყო მამაშენი? შენ ამ ქალაქში დაიბადე?.. რატომ დუმხარა?..

სალოსი ხარხარით განშორდა. მანიბანდძი ნილუფარის ოთახში შევარდა. მან დაინახა იატაკზე მიმოფანტული სამკაულები და თავახდი-

ლი ყუთი. ლოგინს რამდენიმე ნახმლევი აჩნდა. მანიბანდჰმა საბანი გადასწია. საბანქვეშ ნაკუწ-ნაკუწ დაჭრილი ბალიში ეგდო. იქნებ ამ ყუეჩებმა ამაღამ ნილუფარის გვამის მაგივრად გადაადღონ ინდის ტალღებში? მამასაღამე, ესენი გამთენიის ხანს იყვნენ აქ, საჩქაროდ, უფიქრელად აღასრულეს ბატონის ბრძანება, მცველი მიუჩინეს და წავიდნენ...

მანიბანდჰმა ტაში შემოკრა. კარებში გამოჩნდა მცველი.

— შენ იყავი ღამით იმათთან?

— დიახ, დიდო ბატონო.

— ეს შენა ჰქენი?

მონამ ლოგინს შეხედა. მუხლებზე დაეცა და შიშისაგან აკანკალდა.

— აპაბი მომგვარე! — მრისხანედ უბრძანა ვაჭარმა.

იგი გაბრაზებული შევიდა თავის ოთახში.

ის იყო მცველმა ყველაფერი უამბო აპაბს, რომ იგი ისარივით გაქანდა ბატონისაკენ. გზად ნილუფარის ოთახშიც შეიჭვრიტა... ახლა კი ყველაფერს მიხვდა...

მანიბანდჰმა დანახვისთანავე მკაცრად ჰკითხა აპაბს:

— სად არის ნილუფარი?

— არ ვიცი, ბატონო! — შიამიტი სახით მიუგო ზანგმა. — ოზირი-სის ნატერფალს ვფიცავ, არ ვიცი. ეს ჰეკამ უნდა იცოდეს. ის ხომ ქალბატონის მონაა...

— მაშ ჩემს მოტყუებას ბედავ? — მუქარით წარმოთქვა ვაჭარმა.

— ბატონო! მე არ ვიცი... არ ვიცი, სად არის ქალბატონი...

— ჰეკა სადღაა? არ მსურს ვისმინო შენი ბრიყვეული რატრატი!

მანიბანდჰმა ნაბიჯი წარდგა და ჰკითხა:

— გაიგე? ჰეკა სად არის-მეთქი!

აპაბი წყნარად იდგა და ამით აგრძნობინებდა, არაფერი ვიცო, მაგრამ ამ დროს ვაჭარს გაახსენდა, რომ მათხოვარი ელაპარაკა რომელიღაც მონაქალზე, რომელიც ნილუფართან ერთად გაიქცა. აბა, ჰეკას გარდა ვინ იქნებოდა იგისი კარებთან მონები შექუჩდნენ.

მანიბანდჰმა კედლიდან მათრახი ჩამოიღო.

— უმადურო პირუტყვო! რისთვის გიყიდე მე შენ? რისთვის დაგიტოვე ჰეკა? იმისათვის, რომ ასე მატყუო?

გოლიათი დუმდა.

— მეტყვი თუ არა, სად არის ჰეკა? — დაუყვირა ვაჭარმა. — სად წავიდა? ახლავე ჩაგიკლავ მაგ სიჭიუტეს!

მათრახმა ჰაერში გაიშხულია და ტყლაშუნით მოხვდა ზანგს. მანი-

ბანდში უწყალოდ სცემდა. ყოველ დარტყმაზე ძლიერდებოდათ ამო-  
რება მათრახს. ბეჭემოთის ტყავის სქელი მათრახი, რომელსაც შიგა-  
დაშიგ ლითონის ფირფიტები ჰქონდა დატანებული, ტყავს აძრობდა  
მონას. მანიბანდში მძვინვარებდა. ეტყობა, თავის დღეში პირველად  
გრძნობდა თავს ასე შეურაცხყოფილად. არასოდეს წაწყდომია იგი  
ამგვარ სიჭიქტეს!

საშინელ დარტყმას ბოლო არ უჩანდა. მონებს სისხლი გაეყინათ  
ძარღვებში. მუხლი მოიყარეს. მათ მიჰბადეს მცველებმაც, რომლებიც  
საიდანაც გაჩნდნენ. აპაპს უზარმაზარი ტანი სისხლით შეეღება, მაგ-  
რამ კრინტი არ დაუძრავს. თუმცა ყოველ დარტყმაზე და შეძახილზე:  
„სად არის ჰეკა?“ — ყურები უწიოდა და სისხლი იატაკს ეშხეფებოდა,  
მაგრამ მას სიტყვაც არ დასცდენია.

უცებ გოლიათს უძლურად დაეკიდა მხრებზე ხელები, იგი შეტორ-  
ტმანდა და იატაკზე დაეშხო.

მანიბანდშია ზიზლით გადაადგო გასისხლიანებული მათრახი და მო-  
ნებს შეუყვირა:

— გასწით აქედან!

აპაპი იატაკზე იწვა, თავი სისხლის ტბორში ეღო.

ოთახში მონა შემოვარდა.

— დიდო ბატონო! პატივცემულ ბაიადს თქვენი ნახვა სურს!

— შემოიპატიეთ.

მონა გაიქცა.

— გაათრიეთ! — ბრაზით უბრძანა მანიბანდშია ქვად ქცეულ მსა-  
ხურთ.

მათ ასწიეს აპაპი, ბოსელში წაიღეს და იქ დატოვეს. გრძნობამიხ-  
დილი იწვა უბედური.

მსახურებმა ოთახი მიალაგ-მოალაგეს. ერთმა მათგანმა სისხლიანი  
მათრახი აიღო, გაწმინდა და წინანდელ ადგილას ჩამოაჭიდა. კარებში  
მოხუცი მონა გამოჩნდა.

— პატივცემული ბაიადი უკვე გეახლათ! — აცნობა მან.

მონები თვალისდახამხამებაში მიმოიფანტნენ და სტუმარ-მასპინძე-  
ლი მარტო დატოვეს. მანიბანდშია ფართოდ გაშალა ხელები და გაღიმე-  
ბული გაემართა კარისაკენ.

— მშვიდობა შენდა, პატივცემულო! მშვიდობა შენდა!

მოულოდნელად გამოცხადდა მონა.

— დიდო ბატონო! ვარსკვლავთმრიცხველებმა გადაწყვიტეს, რომ  
თქვენი ხომალდი...



— ახლავე მოვალ! — სიტყვა შეაწყვეტინა მანიბანდძმა.

— დიდებულ ვაჟარს არ სცალია? — თავაზით შეეკითხა მოხუცი. — უდროო დროს მოველ?

— საქმეებისთვის ხვალინდელი დღეც მეყოფა. ნუ სწუხართ.

მანიბანდძმა გაიცინა, სავარძელზე მიუთითა და სთხოვა:

— დაბრძანდით!

ვაჟარი ხან რაზე ესაუბრა, ხან რაზე, მერე კი საყვედურის კილოთი ჰკითხა:

— პატივცემულო ბაიად! რისთვის გარჯილხართ? განა თქვენი ხნის კაცისთვის ასე შორს სიარული შეიძლება? რატომ არ დამიძახეთ? ახლა ძალიან დაკავებული ვარ, როგორც კი საქმეებს მოვაგვარებ, ალბათ შევძლებ თქვენთან მოსვლას.

ბაიადს გაეღიმა. იგი ხედავდა, რომ მანიბანდძი რალაცას დაებნია და შეეწუხებინა. რაზედაც არ უნდა წამოეწყო სტუმარს საუბარი, მანიბანდძი შეუსაბამოდ უპასუხებდა. ბაიადის გამოცდილ თვალებს არ შეიძლებოდა რამე გამოჰპარვოდათ. იგი მტკიცედ წამოლდა სავარძლიდან.

— დიდებულო, გთხოვთ ნება დამართოთ, წავიდე! სხვა დროს შემოვივლით.

მანიბანდძმა კარებამდე მიაცილა სტუმარი და შემდეგ ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. თითქოს კედლები ზანზარებდნენ მძიმე ნაბიჯებისაგან. მისი მზერა კედელზე შეჩერდა. იქ ეკიდა გველივით დაკლავნილი მათრახი. ვინ იცის, რამდენი ადამიანის სისხლი შეშრობია ამ მათრახს? შემხმარი სისხლისაგან სულ მთლად გაშავებულა, მაგრამ სამაგიეროდ კიდევ უფრო უბრაწყინავს ოქროს ტარი, რომელიც სასტიკ ხელს გაუპრიალებია. მანიბანდძი დიდხანს მიშტერებოდა დასჯის ამ პირქუშ იარაღს...

როცა გონს მოვიდა, აპაპმა ნახა, რომ ბინძურ ბაკში იწვა. ძალ-ღონე მოიკრიბა და წამოჯდა. მერე კედლებს წაეპოტინა და ძლივძლივობით წამოლდა. თავბრუ ესხმოდა. ფეხათრევით გამოვიდა ბოსლიდან, სვენებ-სვენებით მიადწია თავის სენაკამდე და ჩალაზე დაეცა. იქაურობა ისევ ისე დახვდა, როგორც დატოვა. ეტყობა, არც ჰეკა დაბრუნებულიყო, არც ნილუფარი.

ჭრილობებით დაფარული სხეული მწარედ სტკიოდა. ბევრს ეცადა ზანგი, როგორმე გამაგრებულიყო, მაგრამ ბოლოს მაინც უღონოდ დახუჭა თვალი. სიჩუმე ამშვიდებდა. მაგრამ ტკივილი თანდათან მძაფ-

რდებოდა. დადგა წამი, როცა ამ ტკივილმა თითქო სულიც გაუმსქვალა, და მან ამოიკვნესა. აპაპს გაახსენდა, როგორ ფართხალეზდა ხოლმე დაკლული ქათამი მოურავ აქშაის სასტიკ ხელებში. ახლა კი მიხვდა, რატომ ფართხალეზდა ფრინველი ასე... ეს მწვალეზელი დაუხანებლივ უღმობლად ხოცავს უსუსურ პირუტყვით და ფრინველთ, ისე რომ ერთხელაც არ გაივლებს გულში მათდამი თანაგრძნობას თუ სიბრა-  
ლულს. გაახსენდა, რა ნაღვლიანად ბლაოდა ძროხა, რომელსაც ხზო წაართვეს. აპაპს ცხარე ცრემლი გადმოსცივვდა ლოყებზე, თითქოს პატარა ბიჭი ყოფილიყოს, რომლისთვისაც ამაზე უფრო საშინელი უბედურება არ არსებობდა. უცებ სენაკში ჰქეკამ შემოიხედა.

— აპაპ, შენა ხარ? — ფრთხილად ჰკითხა მან.

აპაპმა დააპირა გადმობრუნებულიყო, მაგრამ აუტანელმა ტკივილმა კვლავ იატაკზე გაშხლართა. ჰქეკა მივარდა:

— რა დაგემართა?

აპაპს არ სურდა ლაპარაკი. ბრაზობდა მასზე. რად ჩაერია ნილუ-  
ფარის საქმეებში? ან ნილუფარი როგორ ბედავს ყველაზე დიდებულ  
კაცთან შედავებას?

— ეგ ვინ გიყო, აპაპ? — ცრემლნარევი ხმით უთხრა ჰქეკამ. — ვინ  
დაგასახიჩრა აგრე? ვინ გაწამა? მე მას თვალებს ამოვკაწრავ, ოლონდ  
კი მითხარი, ვინ არის... რატომ დუმხარ, აპაპ?

ოთახში შემოიპარა ნილუფარი. როგორც კი შეხედა ზანგს, მაშინ-  
ვე ყველაფერს მიხვდა.

— სულელო, — აღერსით უთხრა მან. — ეს მანიბანდჰის ნამოქმე-  
დარია. სხვა ვინ გაბედავდა ამ გოლიათის ცემას!

ჰქეკას ცრემლი გადმოსდინდა თვალთაგან.

აპაპმა უცებ ხრინწიანად წარმოთქვა, ისე რომ თავი არ აუწევია:

— შენი ბრალია, ნილუფარი! ყველაფერში შენა ხარ დამნაშავე...

ნილუფარი არც კი შემკრთალა.

— მე ვიცე! ვიცე, რომ სიმდიდრით გაბრუებულ ამ ვაჰარს ადამი-  
ანის სახე დაუკარგავს და მხოლოდ პატივსა და დიდებაზე ფიქრობს.  
მან თმაზე გადაუსვა ხელი აპაპს, შემდეგ ჰქეკას მიმართა:

— წყალი მომიტანე!

ჰქეკა ჩქარა დაბრუნდა, წყლით სავსე ფიალა ეჭირა. ნილუფარმა  
ორივე ხელით ჩამოართვა ფიალა და აპაპს ტუჩებთან მიუტანა.

— სულ დალიე.

აპაპმა დალია, გულს მოეშვა.

— ნუ სტირი, ჰეკა. შენი აპაპი მალე მომჯობინდება, იგი ძლიერია, — წყნარად უთხრა ნილუფარმა.

— ჰეკა სად არისო, მკითხა. რა უნდა მეპასუხა? — ბრაზით წაიჩურჩულა აპაპმა.

— მოცეკვავე სად არის?

— არ იციან.

— არ მოსულა?

— არა.

ნილუფარი ჩაფიქრდა. მერე ჰეკას სთხოვა:

— აბა კარში გაიხედე, ხომ არავინ დგას?

ჰეკამ ვერავინ დაინახა.

— რა მოხდა წუხელ, ნილუფარ? — ჰკითხა აპაპმა, რომელიც ტკივილს ებრძოდა. — გააკეთეთ, რაც გინდოდათ?

— არა, — მოკლედ უპასუხა ნილუფარმა, — მაგრამ ვერც მან შეასრულა განზრახული.

ჰეკამ ყველაფერი დაწვრილებით უამბო აპაპს. იგი გულისყურით უსმენდა. მერე უთხრა:

— დღევანდელ ღამეს დიდებული ვაჭრის მსახურთ მოჰკლეს ნილუფარი! — და გაიცინა.

ნილუფარს ხმლით აკუწული ბალიში მოაგონდა, და მასაც გაეცინა.

— დიდებულმა ყველგან მცველები დააყენა, — გააფრთხილა აპაპმა.

— მაგრამ ბაღში გამავალ საიდუმლო კართან ალბათ არავინ დგას? — იმედიანად ჰკითხა ნილუფარმა.

— არავინ! — მიუგო აპაპმა. — განრისხებულმა დიდებულმა ყველაფერი ვერ გაიხსენა.

აპაპი ტკივილის მიყუჩებას დაელოდა და თქვა:

— ჰეკა, შენ გიკითხა! თუ გნახა, ცოცხალს არ გაგიშვებს. — მერე ნილუფარს შესთავაზა: — რატომ არ გინდა გაიქცე პოეტთან ერთად?

— განა ის წამომყვება? — ნაღვლიანად წარმოთქვა ეგვიპტელმა. — ჩემი აქ დარჩენა არ შეიძლება. ჰეკა, შენ შეგიძლია სასახლეში იყო მანამდე, სანამ აპაპი არ მომაგრდება, მერე კი სამივენი გავიქცევით. ერთი თხოვნა უნდა შემისრულო: ბალის მხრიდან ჩემს ოთახში შეხვიდე და მომიტანო, რასაც ახლა გეტყვი...

ნილუფარმა ჩურჩულით აუხსნა ყველაფერი და წამით გულზე შიიხუტა ჰეკა:

— ფრთხილად იყავი!

ჰეკა შეუმჩნევლად გავიდა ბაღში. ის იყო უნდა გადამხტარიყო ბუჩქებში, სადაც საიდუმლო კარი იყო დატანებული, რომ უეცრად ვილაცა სწვდა უკანიდან და თავისკენ მიიზიდა. ჰეკას კინალამ სული გასძვრა შიშისაგან. აქმაი რომ შეიცნო, გულს მოეშვა და გაიციანა.

— ახლავე დავბრუნდები... ნილუფარი მოკვდა...

— როგორ თუ მოკვდა? — გაუკვირდა აქმაის. — შენ სად მიდიხარ?

— მე... მე... — დაიბნა ჰეკა. — ვშიშობ, ვაითუ ვინმეს უამბოთ...

— რას ჰქვია უამბო! — აქმაიმ გულზე მიიხუტა. — რატომ არ მენდობი?

— მინდა... მისი სამკაულები ავიღო.

— მე მომცემ რამეს?

— რასაც მოისურვებთ...

— ჩემო ლამაზო! აუცილებლად მაჩვენე, რასაც აიღებ. ბევრს არ გამოგართმევ. არც ვინმეს ვეტყვი.

— კარგი. ახლა კი გამიშვით. უკვე დროა...

— რა დრო? ვინ გელოდება?

— ბატონმა აპაპს სცემა. იგი სისხლისაგან იცლება.

— მერედა, რისთვის სცემა აგრე?

— დიდებულს უნდოდა გამოეტეხა აპაპი და ეთქმევიინებინა, სად ვიყავი წუხელ. მე კი... მე... — ენა დაება მას, თითქოს შერცხვავო.

— ვინმესთან გეძინა? მერე რა არის მაგაში ცუდი. აპაპს უამბე, ხომ?

— აპაპს როგორ ვეტყვი?! — ხელი ჩასჭიდა ჰეკამ მოურავის გამოწნაგონს. — ამას მხოლოდ თქვენ გეუბნებით.

— კარგი, კარგი! დაგეხმარები. ბატონს ვეტყვი, რომ წუხელ ჩემთან იყავი. თანახმა ხარ?

აქმაიმ გაოგნებულ ჰეკას ხელი მოჰკიდა და სასახლეში შეიყვანა. ქალს გული ამოვარდნაზე ჰქონდა. განა შეიძლება დაენდო ბოროტ კაცს?

აქმაიმ ჰეკა კარებთან დატოვა, თვითონ კი მანიბანდჰის პალატში შევიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნდა, სახეზე კმაყოფილების გამომხატველი ღიმილი აღბეჭდოდა.

— წავიდეთ!

ჰეკა გულისფანცქალით შევიდა ოთახში. მანიბანდჰს საქონლის ნუსხა უკვე ეკარნახა მწერლისათვის და ახლა სავარძელზე ისვენებდა.

— რაო, ჰეკა? — გულთბილად ჰკითხა მან.

ქალმა კრინტი ვერ დაძრა.

— მაშ აბაპი მართალია, ტყუილუბრალოდ დავსაჯე. მაგას, ცხადია, არ ეტყოდნი. მაგრამ რამე მაინც ხომ უნდა გეთქვა, როცა მიდიოდნი?

— მე ვუთხარი, ქალბატონთან მივდივარ-მეთქი, — მიუგო სულ მთლად აკანკალებულმა.

მანიბანდჰს გაეცინა. ვაჭარი უკმაყოფილო არ იყო აქშაის სამსახურით: იგი სამზარეულო ხელოვნების საუცხოო მკოდნე აღმოჩნდა, და ქალაქის ყველაზე წარჩინებული მკვიდრნიც კი, რომელთაც მანიბანდჰი ნადიმზე მიიწვევდა ხოლმე, სულ მისი შემზადებული საჭმელების ქებაში იყვნენ. ვაჭარი აღარ ჩასძიებია, ზურგი აქცია და წაიბურტყუნა:

— კარგი, წადი!

— დიდო ბატონო! — სიხარულით შესძახა აქშიამ. — მეხივით საშიშია თქვენი რისხვა, მაგრამ მოწყალებით კი ყოვლისდამომენ მიწასაც სჯობნით. საუკუნეებს გადაეცემა თქვენი ქება-დიდება!

„...ქება-დიდება, ქება-დიდება“, — დაიწრობინა სპილენძის რგოლზე ჩამომჯდარმა თეთრმა კაკადუმ.

— ბატონო მოურავო, — მადლიერად უთხრა ჰეკამ, როცა კვლავ მარტო დარჩნენ. — თქვენ კარგი ადამიანი ხართ. ძალიან კარგი!

ისინი ბალში გავიდნენ.

— აქ არა, — დათაფლული ხმით უთხრა აქშიამ. — აი, იმ ბუჩქებში წავიდეთ.

დაბურულ ბუჩქნარში კი სხვაგვარად ალაპარაკდა:

— ცოტა ხანს დავსხდეთ აქ. მე შენ ძალიან მომწონხარ; შენ ისეთი პატარა ხარ, ასე მგონია, სულში ჩავიძვრენ-მეთქი...

მერე კი კვლავ დაიწყო. ვერა და ვერ დააღწია თავი ამ არამზადს. ერთიც ვნახოთ და ვედარ მოიშორა, — მერე? იძულებული გახდა დამორჩილებოდა. აქშაის, ამ გარყვნილ კაცს, არასოდეს ავიწყლებოდა წესი: ქალთან მხოლოდ მაშინ მიაღწევ საწადელს, როცა გული საგულეს არა აქვს. მან მიწაზე წამოაქცია ჰეკა...

— მორჩა? — მოღლილი ხმით ჩაილაპარაკა ქალმა. — ახლა გამიშეით!

— მალე დაბრუნდი!.. — მოუთმენლად ჩასჩურჩულა ბებერმა ავხორცმა.

საიდუმლო კარით ჰეკა ფეხაკრფით შეძვრა ნილუფარის ოთახში, სამკაულები წინანდებურად იყო მიმოფანტული იატაკზე. გარედან მოისმოდა მცველის ფეხის ხმა. ჰეკამ აიღო რამდენიმე ძვირფასი სამკა-

ული, სხვა დანაბარებიც სწრაფად მოძებნა, ერთ ფუთად შეკრა და ასევე ჩუმად გამოვიდა ბაღში. დააპირა მოუტრავს ხელიდან დასძრომოდ, მაგრამ აქშიამ შეაჩერა და მიაძახა:

— ხომ არ დაგავიწყდი?

— თქვენთან მოვდიოდი.

იძულებული შეიქნა გაეხსნა ფუთა. აქშიამ უნდობლად აწონ-დაწონა ხელში ყველაზე საუკეთესო სამკაულები და უბეში შეინახა.

— სულ ეგ არის?

ჰეკას აღშფოთებისაგან ყელში ბოღმა მოაწვა.

— დრო აღარ იყო, — უღიმღამოდ მიუგო მან. — ახლა შემიძლია წავიდე?

— ზვალ მოხვალ?

— როგორ არა! კამეჩის ხორცს ხომ მომცემთ?

— რამდენსაც მოისურვებ, ლამაზო.

— სად დაიქარგე ამდენ ხანს? — ჰკითხა ნილუფარმა, როცა ჰეკას ფუთა ჩამოართვა.

ჰეკამ დაწვრილებით უამბო ყველაფერი. ნილუფარი დამშვიდდა.

— შესანიშნავია, ჰეკა! ჰკუთ სავეს ხარ!

აპაპმა დაჭრილი ლომივით ამოიკვნესა. ჰეკამ კალთაში ჩაიდო მისი თავი. ნილუფარმა ფუთა გახსნა.

— ახლა საშიში აღარაფერია, — უთხრა მან. — კიდეც კარგი, რომ წუხელ სიბნელიდან არ გამოხვედი, თორემ მოცეკვავე გიცნობდა.

— მაგრამ შემდეგ ხომ თვითონ ახსენე ჩემი სახელი!

— ის უკვე ეტლში იჯდა. განა იმ სიშორეს გაიგონებ რამეს? თანაც ისე იყო შეშინებული, რომ ვერც ვერაფერს გაიგებდა.

ბინდი ჩამოწოლილიყო. სასახლის მთავარი ჭიშკრიდან ჰაბუკი გამოვიდა. შიშით ავლებდა თვალს აქეთ-იქით. ქალაქის ქუჩები გადაჭრა და ინდის ნაპირას ჩავიდა. მდინარე ბობოქრობდა. ქარი სილის კორიანტელს აყენებდა. შავ ღრუბლებს ჩამოემძიმებინათ ცა.

ღამდებოდა. ქარი მძლავრობდა. ჰაბუკი მეზღვაურთა ქოხმანები-საკენ გაემართა. ქარმა რამდენჯერმე დასცა ძირს. ბოლოს ყველაზე მახლობელ კარზე დააკაჟუნა. ვიღაც დედაბერმა გამოაკითხა და ლაზათიანად გამოთათხა. ჰაბუკი წამსვე მოსცილდა და ბნელში გაუჩინარდა. მეორე ეზოში შეაბიჯა და დასასვენებლად ჩამოჯდა. მაგრამ ერთი მთვრალი კაცი აეტორღილა და იქაურობასაც სასწრაფოდ განშორდა, გადაწყვიტა სხვაგან ეცადა ბედი.

რომელიღაც ქოხის გამოღებულ კარში ჰაბუკმა დაინახა მეზღვაუ-

რები, მბჟუტავ სანათს რომ შემოსხდომოდნენ. მეზღვაურები თიხის კათხებით იაფფასიან სასმელს სვამდნენ და ავყიანობდნენ.

— ეპეი, ბიჭო, მოდი აქ! — შესძახა მათ, როცა ჭაბუკს მოჰკრეს თვალი. — მოდი, ერთი-ორი კათხა დაგვილიე!

ჭაბუკი გაღიმებული პირით შევიდა.

— სადაური ხარ?

— ეგვიპტელი. კათხა სადღაა? აქი სასმელი შემომთავაზეთ! ერთ-ერთმა მეზღვაურმა კათხა აუვსო და ჭაბუკს გაუწოდა.

— და არა გყავს?

— ჭაბუკმა ერთი ყლუპი მოსვა და მიუგო:

— მყავს... თოთხმეტი წლისაა...

გვერდით მჯდარმა კაცმა ჰკითხა:

— შენა გგავს?

— სულ არა მგავს. ჩოფურაა, ცალთვალა, შავთმიანი...

ჭაბუკი მოყუდებული კათხიდან ღვინოს შეუმჩნევლად ღვრიდა იატაკზე, მეზღვაურებს კი ეგონათ, სულმოუთქმელად ცლისო. ყველანი გამოთვრნენ და მბჟუტავი სანათის შუქზე ვერაფერს ამჩნევდნენ. ახლახან მოსული მოხუცი მეზღვაურიც კი ვერ ხვდებოდა ბევრ რამეს, რადგან ზედიზედ რამდენიმე კათხა გამოსცალა. ბიჭუნა, რომელიც ხელში ატატებული მოიყვანა, იატაკზე თამაშობდა.

— როცა დედაჩემი ქალიშვილი იყო... — უყვებოდა ჭაბუკი. — არა, თქვენ მე ღვინოს არ მისხამთ, მირჩევენია გაჩქუმდე.

— არა, არა, — თქვა ერთმა მეზღვაურმა. — ჯალნაგ, დაუსხი.. აჰა, დალიე...

— ...დედაჩემს სილამაზეში ბადალი არ ჰყავდა.—იგონებდა ჭაბუკი. — მამაჩემი მონის შვილი იყო, არაბეთის ერთი პატარა სოფლის მკვიდრი. მაგრამ წარჩინებული კაცის შესახედაობა ჰქონდა, რადგანაც დიდგვაროვანი ქალის ნაშობი გახლდათ. გაიგეთ?

მეზღვაურები გულისყურით უსმენდნენ. ბიჭუნა ჭაბუკთან მივიდა და მუხლებზე მიეხუტა.

— მე ვარ შვილი დიდგვაროვანი ქალისა, რომელიც მამაჩემმა შეაყვინა, — განაგრძო ჭაბუკმა. — მონები შობითგანვე მშალავდნენ. ხოლო ჩემი და ზანგმა ქალმა შობა...

— მერედა, რა უნდოდა მამაშენს ზანგ ქალთან? — ჰკითხა ჯალნაგმა. — რა ნახა მასში ეგეთი?

— იგი ჩემს აღზრდაზე დასთანხმდა. ჰოდა, ხომ უნდა გამორჩენოდა რამეს?..

— შენ გგონია, სულ ეგ იყო გამოჩენა? — დამცინავად შენიშნა ჯალნაგმა.

— დედაჩემი... — გულნაწყენად დაიწყო ჭაბუკმა.

სწორედ ამ დროს ბავშვმა მაგრად მოჰქაჩა დოლბანდის ყურში. დოლბანდი გაიხსნა და ჭაბუკს ტალღოვანი თმა ჩამოეშალა მხრებზე.

— ეს ხომ ქალია! — გაოცებით შეჰყვირა ჯალნაგმა.

მეინახენი აჩოჩქოლდნენ.

— ქალია? დაიჭით!

— არ გაუშვათ!

— ვინ მოგვიგზავნა?

ყველაფერი აირ-დაირია. ჯალნაგი შემთხვევით გაედო სანათის სადგარს და სანამ ვინმე შეაშველებდა ხელს, სანათი იატაკზე გადმოვარდა და ჩაქრა. ნილუფარი კარს ეცა. მას კვალდაკვალ მოსდევდა მთვრალ ადამიანთა ყვირილი. ზოგიერთი მეზღვაური, ვისაც ჯერ კიდევ შეეძლო ფეხზე დგომა, უკან დაედევნა.

მან დოლბანდი კისერზე შემოიხვია. უცებ ვილაცამ სულ ახლოს დაიძახა:

— აგერ არის!

ნილუფარი წინ გაიჭრა. ფლატესთან მიიბრინა და შეჩერდა. ქვემოთ ღრიალით მიდიოდა დიდი მდინარე. მაგრამ სხვა გზა არ იყო — მეზღვაურები ახლოვდებოდნენ. ეგვიპტელმა ზელები გაშალა და მდინარეში ისკუპა. რამდენიმე მეზღვაურიც მიჰყვა. ნილუფარმა ცხვირზე მოიჭირა ხელი, ჩაყვინთა და ისე გასცურა. აქ, სიღრმეში არავითარი ხმა არ აღწევდა. თითქოს ქარიშხალიც ჩადგა ერთბაშად. ნილუფარი რაც ძალი და ღონე ჰქონდა მიცურავდა დინების მიმართულებით. როცა ამოყვინთა, მეზღვაურები აღარ ჩანდნენ. ორასიოდე წყრთა აშორებდა ნაპირს, მაგრამ ძლიერი დინება ხელს უშლიდა მიახლოვბოდა. ცურვით რომ დაიღალა, ახლა ზურგზე გადაწვა. მალე ძალ-ღონე დაუბრუნდა. იგი ხელის ძლიერი მოძრაობით კვეთდა ტალღებს და თანდათან უახლოვდებოდა ნაპირს. გარშემო ინდი ღრიალებდა. ასეთი ქარიშხლის დროს მენაგენი სინათლეს აქრობენ, ნაგებს ნაპირზე მიაბამენ და ან კათხა ღვინოს მიუსხდებიან, ანდა ძილს მიეცემიან ხოლმე.

იმ მეზღვაურებს რომ დაეჭირათ! განა მათ შერჩენოდათ ადამიანური გრძნობა? უცხო ნავსადგურებში გაეფლანგათ თავიანთი სული! მათ არ გააჩნდათ რაიმე წმიდა, — არც სიყვარული შეეძლოთ, არც მშობლიური სახლისაკენ მიუწევდათ გული. ისინი ცოცხლად ლბებოდნენ იმ საზიზღარი სენით შეპყრობილნი, რომელიც მეძავთაგან გადაედებო-



დათ ხოლმე. ნილუფარს თითქოს სცემდა კიდეც საძაგელი სუნი, მეზღვაურებს რომ ასდიოდათ. ერთიც ვნახოთ და მათ თათებში ჩავარდნილიყო!..

ნილუფარი ფეხებით ფსკერს შეეხო. წამოდგა. ტანისამოსიდან წურწურით ჩამოსდიოდა წყალი. ღონემიხდილი დაეცა სილაზე. ცოტაოდენი რომ დაისვენა, თავს ძალა დაატანა და ადგა.

რატომ მოვიდა ნილუფარი ინდის პირას? იქნებ იმედოვნებდა, ჰაბუკის ტანისამოსში გადაცმული, რომელიმე შორეულ ქვეყანაში გავყვებიო მეზღვაურებს? არ გაუმართლდა.

გულადმა წამოწვა. მთვარის დიდებულ ნათელს ათასობით ვარსკვლავის სხივმფინარობა დაეჯაბნა. განთიადი შორს აღარ იყო — შვიდი ბრძენის თანავარსკვლავედმა ჩრდილოეთისაკენ იბრუნა პირი. ნილუფარმა ძალ-ღონე მოიკრიბა, წამოდგა და თავისი თავი შეათვალიერა. სულ მთლად ტალახში იყო ამოსვრილი. ტანისამოსი და დოლბანდი დაფერთხა, ხელებზე, კისერსა და ფეხებზე მიკრობილი სილა ჩამოიბერტყა, სანდლები გაიძრო და ფეხის გულები შეიშრალა. მერე თმა ერთ კვანძად შეიკრა, თავზე დოლბანდი მოიხვია. ახლა შეიძლებოდა უკან დაბრუნებულიყო.

სასახლეში თავის დროზე მივიდა. მთავარ ჰიშკართან მდგარ მცველებს ჯერ კიდეც ეძინათ. იგი დაუბრკოლებლივ შევიდა აპაპის სენაკში. ჰეკა ზანგის გვერდით მოკუნტულიყო და ძილს მისცემოდა. აქ ხიფათი ვლოდა, მაგრამ სხვაგან სად შეეძლო წასვლა? პოეტთან? განა ის დაიცავდა? ნილუფარს რაღაც ხმაურმა შეაწყვეტინა ფიქრი.

დააყურა. სიჩუმე აღარ დარღვეულა. მაშინ მხარზე დაადო ხელი მონაქალს და შეანჯღრია.

— ჰეკა!

— ვინა ხარ? ნილუფარი როდის მოხვედი?

— ეხლა.

— არაფერი გამოვიდა?

— არა!

— რა ვქნათ ახლა?

ნილუფარი ღუმდა. ჰეკამ ტანისამოსზე შეავლო ხელი.

— სულ გაწუწულხარ!

— ძალიან დავიდალე, მეძინება.

— სად იყავი?

— ნულარ მკითხავ. ერთთავად დამტვრეული ვარ. ყველაფერი მტკივა.

— კი მაგრამ, როგორ დაიძინებ? სველი ტანისამოსით?

— მერე რა?

— არ დაგეძინება, — გაიცინა ჰეკამ. — გუშინდლამდე ხომ ძვირფას სარეცელზე ნებივრობდი! ან კი საღ დაიძინებ?

— ჩალაზე, სხვაგან საღ!

კედლის ძირას ჰეკამ თეჯირის მსგავსი რამ მოაწყო. ნილუფარი თეჯირს ამოეფარა. მან დოღბანდი მოიხსნა და გასაშრობად გადაფინა. მაგრამ სველ ტანისამოსში არ ეძინებოდა. ბოლოს ველარ მოითმინა და ჰეკას გამოუტყდა:

— ასე ვერ დავიძინებ.

ჰეკამ რალაც ნაჭერი გაუწოდა.

— აჰა, გამომართვი. შიგ გაეხვიე და დაგეძინება.

ნილუფარმა ტანისამოსი გაიხადა, ნაჭერი თეძოებზე შემოიხვია და ჩალაზე წამოწვა. იძულებული შეიქნა ქალბატონის ჩვეულება დაევიწყებინა. განა აჰაჰს არ უნახავს ნილუფარი ასეთი? თვითონ არ გაიყვანა ოდესღაც ბაზარზე?

— ჰეკა! რა ვქნათ?

— რატომ არ გძინავს? დილით მოვიფიქროთ, ახლა კი დაიძინე.

— რად იტანჯებით შენ და აჰაჰი? ხანდახან თავის მოკვლა მომინდება ხოლმე.

— სულელო, — ჩუმად უთხრა ჰეკამ. — სიკვდილი ტანჯვას როდი ამორებს ადამიანს, ოზირისი არ შეუნდობს იმათ, ვინც გულხელდაკრეფილია. განკითხვის დღემდე ჯოჯოხეთის ცეცხლის ალში იქნება გახვეული შენი სული და წამების კრუნჩხვა არ მოასვენებს. რაც არ უნდა მოხდეს, მაინც არ მოგაკვლევინებ თავს.

— განა ჩვენ შევძლებთ დიდხანს ვიმალოთ? — უთხრა ნილუფარმა. — დაბრუნდება თუ არა მოცეკვავე ქალი, ყველაფერი გამოაშკარავდება. მაშინ რაღა ვქნათ?

— დაიძინებ თუ არა, ბოლოს და ბოლოს? — გაუბრაზდა ჰეკა. — ღამით ათას რამეს მოიფიქრებ და გადაიფიქრებ, გადაწყვეტით კი ვერაფერს გადაწყვეტ. ნურც ჩვენზე სწუხარ. დღეს ვართ, ხვალ აღარ ვიქნებით. რასაც არ უნდა იქმოდეს ამქვეყნად ადამიანი, სულ ერთია, მაინც ერთი ბოლო ელის...

„ნუთუ ყველაფერს მხოლოდ იმისათვის ვაკეთებთ, რომ მოკვდეთ?“ — გონებაში შეეპასუხა ნილუფარი.

— მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გაირკვევა ხოლმე, რად ფასობდა თურმე ადამიანი. თუ მას ამქვეყნად ერთი ვინმე მაინც დასტირის

გულწრფელად, მაშასადამე, ამოდ არ უცხოვრია. ხოლო როცა მკვდარი მარტოოდენ ზიზღსა ჰგვრის ცოცხალთ, ეს იმას ნიშნავს, რომ, თუმც მისი სალარო ოქროთი იყო სავსე, მაგრამ მაინც არ გაუტარებია თავისი სიცოცხლე ღირსეულად.

ნილუფარს თვალთაგან ცრემლები წასკდა. ნუთუ ჰეკა მართალია? ნუთუ მისი სიცოცხლე ჩალის ფასადაც არ ღირს? ნუთუ აღმასები იმისათვის გაუჩენია შემოქმედს, რომ მტვერში ეყაროს?..

აპაპს გაედვიძა და კენესა აღმოხდა. ჰეკამ შუბლზე დაადო ხელი და აღერსიანად უთხრა:

— დაიძინე!

ზანგმა თვალი დახუჭა.

„ნუთუ ჰეკა ბედნიერია? — განაგრძობდა ფიქრს ეგვიპტელი. — ნუთუ ქალისთვის ყველაზე უმაღლესი ბედნიერება ისაა, რომ ჰჰოვოს საყვარელი ადამიანი, რომელთანაც განუშორებლად იქნება ჰირსა თუ ლხინში? ნუთუ ჰეკა ჰემმარიტად ბედნიერია?..“

თანდათან ერეოდა ძილი ნილუფარს. მრავალი დღის შემდეგ იგი კვლავ ჩალაზე იწვა.

ისინი უკვე ცოტანი არიან, სულ რამდენიმე ასეული. მიდიან და მუხჩებივით დუმან. დასივებიით თვალები, შიმშილისაგან ჩასცენიათ ლოყები, ჩაპხლეჩიათ ხმა. მოხუცები, ბავშვები, მამაკაცები, ქალები... ფეხებს ერთი მიზნისაკენ მიჰყავთ, გულის წადილი ერთი აქვთ — როგორმე გადარჩნენ სიკვდილს. გუშინაც ამას ფიქრობდნენ. გუშინწინაც... მრავალი დღე შეერწყა ერთმანეთს და იქცა ერთ საშინელ, დაუსრულებელ დღედ, რადგან მათ უბედურება ეწიათ. მრავალი დღის შიმშილმა დაუჩლუნგათ გონება, და ისინი ძლივძლივობით იხსენებენ რამეს. დიდის ვაი-ვაგლახით მიითრევენ ფეხებს, თითქოს ზედ უხილავი მძიმე ბორკილები შეუბამსო ვინმეს. სიცოცხლე ოღნავ ბეუტავს მათში.

ზოგჯერ რომელიმეს აღმოხდება სიტყვა, და ისიც უპასუხოდ რჩება. მხოლოდ ერთი პატარა კითხულობს დაუსრულებლივ:

— დედი! კიდევ დიდხანს უნდა ვიაროთ?

— ცოტალა დარჩა, შვილო!

დედა ტყუილს ამბობს. მაგრამ რა ქნას, რა უპასუხოს? და გოგონასაც, რომელიც სულ ერთსა და იმავეს ისმენს, აღარ სჯერა დედის. მაგრამ ხომ უნდა მოედოს ბოლო მათ ტანჯვა-წამებას!

— სულ მპირდები, ცოტალა დარჩაო, — ეუბნება გაბუტული გოგონა, — ჩვენ კი მივდივართ და მივდივართ. სანამდე გაგრძელდება ასე?

და ყველას, ვინც მათ გვერდით მიაბიჯებს, მწარედ გაჰკრავს გულში: „სანამდე გაგრძელდება ასე?“ მაგრამ სიტყვას არავინ ამბობს. ეს ადამიანები მშობლიური მხარიდან გამოაძევეს. ისინი დამარცხებულნი არიან... იყო დრო, როცა ისინი ტყის ბინადართ დასცინოდნენ და ველურებს უწოდებდნენ, ახლა კი თვითონ დამსგავსებიან მათ. ისინი კლდეთა ნაპრალებში ან გამოქვაბულებში ათევენ ღამეს. ვინ მისცა ბინა უსახლკაროს?

მაგრამ მათ სწამთ, რომ ყველაფერი შეიცვლება. დიდი ქალაქი შორს აღარაა. დაკარგული ბედნიერება აგონდებათ და შურისგების წყურვილით იღაგებიან. ტანჯვა უკუმშავთ გულს, მაგრამ მაინც შეუპოვრად მიიწევენ წინ. მათ ეხმარებათ დიადი ძალა — იმედი. იმედზე ძლიერი ზომ არაფერია, სიცოცხლის სურვილის გარდა.

უკვე ორი თვეა მიჩანჩალებენ ეს ადამიანები და გზაზე მტვერს აყენებენ...

მათ იარაღით ხელში დახვდნენ უახლოესი სოფლის მკვიდრნი, რომელთაც არ იცოდნენ, რა უბედურება დაატყდათ თავს ამ დაღლილ მგზავრებს, — ჩრდილოეთიდან ხომ მხოლოდ დამპყრობნი მოდიან. მაშინ ლტოლვილნი ასე ქანცვაცლილნი როდი იყვნენ; სისხლისმღვრელ ბრძოლაში გაანადგურეს მტერი და თვითონაც მეომართა ნახევარი დაკარგეს. მათ არ დაუმარხავთ მოკლულნი, თან არ წაუყვანიათ დაქრილნი — მძიმე ტვირთი ამ შორეულ, სავალად ძნელ გზაზე. ახლობელთა კენესამაც კი არ აუჩუყათ გული. მხურვალე სურვილმა — თვისტომთაგან მცირედი მაინც შეენარჩუნებინათ — ქვაზე უფრო მტკიცე გახადა ისინი. ბევრი სოფელი გაიარეს მათ, მაგრამ არსად გაჩერებულან დიდხანს. ჩქარა, რაც შეიძლება ჩქარა უნდა იარონ დიდებული ქალაქისაკენ! ჰარაპაში ვერ შევლენ: ლტოლვილებმა გზაში ყური მოჰკრეს, რომ ჰარაპა იმ თეთრკანიან ველურებს დაენგრიათ და ყველა მისი მცხოვრები სიკვდილით დაესაჯათ.

ხოლო იმ დღეს...

...კიკათის მმართველის სასახლეში მიწყდა ღამის დღესასწაულის მზიარული ჩმები. გაიჟღერა უკანასკნელმა სიმღერამ, დადუმდა მუსიკა. ცეკვით მოქანცული სტუმრები თავ-თავიანთ სასახლეში წავიდ-წამოვიდნენ. უზრუნველნი და თავქარიანნი, ლაპარაკობდნენ იმ სიხარულზე, რომელიც უნდა მოეტანა ხვალინდელ დღეს. შემოდგომაზე გულუხვობა გამოიჩინა დედამიწამ, და ყველანი მხოლოდ იმას ფიქრობდნენ, ეყოფოდათ თუ არა ბედლები მისი მდიდრული ძღვნის შესანახად.

უცებ ხრინწიანად აყეფდნენ ძაღლები. მალე ყველა ეზოში გაისმა ყეფა. ადამიანები ლოგინიდან წამოდგნენ. კოუმცა ძაღლები გაავებულნი ყეფდნენ, ადამიანებს მაინც არ ეგომათ, რომ უბედურება მოადგათ კარს. მაგრამ ფანჯარაში გაიხედეს და განცვიფრდნენ.

უცნაური შესახედობის ვიღაც მომხდურნი ირგვლივ ყველაფერს ცეცხლს უკიდებდნენ. ისინი ხეებს ეფარებოდნენ და სწრაფად დარბოდნენ სახლებს შორის. ცეცხლი მოედო ჩალის ქოხებს, ალი მისწვდა სხვა ნაგებობებსაც. შეშინებული ადამიანები აქეთ-იქით აწყდებოდნენ.

იმათ, ვინც სახლიდან გამოვარდებოდა, გადამთიელნი სეტყვასავით აყრიდნენ ისრებს. ტყაცატყუცი თინგროდნენ ნაგებობანი, ბოლქვ-

ბოლქვად ისროდნენ ნაპერწკლებს, რომლებიც გვერდით მდგარ შენობებამდე აღწევდნენ, და აი უკვე ახალ სახლს ლოკავდნენ ალის ენები... რომელიდაც ქალი გამოიჭრა გარეთ, პატარა ბავშვი ჰყავდა ატატებული ხელში, მაგრამ იმწამსვე განვშირა ისარმა. სახლი დაიქცა. ბავშვმა შესაბრალისად შეჰყვირა და სულ მალე საუკუნოდ დადუმდა. თავზარდაცემულმა დრავიდებმა გონება დაკარგეს. სასოწარკვეთილნი, ერთმანეთს აწყდებოდნენ და მიწაზე ემხოზოდნენ. ხანძარი სწრაფად გავრცელდა. სიკვდილსდა ელოდნენ მხოლოდ. ირგვლივ წარმოუდგენელი ხმაური იდგა. ბავშვების შესაბრალისი ტირილი ზარავდა გულს. დამპყრობთა ალყა თანდათან შეიკრა. მათმა ველურმა ყიეინამ შესძრა ცა. მიწას ღრეკდა და აზანზარებდა ასობით ზედ შემდგარი ფეხი. ყოვლისშთანმთქმელ ცეცხლის ღრუბლებად მიისწრაფოდა ცისკენ მტვერი და ფერფლი და რუხი საფარველით ჰბურავდა ქალაქს. აქამდე არასოდეს ენახა კიკათს ასე საშინელი თავდასხმა.

უხუცესმა ქურუმმა ლინგანის გამოსახულება გაიქნ-გამოიქნია და მწუხარედ შესძახა:

— ღმერთო დიდებულო! ეს რა ხდება? რად დაგვატეხე თავს შენი რისხვა? განა ჩვენ თაყვანს არ გცემდით? ჰოი, მაჰამაი! ჩვენ გამოვკვებეთ შვილი შენი აპირაჯი ჩვენს მშვენიერ ქალთა ძუძუთი, როცა მთვარის განახლების უამს უღრან ტყეში შეგვზავნეთ ისინი. ჰოი, ქალღმერთო! ჰკითხე შენს საყვარელ მეუღლეს, რისთვის გვსჯის ასე! და გვარქვი ჩვენ... ჰოი, მაჰამაი! რომელს სიხარული მოგვგარა შენი მეუღლის დიდებული ქმნილების ნახვამ! დედაო ჩვენო და მფარველო! ჰკითხე საოცარ შემოქმედს, რად აახილა დღეს თვალნი, რომელიც ღუპავს ყოველ არსს! და გვარქვი ჩვენ...

მაგრამ ქალღმერთი დუმდა. ყოველი მხრიდან მოისმოდა საშინელი გოდება. უხუცესმა ქურუმმა გულზე მიიკრა ლინგამის გამოსახულება და აქვითინდა.

დრავიდებმა ქვეყნის მმართველის ციხესიმაგრეს შეაფარეს თავი. მთელი ღამის განმავლობაში მალალი კედლებიდან მოფრინავდნენ ცეცხლწაკიდებული ისრები, მაგრამ ისინი უცხოთაც ხვდებოდნენ და თავისიანებსაც, — კვამლის ბოლქვებსა და ცეცხლის ენებს შორის მიმორბოდნენ ადამიანები და შეუძლებელი იყო გარჩევა, სად იყვნენ უცხოელნი და სად დრავიდები.

გათენდა. დღის სინათლეზე გაარჩიეს მომხდურნი. თოვლივით თეთრი კანი ჰქონდათ, თმა ცეცხლისფრად უბრწყინავდათ, უჩვეულოდ ღია

ფერის თვალები — ნაცრისფერი ან ცისფერი — ისე დიდრონი მოუჩანდათ, რომ მათი კრილი თითქმის ყურებამდე სწვდებოდათ.

ახოვანი, მკლავლონიერი უცხოელნი მშვილდ-ისრებითა და ნაჯახებით იყვნენ აღჭურვილნი, ზოგიერთებს კი მახვილები და შუბები ეყრათ ხელთ. ტანთ ცხვრის ტყავი ემოსათ. ასევე იყვნენ შემოსილნი ქალებიც. ღია ფერის ტანი არაჩვეულებრივად ლამაზი მოუჩანდათ. გრძელი ტალღოვანი თმა მუხლამდე სცემდათ. ქალები მამაკაცების მხარდამხარ იბრძოდნენ.

დრავიდთაგან არავის ესმოდა ამ უცხო ხალხის ენა. არავის უნახავს ოდესმე ასეთი უცნაური, გრძელხელება და შუბლმალალი ადამიანები. მთიელ მონადირეთა ტომი თუ იყო.

ღღის სინათლეზე ციხის მცველებმა დაინახეს, რომ უცხოელნი ბევრნი არ იყვნენ. მოწინააღმდეგის სისუსტემ გამბედაობა დაუბრუნა დრავიდებს. მუქარა და ლანძღვა-გინება მოისმა ციხის კედლებიდან, თვით კიკათის მმართველმაც კი შეჰყვირა სიხარულით, როცა დაინახა, თუ რა ცოტანი იყვნენ მტრის მეომარნი. უცხოელებმა მშვილდ-ისრები ასწიეს მაღლა. ციხიდან საბრძოლო ყოყინით გამოვარდა და მტერს ეძგერა შავ დრავიდთა — კიკათის მმართველის საუკეთესო მეომართა — მამაცი ჯარი.

მთიელნი უკუიქცნენ. ეტყობა, შედრკნენ. როგორც შავი შავარდენი დააცხრება იხვს და ნაკუწ-ნაკუწ აქცევს, ისე დაესხა დრავიდთა ჯარი თეთრკანიანებს, გაულიტა, გააცამტვერა. მაგრამ უცებ თავშესაფრიდან უცხოელ ცხენოსანთა რაზმი გამოქანდა. მხედრები გამარჯვების ყაყინით შეიჭრნენ დრავიდთა რიგებში და დააქუცმაცეს ისინი. თავს ესხმოდნენ დრავიდ მეომართა ცალკეულ ჯგუფებს, და ანადგურებდნენ. უცხოელნი ორთაბრძოლას გაუბრძოდნენ, მათ არ გააჩნდათ სინდისი და ღირსება.

მაგრამ დრავიდები არნახული შეუპოვრობით იბრძოდნენ. თუმცა დიდი ხანია დავიწყებოდათ სისხლისმღვრელი ბრძოლები, რადგანაც მუზობლებთან მშვიდობიან ურთიერთობაში იყვნენ და მხოლოდ ცეკვა-თამაშში ეჯიბრებოდნენ, მაგრამ მათი იარაღი ყოველთვის სწვდებოდა მიზანს და მტერთა რიგებში სიკვდილს თესავდა. უხუცესი ქურუმი ჯართან ერთად გამოვიდა ციხესიმაგრიდან და შეძახილებით გაამხნევა მეომრები: „დიდება მაღალი ღმერთის თაყვანისმცემლებს. დიდება, დიდება!“

დრავიდებმა კვლავ მოახერხეს ერთიან რაზმად შეგროვება. მძვინვარება უორკეცებდათ ძალას. თავის მომაკვდავ თანამოძმეთა ძახილი

რომ ესმოდათ, ქვაზე უფრო მტკიცე ზღებოდნენ, და მათი მახვილი შხელით ჰკვეთდა ჰაერს. თეთრკანიანი ბარბაროსები ძლივს უძლებდნენ მათს შემოტევას. მაგრამ უცებ ბრძოლის ველზე ახმიანდა საბრძოლო ნიჟარა. მის შშფოთვარე ხმას საბედისწერო შეცდომა მოჰყვა. დრავიდებმა იფიქრეს, კიკათის მმართველი მოჰკლესო, იარაღი დაჰყარეს და უკან დაიხიეს. მაგრამ თურმე ნიჟარას ერთი თეთრკანიანი უკრავდა, რომელიც შველას ითხოვდა. ბარბაროსთა ცხენებს ქანცი გაუწყდათ და პირიდან ქაფი სდიოდათ.

მხიარული შეძახილებით შეიჭრნენ მომხდურნი ციხესიმაგრეში. მათ დაღეწეს დრავიდთა წმიდა დოლი, ხოლო მმართველი ტყვედ ჩაიგდეს.

მეხივით გრგვინავდა უცხოელთა გამარჯვების ყიყინა, რომელიც დაჭრილთა კვნესა-გოდებას ახშობდა. გადარჩენილი დრავიდები იარაღს ყრიდნენ, შორს, ტყეში იმალებოდნენ და იქიდან შიშით უგდებდნენ ყურს საბრძოლო ნიჟარის მორაკრაკე ხმას და მტრის შეძახილებს.

კიკათის მმართველმა მუხლი მოიყარა და თაყვანისცემით შეევეღრა თეთრკანიანთა უხუცეს წინამძღოლს:

— შენი მონა ვარ, ბატონო! ნუ მომკლავ! შენ გასხვივოსნებს ცეცხლი, რომელიც გვიგრგვინად დაგიდგამს თავზე. ტანი შენი დიდებულ მთათა თოვლისგანაა შექმნილი, შენი თვალები წმიდაა და ნათელი, ვითარცა ტბის წყალი. შენ ხომ ღვთაება ხარ; მე არ ძალმიძს შეგებრძოლო. შენ ჩემი ბატონი ხარ. მე ჩემს ბატონად ღმერთს მივიჩნევ. მაჩუქე სიცოცხლე!

მაგრამ გამარჯვებულებს მისი ენა არ ესმოდათ და მხოლოდ აბუჩად ამგდები სიცილით უპასუხებდნენ. ერთი ქერათმიანი ქალიშვილი მიუახლოვდა და თვალებში შეაფურთხა. მმართველმა სახეზე ხელები აიფარა და აქვითინდა. ამის შემეყურე უცხოელებმა სიცილი დააყარეს. ყველა, ვინც მის ახლოს იდგა, ზიზღით აფურთხებდა სახეში წედანდელ მბრძანებელს.

დრავიდთა უმაღლესი ქურუმი შორიახლო იდგა და ლინგამის გამოსახულებას იკრავდა გულზე. ქვამ ერთ-ერთი ქალიშვილის ყურადღება მიიქცია, და, რათა კარგად შეეთვალეირებინა იგი, მან ხელი ჰკრა ქურუმს. მოხუცმა თავი ვერ შეიმაგრა და წაიქცა. ღმერთი-ლინგამის ქანდაკება მიწაზე დავარდა. ქალებმა ცნობისწადილით დაუწყეს თვალიერება ქვას, ხოლო ყმაწვილ ქალებს შერცხვათ და იმწაშხვე უკან დაიხიეს. ლინგამის სანახავად მამაკაცებიც მოვიდნენ.

— დუპითარ! რა არის ეს? — იკითხა ერთმა მეომარმა.



— ცოტა დაიხარე, ძმაო და შეხედე, — ზიზლით მიუგო ოცდა-თხუთმეტიოდე წლის მეომარმა. — რა ველურები ცხოვრობდნენ თურ-მე აქ!

უმაღლესი ქურუმი ზეზე წამოდგა. შიშისაგან კანკალებდა. ჯერ კიდევ გუშინ მისი სიტყვა კანონი იყო, დღეს კი იძულებულია უყუროს, თუ რა უპატივეცემლოდ ეპყრობიან დიდებული ღმერთის ქანდაკებას სადღაცოდან მოვარდნილი დამპყრობნი. ერთმა მათგანმა ზიზლით წამოიძახა:

— ეს ხომ მამაკაცის ასოა!

უხუცესმა ყურს არ დაუჯერა:

— რა სტჟევი, სომ? რა არის?

— ეტყობა, ამათი ღვთაებაა.

და სომმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაჰკრა ხელი ღმერთ-ლინგამს.

ქურუმმა ამოიკვნესა:

— თქვენმა ღმერთმა გაიმარჯვა, მაგრამ დამიტოვეთ მე ჩემი ღმერთი!

ვერავინ მიუხვდა ნათქვამს. უცხოელებმა დაამსხვრიეს ქვა. ქურუმმა სცადა ხელი შეეშალა მათთვის, მაგრამ იგი იმწამსვე მოჰკლეს. თეთრკანიანებმა შორს მიმოფანტეს საძაგელი ღვთაების ნამსხვრევები.

მერე გამარჯვების სიხარულით აღესილი წითურთმიანი ბარბაროსები უხუცესის ირგვლივ შემოკრბნენ.

— სომ, — შესძახა უხუცესმა, — სადა ხარ?

— აქა ვარ, მამაო!

— დღეს შენ მამაცად იბრძოდი, სომ! — წამოიძახა ერთმა ქალიშვილმა.

ქაბუკმა გაიღიმა.

— ასეთია მამაკაცის ხვედრი, — თქვა უხუცესმა. — ჩემმა სიცოცხლემ გამუდმებულ ბრძოლებში ჩაიარა. ჩვენი წინაპარნი ბრძოლაში მოხუცდნენ. ჩვენი შთამომავალნიც იბრძოლებენ. საკვირველია, რა ბევრნი არიან ქვეყნად ველურები, რატომ არ ანადგურებს მათ დიდი ინდრა?

— განა დიდმა ინდრამ არ გაგვამარჯვებინა ველურებზე? — გაიცინა ვილაცამ.

— რა მსიარულებაა დღეს! — შესძახა თეთრკანიანმა ქალიშვილმა. — ამიერიდან ჩვენ მუდამ გმირულად ვივლით წინ. სად არის პოეტი? მან ალბათ ახალი სიმღერა შეთხზა?

პოეტმა ნაბიჯი გადმოიღვა წინ.

— გვიმღერე! გვიმღერე! — გაისმა ხმები.

პოეტმა თავი ასწია, და ჩამოვარდნილ სიჩუმეში გაისმა ხმამაღალი მოზეიმე სიმღერა.

„ჰოი, მეხთამტყორცნელო! — მღეროდა პოეტი. — განუზომელია შენი ძლიერება. სასტიკი დარტყმებით აზანზარებ თოვლთა წმიდა სავანეს — ჰიმალაის! უზარმაზარი მძიმე ღრუბლები მხოლოდ ერთგული მსახურნი არიან შენი. და როცა ელვის ნაპერწყმებს დააკვესებ, მთელ სამყაროს საშინელი გრუხუნი შესძრავს, ღრუბლები ცრემლად იღვრებიან და შენდობას ითხოვენ.

ჰოი, მეხთამტყორცნელო! შენ თვით ვარუნაზე — მდინარეთა დიდ ღმერთზე — ძლიერი ხარ. ამა სიტყვათა მთქმელნი ვარუნას როდი ვაკნინებთ. მხოლოდ ის გვინდა, რომ თქვენი მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდეს!“

სულ ახალი და ახალი ხმები უერთდებოდნენ სიმღერას, და მალე უკვე ხალხმრავალმა გუნდმა წამოიწყო ყოვლად ძლიერი ღვთის სადიდებელი. მამაკაცთა დაბალსა და ბოხ ხმებს ქალთა ნაზი, წმინდა ხმები ერწყმოდნენ.

„ჰოი, ღმერთთა წინაპარო! — მღეროდა გუნდი. — შენ თვალის დახამხამებაში აქციე ფერფლად ქალაქი კიკათის კიკათის მმართველი, ეს ველური, უცხო რჯულის ადამიანი, მონად გავიხადეთ. ჩვენი ძლიერებითა და ნათელი რწმენით გავტეხეთ მისი შავბნელი ძალა! ჰოი, ინდრა! მოგვეც შეძლება, რათა ასევე იოლად დავლაშქროთ სხვა საძაგელი ველურებიც!

ჩვენი საბრძოლო რაზმები სულ უფრო და უფრო მიიწევენ წინ. მოგვეცი ჩრდილი, მოგვეცი წყალი, პირისაგან მიწისა აღგავე მტერნი ჩვენნი, მოგვეც მათი სიმდიდრე, გავვიღე მათი განძთა სალარო!

ჰოი, დიდებულო ინდრა! გააშეშე ჩვენს განსაგმირად აღმართული მტერთა მარჯვენა! დაე, მუნჯად იქცნენ ეს ველურები, რათა არ გავადიზიანონ თავისი უხეში მეტყველებით. ჰოი, ბრძენო და დიდებულო, ისინი შენი მოწინააღმდეგენი არიან, ველურები, რომლებიც საძაგელ ღმერთებს სცემენ თაყვანს და უმეცრული ადათ-წესებით ცხოვრობენ. დაღუპე ისინი, დაღუპე!“

როცა გუნდი დაღუმდა, ერთმა ჩასკვნილმა ჭაბუკმა უხუცესს მიმართა:

— მამაო! ველურნი ტყვედ ჩავიჯდეთ და ახლა თავის ხვედრს ელოდებიან. როგორც თქვენ გვიბრძანებთ, ისე მოვიქცევით!

ერთ-ერთი ქალიშვილი შეწუხდა.

— დრუპიუ! შენ შეეხე ამ უბედურთ? — მიმართა მან მეომარს.— ნუთუ ხელები არ გაგიშავდა? ეს ველურები ქუჭყიან ვირთხებს ჰგვანან. მე არ შემოიძლია ზიზლის გარეშე ვუჭკირო მათ. ერთი ამათ ქალებს შეხედე! იმდენი ნიჟარები ჩამოუჟიდიათ, რომ წყლიდან ამოსულ ტრიტონებს დამსგავსებიან. მამაო! უბრძანე დრუპიუს ცეცხლის შეხებით განიწმინდოს!

უხუცესმა რამდენჯერმე მოიყუდა ნაკურთხი სასმელით აღვსილი ფილა. მაგარმა სასმელმა წამოუწითლა სახე.

— დრუპიუ! — შტკიცედ განუცხადა მან. — დაე, ამათაც ის ბედი ეწიოთ, რაც პანეთის მკვიდრთ. ესენი ხომ მატლები არიან! ვერ მივმხედარვარ, ან აქამდე რატომ არ დაღუპა ვარუნამ. თვით სისხლმოყვარე აგნისაც ეკარგება მადა, როცა მათ უყურებს. მათი შეხებით წაბილწულია მიწა. ისე გამრავლებულან, რომ ასიქნიმდეც\* კი მიუღწევიათ...

ყველანი ერთად გაემართნენ ტყვეებისაკენ. თეთრკანიანები მკმუნვარედ აქნევდნენ თავს და ყოველი მხრიდან ათვალეერებდნენ დრავიდებს. უცხო ქვეყნის მეფის ასული სიცილით კვდებოდა, როცა დამარცხებულთა დაღვრემილ სახეებს უცქეროდა. მას სასაცილოდ ეჩვენებოდა მათი პატარა ცხვირები. რატომ არიან ასე შავები? უთუოდ იმ დემონ ასურთა შთამომავალნი არიან, რომლებსაც მუსრი გაავლო ინდრამ. დიდება უფალს, მხოლოდ მისი ძალის წყალობით დაამარცხეს ეს საძაგელი მეომარნი!

დრავიდი ქალები არ გაუნადგურებიათ. ქალიშვილები მეომრებმა გაინაწილეს, დანარჩენები კი თეთრკანიანმა ქალებმა მოახლეებად დაიტოვეს. მათ არც ბრძოლა იციან, არც ნადირობა, და განა რამით განსხვავდებიან პირუტყვთაგან ლინგამის ეს თაყვანისმცემელნი?

დრავიდები ზურგზე ხელებგაკრულნი იდგნენ და თავი ჩაეჭინდრათ. არ შეეძლოთ ეყურებინათ, თუ როგორ ინაწილებდნენ მათ დედებს, ცოლებს, დებს, ქალიშვილებს... ამიერიდან აღარ ექნებათ თავშესაფარი. მათ სახლებსა და ციხესიმაგრეებში თეთრკანიანები დაბინავდებიან, მათ ველ-მინდვრებს მომხდურნი დაეპატრონებიან. რაკი მათ ამ სასტიკ ბრძოლაში გაიმარჯვეს, უეჭველია, ძლიერნი არიან. კიკათის დედოფალს თვალთაგან ცრემლი ზდიოდა: ახლა იგი მონაა! გუშინდლამდე მისი სიამაყე უსაზღვრო იყო, დღეს კი ფეხები დასისხლიანებულია. დატყვევებულ მეომრებს უღონო რისხვა უკრთოდათ თვალებში.

\* ასიქნი — მდინარე ჩენაბის, ინდის ერთ-ერთი შენაკადის, უძველესი სახელწოდება.

რა უნდა ექნათ? „რა საშინელი არიან ეს ადამიანები!—ფიქრობდნენ დრავიდები. — მათ ბედნიერება წაგვართვეს, მყუდროება და გვირღვიეს, და მაინც ვერ იჭერეს გული ჩვენი შეურაცხყოფით!“

სომეხმა მახვილი აღმართა. მასთან მიჰყავდათ დამარცხებულნი.

— ტურია! ბაჰულა! შევეტა! — დაიძახა სომის ერთ-ერთმა თანაშემწემ. — დედებო და დებო, მოდით აქ! თქვენ გამხიარულდებით! შეხეთ, როგორ თრთიან ეს ველურები!

დრავიდი მეომრები ნაღვლიანად გასცქეროდნენ თითქმის ფერფლად ქცეულ ქალაქს და გულში ეთხოვებოდნენ მას. ისინი მოემზადნენ, რათა ამაყად შეხვედროდნენ სიკვდილს. დრავიდები არასოდეს ყოფილან მხდალნი. ძვირად დაუჯდათ გამარჯვება თეთრკანიანებს, თუმცა ფეხმარდ. ცხენებზე ამხედრებულნი იბრძოდნენ.

თეთრკანიანი ქალები გარს შემოერთყნენ სიკვდილით დასჯის ადგილს და აღტაცებით ადევნებდნენ თვალს, როგორ ეცემოდნენ მტვერში ზედიზედ მოკვეთილი თავები. დრავიდებს შეწყალება არ უთხოვიათ. მაგრამ აი, კიკათის მმართველზე მიდგა ჯერი. იგი ზელიდან დაუსწლტა გადამთიელთ, პირქვე დაემხო და თეთრკანიანებთან მიფორთხდა, თან ევედრებოდა, ნუ მომკლავთო. ანიშნა მიწაზე, ცაზე, მერე თავის თავზე და მიწას თავის ცემა დაუწყო.

ტყვეებს წყევლა-კრულვა აღმოხდათ. როგორ ბედავს იგი ამ ბარბაროსთა წინაშე თავის დამცირებას! დედოფალმა შეუძახა:

— ნიშანტი!

მაგრამ ნიშანტი უკვე მკვდარი იყო სულით. იგი თეთრკანიანთა უხუცესთან მიფორთხდა, ფერხთ ემთხვია და ატირდა. ხელებს იქნევდა, — ეტყობა, რალაცას ანიშნებდა.

— რა უნდა ამ კაცს, დრუჰიუ? — ჰკითხა უხუცესმა.

დრუჰიუ დააკვირდა მმართველის უცნაურ ქცევას და გაუბედავად მიუგო უხუცესს:

— მამაო! ცოცხალი უნდა დავტოვოთ. ის ამბობს, რომ სადღაც განძი აქვს დამარხული, რასაც არ დაიშურებს ჩვენთვის, თუ სიცოცხლეს ვაჩუქებთ. იგი ჩვენი ერთგული მონა გახდება და მთელ ქვეყანას დაგვაპყრობინებს.

უხუცესმა გაიცინა და თქვა:

— მმართველო! შენ ჩვენი მეგობარი ხარ. ჩვენ კმაყოფილი ვართ შენი ერთგულებით.

დრუჰიუმ შეწყალების ნიშნად ზურგში წაჰკრა ხელი მმართველს.

მოხუცმა თეთრკანიანმა ქალმა ჯამიდან ხორცის ნაგლეჯი ამოიღო და კიკათის მმართველს ფეხებთან მიუგდო. მან ხარბად შეავლო თვალი გადაგდებულ ხორცს. უხუცესი წახალისების ნიშნად იქნევდა ხელს, თითქოს ეუბნებოდა: ჰამე, ჰამეო. შეშინებულმა მეფე-მოღალატემ, რომელიც ნადირს დამსგავსებოდა, ხორცის ნაჭერი გადასანსლა. უხუცესმა ღიმილით თქვა:

— სომი მგონი, გამოგვადგეს!

სიკვდილით დასჯის შემდეგ დიდი კოცონი გააჩაღეს და ხორცის შეწვას შეუდგნენ. დაიწყო ზეიმი. კოცონთან მოიტანეს სურსათ-სანოვაგე, რასაც ქალაქში წასწყდომოდნენ. უშველებელ გროვებად ეწყო დღევანდელი ნადავლი, — იგი უხუცესის ბრძანებით უნდა გაენაწილებინათ მეომრეებს. ხელიდან ხელში გადადიოდა ნაჟურთხი სასმელით აღვსილი ფიალები.

კვლავ ამღერდა პოეტი:

„ჰოი, აგნი, ყოვლისმწვდომელო ღმერთო ცეცხლისავ! შენი საშინელი კბილები ფერფლად აქცევს ყველაფერს. შენ ხარ ძლიერი, შენ ხარ დიდებული, შენა ხარ სული ყოველი არსისა, შენა ხარ შემოქმედი სიცოცხლისა! ჰოი, კაშკაშა ცეცხლო! ტანი შენი ოქროს მსგავსია. ყველგან და ყოველთვის გვიცავ შენ. დღიდან სამყაროს შექმნისა არ მოგახუჭავს თვალი, დღისა და ღამის სახის მიმღებო! შენი ნათელი აშუქებს ზეცას. მოგვანიჭე ძალა, ჩვენო ძღვევამოსილო მფარველო! გზა გავგინათე და მიგვიყვანე იქ, სადაც ჯერ კიდევ არ დაგვიდგამს ფეხი. ჰოი, მძლეთა მძლევ, შენი წიაღი სურნელებით არის აღვსილი თაყვანს ვცემთ ყოვლისშემძლეობას შენსას და შენს ენაზე ხორცსა ვდებთ. ალოკე იგი ენის მსგავსი ალით! ჩვენ შეეჭვამთ შენს მიერ ალოკილ ნაჭრებს, და ჩვენს სხეულში აღინთება უსაზღვრო სიმამაცე, და განილტვებიან ჩვენგან მტერნი, ვითარცა გაგირბიან შენ ყინვა და წყვდიადი...“

მხოლოდ ერთი მუჭა დრავიდები გადარჩნენ სიკვდილს. მეფის ასულის, ჩანდრას წინამძღოლობით კიკათის უკანასკნელი მკვიდრნი ნელ-ნელა მიიწვედნენ დიდი ქალაქისაკენ.

ერთი ქალი უღონოდ დაეშვა მიწაზე და მუხლებზე ხელები შემოიჭდო. მას სიარული აღარ შეეძლო და სასოწარკვეთილი შეჰყურებდა თვისტომთ. მალე იგი მარტო შერჩება ამ გზას. ერთხანს კიდევ მოისმენს ადამიანთა გამამხნევებელ ფეხის ხმას. მერე კი — არაფერი, სრულიად არაფერი, მხოლოდ ტყის მღუმარე უდაბურობა, ღამის

წყვედიადი და ტყის ნადირნი, მგლები, დათვები... შეძრწუნებულმა ქალმა შეჰყვირა.

მაგრამ მისი ხმა ყურად აღარავინ იღო. აღამიანები ღუმლით განაგრძობდნენ გზას. იმედი, მხოლოდღა იმედი მიუძღოდათ წინ. სული მათი ერთ პატარა გუნდად შეკრულიყო, და ისინი ყრუ იყვნენ ყველას მიმართ. შურისძიება სწყუროდათ.

„თეთრკანიანთა ყოველი წვეთი სისხლი უხამიანია — აი, მიზეზი ყველა უბედურებისა. მათმა ღმერთებმა დაამარცხეს ჩვენი ქვეყანა, მაგრამ არც ჩვენი ღმერთია უძლური. იგი რატომღაც განგვირისხდა ჩვენ, თორემ აქამდე ჩვენი მტრები მის ძლიერებას უფრთხოვდნენ და შიშით ძრწოდნენ“. ასე ფიქრობდნენ დაღლილი დრავიდები.

შორს აღარ არის დიდი ქალაქი. თანდათან ძნელდება სვლა. მაგრამ დაღლილი, მშვიერი ბრბო ჯიუტად მიიწევს წინ, არ ფიქრობს არც ხორცზე, არც სულზე, არც იმაზე, თუ ვინ ჩამორჩება გზაში... ცოცხალნი იძიებენ შურს ყველას მაგიერ.

აღბათ ის ქალი, ტყეში რომ მიატოვეს, საბრალოდ კვნესის, წყურვილით კვდება; თეთრკანიანები გამარჯვების სიმღერებს მღერიან; კიკათის ყოფილი მმართველი მათს უხუცესს ჰბანს ფეხებს... სასოწარკვეთა, რისხვა, შურისგების წყურვილი, სისხლის წყურვილი...

...ასე დაიწყო დრავიდთა ბრძოლა არიელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ზრუნვაში ჩაიარა დღემ. ტანჯვაში გასრულდა ღამე. გათენდა დილა. მაგრამ ვენი არ დაბრუნებულა.

მანიბანდჰი აღელვებული მიმოდინდა თავის პალატში. დღეს მას აღარ ახარებდა უზარმაზარი დარბაზის მზის სხივებზე მოლივლივე საუცხოო სვეტთა სილამაზე. ვაჭარი გულგრილად ავლებდა თვალს ფრესკებს, რომლებითაც თვით ჰერამდე იყო მოხატული კედლები.

აი, მშვენიერი ქალწულ-გველი კარსარავინის წმიდა წყალში ბანაობს. თავისი სამოსი და სამკაულები ნაპირზე დაუტოვებია, და მხოლოდ თეძოებს უფარავს მსუბუქი ქსოვილი. ძღვევამოსილი ღმერთი აპირაჯი მოხიბლა ქალწულის უმანკო სილამაზემ, და მან შესძახა: „აი, ვის შეუძლია მომანიჭოს ქვეყნად ყველაზე უმაღლესი ბედნიერება!“. აპირაჯს თმა ასწეწია, ძლიერ მხრებზე შალის მოსასხამი აქვს მოგდებული... აჰ, ვენი, ვენი! მანიბანდჰმა კვლავ გაიარ-გამოიარა ცარიელ დარბაზში.

მეორე ფრესკაზე აპირაჯს მოკლე წვერი და თავისებურ მაღალ კვანძად შეკრული თმა აქვს. ქალწული გველის ხელში ჩასაგდებად აპირაჯმა შავი ღრუბლებით დაფარა ზეცა. გამოკრთა ელვა. აპირაჯმა ხელი გაიწვდინა ქალწულისაკენ... მაგრამ მხოლოდ ჰაერი შერჩა ხელში... სად არის ვენი? რა მოხდა იმ ღამეს ინდის ნაპირას? მიიწურა დღე, გავიდა კიდევ ერთი ღამე, მას კი ისევ იღუმალების ბურუსი მოსავს...

აპირაჯი ტყეებში დაეხეტება და ქალწულ-გველს დაეძებს... აი, ქალწულ-გველს უშფოთველად სძინავს მდინარეში. აპირაჯი მიეპარა და სწვდა.

დალაზეროს ეშმაკმა! მანიბანდჰი სასოწარკვეთილი აქეთ-იქით აწყდებოდა. მერე ერთ სვეტთან გაჩერდა და შუბლი მიადო. კარგა ხანი გავიდა, სანამ ფიქრებიდან გამოერკვეოდა...

მანიბანდჰმა ხელი ხელს შემოჰკრა. კარებში გამოჩნდა აბაპი. შავი ტანი დაღუღუღებოდა მონას. ვაჭარს შუბლი შეეკმუხნა. რა საზიზღარია ეს ზანგი... მის იარებლაც კი არ გამოუწვევიათ მანიბანდჰის თანგრძნობა. ვაჭარმა პირი მოარიდა.

— გახლავართ, დიღო ბატონო! — თაყვანისცემით შეეხმინა ზანგი.

— სად არის ვენი? — მკაცრად ჰკითხა ვაჭარმა.

აპაპს მაშინვე არ უპასუხია. აბა როგორ უნდა მიმხვდარიყო, რა სურდა ბატონს? რაც ენაზე მოადგებოდა, ის ეთქვა? მერე, ტყუილი რომ გამომქლავებელიყო? მან თავისი დასახიჩრებული სხეულისაკენ გააპარა თვალი და წყნარად, მაგრამ მტკიცედ თქვა, თან მორჩილად დახარა თავი:

— ქალბატონი? არ ვიცი, სად არის, ჩემო მბრძანებელო.

მანიბანდძი მობრუნდა და ანთებული თვალები ააელვარა. რის მაქნისი არიან მონები, რომელთაც არაფერი იცინან?

— გასწი!

უკმეხად ნათქვამი სიტყვა ყურში მოხვდა მონას. აპაპი თავჩალუნული გამოვიდა გარეთ. დღეს ბედი ეწია, უვნებელი დარჩა. ამჯერად ბატონმა მართლაც რომ შეიწყალა. ზანგს გაახსენდა, რაც გუშინ გადახდა თავს, და აცახცახდა.

მანიბანდძი ერთხანს რალაცაზე ფიქრობდა, მერე ისევ შემოჰკრა ტაში. კარებში მეყსეულად აღიმართა შავი ფიგურა.

— განკარგულება გაეცი ეტლი მოამზადონ.

— როგორც ბრძანებთ, ჩემო ბატონო.

აპაპი ბრძანების აღსასრულებლად გაეშურა. მეტად ჩქარი სირბილისაგან ღუღუღები დაუსკდა და სისხლი სდიოდა, მაგრამ წამით დაყოვნებისაც კი ეშინოდა.

მანიბანდძი მდიდრულად მორთულ ეტლზე ავიდა. თავზე დიადემა უბრწყინავდა, რაც სიდიადეს მატებდა მის სახეს.

— რას მიბრძანებთ, დიღო ბატონო? — ჰკითხა მეეტლემ.

— იარე, — ფულგრილად უთხრა ვაჭარმა.

მეეტლემ კითხვა ვერ შებედა და სადავე მოსწია. ეტლი იმ მხარეს გაქანდა, საითაც კამეჩები იყურებოდნენ. უცებ მანიბანდძი გამოფხიზლდა და წამოიძახა:

— სად მიდიხარ?

მეეტლემ არ იცოდა, რა ეპასუხა.

— გისმენთ, ბატონო!

— მეეტლევე, საინდჰავი გქვია, ხომ?

— დიას, დიღო ბატონო.

— შენ წაიყვანე გუშინ ქალბატონი ვენი?

— არა, ბატონო!

— მაშ ვინ?



- ჩატუშპაღმა.
- როდის დაბრუნდა?
- იმავე საღამოს.
- სად დატოვა ქალბატონი?
- პოეტთან, ბატონო.

მანიბანდჰმა მრისხანედ უბრძანა:

- იქ მიმიყვანე!

კამეჩებმა სწრაფად მიიყვანეს პოეტის სახლთან. მანიბანდჰი ეტლიდან ჩამოვიდა. კარი დაკეტილი იყო. კაკუნზე არავინ შეეხმიანა.

- ინდის ნაპირას გამიყვანე! — უბრძანა ვაჰარმა.

მეეტლე შიშით შეჰყურებდა მანიბანდჰს. აქამდე იგი ახერხებდა, თავი აერიდებინა ბატონის საქმეში მონაწილეობისათვის.

ვაჰარის სულში ქარიშხალი მძვინვარებდა. ნუთუ ვენი შეშინდა? იქნებ პოეტმა კვლავ დაიმონა მისი გული? ეგებ ისინი ერთად გაიპარნენ ქალაქიდან? ნუთუ მოცეკვავემ დიდებულ ძალაუფლებასა და სიმდიდრეს იმ ლატაკთან ყოფნა არჩია? ნუთუ მოჰენჯო-დაროს ყველაზე დიდებული ვაჰარის ძლიერებას ფასი დაუჰარგავს მის თვალში? იქნებ პოეტის სიმღერებში რაღაც იდუმალი მიმზიდველი ძალაა ჩაქსოვილი, და მან, როგორც კი ოდნავ შეახო ხელი თავისი ვინის სიმებს, კვლავ მფრთხალი შევლივით მოინადირა ეს მშვენიერი ქალი?..

ვერც ინდის გაშლილმა სივრცემ მოჰგვარა სიმშვიდე მანიბანდჰს. მორჩილად და ნალვლიანად მიედინებოდა მისი წყალი, ხუთ შენაკადს რომ ჩამოჰქონდა დიდი მთებიდან. ინდის ნალველმა კიდევ უფრო დაალონა ვაჰარი...

მთელი ქალაქი გარჯა-შრომას მისცემია, უსაქმურად არავინ ატარებს დროს. ის კი, ვინც ყველაზე მეტად უნდა იყოს გართული თავისი საქმით, უკაცურ სანაპიროზე დაეხეტება — გულდამძიმებული და დაბნეული. ნუთუ ძალ-ღონე გამოელია? იქნებ დაბერდა? განა რამდენი წლისაა? მას შეეძლო ჰაბუკის მამა ყოფილიყო; რამდენიმე ვაჟი შესძენოდა; დაე, ისინი სხვადასხვა დედებს ეშობათ, მაინც ხომ მისი შვილები, მისი სისხლი და ხორცი იქნებოდნენ. ვენი? მასაც შეიძლებოდა თავისივე მსგავსი ქალიშვილი ჰყოლოდა, და მაშინ იგი თავის თავზე ზრუნვას კი არ მოუხდებოდა, არამედ შთამომავლობაზე იზრუნებდა, და ახლა, ამ ხნოვანებაშიც, არ მოიცავდა მის გულს ასეთი უფოთვა... ძალაუფლებისა და ლამაზი ქალებისაკენ ლტოლვა მუდამ უფანტავდა ამაზე ფიქრს...

მანიბანდჰმა თავი წარმოიდგინა კბილებჩაცვენილ, დაჩაჩანაკებულ

მოხუცად, რომელიც ძვირფასი თვლებისა და ოქროს გროვებს შორის დაბორიანებს და თან მუხლები ეცეცება... ნუთუ მართლა ბერდება? და ოქრო, სწორედ ეს ოქრო, რომელიც თავისთვის მოიპოვა, ახლა თვით მას დაღუპავს? მაშასადამე, იგი ფულითაც ვერ იშოვის ტურფა ასულს?

არა! მანიბანდში არასოდეს დამარცხებულა! არც ამჯერად დამარცხდება. ბრძოლის წყურვილმა შეიპყრო იგი.

— საინდჰავ! — მბრძანებლურად შესძახა ეტლზე ასულმა მანიბანდში. — ამენ-რას სასახლეში წამიყვანე!

ბატონის მრისხანე შეძახილისგან საინდჰავი მოიკუნტა. მანიბანდში შეამჩნია ეს და გაიღიმა. როგორ მოხდა, რომ იგი, პირველი კაცი ქალაქში, უბრალო მოკვდავის მსგავსად გაება მისთვის შეუფერებელ ინტრიგის ქსელში?

ოდესღაც... არა, შორს მოგონებანი! რახან მათი თავიდან ამოგდება შეუძლებელია, დაე, ისინი ხსოვნის იღუმალ კუნჭულებში იქნენ დამარხულნი. აღარასოდეს დაინახავს იგი დამცირების შავ ბურუსს!

გაიწკარუნეს ზანზალაკებმა, ეტლი მეყსეულად გაჩერდა ამენ-რას სასახლის წინ. ჭიშკართან მდგარი მონა გაიქცა, რათა ბატონისათვის ესოდენ საპატიო სტუმრის მოსვლა მიეხარებინა, ამენ-რა შესაგებებლად გამოვიდა და თაყვანი სცა მოჰენჯო-დაროს ყველაზე მდიდარ ვაჭარს.

როცა ორივენი დასხდნენ, ამენ-რამ ღიმილით უთხრა:

— რას იტყვით, დიდებულო, მეტისმეტად მოსაწყენად ხომ არ მიმდინარეობს ცხოვრება დიდ ქალაქში? თქვენ იცით, დაუდგარი კაცი ვარ, მიყვარს ცვლილებანი, მრავალფეროვნება. ჩვეულებრივ, საქმით ვარ ხოლმე გართული და ჩემს თავზე საფიქრელად არა მცალია, მაგრამ ახლა, მადლობა ზენაარს, მოსასვენებლად მცირეოდენ დროს ვშოულობ.

— ცვლილებები ყოველი სულიერისათვის ბუნებრივი რამაა, — გაიცინა მანიბანდში, — განსაკუთრებით ისეთი მამაცი და ძლიერი ადამიანისათვის, როგორიც თქვენა ხართ.

— ძალა სიცოცხლის ნიშანწყალია, — კმაყოფილებით თქვა ამენ-რამ. — მაგრამ იგი ვერ იტანს უმოქმედობას. რაღას ვუცდით, დიდებულო? ამბობენ, ქალაქგარეთა ტყეებში შშვენივრად შეიძლება ინადროსო კაცმა. შე მსურს უკეთ გავიცნო ეს მხარე. თქვენ ხომ თქვით, რომ არც თქვენი მეზობელი ხალხები ჩამოუყვარდებიან დიდი ქალაქის მცხოვრებლებს ხელოსნობასა და მიწათმოქმედებაში?

— დიას, პატივცემულო ამენ-რა. თვითონ განსაჯეთ, ჩვენ ისეთივე ხორბალი გვაქვს, როგორც პარაპაშია, — ჩვენ იგი იქიდან მოვიტანეთ.

ამენ-რამ მრავლისმეტყველი მზერა შეავლო მანიბანდჰს და მოულოდნელად ჰკითხა:

— ერთი ეს მითხარით, დიდებულო, ნუთუ ყველა აქაური ხალხი ადაშიანთა თანასწორობის მომხრეა?

— არა, ყველა არა, პატივცემულო ამენ-რა. ყოველ ხალხს თავისი ადათ-წესები აქვს, მაგრამ ყველა ისინი პატივს სცემენ ჩვენს რწმენასა და ადათ-წესებს, ვაჭრობენ ჩვენთან.

ამენ-რას გაუხარდა.

— ეს კარგია, დიდებულო! მაგრამ მათი ამგვარი დამოუკიდებლობა დროდადრო შეიძლება დაძლუპველი გახდეს თქვენთვის.

— დამლუპველი? — აგდებულად გაწელა სიტყვა მანიბანდჰმა. — თქვენ ცდებით, დიდებულო ამენ-რა. ქვეყნად ვერავეინ გაბედავს ცუდი თვალთ შემოხედოს მოჰენჯო-დაროს!.. მოჰენჯო-დარო ყველაზე სახელგანთქმული და დიდი ქალაქია დედამიწის ზურგზე!

მანიბანდჰი სიამოვნებით აღევნებდა თვალს ლამაზ მონაქალებს, რომელთაც თავდახურული ლანგრები მოეტანათ. ქალებმა მაგიდები მოსწიეს, ზედ ლანგრები დაალაგეს, მერე ძვირფასი გადასაფარებლები მოხადეს და თაყვანისცემით განშორდნენ. დარბაზს ხილეს სურნელი მოედო.

— მიირთვით, ძვირფასო სტუმარო! — შესთავაზა ამენ-რამ.

ისინი ჭამას შეუდგნენ. მონაქალები სწრაფად, უხმაუროდ აწვდიდნენ, რაც საკირო იყო. ერთ მათგანს ამენ-რამ ანიშნა შიდა პალატში შესულიყო. იგი დაბრუნდა და მოახსენა:

— ბატონო, მონაქალმა აღასრულა თქვენი ბრძანება. მოცეკვავენი მოდიან!

— ეს არის და ეს, რითაც შემიძლია გასიამოვნოთ ჩემს სახლში! — უთხრა ამენ-რამ. — თქვენ არ გელოდებთ ძვირფასი ძღვენი. აბა სად მოეძევა ბერიკაცს განძეული!

შემოვიდნენ მოცეკვავენი. მთელ მათ ჩაცმულობას შეადგენდა სახვევები, თეძოებს რომ უფარავდათ, და ვიწრო ნაჭრები, რომლებიც ძლივლივობით მალავდნენ მათ მომრგვალო ძუძუებს. მშვენიერ ეგვიპტელთა ცეკვა ბუნებრივი და უბრალო იყო, მაგრამ მათი სიშიშველე აზორცულ სურვილს უღვიძებდა ბებერ ამენ-რას. მოცეკვავენი ვნებიანად იკლაკნებოდნენ და ისე აყოლებდნენ ფეხს ეგვიპტურ მუსიკას;

ზოგჯერ რომელიმე მათგანი ტაშს შემოჰკრავდა და გაისმოდა უცხოური ჩიმიღერა.

უცებ მანიბანდჰის გულს ალი მოედო: მან მოცეკვავეთა შორის დაინახა სულ მთლად ახალგაზრდა გოგონა, რომელიც აფეთქებულ კოკორს ჰგავდა. ვინც ქალში სილამაზის გვირგვინს ხედავს, ზღვარს ვერ დაუღებს ტრფობის ზმანებებს...

— განსაცვიფრებელია! — წამოიძახა მანიბანდჰმა. — დიდება შენდა, პატივცემულო ამენ-რა! ძვირფას თვალთაგან უძვირფასესს დაუფლებიხართ! აქვენი არასოდეს გიხსენებიათ ის.

— ხომ არ მიბრძანებთ მოგართვათ?

— ვინ არის იგი, პატივცემულო ამენ-რა?

— იგი შნინია\* ჩემს მონაქალებს შორის!

მოცეკვავენი დარბაზიდან გავიდნენ, მანიბანდჰი კი ფიქრობდა მშვენიერ ლოტოსზე. ამ ყვავილში, ქაობში რომ ამოზრდილიყო, მომჯადოები სილამაზე თრთოდა.

როგორც ლოტოსი შლის თავის კოკორს ამომავალი მზის შესაგებებლად, ისე ჰყვავის ლამაზი ყმაწვილი ქალი მხურვალე სიყვარულის სხივებში. მაგრამ დაისის უღონო შუქი ვერ ეუფლება ყვავილს და მისი ფურცელნი უღმობლად იკუმშებიან. ასევე არ ძალუძს ბერიკაცს ყმაწვილი ქალის ვნების გაღვიძება. მანიბანდჰს შეებრაღა მოხუცი ამენ-რა, იგი წამოდგა და მასპინძელს დაემშვიდობა.

ეტლზე ასულმა ვაჰარმა ზანტად წარმოთქვა:

— საინდჰავ!

მეეტლე სადავეს დასწვდა.

შუადღე კარგა ხნის ჯდასული იყო. ირგვლივ ჩრდილები წებობდნენ და საამო სიგრილეს მფენდნენ არემარეს. სულ უფრო და უფრო აგსებდნენ ქუჩებს ადამიანები, რომლებსაც დღევანდელი საქმეები უკვე დაემთავრებინათ. ქალაქს სიცოცხლე ემატებოდა. მემუსიკეებმა საკრავებს მოჰკიდეს ხელი. კალის ჭურჭლის მკეთებელს სიგრილემ სიამე მოჰგვარა, და იგი კვლავ მიუბრუნდა საბერველს.

მეეტლეს დილიდან ხემსიცი არ ჩასვლია პირში, მაგრამ აბა ვის გაუმხელდა? ქალბატონთან ერთად რომ ყოფილიყო, ის კი შეიცოდებდა, მაგრამ ახლა მანიბანდჰი წამოსდგომოდა თავს ავი სულივით და მეეტლე უსიტყვოდ იტანდა შიმშილით მიყენებულ ტანჯვას — მონა მხოლოდ გულში თუ გაივლებს ბატონის საყვედურს.

\* შნინია — ლოტოსი (ეკვიბტ).

ეტლი ქალღმერთ მაჰამაის უზარმაზარ ტაძარს მიადგა.

„გართობის მოყვარულნი ჯერ კიდევ არ გამოსულან ქუჩებში“, — გაიფიქრა მანიბანდჰმა, როცა მთავარი შესასვლელი გაიარა. ახლა იგი ისე იყო მოქანცული, როგორც მამაცი მეომარი, სასტიკ ბრძოლას რომ გადაიხდის.

ვაჟარს კვლავ ჩაესპოდა ყურში ამენ-რას სიტყვები. მოხუცმა გააფრთხილა, რომ დიდ ქალაქს მეზობლების მხრიდან საშიშროება ელის. ვინ გაბედავს თავს დაესხას სახელგანთქმულ მოქენჯო-დაროს? კიდევ რომ გაბედოს, ქალაქს ხომ ძლიერი მცველები ჰყავს!..

შაგრამ ეჭვები არ ასვენებდნენ მანიბანდჰს. განა ძალუძთ ქალაქის მცველებს, რომ მთელი ჯარის შემოტევა მოიგერიონ? ვაჟარს გაახსენდა ეგვიპტის ფარაონის უძლეველი ლაშქარი. ეს ლაშქარი ყოველ ფეხის გადადგმაზე აცამტვერებდა ათასობით ურჩ ადამიანს. რატომ არ არის ასეთი ლაშქარი მოქენჯო-დაროში?..

ვაჟარმა თავი გააქნია, რათა აბეზარი ფიქრები 'შოეშორებინა. რად ფიქრობს ყოველივე ამაზე? აბა რას არგებს დიდება და ძალაუფლება, თუკი მარტოდმარტო იქნება?

მანიბანდჰმა მაჰამაის ქანდაკების წინ დაიჩოქა და მისკენ ხელები გაიწვდინა.

— ჰოი, ყოვლად ძლიერო მაჰამაი! — შეჰლაღადა მან. — აქამოდე არ მაკლებდი წყალობას შენსას. შენ მომანიჭე ძალა და ესოდენ დიდებულად მაქციე ამ უბადრუკ წუთისოფელში. თუ გსურს, დაიბრუნე ყოველივე და კვლავ... მათხოვრად მოუვლინე ჩემი თავი ამა ქვეყანას. შენი ძლევამოსილი ხელით შუბლზე აწერ ადამიანს მისთვის განკუთვნილ ბედს, და შენთვის ცხადია, რომ მე არ მინდოდა ბოროტმოქმედი გავმხდარიყავ! ჰოი, დედაო, რატომ დამეკარგა სულის შვეიდობა?

მანიბანდჰს შდიმედ აუღ-ჩაუდიოდა განიერი მკერდი. ქალღმერთის ქანდაკებაზე თვალაპყრობილმა, შესძახა:

— აროდეს გამიბედავს ეჭვი შემპარვოდა შენს ძლევამოსილებაში, ყოვლად ძლიერო! ბავშვობაშიც კი, მშიერ ბიჭუნას, ვერვინ ჩამაგონებდა შენდამი უპატივემლობას. თვით ოზირისმაც კი, ეგვიპტელთა დიდმა ღმერთმა, ვერ შემირყია რწმენა. მაშ რალამ აღმიფოთა მრისხანე გული, რად ვიქცევი ხოლმე ზოგჯერ უბადრუკად და უძლურად? ხომ ყველაფერი მომანიჭე, მაშ რატომ არ შთამისხამ ძარღვებში კეთილშობილურ სისხლს, რათა სულს ჩემსას აროდეს ტანჯავდეს უღონობა? ჰოი, დედაო! ვიცი, უნდა გამოვისყიდო ჩემ მიერ ჩადენილი დანაშაული! მაშ მომეც ძალა! ოკეანეში ამოვარდნილ ყოველ საშინელ

ქარიშხალს ვთვლიდი განსაცდელად, რომელსაც შენი უსაზღვრო მოწყალებით მიგზავნიდი. შეუენდე, ქალღმერთო, შენს ერთგულ მონას, ძეს შენსას! შენ მომეველინე მხსნელად შობის ქაშს, მაშ სამარის კარამდეც იყავ ჩემი მხსნელი!

თითქოს განახლებული წამოდგა ზეზე — კმაყოფილებამ და სიხარულმა განდევნა გულში ჩაბუდებული ნაღველი. ლომისებური ნაბიჯით გაემართა მანიბანდჰი გასასვლელისკენ. ახლა იგი დიდმშვენიერი იყო: ნამღვილი, ჭეშმარიტად ძლიერი მამაკაცი, მბრძანებელი. თითქოს ქალღმერთმა უწილადა თავისი ძალა და უთხრა: „მანიბანდჰ! იმედს ნუ დაკარგავ! განა დღევანდელი დღე უფრო საშინელია შენთვის, ვინემის შორეული დღე, როცა წყვილიაში მოვარდნილი ტალღები აქეთიქით დაქანებდნენ ხოს უბადრუკ ნავს? გაიხსენე, როგორ ეცემოდნენ მუხლებზე ტალღებთან ბრძოლით დაღლილი ადამიანები, როგორ ითხოვდნენ შებრალებას! ვინ დააშოშმინა იმ დღეს ქარიშხალი? ვინ გამორიყა ნაპირზე ნავი?“

ტაძრის შორიახლო მანიბანდჰმა შენიშნა განდევილი, რომელიც უძრავად იჯდა მიწაზე. ვაჭარი დიდხანს შეჰყურებდა ამ ღონემიხდილ ადამიანს, რომელიც უსიტყვოდ, მშვიდად, თითქოს მიწაზე დაუკრავსო ვინმეს, იჯდა აქ, ცხოვრების ამოებისაგან ღტოლვილი, და ქამთა სვლას ვერ ამჩნევდა. ნუთუ სიმდიდრე და მრავალფეროვნება არ იზიდავდა საწყალს? ნუთუ არასდროს მოუხიბლავს ქალის მშვენებას?

ქალი! მაჰამაი!

შესაძლებელია ლოდი ლამპარივით აინთოს მზეზე, მთები დაღუმდნენ, ოკეანე სამუდამოდ გაძრინდოს, მაგრამ ქალი არასოდეს მოიშლის მამაკაცისთვის მზაკვრული მზერის სროლას. ესაა ბუნებისაგან ბოძებული მარადიული იარაღი ყველა ქალისა — ფარაონის სატრფოდან უკანასკნელ მონაქალამდე! ქალი დიდი ძალის პატრონია. მანიბანდჰის მთელი სიბრძნე არაარაობაა მის წინაშე, რამეთუ მას არ ძალუძს გაანელოს მხურვალეობა გულისა.

თავდავიწყებას მიცემული დიდი ღმერთი მაჰადევიც კი ფხიზლდება, როცა მისი მეუღლე მაჰამაი ავხორცულ როკვას მოჰყვება ხოლმე.

მაგრამ ვინ შეძლებს წმიდა ფიქრი გაუფანტოს იოგთა დიდ მეფეს? ვინ აღმატება მას სიდიადით და ღირსებით? რა შეაძლებინებს გულგრილად უყუროს წუთისოფლის ცდუნებებს? რად ფხიზლდება იგი დროდადრო, მერე კი ისევ რად მიეცემა ხოლმე ღვთაებრივ ძილს? ნუთუ ეს უსაზღვრო თავდავიწყება ადამიანის ცხოვრების ყველა

მდეღვარებასა და ზრუნვაზე უმაღლესია, ცხოვრებისა, რომელიც ესოდენ მშფოთვარე და ძალუმიია?

როცა მანიბანდპი ეტლზე აღიოდა, ვილაცამ გაუწოდა ხელი და მოწყალება სთხოვა:

— ბატონო! რა ხანია არაფერი მიჭამია!

მანიბანდპმა თვალი შეავლო მათხოვარს. შესახედავად იგი ჩამოკავდა სოფლელს, ჩამოსულს დრავიდთა ქვეყნიდან, რომელიც მოქენჯო-დაროს ჩრდილოეთით მდებარეობს. მათხოვრის თვალეში შიმშილი გამოკრთოდა. ტანისამოსი ისე შემოს-ცვეთოდა, რომ ნეკნებსაც კი ვერ უფარავდა, და ეს სიბრაულეს და ზიზღს იწვევდა ამ უბედური კაცის მიმართ. მაგრამ, ეტყობა, კარგა ხანია გადასჩვეოდა გარეგნობაზე ზრუნვას, — სიცოცხლის წყურჯილს ყველა სხვა გრძნობა დაეძლია მასში.

თანაგრძნობის ფლატოვანი ნაპირი არაფერია უსულგულობის სალკლდესთან შედარებით, რამეთუ კაცი, მამინაც კი, როცა მოყვასის წინაშე წმიდა ვალს იხდის, უწინარეს ყოვლისა თავის სარგებლობაზე ფიქრობს. მანიბანდპმა ოქროს ფული გადაუგდო მათხოვარს. ოქროს მზინავე ნაჭერი, რომლითაც იმწაშსვე შეიძლება იყიდოს კაცმა მსახური ბიჭი და ორი ხბო, მტვერში ეგდო. მათხოვარმა საკუთარ თვალს არ დაუჯერა. ნუთუ ეს უბრალო მოკვდავმა მოიპოქმედა? ასეთი სიკეთე და გულმომწყალებობა ხომ მართოდენ ღმერთებისა თქმულა! დრავიდს დაავიწყდა, რომ ადამიანები მხოლოდ სიმდიდრის ფლობისას არიან გულუხვნი, როცა თანაგრძნობის წუთიერი გატაცება ჩალის ფასად უღირთ.

ეტლით ჩავლილი ელაშელი ქურუმი აღტაცებული აღევნებდა თვალს ამ სანახაობას.

— დიდება შენდა, დიდო ბატონო! — წამოიძახა მან. — დიდება შენდა! ქემმარბტად უშრეტია გულუხვობა შენი!

ეტლი გაჩერდა. ელაშელმა ქურუმმა რამდენიმე ლოცვა წარმოთქვა გალობით თავის ენაზე. მაგრამ ვერავინ გაიგო და მან კვლავ დიდი ქალაქის ენას მიმართა.

— ქალაქ ურში ბედნიერება მკვიდრობს, — თავაზიანად თქვა მან, — ურის ადამიანებში კი — უბედურება. სიმდიდრეს ბედნიერება მოაქვს, ხოლო ფულის ფუჭად ფლანგვას — უბედურება. თქვენ, დიდებულო, ბედნიერება მოგაქვთ ხალხისთვის!

— ღირსი არა ვარ თქვენი ქებისა, დიდო ქურუმი! — მიუგო მანიბანდპმა. ქურუმის ნათქვამი მოეწონა, მაგრამ ისე ურცხვი როდი იყო,

რომ თავისი ყურით მოესმინა ქება, წარმოთქმული წმიდა ბრძენთაგან, რომლებიც ლოცვა-კურთხევას უგზავნიან ღმერთებს.

— არა, მე ვიცი ჭეშმარიტი სიღიადის ფასი, დიდებულო! განა არის ქვეყნად ადამიანი, რომელიც სიმდიდრის დაგროვებაზე ოდესმე ზელს აიღებს? — ოხვრით მიუგო ელამელმა ქურუმმა. — ყველაზე ძვირფასი განძი ადამიანთა შორის თქვენა ხართ, დიდებულო! ერთის გაცემით ასწილ მიიღებთ!

— დაე, ჰფარვიდნენ ღმერთები ადამიანებს! — გაიცინა მანიბანდძმა. — მხოლოდ ამას მინდა შივალწიო ჩემგან გაცემული ძღვნით.

ელამელი ქურუმი წავიდა. დრავიდი მათხოვარი ისე განშორდა ვაჰარს, რომ მადლობის თქმაც კი დაავიწყდა. იგი უფრო გაოცებული იყო, ვინემ გახარებული. ეტყობა, არ იცოდა, როგორ მისულიყო მოვაჰრებთან ოქროს ფულით. ერთიც ფნახოთ და ქურდად მიიჩნიოს ვინემ, რა უნდა უთხრას მოსამართლეს?

მანიბანდძი კმაყოფილი ჩანდა. ვაჰარს ეამა ქურუმის სიტყვები, თუმცა მისი სული კვლავ შფოთვამ მოიცვა. ძღვნის გაცემისას ადამიანთა სიყვარულს არ გრძნობს იგი; ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მანიბანდძი ცოდვილია? სიბრაღელის საფუძველი შიშია. ყოველი კაცი იმის ადგილას, ვინც იტანჯება, თავის თავს ხედავს, და მხოლოდ ამიტომ იღვიძებს მასში გულმოწყალება. წავიდა მათხოვარი, მოულოდნელი ძღვნით დამუხრებული, და მანიბანდძს თვალი აეხილა. დიახ, მისი სული უკვე მკვდარია. ბედნიერების უამს მას არ აგონდება სხვები, უბედურების უამს კი მარტოდ დარჩენა არ სურს. „კი მაგრამ, ეს ხომ ღმერთებმა განაწესეს ასე! — თავის თავს ეუბნებოდა მანიბანდძი. — შიში და სიყვარული ადამიანის სიცოცხლის ყველაზე უტყუარი ნიშანია. მხოლოდ განდევილი ცხოვრობს უზრუნველად. იგი წააგავს ბუზს, რომელიც ობობას ქსელს გაჰქცევია, მაგრამ ობობა მაინც არ რჩება უმსხვერპლოდ. ყველაფერი თავისი რიგით მიდის, ყველას თავისი გზა აქვს...“

ნელ-ნელა წვებოდა ბინდი. ყველგან ლამპრები აენთოთ. დადგა სადამო — უამი ავხორცული როკვისა, უამი განცხრომისა. მაგრამ განა ამაში ჰპოვებს კაცი სიმშვიდეს? განა ეს შოსპობს გულის სიციარიელის შეგრძნებას? ვისაც იგანძი არა აქვს, მაჰამაის შესთხოვს; ვინც განძს ფლობს, სასოწარკვეთილებას განიცდის. რატომ არასდროს არ გრძნობს კაცი თავს კმაყოფილად?

— საინდჰავე! შუკებს გაჰყვე! — უბრძანა მანიბანდძმა. მას უნდოდა უბრალო ადამიანთა ყოფისათვის გადაეცლო თვალი.



ეტლი ვიწრო შუკებს მიჰყვებოდა. საოცრად წყნარად და აუჩქარებლად მიედინებოდა აქ ცხოვრება. მთავარ ქუჩაზე ხალხის ნაკადი თავის ნებაზე მიაქანებს გამვლელთ, აქ კი თვითეულს როგორც ნებავეს, ისე გაივლის. აქ არ იგრძნობოდა დიდი ქალაქის ქედმაღლური და ბრწყინვალე ამოება. ამ წყნარ ადგილებში მოხვედრილ კაცს უნებურად აგონდებოდა ყოველივე კარგი; მას უკან არ სდევდა და არ აჩქარებდა ყაყანი და აურზაური. შუკები ჰგავდნენ წყლის მცირე ნაკადებს, რომლებიც მშვიდად მიიკვლევენ გზას მდინარის ბობოქარ ტალღებქვეშ.

მთელი თავისი დღე და წუთისოფელი მანიბანდჰი სიმდიდრესა და დიდებას ელტვოდა, შეჩერებისა და განსჯისათვის არ ეცალა, — მის წინაშე იყო წინასწარ შემოფარგლული ცხოვრება. მათხოვრის დანახვისას არასდროს სტყენია გული. „ძღვენს გასცემ — სახელს მოიხვეჭ“, — ასე ამბობდნენ წარჩინებულნი, როცა მოწყალეებს გაიღებდნენ ხოლმე. ჰოდა, არც ახლა უღალატა წესს და გულგრილად განშორდა იქაურობას, თითქოს ესმოდა, რომ ეს მოჩვენებითი გულმოწყალება სულაც არ განამტკიცებდა მის საკუთარ ყოფას.

თავშეყრილ ხალხში ვილაც ქალი ცეკვავდა. საინდჰავმა კამეჩები გააჩერა და დაუყვირა:

— ეჰეი, გზა, გზა!

მაგრამ მანიბანდჰმა მკაცრად შეუძახა:

— საინდჰავ!

მეეტლეს განცვიფრებისაგან ენა ჩაუვარდა. მანიბანდჰმა ისარგებლა იმით, რომ ირგვლივ სიბნელე ჩამოწოლილიყო, ეტლიდან ჩამოვიდა და ბრბოს შეერია. ხალხმა თვალი შეავლო, მაგრამ არავინ გაკვირვებულა. ამ ადგილას ხშირად მოდიოდნენ წარჩინებული მოქალაქენი, რომლებიც სახელს იცვლიდნენ ხოლმე, — აქ მეძავი ქალები ცხოვრობდნენ.

ეს იყო მეტისმეტად უხამსი ცეკვა. როგორც ეტყობა, ბრბოს ართობდა ჰეტერა, რომელიც თავის მორიგ სატრფოსთან ზღვარგადასულ ქეიფში გამომთვრალიყო და ახლა თავი აეწყვიტა. მანიბანდჰმა ჩაცმულობაზე შეატყო: დიდ ქალაქში ჰეტერები წელს ზემოთ არ იმოსავდნენ ტანს.

ეს არ იყო ვენი, მაგრამ მანიბანდჰს მაინც შერცხვა: მცირე ხნის წინათ ვენიც ხომ ასე ცეკვავდა ქუჩებში!

ვაჰარმა გზა განაგრძო. კვლავ აქეთ-იქით ავლებდა თვალს. ერთ ღვინის ღუქანში ახალგაზრდა ქალი ვაჰრობდა. იგი წამდაუწყუმ იღიმე-

ბოდა, ხელმარდად ავსებდა ფიალებს ღვინით და მზეუტავ სანათთა ირგვლივ შემომსხდარ სტუმრებს მიართმევდა. იგი საოცრად მიმზიდველი ეჩვენა მანიბანდჰს. მისი ტანსაცმელი ქალაქური და სოფლური გემოვნების თავისებურ შერწყმას წარმოადგენდა. წელს ქვემოთ ღმერთი ემოსა, რომელიც კოჭებამდე სცემდა. მხრებზე მოკლებული ქსოვილის ნაჭერი ძლივს უფარავდა შიშველ ძუძუებს. ვერცხლის სამაჯურები უმშვენებდა შავგვრემან ხელებს. იგი მაცდუნებელი გარეგნობისა იყო და მანიბანდჰმა დაიწყა ფიქრი, თუ როგორ შეძლებდა მასთან განმარტობას. გამოსავალი იოლად იპოვა.

— მეეტლევ! აგრე რად მიჩანჩალებ? — შეეკითხა ვაჭარი.

მეეტლეს შიმშილი აწუხებდა, მაგრამ ამის თქმა ვერ გაუბედა.

— ბატონო, კამეჩები დაიღალნენ და თანაც რა ზანია არაფერი უჭამიათ, — მორჩილად უპასუხა მან.

მეეტლემ იცოდა, რომ ღონიერი კამეჩები ძალიან უყვარდა მანიბანდჰს. მაშ რატომ არ უნდა დაესახელებინა ისინი მიზეზად?

მანიბანდჰმა გაიცინა და მეეტლეს ოქროს ფული გადაუგდო, — მიხვდა, რასაც ფიქრობდა მსახური.

— წადი და ჭამე, საინდჰჰე! ჩემი კამეჩები შენსავით სუსტნი როდი არიან! სულელო, რისი მოგერიდა, ვერ მითხარი, თუ გშიოდა? განა იმიტომ გიყიდე, რომ შიმშილით ამოგხადო სული?

— დაზნაშავე ვარ, ბატონო, მომიტევეთ... — წაიდუღუნა მეეტლემ.

— გასწი! ვიცი, რასაც ფიქრობ! შე აქ დავრჩები! ჰქენი, რაც გითხარის ჩემ გარდა ვინ არის შენი ბედნიერების ბატონ-პატრონი?

გახარებულმა მეეტლემ კიდევ ერთხელ დაუკრა თავი და გასწია. ბატონის თვალს მიფარებულმა, შინისკენ გაუხვია. იქ ცოლი დააპურებს, ოქროს ფულს კი გადაინახავს — ყველაფერს თავისი დრო აქვს. ცხოვრება მდიდარი აღამიანების წყალობით მიედინება.

მანიბანდჰი ეტლთან იდგა. ღვინის ვაჭარი იღიმებოდა. ქუჩა თითქმის უკაცური იყო. იშვიათად თუ გამოჩნდებოდნენ აღამიანები — ერთნი ფეხს მიითრევდნენ მუშაობით დაქანცულნი, მეორენი ბარბაცით მიდიოდნენ. ამ შუკათა მცხოვრებნი უბადრუკ ყოფაში არიან, საჭმლის ფულს თუ შოულობენ მხოლოდ, ბედი არ უწერიათ. მარტოდნენ რელიგიურ წესთა აღსრულება ჰკვრით ხოლმე დღესასწაულებზე რაღაც სიხარულის მსგავს გრძნობას.

მოვაჭრე ქალი ისევ ისე იცინოდა, ღვინოს ასხამდა და ბეტელს ამზადებდა. მოგება დიდი აქვს; ყოველ მუშტარს ალერსიანად უღიმის, და არავინ ტოვებს ისე, რომ ამ ღიმილის საფასური არ გადაუხადოს.

ქალის თავთან დაკიდებულ გალიაში მჭდარი თუთიყუში დროდადრო წაჰოიძახებს ხოლმე: „მზაკერული თვალები...“, „გულში ჩამივიარდი...“

და სტუმრები გულიანად ხარხარებენ.

მანიბანდჰის თვალწინ ზედიზედ გაიღვეს წარსული, შორეული წლების სურათებმა. იმ დღეებმა წარუშლელი კვალი დატოვეს გულში, და მას ვერასგზით ვერ ამოშანთავს... რატომ ახსენდება ადამიანს სწორედ ის, რაც სურს დაივიწყოს? წარსული — ესაა საზარელი დემონი, რომელიც აწმყოსა და მომავალს შორის დაჰქრის!

მანიბანდჰმა გვერდზე მიაყენა კამეჩები, დაუღვერად დატოვა ისინი სიბნელეში, მერე ღუქნისაკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და გაჩერდა.

ღუქანი დაცარიელდა. ღვინის ვაჭარი თმის ვარცხნას შეუდგა, შემდეგ შუშაში ჩხირი დაასველა, წამწამები შეისურმა, როცა დარწმუნდა, რომ არავინ უყურებდა, მკერდზე სამოსი შეისწორა. მანიბანდჰი ააღელვა ამ მოძრაობამ. უეცრად მას მოუწინა ყველა ბორკილი დაეწვიტა, რაც ახლა ბოჭავდა, და თავის წინანდელ ჩვეულებებს დაბრუნებოდა... მაგრამ ეს იყო ეგვიპტეში, უდარდელი სიჭაბუკის დღეებში, რომელთა შესახებ აქ არაფერი იციან. ახლა იგი ყველასაგან პატივცემული ადამიანია მოჭენჯო-დაროში...

შორს ყოველგვარი წესი და ადათი, თუკი ისინი ხელს უშლიან კაცს, იგემოს ამქვეყნიური სიამენი! მანიბანდჰს სულ ცოტა რამ სურს — თავისუფლად და მხიარულად წაილაყბოს ამ ქალთან... მაგრამ შემდეგ ეს მოვაპრე ქალი სიამაყით მოსდებს ქვეყანას: დიდებული მანიბანდჰი იყოო ჩემთან...

რას იტყვიან მამინ წარჩინებული ადამიანები? მანიბანდჰი ვილაც პეტერასთან ყოფილაო. ისინი უფლებამოსილნი არიან გაეციტონ იგი. განა დიდგვაროვანი ქალები ცოტა ჰყავს?

და მაინც მანიბანდჰი მეუფე უნდა იყოს თავისი ლხენა-სამისა! იგი დაწყვეტს და განაგდებს ზელ-ფეხის შემბოჭველ ბორკილებს! აბა გაბედოს ვინმემ და წინ აღუდგეს, ძოწასთან გაასწორებს იმ თავხედს... გული აუჩქროლდა. იყო დრო, — მამინ მას ჩვიდმეტი წელი შესრულებოდა, — როცა ეგვიპტის ბინძურ ბაზრებში მრავალ მეძავ ქალს იცნობდა... აბა ერთი მაინც თუ დატოვა უქმაყოფილო, ერთს მაინც თუ მობეზრდა იგი...

ღუქანთან ერთი საზიზლარი გარეგნობის მუშტარი მოვიდა. უცნობი ტანმალალი იყო და სულ ცდილობდა გაჯგიმული მდგარიყო, რის გამოც ზურგი შეზნექილი მოუჩანდა. ლაპარაკისას სახე ებრიცებოდა, იმანკებოდა და თვალებს ბოროტად აცეცებდა. მანიბანდჰს მოეჩვენა,

რომ ამ ადამიანში უმეცრების მძვინვარე მხეცი ჩაბუდებულიყო და ტვინს უღრღნიდა. მოვაჭრე ქალი კი ელაპარაკებოდა ამ მახინჯს, ისევე იცინოდა და იღიმებოდა. ორივენი მათრახით იყვნენ საცემი!

მანიბანდჰმა სიბნელისაკენ დაიწია. მუშტარი სანათს მიუახლოვდა, და მანიბანდჰმა დაინახა, რომ პირისახე საზიზღარი ლაქებით ჰქონდა დაფარული, სხეულზე კანი დახეთქოდა. მანიბანდჰს შესძაგდა უცნობი. იმდენად მისი საზიზღარი ლაქები როდი აღიზიანებდა, რამდენადაც ამ თავზედის თავდაჯერებული და ქედმაღლური იერი.

მახინჯმა ლოყაზე უჩქმიტა მოვაჭრე ქალს. მან ღვინო დაუსხა. კაცმა დალია, სპილენძის ფული მიუგდო და უკან გაბრუნდა.

— ეჰეი, — შესძახა მოვაჭრემ, — ჯერ გადაიხადე, რაც საჭიროა!

— ხომ გადავიხადე? სხვა რაღა გინდა?

— განა მარტო ღვინო დალიე?

— მაშ რა ვქენი კიდევ? რაზე ლაპარაკობ, სულელო?

უცებ მოვაჭრე ქალმა ყვირილი მორთო:

— ვაიმე, გამძარცვეს! მიშველეთ! მიშველეთ!

მის ძახილზე დუქნიდან ვიღაც ჯმუხი კაცი გამოვარდა და აყლაყუღას ყელში სწვდა. მანიბანდჰს რაღაც ტკაცუნიც კი ჩაესმა ყურში. ერთი-ორი სილა რომ გააწინეს, თაღლითმა რამდენიმე ფული დააგდო. ჯმუხმაც კაცმა ერთი ჰიტლაყი უთავაზა და თავი დაანება. აყლაყუღა ფაიქცა, მოვაჭრე ქალმა კი გადაიკისკისა. ჯმუხი კაცი გვერდით მიუჯდა. მანიბანდჰი გამშხარულდა, კვლავ მოაგონდა წარსული. ამ პატარა ამბის დასასრულით კმაყოფილმა, თავისი ეტლისაკენ გასწია.

ახია იმ არამზადაზე. დღეის შემდეგ ეცოდინება, როგორ უნდა გაასაღოს თავი ქარაფმუტად! ერთოც ვნახოთ და მანიბანდჰი მისულისყო იმ ქალთან, იგივე ამბავი გადახდებოდა თუ არა თავს? არა, ასეთ ადგილას მცველთა გარეშე სიარული სახიფათოა. ტყუილად როდი მოერიდა. იგი მშიშარა კი არ არის, არამედ შორსმჭვრეტელი და ბრძენია. მანიბანდჰი ეტლზე ავიდა და სულ მალე კამეჩებმა მთავარ ქუჩაზე გაიყვანეს.

ამოვიდა მთვარე. სურს თუ არა ახლა ვინმეს მანიბანდჰთან შეხვედრა? უღელავს თუ არა გული ვინმეს მის გახსენებაზე? არის თუ არა იგი ვინმესთვის სასურველი და საყვარელი? მასში ყველანი „დიდებულს“ ხედავენ მხოლოდ, სიმდიდრემ და დიდებამ გახადეს იგი ძლიერი. მთელი ქალაქი გართხმულია მის ფერხთით...

რა გულცივად მიიღო იგი ცხოვრების სინამდვილემ! მანიბანდჰი არავის უყვარს როგორც ადამიანი...

ეტლი გავიდა გზაზე, რომელიც ქალაქს გარს უვლიდა.

მანიბანდძი რომ დაქორწინებულიყო, ცოლს ეყვარებოდა, ვაჟიშვილი კი ურღვევს შეიქმნა მათს სასიყვარულო კავშირს...

...მაგრამ ნუთუ ადამიანის ბედნიერება ამ კავშირში მდგომარეობს? განა მისი თავისუფლება კეთილდღეობა არ არის? მანიბანდძი ახლა მარტოა და მუდამ მარტო იქნება. მაგრამ ის ირგვლივ სუყველას დაამარცხებს, და მთელი სამყაროს თვითმპყრობელი მეუფე გახდება..

უცებ მანიბანდძს რალაცამ უჩხელიტა გულში. განა ეს სიამაყე არაა? განა მთელი მისი ქედმაღლობა არარაობას არ წარმოადგენს განდევნილის ვმრობასთან შედარებით? პატივმოყვარეობა წყურვილივით სტანჯავს წარჩინებულ ადამიანს, მოქმედების სურვილს უღვიძებს მას, მაგრამ განა წყურვილი სისუსტის ნიშანი არაა?

ამქვეყნად ბევრ რამეზე შიუწვდება ხელი მანიბანდძს. ნუთუ ერთადერთი, რაც მას სურს, — მისდამი გულგრილი ქალის სიყვარულია? რად სურს ამღვრიოს თავისი ცხოვრების შეუფერებელი დინება? ვთქვათ და ქალმა მის წინაშე გაითამაშა ტრფიალების მარადიული ფარსი, ვთქვათ, იგი მზადაა თავი გასწიროს მანიბანდძისათვის, — ნუთუ ესაა მის პატივმოყვარულ სურვილთა გვირგვინი?

დამწუხრებული დაბრუნდა უკან.

არაფერი არ უნდა მანიბანდძს. ნეტავ რად გაჩნდა ქვეყანაზე? ასე რომ იტანჯოს? ან რად ჩაავდო ღმერთმა სიმდიდრის ოკეანეში, რისთვის ფართხალებს შიგ აქამომდე? განა საკმარისი არ არის ერთი მცდარი მოძრაობა, რომ თავის დაღუპვის მიზეზი თვითონ შეიქმნეს? ამ ფიქრებით აღელვებულმა, მახვილი იძრო და სიბრტყე გადაჰკრა კამეჩებს.

მთავარი ქუჩის დიდებულება გველის ნესტარვიით ჩაესო გულში მანიბანდძს. განა ბედნიერნი არიან ეს ავხორცი მოქალაქენი? ან ქალები, მალალ მკერდსა და ფუნჩულა საჯლომს რომ აჩვენებენ ქვეყანას? განა იციან, რა ელოდებათ წინ? რისი მაქნისია ეს მდელიღრობა, ეს თავაწყვეტილი მხიარულება, თუკი მათ არც იციან, რა ფზით მიემართებიან?

აი, იგი — დიდი ქალაქი, აი, ისინი — ბრწყინვალება და დიდებულება, აი, ის — უძღვეელობა! მაგრამ რისთვის არსებობს ყოველივე? დრო — ეს მახრჩობელა გველი — სულმოუთქმელად გადაუძახებს ხოლმე თავის საშინელ ხახაში ადამიანსაც და სიმდიდრის ოქროს ვერძსაც.

როგორ ცდებოდა! როგორ გაბედა იოგთა დიდი მეფის გაკიცხვა!

მერედა, ვინ? იმან, ვინც აჭამომდე ცხოვრების მკაცრ ზელებში მომწყვდეული ფხარკალებს, ვისაც თავისი სისუსტე ძლიერებად მიაჩნია, ვისაც დაძარცვება გამარჯვება ჰგონია.

ეტლი გაჩერდა. მანიბანდპი სასახლეში შევიდა.

იგი საგარძელზე ჩამოჯდა და ზურგით კედელს მიეყრდნო. კუნთები მოუღუნდა, მაგრამ თავი დამძიმებული ჰქონდა. დადგა კიდევ ერთი ღამე, მაგრამ განა ეს ღამე დღის სინათლეში არ განიბნევა? ღამე მოდის და მიდის. 'რისთვის? მთვარის სხივებიც როგორ თრთიან! რა უცნაურია, ღამის ამ მზეთუნახავმაც კი, რომელსაც სიგრილე მოაქვს, ეგვიპტის უდაბნოთა აუტანელი ცანცაბა სიცხე და სურვილთა მხურვალე ოხერა მოაგონა!

ფეხის ხმა მოისმა. შემოვიდა მონაქალი.

— ბატონო! საკმელი მოგართვათ?

— რა გინდა? — ფიქრებიდან გამოერკვა მანიბანდპი.

მონაქალს ეგონა, ბატონს ეწყინა, რომ შევაწუხეო და აკანკალდა.

— ბატონო! მოურავი აქში თქვენს ბრძანებას ელის, რომ საკმელი მოგართვათ.

— აი, თურმე რა ყოფილა! შე კამა არ მინდა.

მონაქალმა მორჩილად დაუკრა თავი. მანიბანდპმა შეატყო, რომ იგი აღელვებული იყო.

— მონაქალო, რა გქვია?

— თარა მქვია, ჩემო ბატონო!

— თარა!\*

მანიბანდპის თვალები უნებურად მიეპყრნენ ფანჯარას, რომელშიც ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა იცქირებოდა. 'რამდენი ვარსკვლავია! რა შორს არიან! თითქოს თავისკენ გიწვევენ ციმციმით... მაგრამ ეს ხომ მკვდართა სულები არიან, ხრთოლვით რომ ციალებენ ბნელში. მათთან მისაახლოებლად სიკვდილია საჭირო.

— წადი, თარა! შე არ მშობია. თქვენ ორმა შექამეთ ჩემი ვახშამი, — უთხრა მოთმინებით მომლოდინე მონას.

როცა მონაქალმა ვაჟრის შემონათვალე გადასცა მოურავს, აქში მცირე ხანს ჩაფიქრდა, მერე ჩაოცინა და უთხრა:

! — რა გაეწყობა, მოდი, თარა, მოვილხინოთ.

მონაქალებმა იცოდნენ, თუ რას ნიშნავდა ეს.

\* თარა — ვარსკვლავი (ძველინდ.).

მანიბანდჰს მართლაც არ უნდოდა ჭამა. მანიბანდჰ!\* 'რა უცნაურად უღერს ეს სახელი დიახ, მანიბანდჰი ძვირფასი თვლების მძივებია, ოქროზე ძვირად რომ ფასობს. თუ იგი ყველაფერს მიატოვებს, მის სიზმლიდრეს დაეპატრონებიან სხვები — ძაღლები, რომლებიც სიხარბისაგან ენაგადმოგდებულნი შეუსვენებლივ დაძრწიან და ცდილობენ მანიბანდჰად იქცნენ. დიახ, მანიბანდჰები ყველა დროში გვხვდება. მაგრამ ეს სახე აღარ იზიდავდა მას...

გაისმა ზარის რეკვა. შუალამეა. სადღაც წყალში ლითონის ბაღია ჩაუშვეს, და მისი წყარუნი მკაფიოდ ისმის ღამის სიჩუმეში...

წყურვილით ყელი უშრება. მონაქალს დაუძახოს? მას შეუძლია რამდენიმე წამის სიხარული განიცადოს... არა, ეს ვერ გაუფანტავს დღეს მძივე ფიქრებს... მანიბანდჰმა თვითონვე აავსო ფიალა ღვინით და სულმოუთქმელად დაცალა. კიდევ აავსო. ღვინომ წყურვილი მოუქლა, მაგრამ სიმხნე ვერ შემატა. მან ზელი გაუშვა ფიალას, და იგი უხმაუროდ გაგორდა რბილ ხალიჩაზე.

ო, ეს ვარსკვლავები, უღიმღამო და უძრავ ღამეულ ცას რომ გაპკვიან! რისთვის გვიზიდავენ თავისკენ? ასე ხარბად რად სწადიათ ადამიანთა სულები? ან რა იღუმალაი ძალით ფაივლის ხოლმე სული ადამიანის სიკვდილის შემდეგ ესოდენ გრძელ გზას? იქ, სადღაც შორს, ვარსკვლავების მიღმა, ბინადრობს ყოვლად ძლიერი ღმერთი... რანი ვართ ჩვენ მის წინაშე?

მანიბანდჰმა თავი ჩაჰკიდა. ღვინომ დაუბინდა გონება. უცებ სიზღერა მოუნდა. სურდა სიზღერას შეევესო ირგვლივ გამეფებული სიცარიელე და მღუშარება, სურდა, რომ ეს სიზღერა ქცეულიყო შავ, სიგრილის მომტან ღრუბლად, რომელიც დაფარავდა მისი სულის ხორშაკ უდაბნოზე გაღმობურულ ზეცას. დაე, ამ ღრუბელმა უდაბნოს თავზე შეფური სიდინჯით დაუაროს ცეკვა, დაე, მან ცხოველმყოფელი ცვარი აკუროს მიწას, დაშრიტოს მისი უნაყოფო სიცხე...

და მას მოაგონდა ნილუფარი. ასეთსავე ვარსკვლავიან ღამეს დაიბადა მათი სიყვარული. სად არის ახლა მისი სატრფო? იგი ეგვიპტელის ოთახში შევიდა და წინანდებურად ჩამოჯდა მის საწოლზე. ისევ ძვე ეყარა სამკაულები ყუთის ირგვლივ. იგი ვაკვირდა. ნუთუ ყველანი ისე არიან შეშინებული, რომ ვერ გაბედეს ძვირფასეულობისათვის ეხლოთ ხელი?

---

\* მ ა ნ ი ბ ა ნ დ ჰ ი — ყელსაბამი, მძივებად ასხმული ძვირფასი თვლები (ძველანდ.).

მან თვალი მოავლო ოთახს. სად არის ნილუფარი? ვის უმღერის ახლა თავის სიმღერებს? სად არის წარმტაცი კვნესა სალამურისა, მის ფეხებზე შებმულ რგოლებს რომ აწკარუნებდა? არაფერია ქვეყნად ამ ღვთაებრივ მუსიკაზე უფრო მხიარული; ესაა უდიდესი ნიჭი დედამიწის ზურგზე. ფეხები თვითონ იწყებენ მოძრაობას, მთელ ტანს ათრთოლებს გულში ჩამწვდომი ნაზი ჰანგები. მაგრამ ვაჭრისაგან შეურაცხყოფილი ნილუფარი წავიდა. და აი, მოჰენჯო-დაროს ყველაზე ამაყი და ქედმაღალი ადამიანი მარულიად მარტოა. სად არის იგი, ვისი პატიოსნებაც ვერ დაიცვა მანიბანდჰმა?

ღრუბლებში დაფარეს ცა. მანიბანდჰი დაჭრილი ჯიქივით მიმოდინდა პალატში. მთელი ქალაქი დასცინის ვაჭარს! ადამიანებს სძულთ იგი, რადგან თავადაც უპატივეცემლოდ ეპყრობა მათ. ისინი ბედავენ აბუჩად აიგდონ ვაჭარი! მანიბანდჰის ღირსება თავისავე ავხორცობის დემონებისგანაა გათელილი და მიწასთან გასწორებული! მანიბანდჰს მოუნდა ხმამაღლა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაეყვირა, რომ ეს ყველაფერი სიცრუეა!

მან აღამაღლა მონაქალი, ჟუყვარდა და თავს ევლებოდა მას, მაგრამ განა ამით თავი შეიბოროტა? განა მამაკაცი მოვალეა მხოლოდ ერთ ქალთან ჰქონდეს ცაემირი? არის კია ასეთი კანონი? თუკი რამდენიმე ქალის ყოლა საძრახისია, მაშ რატომღა აღიდებდნენ ძველი ხალხები ამ ჩვეულებას? არა, მანიბანდჰი ვერ გახდებდა ქალის მონა. იგი თავისუფალია.

ნილუფარი? განა მას ასეთი სიამაყე შეჰფერის? განა არ იცის, რომ მთიდან მოვარდნილ წყალს, რომელიც გამშაგებით მოარღვევს მიწას, წინ ცერაფერი აღუდგება? როგორ იფიქრა ნილუფარმა, რომ მანიბანდჰი, სწორედ ის მამაცი და სახელგანთქმული მანიბანდჰი, რომელიც ოკეანის ავისმომასწავებელ ზვევენასაც კი არ უფრთხოდა, ვიღაც სუსტი ქალის ზვევენას მთელ ქვეყანას ამჯობინებს და საკუთარ სურვილთა კოცონს დაშრეტს?!

ღამის სიბნელეში მანიბანდჰი ფეხაკრეფით გამოვიდა უკანა კიშკრიდან ქუჩაში. ღღეს დიდი ქალაქის წარჩინებულ მდიდართ შერთ მისი. ის გახლავთ დიდებული, რომლის აურაცხელ განძთა დანახვაზე თვით გულქვა ფარაონიც კი შეკრთა; ვისი მამაცური გარეგნობაც ვნებით აღანთებდა ქალაქ ქიშის სილამაზით განთქმულ ქალთა თვალებს; ვის წინაშეც მდაბლად ხრიდნენ თავს დევგმირი შუმერი მეომრები და წმიდა ადათ-წესთა მცოდნე ელამელნი; რომლის გემებსაც განცვიფრებით შესცქეროდნენ კრეტელნი, მცხოვრებნი ძალზე შორე-



ული მდიდარი კუნძულისა; ვისი დიდების წინაშეც ქედი მოიხარეს პანეთმა, კიკათმა, შანიუმ, კირათმა; რომლის სახელიც ექოსავით გაისმის მთებში; ვისი ნაკვალევიც პატიოსნებას ავიწყებს ქმრიან ქალებს. დღეს კი იგი შეშლილივით მიჰყვება ბნელ ქუჩებს და ინდის ნაპირისკენ შიშისკარის. ქვეითად მიდის ის, ვის ფერხთა ქვეშ მობნეულია ოქრო, ესი ერთი ხელის გაქნევაც კი მრავალი ადამიანის ბედს წყვეტს! დღეს იგი, შეშფოთებული და თავზარდაცემული მიეშურება დიდი მდინარისკენ.

...მანიბანდპი შეჩერდა. მორბილვით ტალღებს გადახედა. ასეთ ძალას ვერაფერი აღუდგება წინ! უბედურო, უსუსურო ადამიანო! რად სწირავ თავს სიამაყეს, ქედმაღლობას? მრისხანედ ღრიალებდნენ ტალღები ღამის მღუშარებაში. აბა სად ეცალათ მანიბანდპისათვის?

ყოველ წამში არის სიკვდილი, და ყოველ წამში არის სიცოცხლე. სიცოცხლე და სიკვდილი! სიკვდილი და სიცოცხლე! ყოველ წამში... სხვა არაფერი, სხვა არაფერი...

კი მაგრამ, მანიბანდპი?

ბატონი!

დამცინავი, ყოვლისდამთრგუნველი ღრიალი დიდი მდინარისა...

ყველას ერთი ბოლო აქვს...

რაოდენი უღმობელი და დამანგრეველი ძალაა ამ მდინარეში! რაოდენი სისხლი მოჰყვება მას! კი მაგრამ, ადამიანი? ადამიანიც დიდია, თუკი მისი დიდება სისხლითაა ნაწერი. მანიბანდპს მძვინვარება დაეფულა.

— სისხლი! — წამოიძახა სიბნელეში. — ადამიანის სისხლი! დიდება! სისხლით ნაწერი დიდება!

უეცრად გაისმა გრუხუნის. აგუგუნდა მიწა. ავისმომასწავებლად აყმუვლდა ქარი: „არა, არასოდეს!“ ელვამ და ქუხილმა შესძახეს: „ჩვენ გავაცამტვერებთ შენს სიამაყეს!“ გაკვირებული, შეშინებული მანიბანდპი ძრწოლვით შეჰყურებდა პირდაფრენილ ზეცას. „დაილუპება! ყველაფერი დაილუპება!“ — მოასწავებდა გრგვინვა მებისა.

გულისწამლებად აღმუვლდა ქარიშხალი. ახლა იგი ჯოჯობეთურ ცეკვას დაუვლის... დაიმაღლე! დაემაღლე ზეცას, რომლიდანაც იმზირებიან მკვდართა სულელები!.. შეშინებული მთვარე ღრუბლებს ამოეფარა. მისმა სხივებმა განწირულის კივილით დაისრეს ინდის ტალღები; ტალღები ტკივილისაგან ყალყზე შედგნენ და შეჰყვირეს: „თავს უშველე!“

მანიბანდპი მდინარის პირას ქვიშაზე დაეშვა. „რა არის ეს?“ — ფიქრობდა შეძრწუნებული. მიწის საშინელმა გუგუნმა სამყაროს და-

სალიერს მიადწია, ცის კაბადონი დაფლითა და ახლა ზეცისაკენ მის-  
წრაფვის, რომ ორთაბრძოლაში გამოიწვიოს დიდებული ღმერთი. მაგ-  
რამ არა! მიწის ქალღმერთის, მაჰამაის მთელი ძალა ბალახის ღეროსა-  
ვით გატყდება დიდი ღმერთის ძლიერებასთან შედარებით, და ციური  
მბრძანებელი სიცილს დააყრის სამყაროს ამ თვალბედით წყვედიადში!..

მანიბანდპი ძლივძლივობით წამოდგა და გაემართა. ნაპირზე ქვიშის  
ღრუბლები მიჰქროდნენ. ქარი ინდისკენ ერეკებოდა მათ. ტალღები  
მრისხანედ ღრიალებდნენ და მტვერს იგერიებდნენ. სუნთქვა გაჭირდა.  
ახლა მანიბანდპი ერთსლა ფიქრობდა — რაც შეიძლება ჩქარა გას-  
ცლოდა აქაურობას. მაგრამ ქარი ისე მძლავრად უბერავდა, რომ წამ-  
დაუწუმ აქცევდა. ხელები გაეშალა და გულმკერდი თავგანწირვით  
მიეშვირა ქარისათვის. ქვიშისა და მტვერის ღრუბლებში ჩაძირულიყო  
ყველაფერი.

მანიბანდპი თვალდახუჭული მიიწევდა წინ. წაიფორხილებდა,  
წაიქცეოდა, მაგრამ წამოდგებოდა და კვლავ მიდიოდა. ქარიშხალი  
ღრიალებდა, მიწა ზანზარებდა...

უცებ მანიბანდპს რაღაც რბილი მოხვდა გაშლილ ხელებში. იგი  
სწვდა მას, მაგრამ იმწამსვე დაჰკარგა წონასწორობა და თავის ნა-  
პოვნთან ერთად დაგორდა ფერდობზე. როცა გაჩერდა, გვერდით ადა-  
მიანი დაინახა.

ქარიშხალი ისევე უეცრად ჩადგა, როგორც ამოვარდა. მანიბანდპი  
მხრებში სწვდა უცნობს, შეანჯღრია, და, დადლილობისა და შიშისაგან  
სუნთქვაშეკრულმა, ჰკითხა:

— ცოცხალი ხარ?

პასუხი არ იყო.

მანიბანდპმა ძლივძლივობით წამოაყენა უსიციოცხლო სხეული და  
მისკენ დაიხარა.

— ვინა ხარ, მგზავრო? სად მიდიოდი? — ჩასძახოდა მანიბანდპი.

მაგრამ მგზავრი დუმდა. მანიბანდპი დაეინებით ჩასცქეროდა სახე-  
ში უცნობს. წამით ღრუბლებიდან გამოვიდა მთვარე. მანიბანდპმა  
საზარლად შეჰყვირა — მის წინაშე იყო ვენი!

გამთენიის ხანს გუბურებში თვალს ახელდნენ ლოტოსები. ვენი ნელ-ნელა მიჰყვებოდა ბაღის ბილიკს. სურნელებით გაჟღერებულ დილას სიმშვიდე მოჰქონდა. წუხანდელი დაღლილობა ჯერ კიდევ ჩაბუდებული ჰქონდა სხეულში, მაგრამ ყოველ ფეხის გადადგმაზე ტოვებდა მას. რა საშინელი ქარიშხალი იყო! მანიბანდპი რომ არ წასწყდომოდა ნაპირზე, ის ღამე უკანასკნელი შეიძლება ყოფილიყო ვენისთვის. სამუდამოდ ჩარჩებოდა წყლისპირა ქვიშაში...

უკნიდან ფრთხილი ფეხისხმა მოესმა. მანიბანდპი იყო.

— შესანიშნავი დილაა, დიდებულო, — უბრალოდ თქვა ვენიმ, გეგონება კარგა ხანია, რაც დინჯად საუბრობენო. — რა მშვენიერია ბუნების გამოღვიძება!

აღტაცებით და ალერსიანად უმზერდა ვაჭარი მოცეკვავეს! მაგრამ მის თვალებში ვერ ჰპოვა საპასუხო გრძნობა. მაშინ იგი შეეკითხა:

— ცუდად გეძინათ, ქალბატონო?

მის ხმაში ვენიმ შეიგრძნო უდიდესი ზრუნვა, სატრფოს ბედობლით გამოწვეული შიში, და სიამაყემ აათრთოლა. მან კეკლუცი მოძრაობით ამოიღო თავქვეშ ხელი, ოდნავ გაიზმორა და ეშმაკური მზერა შეავლო მანიბანდპს.

— ძილი არ მომეკარა, დიდებულო! მეტხანს ვეღარ შევძელი ლოგინში წოლა.

მანიბანდპს გაელიმა. ისინი გვერდიგვერდ ჩამოსხდნენ გლუვ ქვის სკამზე.

— ქალბატონო! — დარბაისლურად წარმოთქვა უცებ მანიბანდპმა. — ღამით ძალიან ცუდად იყავით, და მე არ მინდოდა შეკითხვებით დამეტანჯეთ.

მოცეკვავე მიუხვდა გადაკრულ სიტყვას.

— დიდებულო! გუშინ ქალაქის ყველაზე პატივცემულ ადამიანს მონასავით ხელში აყვანილი მოგყავდი. ამის გახსენებაზე სირცხვილით ვერ ამიწევია თვალები.

ღაბნეულობისა და მადლიერების ღიმილმა გაუცისკროვნა სახე ვენის.

— ის კაცი ქვეშაბრიტად თქვენი მონაა, ქალბატონო! — მიუგო ვა-

ჭარმა. — გთხოვთ უმართებულოდ ნუ მოექცევით და სხვა სახელით ნუ მონათლავთ.

ორივენი ღუმდნენ. გულის გამაწვრილებლად ვიღოდა ღრო. ბოლოს ვენიმ ამოთქვა:

— მიმძიმს, დიდებულო, იმის მოყოლა, რაც ამ ორი ღრის ცანმავლობაში თავს გადაშხდა. მაგონდება ყოველივე და გული შიშისაგან მიკანკალებს! რა ისუსტულე ჩავიდინე მე დამავიწყდა ყველაფერი — ადამი, რწმენა, ღირსება, საკუთარი სახელი... ვერ მივმხვდარვარ, რა დამემართა!

— შზად ვარ გისმინოთ! — მოუთმენლად უთხრა მანიბანდჰმა.

— როცა მდინარის პირას გავედი, — დაიწყო ვენიმ ამბის თხრობა, — მთვარე კაშკაშებდა. გული გაშმაგებით შიცემდა. მეჩვენებოდა, თითქოს აგერ-აგერ სულმდაბლური, საზიზღარი საქციელი უნდა ჩამედინა. სინდისი იქენჯნიდა. მაგრამ სიცოცხლე ხომ ხანმოკლეა, ვირწმუნებდი თავს, გაბედავს კია ვინმე, ბედნიერებაზე ხელი აიღოს და თავი დაილუპოს?! ირგვლივ სიჩუმე იყო. თითქოს თვით ქარი მეალერსებოდა და ჩამჩურჩულებდა: „ღღეს შენ არ უნდა დაივიწყო საკუთარი თავი!“ ვგონებ, დამიჯერებთ, დიდებულო! მე თქვენ არაფერს დაგიმაღავთ. სიმართლეს მხოლოდ იმას არ უშხელენ, ვისაც არ ენდობიან. და განა შემიძლია არ მჯეროდეს თქვენი იმის შემდეგ, რაც თავს გაღამხდა?!

მანიბანდჰი ღუმილით კუსმენდა.

— მახსოვს, მეეტლემ რომ მითხრა: „ქალბატონო, მოვედით!“ მე დათქმული ადგილსაკენ გავემართე. ვილიბპითური უკვე მელოდა. ის არ შეცვლილა, დიდებულო! ისევ ის ბავშვური ღიმილი შევნიშნე ტუჩებზე. სწორედ იმ ღიმილით დამამარცხა! მთელი ჩემი სიმტკიცე სადღაც გაქრა. და შე ვიფიქრე: „განა ყაცს, რომელსაც ასეთი კეთილი ღიმილი დასთამაშებს ბაგეებზე, შეუძლია დამლუპოს? განა მან თქვა უარი ჩემთან შეხვედრაზე? იმ გულსათუთმა ვილიბპითურმა, რომელიც შზად იყო ყველაფერი შემოეწირა ჩემთვის?“ ჰოი, დიდებულო!..

მანიბანდჰი გამომცდელად ათვალეერებდა მოცეკვავის სახეს.

— მერე? რა მოხდა მერე, ქალბატონო?

— ნუ გამკიცხავთ, დიდებულო! დაბრკოლება მით უფრო საშიშია, როცა იგი მაცდუნებლად რბილია და მიმზიდველი... აღამიანი ველარ განასხვავებს კეთილსა და ბოროტს, და უმძიმს გადაწყვიტოს, რა ქნას. მისი სიტყვები მუდარით იყო აღსავსე. იგი მეფიცებოდა, რომ უწინდებურად ვუყვარავარ, და მთხოვდა, დამიბრუნდიო... ეს იყო საშინელი

წამი, და შეიძლებოდა ძალიან იოლად დავდგომოდი ცდომილების გზას... მაგრამ გამახსენდა თქვენი სიტყვები, დიდებულო, და სიფრთხილე დაშიბრუნდა. ყოველივე ეს სიცრუე იყო, მე ვიცი!.. იგი თვითონ ვერ მოვიდოდა, თქვენ რომ არ დაგეყოლიებინათ... მას უნდოდა მოვეკალი და ინდში გადავეგდე, რათა სამუდამოდ მოვეშორებინე თავიდან!.. — ვენი აღელვებისაგან სულს ძლივს ითქვამდა. — მე ვუსმენდი და ვღუმიდი. ხომ იცით, დიდებულო, ქალის ღუმილი მის ლაყობაზე უფრო სახიფათოა... მე მოვემზადე, რათა ერთის დაკვრით მომეღობოლო მისთვის, და მთელი სიმამაცე მოვიკრიბე... მაგრამ პოეტმა სიფრთხილე გამოიჩინა და ერთბაშად არ გამოეშურა ჩემკენ. იძულებული გავეხდი მთელი ჩემი მომხიბვლელობისათვის მიმემართა, და ვუთხარი: „რად მეპყრობი ასე შკაცრად, ვილიბჰითურ? რატომ ჰკლავ, უღმობელო, სიძულვილის შხამით? ნუთუ აღარ გაღელვებს ჩემი ძახილი?“

მინდოდა მომეკლა ეს ადამიანისსახოვანი მგელი. მე ვიცოდი, რომ, თუ ცოცხალს გავეშვებდი, ასო-ასო ამქნიდა და ჩემი სისხლით მოიკლავდა წყურვილს. იგი მომიახლოვდა... მე სარტყელში გარკობილ ხანჯალზე ვავიკარ ხელი, მაგრამ უეცრად პოეტმა უკან დაიხია, და სწორედ ამ დროს მე დავინახე ნილუფარი...

— ნილუფარი?! — წამოიძახა ცვიფრებულმა მანიბანდჰმა.

— დიახ, დიდებულო, ის გახლდათ! — ვენიმ მთელი თავისი გამომეტყველებით გამოხატა ეგვიპტელი მონისადმი უდიდესი ზიზღი. — გაკვირვებისაგან დავმუნჯდი. ნილუფარმა გამარჯვებულის იერით გაიციინა. „დიდება შენდა, მოცეკვავე ქალო! აი, რით ხვდები სატრფოს!“ — შესძახა მან.

— სატრფოს! — აღმოხდა მანიბანდჰს.

— მეტის მოსმენა ველარ შევძელი... ხანჯალი ვიძრე და მალლა შევემართე, მაგრამ თურმე ისიც მზად იყო. მის ხელშიც იელვა ხანჯალმა! რა სულმდაბლობაა, დიდებულო! განა იგი თვითონ მოვიდოდა? პოეტის გარდა, აბა, ვინ დაუძახებდა მას? ამ შეხვედრის ამბავი ხომ კაცმა სულიერმა არ იცოდა!

— მოიცათ, ქალბატონო! — სიტყვა შეაწყვეტინა მანიბანდჰმა და ხელში სწვდა. — ოთახში შევიდეთ. აქ ამგვარი ლაპარაკის ადგილი არ არის.

ისინი სასახლისაკენ გაემართნენ. ვაჭარმა ვენი სპილოს ძვლის სავარძელზე დასვა, რომელიც გველეშაპს მოჰგავდა, და ჰკითხა:

— შემდეგ რა მოხდა, მშვენიერო?

— მე უკან დავიხიე. ნილუფარი ხანჯალშემართული მოიწვედა ჩემკენ. ვილიბპითური კი ღუმლით მიცქეროდა და იღიმებოდა... გულზე ცეცხლი მომედო!

უკან-უკან სვლით ჭავვემართე, დიდი ქვისაკენ. უეცრად იქიდან ვი-  
ლაცა გამოხტა, მომვარდა და ხანჯალი გამაგდებინა.

— მაშ იქ კიდევ იყო ვიღაც? — შეეკითხა შემკრთალი მანიბანდპი.  
ვენიმ ყური არ ათხოვა და განაგრძო:

— და შაშინ, დიდებულო... ნილუფარმა თქვა...

— რა თქვა, მშვენიერო?

მანიბანდპმა წარბი შეხარა.

— მან... მე არასოდეს დამავიწყდება ეს... მან თქვა, რომ მე ჩემი  
სხეული ოქროში გავცვალე... რომ მე ქალი კი არა, ზის თოჯინა ვარ...  
თქვენ კი... მან თქვა, რომ თქვენ საზიზლარი ქოთაკი ხართ...

— მოცეკვავევ! — შესძახა მანიბანდპმა და მისი ზმა ქუხილივით  
მოედო მთელ სასახლეს.

— დიდებულო! — განაგრძო ვენიმ. — სახეზე ბოროტი სიხარული  
უთამაშებდა. იგი ყვიროდა, ეს ქარიშხალიც და ეს მთვარეც ავს მოას-  
წავებსო... ისინი იმითომ მოველინენ ხალხს, რომ დიდებულს სურს.  
სისხლიან ხელში ჩაიგდოს მთელი ქვეყნიერებაო...

მანიბანდპი ქვად იქცა. სახეზე შრისხანება აღებეჭდა. თვალები  
დააჭყიტა. ეტყობა, რაღაც შორეულსა და საშინელზე ფიქრობდა.

— მიგზედი, რომ ახლა კი ველარ დავამარცხებდი მას... და როცა  
სიყვარულზე დაიწყეს ლაპარაკი...

— ვინ? ვისზე ამბობ? — მკაცრად ჰკითხა ვაჭარმა.

— ნილუფარსა და ვილიბპითურზე, დიდებულო.

მანიბანდპი ბრაზით აკანკალდა. იმ მონაქალმა შურისგება გაუ-  
ბელა?

— მერე?

მანიბანდპი სავარძელზე დაეშვა. ვენიმ ამოიოხრა, თითქოს თავისი  
ამბის ახალი გვერდი გადაფურცლავო.

— მერე კი... თავქუდმოგლეჯილი გამოვიქეცი. მხოლოდ კარგა  
მანძილის გავლის შემდეგ მოვედი გონს და წემრცხვა. მეეტლეს ვუბ-  
რძანე. გაჩერდი-მეთქი...

— რა ჰქვია იმ მეეტლეს? — ჰკითხა მანიბანდპმა.

— არ ვიცი. არაფერი არ მიკითხავს იმისთვის. დიდი ხანი გავიდა,  
სანამ ამას გადავწყვეტდი... თვითონვე მივუთითე მეეტლეს, საით წა-  
სულიყო. ხანჯალი გამოვართვი და ქამარში გავირჩე... მხოლოდ ერთი

რამ მიტრიალებდა თავში — შურისგება! უნდა მეზღვევინებინა პოეტისათვის! ის ალბათ სახლში დაბრუნდა! შესაძლოა, ნილუფართან ერთად. მე ჩემ ასე ვუთხარი, დიდებულო: მომღერალო! თავზე სიკვდილის აჩრდილი დაგფარფატებს-მეთქი! ჩვენ შივადექით პოეტის სახლს, და მე უკან გამოვისტუმრე მეეტლე, 'რათა ხელი არ წეეშალა ჩემთვის. რად მინდოდა ზედმეტი მოწმე?

ეტლი სასახლისაკენ გამოქანდა. მე ფეხაკრეფით მივედი კართან. დაკეტილი დამხვდა. შიგნით ბნელოდა. დავაყურე — ჩამიჩუმი არ ისმოდა... ეტყობა, ჯერ არ დაბრუნებულყო. მაშინ გადავწყვიტე სიბნელეში შედარილა ამ არაშადისათვის და, როგორც კი გამოჩნდებოდა, თავს დავსხმოდი. მე სახლის ახლო ჩავსაფრდი...

მანიბანდჰი წამოდგა. ყოველი კაცი შეძრწუნდებოდა მის დანახვაზე. სახე წამოუჭარხლდა. რისხვისა და შეურაცხყოფისაგან ბოლმა ახრჩობდა.

— მერე რა მოხდა?

ვენის აღარ შეეძლო თხრობის გაგრძელება. გეგონებოდა, ეს-ეს არის მიეხდებოა გონი. მანიბანდჰმა ხელები მხრებზე დაადო და კვლავ ჰკითხა:

— რა მოხდა მერე?

ვენიმ თვალი ვერ გაუღწოდა ვაჭარს და წყნარად უპასუხა:

— იმ დამეს პოეტი არ მოსულა...

მანიბანდჰმა ხელები ძირს დაუშვა. მალე იგი დამშვიდდა. ის ახლა ჰგავდა მებადურს, რომელმაც წყლიდან თევზის მთავიერად წყალმცენარეების ბლუჯა ამოათრია და გაოგნებული ათვალეიერებს ზღვის ამ დამცინავ ძღვენს.

— დიდებულო! — განაგრძო ვენიმ. — ყველანი ჩემს სამკაულებს შემოსცქეროდნენ... ხალხს ვერ გაეგო, რატომ დაეხეტებოდა ესოდენ წარჩინებული ქალბატონი ქუჩაში მარტოდმარტო. მაშინ მე ყველა სამკაული მოვიხსენი, ერთად შევყარი, მერე კი...

— რა მერე? — შეეკითხა მანიბანდჰი და ისევ სავარძელზე დაჯდა.

— ეს სამკაულები... წყალში გადავისროლე.

— მერე რა უშავს?! — გაკვირვებით უთხრა ვაჭარმა და აგრძობინა, რომ ეს მეტად უმნიშვნელო რამ იყო მისთვის.

— დიდებულო! — შვებით წამოიძახა ვენიმ. — თქვენ დიდი აღმიანი ხართ!... დიდხანს დავეხეტებოდი ქალაქში... — განაგრძო ქალმა. — მოსალამოვდა, დაღამდა, მე კი ვერსად წავაწყდი პოეტს. მეორედღეს ისევ დავდიოდი ქუჩებში. შიშშილი მკლავდა, მაგრამ ერთი გახ-

ვრეტილი სპილენძის ფულიც კი არ შემომჩრა ხელთ. სულ მთლად დაკარგე იმედი. ვიფიქრე, ალბათ პოეტი და წილუფარი ერთად გაიქცნენ საღმე და ქალაქში ამაოდ დავეძებ-მეთქი. თქვენთან დაბრუნება ვერ გავბედე — შე ხომ სამკაულები აღარ მქონდა! ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვეწამე, დიდებულო! ჰოდა, სწორედ მაშინ მივაპურე ინდს, რათა ტალღებში გადავეარდნილიყავ...

— ქალბატონო! — აღმოხდა მანიბანდჰს.

— საღამო ხანს გზად ხალხი შევნიშნე; ასკეტის ირგვლივ მოეყარათ თავი. შესახედლობით ასკეტი შანიუს მკვიდრს ჰგავდა. ასკეტი გაპყვიროდა, სიცოცხლეში ყველაზე დიდი ბედნიერება საკუთარი სულის გვემა არისო... ეს ისე იცისაგები იყო ჩემთვის... ბრბოს შევერიე. მე ხომ მარტობით ვიყავი გატანჯული.

და უცებ ღმერთმა წყალობა მოიღო ჩემდა... მე დავინახე იგი! ჩემ წინ ვილიბპითური იღვა!

როგორც იქნა მივედი მასთან და მხარზე ხელი შევახე. რომ დამინახა, შეკრთა და მკითხა: „სად იყავი?“ — „თქვენ ხომ ჩემი მოკვლა გინდოდათ?“ — პასუხის ნაცვლად ვუთხარი მე. მან ისე მომაჩვენა თავი, თითქოს, გაკვირდაო. ახლა კარგად მესმის ეს თვალთშაქცობა, ეს ხრიკები! შე შევთავაზე, გავმორდეთ ამ ხალხს-მეთქი.

როცა გვერდზე გავედით, მითხრა: „აბა, თქვი, ქალბატონო!“ — „წმიშარავ! — პირში მივახალე მე. — რად დაუძახე იმ ეგვიპტელს? ნუთუ შენ დაუჯერე მას? შენ, მამაკაცმა, იფიქრე, რომ ქალს შეეძლო როეკალი, შე მშიშარავ?“ — „მე ვარ მშიშარა? — განცვიფრდა იგი. — მე შევშინდი? ცილიბპითური ვენის შეუშინდა?“ ის თვალმოუშორებელი მიცქეროდა. „მე მინდა კიდევ ერთხელ შივიდე იქ. წამომყევი!“ — შემომთავაზა უცებ. და ჩვენ მივედით სწორედ იმ ადგილას, სადაც ღამით შეურაცხყო იმ საზიზღარმა შონამ. მაშინ იმ ქალმა მიყვირა: „უპ, შე დედალო ტურავ! ნუთუ იგონია, რომ შენი სულმდაბლობის წყალობით ძუ ლომად გადაიქცევი?“ ჰოი, დიდებულო! აღშფოთებისაგან სისხლი ამიფორიაქდა ძარღვებში...

ნაპირიდან მოჩანდა, როგორ ქრებოდა ქალაქში სინათლეები. „ვილიბპითური! — ვუთხარი მე. — შენ არ იცი, რომ იმ ღამიდან ყველგან დაგეძებ. შენ კი არ გიფიქრია ჩემზე!“ მე მინდოდა ტუჩებით დავკონებოდი, ვნება აღმეძრა შის იგულში და მაშინ ხანჯლით გამომეფატრა მისთვის მუცელი, ისევე როგორც კობრა ჩაასობს ხოლმე მსხვერპლს თავის მომაკვდინებელ ნესტარს! და ეს სულმდაბალი ადამიანი სისხლიან დორბლს ამოანთხევდა და ძირს დაეცემოდა...



მაგრამ ის უკვე აღარ მენდობოდა. მხოლოდღა გაიცინა და მიიხრა: „ვენი! ჩემი ცხოვრების ოცნებანი ნამსხვრევებად არიან ქვეულნი! წადი! წადი იქ, სადაც უნდა იყო. მე შენ არ ვაკაავებ. ვილიბჰითურს არ შეშვენის წინ აღუდგეს სხვის ტრფობას, მაგრამ ის ვერ აიტანა, რომ ვინმემ ყვავილად მოაჩვენოს თავი და ეკლად კი გაეგოს გზაზე. არ გეგონოს მარტო ვიყო. ჩემს სულში ცოცხლობს სახება, რომელსაც მზრუნველობით ვინახავ“.

მე კიდევ უფრო შემძულდა იგი. მის გულში ჩემს ნაცვლად უკვე იმ უბადრუკ მონას დაედო ბინა! ასე ჩქარა დამივიწყა! შე მინდოდა ნაკუწ-ნაკუწ მექცია მისი უმადური გული! იგი საოცრად მშვიდი იყო. არაფრის შიში არ ჰქონდა. კლდესავით მტკიცე ჩანდა. და უცებ ულონოდ მეჩვენა ჩემი თავი და უკან დავიხიე.

ვილიბჰითურს გაეცინა. „რა, დღეს ხანჯლის წამოღება დავავიწყდა?“ — მკითხა მან. „ვილიბჰითურ! აჰა, გამომართვი! — მე მას ხანჯალი გავუწოდე. — გამომართვი, დაე, ნულარ იქნება ჩვენს შორის უნდობლობა. თუკი შენი მოკვლა მოვიწოდებ, სხვა გზას ვერ გამოვინახავ?!“

ისევ გაეცინა. „მე არ მითქვამს, რომ შენ ჩემს მოსაკლავად მოხვედი! მხოლოდ ის გკითხე, ხანჯალი ხომ არ დაგრჩამეთქი. ასეთი ძვირფასი სამკაულების მატარებელს რომ ქამარში ხანჯალი არ ჰქონდეს გარკობილი, ვერ არის მაინცდამაინც გონივრული... მაგრამ სად არის შენი სამკაულები?“ — „მე მოვკლავ შენს სატრფოს, ვილიბჰითურ!“ — შეეძახე ბრაზით აღესილმა. „მაგრამ ის ხომ შენზე იბევრად უფრო ღონიერია. ამაში უნდა დარწმუნებულიყავი. ჯობს მანიბანდთან მიხვიდე, დაე, მან დააცხროს შენი გზნება! თქვენ სიმდიდრის მონები ხართ. ნილუფარი ცაში მოკაფე გარსკვლაეია! შენ კი არა, მას ეკუთვნის ჩემი სიმღერები. შენ სიკვდილის საზარელი აჩრდილი ხარ. ნილუფარი სინათლეა ცხოვრების. ის გაიმარჯვებს თქვენზე. მას ვერაფერს გადაულობავს გზას. თქვენ, ყველანი მათხოვრები ხართ მის წინაშე. თქვენ გსურთ ცოდვებში ჩაახშოთ ადამიანთა სულები, რათა შემდეგ თქვენს სასახლეებში ღზენა-სიამეს მიეცეთ! თქვენ ისწრაფვით მთელი სამყარო დაიმორჩილოთ. მაგრამ ეს არ მოხდება! ნილუფარი წმიდაა სულით და დანაშაულის ჩადენით არ შეირცხვენს თავს. მის გულში ცოცხლობს ადამიანური ტკივილი, მისი სული ეხმიანება ტანჯვას“. აქ კი შევაწყვეტინე სიტყვა: „ვილიბჰითურ! გონს მოდი! მზემ რომ სამუდამოდ პირი იბრუნოს და დედამიწაზე წყვდიადი გამეფდეს, ხევზუებს რომ გამოძახილი აღარასოდეს მოედოს, ქარმა რომ მთები ზეცად-

ატყორცნოს, დიაცებმა რომ ბავშვთა მაგივრად ქვები შობონ, დიდი ინდი რომ უკუიქცეს და ღრიალით მიაწყდეს მთებს, ეს აყვავებული ხეობა რომ უნაყოფო უდაბნოდ იქცეს და სწრაფ კარსარავინში წყლის მაგივრად სისხლმა იწყოს ჩქეფა, — მაშინაც კი შონა მონად დარჩება“.

მან ავისმომასწავებლად გაიციინა... მე შემეშინდა. ზეცას შეეხედე და იქ დავიხანხე... ნილუფარი! იგი ხარხარებდა! ინდის ტალღები შემომძახოდნენ: „ნილუფარი უძლეველია. ის ადამიანია, ის ადამიანია, მას ადამიანის გული უცემს მკერდში! იგი ჩვენზე უფრო ძლიერიც კია!“

ლაშდებოდა, და მხოლოდ შორეული ცისკიდური იყო განათებული. მალე ისიც დაფარეს ღრუბლებმა. ჩამოწოლილი სიბნელე ჩემი მომავალი იყო. არც ერთი სხივი აღარ კრთებოდა წყვილიაღში. კიდევ უფრო შრისხანებდა ღრუბლებში ნილუფარის სახება. პოეტმა თქვა, რომ იგი ვარსკვლავია, ზეცაში მოკიაფე. ჰოი, დიდებულო! წინათ არავისზე უთქვამს ეს...

მე მეჩვენებოდა, რომ ნილუფარი ჩემსკენ ეშვებოდა და ხელში, ისევე როგორც იმ დღეს, ხანჯალი უელავდა... მე მინდოდა დამესწრო მისთვის... მაგრამ, ის იყო ხანჯალი შევემართე, რომ მიწის ქვეშ გუგუნნი გაიშა. ჰოი, დიდებულო! რამ განარისხა მიწა? ნუთუ რაიმე მძიმე ცოდვა ჩავიდინე?

ვილიბპითურმა ყვლავ უცნაურად გაიციინა. გამოკრთა ელვა, ამოვარდა სასტიკი ქარიშხალი. მე ხანჯალი ხელიდან გამივარდა. პოეტმა აიღო. „მამ ცინ არის ჩვენს შორის მშინშარა? — წიშნის მოგებით მკითხა მან. — გესმის, როგორ გუგუნებს მიწა? ღრუბლებმა დაფარეს მთვარე. დიდი მდინარე მძვინვარებს. თვით ბუნებაც კი აღდგა ამ დანაშაულის წინააღმდეგ. მაგრამ შენ ნუ შეეგეშინდებ, ჰქენ შენი შავბნელი საქმე, თორემ მანიბანდჰს წყურვილი დაახრჩობს! მას ადამიანის სისხლი სწყურია!“

ველარ შეცქელ მესმინა მისთვის, დიდებულო! გავიქეცო. მაგრამ შიმშილმა ძალ-ღონე გამომაცალა და ფეხს ძლივს მივითრევედი. უკუნი წყვილიდი ჩამოწვა. ირგვლივ ვერაფერს ვაარჩევდით. აქაფებული ინდი ღრიალებდა... ქარიშხალმა სირს დამცა. მე მომეჩვენა, განრისხებული ბუნება შთანთქავს და ამ ქვეყანას ველარასოდეს დავუბრუნდები-მეთქი... ვიხმობდით თქვენ, ვახსენებდი დიდებული მაჰამაის სახელს... შიშისა და დაღლილობისაგან გონება დავკარგე...

როცა გოშს მოვედი, ჩემ გვერდით თქვენ იყავით. კვლავ შიში მიპყრობს, დიდებულო! ნუთუ მე დამნაშავე ვარ?

— ნუ ლელავ, მშვენიერო, — უთხრა მანიბანდჰმა, — შენ ჭეშმარიტად უმანკო, უწყინარი არსება ხარ. რა მოუვიდა პოეტს?

— არ ვიცი!

— ქალბატონო! უნდა დაისვენო! — უთხრა მანიბანდჰმა და სავარძლიდან წამოდგა.

იგი მებობელ ოთახში გავიდა და შესძახა:

— მონაქალო!

მონაქალი კარებში გამოჩნდა.

— რას მიზრძანებ, დიდო ბატონო?

— იცი, სად არის ნილუფარი?

— ვანა მე ძალშია ამის ცოდნა, ბატონო?

— მონაქალო! — დაიღრიალა მანიბანდჰმა. პასუხი უკმები ეჩვენა მას. მონაქალი აკანკალდა. — აპაპი მომგვარე!

მონაქალი კისრისტეხით გავარდა ოთახიდან. მალე იგი აპაპთან ერთად დაბრუნდა. მანიბანდჰი სავარძელზე ჩამოჯდა და განზრახ უხეშად შეეკითხა:

— აპაპ! სად არის ნილუფარი?

— ნეტავ ვიცოდე, დიდებულო!

აპაპმა ძალ-ღონე მოიკრიბა. ერთი მცდარი სიტყვა — და სიცოცხლეს გამოეშალმება... მაგრამ იგი მართალს ვერაფერს იტყვის ნილუფარზე! ბატონი ტყავს გააძრობს და არც ჰქვას წაუვა კარგად საქმე...

— დაგავიწყდა, ბატონს რომ ელაპარაკები? — ბრაზით ჰკითხა მანიბანდჰმა და თან ზანგის ნაჭრილობეც ტანს შეავლო თვალი.

— დიდო ბატონო! ვანა შე გავებდავ ჩემი არარაობა თქვენს დიდებულებას გავუტოლო?

მანიბანდჰმა პირი იბრუნა.

— გასწი! თუ ნილუფარისა გაიგო რამე, იშწამსვე მაცნობე!

მონაქალმა ყური მოჰკრა მათ ნალაპარაკებს, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, ვითომც არაფერი გაუგონია. როგორც კი მანიბანდჰმა ანიშნა წასულიყო, იგი თავქუდმოდგლეჯილი გაიქცა. ერთი სული ჰქონდა ვინმესთვის გაეზიარებინა ეს უჩვეულო ამბავი, — ქალებში ხომ დახელოვნებულნი არიან ავი ხმების გავრცელებაში.

მონაქალი ეზოში გავარდა და მსახურთ ყველაფერი უამბო. ისინი განცვიფრდნენ. უკვე ორი დღეა ვარაუდთა რთულ ქსელს ქსოვდნენ და ცდილობდნენ მიმზვდარჩევნენ, რატომ არ გამოჩენილა ნილუფარი.

ახლა ყოველგვარი ვარაუდი გაიფანტა, ისევე როგორც სიბნელეს ფანტავს მზის სხივები. ახლა სხვა რამე შეექნათ გასარკვევი: სად გაქრა ქალბატონი?

... — მერე რა იქნება, ნილუფარ? ერთიც ვნახოთ და ვაპარმა გაიგო, რომ შენ აქა ხარ? — შიშით შეეკითხა ჰეკა.

პასუხის ნაცვლად ნილუფარი კიდევ უფრო შეიშალა ჩალაში. ჰეკა ერთხანს დუმდა, მერე კი უცებ... სიბლერა წამოიწყო. კარი განგებ დაეტოვებინა შოღებულთ, რათა რაიმე ეჭვი არ გამოეწვია. შემოვიდა პირმოღუშული აპაპი. იგი მანიხანდჰთან საუბრის ამბავს მოუყვა ჰეკას. სიფრთხილის გამო ორივენი ეზოში გამოვიდნენ.

ქორიკანა მონაქალი გაუთავებლივ იმეორებდა ქალბატონის გაქრობის ამბავს.

— ეჰეი, გუგულო! — შეუძახა ჰეკამ. — როგორც ვატყობ. მანამ არ დამშვიდდები, სანამ მთელ ქვეყანას არ მოსდებ, რომ გაზაფხული დადგა!

მაგრამ ახალი ამბავი მართლაც რომ იზიდავდა ხალხს. ისინი, ვისაც სამუშაო მოეთავებინა, წრიულად ჩამომსხდარიყვნენ, რათა ყველაფერი თანმიმდევრობით განესაჯათ. აპაპი და ჰეკაც შეუერთდნენ მათ.

— ჰეკა, შენ ხომ ნილუფარის მსახური იყავი, — მიმართა ერთერთმა მონამ. — შემიძლია დავიფიცო, რომ შენ იცი, სად არის იგი!

მონის ერთადერთი თვალი დაკვირვებით ჩაჰკირკიტებდა ქალიშვილის სახეს. ოდესღაც ამ მონას ყოფილი ბატონი განურისხდა და თითისტარი ატაკა თვალში.

— ოზირისის სახელს ვფიცავ! — შესძახა ჰეკამ. — ქალბატონისა არაფერი ვიცი! ალბათ მთელ დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება ისეთი სულელი ქალი, როგორიც ნილუფარია. აბა იმას აქ რა უნდოდა?.. ყველანი დაეთანხმნენ.

— დიდებული სხვა ლამაზმანს გამოძებნის ვისმე, იმან იკითხოს თორემ... — თქვა რომელიღაც მონამ. — უბედური! ყველაფერი მიატოვა და გაიქცა. ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით ვერ იპოვი ისეთ მდიდარ კაცს, როგორიც ჩვენი ბატონია!

და კვლავ ყველანი დაეთანხმნენ. განა არის ქვეყნად მათ ბატონზე მდიდარი კაცი!

ასე ილაპარაკეს, სანამ საღამომ არ მოატანა.

ჰეკა სენაკში დაბრუნდა.

— ნილუფარ! — უთხრა მან. — ყველგან გეძებენ. ნუ გამიბრაზდები, მაგრამ გიჩვენია სადმე წახვიდე დროებით...

თახ ეუბნებოდა, თან ეშინოდა, ვაითუ ნილუფარს ვაწყენინო. ეგვიპტელი კი იშვიდდა და ალერსიანად შესცქეროდა მონაქალს.

— სულ რომ არ დავბრუნდე? — წყნარად უთხრა მან.

— ჰეკა მაგას ვერ დაიჯერებს!

ბინდუნდში სასახლის მთავარი ქიშკრიდან გამოვიდა შუატანის მოხდენილი კაბუკი. ეს იყო ნილუფარი. უბრალო ტანისამოსი ეცვა, ისე როგორც იმ დანავსულ დღეს, მეზღვაურებს რომ გადაეყარა. მალე იგი უცნობ ხალხში მოხვდა და შვებით ამოისუნთქა. ახლა ვერავინ იპოვის. ყველაფერი მიაფიწყდა. დუქნების გასწვრივ მიდიოდა და ვაჟართა მიერ გამოფენილ საქონელს ათვალიერებდა. უცებ მან დაინახა, როგორ ჩაუარეს ეტლით მანიბანდჰმა და ვენიმ, მათ უკან კიდევ ბევრი ეტლი მიჰყვებოდათ. წინ მონები მიუძღოდნენ და გზას წმენდდნენ. ახლა სასახლეში ლხინი დაიწყება. იქნება ბრწყინვალე, ავბორცული ცეკვები, აქედრდება სიმღერები. აბა სად ეცლებათ გამომთვრალ მანიბანდჰსა და მის სტუმრებს იმისათვის, რომ ნილუფარი ეძებონ!..

ეგვიპტელმა გადაწყვიტა უკან დაბრუნებულიყო. გზად ჰეკას შეხვდა.

— სად მიდიხარ? — გაუკვირდა მონაქალს.

— სასახლეში

— სასახლეში? განა არ გინდა ჩემთან ერთად გაიპარო ქალაქიდან?

— მერე აპაპს რას უზამენ?

— ერთი-ორ მათრახს უთავაზებენ და მორჩა!

ორივეს გაეცინა.

— დღეს არავინ დამიწყებს ძებნას. ხვალ წავალ, — თქვა ნილუფარმა.

— მეც შენთან ერთად წამოვალ.

— არა, ჰეკა! შენი წამოსვლა არ შეიძლება. რად უნდა დაიტანჯოთ შენ და აპაპი ჩემი გულისთვის?

ჰეკა ერთხანს დუმდა, მერე უცებ სერიოზულად შეეკითხა:

— გამიგონებ, რასაც გეტყვი?

— რა გინდა?

— ვარსკვლავთმრიცხველს ხედავ? მიდი იმასთან!

ვარსკვლავთმრიცხველი მიწაზე იჯდა და მტვერში რაღაცნაირ ნიშნებს ზაზავდა. ყველას, ვინც კი მასთან მივიდოდა, ამ ნიშნებზე შეახეზინებდა ხოლმე ზელს, რათა ამ ნიშნების მიხედვით ეწინასწარმეტყვე-

ლებინა მათი ბედი. ნილუფარმა როგორც იქნა მიადწია მკითხავამდე და თითი შემოატარა ერთ-ერთ ხაზს.

— შობითგან ქალი ხარ, — მაშინვე უთხრა ვარსკვლავთმრიცხველმა, — საქმით და სამოსით — მამაკაცი. შობითგან მონა ხარ, ქცევით კი ქალბატონი. შენი მომავალი წყვედიადშია დანთქმული.

ეგვიპტელი დაბნეული შეჰყურებდა მას.

— გასწი, ახლავე გასწი! — დაუყვირა ვარსკვლავთმრიცხველმა. — შენ სპილენძის ფულიც ცი არა გაქვს, რომ მომცე! არც ოდესმე გექნება!

ნილუფარს ხალხი მიაწვა და ვარსკვლავთმრიცხველს ჩამოაცილა. ეგვიპტელი სასოწარკვეთილი იყო. „ვილიბპითური?“ — გაიფიქრა უცებ და ისევ მიაშურა მკითხავს.

— თუკი... — დაიწყო მან.

— კიდევ არ წასულხარ? — გაბრაზდა ვარსკვლავთმრიცხველი. — ალბათ ღმერთმა დაწყევლა ეგ ფეხები. გასწი! იქნებ არ ძალგის წახვიდე იქ, სადაც გასურს?

ნილუფარს თავბრუ დაეხვა. ვარსკვლავთმრიცხველი უკვე სხვებს ესაუბრებოდა. ბრზოდან გამოვიდა და სასახლისაკენ წალახლახდა.

მთავარ შესასვლელთან მცველმა შეუძახა:

— ვინა ხარ?

— მოურავ აქშაის მსახური! — უყოყმანოდ მიუგო ნილუფარმა. მცველმა შუბი ასწია და გაატარა.

სენაკში შესულმა ნილუფარმა დაინახა ჰეკა, რომელიც ფრთხილად უზღელდა ტანს აპაპს. კრილობები კიდევ არ მოშუშებოდა. ნილუფარს შერცხვა, რად უნდა მოფინოს ეკლით ამ ორი ბედნიერი ადამიანის გზა?

სამუდამოდ წავიდოდა აქედან! მაგრამ სად წავიდეს? ნილუფარი ჩალაზე ჩამოჯდა.

— აპაპ! შეხე, საყვარელმა მომაკითხა! — იხუმრა ჰეკამ, როცა ნილუფარი დაინახა.

მაგრამ ზანჯს არ ეხუმრებოდა.

— ნილუფარ! შენ ყველგან გეძებენ! ეს-ეს არის ერთ-ერთმა მონამ ბატონის ბრძანებით გადაქექა მთელი სენაკი. კინაღამ შივბეგვე: არ დაგვიჭერა მე და ჰეკას. კიდევ ყარგი, რომ აქ არ იყავი! მაგრამ ხელახლა რომ დაგიწყონ ძებნა?

— ნუ გეშინია, აპაპ! მე წავალ!

ნილუფარის ხმაში დაცინვა გამოსჭვიოდა. ქალის საყვედური

გულში მოხვდა მონას, და იგი მოლბა. ჰეკა დაბნეული შეჰყურებდა ორივეს.

— ქალბატონო! — გაიცინა უცებ აპაპმა.

— რა გინდა? — ბრაზით წასჩურჩულა ნილუფარმა.

— შეხეთ, როგორი საწოლი მოგიმზადეთ!

— აბა, მიდი! — უბიძგა ჰეკამ ქალბატონს.

ნილუფარი ჩალაში შეძვრა. დოლბანდი მოიძრო, მისგან ბალიშის შსგავსი რამ იცავეთა და სიამოვნებით გაიშხვართა მონურ საწოლზე. რატომ უჯავრდებოდა ხოლმე იგი ამ დიდსულოვან ადამიანებს? იმიტომ ზომ არა, რომ მას არ ძაღედვა დაეთრგუნა თავისი ამპარტაუნობა? ნუთუ ახლაც მათზე მაღლა მიაჩნია თავი?

ნილუფარი უეცრად ატეხილმა ჩამამალალმა სიცილმა გამოადვიდა. იგი წამოქდა. მამაკაცები იცინოდნენ. ნილუფარმა დააყურა. მას მოესმა მოცეკვავეთა ფეხის ფრატუნნი. ღვინის სუნი სენაკშიც ატანდა.

— აპაპ! ყელი გამიშრა, — თქვა ჰეკამ. — ვერ მომიტან ღვინოს?

— ვსინჯავ, — გაიცინა ზანუმა.

აპაპი მართლაც წავიდა ღვინოზე.

ზემოთ დარბაზში გატაცებით ცეკვავდა ვენი; მის ირგვლივ სახელოვანი სტუმრები ისხდნენ და ღვინოს წრუბავდნენ.

— ჰეკა! მე მინდა იქ ავიდე და ვიმღერო! — უთხრა ნილუფარმა.

— რომ დაგიჰირონ?

— სიკვდილი არ ამცდება!

— არ გაგიშვებ.

ნილუფარმა გაიცინა.

უცებ მათ ყურამდე შოაღწია შანობანდპის ხმამ:

— არა, არა, პატივცემულო. ის მომღერალი ჩემი მონა იყო. მე მივანიჭე თავისუფლება. მან არაფერი იცის...

ნილუფარი სმენად იქცა, მაგრამ პასუხი ვერ გაიგონა. ბოლმა ახრჩობდა ეგვიპტელს. სახე დაეღრიჯა. მოისმა ფიალების ზარხოშინი შიქახუნება. ვილაცამ სიმღერა წამოიწყო, რამდენიმე ხმაც აჰყვა, მაგრამ სიმღერა მალე მიწყდა. ქალთა კისკისი! მამაკაცების ხარხარი!

ნილუფარმა ყურთასმენა დაძაბა.

— გაიგონე? — ჰკითხა მან ჰეკას.

— კი...

ამ დროს ვილაცამ ხმამაღლა დაუძახა:

— ჰეკა!

— ვინ არის?

ნილუფარმა ჩურჩულთ იცნო მოურავი. ჰეკამაც გაარჩია ღამის სტუმარი.

— შევიდეთ შენთან მცირე ხნით, — ბურტყუნებდა იგი. — აპაპი ხომ სასახლეშია!..

— არა, არა, ახლა არ შეიძლება, — სასოწარკვეთით ეუბნებოდა ქალი.

— არ შეიძლება? განა დღეს შენ შონა არა ხარ, მე კი... მოურავი არა ვარ?

აქში მთვრალი იყო.

ჰეკა ჭიუტად იდგა კარებში.

— მაშინ ჩემთან წამოდი...

ჰეკა იძულებული შეიქნა გაჰყოლოდა აქში. შორიდან მოისმა როგორ ჩაიფხუკუნეს მონაქალებმა. მათ უარგად იცოდნენ, რაზე შეიძლებოდა ელაპარაკა მოურავს, მონაქალთან მარტოდ დარჩენილს.

მაღე დაბრუნდა აპაპი. მან მოპარული ღვინით საფსე დოქი დადგა მიწაზე და შიმოიხედა. ჰეკა იქ აღარ იყო. მაშინ ზანგი ჩალაზე დაემხო. დოქისთვის ხელი აღარავის უხლია.

ნილუფარს არაფერი უთქვამს მისთვის. ბრაზისაგან კინაღამ გული გაუსკდა ეგვიპტელს.



ნილუფარის გაუჩინარების ამბავი კვლავ იღუმალებით იყო მოცული. სასახლე რამდენჯერმე დაათვალიერეს, ყველა კუთხე-კუნჭული გადააქოთეს. გაიძვერა აქშიამ, რომელიც ერთგულებას უმტკიცებდა ბატონს, საკუთარნი თვალთ შეამოწმა მონათასენაკები, მაგრამ ნილუფარის კვალს ვერა და ვერ მიაგნო. თვით მანიბანდჰმა სასახლის ყველა იღუმალი ადგილი მოათვალიერა, მისმა გულმოდგინე მსახურებმა კი მთელი ქალაქი მოიარეს ეტლით. ამით იყო ძებნა.

მანიბანდჰი ვერ მიმხვდარიყო, სად გაქრა ნილუფარი. ქალაქის რომელიმე მკვიდრს ძნელად თუ ეყოფოდა გამბედაობა, რომ ლტოლვილი დაეფარა, — დიდებული ვაჭრის წინაშე ხომ მთელი მოქმედდარო ძრწოდა. რად მოიქცა ნილუფარი ასე? შეჭფერის კია მას, ყოფილ მონას, კეთილშობილ ქალებს გაუტოლდეს და სიამაყე და თავმოყვარეობა გამოამჟღავნოს? ნილუფარი ეფიცებოდა, მიყვარხარო; მაშ რატომღა დაიქცა სასახლიდან? დრავიდი მოცეკვავის სილამაზემ და ხელოვნებამ მოხიზლა იგი, მაგრამ ლამაზი ყმაწვილი ქალი ისევე ადვილად წავა, როგორც მოვიდა, ნილუფარი კი... მანიბანდჰს უყვარდა იგი... ასე თუ ისე, მის გულში მაინც დარჩა ეგვიპტელისადმი ნაზი გრძნობა, და მანიბანდჰი აპატიებს ყოველ, თუკი ის დაბრუნდება და დანაშაულს მოინანიებს...

შაგრამ ნილუფარი არ მოდიოდა. დღეს ღამე ცვლიდა, ღამეს — დღე, მისი ასავალ-დასავალი კი არავინ იცოდა.

ნილუფარი წინანდებურად იმალებოდა ჩალაში, მანიბანდჰისაგან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით. საღამოობით მამაკაცის ტანისამოსში გადაცმული გამოდიოდა სასახლიდან, ხოლო შემდეგ კვლავ ბრუნდებოდა ღამის გასათევად. აპატი და ჰეკა თავიანთ ღარიბულ ლუქმას უწილადებდნენ, ხოლო ზოგჯერ ბედი გაუღიმებდა და მანარში მსუყე ნაქერს დაითრევდა ხალხზე. ყიდვით ევრაფერს ყიდულობდა, — სპილენძის ფულიც კი არ გააჩნდა. იმ სამკაულების გაყიდვას, რომლებიც ჰეკამ ჩუმად გამოუტანა მისი ოთახიდან, ვერ ბედავდა, — ყოველ მათგანზე მანიბანდჰის სახელი ეწერა. სად ღარიბი და სად ასეთი სამკაულები! აბა ვის არ დააეჭვებდა ეს?!

ფიქრში წასული ვაჭარი ბოლთას სცემდა დარბაზში ფანჯრიდან

ხედავდა. თუ შორს როგორ ზომავდნენ ვილაყეები ნიწას: ახალი სახლებინათვის ჩასადენი შილების გაყვანას აპირებდნენ. ქალაქი თანდათან იზრდებოდა. საწყაროს ყველა ქვეყნის მდიდრებს ეწადათ დიდ ქალაქში აეშენებინათ თავისი სახლი. შენდებოდა აგრეთვე უზარმაზარი სასტუმროები, რომელთა შიგნით დიდი ეზოები იყო დატოვებული. იქ დადგომა შეეძლო ყველას, ვინც კი მოჰენჯო-ღარიანი ჩამოვიდოდა. იქ მუდამ ჩქეფდა სიცოცხლე — მოდიოდნენ აქლემთა ქარავნები, მოზრძანდებოდნენ ვაჭრები, დასეირნობდნენ ჰეტერები. მანიბანდის თვალწინ იზრდებოდა ქალაქი, მაგრამ რატომ არ ახარებდა ეს ვაჭარს?

ფანჯარას მოსცილდა და კვლავ გაიარ-გამოიარა დარბაზში. მერე გარეთ გამოვიდა. ბატონის დანახვაზე მონებმა კიდევ უფრო გულმოდგინედ განაგრძეს საქმე. სამზარეულოდან ღიღინი მოისმა. მანიბანდს გაელიმა. ასეთია ადამიანი — როგორც კი შცირელი თავისუფალი დრო გამოუჩნდება, მშშინვე ეძებს რაღაც სიხარულს, ბედნიერების მაგვარს! ბედნიერებაო? განა ადამიანი ოდესმე სწვდება მას? მისი ერთადერთი და ქეშმარიტი ბედნიერება — ეს ხომ მძიმე, წელში გამწყვეტი შრომის შემდეგ დასვენებაა...

ვაჭარი ბანზე ავიდა. აქედან ჩანდა მთელი ქალაქი. შორიახლოს სასახლეს აშენებდნენ. ბანბუკის ხარაჩოებზე ნელ-ნელა აღიოდნენ მონები, ზურგით ქვეს ეზიდებოდნენ. ქვემოთ ზედამხედველი იდგა და მათრახს ატრიალებდა. აქ ვინას მეუღლე იშენებდა სახლს, რომელიც არაფრით არ უნდა ჩამოვარდნოდა მანიბანდის სასახლეს. იგი ქალაქის ყველა დანარჩენ ვაჭრებზე მდიდარი იყო და ყოველნორივ ცდილობდა მანიბანდს გატოლებოდა. მაგრამ დიდებულ ვაჭარს მხოლოდდა ელიმებოდა, როცა უყუჩებდა, თუ როგორ იჭაკებოდა იგი.

ზედამხედველმა მათრახი გადაჰკრა ერთ-ერთ მონას, რომელიც სიმწრისაგან შეხტა. უცებ მანიბანდს გაახსენდა, როგორ დაიკლავნა დარტყმისაგან შავი მონა, როგორ ყვიროდა სასოწარკვეთილი: „სინდჰუდათ! რად გვცემ ასე სასტიკად? ყველაფერი ეს ხომ შენი არ არის! ძალიც კი არ სდარაჯობს ასე გულმოდგინედ ბატონის ქონებას“.

ვაჭარი აშკარა კმაყოფილებით გადმოსცქეროდა დაბლა მოფუსფუსე პატარ-პატარა ადამიანებს. რა შორს არის მისგან ყოველივე ეს და რა ნაცნობი და მახლობელია ამასთანავე. მის ხორცში იგივე სულია, სული სინდჰუდათისა, რომელიც ოდესღაც უწყალოდ სცემდა ხოლმე დაუდევარ მონებს. ერთიმეორის მიყოლებით ჩნდებოდნენ მოგონებანი, — ასე ამოიწვერებიან ხოლმე თესლიდან ყლორტები.

აი, იგი შოლტით ხელში დგას — მონათა რისხვა! წინათ თვითონ მუშაობდა ბატონისათვის, მაგრამ ბატონი წყალობის თვალთ უყურებდა, — მან იცოდა, რომ სინდჳულადი წარმომობით მონა არ იყო. ერთ ღამეს სინდჳულადთა მოკლა ბატონი და მისი ქონება ზელთ იგდო. მსახურნი აუჯანყდნენ, მაგრამ ერთნი ოქროთი მოიხსიდა, სხვებს სასტიკად გაუსწორდა. მერე ისინიც თავიდან მოიშორა, ვინც მხარი დაუჭირა. — ერთმანეთს წაახსუბა. მან ბატონის ფულით საქონელი შეიძინა და შორეულ ქვეყნებს მიამურა. როცა იქიდან დაბრუნდა, უკვე მანიბანდჳი ერქვა. სინდჳულადი ყველას დაავიწყდა, ან კი ვის შეიძლებოდა ზსომებოდა ვილაც ზედამხედველი?

ყოფილი მონა მეტად მარჯვე ვაჭარი გამოდგა. საქმე თანდათან წინ მიდიოდა, სავაჭრო ურთიერთობაც ფართოვდებოდა. იგი ზელსაყრელ ფასებში ახერხებდა ივარიგებას. მანიბანდჳს ხშირად ავონდებოდა თავისი ბატონი. ის ქვეიანი კაცი იყო და ბევრი რამ შეასწავლა მანიბანდჳს, რომელსაც შვილად მიიჩნედა. „საქმის კაცი გულჩვილი არ უნდა იყოს, — თავისდა საუბედუროდ ასწავლიდა იგი სინდჳულადს. — ვაჭარი არაფერზე არ უნდა ფიქრობდეს, გამორჩენისა და მოგების გარდა. თორემ მას არასოდეს დააფასებენ. ცუდ ყოფაში ჩავარდება ის, ვინც თავის საიდუმლოებას ქვეყანას მოსდებს“. მერედა, განა მანიბანდჳი ვინმეს მოუყვა თავისი დანამაულის ამბავს?

მკვლელობა!.. მკვლელობა რომ არ ჩადინა, მას ზომ არასდროს შეითვისებდა წარჩინებულთა სამყარო. ახლა თვით კანონმაც მორჩილად მოიყარა მუხლი მის წინაშე! მაგრამ ზომ იყო დრო, როცა სინდჳულადი, როგორც ძალი, ისე იკვებებოდა ნამუსრევით. ერთხელ გეზზე ვილაც ეგვიპტელმა ცხვირპირი ამოანაყა მას: აქაოდა, როგორ გაბედა სინდჳულადთა მასთან ლაპარაკისას გამომწვევად სკეროდა თავი, როგორ გაბედა თაყვანი არ ეცა მისთვის? მაგრამ დღეს? დღეს მთელი სამყარო მის ფერხით გაბრუნდა.

მანიბანდჳმა თვალი მოჰკრა ასკეტებს, რომლებიც ქუჩაში მიჩანჩალებდნენ, და დამკინავად გაიღიმა. მათ არ იცინა, რა არის სიამაყე და დიდება, არად მიაჩნიათ სიზღიდრე, ზოლო მკვლელობას უდიდეს ცოდვად თვლიან. ისინი ცხოვრების წინააღმდეგნი არიან და ანტიომაც გამდგომიან ცხოვრებას. თუ მკვლელობა ცოდვაა, მამ უზენაესმა რად დართო ფართობს ნება, მრავალი ათასი ადამიანის სისხლით მორწყულ მიწაზე აეგო ასე დიდი იმპერია? სამყაროში გამუდმებით იმართება ომები სიზღიდრისათვის. მაგრამ განა ეს გონივრული არ არის? სიზღიდრე უნდა ეკუთვნოდეს იმას, ვინც გონიერია. თუ შვილი

უგუნურია, ის ივერ შეინარჩუნებს მამისაგან დატოვებულ მემკვიდრეობას, რაცუნდ დიდი იყოს იგი. ასკეტები! განა ისინი ცხოვრობენ? ნეტავ რას დაყუდებულან და იწამებენ თავს? რათა საამოთხოს ფასდაუდებელი ბედნიერება მოიპოვონ? იქ დიდი ღმერთი მაპაღევი და ქალღმერთი შაჰაზაი ტრფობის უშფოთველი თამაშობებით გართულან და არ იციან, რა არის სირცხვილი. იქ ღმერთი ლინგამი...

მანიბანდთან შოვიდა მონა.

— დიდებულო! — მოკრძალებით უთხრა მან. — კარსარავენის სათავიდან ვაჭარი ჩამოვიდა, თქვენთან შემოშვებას ითხოვს...

მანიბანდმა უსიამოდ შეიკუმუნა.

— უთხარი, სხვა დროს შემოიაროს! არა მცალია.

მონამ თაყვანი სცა და განშორდა. მანიბანდმა ისევ გადახედა ასკეტებს.

ისევ გამოჩნდა მონა.

— ბატონო!

— რა იყო? აქ რა გინდა?

— ჰოი, ბატონო! — დამნაშავეს კილოთი უთხრა მონამ. — გადავეცი ვაჭარს თქვენი სიტყვები, მაგრამ ისევ უკან გამოგზავნა. მითხრა: შენ ხომ მონა ხარ? მცეც ეგეთივე მონა ვარ ჩემი ბატონისო. გაპირდება რომ არა, მე...

— კარგი, — აღარ დაამთავრებინა მანიბანდმა. — შემოიყვანე!

ვაჭარი შემოვიდა. მანიბანდმა ძლიუს იცნო იგი და გაკვირვებით წამოიძახა:

— არა! შენა? რას დამგვანებიხარ?

არაღს ტანისამოსი შემოფლეთოდა და ალაგ-ალაგ ხორცი მოუჩანდა. რაღაცას დაემწუხრებინა. თვალებს მოუსვენრად აცეცებდა. მანიბანდმა მონას გახედა. იგი იმწამსვე მიეფარა თვალს.

ვაჭარმა ხელები აღაპყრო და უჩვეულო აღელვებით შეჰყვირა:

— ჰოი, დიდებულო!

— რა მოხდა, არა! — შეეკითხა მანიბანდმა. — რა დაგემართა? თავი სისხლიანი გაქვს? ვინ დაგჭრა? შენი არაბულა სად არის?

არაღმა მუხლი მოიყარა და ფეხებზე შემოეხეცია მანიბანდს:

— დიდებულო! გამძარცვეს. მე არაღს აწუ უნამუსოს მეძახიან, მაგრამ, შერწმუნეთ, მართალს ვამბობ. ყველაფერი წამართვეს. ახლა მე მათხოვარი ვარ, კარდაკარ მოწანწალე მათხოვარი. თქვენ შორეულ ქვეყნებში გამატანეთ თქვენი საქონელი, მე კი მძარცველებმა ყველაფერი წამართვეს. მომიტევეთ, ბატონო!

— განაგრძე! — ბრაზით მიახალა მანიბანდჰმა.

— ჰარაბიდან დასავლეთით მიმავალ გზაზე გადაუხვიეთ. ტყე-ტყე მივდიოდით. დიდხანს მიგვაცილებდნენ ქვის ქალაქის მამაცი მეომრები. შაგრამ დაგვმორიდნენ თუ არა, ქარავანს მძარცველები დაესხნენ. რაც შეგვეძლო ვიცავდით თავს, მაგრამ ველარ გავუძელით — მძარცველები ცხენებზე ამხედრებული იბრძოდნენ. თვალწინ დამინოცეს მთელი ხალხი, წაიღეს მთელი საქონელი, მთელი ფული. წაასხეს მონები... ჰოი, დიდო ბატონო! ბერწმუნეთ, ჩვენ არ შეგვეძლო მოურეოდით მტერს.

და ვაჭარი ატირდა. მანიბანდჰს გაეცინა. ნუთუ შეიძლება მამაკაცს ასეთი სუსტი გული ჰქონდეს? ჭანა რაშეს მოიგებს ვაჭარი, რომელსაც ზარალის შიში აქვს? როცა თავის არაბულაზე მჭადარი არალი ქენებით ივადიოდა ქალაქიდან, ალბათ გულად იმეომრად წაქმოდგინათ თავი. მანიბანდჰმა ჰკითხა:

— შენი ცხენი რაღა იქნა? როგორ მოაღწოე აქამდე?

— მთელი ეს გზა ფეხით ივამოვიარე, ბატონო. ჩემი ცხენი ერთ-ერთ ყაჩაღს მოუვიდა თვალში...

— ლაჩარო! — ზიზღით მიახალა მანიბანდჰმა.

— დიდო ბატონო! — შეესძახა არალმა და მანიბანდჰს ფერხთ ემთხვია. — რაც ვნებათ, ის დამიძახეთ! ვიცი, რომ პატიებას ვერ ველირსები, მაგრამ არაფრის გადაჩენა არ შეიძლებოდა. ის მომკლავდა, ეშმაკობა რომ არ მებზამარა და არ გავქცეოდი. ჰოი, ბატონო! რატომ არ დამიქცა ის საათი, როცა ჩვენ გზას დავადექით! არც კი ვიცი, ვინ იყვნენ ის ყაჩაღები!

— რომელიდაც ველურები იქნებოდნენ. — აგდებულად თქვა მანიბანდჰმა. — ნუთუ არ გაგიგონია, რომ ამგვარი თავდასხმები წინათაც ხდებოდა ჩრდილო-დასავლეთ გზებზე! შენ კი ისეთ ურჩხულებად მოგეჩვენა ისინი, რომ შიშით აწლაც ენა გებმის! შეგეშინდა და ეგ არის!

— არა, ბატონო! ველურები არ არიან. მე არასოდეს მინახავს ისეთი ტომი. ისინი ჩვენზე უფრო ჩასკენილნი არიან, ცანთეთრნი. ერთმა მათგანმა სადავეში ჩასჭიდა ხელი გაქცეულ აქლემს, და ამ უკანასკნელს ცხვირიდან მისხლი წასკდა. აქლემმა დაიბღავლა და იქვე გაშეშდა. ჰოი, ბატონო, ჩვენ არ შეგვეძლო მათი გამკლავება!

— მამ მთის რომელიმე ტომი იქნებოდა...

— არა, ბატონო, ისეთი ხალხი ჯერ არსად მინახავს. ისინი რომელიდაც გაუგებარ ენაზე ლაპარაკობენ.

მანიბანდძი ჩაფიქრდა. მას მოაგონდა არაბები, ნომთაბარე შხედრები, რომლებიც ფარაონის ქვეშევრდომნი არიან და ხარკს ეხდებიან მას. ისინი ჰგვანან იმ ადამიანებს, რომლებსაც არალი აღწერს. მაგრამ არაბეთი ზომ შორს, დასავლეთით მდებარეობს... თანაც რად არიან ის მხედრები თეთრკანიანები?

— შენ ამბობ, თეთრკანიანები არიანო?

— დიდო ბატონო! მათი კანი თოვლივით თეთრია, — წარმოთქვა შიშისაგან აკანკალებულმა არალმა. — ყურისწამლები ხმა აქვთ, ჯგეფონება ყვირიანო. ისინი სულ მთლად ველურები არიან, დიდებულო! თმა ცეცხლივით უელავთ.

— ცეცხლივით უელავთ? — გაიკვირვა მანიბანდძმა.

— დიახ, ბატონო! თმა ცეცხლის ალს მიუგავთ!

მანიბანდძი გააზნელა ამ საუბარმა. მას ჰქვიან კაცად მიაჩნდა არალი, ის კი თურმე სულელი ყოფილა. განა არის ისეთი ტომები, რომლებიც თავის დღეში არ ენახოს მანიბანდძს? მან ზომ მთელი ქვეყნიერება მოიარა ქარავნებით...

— არალ, — დაცინვით უთხრა მან, — შენი ნაამბობი ჰემშარიტად საკვირველია!

— მაგრამ მე არ ვტყუი, ბატონო! დამსაჯეთ, დამნაშავე ვარ!

— მე შეგას არ ვიქმ, სულელიო! სასჯელი შენ არ მოგელის!

— თქვენ მომიტევეთ, ბატონო? — შესძახა გახარებულმა არალმა. — ბატონო, თქვენ დღემრთი ხართ! თქვენ დიდი ადამიანი ბრძანდებით. არავინ არ არის ისე გულკეთილი, როგორც თქვენა ხართ! თქვენ მომიტევეთ? მომიტევეთ?

მანიბანდძს გაეცინა.

— სუ ჰყვირო! ჯასწი აქედან! აბა, რალას უცდი?

არალმა სიხარულისაგან შეჰყვირა. იგი რამდენჯერმე ემთხვია ფერხთ მანიბანდძს და ჯუკანმოუხედავად მოუსვა. შეწყალებული ვაჭარი ალტაცებით მიიძახებდა ზოლმე გამვლელ-გამომვლელთ:

— დიდებულმა მანიბანდძმა თავისი დიდსულოვნებით თვით დემერთსაც აჯობა! ორმილიონნახევრის ზარალი ნახა და წარბიც არ შეუხრია.

სწრაფად გავრცელდა არალს გაძარცვისა და მანიბანდძის სულგრძელობის ამბავი. მთელი მოჭენჯო-დარო შესძრა მან. ხალხის ყბაში ჩავარდნილი ზარალის თანხა სამილიონნახევრამდე გაიზარდა. დიდებული ვაჭრის გულმონწყალებობის გამგონე ხალხი გაკვირვებისაგან ადგილზე შეშდებოდა, მაგრამ როგორც კი გონს მოდიოლდნენ, ცდი-

ლობდნენ რაც შეიძლება ჩქარა ეამბნათ თავიანთი მეგობრებისათვის. თითქოს ქალაქის კედლებზე ასხლეტილი გამოძახილიაო, ისე უჩვეულო სისწრაფით ვრცელდებოდა ხმა, და მალე მანიბანდის ზარალი იქცა ხუთ მილიონად, მერე შევიდა და ბოლოს — ათობით მილიონად.

...მანიბანდმა თავის პალატს მიაშურა, საქმეებს მიხედა და მალე ვაჟართან საუბარი სულ გადავიწყდა. 'შას უნიშვნელოდ მიაჩნდა თავისი ზარალი. ფიქრადაც არ მოსვლია; რომ ქალაქის შვედრთა ბიუჯეტ-მოთქმით ზარალი ოცჯე ასობით მილიონ ოქროს შეადგენდა და უნებურად ყველას აკვირებდა მანიბანდის დიხსულოვნება... მას აღარ ახსოვდა, რომ აღამიანებს სხევეითა იქამდე იკორაონ, სანამ მკოლს მოჰქნჯო-დაროს ყველა თუთიყუში არ გამოიქვრებს ენაზე. დიდებული მანიბანდის მიერ დრავილთა ქვეყნებში ქარანითურთ გაგზავნილი არალის გაძარცვის ამბავზე დიდი გულმოდგინებით მსჯელობდნენ ქალები; მათ მსმენელს შეიძლებოდა ეფიქრა, უზარმაზარი დანაკლისი მანიბანდმა კი არა, ამათ განიცადესო.

ქალაქის ზოგიერთ შვედრს ამ ამბის გამო მრავალი დარდი და დღევა გადახდა თავს.

ამბავმა ვაჟარ ჩანდრაჰასის ყურამდე მიადწია და საგონებელში ჩაავლო იგი. ყოველდღე, დილიდან შუადღემდე საჩუქრებს არიგებს ვაჟარი. ყველაზე ჩაბინძურებული, ჩამოძონძილი და ღონემიხილი მათხოვრები იყრიან თავს ჩანდრაჰასის კართან; იგი არავის ტოვებს გაუკითხავს. მაგრამ ერთი შექებაც არ ახსოვს შას ქალაქელთაგან. ამ აღამიანის ამბავი კი მთელ მოქნჯო-დაროს შოედო!..

ჩანდრაჰასის ცოლმა, ქმარი დანალვლიანებული რომ ნახა, თითქოს შემთხვევით ჰკითხა:

— რა არის ბოლოს და ბოლოს ეს მანიბანდის — აღამიანია თუ ღმერთი? ყველანი იმის ქების მეტს არაფერს აკეთებენ.

ისარი ზუსტად იმოხვდა მიზანს. ჩანდრაჰასი მიუბრუნდა ცოლს და შეუყვირა:

— გაჩუმიდი, სულელო დედაკაცო! ათასნაირ სისულელეს ჩმახავი აბა თვითონ განსაჯე, განა მანიბანდის შენი ქმარივით გულუხვად არიგებს საჩუქრებს?

— აბა რა ვიცი? ვაჟარ ჩანდრაჰასის ქება კი ჯერაც არ მსმენია და...

— მე ფულს მათხოვრებს ვაძლევ. ხოლო ისინი ყი არ მაქებენ, მლოცავენ.

და ვაჟარმა ვედრებით მიშართა ღმერთებს:

— ჰოი, დიდო ღმერთო! ჰოი, მამაკმაი! ჰოი, აპირაჯ! დააცხრეთ სიამაყე ამ სულმდაბალ ადამიანთა! გაწმინტყივეთ რწმენა! რასაც თქვენ მიბოძებთ, შეც იმასვე გიბრუნებთ უკან...

მეუღლე კმაყოფილი იყო იმით, რომ ქმარს გული ატკინა. ვაჟარი კი დიდხანს ლოცულობდა თავის ოთახში...

როცა მოსალამოვდა, მოწამ ამცნო მანიბანდჰს პატივცემული ამენ-რას მობრძანების ამბავი.

მანიბანდჰი წამოდგა და მოწიწებით მიესალმა სტუმარს. ამენ-რამ მასპინძელი მოიკითხა და უთხრა:

— დიდებულო! შე განვცვიფრდი, როცა თქვენი უებრო საქციელის ამბავი გავიგონე. თორმეტი მილიონი! თქვენ ხომ თვით სიმდიდრის ღმერთი ყოფილხართ! დიდება თქვენდა!

— რას ბრძანებთ, პატივცემულო ამენ-რა? — გაუკვირდა მანიბანდჰს. — პირველად იმესმის თქვენგან ამგვარი სიტყვები.

— დიდებულო, ამენ-რამ იცის, რასაც ამბობს. ამენ-რას ჯერ არასდროს მოუხჩრია ქედი უბრალო მოკვდავის წინაშე. თუმც ესეც არ იყოს, დიდებულო! თვით მიწაც ოქროდ იქცევა თქვენს ფერხთა შეხებით!..

ერთხანს მასპინძელი და სტუმარი თავ-თავისი ფიქრებით იყვნენ გართულნი. რეცე ეგვიპტელმა დუმილი დაარღვია:

— დიდებულო, ბევრჯერ დავაპირე ხოლმე მეთქვა თქვენთვის, რასაც ახლა გეტყვით. ადამიანი მოდის ამქვეყნად, მერე კი ტოვებს მას. ერთადერთი, რაც მის შემდგომ სჩიება, ესაა სახელი! ფარაონის სახელი ყველა საუკუნეში იცოცხლებს დედამიწაზე. თვით მზე ინახავს მას. თქვენ იტყვით, რა არის მისთვის ეს სახელი? თვითონ ხომ არ არის უკვდავი! მაშინ მე გკითხავთ: მას რა ესაქმება ადამიანს ქვეყნად, თუკი მისი სიცოცხლე ხანმოკლეა?

— თქვენ მართალი ხართ, პატივცემულო ამენ-რა, — დაეთანხმა მანიბანდჰი. — მაგრამ განა მხოლოდ სახელის მოსახვეჭად ცოცხლობს ადამიანი?

— დიდებულო, ადამიანები სხვადასხვა სახით ცხოვრობენ დედამიწაზე: ერთნი — ფარაონის სახით, მეორენი კი მონის სახით.

რაკი სიტყვა მონებზე ჩამოვარდა, მანიბანდჰი მოუყვა ამენ-რას ნილუფარის ამბავს. ამენ-რა გულისყურით უსმენდა.

— ახლაც არ ვიცი, სად წავიდა, — დაასრულა თხრობა მანიბანდჰმა.

ამენ-რამ ჩაიცინა.



— დიდებულო! ქალი ადამიანის დამალვას ახერხებს თავის მუცელში და დედამიწაზე ველარ იპოვის ადგილს, რომ თვითონ დაიმალოს?

— დიდი თაღლითი ვინმე ყოფილა ის მონაქალი! — მკაცრად თქვა ეპარმა. — აქამომდე მანიბანდჰს არასოდეს მოსვლია მარცხი თავის საქმეებში. მხოლოდ ქალები თუ გადააცდენდნენ ხოლმე ზოგჯერ გზიდან.

— ამენ-რას აროდეს სჯეროდა ქალებისა, — დამრიგებლური კილოთი შენიშნა მოხუცმა ეგვიპტელმა.

— შე მინდოდა თქვენი რჩევა-დარიგება მომესმინა, პატივემულო ამენ-რა, — უთხრა მანიბანდჰმა.

— ის ქალი, დიდებულო, არ არის ღირსი თქვენი ზრუნვისა, — მიუგო ამენ-რამ. — შესაძლოა, ბევრ რამეში არ დავეთანხმოთ, არც მე ვარ ისე სულელი, რომ ჩემი რჩევა-დარიგებით გული ვატყინო ჩემს შეგობრებს, მაგრამ მინდა, ორიოდე კეთილი სიტყვა გითხრათ. მანიბანდჰმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— მონაქალის უგზო-უკვლოდ გაქრობა ნუ დაგაღონებთ, — წარმოთქვა ამენ-რამ. — მდამიო ქალმა ღიბხანს არ უნდა მოაცდინოს წარჩინებულის გული და გონება. მისი ტრფიალი დიდი მღინარის, პაპის სასიკვდილო მორევის მსგავსად ჩაითრევს კაცს. ამნაირი ქალების სიყვარული სულის დამღუპველი შხამია. თქვენი ნილუფაჩი უღამაზესი ქალია. მაგრამ უეჭველია, რომ იგი წარჩინებულ წოდებას არ ეკუთვნის. მონის გული ცვალებადია. აი, რატომ გაგიფრინდათ ის ცბიერი ჩიტი!

მანიბანდჰმა თავი ჩაპკიდა. ახლა ის უკვე ნანობდა, რომ რჩევა პკითხა ამენ-რას. რატომ ეუბნება ეგვიპტელი ყოველივე ამას? განა გვარიშვილობა ადამიანის სულის ძლევაშოსილების ნიშანია? ადამიანის ღირსებები მხოლოდ წარმოშობის მიხედვით რომ განვსაჯოთ, მამ ვინდა იქნება თვით დიდებული მანიბანდჰი, რომელიც — უწინდელი ღარიბი მენავე — მოქეწო-ღაროს უმდიდრეს ვაჭრად იქცა? ყველაფერი სიცრუეა! მანიბანდჰი ეგვიპტეში იცნობდა ბევრ ადამიანს, ვინც აურაცხელი სიმდიდრე შეიძინა და ვისაც წვეთი სისხლიც კი არ ჰქონდა კეთილშობილი ადამიანისა. არა, ყველაფერი ბედისწერას უპყრია ხელთ. თუ იგი წყალობის თვალთ უყურებს ადამიანს, იმასაც ექნება ყველაფერი, რითაც სამყაროა განთქმული. ვერაფერს გარჩევს კაცი ამ უსამართლობის ოკეანეში! აბა როგორ მიხვდები წინასწარ —

მალა აგიტაციებს თუ ძირს დაგცემს ტალღა? ვინ დაიტრახება, მე შევიძლია მივხვდეთ?

ამენ-რა წავიდა, მაგრამ მისმა სიტყვებმა სული მოუშხამა მანიბანდჰს. განა ვენი წარჩინებულია? დღეს იგი ნილუფარს დაეძებს. ვინ იცის, იქნებ ხეალ მოცეკვავის ძებნამ მოუწიოს?

წარჩინებული ქალი ვერ შიატოვებს ოჯახსა და მეუღლეს, — იგი ჩვეული არაა გაჭირვებას. მხოლოდ ასეთი ცალი მოუტანლა მანიბანდჰს სულიერ სიმშვიდეს. რაოდენ ღელვას ჰგვრიან მას ვნებანი. რაჟ არის მუდამ ამ ვნებათაგან გამმაგებული?

მანიბანდჰს ჯული უგრძნობდა, რომ მისი ტრფიალი ახალგაზრდა მოცეკვავისადმი მუდმივი არ იყო. აღრე თუ გვიან იგი გააძევებს მას თავისი დიდებული სასახლიდან და ჩააგდებს იმავე მტვერში, საიდანაც ასე მოულოდნელად ამაღლდა. ხალხი დასცინებს და თითოთ საჩვენებელს გახდის: „შეხეთ, აგერ ქალი, რომელსაც სურდა დიდი ადამიანი გამხდარიყო და ამისათვის შეეფარა ლოპკაცს, რომელმაც თავისი ბედიც კი დაიმორჩილა!“ მას გაახსენდა ნილუფარი... მხოლოდ ეგვიპტელი ქალის ჭკუამ და ეშმაკობამ იხსნა ვენი შერცხენისაგან. მაგრამ ეს გულისა მოცეკვავე კიდევ გაიგონებს ბრბოს ბოროტ ზარზარს.

მანიბანდჰი ვენის ოთახისაკენ გაემართა. ქალს უშფოთველად ეძინა. თვალისმომჭრელი სილამაზისა იყო. ვაჭარი დიდხანს ტყებოდა მოცეკვავის ცქერით; თანდათან გაეფანტა მის მიმართ მტრული გრძნობა. ქალს ცალი ხელი მუცელზე ედო, მეორე — თაღთან ახლოს. ფეხები ოდნავ მოხროდა მუხლებში. ხანდახან ტუჩებზე ღიმილი უქრთოდა. ალბათ სადაფისფერ ქუთუთოებს ჭვეშ ლამპარით ინთებოდნენ და ქრებოდნენ ტკბილი სიზმრები.

თითქმის შიშველი მკერდი თანაბრად აუღ-ჩაუდიოდა. იოლად ვერ მოსწყვეტდი მხერას მის მშვენიერ, სურნელოვან ტანს. ახლა ბალიშზე მიმობნეული ყვავილები! რა მშვენიერი იყვნენ ისინი!

— არა, ამენ-რა დაბერდა და მიზეზიც ეს არის! ნუთუ შეიძლება გაუძლო ქალის მომხიბლაობას და სილამაზეს?! მანიბანდჰი ჯერ კიდევ ძლიერია სულითაც და ხორციითაც.

სიბერე! იგი უკვე მოეშრთება მანიბანდჰისკენ. უეცრად დიდებული ვაჭარი აღელდა, ხელები წინ გაიწვდინა და დიდხანს ათვალიერებდა მათ. ვინ გაბედავს თქვას, რომ ხელები ისე აქვს ჩამომხმარი, როგორც ბერიკაცს? მის ჩამკვრივებულ კუნთებში კვლავინდებურად უდიდესი ძალაა ჩაბუდებული.



ხორციული სიახლოვე ასე ძვირად უღირს მოკვდავ ადამიანს? კანონიერი ცოლი — განა მას ძალუძს ნამდვილი სიყვარული? თუ, ქმრის საიმედო კალთას შეფარებული, მხოლოდ თავის მოვალეობას ასრულებს?

მანიბანდჰს დიდი ხანია მოყირჰდა სახელიც, სიმდიდრეც და ქალის ალერსიც. ახლა მას ჰქმნარა სიყვარული სწყურია, — მამ რატომ არ მოდის იგი? განა მანიბანდჰს აღარ ძალუძს მისი წვდომა?

რა ვუყოთ, თუკი მისთვის მიუწვდომელია ჰქმნარა სიყვარულის კოცნა, მანიბანდჰი ცხოვრების შორეულში გადაეშვება, რათა დაუცხრომელი მოქმედებით მოიკლას სისხლის დამდაგველი წყურვილი! იგი მთელ სამყაროს დაიმორჩილებს!

მანიბანდჰი სავარძელზე დაჯდა. ხელები სანიდაყვეებზე ჩამოსდო, თავი ჩაჰკიდა და ფიქრს მიეცა.

მას სჭირდება ხმაური, ადამიანთა ღელვა. სურს, რომ ამ განუწყვეტელ ურიაშულში უღერდეს მისი სახელი: „დიდი მანიბანდჰი! დიდებული მანიბანდჰი!“ დაე, მან, ვისაც არ შეუძლია უყვარდეს იგი, ქედი მოიხაროს მის წინაშე, — ამით მანიბანდჰის ეული სიამაყე დაკმაყოფილდება.

გავიდა კარგა ხანი. ოთახში ჩუმად შემოვიდა ვენი.

— დიდებულო!

მანიბანდჰმა ვერ გაიგონა მისი ხმა. იგი ფიქრებში იყო ჩაძირული. ვიღაცა მძიმედ სუნთქავს, კენესის... ეს თვით ფარაონს მონის მსგავსად მოუყრია მუხლი მანიბანდჰის ფერხთა წინაშე და შიშით კანკალებს...

ვენი ახლოს მივიდა და უთხრა:

— დიდებულო... მოხუცი...

— მოხუციო? — გამოერკვა მანიბანდჰი. — ვინ დამიძახა მოხუცი?

ვენის დანახვაზე მოლბა.

— ნშვენიერო, მე ვარ ნოხუცი?

მანიბანდჰმა გაოცებით შეხარა წარბი, ტუჩებზე დამცინავი ღრმილი აუთამამდა.

— არა, მე მინდოდა მეტყვა, რომ მოხუცი ქურუმიც კი არ იძირება ხოლმე ისე თავის ფიქრებში, როგორც თქვენ იყავით, დიდებულო. ფიქრში წასული.

— ქურუმი! განა ის ჩემსავით იღვწის, მშვენიერო? ღღეს მე უამრავი საქონლის ფუთები უნდა დავათვალიერო. სავაჭრო ქსელი აბლაბუდასავით იზრდება.

— დიდებულო, თქვენ თბობა ხართ?

მან დაუფიქრებლად წარმოთქვა ეს სიტყვები, როგორც ანცმა ჰაღშვმა, მაგრამ, მიხვდა თუ არა, რომ კადნიერი სიტყვა წამოსცდა, ტუჩზე იკბინა. მანიბანდჰმა შეამჩნია მისი შიში და გულკეთილად გაუღიმა. ორივეს გაეცინა.

დრავიდი მოცეკვავის მიამიტობამ განაცვიფრა მანიბანდჰი. რატომ არ ეუბნებიან ადამიანები პირში იმას, რასაც თვითონაც მოელის? ვენი ასე უბრალო და ალალმართალია, ყველგან ღირსეულად უჭირავს თავი. ნილუფარი კი... იგი მუდამ მოკრძალებით ელაპარაკებოდა ხოლმე, როგორც მონა.

ნხიარულმა ზმებმა შეაღწიეს სენაკში, სადაც მარტოდმარტო იწვა ნილუფარი. მათ ბევრი რამ აქვთ სასიხარულო, — ფიქრობდა ეგვიპტელი. მაგრამ თვითონ იგი? თვითონ უბედურია და სხვებსაც უბედურებაში აგდებს. თავი მოიკლას? კი მაგრამ, ნუთუ ის ნილუფარი, რომელიც არც ინდის მძვინვარე ტალღებს შეუშინდა და არც უღმობელ ქარიშხალს, ასე უსახელოდ დაიღუპება?

ერთხელ მან ფეხი დააბიჯა საშიშ მხეცს. დღეს ეს მხეცი კვლავ დაპლრიალებს თავზე. უკან დაიხიოს? დამარცხებულად სცნოს თავი? არა! განა მის წარბებში აღარ არის წინანდელი ძლევამოსილება? ერთი შეგუმუხვნაც საკმარისია, რომ ამ წარბებმა ქარქაშიდან ამოწვდილი მახვილებივით გაიეღვონ...

როგორ იცინიან! იქ, ზემოთ... ვენი... მანიბანდჰი...

ნილუფარმა ჩალაში ჩარგო თავი და ატირდა. ამ დროს შემოვიდა ჰეკა.

— ჩუმაღ, ნილუფარ, ჩუმაღ! გაიგონებენ!

ნილუფარმა ცრემლით სავსე თვალები მიაპყრო ჰეკას. მას ახლა ტირილის უფლებაც არ ჰქონდა.

დიდი ქალაქი გველთა ღმერთის, აპირაჯის ღღესასწაულის მოლოდინში იყო. სამყაროს ყველა კუთხიდან ჩამოსულიყვნენ აქ თავისი საქონლით უცხოელი ვაჭრები. თაყვანისცემით ცხადდებოდნენ ისინი პატივცემული ამენ-რას სტუმართმოყვარე სასახლეში. ვაჭრები ქებადიდებას ასხამდნენ თავ-თავიანთ ღმერთთა ძლიერებას, ზოგიერთები კი ამ დროს თავს ვერ იკავებდნენ და სხვათა ღვთაებების საექვო სილიადეს დასცინოდნენ. სტუმართა შორის არა ერთხელ ამტყდარა ცხარე კამათი.

არაბი ვაჭრები მთვარეს სცემდნენ თაყვანს, ღოლო ეგვიპტელნი მზის წინაშე იხრიდნენ ქედს და მთვარე მის მარჯული მტრად მიაჩნდათ. კი მაგრამ, განა უღაბნოში მზე ეხმარება ადამიანებს, განა იგი მათი კეთილისმყოფელია? — კითხულობდნენ არაბები. არა! მათ მხოლოდ მთვარე ჰგვრის სინათლესა და სიგრილეს. თვით ღამეც, რომელიც თავის კალთას აფარებს მგზავრს, მის რძისფერ ნათელში ნებიერობს; და როცა მთვარე სამოთხეში განისვენებს, მიწაზე დაცოცავენ მისი მტრები — გველები. ნოწინაალმდგენი მხოლოდ ერთ რაშეში თანხმდებოდნენ: რაც არ უნდა მტრობდნენ ერთმანეთს მზე და მთვარე, ორივენი მაინც უზუნაესი ღვთაებანი არიანო.

რამდენადაც მდიდარია მოჰენჯო-დარო ოქროთი და ძვირფასი თვლებით, იმდენადვე განთქმულია იგი ბრძენკაცებით! მაგრამ კამათში ეგვიპტელები არ უთმობდნენ მათ, რადგან ფიქრობდნენ, ჩვენი ბადალი არავინ მოიპოვენაო დედამიწის ზურგზე.

„მოჰენჯო-დაროს მკვიდრნი ჰეჰა-ქუხილის ღრუბელს მოწყალე მარჩენალს უწოდებენ. მაგრამ ჩვენს ქვეყანას არ სჭირდება წვიმები, — ამბობდნენ ეგვიპტელნი, — ჩვენს ველ-მინდვრებს წყალუხვი ჰაბი ჰუენს სინოტივეს! განა ღრუბელს, — ამაყად კითხულობდნენ ისინი, — ჰაბის მსგავსად გამოკვეთილი სახე აქვს? ღვთაებრივი მდინარე წელიწადის ეტლის სრბოლას ემორჩილება, თვიდან თვენდე იცვლება. მაგრამ მუდამ რწყავს მიწას. ღრუბლები კი მხოლოდ დროდადრო გროვდებიან ცაზე...“

მაგრამ მოჰენჯო-დაროს მკვიდრთა დარწმუნება იოლი როდი იყო. ისინი ჭიუტად იცავდნენ თავიანთ ღმერთთა უპირატესობას. ვინ უღ-

რო ძლიერი იყო კამათში, ვისი სარწმუნოება და აღათი სჯობდა. ამის გადაწყვეტა ძნელი გახლდათ. და ანენ-რამ შესთავაზა — პაექრობა გაეწარათ, თან თავის ბრწყინვალე სასახლეში მიიპატიეთა უცხოელი სტუმარნი.

პირველმა ღმერთებზე ლაპარაკი დაიწყო აშართმა — ყოვლად პატივცემული ამენ-რას მწდემ. მან უამბო სტუმრებს ეგვიპტის გაიგნის ამბავი. თვით ეგვიპტელნი თავის ქვეყანას უწოდებენ ქემის, რაც ნიშნავს „შავ მიწას“. შორეულ წარსულში ქემის ადამიანები კი არა, ღმერთები განაგებდნენ. მათ შორის უმთავრესი იყო ჰეშარი, სხვაგვარად — ოზირისი. მას ჰმსახურებდნენ ცეცხლის ღმერთი ფთაპი, მზის ღმერთი რა, ჰაერის ღმერთი შუ, ომის ღმერთი სები, ქარის ღმერთი სეთი. ყველანი ბედნიერად ცხოვრობდნენ. ბუნება ხელგაშლილი იყო მათ მიმართ. გაჭირვება ხომ მაშინ მოდის, როცა ადამიანები ღმერთებს განუდგებიან. ასე განაგებდნენ ღმერთები მიწას ცამეტი ათას ცხრაას წელს. მზის ყოველ წელიწადს ღმერთი ჰა-პი ოთხგზის იცვლის ფერს. ზოგჯერ მკის დროს მისი დამშეული ენა ნაპირებს გადმოლახავს და მთელ სარჩო-საბადებელს ართმევს ხალხს. ხუთ ნაკადად დაყოფილი ჰა-პი ოკეანისკენ მიედინება და არაფერს უტოვებს ადამიანებს. როგორც ძველი ბერძენი ხსნიდნენ, ეს იყო ხარკი იმ ძვირფასი შავი მინისათვის, რომელიც წყალს მოჰქონდა. უზენაესმა ღმერთებმა ქემი გადასცეს უმცროს ღმერთებს, რომელთა შორის მთავარი იყო მენესი. მათმა მმართველობამ ოთხი ათას წელიწადს გასტანა. როცა დარწმუნდა, რომ ადამიანები არ არღვევდნენ დამკვიდრებულ ადამ-წესებს, მენესმა ხელისუფლება ფარაონებს გადასცა.

— მთელი ჩემი სიმდიდრე ხელგაშლილ წინაპართაგან არის ნაბოძები. — საზეიმო კილოთი წარმოთქვა მოხუცმა ამენ-რამ.

ყველანი დაეთანხმნენ. განა შეიძლება თაყვანი არ სცე წინაპრებს? ისინი ხომ უფრო ბევრნი არიან, ვინემ ამჟამად მცხოვრები ადამიანები; ამ წინაპრებმა შთამომავლებს გადასცეს თავიანთი ძალა, რათა ამ უკანასკნელთ სახელი გაეთქვათ მათთვის. ყველა სული როდი ხვდება სამოთხეში, ბევრნი ხელახლა იბადებიან, რადგან განკითხვის დღე შორს არის. სულნი შეიძლება რამდენჯერმე გადასახლდნენ; მსგავსად წვიმის წვეთებისა, ციდან რომ ცვივიან, ისინი სამყაროს ოკეანეს ერთვიან, მერე კი მზის ღმერთი რა ხელახლა იზიდავს ზეცისკენ...

შემოვიდა ბაიადი. ოდესღაც იგი მონა იყო, მაგრამ თავისი ანაჩვეულებრივი ჰკუის წყალობით გამდიდრება შეძლო. მიუხედავად მღაბიური წარმოშობისა, მის სახელს პატივისცემით იხსენიებდნენ არა მხო-

ლოდ ეკვიპტის უმდიდრესი ვაჭრები და ბერები, არამედ შუმერისა და ელამის, ჰარაპისა და კიკათის წარჩინებული ადამიანებიც. ბაიადი წელთა სიმრავლისაგან მხრებში მოხრილიყო, წარბები შექალაქავებოდა, მაგრამ ღღემდე მაინც შერჩენოდა ის ენამკვეერობა. რომლითაც ყველაზე მკაცრსა და ქედუხრელ მეომართ იმორჩილებდა. როცა ბაიადმა ლაპარაკი დაიწყო, ყველანი მოწიწებით დადუმდნენ.

ბაიადმა იუდეველთა სარწმუნოებაზე ჩამოაგდო სიტყვა. მის ხმაში ბრაზი გამოსჭვიოდა. ეს იუდეველნი ბევრს გაპყვირიან თავიანთ „ერთადერთ“ ღმერთზე, მაგრამ ახსნით კი ვერაფერს ხსნიან. მხოლოდ ესლა გვესმის მათგან — ერთადერთი ღმერთიაო ჩვენი წინაპარი. აბა ჰკითხეთ: ვინლა ვართ ჩვენ? ვისი შთამომავალნი ვართ-თქო. ისინი ქედმალლურად გიპასუხებენ: „მარტოოდენ იუდეველნი არიან რჩეულნი ღვთისა“. — „დანარჩენები?“ — „ჩვენ არ ვიცით. არ ვიცით. თუ თქვენ არ გესმით ჩვენი, ეს ჩვენი ბრალია და არა „მისი“.

ეს ქალარაწვერიანი ბერიკაცები უფრო მეტად ხმაურობენ, ვინემ ჰა-პის მეწამული ტალღები. მაგრამ მათ არ ძალუძთ აგვიხსნან თავიანთი სარწმუნოება. რატომ? იმიტომ, რომ იგი მცდარია. განა შეიძლება ღმერთი „ერთადერთი“ იყოს? და თუ ისინი, იუდეველნი, მისი შთამომავალნი არიან, მაშასადამე, ღმერთი ადამიანი ყოფილა, მაშასადამე, „ისიც“ უცდუნებია შეუღლებას?

ყველასათვის ცნობილია, რომ შობას წინ უსწრებს შეუღლება. ყვაკილთა დამტკვერვა განსხვავდება ადამიანთა თუ პირუტყვთა შერთვისაგან, მაგრამ ესეც შეუღლებაა. რაკი ყვავილნი სცოდანენ, მაშასადამე, ღმერთებისთვისაც არსებობს ცოდვა.

დიდი ქალაქის ბრძენკაცებმა კმაყოფილების ნიშნად დაუქნიეს თავი. ბაიადის სიტყვები ჰუმშარიტებააო, — თქვეს მათ. ყველაფერში არისო მამაკაცური და დიაკური საწყისი. მამაკაცი უმალლესი ქმნილებაა. მისი ნებართვით არსებობს ირგვლივ ყველაფერი. მისი ბუნება წვა და უარყოფაა; მისი სიმკაცრე — არა ყოვლის დამანგრეველი რისხვა, არამედ სიმშვიდე და შემოქმედების ძლიერება. დიდი ღმერთი მაჰადევი, რომელიც ყველაზე მაღლა დგას, მამაკაცური საწყისის მატარებელია. ცოლი მისი მაჰამაი სურვილს აღუძრავს დიდ ღმერთს და მათი ტრფიალი ბიძგს აძლევს მთელ მოძრაობას...

— მაგრამ, მამაკაცური და დიაკური საწყისის გარდა, კეთილი და ბოროტი საწყისიც არის, — მსჯელობაში ჩაერია ამენ-რა. — კეთილი და ბოროტი ერთმანეთს ებრძვიან. ისინი ქმნიან ისეთსავე მთლიანობას, როგორც კაცი და ქალი. ხან ერთი იმარჯვებს, ხან მეორე.



რატომ დგება დღე? იმიტომ რომ მზე ამარცხებს წყველიადს. რატომ მოჰყვება დღეს ღამე? იმიტომ რომ წყველიადი ამარცხებს მზეს. მამა-საღამე, ბოროტიც და კეთილიც ტოლძალოვანნი არიან.

— არა, — შეეპასუხა დიდი ქალაქის ქურუმი, — ბოროტი უფრო ძლიერია.

— როგორ? — გაუკვირდათ ეგვიპტელებს.

— მზის აღდგომისას წყველიადი იფანტება, რათა მტერს გაუმკლავდეს. — მიუგო მათ მოქენჯო-დაროს ბრძენმა. — წყველიადი ბალახის ყოველ ღეროს ეფარება, და მზეს, კიდევ რომ გატეხოს იგი, მაინც არ ძალუძს გაანადგუროს წყველიადი. მზე კი ისე იმალება, როგორც ტურა და აფთარი, მთელ ღამეს რომ ყზვილსა და კივილში ატარებენ, განთიადისას კი სოროებში იმალებიან.

— მაგრამ უმცროსი ღმერთი — მთვარე — ხომ მაინც რჩება?... — შეესიტყვენ ეგვიპტელები.

კანათში არაბი გაქრები ჩაერივნენ:

— მთვარე უმცროსი ღმერთი როდია!

— არა! — თქვეს ეგვიპტელებმა. — თუ აგრეა, მაშ რად გახდა არაბეთი ეგვიპტის ხელქვეითი სახელმწიფო?

— თქვენი ღმერთი ფთაჰი, — შეეპასუხნენ არაბები, — თავის ცოლ ფაშითან, და ბაშითან და ვაჟიშვილ ნეფერთუმთან ერთად ცხოვრობს ზეცაში. ის ზედაეს, როგორ ქუცმაცდება მზე ვარსკვლავთა დასებად, ხოლო როგორც კი იფიქრიბანდებს, ეს ვარსკვლავები ერთდებიან და კამკაშს იწყებენ. რატომ უცქერის ძღვევამოსილი ღმერთი ფთაჰი ასე გულგრილად, თუ როგორ ქუცმაცდება მზე თანავარსკვლავედებად? მის ერთ შეძახილზე ხომ მთელი დედამიწა ზანზარებს. როგორ ითმენს იმას, რომ მარად უქნობი ლოტოსი მისი ვაჟის ნეფერთუმის თავთან კეცავს ფურცლებს და შიგნით ფურტყარს მოიყოლიებს ხოლმე?

— ღმერთებზე ლაპარაკი ძნელია. — კამათში ჩაებნენ მოქენჯო-დაროს ბრძენკაცები. — ჩვენი ცოდნა სრულყოფილი არ არის, ღმერთებიც მხოლოდ ნატამალს გვაძლევენ ცოდნისას, მის ოკეანეს კი იღუმალებით მოცულს ტოვებენ ადამიანებისათვის. მარტოდენ უმწიკვლო ცხოვრების ფასად შეიძლება გაუმკლავნონ მათ საიდუმლოება ქურუმებსა და განდევნილებს.

ბრძენკაცებმა კვლავ გააბეს საუბარი მოძრაობის მიზეზებზე.

— არის ძალა აშკარა და ძალა ფარული, — განმარტავდა დიდი ქალაქის ქურუმი. — ცეცხლის შუქი აშკარაა, მიწის წიაღის სითბო კი — ფარული. ამგვარადვე მამაკაცი აშკარა ძალაა, ხოლო დიაცი —

ფარული. აშკარა ძალის წარმოშობა ფარული ძალის მეშვეობით ხდება. ყლორტი იმიტომ ამოიწვევრება მიწიდან, რომ მიწაში თესლია ჩადებული. ქალი სრულყოფილი არაა, მაგრამ არც მამაკაცია სრულყოფილი. თუ რომელიმე მათგანი არ იქნა, ცხოვრების ხაზი არ გაგრძელდება. ისევე როგორც კალიების შემოსევა ღუბავს ყანებს, მამაკაცის თესლიც, ანადგურებს რა ფარულს, აშკარა სახეს ღებულობს და თავს იჩენს. მაგრამ ფარული კვლავ იკრებს ძალას. ამაში მას ხელს უწყობს დრო, მონა უზენაესისა. მხოლოდ ყოველგვარი აქქვეყნიურისგან განდგომის მდგომარეობაში, თავისი თავისა და სამყაროს უძრავი ჰერეტიკისა თავისუფლდება ადამიანი დროის მოქმედებისაგან. მაშინ დრო ჩერდება, და ბედნიერი იოგისათვის უკვე სულ ერთია — რა იყო, რა არის და რა იქნება. მაგრამ სანამ ადამიანი მოქმედების ჩარხის ტრიალს აპყობია, იგი ამ სამ დროსთანაა დაკავშირებული...

— კი მაგრამ, — კითხულობენ ეგვიპტელნი, — ნუთუ შეიძლება სულს არაფერი უშლიდეს ხელს, რომ მან მგზავრის მსგავსად ამოიჩიოს გზა? ამქვეყნად ხომ ყველაფერი წინასწარ არის განსაზღვრული! ერთხელ შობილ ადამიანს აღარ შეუძლია კვლავ იმგვარადვე და იმავე სახით დაიბადოს. ცხოვრებად მოსვლა და ცხოვრებისგან განშორება მკაცრი სასჯელია ღვთისმოსავი ადამიანისთვისაც კი. სული გადადის ერთი სხეულიდან მეორეში, იგი ვერსად პოულობს მოსვენებას. თვით ჯოჯოხეთის საშინელი წამების შემდეგაც არ კვდება სული. მისი ხვედრია ეკლებზე ძილიც, აღის ენებზე წვაც. თვით ყველაზე დიდი მეფენიც ძრწვიან ჯოჯოხეთის მისავალთან მღვარი საშინელი ქოფაკების დანახვაზე. მათ დასისხლიანებული ბრჭყალები და ბასრი კბილები აქვთ. ენაგადმოგდებულნი, მოუთმენლად ელიან, როდის გამოჩნდება ახალი მსხვერპლი. მაგრამ სულმა ყველაფერი უნდა აიტანოს. დიდ ფარაონს სიკვდილის შემდეგ განკითხვის დღის დადგომამდე თავის აკლდამაში აქვს საჭმელი და ჰყავს მონები. მერე? მერე უკვე აღარაფრით განსხვავდება ჩვეულებრივ მოკვდავთაგან. მისი სული დაეხეტება მსოფლიო სივრცეში...

— მეუფე-ფარაონს შეუძლია პირამიდა ააგოს გიზეში, — წარმოთქვა მოჰენჯო-დაროს ერთ-ერთმა ქურუმმა. — მაგრამ იგი არარაობაა ღმერთი-ლინგამის წინაშე. უსაზღვროა ლინგამის სიდიადე. ღმერთი-ლინგამი ქმნის თვით ადამიანს, რომელიც თესლიდან აღმოცენდება. დაუშრეტელია მისი ძალა. მხოლოდ ლინგამი არის პირველსაწყისი შექმნისა.

ქვეყნად იქმნება მთები, ოკეანეები, გამოქვაბულები, ტყეები. და

ყველგან საჭიროა მამაკაცური და დიატური საწყისი, რათა წარმოქმნას ახალი. როგორც მიწისა და ცის შეერთებით წარმოიშობა ჰორიზონტი, ისე ორი ადამიანის კავშირით ჩნდება ამქვეყნად ბავშვი. გინდ ლამაზი იყოს ქალი, გინდაც გონჯი, — იგი იქამდე ვერ შობს შვილს, სანამ ღმერთი-ლინგამის თაყვანისმცემელი არ გახდება. ყველაფერი, რაც იზადება და რაც კვდება, — მისგანაა ბოძებული. ულინგამოდ არ შეიძლება იყოს არც ღმერთი და არც ძე ღვთისა. ის არის უსაზღვრო ავხორცობაც და თავშეკავებაც, ულმობლობაც და ღმობიერებაც, სიამეც და ზიზღიც, ის არის მიზეზი, ის არის მოქმედება, ის არის შედეგი...

წინათ დიდი მაჰადევი და მაჰამაი, — განაგრძო ქურუმმა, — ერთ-სახოვანნი იყვნენ, მაგრამ როცა მაჰადევმა სამყაროს შექმნა განიზრაზა...

— რად განიზრაზა? — იკითხა რომელიღაც უცხოელმა.

— რათა უზომო წყალობა მოელო...

გონებაჩლუნგმა შუბერმა მეომარმა თავი ვერ შეიკავა და სულელური კითხვა მისცა:

— ვისდამი უნდა მოელო მოწყალება?

— ადამიანისადმი! დიახ, ადამიანი ყოველთ უწინარესია. მაჰადევი გამოეყო მაჰამაის, რათა შეექმნა სამყარო. ერთი მთლიანის დაბადება რომ უძრავობაში მომხდარიყო, მაშინ იგი განუყოფელი დარჩებოდა. და რომ მაჰადევი და მაჰამაი არ გამოჰყოფოდნენ ერთმანეთს, მათ შორის არავითარი განსხვავება არ იქნებოდა, არ იქნებოდა არც სურვილი და არც ავხორცობა. მაშინ არ შეიძლებოდა წარმოქმნილიყო სიცოცხლისეული თრთოლვა და ყველას ერთბაშად მოუხსრებდა სიკვდილი. ამჟამად ზომ ყველაფერი გაწონასწორებულია — სიცოცხლეს და სიკვდილს.

— როგორ გავიგოთ ეს? — გაოცებით ჰკითხა ელამელმა ქურუმმა. — თუ მაჰამაი ქვეყნად თვით დიდებული ღმერთის მიერ არის მოვლინებული, მაშასადამე, იგი მისი ქალიშვილია! როგორღა იქნება იგი მისი ცოლი?

მოჰენჯუ-დაროს ქურუმებს გაეცინათ.

— რატომ ჰყოფთ კაცს ქალისაგან? — უთხრა ერთ-ერთმა მათგანმა. — ისინი ზომ ერთი მთლიანის ორი ნახევარი არიან? შექმნა მაშინ იწყება, როცა ორივე ნაწილი ებმება ცხოველმყოფელ მთლიანობაში. მაჰამაი — ესაა სიყვარული, ესაა სინაზე, დიატური საწყისი, ესაა ქალი საზოგადოდ. დიდი ღმერთი მაჰადევი — ესაა მამაკაცი, ესაა ყველა თვისებებს უმაღლესი განსახიერება...

— მაშ რაღაში მდგომარეობს ცოდვა? — წამოიძახა თავქარიანმა შუმერმა მეომარმა.

— ცოდვა იმაში მდგომარეობს, რომ არსებობს აპირაჯი.

— როგორღა წარმოიშვა ცოდვა?

— ღმერთები ბნელში შეეყარნენ ერთმანეთს. იმიტომაც არის მათი შვილი ორსახოვანი — ნახევრად კაცი და ნახევრად გველი. მისი გულის მოღობობა მხოლოდ რძით შეიძლება. რძე ხომ ქალის ავხორცობის წვენია.

— ცოდვა ბრწყინვალე საფარს ქვეშ არის დამალული, — თქვა ბაი-აღნა. — მაგრამ მის მიღმა წყვედიადია დამკვიდრებული. განა შეიძლება მიხვდე, შხამიანია თუ არა გველი, როცა მის ლამაზ ტყავს უცქერ?

— განა ეს დაფარულია დიდი ღმერთის, მაჰადევისთვის? — მიუგო მაჰამაის ტაძრის ქურუმმა. — ცოდვა ბნელშია გაბნეული და მხოლოდ მაშინ ახლოვდება, როცა ივიწყებენ. და როგორც კი წაეტანებოთ, იმწამსვე გაქრება. როდესაც დედა მაჰამაი წელიწადის დროთა ლამაზი სამოსით ირთვება ზოლმე, მას ახსოვს ცოდვა. განსაბანად იგი მოუხმობს ღრუბელთ, რომლებიც ოკეანეში ავსებული კოკებით ასხამენ წყალს. მეწამული და ოქროსფერი ყვავილები, სადამო ხანს რომ ჩნდებიან ცაზე — ეს მისი სამოსის კალთებია და მისი ნაზი ფეხები. იგი ირთვება და არ ივიწყებს ცოდვას. მაგრამ როცა მაჰადევის წინაშე ცეკვავს, აღარაფერი ახსოვს...

სხვა სჯულისანი თავჩაქინდრულნი დუმდნენ და ფიქრობდნენ. მათ დამარცხებულად ცნეს თავი ამ კამათში და ახლა უძრავად ისხდნენ, სინანულის გრძნობით შეპყრობილნი. მოჰენჯო-დაროს ღმერთები სიხარულს ანიჭებენ ადამიანებს და ამის საფასურად მდიდრულ შესაწირავს არ ითხოვენ. ეგვიპტეში კი მარტო ერთი წეს-ჩვეულება ადამიანის მუმიად გადაქცევისა აურაცხელ სიმდიდრეს შთანთქავს!

— საოცარია თქვენი სარწმუნოება, — ღუმილი დაარღვია ქვემო ეგვიპტის ერთ-ერთი ქალაქის, ბაჰარის ვაჭარმა, — არათუ ეგვიპტეში, არამედ არც სხვა ქვეყნებში გამიგონია მსგავსი რამ. ნუთუ მეზობელ ქვეყნებშიც — კიკათში, პანეთში, შანიუხსა და კირათში — სცემენ თავყანს ღმერთ-ლინგამს?

— დიახ, — თავმომწონედ მიუგო დიდი ქალაქის ქურუმმა, — ის ხომ ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთია. მასში მდგომარეობს ჩასახვის საიდუმლოება. მას დედამიწის ყოველ კუთხეში ჰყავს ღმერთი-მონები, ღმერთი-მსახურნი, რომლებიც სხვადასხვა ზენთა — ყვავილის, ქირისა და კეთრის — სახეს იღებენ და ისე წარმართავენ ადამიანის გზას;

ისინი დემონების, ავი სულების სახით ევლინებიან ადამიანს და ანადგურებენ მის სიავყეს.

ეს ყველასათვის ცნობილი იყო. ეგვიპტელნიც ავ სულთა მეგობრებად რაცხდნენ თავიანთ ექიმბაშებს, რომლებსაც სწორედ ამით გამოპყავდათ სენი ავადმყოფის სხეულიდან.

პირმოღუშულნი და ბრაზით აღესილნი ისხდნენ ეგვიპტელი ბრძენნი, მათ არ ძალედვათ უარეყოთ ღმერთი-ლინგამის თაყვანისმცემელთა მტკიცებანი. ეს ღმერთი დიდია და ძლევამოსილი. და თუ სამყარო ადამიანისთვისაა შექმნილი, მაშასადამე, შემქმნელი ძალა. რომელიც თვით ადამიანში არსებობს, ყველაზე უფრო აახლოებს მას ღმერთებთან. ესე იგი, ღმერთი-ლინგამი საფუძველია ადამიანის ცხოვრებისა და ამა ქვეყნად ყოველგვარი ცვლილებებისა. სურვილი აღაგზნებს დიდებულ ღმერთს. აღგზნება წარმოქმნის მოძრაობას. ზეცაში, მიწაზე — ყველგან არის დიდი მამაცური ძალა ამ უზენაესი ღმერთისა. სწორედ მას ელტვის თრთოლვით მაჰამაი, სურვილისაგან გაშმაგებული. და როცა მის საშოში მოხვდება თესლი, ის შემოქმედის სახეს იღებს და კვლავ ევლინება ქვეყანას. მაჰამაიმ საუკუნო ძილი გაუფრთხო დიდ ღმერთს. თავისი ძლევამოსილებით მშვენიერმა მაჰადემამ ფერფლით დაფარული ვულკანის მსგავსად გააღო თვალი და იხილა თითქმის ტანშიშველი მაჰამაი. დაინახა რა ქალღმერთი — თავისი არსების უზენაესი ნაწილი, იგი აღაგზნო სურვილმა. ასე შეიქმნა სამყარო. მაჰამაის სიხარულში სამყარომ შეიცნო უსაზღვრო მამაცური ძალა, რომელიც ბედნიერებას ანიჭებს მაჰაიკაცს, ქალს და შთამომავლობას. ღმერთი-ლინგამი მხოლოდ დამანგრეველი კი არა, მფარველიცაა და მეოხიც...

ასეთი პაექრობა ყოველ წელიწადს იმართებოდა დიდ ქალაქში. მოქენჯო-დაროს ჰახელოვანნი ბრძენნი მუდამ ამარცხებდნენ თავიანთ მოწინააღმდეგეთ, რადგან არავის ძალუძს უკუავდოს დამატრობელი სიამე ცხოვრებისა. ერთნი მომავალს უფრთხიან, და სულნი მათნი თვინიერნი არიან, მეორენი უშიშარი სულისა არიან და ისწრაფვიან ყველაფერს დაეპატრონონ. რომელი მათგანი გაიმარჯვებს? ამქვეყნიური უკვდავება არყოფნის უკვდავებაზე უმაღლესია!

მაგრამ მოქენჯო-დარო მხოლოდ თავისი აურაცხელი სიმდიდრით, სიცოცხლის მოტრფიალე სარწმუნოებით და ქურუმთა სიბრძნით როდი იყო სახელგანთქმული. დიდი ქალაქის ვაჭრებს არაფერი ეღობებოდათ წინ და ვაჭრობას ეწეოდნენ ყველაზე შორეულ ქვეყნებთან. მათი ენა გავრცელებული იყო ეგვიპტეშიც, ელამშიც, პარაპაშიც, უმერ-

შიც და კიკათშიც. მეზობელი ქვეყნების მცხოვრებნი თავის ენას ივიწყებდნენ და მოქენჯო-დაროს ენაზე მეტყველებდნენ. ასევე გავრცელდა ღიღებული ქალაქის დამწერლობაც.

ენით, დამწერლობითა და ადათ-წესებით მეზობელი ქვეყნები — კიკათი, კირათი, პანეთი და შანიუ — ღიღად არ განსხვავდებოდნენ მოქენჯო-დაროსაგან. მაგრამ დიდი ქალაქის მკვიდრთ ღია ბრინჯაოსფერი კანი ჰქონდათ და მათთან შედარებით მეზობელი ქვეყნის ადამიანები უფრო შავგვრემანი ჩანდნენ.

მოქენჯო-დაროს მკვიდრნი ლამობდნენ კეთილად ყოფილიყვნენ განწყობილი ყველასადმი. ეგვიპტელებს ისინი სტუმართმოყვარედ ხვდებოდნენ, ზოგჯერ თვითონვე ცდილობდნენ ელაპარაკათ მათ ენაზე, — უჭირდათ, მაგრამ ესმოდათ კი, რადგან ეგვიპტესთან გამუდმებით ვაჭრობდნენ. ქალაქის მცხოვრებთ მოსწონდათ ეგვიპტელი შავი მონები და თეთრკანიანი მონაქალები.

კიკათიდან, შანიუდან და პანეთიდან მოსულნი დიდი ქალაქის მკვიდრთა ენაზე მეტყველებდნენ და ყველაფერში ჰბაძავდნენ მოქენჯო-დაროს მცხოვრებთ. დიდი ქალაქის მკვიდრთ გულში ეციებოდათ მათ ცდაზე, თუმცა მოწონების ნიშნად აქნევდნენ თავს.

ელამელი და შუმერი ვაჭრები ცდილობდნენ მშობლიურ ენაზე ელაპარაკათ, მაგრამ ქალაქის მცხოვრებნი არასოდეს უთმობდნენ და მიაჩნდათ, რომ მხოლოდ ის სიტყვები არიან მოსმენის ღირსნი. რომლებიც მათ ბაგეთაგან წარმოითქმიან, და რომ დედამიწის ზურგზე არ არის სხვა ენა, რომელსაც უნარი შესწევს გამოხატოს მათი გრძობები. სტუმრებიც ძალაუნებურად ემორჩილებოდნენ, ხოლო დიდი ქალაქის მკვიდრნი ერთმანეთთან საუბარში ველურებად იხსენიებდნენ მათ. ეს შეაწარბა, უსახური, მყრალი შუმერები და ელამელნი სულ მთლად სამხრეთელ ტყიურ ტომებს ჰგვანან. დიდი ქალაქის ღმერთებს არა ერთხელ განუდევნიათ მათი ღმერთები; ამიტომაც აღარ შემორჩათ მათ მშვენიერი ქვის ქანდაკებანი.

მოქენჯო-დაროს ქალები ასწავლიდნენ თავის შვილებს:

— ჩვენი ენა — ეს ის ენაა, რომელიც დიდ ღმერთს მაჰადევს და ღმერთქალ მაჰამაის აურჩევიათ სასაუბროდ. პირველი ბგერა ჩვენი ენისა მაჰადევმა წარმოთქვა. ეს ბგერა დავიჭირეთ ჩვენ და შეგვიძლია გავიმეოროთ დოღზე, რომელიც თიხისგანაა გაკეთებული და თხის ტყავი აქვს გადაკრული...

ყმაწვილები ყურად იღებდნენ თავიანთ დედათა სიტყვებს.

— ჩვენს წინაპრებს უნახავთ წმიდა ცეკვა დიდი ღმერთის, მაჰა-

დევისა. გუგუნი, რომელიც მის ცეკვას ახლდა, ხეობებს მოედო და ექოდ იქცა. ქარმა მთელ დედამიწას მოჰფინა იგი. შორეულ ქვეყნებში მცხოვრებმა უცხო სჯულის ადამიანებმა მიჰბაძეს ამ ბგერებს, მაგრამ მათ კარგად ვერ გაარჩიეს ისინი და ანიტომაც ლაპარაკობენ ხალხები სხვადასხვა ენაზე.

— მერე? — ეკითხებოდნენ ბავშვები.

— მერე გავიგონეთ, როგორ ელაპარაკებოდა მაჰადევი მაჰამაის.

— ნუთუ თქვენ თვითონ გაიგონეთ?

— არა, ჩვენმა წინაპრებმა გაიგონეს, — უხსნიდნენ დედები. — და მას შემდეგ ჩვენი ხალხი ჰირველია დედამიწაზე. მაჰადევი მამაა ჩვენი, ხოლო მაჰამაი — დედა. როცა უბედურება დაგვატყდება ხოლმე თავს, ყველანი ევედრებიან ქალღმერთ მაჰამაის — გვიხსნას ამ უბედურებისაგან, და ისიც სდევნის თავის გაავებულ ვაჟს აპირაჯს, რათა აღმოთხვრას ცოდვა. მაგრამ აპირაჯი გველის ტყავს გაიძრობს და გარბის. და მაშინ, შვილის ეშმაკობით მოტყუებული, ქალღმერთი მაჰამაი ეშვიდდება. მაგრამ უბედურება კვლავ გვიქადის ჩვენ, და ადამიანები წყალობას სთხოვენ ღმერთ აპირაჯს, მაჰადევის ყველგან მყოფ ძეს...

— კი მაგრამ, რატომ შეეძინათ მაჰადევსა და მაჰამაის ასე ავი შვილი? — ცნობისმოყვარედ კითხულობენ ბავშვები.

დედები მიუგებენ:

— ახლა ამას ვერ მიხვდებით... რასაც გუუბნებიან, ის გწამდეთ... ღმერთებს აუგად არ იხსენიებენ...

ესეც საკმარისი იყო იმისათვის, რომ ბავშვები დაერწმუნებინათ.

შეადღეა. ისმის, როგორ უკრავენ საზეიმოდ დოღს. პაპანაეებია, მაგრამ მონები მაინც დაფუსფუსებენ შინა ეზოში. მათი ფეხის ხმა მთელ სასახლეს ეღება: ეზო გამომწვარი თიხის ფერადი ფილებით არის მოფენილი, ლოტოსის უზარმაზარ ყვავილს რომ ქმნიან.

ვენი სარეცელზე მიწოლილიყო, თან დაბნეულად უგდებდა ყურს ხმებს, რომლებიც ირგვლივ გაისმოდა. მანიბანდჰმა უთხრა:

— ნილუფარი ჩემგან დანდობას ვერ ეღირსება. მან ხომ სასტიკად შეურაცხავო, მშვენიერო! მისი ვერაგობა ყოველგვარ საზღვარს გადასცდა.

ვენიმ შემკითხველი მზერა მიაპყრო ვაჟარს.

— ნილუფარს სურდა მეც მოვეტყუებინე და პოეტიც. მან განიზრახა ძვირფასეულობა და ფული გაეტაცა და გაქცეულიყო. მაგრამ შენ მიხსენი, ვენი! შენ გადამარჩინე ამ მოშხამულ ხაფანგს. მე ნარტ-ვიყავი, მე დამქანცა ცხოვრებამ. და სწორედ ამ დროს შემომხვდა ცხოვრების გზაზე ის ეგვიპტელი ლამაზმანი. ქალბატონად ვაქციე-ოქროებში ჩავსვი, და იგი გაამაყდა. — ეგონა, ჩემს გულს დაეუფლა და თავისი მშვენიებით მთელ სამყაროს დაიპყრობდა. მაგრამ მე არ მიყვარდა იგი, ვენი! გულში დავცინოდი. ნილუფარს არ ჰქონდა ჭეშმარიტი ქალის გული, ის მარტოოდენ მონა იყო, სხვის ოქროს დახარბებული. მთელ ჩემს სიმდიდრეს დაეპატრონა, მაგრამ არც მამონ უწყებია სიყვარული ჩემთვის...

მანიბანდჰი გაჩუმდა. დამწუხრებული ჩანდა, და ყველა გაკვირდებოდა, მისი შემყურე.

— დიდებულო! რამ დაგაღონათ? — გაიოცა ვენიმ. — თქვენ ხომ ლომივით ძლიერი ხართ...

მანიბანდჰი წამოდგა და აღელვებულმა ოთახში გაიარ-გამოიარა. უეცრად ვენის საწოლთან შეჩერდა და თქვა:

— თვითონაც არ ვიცი, რა მინდა!..

ვენიმ ვაჟარს ხელზე მოჰკიდა ხელი, სარეცელზე დასვა და ალერსიანად უთხრა:

— რა შეიძლება ისურვოს კაცმა... — მან თმა უკან გადაიყარა. —



გარდა სიყვარულისა, დიდებულო? უსიყვარულოდ ადამიანს ემძიმება ცხოვრების ტვირთი.

ისინი პირისპირ იყვნენ. მანიბანდჰის ნბრძანებლური მზერა ვენის თვალებსკენ იყო მიპყრობილი. ქალმა თავი დახარა, მოკრძალების მსუბუქმა ჩრდილმა გადაურბინა ლოყებზე. მან ააღელვა მანიბანდჰი.

— ვენი, შენ სამოთხე ხარ ამა ქვეყნისა! — აღფრთოვანებით წარმოთქვა მან. — შენ არ ელტვი სიმდიდრეს. ამიერიდან მე მძულს ჩენი განძეულობა. ცეცხლის ენებივით მწვავს თვალებს ოქრო. ვერასოდეს ვერ ვიკლავდი სიმდიდრის წყურვილს. აქამდე მე ვიყავი ოქროს მფლობელი, ახლა კი ოქრო თვითონ დამეუფლა და შთანთქმას მიქადის. ხსნა არსაით არის! ხელი წამომამშველე, ვენი! მითხარი: „შესდექ, მანიბანდჰ, შესდექ!“

იგი დადუმდა. ვენი მიბნედილი და ღონემიხდილი იჯდა მის წინ. მკერდი ყოველ ამოსუნთქვაზე აუღ-ჩაუდიოდა. მანიბანდჰი ხელში სწვდა ქალს და მიიზიდა. მხურვალე შეხებისაგან საფეთქლებმა დაუწყო ცემა ვენის, სახეზე ვნების თრთოლვა გამოეხატა. მათი თვალები ერთმანეთს შეეფეთნენ, ისინი ურთიერთისკენ მიიზიდნენ და უკვე აღარ შეეძლოთ ამ სიახლოვის მომხიბლაობას აღდგომოდნენ წინ. თითქოს თვით ზეცამ იწყო ძირს ჩამოსვლა და მიწაც მის შესაგებებლად წამოიძარათა. მანიბანდჰის მხურვალე სუნთქვა შეეხო ვენის ტუჩებს...

ამ დროს ვიღაცას ცხვირი დააცემინა. გაისმა გესლიანი სიცილი ვენი უკან გახტა. როცა ქალს ამგვარ ყოფაში წაასწრებენ. მას სურს მიწა გასკდეს და თან ჩაიტანოს. მანიბანდჰმა ხელი გაუშვა მოცეკვავეს და გაშმაგებული წამოდგა. მრისხანედ შეკრა კოპები. ვინ გაბედა ასეთი გაუგონარი თავხედობა გამოეჩინა? ახლა მანიბანდჰი ჰგავდა იავარმყოფ რისხვას, ჰგავდა თვით სიკვდილს; იგი კარებისაკენ გაეშურა.

— ეჰეი, მონავ! — დაიღრიალა ვაჰარმა.

— გახლავარ, ბატონო! — მიუგო თვალის დახამხამებაში შემოსულმა მსახურმა.

— ცხვირი შენ დაგაცემინა?

— არა, დიდო ბატონო! განა მე უფლება მაქვს...

დაიწყეს დამნაშავეის ძებნა. მანიბანდჰი ვერა და ვერ დაშვიდდა. ისევ მოიხმო მონა.

— შენ დაინახე? — ჰკითხა მანიბანდჰმა.

— ვინა, ბატონო?

მხოლოდ ნილუფარს შეეძლო გაეხედა ამგვარი რამ. მაგრამ ვენის წინაშე მისთვის საძულველი სახელი ეხსენებინა?! ან კი როგორ შეიძლებოდა აქ ყოფილიყო ის მონაქალი?

— ვინა და — ვისაც ცხვირი დააცემინა... — ყოყმანით თქვა მანიბანდჰმა.

— არა, დიდო ბატონო.

— კარგი, წადი!

მონა გავიდა. კინალამ სიცილი წასკდა, — თვითონ დააცემინა ცხვირი. მანიბანდჰის ბრძანებით მთელი სასახლე გულმოდგინედ გაჩხრიკეს, აქშიამ ხელახლა გადააქოთა მონათა სენაკები. ჰეკასთან რომ მივიდა, ჩვეულებრივი საუბარი გაუბა. „ვერავენ გაიგებს“, — არწმუნებდა ქალს. მაგრამ ჰეკამ სთხოვა რაც შეიძლება ჩქარა დაეტოვებინა ოთახი, რადგან აპაპი უნდა მოსულიყო. არ ღირს კიდევ ერთხელ შევხვედ იმ შავ ეშმაკსო. — გაიფიქრა მოურავმა და განშორდა.

ნილუფარის გახსენებაზე სიშმაგე ერეოდა მანიბანდჰს.

ახლა მან იცოდა, რომ ეგვიპტელი რომელიმე საიდუმლო ადგილას იმალებოდა, და მწარედ ნანობდა, რომ ოდესღაც უამბო ამ ადგილთა შესახებ. მხოლოდ ვაჭარმა და ნილუფარმა იცოდნენ ეს ადგილები. და მანიბანდჰი თვითონ გაემართა ეგვიპტელის საძებრად.

ერთ-ერთმა მონამ დაინახა, როგორ შევიდა ბატონი თავის პალატაში. იგი უკან გაჰყვა; მაგრამ, თავისდა გასაოცრად, ოთახში ვერავენ ნახა. მაშინ საგონებელში ჩავარდნილი მსახური კარებთან ჩამოჯდა და თავის პატრონს დაუწყო ლოდინი. გავიდა დიდი ხანი. უცებ გარედან ნოესმა მბრძანებლური ხმა. მონა პალატიდან გამოვიდა და — ჰოი, საოცრებაჲ! — გარეთ მანიბანდჰი დაინახა! მერე იგი დიდხანს ფიქრობდა ყოველივე ამაზე, მაგრამ მაინც ვერაფერს მიხვდა...

ნილუფარი ჩალაში იჯდა და ბაიბურშიაც არ იყო. მოირბინა ჰეკამ და კართან ჩამოჯდა. მალე მოვიდა აქშიამც. მან პირობა ჩამოართვა ჰეკას, რომ ღამით მასთან მისულიყო, და სასწრაფოდ გასცილდა.

— იცი, რატომ მოვიდა? — შეეკითხა ჰეკა.

— არა! მიუგო ნილუფარმა.

— ისევ გეძებენ.

ეგვიპტელი შეერთა.

— მაგრამ ვერც ახლა გიპოვიან.

ჰეკას ხმაში დაცინვა გამოსჭვიოდა, გეგონებოდა მისთვის მხოლოდ გართობა იყო ეს ამბავი.

— თუ იცი, რატომ გეძებენ?

— რატომ?

ნილუფარმა მოისმინა ჰეკას ნაამბობი და სიცილი წასკდა.

— დღეს მანიბანდჭი უთუოდ გაჩხრეკს სასახლის ყველა საიდუმლო ადგილს, — დაფიქრებით თქვა მან. — მაგრამ რას ნახავს იქ? მტვერს?

ჰეკა დუმდა.

— ახლა კი აღარ დავრჩები აქ!

— რატომ?

— არ შემიძლია დარჩენა!

— ნაგის მეტი ვერაფერი მოიფიქრე? — წაიბუზღუნა ჰეკამ.

— არა, კიდევ!

— მაინც რა?

— დღეს ისევ წავალ დღესასწაულზე.

— დღესასწაულზე?! — წამოიძახა ჰეკამ. — მერე, მანიბანდჭმა რომ განახოს? ტყავს გაგაძრობს!

— ოჰ, როგორ მიყვარს დღესასწაულები! მე ხომ დარდი მომკლავს, ჰეკა!

— კარგი, ქალბატონო, — უკმაყოფილოდ უთხრა ჰეკამ. — რაც გინდა, ისა ჰქენი!

ლოყაზე კურცხალი ჩამოუგორდა ჰეკას — ერთადერთი პატარა კურცხალი. ნილუფარი გაკვირვებული შეჰყურებდა.

— სტირი?

— განა შენ დაგარწმუნებს ვინმე? მას ხომ შეუძლია ცოცხლად დაამარხვინოს შენი თავი ანდა მწვევრები მოგისიოს!..

ამის გაფიქრებაზე ორივეს ჟრუანტელმა დაუარა ტანში.

— გგონია, იმიტომ მივდივარ, რომ შენთან ყოფნა არ მინდა? — ჩემად უთხრა ნილუფარმა.

პასუხი არ იყო.

— შენ არ მისმენ?

— რაზე მელაპარაკები? — ჰკითხა ჰეკამ.

— აპაპი ხომ შენი გულისთვის იტანჯება...

— არ მესმის შენი.

— ჩემს გადასარჩენად შენ აქშაისთან დადიხარ, და ეს სწყინს აპაპს. თუ არ წავედი, შემიძულეფს, რადგან მე ხელს ვუშლი თქვენს ბედნიერებას.

ჰეკამ მტკიცედ თქვა:

— მე მოვაგონებ აპაპს, რომ მისი ცოლი არა ვარ. აქშიმ რომ

დიდებულ ვაქარს შესჩივლოს, ამ უკანასკნელს შეუძლია, რომელი ჩვენთაგანიც მოესურვება, ის გააყიდოს მონათა ბაზარში. მე ბატონს ვეკუთვნი. აბა ერთი გაბედოს აპაპმა და მისაყვედუროს, მე შევახსენებ. რომ იგი მონაა. სიამაყე რა მაგის საქმეა!

ნილუფარმა თავი დახარა.

— გახსოვს, როგორ მოიქცა აპაპი, როცა ბატონმა აქშაის მისცა ჩემი თავი? სად იყო მაშინ მისი ძალა? ნილუფარი შენ რომ ქალბატონი არ გამხდარიყავი, ვფიცავ, ჩვენს შორის არ იქნებოდა მსგავსი კამათი. ვიცხოვრებდით მშვიდად, როგორც ყველა მონა ცხოვრობს, არც წუთისოფლის სამღურავი დაგვცდებოდა ოდესმე.

ნილუფარი დუმდა. მერე უცებ განაცხადა:

— მაინც წავალ დღესასწაულზე.

— მე კი მანიბანდძთან მივალ! — დამცინავად მიუგო ჰეკამ.

ნილუფარმა გაუღიმა.

— რა გაბრაზებს? ჰეკაზე კი არ შევმძლავრავარ. მამაკაცის ტანისამოსში ვერავინ მიცნობს.

— დღეს რატომღაც ვშიშობ შენზე!

— გატყობ, შენს აპაპზე უფრო შეგყვარებივარ!

— ნუ ამბობ აგრე, ნილუფარ!

— რაო, სიყვარულის გაყოფა არ შეიძლება? — გაიხუმრა ნილუფარმა და ოხვრით დასძინა: — ჰეკა! მე რომ აპაპის მსგავსი სატრფო მყავდეს, ბედნიერი არ ვიქნები?!

ჰეკამ თვალი გაუსწორა.

— შენ თვითონ არ ამბობდი ბავშვობაში: ჰეკა, შენ მხეცის კუთვნილება იქნები, ნილუფარი კი ქალბატონი გახდებო? გახსოვს ის ვარსკვლავთმრიცხველი?

უცებ ნილუფარი ატირდა. ჰეკამ გულზე მიიხუტა და თვითონაც გადმოსდინდა თვალთაგან ცრემლი.

...საღამოვლებოდა. ცის კიდეებს ჩრდილები ამოფარებოდნენ, რათა, როგორც კი ღამე შემოაბიჯებდა, სანგრებიდან ამოხტარიყვნენ. აპირაჯის ტაძრისკენ მიეშურებოდა ხალხი.

აპირაჯის დღესასწაული წმიდათა წმიდა იყო ინდის ხეობის ყველა ქვეყნისთვის. ის ყოველწლიურად იმართებოდა შრავანის თვის ნათელი ნახევრის მეშვიდე დღეს. შარშან შეწირულმა მსხვერპლმა ვერ მოუღბო გული დიდ ღმერთს. შიშშილი ტანჯავდა მას, და დიდმა ღმერთმა თავისუფლება მისცა რისხვას, შეარყია და დაამსხვრია ყველაფერი თავის მიწისქვეშა სამეუფოში. „ზემოთ რომ არ ამოიჭრეს,

კვლავ უხვად უნდა შეეწიროთ მსხვერპლი“, — გადაწყვიტეს მოქენჯო-  
დაროს ქურუმებმა.

„რატომ არ მოალბო ქალღმერთ მაჰამაის გული ამ ბრწყინვალე და  
მდიდრულმა შესაწირავმა?“ — შეშფოთებული ეკითხებოდნენ ერთმა-  
ნეთს მოქენჯო-დაროს მცხოვრებნი. მიწა კვლავ ირყეოდა რისხვისაგან,  
კიდევ უფრო საშინელი იყო მისი მრისხანება. ქალაქის ყველაზე ბრძე-  
ნი ადამიანები დიდხანს ეთათბირებოდნენ უმაღლეს ქურუმს და გადა-  
წყვიტეს, რომ მხოლოდ გველთა მეფისათვის მსხვერპლის შეწირვა  
გამოისყიდდა მათ ყველა ცოდვას. სალოცავად მოსულ სხვა ქვეყნის  
მკვიდრთაც შიში ტანჯავდათ: ან აღსასრულის ჟამი ღვება, ანდა ღმერ-  
თები მრისხანებენ! ცეცხლის ღმერთ ფთაჰს მუდამ უხსნია ეგვიპტელი  
ხალხი მიწისძვრისაგან. მაგრამ მოქენჯო-დაროს ხომ აროდეს დასტყ-  
ლომია თავს ამგვარი უბედურება!

და ქალაქის მცხოვრებთ ქურუმს მიმართეს. დიდი უბედურება  
ზომ არ ემუქრება მათ? იქნებ ქალაქს მოევიღნა საშინელი ცოდვილი,  
და ღმერთებს არ ძალუძთ შეუნდონ? ვინ არის იგი? დიდებული  
მანიბანდჰი ხომ არა? მაგრამ შეცოდება არ შეიძლება მომდინარეობ-  
დეს მამაკაცისაგან, ყოველი ცოდვის უპირველესი მიზეზი დიაციო.  
როგორ შესცოდავდა მამაკაცი, ქვეყნად ქალი რომ არ ყოფილიყო?  
ჰაშასადამე, ყველაფერი იმ ნახევრად შიშველი ეგვიპტელი მომღერ-  
ლის ბრალია! მან დაარღვია დიდი ქალღმერთის, მაჰამაის სადიდებლად  
მიძღვნილი ცეკვა.

ქურუმმა ყველას განუმარტა, რომ ქალღმერთმა მაჰამაიმ მიიღო  
ეს ცეკვა, მაგრამ იგი მაშინ განრისხდა, როცა უცხოელმა მომღერალმა  
გაბედა ჩასწვდომოდა ცეკვის საილუმოებას. მართალია, ქურუმმა  
სახეზე ღიმი შენიშნა ქალღმერთს, როცა დრავიდმა მოცეკვავემ გაი-  
მარჯვა, მაგრამ იმ დროს ქალღმერთი ურწმუნო ეგვიპტელი მომღერ-  
ლის დამარცხებით ხარობდა და ქალაქის მკვიდრთა ვედრება მიავი-  
წყდა.

ხალხი გაფაციცებით უსმენდა ბრძენი მოხუცის სიტყვებს, — ვინ  
უწყის უკეთ ღმერთების საქმე? ადამიანთა თავდადებულ სამსახურში  
გაჭაღარავდა ქურუმი, სიწმინდის ნათელს ჰფენს მათს ცოდვილ სამ-  
ყაროს, თუმცა ღმერთებმა ჯერ კიდევ მრავალი წლის წინათ დართეს  
ნება იოგთა დიდი მეფის მსგავსად მისცემოდა წმიდა თავდავიწყების  
უსაზღვრო სიამეს!

აპირაჯის დიდებული ტაძარი სწრაფად ივსებოდა ხალხით. ტაძრის  
პისავალთან უზარმაზარ ქვებზე ამოკვეთილი იყო სცენები ღმერთთა

ცხოვრებიდან. ერთ-ერთ ქვაზე ქალიშვილები რძით კვებავდნენ გველს, მეორეზე ღმერთ-გველს ზეცისკენ აღეპყრო თვალი და თავის მშობლებს შესცქეროდა. ალაგ-ალაგ კედლები დაფარული იყო მბზინვარე წითელი ფისით, და ეს იწვევდა ფერთა საოცარ ლივლივს.

ტაძრის წინ აღმართული იყო კვარცხლბეკი დიდგვაროვანთა და მდიდარ სტუმართათვის. არაბმა ვაჭრებმა წინა ადგილები დაიკავეს — ასე ჰქონდათ შემოღებული წესად: არაბეთშიც სცემდნენ თავყანს გველებს, თანაც ამ ადამიან-წესების ხნოვანება ათასეულ წლებს ითვლიდა. ძალიან კი ეწყინათ ეგვიპტელებს, მაგრამ იძულებული გახდნენ, მათ უკან დამსხდარიყვნენ. მანიბანდის ეგვიპტელი სტუმრები უკმაყოფილონი იყვნენ: არაბეთი ფარაონს ემორჩილება, და ყოველი მათგანი არაბისათვის მეფის სწორია! მაგრამ დიდი ქალაქის წეს-ჩვეულებები კანონი იყო სტუმართათვის.

ამენ-რა ეტლიდან ჩამოხდა, მტკიცე ნაბიჯით ავიდა კვარცხლბეკზე და მანიბანდის გვერდით სავარძელზე დაჯდა. დიდებული ვაჭრის მარცხნივ იჯდა ვენი. ცეკვის ზუსტი შემფასებელი ვინა მტრული თვალით უმზერდა მას. ის იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც ვენის ზურგს უკან აქებდა ეგვიპტელი მომღერლის ღირსებებს. მას სწამდა: მაშინ რომ კვარცხლბეკზე ნილუფარი არ გამოჩენილიყო, ქალღმერთი მაჰამაი კიდევ უფრო განრისხდებოდა.

ჩამოხნულდა. მონებმა უამრავი ლამპარი ანთეს. მცველებმა საყვირები შემართეს და ხმამაღლა ამცნეს იქ მყოფთ დღესასწაულის დაწყება. ხალხი დადუმდა. თანდათან გამეფდა სიჩუმე.

გამოვიდნენ მშვენიერი ყმაწვილი ქალები. მათ თავიანთი სიწმინდე შეჰფიცეს აპირაჯს და მსხვერპლად რძე შესწირეს. გაისმა მუსიკა, ხალხი აღფრთოვანების ღუმილით ადევნებდა თვალს ამ წმიდა სანახაობას. ადამიანები მოვიდნენ აქ, რათა ცოდვათაგან გაწმენდილიყვნენ და გამოეთხოვათ წყალობა აპირაჯისაგან, ანდა თვით დიდი ღმერთისაგან!

ქურუმებმა წრე შეკრეს და საზეიმოდ დაანთეს წმიდა ცეცხლი. შემწვარი ხილის სურნელი დატრიალდა ირგვლივ. ყველანი წამოდგნენ. უხუცესმა ქურუმმა ნაბიჯი წარდგა. მისი პატივისცემი ასაკი სიმშვიდეს ჰგვრიდა ქალაქის მკვიდრთა გულებს, — ასე მიიჩნევს ბავშვი მამაზე ძლიერად პაპას, რადგან მასაც კი საკმარისი ჰქუა აქვს, რომ გაიგოს, ვინ ლოცავს ყველას და ვინ აძლევს ხოლმე ბრძნულ რჩევა-დარიგებას, როცა ოჯახში უბედურება დატრიალდება. მოხუცი უკვე აპირებდა განდგომოდა ამა ქვეყანას, მაგრამ დედამიწის მრისხანე გრგვინვამ მო-

იყვანა აქ, ამ ზეიშზე, რათა სათავეში ჩასდგომოდა ქურუმებს, აღმასრულებელთ წმიდა წესისა, რომელსაც მოსალოდნელი უბედურებისაგან უნდა ეხსნა დიდი ქალაქი.

— წყვლიადმა მოიცვა მიწა, — მთრთოლვარე ხმით ამბობდა უხუცესი ქურუმი. — საუკუნო ძილი გაუფრთხა დიდ ღმერთს. მაჰამიმ გამოაფხიზლა დიდი ღმერთი თავისი ზარების წკარუნით, ხელის მოქნევით ააღელვა ოკეანე, როგორც ბავშვი შეანჯღრევს წყლიან ქოთანს. ყოვლად ძლიერმა ღმერთმა თვალი მოჰკრა თავისი მეუღლის ვნებით დათრობას და განრისხდა, მაგრამ საპასუხო ვნების სახმილიც მოედო. სწორედ ამისგან შეეძინათ ვაჟი, — და იგი შენ იყავი, აპირაჟ! წინაპართაგან ვიცით, რომ იგი შენ იყავი — გველთა დიდო ღმერთო!

მას შემდეგ მრავალმა თაობამ ჩაიარა. ერთხელ მაჰამიმ დაინახა, რომ მისგან რჩეულ ხალხს ველურები შეესივნენ, და მან ძალ-ღონე შთაბერა თავის ხალხს. თვით დიდი ღმერთი შეებრძოლა ველურ ტომებს და მათ ტყეებსა და მთებს შეაფარეს თავი. და მაშინ მაჰამაის შეუყვარდა დიდი ღმერთი და მოუხმო მას დღისით, და მოუხმო ღამით. მაგრამ მაჰადევმა პირი იბრუნა მისგან და ფიქრს მიეცა. მაჰამაი აქვითინდა, და შენ, აპირაჟ, დაინახე მისი ცრემლები, და შენც მოგედო ცეცხლი ვნებისა. და მაშინ წყვლიადმა მეგობრული ხელი გამოგვიწოდა შენ.

ჰოი, გველთა შორის უდიდებულესო! შენ მოწყალე ხარ ადამიანთა მიმართ, რადგან ისინი თავყანს გცემენ. უკუნ ღამეში, როცა შენი თავსაბური ცაში გაიშლება, ქალწული-გველი მოდის შენთან, სამკაულებით გრთავს, და მრავალი ძვირფასი თვალი იწყებს ბრწყინვას ზეცაში. მაგრამ როგორც კი ირიყრაყებს, იმწამსვე შენს სასახლეს მიაშურებ ხოლმე.

მაშ რად მრისხანებ ახლა, ღმერთთა ღმერთო? ჩვენ ხომ მარტო-ოდენ ადამიანები ვართ, ყველანი მშვიდად და სიყვარულით ვცხოვრობთ. და ჩვენი მახვილნი ძალადობისათვის კი არა, ჩვენთა სულთა სახსნელად გვაქვს ამოწვდილი. ნუთუ სამყაროს ჰეშმარიტად უწერია დაღუპვა? ნუთუ ეს ქვეყანა უკაცური გახდება? ჰოი, აპირაჟ! ნუ დაგვსჯი მკაცრად ჩვენი ცდომილებისათვის! მოგვიტევე და შეგვიწყალე!

მოხუცი ქურუმი დაღუპდა და თავყანი სცა აპირაჟს. მას მიჰბაძა ზღვა ხალხმა.

კვარცხლბეკთან გამოვიდნენ გველების შემლოცველნი, რომლებიც ინდის ხეობის ყველა კუთხიდან მოსულიყვნენ დღესასწაულზე. მათ კალათებიდან ამოიტყუეს თავიანთი აღზრდილნი და დაუწყეს რძის

კმევა, რასაც ყმაწვილი ქალები აწვდიდნენ ბრბოდან. გველები რომ გააძლეს, შემლოცველებმა სალამურზე დაკერა დაიწყეს. გველები მელოდიის ტაქტზე ირხეოდნენ, და მალე მათმა ცეკვამ გაიტაცა ხალხი. მოჯადოებულებით მიშტერებოდნენ ისინი მათ მაგიურ მოქმედებას. ქურუმის ნიშანზე შემლოცველებმა თავ-თავიანთი სალამურება შეინახეს, ქვეწარმავალნი კალათებში ჩასხეს და ხალხს შეერივნენ.

ჩამოვარდნილ სიჩუმეში მოხუცმა ქურუმმა განაგრძო:

— შენ ახლა წყურვილი მოიკალი, აპირაჯ! ჩვენთა დიაცთა რძემ სიაში მოგვევარა და წყურვილი მოგიკლა, ჰოი, აპირაჯ! ნულარ შეარყევ მიწას აგრე მრისხანედ, ტანჯვას ნუ მიაგებ მის გულს! შეგვიწყალე, უფალო! ცოდვანი ჩვენნი ჩვენი უვიცობისაგან წარმოდგებიან! ნუთუ შენ არ მოგვიტყეობ, — შენ, ერთადერთო ნაყოფო დიდი ღმერთის მწველი ვნებისა?

ეს რომ თქვა, უხუცესი ქურუმი ისევ თავის ადგილზე დაჯდა. დანარჩენებიც დასხდნენ.

დაიწყო ცეკვები და გალობა. დიდი ქალაქის ჰეტერები და მოცეკვავენი კვარცხლბეკზე შეხტნენ და გაშმაგებით დაიწყეს როკვა. რათა დაეცხროთ აპირაჯის ვნება. თითქოს უსაზღვრო ავხორცობამ აიდგა ფეხი და ცეკვას უვლიდა იქ მყოფთა თვალწინ! თავისკენ მიმხმობი მხურვალე მზერა! ფეხებზე შემბმულ რგოლთა წარმტაცი წკარუნი! ოდესღაც მამამიამ გამოაღვიძა დიდი ღმერთი-ლინგამი, და ახლა შავთმიანი ლამაზმანები თითქოს იმეორებენ მის ცეკვას. ისინი გახელებული ცეკვავენ ბრბოს წინაშე, გრძელი თმა ზონრებით აუკრავთ, წარბები ალტაცებით აუქგიბიათ და დიდრონ თვალებს გზნებით ატრიალებენ. ტბილხმიანი ჰეტერები ხმამალლა გალობენ ვნებიან სიმღერებს. როცა ისინი ღუმან, მრისხანედ ბუბუნებს დოლი და ისმის შოცეკვავეების რგოლთა წკარუნი.

ჰოი, ღედაკაცო, ვნებით აღსავსევე, მზის სხივის დარად სითბოს მომგვრელო! შენი შეხებისაგან თოვლთა დიადი სავანის მარადიული ყინულებიც კი ლხვებიან და ბობოქარ ნაკადებად გარდიქმნიებიან. ციური ვარსკვლავნიც კრბებიან შენს ირგვლივ, მსგავსად ფარვანებისა. ჰოი, ცეცხლის ენებო, ყმაწვილური სილამაზის არილად გზნებულნო! ნუმც შეწყვეტილა თქვენი თრთოლვა, ურომლისოდაც ჩვენი გულები გაჩერდებიან, რადგან ისინი თქვენთან ერთად ცეკვავენ ახლა!

პირველმა მოცეკვავემ ხელები ავხორცულად გაშალა. პირი აპირაჯისკენ მიაბრუნა და გაირინდა. ვნებისაგან მორღვეული ლამაზმანის უშველებელი ჩრდილი დაეცა აპირაჯის ქანდაკებას, გეგონება ქალი



მართლაც მოეხვია ღმერთს! ხალხი თავდავიწყებით ადევნებდა თვალს მოცეკვავეებს, რომლებმაც დიდ ზართან მიიბრინეს და რეკვა ასტეხეს. ყველაფერი შეკრთა და შეთრთოლდა ირგვლივ. ლითონის ბუბუნი ჯერ ტაძარს მოედო, მერე კი ოკეანისაკენ გატურდა.

ქურუმებმა ერთბაშად წამოიწყეს საგალობელი:

„დიდი ხარ, უფალო, და ამაღ გვეშინის შენი!

დიდი ხარ, უფალო! მზე და მთვარე სანათებივით ბეუტავენ შენ წინაშე!“

მათ აპყვა ბრბო:

„მფარველო ჩვენო! მოგვიტევე! ჰოი, დიდო ღმერთო! დაიცბრე ავხორცული ვნება შენი!

ჰოი, დიდო ღმერთო, მოგვიტევე შეცოდებანი ჩვენნი! ქედმოხრიალნი მორჩილად ვდგავართ შენ წინაშე!“

ძლიერი ხალხმრავალი გუნდი დადუმდა. ქურუმებმა ხმა აღიმაღლეს:

„ყოვლად ძლიერო ქალღმერთო მაჰამაი! უბოძე შენი სიყვარული შენს ძეს! მომნიჭედ ექმენ ძესა შენსა!“

ეს სიტყვები თითქოს მალა, სულ მალა აიჭრნენ და აი, უკვე თვით მაჰამაი ისმენდა მათ...

მოცეკვავეებმა თავყვანი სცეს აპირაჯის ქანდაკებას და კვარცხლბეკიდან ჩამოსვლა იწყეს. ხალხი ერთხმად მიესალმა მათ და მიწყნარდა. უცებ ტაძრის მისავალთან გაისმა შეძახილები. ყველანი აღელდნენ. ვერავინ გაიგო რა მოხდა. ხმაური ძლიერდებოდა. მცველები გასასვლელს ეცნენ, მაგრამ შეძახილები მაინც არ წყდებოდა: ეტყობა, მოსულთ ვერ დაემალათ თავიანთი დარდი, ლოდივით რომ აწვათ გულზე. ხალხს უნდოდა გაეგო ამ არეულობის მიზეზი და თვითონაც ყვირილს მოჰყვა. ამ ველურმა ხმაურმა თვალბედითი ჩრდილივით გადაურბინა დღესასწაულს და ყველას ნალველი მოჰგვარა. სიხარული ჩაქრა.

კვარცხლბეკზე მსხდარ წარჩინებულ მოქალაქეთ კვლავ ღირსეულად ეჭირათ თავი და ცდილობდნენ არ გამოემყდენებინათ ცნობისწადილი, მაგრამ ისინიც ღელავდნენ. ეტყობა, ისევ ჩაიშლება დღესასწაული! პირადი მცველები თავ-თავიანთ ბატონებს მიუახლოვდნენ. სანათთა შუქზე ალაპლაპდნენ მათი მახვილნი და შუბები. ისინი სალტესავით შემოერთყნენ დიდგვაროვანთ. მცველები ტანადი, ღონიერი, მამაცი და პირქუში იყვნენ. სასმელ-საჭმელი მცველებს თავსაყარი

ჰქონდათ, მაგრამ სამაგიეროდ საშიშროების უამს თავი უნდა გაეწი-  
რათ — მათი სიცოცხლე ბატონებს ეკუთვნოდა.

ქურუმები მრისხანედ გადმოსცქეროდნენ ბრბოს. ჰალარა წარბები  
მალა აეწიათ, გეგონება კითხულობენო: განა ეს უნდა ჩვენგან  
ღმერთს? განა მას არ აღაშფოთებს ეს ხმაური? რად გაჰკვირან ასე  
გულშემზარავად ვილაც ადამიანები, თითქოს სიკვდილის აჩრდილი  
დაჰფარფატებოთ თავს? მოჰქნჯო-ღაროში აქამდე არავის გაუბედავს  
ასე თავხედურად ეყვირა. მაშ რა ხდება? იქნებ უცხოელნი ყვირიან?  
მაგრამ მათი ხმის ცნობა ძალიან ადვილია...

ვენი მანიბანდჰისაკენ დაიხარა:

— დიდებულო, რა მოხდა?

მანიბანდჰმა ერთ-ერთი თავისი მცველი მოიხმო.

— ულას! რა ხდება იქ?

— არ ვიცი, დიდო ბატონო!

მანიბანდჰმა ხელით ანიშნა, და იგი ბრბოში გაუჩინარდა. მისი  
ადგილი სხვა მცველმა დაიკავა.

ხმაური თანდათან ძლიერდებოდა. წარჩინებული ქალაქის მკვიდ-  
რნი მღელვარებით შეჰყურებდნენ თავიანთ მცველებს — მზად არიან  
თუ არა ჩვენს დასაცავადო. მაგრამ მანიბანდჰი შშვიდად ელოდა ულა-  
სის დაბრუნებას და სრულიადაც არ იმჩნევდა, რომ ღელავდა.

მცველები აქეთ-იქით აწყდებოდნენ და რალაცას უბრძანებდნენ  
მონებს. ისინი ჩირაღდნებით ხელში მიმობრბოდნენ, და ცეცხლის ენები  
მოუსვენრად იკლავებოდნენ და ცეკვავდნენ ჰაერში.

შუმერ მეომრებს, რომლებიც დღესასწაულს ესწრებოდნენ, არ  
მოსწონდათ ყოველივე ეს. ისინი განრისხებულნი იყვნენ: როგორ  
შეიძლება ასეთი თვალწარმტაცი სანახაობა რალაც შეძახილებით ჩაი-  
შალოს! ერთ-ერთი მათგანი სავარძლის სანიდაყვეებს ურტყამდა ხე-  
ლებს და გაიძახოდა:

— ეს რა ველურობაა! პირდაპირ დაუჯერებელი ამბავია!

მის გვერდით მჭდარმა კრეტელმა ვაჰარმა, რომელიც გაჭირვებით  
ლაპარაკობდა ადგილობრივ კილოზე, აღშფოთებით თქვა:

— რა პირუტყვები ყოფილან! რა პირუტყვები!

მაგრამ შუმერი მეომარი უკვე დუმდა: მან ღვინის დოჭი დაინახა  
და თვალი ველარ მოაშორა.

ყველანი ჩოჩქოლებდნენ.

— თვით აპირაჯის გველთა ლაშქარი ხომ არ მობრძანდება ტაძარ-  
ში? — იხუმრა ვილაცამ.

ირგვლივ გაიციინეს, იმათ კი, ვინც ხუმრობას ყური ვერ მოჰკრა, კიდევ უფრო ხმამაღლა იყვირეს: უნდოდათ გაეგოთ, რა მოხდა, მაგრამ შესაბრაალისი გოდება კვლავ გაისმოდა ტაძრის შესასვლელთან. თითქოს ვიღაც დასტიროდა ყველაზე ძვირფასს თავის ცხოვრებაში, რომელიც მოულოდნელად დაკარგა. ახლა აღარავის ჰყოფნიდა არც თავდაპყერილობა და არც გონება, რომ არეულობის მიზეზის გამორკვევას დალოდებოდა. ახლა ყველანი უკან იყურებოდნენ, სადღესასწაულოდ გამართული კვარცხლბეკი არავის ახსოვდა. ტანდაბალნი ხან თითის წვერებზე დგებოდნენ, ხან ხტებოდნენ, რომ რამე დაენახათ. „როგორ წავა ახლა დღესასწაულის საქმე? გაუნელდება თუ არა მიწას რისხვა? ჯერ ხომ წესი არ არის აღსრულებული?“ — მღელვარებით ამბობდნენ ზოგიერთები. „წესი აღსრულდა, — უპასუხებდნენ სხვები. — წესი მშვიდობიანად აღსრულდა. ლოცვის შემდგომი ცეკვა არც მაინცდამაინც აუცილებელი იყო“. მაგრამ რა მოხდა? რომელმა უბედურებამ შემოდგა ფეხი ამ საყოველთაო სიმშვიდეში?

მანიბანდჰი ხედავდა, რომ ბრბო შმაგდებოდა და მცველებს თანდათან ძალი აღარ შესწევდათ შეეკავებინათ ხალხი. ვაჭარმა, ეტყობა, რაღაც გადაწყვიტა, აქეთ-იქით მდგარი პირადი მცველები მისწი-მოსწია და სავარძლიდან წამოდგა. ამ დროს მასთან მოიხიბნა ულასმა და რაღაცა უთხრა. მანიბანდჰს გაელიმა.

დაინახეს თუ არა, რომ მანიბანდჰი სავარძლიდან წამოდგა, მოკრძალებით წამოდგნენ სტუმრებიც, წარჩინებული მოქალაქენიც და ბრძენიც.

მანიბანდჰმა ხელი ასწია და ქედმაღლურად გადახედა უამრავ ხალხს, რომელიც დიდი ინდის ტალღებივით ბობოქრობდა.

ვაჭრის პირადმა მცველებმა შესძახეს:

— ისმინეთ! ისმინეთ! დიდებულ მანიბანდჰს სიტყვის თქმა სურს!

მათ აჰყვნენ სხვა მცველები:

— ისმინეთ! ისმინეთ! დიდებულ მანიბანდჰს სიტყვის თქმა სურს!

თავდაპირველად იყუჩეს და ბორკვა შეწყვიტეს წინა რიგებში მდგართ, მერე მათ სხვებმაც მიჰბაძეს, და მცველთა მოწოდებამ თანდათან მიაღწია ყველას ყურამდე. ახშიანდნენ საყვირები. ჩირალდნიანმა მონებმა კვლავ დაიკავეს თავ-თავისი ადგილი, გაისმა ნიჟარის ხმა, და წესრიგი აღდგა. ყველაფერ ამას ცოტა ხანი როდი დასჭირდა, — ტაძარში უამრავ ხალხს მოეყარა თავი და მათი დამშვიდება არც ისე იოლი საქმე იყო.

— ჩვენი დიდი ქალაქი ათასი წელია არსებობს. — დაიწყო მანი-

ბანდჰმა. — და დღეს პირველად მოხდა ისეთი რამ, რისაც უნდა გვრცხვენოდეს უცხოელი სტუმრების წინაშე. ვიმედოვნებთ, რომ ისინი მოგვითვებენ!

მოხუც ქურუმებს სახეზე ღიმი აუთამაშდათ. მათ წარმოთქვეს:

— სტუმრები ასეც უნდა მოიქცნენ. განა ისინი ჩვენი ერთგული მეგობრები არ არიან?

მანიბანდჰის სიტყვებმა გაახარეს სტუმარნი. შუმერმა მეომარმა წამოიძახა:

— მადლობას გწირავთ! მადლობას გწირავთ!

ახლა მისი მზერა მარტოდენ ღვინის დოქისკენ კი არა, მის წინ მჯდარი ყმაწვილი ქალისკენაც იყო მიპყრობილი.

ტაძრის ბნელი კუნჭულიდან რომელიღაც ჭაბუკმა უკმაყოფილოდ შეჰყვირა:

— რატომ არ მოგვიახლოვდებით, დიდებულო? ნუთუ მხოლოდ იმათ უნდა გაიგონონ თქვენი ნათქვამი, ვინც ზემოთ ზის? თუკი თქვენ მათთვის ლაპარაკობთ, ჩვენ რისთვისღა უნდა დავრჩეთ აქ?

ბევრს მოეჩვენა, რომ ამას ქალი ყვიროდა, მაგრამ როცა მისკენ მიიხედეს, ერთი ღარიბულად ჩაცმული ჭაბუკი შემორჩათ. მანიბანდჰს ყურადღება არ მიუქცევია მისთვის. იგი მქუხარე ხმით ამბობდა:

— დიდი ქალაქის მკვიდრნო ჩვენს ტაძარში მოულოდნელად მობრძანდნენ ახალი სტუმრები. მცველები ერთბაშად ვერ მიხვდნენ მათს ლაპარაკს. აი, ისინი, თქვენ წინაშე არიან!

ხალხი მიიწ-მოიწია. კვარცხლბეკთან ბარბაცით გამოვიდნენ ჩამოგლეჯილი და არაქათგამოლეული ადამიანები, რომლებიც დრავიდებს ჰგავდნენ. ასი, ას ორმოცდაათი, ორასი... ბავშვები და მოხუცები, მამაკაცები და ქალები... ამ ნაპატივებ და კოხტად გამოწყობილ ბრბოში ახალმოსულნი მათხოვრებივით გამოიყურებოდნენ. ფეხზე ძლივს იდგნენ. მხოლოდღა იმედი უნარჩუნებდათ სიცოცხლის ნაპერწკალს, მხოლოდღა რწმენა უღვივებდათ ცეცხლს გონების მიბუტულ ლამპარში.

მანიბანდჰი მედიდურად დაეშვა სავარძელზე. წარჩინებულმა მოქალაქეებმა, სტუმრებმა და ქურუმებმაც მიჰბაძეს. ჩამოგლეჯილი და ქუჩყიანი ახალმოსულნი კვარცხლბეკის ძირას შექუჩდნენ და რაღაცაზე ჩუმად დაიწყეს საუბარი. ბოლოს დრავიდთა ბრბოს ერთი ქალიშვილი გამოეყო და კიბის რამდენიმე საფეხური აიარა. მან ხელები აღაპყრო და ცრემლნარევი ხმით დაიწყო:

— ჰოი, განთქმული ქალაქის მოჰენჯო-დაროს დიდსულოვანო მკვიდრნო მრავალი დღეა მოვდივართ თქვენსკენ, შიმშილისა და წყურვილისაგან ღონემილეულნი. ასობით თვისტომი დაგვედღუპა გზა-ში. ერთმა და ორმა მამამ როდი ნახა თავისი ვაჟიშვილის სიკვდილი, მაგრამ ძალი არ შესწევდა ეშველა მისთვის... ყველას, ვისაც არ შეეძლო გზის განგრძობა, ვტოვებდით...

ჰოი, დიდი ქალაქის მკვიდრნო! თქვენცა და ჩვენც ერთი ღმერთი გვყავს, ერთნაირი ადათ-წესები გვაქვს და ბედნიერებაც ერთი უნდა გვქონდეს! დაე, თქვენი ცრემლები ნუ ჩაგვიჭრობენ გულში შურის-გების ცეცხლს!

ჰანეთი და კიკათი ძლეულნი არიან! ღრავიდები დღემდე უცნობმა დამპყრობლებმა დაიმონეს! ასობით ჩვენსავით უსახლკარო დახეტებთა კარდაკარ და მოწყალეებას ითხოვს. რით განვარისხეთ ღმერთი? რატომ აღარ შეგვიძლია შევიდეთ ჩვენს სახლებში? გვითხარით რამე, დიდი ქალაქის მკვიდრნო!

თავად სინდისი და სიამაყე კიკათისა დგას ახლა თქვენ წინაშე, ჩვენი ძმების წინაშე, ხელგამოწვდილი მე — დამარცხებული კიკათის მეფის ასული — და ჩემი ხალხი ვევედრებით დიდებული ქალაქის მკვიდრთ, დაგვეხმარონ და თავშესაფარი მოგვცენ... მოგვეცით იარაღი და შემოგვეფიცეთ, რომ თქვენ ჩვენს მაგივრად იძიებთ შურს!..

— მეფის ასული! მეფის ასული!.. — ალაპარაკდა ხალხი. — ნუთუ კიკათი აღარ არსებობს? რა მოუვიდა მის მმართველს? მისი ქალიშვილი აქ რამ მოიყვანა? მას ხომ აროდეს დაუდგამს ფეხი შიშველ მიწაზე, სულ სასახლეებში ცხოვრობდა, მამ რატომ დგას ახლა ჩვენ წინაშე მათხოვარივით, ქუჩკიანი, თავდაუხურავი, თმაჩამოშლილი, ტანისამოსჩამოგლეჯილი? აღარც მშობლიური ცა იფარავს, არც მამაპაპეულ მიწაზე უდგას ფეხი?

— ჩვენი ქალაქი დაანგრიეს და ნაცარტუტად აქციეს, — განაგრძო მეფის ასულმა. — წმიდა საგალობელთა ნაცვლად ნანგრევებში ველურ-თა სიმღერა გაისმის... ველურები კი არ მღერიან, ყმუიან. ისინი მოტყუებით იმარჯვებენ, ადამიანური თვისებებიც უცხოა მათთვის. ისინი დედებს ხელიდან ყრმებს სტაცებდნენ და ცეცხლში ისროდნენ! ისინი მამების თვალწინ ხდიდნენ ნამუსს მათ ქალიშვილებს! ჰოი, დიდი ქალაქის მკვიდრნო, ჩვენი სიამაყე წელშია გატეხილი, თავად ჩვენ კი მონად ვართ ქცეულნი!

ბრბოს ვილაც კაცი გამოეყო და იკითხა:

— ვინ ამბობს, ძველი კიკათის მეფის ასული ვარო?

მის ხმაში ეჭვი გამოსჰვიოდა.

— მე, ჩანდრა, კიკათის მეფის ასული! დედაჩემი და ჩემი უფროსი და ველურებმა დაიმონეს...

— კი მაგრამ, მმართველი?

კითხვაში მოუთმენელი ცნობისწადილი იგრძნობოდა.

— მმართველი... — ხმამ უმტყუნა მეფის ასულს, სიტყვა ველარ ამოთქვა. მერე თავს ძალა დაატანა და განაგრძო: — ფიცის გამტეხი მონად გაუხდა ველურებს. — ქალმა ზიზღით გადააფურთხა. — ოისი ამბავი აგერ ამ ხალხს ჰკითხეთ, პატივისა და ღირსების დაბრუნება რომ სწყურია! მე მართალს ვამბობ, ჩვენი სიმართლე უძლეველია!..

უცებ დრავიდებმა შესძახეს: „ვილიბჰითურ! ვილიბჰითურ!“ ქალაქის მკვიდრთა გაცუბას საზღვარი არ ჰქონდა. მოსულნი პოეტს შეეზოგნენ.

— რატომ წახვედი ჩვენგან? — ეუბნებოდნენ ისინი. — მას შემდეგ, რაც შენ მიგვატოვე, ადამიანებად არავინ გვაგდებს. ჩვენ ვერ გავბედეთ გავგედევნა მმართველი, ის საზიზღარი ძალდი, როცა იგი უსამართლოდ გეპყრობოდა, ახლა კი მკაცრად დავისაჯეთ...

შეძახილებით აღელვებული ვენი სავარძლიდან წამოდგა და დაკვირვებით შეათვალიერა მოსულნი. სვეტთან, რომლის კაპიტელი ლომის თავს წარმოსახავდა, ლამპრის ქვეშ იდგა... ვილიბჰითური.

მანიბანდჰმა ც მოჰკრა თვალი პოეტს, მაგრამ ღელვა არ შეიმჩნია. ვილიბჰითურს დრავიდები შემოხვეოდნენ, ვაჭარი მასთან მისვლას ვერ მოახერხებდა. და განა მანიბანდჰის მცველნი მკვლელები იყვნენ?

მეფის ასული ვილიბჰითურთან მივიდა და შესძახა:

— პატივცემულო ქალაქის მკვიდრო! ახლა ხომ დარწმუნდით ჩემი ნათქვამის სიმართლეში? ჩვენ მხოლოდ ერთი რამით ვინუგეშებთ თავს — რომ თქვენს ქალაქში შევლასა და თავშესაფარს ვპოვებთ. ჩვენ თავს დაგვესხა ველური, უმეცარი ტომი. დიდმა ქალაქმა შური უნდა იძიოს უდანაშაულო ყრმათა დაღვრილი სისხლისათვის!

ბრბო ახმაურდა.

— მრავალი წლის განმავლობაში მშვიდობიანად ვცხოვრობდით მეზობლებთან, არავისთვის გვიწყენინებია... ამ ველურებმა კი... მათ კანის ფერის გამოც კი ვძულვართ, რადგან თვითონ თეთრები არიან, თოვლივით თეთრი...

— თოვლივით თეთრი? — იკითხა მანიბანდჰმა და წამოდგა. მას გაახსენდა სავაჰროდ გამგზავრებული არალის გაძარცვის ამბავი.

— დიახ, დიახ, თეთრი... საქაველი სახისანი არიან. ცხვირები

მახინჯებსავეთ გრძელი აქვთ. მათს დედაკაცებს თვალებში ისეთი ჩრდილები როღი უდგათ, როგორც ჩვენსას, მათი თვალები ცისფერია... ისინი „არიებს“ უწოდებენ თავიანთ თავს...

— არიებს? — გაისმა უცებ ელამელი ქურუმის ხმა. — ეგ რა სიტყვაა?

მან გადაიხარხარა.

— არიები, რაო, რა სტქვი? არიები?

— დიახ, არიები, — მიუგო განცვიფრებულმა მეფის ასულმა.

— ამას ვერ უყურებთ, — ამბობდა ელამელი ქურუმი და სიცილისაგან თახთახებდა. — არიები! არიები კი არა, მეფის ასულო, ველურები იქნებიან!

ყველას გაეცინა. მოჰყვნენ ოხუნჯობას. მეფის ასული დაბნეული იყურებოდა აქეთ-იქით.

— თქვენ არ გინახავთ, პატივცემულო ქალაქის მკვიდრო, ისინი მგლებზე უფრო მძვინვარენი არიან. მათ ჩვენ ვძულვართ... — შესძახა ქალმა.

— განა ჩვენ გვიყვარს? — დამცინავად ჰკითხა შუმერმა მეომარმა.

— ისინი სულმდაბალნი და საზარელნი არიან. ისინი შიგ ცეცხლში წვავენ ხორცს... — კვლავ გაიძახოდა ჩანდრა.

მაგრამ მეფის ასულის ხმა ბრბოს ყაყანსა და სიცილში ინთქმებოდა. კვარცხლბეკზე მდგარმა შუმერმა მეომარმა მალლა ასწია ცხვრის თავის მსგავსი დოქი და ყველამ დაინახა, როგორ ჩასდინდა წვრილ ნაკადად ღვინო ძირს დადგმულ ფიალაში. ღვინო ქაფქაფებდა და შხეფებს ისროდა ჩირალდნის შუქზე. მოცეკვავეებმა ტაში შემოჰკრეს. ეს იყო ნიშანი, რომლის ძალითაც ყველანი დასწვდნენ ღვინით სავსე დოქებს. დაიწყო ღრეობა.

ჩამოგლეჯილი და დამშეული დრავიდები დაიბნენ. მათ წინაშე ასობით და ათასობით ადამიანი დგას და არავის სურს იწამოს მათი. დრავიდთა უბედურება მხოლოდ სიცილს ჰგვრის მოზეიმეებს. წარჩინებული მოქალაქენი თავშეკავებით იღიმებიან და ერთმანეთს თავის ქნევით ანიშნებენ მოსულებზე, მათ გვერდით მსხდარი ქალები კი გულიანად კისკისებენ. მონათა ხელში შიშხინებენ ჩირალდნები, რომელთა შუქზე ლაპლაპი გააქვთ პირად მცველთა შუბებს. გამოთვრნენ ქალაქის მცველნი. მონები წამლაუწუმ ავსებენ დოქებს და ხალხს აწვდიან. ძელგმა ღვინომ გონების კარი დაუხშო დრავიდებს, თავშეკავება და ჰხნეობა დააქარგვინა. რა აცინებთ ამ ადამიანებს? კიკათი ხომ მამაცად იბრძოდა!..

შუმერმა მეომარმა ფიალა ასწია და წარმოთქვა:

— აბა ერთი გაბედონ და აქ მოვიდნენ. ეს უკანასკნელი დღე იქნება მათთვის! ვინ ნახა ის ველურები?.. არიები! ისინი მთიდან არიან ჩამოსული, ტანზე თოვლი შეჰყინვიათ; სულელებმა, პირის ბანაც არ იციან... — ზიზლით დაიღმიჭა. — რაებს ჩმახავ, მეფის ასულო? როგორც ეტყობა, თქვენი კიკათი მხოლოდ ლაჩრებით ყოფილა მდიდარი! თქვენ შეგეშინდათ? არიები! ხა-ხა-ხა!

მისი უხეში ხარხარი მოედო არემარეს. შუმერმა ფიალა მიაგლო, უშველებელ დოქს ხელი წამოავლო, პირთან მიიტანა და ხარბად დაეწაფა სურნელოვან ღვინოს.

— გასწით! გასწით! — შეჰყვირეს ბრბოში. — მხიარულება! დაე, მხიარულება მეფობდეს! არ გვინდა თქვენი მოღუშული სახეები...

მაგრამ ამ დროს კვარცხლბეკს მოადგა მოხუცი ვიშვაჯითი.

— ეჰეი, დიდი ქალაქის მკვიდრო! — შესძახა მან. — დიდებასა და ავხორცობას დაუთვრიხართ! გონს მოდით, უკვე რამდენჯერმე მრისხანედ შეტოკდა მიწა! პირველად როდი მრისხანებს ღმერთი. პანეთი და კიკათი ველურებმა ამოწყვიტეს, თქვენ კი დგახართ და ღვინოს მიირთმევთ! განა ეს ადამიანები ძმურად არ მოვიდნენ, რათა გავეფრთხილებინეთ? თქვენ კი ყური არ ათხოვეთ მათ! ღვინომ და ქალებმა, ოქრომ და მედიდურობამ თავბრუ დაგახვიათ თქვენ!

კვლავ სიჩუმემ დაისადგურა. ბრბო გაფაციცებით უგდებდა ყურს თავის საყვარელ ადამიანს. ბერიკაცი მუდამ სიმართლეს ამბობს ხოლმე, არავისი ეშინია. პატივცემულმა ამენ-რამ გადაწყვიტა ჩაეჩუმებინა თავხედი და უგუნური კაცი. იგი წინ წაიხარა, მოწყურული თვალები ზიზლით მიაპყრო მათხოვარს და შეჰყვირა:

— როცა ღმერთებს აღიდებენ, ადამიანი სხვა რამეზე არ უნდა ფიქრობდეს! ამჟამად დიდებული ქალაქისა და თავისი სიძველით განთქმული ეგვიპტის კავშირი იმდენად მჭიდროა, რომ ორსავე ქვეყანას განზრახული აქვს თავყანი სცენ ერთსა და იმავე ღმერთებს. განა ვერ ხედავთ, რომ თქვენს ქვეყანაში უკვე თავყანს სცემენ წმიდა ხარს აფისს? თუ ჩვენს ძალებს გავაერთიანებთ, რისლა უნდა გვეშინოდეს?! დიდებულო ვიშვაჯით! შენ განუდექი სამყაროს. მოდი აქ, ერთი ფიალა ღვინო გადაჰკარ, და მაშინ მიხვდები, საიდანა აქვს ადამიანს გამბედაობა. თქვენ კი, დიდებულო მანიბანდჰ, თქვენ, მთელი სამყაროს მპყრობელო!.. ნუთუ ასე დაგაშინათ სუსტი ქალის ნათქვამმა? ნუთუ თქვენ გეშინიათ ველურთა უცნობი ტომისა? განა ჩვენ თიხისგან ვართ შექმნილნი? აბა ერთი მოვიდნენ, ჩვენ მათ გრძელ ცხვირებს



დავაპროთ, მათ გვაძებნს მათსავე გაჩაღებულ კოცონებზე დავე-  
ვათ!

ამენ—რამ მანიბანდჰს შეხედა. ვაჭარი კმაყოფილი ილიმებოდა.

— ვფიცავ ჩემს რწმენას, რომ ეს დამპყრობნი არც ისე საშიში არიან! — განაგრძო ეგვიპტელმა. — ნუთუ ვინმემ დაიჭერა შეშინებუ-  
ლი ქალის ნათქვამი? იმ ველურებმა სიმღერა იციან? მუსიკა თუ აქვთ?  
რაზე უკრავენ?

— ნიჟარაზე, სხვას ვერაფერს მოვკარით თვალი...

— გესმით, მოჰენჯო-დაროს მკვიდრნო! — გაიცინა ამენ—რამ. —  
ისინი ნიჟარის ხმას უერთებენ თავიანთ ხრინწიან ხმებს! აი, როგორი  
არიან თქვენი უძლეველი არიები!..

დიდგვაროვანთ გაეცინათ, ყოველმა მათგანმა თავის კილოზე გაი-  
წეორა სიტყვა „არიები“.

ვიშვაჯითი გაშმაგდა, თითქოს სურნელოვან ღვინოს ემოქმედოს  
ძასზე. ცხოვრების წლებისაგან დაბრძენებულს, აქამდე არვინ შეპა-  
სუხებია... ეგვიპტელისა და შეშლილი ბერიკაცის მზერა მახვილებივით  
გადაეჭდო ერთმანეთს. ერთ წამს ორივენი იცდიდნენ და შეტაკებისა-  
თვის ემზადებოდნენ.

დიდ ქალაქში ჯერ არვინ იცოდა, რომ ხუთმდინარეთის ხეობაში  
თეთრკანიანებს აეოხრებინათ ქალაქი ჰარაპა. ჯერ არავინ იცოდა, რომ  
არიები მსუბუქად ლაშქრობდნენ ხოლმე, ბარგი-ბარხანის გარეშე,  
რომ ისინი არ უფრთხოდნენ სიკვდილს. ინდის ხეობაში ხალხები ცალ-  
ცალკე ცხოვრობდნენ, მათ ასუსტებდათ დოვლათი და ფუფუნება. ამ  
ხალხებს მკვლელობა ჩვეულებრივ საქმედ როდი მიაჩნდათ, როგორც  
არიებს. დამპყრობთათვის უცხო იყო პატივისა და ღირსების ცნებანი.  
როცა ადგილობრივ მცხოვრებთაგან სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდე-  
ბოდნენ, ისინი ტყეს აფარებდნენ თავს, რათა შემდეგ დრო ეხელთათ  
და კვლავ გაელაშქრათ მათზე. არიებს მხოლოდ თვისტომთა კეთილ-  
დღეობა უღირდათ ძვირად. თავიანთ ღმერთთაგან ისინი მოითხოვდნენ  
ათასნაირ წყალობასა და სიკეთეს, რამეთუ მიაჩნდათ, რომ სწორედ  
ამისათვის არსებობს უზენაესი ძალა... მაგრამ მოჰენჯო-დაროს უზრუნ-  
ველმა მცხოვრებლებმა არ იცოდნენ ყოველივე ეს!

— დიდებულო! — მიმართა მოხუცმა ვიშვაჯითმა მანიბანდჰს. —  
დაკარგულ დროზე საშინელი არა არის რა! დიდი ქალაქის მცხოვრებ-  
ნი გადაწყვეტილებას ელიან. — მან ხელი ასწია და განაგრძო: — მოჰ-  
ენჯო-დაროს პატივცემულო მკვიდრნო! მე არაერთხელ ვყოფილვარ  
ეგვიპტეში. მინახავს მისი დიდებულება და აურაცხელი სიმდიდრე.

იმხანად ფარაონი, რომელიც ახლა პირამიდას იშენებს თავისთვის, სულ ბავშვი იყო. ეს უცხოელი კი ასე ქედმაღლურად მელაპარაკებდა! მან მრავალი წელი გაატარა ბრძოლებში, მაგრამ, როგორც ჩანს, სიბერის უამს მის გონებას წინანდებური ძალა დაუპარგავს. კიკათის ცრემლები შურისგებად გვიხმობენ! ნუთუ ჩვენი გულები ქვად იქცნენ? კიკათი და პანეთი, რომლებიც ძველთაგანვე ძმებად გვთვლიან, რომლებთანაც ფართო სავაჭრო ქსელი გვექონდა გაბმული, იავარად არიან ჭკეულნი... და ასეთ დროს ჩვენ ლოთობასა და ავხორცობას მივცემივართ! ნუთუ კიკათი სამუდამოდ მოიხრის თავის ამაც ქედს ველურთა წინაშე? ნუთუ არასდროს იელვებენ შურის საძიებლად ქარქაშიდან ამოწვდილი ჩვენი მახვილნი? პატივცემულო მოქალაქენო! მთელ ქვეყანაზე განთქმულო მოჰენჯო-დაროს ვაჭრებო! მეომარნო! მომპაყართ ყურნი! ნუ დაეჭვდებით ჩემს სიტყვებში! მე ნამყოფი ვარ ეგვიპტეში და ჩემს იქ ყოფნაში ველურები არაერთხელ დასხმიან თავს ამ ქვეყანას!

— მაგრამ ისინი ვერასდროს უძლებდნენ ჩვენს ძლევამოსილ ლაშქარს! — მრისხანედ შესძახა ამენ-რამ. — დიდებულო! უგუნური ხარ და სხვა არაფერი!

— უგუნური შენა ხარ, შენ, ისევე როგორც მამაშენი! — შეურაცხოფის პასუხად მიუგო ვიშვაჯითმა.

ამენ-რას მძვინვარებისაგან სახე დაემანჭა. ოპ, ნეტავ შეეძლოს, აქვე მიახრჩობდა ამ უტიფარ მოხუცს! ეს რა ესმის ეგვიპტელთა უძველესი გვარის შთამომავალს, დიდ მხედართმთავარს! ათასობით ადამიანი ხელავს მის შერცხვენას... ოპ, რატომ სადმე გზაში არ ჩაიძირა მისი გემი!.. ეგვიპტელმა მანიბანდჰს შეხედა. ვაჭარმა საყვედურით წარმოთქვა:

— დიდებულო ვიშვაჯით! გონს მოდიო! კეთილშობილნო, მომპაყართ ყურნი! დღეს ჩვენ შემსწრე გავხდით სამარცხვინო ამბისა, რომელიც მოჰენჯო-დაროს შეემთხვა. სირცხვილით ვერსად გამოვყოფთ თავს. ეს რა ხდება ჩვენს დიდ ქალაქში!

მაგრამ მანიბანდჰს მხარი არავინ დაუჭირა... ყველანი დუმდნენ: ეგვიპტელმა ხომ შეურაცხოფა მიაყენა დიდებულ ვიშვაჯითს, რომელიც ესოდენ სადად და ბრძნულად ლაპარაკობდა!..

მანიბანდჰი ერთხანს ჩაფიქრდა, მერე შეწუხებულმა წარმოთქვა: — გვაპატიეთ, პატივცემულო ამენ-რა. დიდი ქალაქის სახელით გთხოვთ მოგვიტევოთ კადნიერება ჩვენი უგუნური მოქალაქისა.

ბრბომ კვლავ ცივი ღუმლით უპასუხა.

— ვაჭარო მანიბანდჰ! — შეჰყვირა მაშინ ვიშვაჯითმა. — საკუთარ სახლში შენ შეგიძლია გულში ჩაიკრა ეგვიპტელი სტუმარი, მაშინაც კი, თუ იგი პანლურით გაგიმასპინძლდება... მაგრამ აქ შენ წინაშე დიდი ქალაქის მკვიდრნი არიან და გადაწყვეტილებას ელიან... მეზობელი ქვეყნები ნანგრევებად ქცეულან და კვამლში არიან გახვეული, ეს თეთრკანიანი ველურებიც კარს მოგვდგომიან...

ბრბოდან მოისმა შეძახილები:

— ჩვენ მათ სტაფილოსავით დავაქუცმაცებთ!..

— კალიასავით გავსრესთ...

— ცა განირღვევა და თავს დაგექცევათ, — დაიქუხა ვიშვაჯითმა, — თქვენ კი, ბრიყვნი, იფიქრებთ, ფოთოლი მოსწყდომ პიპალის ხეს; მიწა გაგისკდებათ ფეხქვეშ, თქვენ კი გეგონებათ, რომ ქალღმერთმა მაჰამაიმ გაიყვანა ახალი არხი თქვენი ქალაქის სადიდებლად... სიკვდილის აჩრდილი დაგფარფატებთ თავზე, თქვენ კი, როგორც გატყობთ, დაბრმავებულხართ!..

კვლავ ატყდა ხმაური. შუმერმა მეომარმა საესე ფიალა ასწია და დაიტრაბახა:

— ვითარცა ქაფი ჩემს ფიალაში, მრავალი ტომი აღმდგარა ჩვენს წინააღმდეგ. მე ახლა სულის შებერვით გავაქრობ ამ ქაფს, — ასე მოუვიდათ იმ ტომებსაც.

ვიშვაჯითის გონებას კვლავ ბინდი გადაეკრა; მან გაშმაგებით გაასავსავა ხელები და ბრბოში მიიმალა. დრავიდები რალაცაზე ხმამალა ალაპარაკდნენ. კიკათის მეფის ასული კიბის საფეხურზე იჯდა და ხელები მწუხარედ შემოეჭდო თავზე. ხოლო წარჩინებული მოქალაქენი კვარცხლბეკზე ისხდნენ და მხიარულად იცინოდნენ, თან ფიალებს ივსებდნენ.

უცებ მანიბანდჰმა შეამჩნია, რომ ვენი კვარცხლბეკზე აღარ იყო. მიიხედ-მოიხედა, მაგრამ მოცეკვავე არსად ჩანდა.

— ყველაფერში მე ვარ დამნაშავე, დიდებულო, ის ბერიკაცი ხომ შეშლილია... — უთხრა ამენ-რამ მანიბანდჰს. — მაგრამ თქვენთვის ცნობილია, რომ ეგვიპტეში ვერავინ გაბედავს შეურაცხყოფა მიაყენოს წარჩინებულ ადამიანს. ხელისუფლების უქონლობა ღუპავს თქვენს ქალაქს!

— არა, პატივცემულო ამენ-რა. იმ უგუნურს მხოლოდ იმიტომ არ შეეკამათნენ, რომ ოდესღაც თვითონ იყო სახელგანთქმული ვაჭარი, და ყველანი, — მანიბანდჰმა თავის ირგვლივ შემოატარა ხელი, — ყვე-

ლა ეს ადამიანები, ჩვეული არიან პატივით მოეპყრან მას. ეს რომ არა, სასჯელი არ ასცდებოდა...

უეცრად გაისმა ქალის საშინელი კივილი:

— გაიწი!

ვილაცამ დაიკვნესა. მცველები შექუჩებულ დრავიდებთან მისცივდნენ. იქვე მიირბინეს ჩირალდნიანმა მონებმა. კვარცხლბეკზე ალაპარაკდნენ:

— ვინ დაიყვირა?

— ქალმა?

— მოკლეს! მოკლეს! — შესძახეს მცველებმა.

მეფის ასული ჩანდრა ადგა და მოკლულთან მივიდა.

ერთ-ერთმა პირადმა მცველმა მანიბანდჰს მოახსენა:

— ბატონო! რომელიღაც დრავიდი მოუკლავთ.

მანიბანდჰმა თავისი ადგილისაკენ მომავალი ვენი დაინახა, და გული სიხარულით აუძგერდა. ნუთუ რასაც ელოდა, უკვე მოხდა? მაგრამ ვინ შეჰყვირა? რაღაც ნილუფარის ხმასა ჰგავდა. ის ხომ არ იყო იქ, სიბნელეში?

თავის სავარძელში დაბრუნებულმა ვენიმ ღვინო მოითხოვა. მონამ თავის დაკვრით შეუვსო ფიალა. მანიბანდჰი აღტაცებული შეჰყურებდა მოცეკვავეს.

— გაიყვანეთ ეგენი აქედან, გაიყვანეთ... — მოითხოვა ამენ-რამ და თან დრავიდებზე მიუთითა.

შუმერმა მემომარმა მხარი დაუჭირა:

— თქვენ ჰეშმარიტად ბრძენი ხართ! დღეგრძელ იყავით, პატივცემულო ამენ-რამ! ამ ლატაკთა ბრბომ მოგვპარა ლხენა-სიამე... ღვინოში დიდი ძალაა ჩაბუღებული... ვინ გაბედა მშვენიერთა შეურაცხყოფა?.. სირცხვილი... სირცხვილი... — ენა ძლივს მოატრიალა.

რამდენიმე დრავიდი ქალი შემოეხვია მოკლულს და დატირება დაუწყეს. ეს არ მოეწონათ კვარცხლბეკზე მსხდარ წარჩინებულთ. კვნესა და ტირილი ავის მომასწავებლად ეჩვენათ. მერე კიდევ, რატომ დევს ცხედარი ყველას თვალწინ?

ამენ-რამ კვლავ გაიქნია ხელი:

— მოაშორეთ აქედან ეს ბრბო!

მანიბანდჰმა ხელით ანიშნა. მცველები ბრძანების აღსასრულებლად გაექანენ. ისინი ჭიქურ შეიპყრნენ დრავიდთა ბრბოში და ცემა დაუწყეს მათ. დიდი ხნის მგზავრობით დატანჯული დრავიდები ცხვრე-

ბივით გაიქცნენ. მალე ტაძარი დაცარიელდა. მხოლოდ მოკლულს გვაში ეჯღო მიწაზე...

სიბნელეში გარბოდნენ ორნი. ისე სწრაფად გარბოდნენ, რომ სულს ძლივს იბრუნებდნენ. ბოლოს ერთმა თქვა:

— კიდევ ბევრი უნდა ვირბინოთ? რამ შეგაშინა?

ორივენი გაჩერდნენ, ერთმანეთს შეხედეს.

— ახლა უკვე სამშვიდობოს ვართ გასულნი, — მოუგო მეორემ. —

მაინც ვერ მიხვდი, რისთვის გამოგვეკიდნენ მცველები?

ხმა ჰაბუკუკური სილბოთი და სინაზით ჟღერდა.

— რისთვის?

— ჩვენი მოკვლა უნდოდათ.

— ეჰ, შენ ჭერ სულ ბავშვი ხარ, იმიტომაც შეგეშინდა. მაშ კარგი, მითხარი, რად უნდა მოვეკალით ჩვენ?

— მე შეგეშინდა? — კაღვირად შეესიტყვა ჰაბუკუკი. — განა მართლმე მოვედი აქ? შენ?

ვილიბჰითურს გაეცინა. გრძობამორეულმა და გახარებულმა, გულზე მიიხურტა ჰაბუკუკი... და იმწამსვე უკან დაიხია: მოეჩვენა, რომ ქალი მიიზიდა თავისკენ. არც მან იუარა...

— შენ... ვინა ხარ შენ?

— შეგეშინდა? — გაიცინა ჰაბუკუკმა. — შენ გადამჩენელს მოეხვიე და იმან შეგაშინა?

— შენ ქალი ხარ?!

— მერედა, განა ქალისა უნდა გეშინოდეს?

ჰაბუკუკმა დოღბანდი მოიხადა, მხრებზე ჩამოუცვივდა ფუშფუშა, ვილიბჰითურისათვის ნაცნობი თმა. მის წინ ნილუფარი იდგა.

— შენ! — გაუხარდა პოეტს. — შენ გადამარჩინე! მაშ შენ მკარი ხელი, როცა მკვლელმა დანა მომიქნია?

— ჰო, მე, ნილუფარმა. იმიტომაც მერიდები, ხომ?

პოეტმა ხელზე მოჰკიდა ხელი.

— ჩემ მაგივრად ვინ შემოაკვდათ?

— არ ვიცი. რომელიღაც დრავიდი...

— დრავიდი?

ვილიბჰითური დანაღვლიანდა.

— ეს საშინელებაა!

— შენ რომ მოეკალი, ის ჯობდა?

პოეტმა უხალისოდ გაიღიმა.

— მე არ მეცოდება მოკლული, — განაგრძო ნილუფარმა. — მე რომ მოვმკვდარიყავი, არც ის ინაღვლებდა. არც შენ დაგამწუხრებდა ჩემი სიკვდილი...

ნილუფარმა დოლბანდი მხრებზე წამოიხსხა. გულისტკივილმა, რომელიც მის სიტყვებში გამოსჭვიოდა, ააღელვა ვილიბპითური. მაგრამ ესლა ჰკითხა:

— რას არგებს მიცვალებულს, მის ცხედარს რომ დასტირის ვინმე?

— განა ჩვენი სხეული — მამა-პაპათაგან ბოძებული — ძერებისა და ტურების კერძად უნდა იქცეს? ვინღა იზრუნებს მის შენახვაზე? პოეტი დუმდა, რაღაცაზე ჩაფიქრებულყო.

— ვერ ხედები, ვინ დაგეცა? — ჰკითხა ნილუფარმა.

— არა. ვინ იყო?

— რა მიაბიტი ხარ!

— აბა მითხარი, ვინ?

— ვენის!

— ვენი? — შეკრთა ვილიბპითური.

ნილუფარმა ლოყებზე მიიღო მისი ხელები.

— გიკვირს? მე რომ გვერდით არ გყოლოდი, იგი ისევე მოგიშორებდა, როგორც ქვას, რომელიც კაცს გზას უღობავს. ახლა მას ჰგონია, რომ აღარ არის ქვეყნად არც ნილუფარი, არც ვილიბპითური, — ვისაც შეეძლო გამოემხეურებინა მისი მანკიერება.

— კი მაგრამ, განა ნილუფარი მოკვდა? — ღიმილით ჰკითხა პოეტმა.

— იგი სამუდამოდ გაქრა სასახლიდან და ამიტომაც მკვდარია მათთვის.

— ნილუფარ! შენ მე სიცოცხლისაკენ მომაქციე. შენ რომ არა, ინდის ტალღები წამიღებდნენ. რა გაიძულებს თავი გასწირო ჩემთვის?

— შენი უმწეობა. ვილიბპითური ჩვილ ყრმასავით უძლურია. მას აქამომდე ნექტარად მიაჩნია მოწამლული სასმელი.

— აგრე ნუ ამბობ, ნილუფარ!

— ნილუფარმა მანიბანდში მიატოვა, ვილიბპითურს კი არ ძალუძს განშორდეს ვენის. იგი მსხვერპლია თავისი უაზრო მოწყალებისა, იგი სუსტი გულისაა...

პოეტმა თავი ჩალუნა. ნუთუ ეს ყველაფერი მართალია?

— წავიდეთ! დავიღალე! — ხელში სწვდა ნილუფარი.

ირგვლივ სიბნელე გაჩეფებულყო. ვილიბითურმა დაბნულმა მიმოიხედა და ჰკითხა:

— სად უნდა წავიდეთ?

— იქ, სადაც შევძლებ დავისვენო.

— არის კი სადმე ეგეთი ადგილი, ნილუფარ?

— ნუთუ ორი წყრთის სიგანის ადგილიც არ მოიძებნება ქვეყნად? ფარაონი უზარმაზარ პირამიდას იშენებს თავისთვის, შენ კი გადაჭარბებულად გეჩვენება ჩემი სურვილი?

— შენ ეგვიპტელი ხარ!

— დიახ, პოეტო! მე ეგვიპტეში დავიბადე.

— აი, რადა ხარ აგრე უღმობელი. მე იწაჰს ადამიანებისა, ნილუფარ, ხოლო ის, ვინც მე შემეყვარდა...

— შენ ბრმა იყავი, პოეტო, — სიტყვა შეაწყვეტინა ნილუფარმა.

— ნილუფარ!

ქალს გაეღიმა.

— მე მხოლოდ მონა ვარ. ჩემი სახით არ შეიძლება იმსჯელო ყველა ეგვიპტელ ქალზე. ისინი უბიწონი არიან და უმწიკვლო ცხოვრებას ეწევიან! ისინი ჩემნაირად როდი მოჰყვებიან უცხო კაცთან საუბარს! მაგრამ მე იქაც ვიცნობდი ქალს, რომელიც ერთი არაბის მონასთან ტრფიალით ტყებოდა, ჯერაც სულ ბავშვთან. ქალს ძალიან უყვარდა ბიჭი. ერთხელ ქალმა ტყბილეულობა გამატანა მასთან, მე კი გზაში ნახევარი შევქამე, დანარჩენი კი მე და იმ ყმაწვილმა გავიყავით და სიყვარულით ვიჯერეთ გული...

— შენ, ნილუფარ... — შეკრთა პოეტი.

— დიახ, მე! ნუ კრთები, სულელო. აი, აქ გავჩერდეთ. აქ არვიწ შეგვაწუხებს. შენ კი ალბათ დიდგვაროვანი ქალი გეგონე, არა? აბა როგორ მივიდოდა დიდგვაროვანი ქალი ვაჭართან, როცა იგი მისი მეუღლე არ იყო?

ნილუფარი მიწაზე წამოწვა. მღუმარე პოეტი გვერდით მოუჭდა. ამოვიდა მთვარე.

— მისმინე, ნილუფარ! — დაიწყო პოეტმა. — შენა სთქვი, მონა ვიყავიო?

— ვიყავი, ვარ და დავრჩები კიდევ! ახლა კი ნება მომეცი დავიძინო. ძალიან დავიღალე.

პოეტს სახეზე წყენა აღბეჭდოდა, და ნილუფარმა შემრიგებლურად უთხრა:

— ნუ გეწყინება! ოდესმე ყველაფერს გიამბობ. ახლა კი დაიძინე. საშინლად დავილაღე. თავიც ისე მტკივა...

— წამალი მოგცე? — ჰკითხა პოეტმა.

— არა.

— გინდა რამე გიმღერო?

— არ მინდა. ყანის პატრონი მოვა და ქურდებსავეთ გაგვყრის აქედან.

ვილიბჰითური გააოცა მისმა გამჟრიახობამ. მან თვალები დახუჭა და ერთი წუთის შემდეგ უკვე ეძინა. ნილუფარი დიდხანს ბორკავდა. ბოლოს მასაც ჩაეძინა, და მის დამძიმებულ ქუთუთოებქვეშ სიზმრებმა გაიკრთო მარეს...

...აი, იგი ხრამის პირას დგას და ჩაშავებულ შმაგ მდინარეს დაჰყურებს. ვილაცის ულმობელი ხელები უბძიგებენ ხრამისკენ, და იგი ვარდება თვალბედით წყალში. ნილუფარს უნდა, რომ დაიყვიროს, მაგრამ ხმას ვერ იღებს...

... იგი უდაბნოს ქვიშაზე გარბის. სწრაფად, უფრო სწრაფად. წინ წყალია. მაგრამ წყალი თანდათან შორდება მას... უცებ წაიფორხილა. ეს რა არის მის ფეხქვეშ? ძირს დაიხარა. თავის ქალა!..

... დაღლილ-დაქანცული ზის კლდეზე. კლდე ირწვევა და თანდათან ეფლობა მიწაში...

ნილუფარმა ძილში ამოიკვნესა.

... ეს რა ყვავილია? ეს ვილიბჰითურია! ქარი ქრის. თანდათან უმატებს ქროლვას. ის არხვეს ყვავილს და მის მოგლეჯას ლამობს. ნილუფარმა ლეჩაქი მოიხადა და ყვავილს უფარა. ლეჩაქი იალქანივით იბერება და საცაა ხელიდან დაუსხლტება. მაგრამ არა, ქარი ვერ მოწყვეტს ყვავილს!

ზეციდან ისმის მქუხარე ხმა. შეშინებული ნილუფარი ხედავს, როგორ ეშვება მისკენ უცნაური ფრინველი.

— ვინა ხარ შენ?

— ჩვენ? ჩვენ ვენის გვეძახიან.

ნილუფარი გახალისდა.

— ფრინველი! ვენი! გაფრინდი, გაფრინდი აქედან! აქმა! რა სასაცილოა: ჩვენაო, — თავის თავზე ამბობს.

ფრინველი გაქრა. ნილუფარი მხიარულად იცინის და სურს ახლოს მივიდეს ყვავილთან, რათა მოწყვიტოს. მაგრამ გზაზე გველი ეღობება და სისინებს!..

ნილუფარმა თვალი აახილა. რა საშინელი სიზმარია! ცივი ოფლი



დაასხა. უჩვეულო სისუსტე იგრძნო. ნუთუ მართლა ემუქრება გველი? ნუთუ ნილუფარი არ გასრესს მას? ვინ არის იგი? რით გააბრაზა ნილუფარმა? რატომ სურს დაგესლოს?

შეშინებული ეგვიპტელი ვილიბპითურთან მიჩოჩდა. საესე მკერდით სწრაფად მიეკრო მკერდზე. მერე ნაზად მოაბრუნა მისი თავი და ვნებით დაეკონა პოეტის ტუჩებს.

ვილიბპითურს გაელვოდა. შიშით შესძახა:

— ნილუფარი!

ქალმა ურცხვად გაიცინა. შეხედა მთვარეს, მერე პოეტს, რომელიც კვლავ ძილს მიეცა. ნილუფარმა ამოიხენწეშა და ისევ დაწვა. უნდა დაიძინოს! უნდა დაიძინოს...

მთვარე ჩასვლას აპირებდა.

დიდ ქალაქს დაეკარგა წინანდებური სინშვიდე. კიკათის, პანეთისა და ჩრდილოეთის სხვა ქვეყნების დაცემის შემდეგ ლტოლვილნი მოჰენჯო-დაროს მოაწყდნენ. თანდათან უფრო მომრავლდნენ მათხოვრები. მშვიერ ბრბოებად დაწანწალებდნენ ისინი ქუჩებში. ქალაქის მკვიდრთ აწინებდათ მათი კუჭუყიანი, ჩამოგლეჯილი ტანისამოსი, შიმშილისაგან შეშლილი სახე, ღონემიხდილი სსეული. ბევრნი იყვნენ მათ შორის ისეთები, რომელთა საცოდავ გამომეტყველებაში იგრძნობოდა წინანდელი დიდგვაროვნება და სიმდიდრე. ჯერ კიდევ გუშინ ბედნიერნი იყვნენ ისინი. მაგრამ ახლა? ამ გაუბედურებული ადამიანების შემყურე ქალაქის მკვიდრნი თავისი მომავლის შიშით ძრწოდნენ.

ქუჩებსა და ბაზრებში უსიამო ხმა დაირხეოდა ხოლმე. ამბობდნენ, ვაჟრები დიდ ზარალს ნახულობენო. მეზობელ ქვეყნებთან ძველთაგანვე მოგვარებული სავაჭრო ურთიერთობა შეწყდა. საით უნდა გაემართონ ახლა საქონლით დატვირთული ქარავნები? არიები რომ სულმთლად ველური ხალხია. როგორღა უნდა ივაჟრონ ველურებთან?

მაგრამ მღაბიონი სხვა რამეზე ფიქრობდნენ: როგორ დაექუცმაყენინათ თეთრკანიან ველურთა ურდოები. ქალაქის მკვიდრთ ფიქრადაც არ მოსდიოდათ, რომ შეიძლებოდა ამ ცოდვილ ხალხთან რაიმე ურთიერთობა ჰქონოდათ. პატიოსან ადამიანებს მხოლოდ პატიოსნებთან უნდა ჰქონდეთ საქმე. განა შეიძლება ენდო იმას, ვინც თავბედურად და უტიფრად იქცევა?!

ზოგიერთ მოქალაქეს სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა ეს: არიები ველურები არიან და აბა როგორ შეიძლება დიდ ქალაქს ველურებისა ეშინოდესო! მაგრამ უმრავლესობა ძრწოლვით ფიქრობდა მოსალოდნელ თავდასხმაზე. ავი წინათგრძნობა უწუხებდათ გულს. რამდენი საუკუნეა ზომიერად და მშვიდად ზიემართება დიდი ქალაქის ცხოვრება, და აი, ახლა შესაძლებელია ყველაფრის აღსასრული დადგეს. ნუთუ უძველეს ქვეყანას დაღუპვა ემუქრება? მოჰენჯო-დარო განთქმულია თავიანი სიმდიდრით, მაგრამ მხედრული დიდებით თავს ვერ მოიწონებს. დიდი ქალაქი კარგა ხანია სავაჭრო ცენტრი და გართობის

შუაგული გახდა და ოპზე ლაპარაკი უკადრის საქციელად ითვლებოდა.

ამ მღელვარე დღეებში ვიშვაჯითიც კი დაჯუმებული იყო. ამიტომ, როცა ერთხელ შუა ქუჩაში გაჩერდა და აყვირდა, მის გარშემო მაშინვე შემოკრბა ხალხი. ყველანი ცნობისმოყვარეობით ელოდნენ, რას იტყოდა მოხუცი ვიშვაჯითი. მას შემდეგ, რაც აპირაჯის ტაძარში უკმები სიტყვები ჰკადრა ამენ-რას, ქალაქის მკვიდრებმა მასში იგრძნეს უდიდესი ძალა, რომლის გატეხაც არავის შეეძლო. ამაოდ მოეწოდებდა მაშინ დიდებული მანიბანდაჰი ქალაქის მკვიდრთ. არც ერთი მათგანი არ ამდგარა და სიტყვა არ დასცდენია ღუთის გლახის წინააღმდეგ.

— დიდი ქალაქის მკვიდრო! — ყვიროდა ვიშვაჯითი. — აღსასრული მოიწივეს თქვენკენ, თქვენ კი უცოდინარობის ბურუსში ხართ გახვეული! მთელი თქვენი განა, მთელი თქვენი უფლებანი არარაობად იქცევიათ. თქვენ სიმხდალე გამოიჩინეთ, და ყველაფერი ახია თქვენზე! თქვენ მხოლოდ შოგებაზე ფიქრობთ. თქვენ არაფერი შემოგარჩათ, სიცრუის მეტი. განის უხუცესი არაფერს აკეთებს, გარდა იმისა, რომ პირადი სიმდიდრის ნუსხებს ასეამს ბეჭედს, თითქოს ღრმად მოხუცებული, გამოჩერჩეტებული მეფე იყოს. — ხალხმა გაიცინა. ბერიკაცმა რომელიღაც ქალს ბავშვი გამოჰგლიჯა ხელიდან და მალა ასწია.

— შორს არ არის ის დღე, როცა ჩრდილოელი ველურები შუბებზე წამოაცვამენ თქვენს ბალებს!

ქალი ბერიკაცს ეცა, ბავშვი გამოართვა და ბრბოში მიიშალა.

— თქვენ საფლავის ჭიები ხართ, — ყვიროდა მოხუცი ვიშვაჯითი, — მდაბალი არსებანი! თქვენ ადამიანობის განსახიერებად მოგაქვთ თავი, მაგრამ თქვენ ადამიანები მონებად აქციეთ! იქნებ გგონიათ, რომ მონები დაგიცავენ? როცა მათში ადამიანური ღირსება გაიღვიძებს, ისინი მეხივით დაგატყდებიან თავს, და თქვენ, ფუფუნებისა და გარყვნილების უბადრუკი ტყვეები, თქვენსავე ქამრებში გაუყრით თავს და ისე დაიღუპებით!

ხალხი კიდევ უფრო მკვიდროდ შემოერთყა მოხუცს. არც ისე სულელი ყოფილა ვიშვაჯითი! იგი მართალს ამბობს!

— თქვენ გგონიათ, რომ ზღვის გაღმა ძრწიან დიდი ქალაქის სახელის ხსენებაზე? მალე ცეცხლის ალში გაეხვევა თქვენი სახლები, ცხენების მძიმე ფლოკვები გადაანგრევენ თქვენს ქუჩებს. თქვენი ქალაქი წონებად იქცევიათ და მორჩილად შეხვდებიან მოძალადეებს. თქვენ

იღვებთ თქვენი ვაჟიშვილების ცხედართა წინაშე. მაშინ გამიხსენებთ და მკითხავთ: „ვიშვაჯით! რა ვქნათ?“. მაშ დღესვე გიპასუხებთ: „მზად იყავით 'შეაჩეროთ ჩრდილოეთიდან მომავალი ქარიშხალი!'“

ქალაქის მკვიდრნი აღელდნენ.

— ბრძენად ის თქმულა, ვინც დაღამებამდე ეძებს გზას. მაგრამ თქვენ?.. როცა გლუხს ჩაეძინება, ურემში შებმული ხარები კვლავ განაგრძობდნენ გზას. კვუათხელნო, თქვენ არ განსხვავდებით იმ ხარებისაგან! თქვენ აზრადაც არ მოგდით, რომ, სანამ გლუხს სძინავს, ვლაცას შეუძლია ურემი სხვა მხარეს მიაბრუნოს, და იგი სადმე ორმოში ჩავარდება. თქვენ ვერ გაიგებთ ამას, რადგან თქვენი საქმეა მორჩილად სწოთ სხვისი ჭაპანი გამომყევით! გამომყევით! მე თქვენ გიჩვენებთ, რომ არაბობა ხართ. ვნახოთ ერთი, რომელი გაბედავს ჩემთან შესიტყვებას.

ვიშვაჯითმა ბრბოს თავი დააღწია და მტკიცე ნაბიჯით გაჰყვა ქუჩას. ყველანი აედევნენ. მსვლელობას უერთდებოდნენ შემთხვევითი გამვლელნი, სახლებიდან გამოსული ცნობისმოყვარე მცხოვრებნი. ბრბოში აქა-იქ გამოჩნდებოდნენ ხოლმე შავგვრემანი ბავშვები, რომელნიც მხოლოდ ენქერის ამარა იყვნენ. სამაგიეროდ ყელზე და ხელებზე ყოველ მათგანს აუცილებლად უჩხრიალებდა ავგაროზები— სპილენძის ან ვერცხლის პაწაწინა ფირფიტები, რომლებზედაც წარწერილი იყო ჯადო სიტყვები. ამ ფირფიტის გარეშე არც ერთი დედა არ უშვებდა შინიდან თავის ბავშვს. პატარების ყრიაშულის გაგონებაზე ქალები გაოცებული იყურებოდნენ ფანჯრებში. ისინი ვერაფერს მიმხვდარიყვნენ. ბერიკაცები ხელისგულთი იჩრდილავდნენ თვალს და ისე გასცქეროდნენ მიმავალთ. ღვთის გლახა ვიშვაჯითი რომ უგუნურად იქცევა, გასაკვირი არაა, მაგრამ ეს მოქალაქეები რაღას ასდევნიბიან? ქალიშვილები ჯერ შორიდან ათვალეერებდნენ ბრბოს, მაგრამ შემდეგ, ნაცნობ ჭაბუკებს რომ დაინახავდნენ, ცნობისწადილით შეჰყრობილნი, თვითონაც უერთდებოდნენ.

მცველები ვერ ბედავდნენ გაეფანტათ ხალხი, — მათ ხომ ვიშვაჯითი მიუძღოდათ წინ. თანაც უწესოდ არავინ იქცეოდა. აქამდე მცველები არამცთუ უყოყმანოდ, არამედ დიდი მონდომებითაც გაფანტავდნენ ხოლმე ამგვარად თავშეყრილ ხალხს, მაგრამ დღევანდელი მსვლელობა რაღაც განსაკუთრებული იყო. არვის არგებს შეედავოს მოხუც ვიშვაჯითს, ახლა იგი განრისხებულ ღმერთს აპირაჯს ჰგავს. და მცველებიც მიჰყვებოდნენ ბრბოს.

ღროდაღრო ბერიკაცი გაჰყვიროდა:

— მოდით აქ! გამოდით! გამოდით თქვენი სახლებიდან, ვირებო! ქუჩაში გრილი ნიავი ქრის, თქვენ კი ვიწრო ბინებში იხუთებით... მოდით აქ!

წვრილი ვაჭრები საჩქაროდ კეტავდნენ ღუქნებს და გამკიცხავად შეპყურებდნენ უცნაურ მსვლელობას. განსაკუთრებით შფოთავდნენ ამ ადგილებში უცხო მხრის ვაჭრები. ისინი მთელ სამყაროში განთქმულ ქალაქში გადმოსახლდნენ, მაგრამ დღემდე ვერ შეკუთვბოდნენ მას. გამუდმებით ადევნებდნენ თვალს ამ თავისებურ, უცნაურ აპბებს, რომელთა მიზეზს ვერა და ვერ ჩასწვდომოდნენ. ახლა ჯაბნეული შესცქეროდნენ ისინი ჩმაურიან ბრბოს.

მთავარი ქუჩა თანდათან ვიწროვდებოდა. ატყდა ერთი ზედახოცვა. ბრბოში მომწყვდეულებმა ყვირილი ასტეხეს. ჩმაური ძლიერდებოდა. განსაკუთრებით გაუჭირდათ ბავშვებს. უკანიდან კი კვლავ და კვლავ აწვებოდნენ სხვა მოქალაქენი, რომლებსაც სურდათ გაეგოთ, საით მიდიოდა ხალხი.

მოსახვევში ბრბოს შეუერთდა წარმოსადეგი ქაბუკი. ეს იყო ნილუფარი. იგი გაკვირვებულ იყურებოდა აქეთ-იქით და ვერაფერს მიმხვდარიყო. რატომ ყვირიან ასე ბავშვები?

— ჰოი, მოჭენჯო-დაროს დიდებულო მკვიდრო! — გაჰყვიროდა მოხუცი ვიშვაჯითი. — ვინ წაგართვათ სიმამაცე? აგრე ვინ შეგამინათ?

ნილუფარი სულ სხვა რამით იყო გართული: იგი მიშტერებოდა ბანანებით საცხე კალათს, რომელიც გამყიდველის ახლოს იდგა. რომელიც მოქალაქის ზურგს ამოფარებულმა, ფრთხილად გაიწვდინა ხელი, ერთ აცმა ბანანს დასწვდა და სწრაფად განშორდა იქაურობას. მოქალაქემ დაინახა ნილუფარის ეშმაკობა და თვითონაც სცადა ბედი. მან ხელი ჩაჰყო კალათში, მაგრამ, რაკი არავინ ეფარებოდა, გამყიდველმა იმწამსვე შენიშნა ქურდი. იგი ლანძღვა-გინებით ეცა მოქალაქეს. ამ უკანასკნელმა მოგერიება სცადა. ორივენი ძირს დაეცნენ, კალათი გადაბრუნდა, ბანანები შიწაზე მიმოიფანტა. ბავშვები ქრიამულით მისცვივდნენ მოულოდნელ სასუსხავს. ამ უწყსობის შემყურე დანარჩენმა გამყიდველებმა ღრიალი მორთეს: „მძარცველები! მძარცველები!“ — და უჩვეულო სიმკვირცხლით დაიწყეს ღუქნების დახურვა. ვიშვაჯითმა შეპყვირა:

— ყველანი მძარცველები ხართ, ველურები, ქურდები!..

ახლა კი მცველებს უფლება ჰქონდათ ჩარეულიყვნენ, და ისინი დაუყოვნებლივ შეიჭრნენ ბრბოში. ნილუფარმა მარჯვედ აცილა დარ-

ტყმა. ჯგროს თავი დააღწია და სირბილით გაჰყვა ქუჩას. მაგრამ მას მალე დაეწიენ მოქალაქენი, რომლებსაც მცველები მოსდევდნენ. მათ როგორმე რომ გასცლოდა, ნილუფარმა ვიწრო შუქაში შეუხვია, სადაც ბრმა მათხოვარს გადააწყდა.

— ბატონო! მომეცი თ რამე...

— არათერი არ მაქვს, — მიუგო ნილუფარმა, მაგრამ მაშინვე გაახსენდა ბანანები. — დამაცა.

უბიდან ბანანი ამოიღო და მათხოვარს ჩაუღო ხელში. ბრმა მათხოვარი ბატონის გულკეთილობის ქებას მოჰყვა, მაგრამ ნილუფარი უკვე მეორე შუქაში მიაბიჯებდა.

საკმაოდ ბნელოდა, როცა ნილუფარი ერთ პატარა სახლს მიაღდა. აქეთ-იქით მიმოიხედა და ჩუმად დააკაკუნა.

— ღიაა, — უპასუხა მამაკაცის ხმამ.

ნილუფარი შევიდა. მან საიმედოდ დაკეტა კარი და სანათს მოუკიდა. პოეტი ლოგინზე წამომჯდარიყო და ფიქრს მისცემოდა. ეგვიპტელმა გაუღიმა და გვერდით მოუჯდა.

— რაზე ფიქრობ? — ჰკითხა და თან ბანანები ამოალაგა.

— არათერზე.

— სანათს რატომ არ მოუკიდე?

— სიბნელეში ყოფნა მირჩევნოდა.

— კარი რად დატოვე ღია?

— შენ ხომ წასული იყავი.

— ვერ დაკეტე კარი? უცხო ვინმე რომ მოსულიყო? — გაჯავრდა ნილუფარი.

— ნილუფარის გარდა აქ არავინ მოვა, — წყნარად მიუგო პოეტმა. მხოლოდ ახლა შეამჩნია ბანანები.

— სად იშოვებ? კარგი ბანანებია.

— არა, არც ისე კარგია.

— სამაგიეროდ ჩვენი ნილუფარია კარგი. იგი უფასოდ ყიდულობს ბაზარში საქონელს.

ნილუფარმა მხიარულად გაიციინა და, რაც ქალაქში ნახა, ყველაფერი უამბო პოეტს. მერე მათ ბანანების განადგურებას მიჰყვეს ხელი.

უცებ კარს იქით ქალის ხმა გაისმა:

— დედი!

ნილუფარმა და პოეტმა ერთმანეთს გადახედეს.

— დედი! — კვლავ გაისმა ხმა.

— ვინა ხარ? — შეეკითხა ვილიბპითური.

— მომეცით რამე...

— გასწი, გასწი, ჩვენ არაფერი არა გვაქვს, — მიუგო ნილუფარმა, თან ბანანს ფტქენიდა.

კარს იქით კვენესა გაისმა. ვილიბპითურმა ვერ მოითმინა და კარი გააღო.

— არა, შენ არა... — წაიდუღუნა მათხოვარმა და, შეშინებულმა, უკან დაიხია. — არა, შენ არა... შენც კაცი ხარ... მშიერი მგლები!..

— რა დაგემართა? — ჰკითხა ნილუფარმა ქალს. — აგრე რამ შეგაშინა?

— შენ? ქალი ხარ? — გაუხარდა მათხოვარს.

ნილუფარმა სანათი ახლოს მიიტანა, რათა უცნობის სახე გაენათებინა.

— ჩანდრა? — განცვიფრდა ვილიბპითური.

ქალიშვილი მიწაზე დაეშვა, ეტყობა, აღარ შეეძლო ფეხზე დგომა.

— ვინა ხარ?

— მე ვილიბპითური ვარ, პოეტი.

— ვილიბპითური! — გაიმეორა მან და გრძნობა დაჰარგა.

ქაბუკი დაბნეული დაჰყურებდა.

— წამოაყენე! — უთხრა ნილუფარმა.

ვილიბპითურმა მეფის ასული წამოაყენა და სახლში შეიყვანა. სახეზე წყალი ასხურეს და გონს მოიყვანეს. ჩანდრამ წყალი დალია, მერე ჰერის საყრდენ სვეტს ჩაეჭიდა და ძლივძლივობით წამოდგა.

— ახლა უკეთ ხარ, მეფის ასულო? — შეეკითხა პოეტი.

— მეფის ასულიო? მაგ სიტყვას ნულარ იტყვი, პოეტო. მე მძაგს იგი!

ჩანდრა ატირდა.

— მაშ შენ კიკათის მეფის ასული ხარ? — გაეცინა ნილუფარს.

მისი სიცილი გულში მოხვდა ჩანდრას. მან ცრემლი მოიწმინდა.

— რატომ გეშინია კაცებისა? — ცნობისწადილით შეეკითხა ნილუფარი.

— ისინი... ისინი ძალიან ცუდები არიან... ქალაქშიც...

იგი გაჩუმდა.

— კი მაგრამ, რატომ? ყველა ხომ არ არის ცუდი. პოეტი ძალიან კარგია!

— მე საკმეელი ვთხოვე, მათ კი... — ჩანდრას ენა დაება.

— მათ კი საფასური გთხოვეს, არა? — მის მაგივრად დაასრულა ნილუფარმა.

— ღიახ.

— მერე რა? მამაშენიც ხომ იმონებდა იმ ადამიანებს, ვინც საკმელს სთხოვდა, ასე არაა? მერედა, რაშდენი ქალი ჰყავდა მას? შენ ოდესმე თანაგიგრძნია მათთვის? შენ მხოლოდ საკუთარი ბედი გადარღებდა! აქამდე სხვისი გაკაფული გზით მიდიოდი, ახლა კი ეკლები გესობა ფეხებში... მერე, დაპყევ მათ ნებას?

— რა უნდა მექნა?

ჩანდრამ თავი ჩაღუნა.

— რატომ არ მოკვდი?

ჩანდრას არ მოსწონდა ეს საუბარი. მან ბრაზით შეხედა ნილუფარს და არაფერი უპასუხა. მაგრამ ეგვიპტელი არ ეშვებოდა:

— ცხადია, სიცოცხლესთან გამოსალმება ძნელი საქმეა... შენ ეს მითხარი, თუ გსიამოვნებდა?

პოეტმა საყვედურით შესძახა:

— ნილუფარი!

— ჩუმად! გაიგონებენ. რატომ არ უნდა ვკითხო? მე ხომ ვიცი, რანდენი ხანი სჭირდება კაცს, რომ თვითონაც ვიგემო სიამე. და რა დროს მოვიტხოვო მისგან გასამრჯელო...

ნილუფარმა გაიცინა, მერე თეფშით საკმელი მოიტანა და ჩანდრას დაუდგა.

— მიირთვი, მეფის ასულო!

ქალიშვილმა შემკითხველი მზერა მიაპყრო ვილიბჭითურს. პოეტა მიუხვდა გულისნადებს.

— რა მკაცრი ხარ, ნილუფარი! ჭამე, ჩანდრა! — ალერსიანად უთხრა მან.

ჩანდრამ შიშით შეხედა ნილუფარს.

— კარგი, კარგი, — გაიცინა ეგვიპტელმა, — შენ მეფის ასული არა ხარ, ჩანდრა ხარ, ხომ?

ჩანდრა საკმელს შეექცა.

— კერძი მაინცდამაინც სახარბიელო არა გვაქვს, — უთხრა ნილუფარმა. — ცოტაოდენი ბრინჯი და ნიანგის ხორცი — ეს არის სულ, რაც ჩვენ ვიშოვეთ. მასპინძლის პირობაზე ძალიან ღარიბადა ვართ. ჭამე, ჭამე! შენ ალბათ აღრე არც იცოდი, რომ ამგვარი რამის ჭამა შეიძლება? ჰო, კარგი, კარგი, ამას თავი დავანებოთ... იყო დრო, როცა მეც მიმიწვდებოდა ხელი საუკეთესო საკმელებზე... მაგრამ თუ არ



მოგართევს, მშვიერი ხომ არ დარჩები? როგორღა უნდა გაიტანო თავი? სად იშოვი საზრდოს? — ნილუფარს კვლავ გაეცინა. თავი გააქნია და აგდებულად თქვა: — რა არის ეს ქვეყანა! მეფის ასული იძულებულია ორიოდ მარცვალში გაცვალოს თავი! რაო, ჩანდრა? ალბათ მამაკაცები გეუბნებიან, რომ ჭერ კიდევ ახალგაზრდა და ლამაზი ხარ? ა?

ჩანდრა თავჩაღუნული განაგრძობდა ქამას. პოეტმა მეტყველი მხერა მიაპყრო ნილუფარს. ნილუფარმა ოთახის შორეულ კუთხეს მიაშურა და ტანისამოსის გახდა დაიწყო, თან ოდნავ გასაგონად ლინებდა.

— პოეტო! — გამოსძახა მან. — ჩანდრას უთხარი, რომ მე ქაბუკი კი არა, ქალი ვარ. ნურასდროს დაივიწყებს ამას...

— ვილიბპითურ! რა არის ეგ შენი? — წყნარად ჰკითხა ჩანდრამ. პოეტმა ვერ მოასწრო ეპასუხა, რომ ოთახის შორეული კუთხიდან მოისმა:

— შენ რაში გეკითხება? ცოლად ხომ არ გინდა გაჰყვე? გზას ნუ აცდენ. შენ თვითონ არ გამოაგდე შენი ქვეყნიდან, ხომ ასეა? ცოლი ვარ მაგ უგუნურის, ცოლი.

პოეტი გაბრაზებული გაემართა ნილუფარისკენ, რათა ჩაეჩუმებინა იგი. ქალი არ ცდილა დაეთარა სიშიშვლე, და პოეტმა სანათის შუქზე დაინახა ზღაპრული სილამაზის ტანი. მთელი მისი სიმტკიცე ერთბაშად გაქრა.

— განა მე ტყუილი ვთქვი? — ჰკითხა ნილუფარმა.

— დიახ, ტყუილი.

— კარგი, აგრე იყოს. მამ შენ ისევ გინდა უგუნური იყო?

— რაც გინდა, ის იფიქრე.

პოეტმა თავი ჩაღუნა.

— გაამაყდი? ხომ არ ინებებ მითხრა — რატომ?

— მე არ მესმის შენი.

— შენ რომ ისეთი ჰქვიანი იყო, როგორიც თავი გგონია, განა ამგვარ ყოფაში ჩავარდებოდი?

— რა ეშმაკი შეგიჯდა თავში? — შეჰყვირა პოეტმა. — რა გემართება? ალბათ დაგავიწყდა, რომ მე კაცი ვარ?

ნილუფარმა გაიცინა და აღერსით შეხედა ვილიბპითურს. მაგრამ პოეტი არც კი იყურებოდა მისკენ. ნილუფარი გაბრაზდა.

— მე ხომ აღამიანი არა ვარ, — ჩუმი სიმშაგით ამბობდა ეგვიპტელი. — რისა უნდა მრცხვენოდეს? განა პირუტყვებმა სირცხვილი იციან? მე არც ღელა მახსოვს, არც მამა. რა უნდა ესწავლებინა ჩემ-

თვის უცხო ხალხს?! როცა ჩემი სხეული რომელიმე ავზორცს თვალში მოუვიდოდა, მე სწორედ ამ სახით წარვდგებოდი ხოლმე მის წინაშე. ასეთია ჩემი ცხოვრების გზა. რა მაქვს მე? არც სიმდიდრე გამაჩნია, არც დიდგვაროვნება, არც ძალაუფლება. მე მხოლოდ ჩემი სხეული ვარ. ყველანი მარტოოდენ სხეულს აფასებდნენ ჩემსას, და ღღესაც კი მხოლოდ იმას მივიღებ, რაც ის ღირს. შენ ალბათ დაგაევიწყდა, რომ შენ წინაშე მანიბანდპის სატრაფო კი არ ღვას, არამედ მონაქალი, რომელიც ბაზრებში იყიდება...

ეგვიპტელი აკანკალდა. გეგონება, ეს-ეს არის გონი მიეხდებო. პოეტმა თავისკენ მიიზიდა. მის მკერდზე მიხუტებულ ნილუფარს ცრემლები წასკდა.

მონობა!!!

რა უღმობელია იგი! ნილუფარის გულისტკივილის გვერდით აღარაფერია ყურადღების ღირსი. ვილიბპითური, რომელიც უეცრად ჩასწვდა ეგვიპტელის აუწერელ ტანჯვას, უმწეოდ უსვამდა თავზე ხელს.

— ცუდი ხომ არაფერი იფიქრე ჩემზე, პოეტო? — ჩუმად ჰკითხა ნილუფარმა და ტირილი შეწყვიტა.

— არა, არა, ნილუფარ! ახლა მე ვიცნობ შენს გულს.

— შენ ერთხელ დამცინე.

— მაშინ მანიბანდპის ხასა იყავი. ახლა კი მე შევიგრძენ შენი ტკივილი და სიმღერად გარდავქცეამ მას.

— მართლა? — გაეღიმა ნილუფარს. ცრემლებისაგან დასველებოდა სახე.

პოეტმა თავი დაუქნია.

— რა კარგი ხარ! — ნილუფარმა მხარზე მიაყრდნო თავი. — შენ ძალიან კარგი ხარ, ვილიბპითური! შენ კაცი კი არა, ღმერთი ხარ! ოღონდ სიმღერას ნუ შეთხზავ ჩემზე! ნუ შეთხზავ! ხალხი გაიგონებს და გაიცინებს. განა მონაქალზე სიმღერას თხზავ ვინმე?

თავიანთი სიმართლის გამო საშინელი ეს სიტყვები ნაღვლიან ზარის რეკვასავით ჩაესმა პოეტს. მან მყისვე მიიზიდა ნილუფარი, თითქოს იცავდა იმ მტრული სამყაროსაგან, რომლის ბნელი ძალები კედლებივით აღმართულიყვნენ მათ ირგვლივ.

— ახლა ხომ აღარ გეშინია? — ჩუმად ჰკითხა ვილიბპითურმა.

— არა! — ნილუფარი კიდევ უფრო მიეხუტა.

პოეტს ფიქრადაც არ მოსვლია ოდესმე, რომ შეიძლებოდა ასეთი ძლიერი ყოფილიყო. ტანჯული ქალის მიმნდობმა შეხებამ სული

აღუვსო მჩაგვრელთა სამყაროს სიძულელით, და მან პირველად იგრძნო, რომ წინსვლის უნარი შესწევდა. ადამიანის სიყვარული — აი, რა უნდა იყოს მთავარი ცხოვრებაში!..

— დღეიდან მე შენი დამცველი ვიქნები, ნილუფარ! — მღელვარედ უთხრა პოეტმა. — დღეიდან შენ ჩემი ხარ!..

მცირე ხნის დუმისის შემდეგ კი თქვა:

— მე შენი არა ვარ. არც შენა ხარ ჩემი. ჩვენ არავისი არა ვართ. მაგრამ მე შენ დაგიცავ, რადგან მათ შენი სახელის შებღალვა სურთ!..

ნილუფარს თავის დღეში პირველად ესმოდა სიტყვები, რომლებიც ბედნიერებას ანიჭებენ ქალს. ნილუფარი შეხვდა იმას, ვისაც დიდი ხანია ელოდა, ვინც ესოდენ სჭირდებოდა. იგი ისე მოჰხვეოდა პოეტს, როგორც სურო შემოეხვევა ხეს. ახლა ნილუფარი არ ფიქრობდა, შესწევდა თუ არა პოეტს ძალა, რომ მისი საიმედო დამცველი და მფარველი გამხდარიყო.

დაღამდა. მთვარის მკრთალი ნათელი მოეფინა ზეცას. აციმციმდნენ ვარსკვლავები. ქუფრი ჩრდილები გაწვინენ მიწაზე. ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა. ვილიბპითურმა ნაზად გადაუსვა თმაზე ხელი ნილუფარს და უთხრა:

— დადლილი ხარ, ნილუფარ! დაიძინე!

აღელვებული და ბედნიერი ნილუფარი დუმდა. ვილიბპითურმა ფრთხილად დააწვინა ლოგინზე და გვერდით მოუჯდა. ეგვიპტელმა ხელებში ჩაიდო მისი ხელი, დიდხანს შესცქეროდა სახეში და თვალს ვერ აშორებდა.

ნილუფარს არ სჯეროდა, რაც ახლა ხდებოდა. ვილიბპითურმა გაულიმა, თითებით დაუხუჭა თვალები და თმაზე ხელი გადაუსვა.

— პოეტო!

— ნილუფარ!

— შენ მშვენიერი ხარ!

— დაიძინე, ნილუფარ! დადლილი ხარ! — წყნარად უთხრა მან.

... ნილუფარმა დაინახა გრძელი გზა. მას მრავალი ნაკვალევი აჩნდა, მაგრამ ირგვლივ არავინ იყო. მხოლოდ სადღაც შორს ისმოდა ნარინარის სიმღერა: ნაკვალევი მიემართებოდა მხოლოდ ერთი მხრისაკენ — იმ, ამწვანებულ შორეთში... მაშ იქიდან არვინ დაბრუნებულა? ნილუფარი დიდხანს დგას ფიქრში წასული. გრილი ნიაფი მოჭრის, სურნელება მოაქვს...

... აი, ნილუფარი გზაზე მიდის. ღამეა. მთვარე ამოვიდა. უცებ მოეჩვენა, რომ ცის თაღზე ორი მთვარე მიცურავს სწრაფად. დააკვირ-

და. არა, მთვარე ერთია. და ცაზე გამალებით მიჰქრიან ღრუბლები...

მთვარის შუქით განათებულ გზაზე ნილუფარი ეკალს ხედავს. სურს მოწყვიტოს, მაგრამ ეძნელება. ბოლოს ეკალი ხელთ იგდო. ნილუფარი ათვალეირებს, მაგრამ უცებ მთვარე მიიშალა. ნილუფარმა ეკალი გადაადგო. კვლავ გამოჩნდა მთვარე, კვლავ დახვდა გზაზე ეკალი. ის არის თუ სხვა? ღრუბლებმა დაფარეს ცა. ქარიშხალი ახლოვდება. ნილუფარი გარბის, გარბის... ელვამ გაანათა ცა, გავარდა მენი. ნილუფარის წინ ხახნადფჩენილი საზარელი მხეცი დგას. იგი ქარიშხალმა აიტაცა და პირდაპირ ხახაში ჩაუგდო მხეცს. შეშინებულმა ნილუფარმა შეჰყვირა...

პოეტი ალერსით უსვამს თავზე ხელს და თანაგრძნობით ეკითხება:

— რა დაგემართა?

ნილუფარი ცაწცახებს. ტანზე ცივი ოფლი დაასხა. შიშისაგან თვლებდაჰყვებილი შეჰყურებს იგი პოეტს.

— შენ... ვინა ხარ?

— ვილიბჰითური! შენი პოეტი! რა დაგემართა?

ქალმა შვევით ამოისუნთქა.

— სადა ვარ?

— ჩემთან, სულელო. მე ხომ შენთან ვარ. შემომხედე!

ნილუფარი ხელში სწვდა პოეტს და სუსტი ხმით თქვა:

— მხეცი მიპირებდა შეჰმას...

— მხეცი?

— ის ისე დამშეული იყო...

— ნუ გეშინია, ნილუფარ. შეხედე, მთვარეს სძინავს. მე აქა ვარ, შენთან. წინათ შენ არ იყავი ასე სუსტი...

— არა, პოეტო, მე არასოდეს არ ვყოფილვარ ასე ძლიერი.

სარკმელში მთვარის მკრთალი სხივები იჭრებოდა. სიჩუმე და ბინდბუნდი სუფევდა ირგვლივ.

— დაიძინე! — უთხრა პოეტმა.

— შენ არ გიძინია?

— ჩემს სულს ძილი არ ეკარება. შენ დაიძინე. აღარ ნახავ სიზმარს.

ნილუფარი დამძიმებული ქუთუთოებიდან ადევნებდა თვალს ვილიბჰითურს.

— ნუ გეშინია, ნილუფარ!

ნილუფარი ლოგინზე წამოჯდა.

— აღარ გინდა ძილი? — ჰკითხა ვილიბპითურმა.

— არა, არ მინდა.

ქალმა გაიღიმა. პოეტმა შუბლზე ჩამოყრილი კულულები გაუსწორა.

— დღეს იწყება ჩემი ცხოვრება, პოეტო.

— ძილი გამიტყდა დღეს, — ფიქრიანად მიუგო პოეტმა.

— ღვიძილი ძილზე უკეთესია?

— იგი შესანიშნავია. შენ რომ არა, აქამდე უსიცოცხლო ძილს ვიქნებოდი მიცემული.

— აგრე ნუ ამბობ, პოეტო! ჯობს იმღერო!

— შენ გინდა მოისმინო ჩემი სიმღერა? — სიხარულით წამოიძახა პოეტმა.

ნილუფარმა თავი დაუქნია. ვილიბპითურმა ჩაღაც წაიდუდუნა, მერე კი სიმღერა დაიწყო. თვალები დაეხუჭა. აღმაფრენა დაუბრუნდა. მშვენიერ ბგერათა ტალღებში დანთქმული ნილუფარი თავდავიწყებას მიეცა.

მაგრამ აი, სიმღერა შეწყდა. ერთხანს ორივენი დუმდნენ და თავისას ფიქრობდნენ.

— რატომ გამომიყვანე მაშინ ტაძრიდან? — ჰკითხა პოეტმა.

— მინდოდა მომეკალი!

— აი, თურმე რა ყოფილა! — ვილიბპითურმა გაიცინა. — სულელო, მერედა, არ გრცხვენია ახლა ამის თქმა?

— შენ გგონია, ავზორცობის გამო ვისწრაფვი შენსკენ? კი მაგრამ, რაღაა ის სიყვარული, რაშიც სხეული არ მონაწილეობს? — წარმოთქვა ნილუფარმა.

— ვენის ვუყვარდი, და მე ბედნიერი ვიყავ.

— მანიბანდპიც მეუბნებოდა, მიყვარხარო, — გაიცინა ნილუფარმა. — მე მჭეროდა მისი. ახლა კი შენი ნათქვამი მწამს. შესაძლოა, იგი სიცრუე იყოს, მაგრამ წამიერად მაინც ხომ ანიჭებს ჩემ სულს ბედნიერებას!

პოეტმა ფიქრიანად თქვა:

— როგორ მოვიქცე, რომ შენ მუდამ გჭეროდეს ჩემი?..

— შენ ძალიან კარგი ხარ, ჩემო პოეტო. ჩემთვის ესეც კმარა. ჩემს სულში არასოდეს უჭლერიათ ისეთ სიტყვებს, როგორსაც შენ მეუბნები. მე არ ვიცოდი, რა იყო ბედნიერება, და კმაყოფილი ვიქნებოდი ჩემი მონური ცხოვრებით, რომ ჩემთვის თვალი არ აეხილათ.

— ვინ აგიხილა თვალი?

— დიდგვაროვანმა მამაკაცებმა, რომლებიც მუდამ ელტვოდნენ ჩემი ტრფობის ცეცხლს. ეს ნაღვლიანი ამბავია, ვილიბჰითურ, რად გინდა ისმინო? მას შემდეგ გადაწყვიტე არაფერი დამეთმო ნათვის. მაგრამ შენ ისეთი არა ხარ, როგორიც ყველა კაცია, — შენ აღაჰიანი ხარ. წინათ მეგონა, რომ ქალი მხოლოდ იმისათვის ეძებდა მამაკაცს, რომ მძღარი ყოფილიყო. ახლა მე ვიცი, რომ ქალს ჭეშმარიტად უნდა უყვარდეს კაცი, ასეთია ბუნების კანონი. სხვაგვარად განა დამარცხებულად ვცნობდი თავს?

— შენ ეს დამარცხებად მიგაჩნია?

— ახლა არ იმიჰინია. და თუ ეს დამარცხებაა, მაშ ქალისათვის უფრო ღიდი გაჰარჯება არცა ყოფილა.

ნილუფარმა დარცხვენით ჩარგო თავი ბალიშში.

— რა კაცია ანენ-რა? — ჰკითხა უცებ პოეტმა.

ნილუფარი სეკრთა — მოსუცი ეგვიპტელი ძრწოლას ჰგებოდა მას.

— ის სასტრკი ურჩხულია! ნე მძაგს იგი! იმან დააღვეინა მანი-ბანდჰს რაღაც წამალი და ჰკუთაზე შეშალა...

ნილუფარი გაიუმდა. მერე გაცხარებით განაგრძო:

— რად გვინდა ისინი? რა საჭიროა მათი გახსენება! განა შენ გსურს, რომ ბედნიერებით აღსავსე ფილა მანამდე დამეღვაროს, სანამ ტუჩებთან მივიტანდე?

ვილიბჰითურს გაეღიმა. ნილუფარი კვლავ დაჟინებით შესცქეროდა მას.

პოეტმა ჩანდრას გადახედა. ქალს ეძინა. ჰამა რომ მოათავა, იგი ერთხანს უცდიდა მასპინძელს, მაგრამ მერე გაიფიქრა: ალბათ დავავიწყდი ცოლ-ქმარსო. ჩანდრა ჰვებნე მიწვა. ძილი ერთბაშად მოერიდა, — ამდენი დღის ტანჯვის შემდეგ პირველად მისცეს საჭმელი და შეიფარეს.

— ეტყობა, ჩანდრამ დაიძინა, — თქვა პოეტმა. — მალე გაათენდება. როგორ იქნება ჩვენი საქმე, ნილუფარ?

ერთხანს ღუმდნენ.

— ნუთუ არ იცი? — ჰკითხა ნილუფარმა.

— მე ვერაფერს ვხედავ წინ...

— სიზმარშიც წყვიდადი იყო. მხოლოდ დროდადრო ანათებდა მთვარე გზას... მთვარე ალბათ შენა ხარ...

ნილუფარი ხელში სწვდა პოეტს და მღელვარედ წარმოთქვა:

— მოდი გავიქცეთ!

— სად?

— სადმე! ქვეყანა დიდია...

ვილიბპითური ჩაფიქრდა.

— შენ იპვე გიყვარს ვენი? — ჟიუტად ჰკითხა ნილუფარმა.

— განა სიყვარული ავხორცობაა, ნილუფარ? ვნების პირველ გატაცებას ხშირად სიყვარულად მიიჩნევენ ხალხი.

— მე ტანშიშველს დანატარებდნენ ბაზრებში გასაყიდად. — გულსტივილით წარმოთქვა ნილუფარმა. — რაძდენი მამაკაცი დამტკბარა ჩემი სხეულის, ვილიბპითურ! მე მძულს ჩემი თავი. შენ? შენ გძულვარ?

თვალეზი ცრენლით აევსო.

— შენ კი არა, ნილუფარ, მე ისინი მძულს, ვინც შენ საყუთარი თავი შეგაძულა!

— შენ ღეთაება ხარ!

— ადამიანს დავიწყებული აქვს თავისი დანიშნულება ამქვეყნად. ანგარებამ თვალის დაღვსო მას, და იგი თავიდან იცილებს სიკეთესა და გულნოწყალეობას, მიიჩნევენ რა ღმერთების ღირსებად. ცოდვილი შენ კი არა ხარ, არამედ ის, ვინც შენ ცოდვილად გთვლის! ქეშმარიტ ადამიანს თავისი თავის დანახვისას დარღვი შემოაწეება გულსე. ამ წუთს მას სძაგს თავისი თავი! მაგრამ ის, ვისაც შენ ეცოდები, უბადრუკი ამპარტაევანია! განა დამნაშავეა ცოდვილის შვილი, რომელიც მანისაგან ნოტანილ საწრდოზე აღიზარდა? განა ჯობს ნოველათ, ვინემ ცხოვრების ქეშმარიტი გზა ვუჩვენოთ? ის ხომ უგუნური, უბედური ზავშვიდა და სხვა არაფერი! ადამიანებმა უნდა ჩამოაშორონ იგი მამას, რათა ამ უკანასკნელმა არ წაბილწოს მისი სული...

ნილუფარს გული სიხარულით აევსო.

— ვილიბპითურ!

პოეტმა მხრებზე ნოჰკიდა ხელები.

— რა იყო, ნილუფარ?

— მე ვერ გადავიტან ამ უსაზღვრო სიხარულს! იგი აღბათ გულს გამიხეტქავს...

— განა შეიძლება სიხარული უსაზღვრო იყოს?

— შენ ჩემთანა ხარ... ჩემ სიცოცხლეში პირველად ვგრძნობ, რომ ნამდვილი ქალი ვარ. — ნილუფარი მკერდზე მიეყრდნო პოეტს. — არ მიმატოვებ?

— არა!

— კიდევ გაიმეორე, ვილიბჰითურ, ეგ ჯადოსნური სიტყვა!

— არა!

მთვარე ასრულებდა თავის გზას ცაზე.

ბედნიერმა ნილუფარმა გადაიკისკისა.

— იძინე, ნილუფარ! — ალერსით უთხრა პოეტმა.

— განა დღეს შევეძლებ დავიძინო? არა, მე მთელ ღამეს გიყურებ  
შენ... აი, ასე, თვალის დაუხამხამებლად... ხარბი თვალებით... დუმი-  
ლით...



მანიბანდში პირმოღუშული იჯდა თავის საუცხოო სავარძელზე და ფიქრს მისცემოდა. კოპები შეეყრა, თვალმოუშორებლივ ჩასცქეროდა მიწას. ამოცურდნენ ხსოვნაში ჩარჩენილი წარსულის სურათები. რამდენი მანვ დაუგია მისთვის ბედისწერას! დროდადრო დიდებული ვაჭრის თვალწინ აღიმართებოდნენ მის მიერ დაღუპულ ადამიანთა პირქუში სახეები, იგი უცბად ასწევდა თავს და შეშფოთებული იხედებოდა აქეთ-იქით, მაგრამ შემდეგ კვლავ ჩაქინდრავდა და მოუსვენარი ფიქრების ოკეანეში ინთქმებოდა...

აი უკვე ახლოვდება დრო განის საბჭოს შეკრებისა. მანიბანდს მანც ვერ გადაუწყვეტია, როგორ დაიჭიროს თავი წარჩინებულთა წინაშე. „რაც იყოს, იყოს! რაც იყოს, იყოს!“ ხელებდამუშტული წამოდგა და აღელვებული მოჰყვა დარბაზში სიარულს.

ერთ-ერთი მონაქალი სვეტს ამოფარებოდა და ისე ადევნებდა თვალს ბატონს, მაგრამ მანიბანდში ვერ ამჩნევდა. იგი ვერაფერს ვერ ხედავდა ირგვლივ. მღელვარე ფიქრები უღრღნიდნენ გულს.

ჭიშკართან დოლი დაჰკრეს. წასვლის დროა. მანიბანდმა ხელებზე მოციმციმე თვლებით მოოქვილი ოქროს სამაჯურები შეიბა; ყელზე მარგალიტის რამდენიმე წყება მძივი და ზურმუხტითა და ლალით გაწყობილი ოქროს დიდი ყელსაბამი დაიკიდა. თმა დაივარცხნა, ბუჩქად შეიკრა და უკან გადაიგდო. მერე თავი დოლბანდით წაიკრა, სარკეში ჩაიხედა და ქუჩაში გავიდა. დიდებული ვაჭარი ისე სწრაფად ავიდა ეტლზე, რომ მეეტლემ ბატონის ჩაცმულობასაც კი ვერ შეაველო თვალი. შოლტის მოქნევა, და ეტლი უკვე ქალაქში მიჰქრის. მანიბანდში აგდებულად გადაჰხედავდა ხოლმე ქალაქის მკვიდრთ, რომლებიც თავიანთი წვრილმანი, უმნიშვნელო საქმეებით იყვნენ გართული.

ეტლი საბჭოს შენობის წინ გაჩერდა. მონათა მხრებზე დაყრდნობილი მანიბანდში ნელ-ნელა, დარბაისლურად გადმოვიდა ეტლიდან. განის კრებაზე მობრძანდა მოქენჯო-დაროს ყველაზე პატივცემული და ყველაზე მდიდარი მკვიდარი

საბჭოს დარბაზში უკვე აენთოთ ლამპრები. ყოველ ნაბიჯზე იდგნენ ყრუ-მუნჯი მცველები, რომელთაც კომბლები ეპყრათ ხელთ.

კარებთან გარინდულიყენენ მახვილამოწვილი შავი ტყვექალები. ქალაქის წარჩინებული პირნი უკვე ისხდნენ სავარძლებზე. მანიბანდ-ძის დანახვაზე საბჭოს წევრები ფეხზე აღგნენ და ამით პატივი სცეს ვაჭარს, — ამას წინათ იგი მთავარ მრჩეველად აირჩიეს! მანიბანდძს ფეხდაფეხ შემოჰყვა განის უხუცესი. კვლავ წამოდგნენ ყველანი თავ-თავიანთი ადგილებიდან.

ჩვეულებრივი წვრილმანი საქმეები, რომლებიც შეეხებოდა საქო-ლაქო მშენებლობას თუ ვაჭრობას, ძალიან ჩქარა გადაწყვიტეს. არა-ვინ ცდილა ღრმად ჩასწვდომოდა ამ საკითხებს, არც შეკითხვები მიუ-ციათ. დღეს განის საბჭოს უნდა გადაეწყვიტა საკითხი, რომელიც დიდი ქალაქის ყველა მცხოვრებს აღელვებდა: საჭიროა თუ არა შევ-ცვალოთ მამა-პაპათაგან დადგენილი ადათ-წესები?

ბოლოს წამოდგა განის უხუცესი. სახეზე მკვეთრად აჩნდა ნაოქე-ბი — მოწმენი უდიდესი ცხოვრებისეული სიბრძნისა. ყველანი ჩაჩუმ-დნენ და კრინტის დაძვრასაც კი ვერ ბედავდნენ.

ხალხის სახეზე მოუთმენლობა იხატებოდა. სვეტებს უკან მდგარი მონები და მონაქალები წელში გასწორდნენ და ყურები დაცქვიტეს. მარტოდენ მანიბანდძი ჩანდა გულგრილი ყველაფრის მიმართ, გაუნ-ძრევლად იჯდა და ხელები მუხლებზე დაეწყო.

— მოჰენჯო-დაროს მკვიდრო, ჩვენი სახელგანთქმული ქალაქის ერთიანი ოჯახის წევრო! — მოედო დარბაზს უხუცესის მკაცრი ხმა. — დიდებული მანიბანდძი, მთავარი მრჩეველი განისა, გეთავა-ზობს ჩვენს განაში მივილოთ ეგვიპტელი ვაჭრები. იგი ამბობს, რომ ეს დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ვაჭრობას. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები ველურ ტომთა ძალაუფლების ქვეშ მოექცნენ. ეს ტო-მები ძარცვავენ და იკლებენ მათ. ჰარაპა და დრავიდთა ქვეყანა აღარ ვაჭრობს ჩვენთან. მე თხოვნით მოგმართავთ მთელ კრებას — მოი-ფიქროთ, როგორ მოვიქცეთ...

განის უხუცესი დაჯდა. ჩამოვარდა სიჩუმე. ყველანი ღუმდნენ და თავის აწევას ვერ ბედავდნენ. მხოლოდ მოხუცი ვიშალაქშა — ახო-ვანი, სქელწვერა მოქალაქე — შეშფოთებული. იყურებოდა აქეთ-იქით. მანიბანდძი მშვიდად გამოიყურებოდა, თითქოს მისთვის სულ ერთი იყო, რას დაადგენდა საბჭო. „ჰოო, — გაიფიქრა ვიშალაქ-შამ, — არა მგონია წინააღმდეგობის გაწევა გაბედოს ვინმემ...“ იგი გაბედულად წამოდგა თავისი ადგილიდან და თქვა:

— განის პატივცემული უხუცესის სიტყვა დაურღვეველია! მაგრამ

დაე, საბჭოს საპატიო წევრებმა მეც მათხოვონ ყური. ვის შეუძლია თავს იდოს, რომ ეგვიპტელი ვაჭრები იზრუნებენ ჩვენი განის კეთილდღეობაზე და არა ფარაონის ღიღებზე? ვინ არ იცის, რომ ეგვიპტელ ვაჭრებს უკან მოჰყვება ურიცხვი ლაშქარი, რომელიც მომიჯნავე ქვეყნებს იმორჩილებს? აბა, დაფიქრდით, ხომ არ ხელყოფენ ოდესმე ისინი ჩვენს თავისუფლებას? ჩვენ ხომ არც ჯარი გვყავს და არც იარაღი და ციხესიმაგრეები გაგვანია! მე, ვიშალაქშა, განის საბჭოს წევრი, აქმას ძველი გვარის შთამომავალი, გაფიცებთ: 'ნუ გადადგამთ მოუფიქრებელ ნაბიჯს! ყურად იღეთ თქვენი სიბრძნის ხმა! ერთი ადამიანის სურვილი არარაობაა დიდი ქალაქის ღირსებისა და თავისუფლების წინაშე. ჩვენ გვემუქრება თეთრკანიან ველურთა თავდასხმა ისინი გვემუქრებიან ჩრდილოეთიდან, სადაც არ არის ციხესიმაგრეები. დიდებული ვიშვაჯითი ამბობს, რომ ჩრდილოელ ველურთა რიცხვი უჩვეულოდ დიდია, — მათ რომ ინდი გადმოიარონ, მდინარე ნაპირებს გადმოლახავს და ირგვლივ ყველაფერს წალეკავს...

ვიშალაქშა გაჩუმდა და სავარძელზე დაეშვა. მისმა სიტყვებმა ძრწოლა მოჰგვარეს შეკრებილთ. ვიშალაქშას პატივს სცემდნენ ქალაქში. ცხოვრების მრავალი ქარიშხალი გადაეტანა ამ კაცს. ამას მოწმობდნენ ნაოჭებით დაღარული მისი სახე და ჭალარა, რომელიც შავ წვერში გამოჩნდებოდა.

ყველამ ჩურჩულით დაიწყო ბკობა. ვიშალაქშა უეჭველად ბრძენი კაცი. მაგრამ რას გულისხმობდა, როცა ერთი ადამიანის სურვილზე ლაპარაკობდა? ანდა ვინ არის ეს ადამიანი? დიდებული მანიბანდჰი? მაგრამ მანიბანდჰი ხომ იმდენად კეთილშობილი და პატიოსანია, რომ განაში უტხოვლ ვაჭართა მიღებაზეც კი თანახმაა? ან რატომ უფრთხის ვიშალაქშა ასე ჩრდილოელ ველურებს? ვიშვაჯითმა თავისი უგუნური სიტყვებით ააფორიაქა მთელი ხალხი. ლაჩარი დრავიდები შიშისაგან აქამდე ვერ მოსულან გონს! მაგრამ განა ამიტომ მოჰენჯო-დარო აღარ უნდა იყოს დიდი ქალაქი?

ყველანი დაიბნენ. მაშინ წამოდგა განის უხუცესი.

— მოჰენჯო-დაროს პატივცემულო მოქალაქენო! ამ სახლში მრავალ თაობას მიუღია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი. საბჭოს სიბრძნე პირველად წააწყდა გადაულახავ დაბრკოლებას.

ყველანი გაკვირვებული უსმენდნენ პატივცემულ მოხუცს. დიხს! დღეს თვით განის უხუცესი, რომელიც ქალაქის მკვიდრთა თვალში ღვთის შვილის სწორია და რომელიც, ვითარცა ქანდაკება, მუდამ ინახავდა ურღვევ სიმშვიდეს, — ეს გაუტეხელი ნების ადამიანი ისე იყო

დაბნეული და აღელვებული, თითქოს ავი წინაგრძობა უტანჯავსო სულს...

— ჩვენ არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ. დაე, პატივცემული საბჭოს წევრები კვლავ შეიკრიბონ აქ, როცა ყოვლად ძლიერი ღმერთი ჭეშმარიტების გზაზე დააყენებს მათ და გონებას გაუნათებს. ყველაფერი ყოვლად ძლიერის ხელშია!

განის უხუცესმა ხელები ზე აღაპყრო და ღინჯი ნაბიჯებით გავიდა დარბაზიდან. ყველანი მოწიწებით წამოდგნენ. ახლა კი განის საბჭოს წევრებმა ხმა აღიმადღეს. მაგრამ მანიბანდჰმა არ ინება მათთან კამათი და სწრაფად გაჰყვა უკან განის უხუცესს. დიდებულმა ვაჭარმა რაღაც გადაულაპარაკა მოხუცს და ეტლზე ავიდა.

— შეეტლევ, სასახლისაკენ!

— როგორც ბატონი მიბრძანებს! — მიუგო მეეტლემ და ხარებს შოლტი გადაუტყლაშუნა.

დიდი ქალაქის თავზე დამეული ჩრდილები ჩამოწვნენ.

სასახლეს მიახლოებულმა მანიბანდჰმა შორიდანვე დაინახა ვენი. ჩირაღდნებით გასხივოსნებულს, ხელთ ვინა ეპყრა და ეგვიპტიდან ჩამოსული განთქმული მემუსიკის გვერდით იჯდა. მოცეკვავე ქალი ნელ-ნელა დაატარებდა თითებს საკრავის ღმინარნარ სიმებზე და თან ყურად იღებდა მოხუცის დარიგებას. მათ ირგვლივ მოეკალათათ ქალაქის მკვიდრთ, მუსიკის მხურვალე მოყვარულთ, — ისინი დიდი მასწავლებლის დაკვრის მოსასმენად მოსულყვნენ.

ეტლი სასახლის ჭიშკარში შევიდა და გაჩერდა. მანიბანდჰმა ლამპართა რიგებს გაუარა და თავის პალატს მიაშურა. რატომ არიან ეს აღამიანები ასე ეჭვიანი? რატომ არა სწამთ არავისი? იქნებ ის, მანიბანდჰი გაიციხა დღეს ვიშალაქშამ ასე სასტიკად? განა მანიბანდჰი მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე ზრუნავს?

დიდხანს იჯდა მანიბანდჰი ფიქრში წასული. ოთახში ჩქამიც არ ისმოდა, გეგონება არავინ არისო შიგ. შემოვიდა მონა და გაღვიძება დაუწყო მონაქალს, რომელსაც კუთხეში ეძინა, მაგრამ, როგორც კი მანიბანდჰი დაინახა, თავქუდმოგლეჯილი გავარდა.

მოახლე ქალი ზანტად წამოდგა და ბუტბუტს მოჰყვა. უცებ დიდებულ ვაჭარს მოჰკრა თვალი და სასწრაფოდ გაიპარა ოთახიდან. მანიბანდჰი ვერაფერს ამჩნევდა, იგი მტანჯველ ფიქრებში იყო ჩაფლული.

შემოვიდა მონა და ამცნო:

— ბატონო! ყოვლად ღირსი ამენ-რა გეწვიათ!

— ვინ? — ჰკითხა შემკრთალმა ვაჭარმა.

— ყოვლად ღირსი ამენ-რა.

— პატივი ეცი, მონაე, — უბრძანა მანიბანდჰმა.

ამჟამად უკმაყოფილო იერით წამოდგა და სტუმარს შეეგება. ტანისამოსის გამოცვლა საჭიროდ არ მიიჩნია. მონებმა ალი გაასწორეს ლამპრებში, მონაქალებმა ღვინით სავსე ჭურჭელი მოიტანეს. ბატონის ნიშანზე ყველანი გავიდნენ.

მანიბანდჰმა ფიალები შეავსო. ოთახში ღვინის სურნელება დატრიალდა.

ამენ-რამ სასმისი აიღო, შუბლზე მიიღო და აუჩქარებლად დაცალა.

მერე მანიბანდჰს გახედა და მის ტუჩებზე ღიმილი შენიშნა, — ეგვიპტელის გამოცდილი თვალი ყველაფერს ამჩნევდა.

მანიბანდჰმა კვლავ დახარა ღოჭი ამენ-რას ფიალისაკენ, მაგრამ უცებ რალაცაზე ჩაფიქრდა, და ღვინო სასმისის ნაპირებს გადასცდა.

— დიდებულო! — ღიმილით უთხრა ეგვიპტელმა. — ვინც მთებიდან ნაკადის გადმოშვებას განიზრახავს, მან ჭერ ქვემოთ კაშხალი უნდა ააგოს, თორემ წყალი ყველაფერს დაანგრევს თავის გზაზე. მხოლოდ ერთგამგებლობის ოსტატურად აღმართული კაშხალი დაგიცავთ თქვენ. ბრბოს თავხედობისაგან...

მანიბანდჰი დაბნეული უგდებდა ყურს სტუმარს. უეცრად წამოიძახა:

— დიახ!

მაგრამ შემართული ხელი იმწამსვე ჰაერში გაუშეშდა. მან ამენ-რას შეხედა და შემცბარმა დახარა თავი.

— გთხოვთ მომიტევოთ! ფიქრში წავედი.

— ამენ-რას ყურადღება არ მიუქცევია ამ სიტყვებისათვის და შენიშნა:

— თქვენი თასი ცარიელია, დიდებულო!

ამჯერად მანიბანდჰს წვეთიც არ დაქცევია. მან აღმაცერად გახედა ეგვიპტელს. ამენ-რამ გაიცინა.

— ამბოხია, დიდებულო! ნამდვილი ამბოხი! შეხეთ, როგორ ბობოქრობს ღვინო ფიალაში ბუშტები ამოდინან და სკდებიან, კვლავ ამოდინან და სკდებიან...

მანიბანდჰმა სწრაფი მზერა ესროლა სტუმარს. მაგრამ ის, ვითომც აქ არაფერი მომხდარიყოს, თავის ფიალას დასწაფებოდა და ღვინოს სვამდა.

— წინანდელი წესრიგი და სიმშვიდე აღარ სუფევს ქალაქში... — დაბნეულად თქვა მანიბანდჰმა.

— მე მესმის თქვენი, დიდებულო!

— თქვენ? — გაოცდა მანიბანდჰი. — თქვენ იცით, რას ვფიქრობ?

— დიახ! თქვენი უღირსი მონა ყველაფერს ხვდება, — წყნარად უთხრა ამენ-რამ. — მოჰენჯო-დაროს გონივრული ხელი არ განაგებს.

— რა არის ამის მიზეზი, ყოვლად ღირსო?

— ამას ერთი მიზეზი კი არა აქვს, არამედ მრავალი. — ამენ-რამ ცარიელი ფიალა დაიდგა წინ. — ყოველ ქვეყანაში ძალაუფლება შიშზეა დამყარებული. ხალხი რომ მორჩილებაში გყავდეს, ამისათვის ძალაა საჭირო. მაგრამ მბრძანებლური ხელი მარტოდენ მათრახით როდი უნდა მოქმედებდეს, არამედ სარგებელიც უნდა მისცეს ხალხს. უანგაროდ ქვეყნად არაფერი კეთდება, დიდებულო...

მან ხელები ფართოდ გაშალა და მრავალმნიშვნელოვნად გადახედა მასპინძელს.

— კი მაგრამ, განა მოჰენჯო-დაროში უხელისუფლებობა და ურჩობა სუფევს? — შეესიტყვა მანიბანდჰი. — იმას, რაზედაც თქვენ ლაპარაკობთ, დიდებულო, ეგვიპტისათვის მოაქვს სიკეთე და არა სხვა ქვეყნებისათვის. თქვენს ქვეყანას ფარაონი განაგებს, მაგრამ განა ეგვიპტელ ვაჭრებს შეეძლოთ მე, მოჰენჯოდაროელ ვაჭარს, სავაჭრო საქმეებში წინ აღმდგომოდნენ?

ეტყობა, მანიბანდჰის ქედმაღლურ სიტყვებს არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია ამენ-რაზე, იგი თავისას ფიქრობდა.

— ყოვლად ღირსო! — შესძახა მანიბანდჰმა. — თქვენ არ მისმენთ?

ვაჭრის აღელვებამ რაღაც უცნაური სიხარული მოჰგვარა ამენ-რას.

— დიდებულო, — ღიმილით უთხრა მან, — თქვენ დაგავიწყდათ, რომ ეგვიპტე — ესაა ქვეყანა, რომელიც თვალწვდენელ სივრცეზეა გადაჭიმული. რათა მას გაუტოლდეს, მოჰენჯო-დარომ უნდა შეიერთოს კიკათი, პანეთი, შანიუ და კირათი, და ესეც, შესაძლოა, ცოტა იყოს. ეგვიპტეში მრავალი ტომია, მრავალ კილოზე მეტყველებენ. ეგვიპტე — ესაა ნაყოფიერი ველები და უწყლო უდაბნოები, ესაა ვულკანები და დიდი მდინარეები. ეგვიპტეში შეგხვდებათ გრძელი გზები, რომლებზედაც ათას ხიფათს შეიძლება გადააწყდეთ. არის თუ არა ყველაფერი ეს მოჰენჯო-დაროში? ეგვიპტე იგერიებს სულ ახალ და ახალ დამპყრობთა შემოსევებს. მოჰენჯო-დაროს სიმშვიდე არ შეიძლება მარად გაგრძელდეს. მცირე სახელმწიფოები და ქალაქები ვერ გაუძლებენ მოშხდურთა შემოტევებს, თუ ისინი... არ გაერთიანდნენ... ერთი მბრძანებლის ძლევამოსილი ხელისუფლების ქვეშ...

— მაგრამ ჩვენ სხვა ადათ-წესები გვაქვს, ყოვლად ღირსო ამენ-რა!

— დაე, თქვენმა ადათ-წესებმა ათასწლობით იარსებონ, ისინი ზელს არ უნდა უშლიდნენ მთელი სახელმწიფოს ცხოვრებას. თქვენი განა მრავალი საუკუნეა ცოცხლობს. მაგრამ თქვენს ქალაქში ყველანი თანასწორნი არიან? ან შეუძლიათ თანასწორნი იყვნენ, დიდებულო? თუ ადამიანს შოლტი არ უჭირავს, პირუტყვი არ ემორჩილება მას. ღმერთს გონივრულად შეუქმნია ყოველი არსი. ყველა თავის საქმეს უნდა აკეთებდეს. მაგრამ ყველგან ძლიერი ხელია საჭირო!

შიში! ეგვიპტეში რომ ფარაონი არ ყოფილიყო, არავის ეცოდინებოდა რა არის შიში. ხოლო შიშის გარეშე ყველგან — ელამაში, მოჰენჯო-დაროში — ვაჭრები თავს ვერ დააღწევდნენ მძარცველებს. და მაშინ მოჰენჯო-დაროს ყველაზე შესანიშნავი კაცი ვერ შეტყოდა სიამაყით, დიდმა ქალაქმა ყველას აჯობა ვაჭრობაშიო...

— ყოვლად ღირსო! — ველარ მოითმინა მანიბანდჰმა.

— მე მესმის თქვენი, დიდებულო! — განაგრძო ამენ-რამ. — დიდ წარღვნამდე ეგვიპტეში არ იყო ფარაონი. დიდი ჰა-პის პირას მოსახლელ გლეხებს გამუდმებით ესხმოდნენ თავს გადამთიელნი. და აი, ერთხელ მათ ზეცად აღაველინეს ვედრება: „ჰოი, ფთაჰ! ჰოი, ოზირის! ჰოი, ღმერთო, რომელთაც მიცვალებულთა სულები ცხრა მთას იჭით გადაგყავთ! რად მოგვანიჭე სიცოცხლე, თუკი მასში წუთის მოსვენებაც არ იქნებოდა!“ მაგრამ ღმერთები უკვე განრისხებულნი იყვნენ ადამიანთა ცოდვებით და მოუვლინეს მათ სასჯელი — დიდი წარღვნა. ყველაფერი დაფარა წყალმა. როცა ოკეანე უკუიქცა და კვლავ გამოჩნდა პირი მიწისა, ზალხს გამოეცხადა მახარობელი. ადამიანებმა უთხრეს: „მოგვეც მფარველი, მსგავსი შენი!“ და ღმერთმა უსმინა მათ. და მისცა უფალმა იმას, ვის წინაპართაც ყველაზე მდიდრული აკლდამა ჰქონდათ, ულამაზესი და ძლიერი ვაჟი. როცა ბიჭი წამოიზარდა, მან უთხრა ზალხს: „მოვედინ და მე გფარვიდეთ თქვენ“. და მასთან მივიდნენ მიწათმოქმედნი, ყველა წვრილ-წვრილმა მთავარმა თავყანი სცა მას. ეს იყო ფარაონი... ფარაონი იფარავს თავის ქვეშევრდომთ უცხოელთა ზელყოფისაგან. უსაზღვროა ქვეყნად მისი მეუფება, ისევე როგორც უსაზღვროა ღმერთთა მეუფება ზეცაში.

ადელევებული მანიბანდჰი წამოდგა და ოთახში სიარულს მოჰყვა. რას ამბობს ეს ეგვიპტელი? მას ბევრი რამ გამოუტდია ცხოვრებაში, შუბლი ისე დაღარვია ნაოკებით, თითქოს ქვაზე ამოუკვეთილი ვინმეს. მანიბანდჰას მოუნდა დაუსრულებლივ ესმინა ამ კაცისათვის.

— ძალაუფლება, დიდებულო! ძალაუფლება! — გაიმეორა ამენ-

რამ. — ჭეშმარიტად დიდი ადამიანი ისაა, ვის წინაშეც, როგორც ბალახი ნაბგალქვეშ, ისე თრთის მილიონობით ხალხი!

— მაგრამ, ყოვლად ღირსო ამენ-რა... — სიტყვა შეაწყვეტინა მანიბანდჰმა. — ერთმმართველობა წარმოუდგენელია ჩვენს განაში. საბჭოს წევრნი არასოდეს ცნობენ მას. ისინი არასოდეს მოიხრიან ქედს ერთი მბრძანებლის წინაშე, მსგავსად თქვენი ნომარქებისა...

ამენ-რა მედიდურად გაიჭვიმა. თვალეები რისხვით აენტო.

— დიდებულო! — თითქოს ვინმეს ემუქრებაო, ისე თქვა მან. — თავებს, რომლებიც თქვენ წინაშე არ დაიხრებიან, მხრებს მოაშორებენ და თქვენს ფერხთით დაყრიან. ნომარქები თავიანთი ნებით როდი შეუერთდნენ ერთმმართველობას. ისინი ფარაონის მახვილმა დაიმორჩილა... დღე-დღეზე ჩრდილოეთიდან მოვარდნილი ველურთა ტალღები გადაუვლიან მოჭენჯო-დაროს. თუ არ შევაჩერეთ, ველურები თავიანთ პირუტყვს გამოაბამენ ქალღმერთ მაჰამაის ტაძარს, ჩვენ კი მათი მონები გავხდებით.

მანიბანდჰს მოეჩვენა, რომ აგერ-აგერ გაუსკდებოდა თავი. იგი ღონემიხდილი მიყრდნობოდა სვეტს და ისე უსმენდა ეგვიპტელს.

— ...განის საბჭოს წევრნი მხოლოდ საკუთარ სარგებელზე იზრუნებენ მუდამ, და მთელი თქვენი ძალა, დაქუცმაცებული და მრავალ დიდგვაროვან მოქალაქეს დამორჩილებული, არასოდეს გაერთიანდება. დიდ ქალაქსა და მის მომიჯნავე ქვეყნებს იხსნის მხოლოდ ურყევი ძლიერება, რომელიც ერთმმართველის მბრძანებლურ ხელს დაექვემდებარება. და ისინი, ვისაც თქვენ დაიცავთ ველურთაგან, ქედს მოიხრიან ამ ძლიერების წინაშე. თვით ღმერთებმა განსაზღვრეს წინასწარ, რომ მრავალ ადამიანთაგან მხოლოდ ერთი უნდა აღმოჩნდეს ყველაზე გონიერი და ძლიერი, რათა სხვები დაიმორჩილოს!..

— ეს რა მესმის დღეს? — ჩაილაპარაკა მანიბანდჰმა.

ირგვლივ თითქოს ყველაფერი ირყეოდა და არსად იყო დასაყრდენი.

რას ამბობს ყოვლად ღირსი ამენ-რა? ჭეშმარიტად მართალია ეს ბრძენი ეგვიპტელი! წუთით მანიბანდჰს მოეჩვენა, რომ ციდან მიწაზე ვარსკვლავები ეშვებიან და თან საოცარ, ჭერარნახულ შუქს აფრქვევენ ირგვლივ...

ქურციკის ტყავში გამოწყობილ ფარაონს ძვირფასი თვლებით შემკობილი წმიდა დიადემა უბრწყინავს თავზე. მისი ბრწყინვა ეგვიპტისათვის დღე და ღამეა. ფარაონის სახელის ხსენებაზეც კი ძრწიან



ყველანი. მანიბანდჰ! ნუთუ შენც შეგიძლია მიაღწიო ამგვარ ძლიერებას! დიდებულება ის კი არაა, რომ მორჩილად მისდევდე ადათ-წესებს, არამედ ის, რომ სამყარო ძრწოლით ელოდეს შენს წყალობას. პატივმოყვარეობის მხეცი აწრიალდა მანიბანდჰის გულში...

ფარაონი თვით ღმერთთან ლაპარაკობს... უზარმაზარ აკლდამაში განისვენებს იგი სიკვდილის შემდეგ, მაგრამ უბრალო მოკვდავთათვის ისეთსავე ძლევამოსილ მეუფედ რჩება, როგორც სიცოცხლეში იყო. მისი უძლეველი ლაშქარი ქარივით დაჰქრის და რასაც გადააწყდება, ყველაფერს აცამტკერებს, ისევე როგორც მრისხანე გრიგალი თხრის ძირფესვიანად ხეებს...

აღლეველისაგან მანიბანდჰს ტანზე ცივი ოფლი დაასხა. ამენ-რა დაკვირვებით ადევნებდა თვალს.

— ნუთუ ფარაონი თვით ღმერთთან ლაპარაკობს? — ჰკითხა მანიბანდჰმა. — ნუთუ ადამიანს შეუძლია მიაღწიოს ასეთ სიდიადეს?

— შეუძლია, დიდებულო, შეუძლია!

ეგვიპტელმა ხელები წინ გაიწვდინა და განაგრძო:

— ურწმუნოება სისუსტის ნიშანია! ერთხელ ეგვიპტეში შიმშილობა დაიწყო, მღელვარება მოედო ხალხს. და მაშინ ფარაონს ღმერთები მოევლინენ სიზმარში და შთააგონეს. თვით იოსებმა უთხრა თავის ძმებს, რომ ფარაონი ღმერთებთან ლაპარაკობდა. ჰეშმარიტად ასე იყო, დიდებულო! იოსები ბრძენი და წმიდა კაცი იყო და ფარაონმა დაიახლოვა იგი. იუდეველთა წინასწარმეტყველნიც ამასვე ამბობენ, დიდებულო. ძალაა საჭირო, დიდებულო! ძალა, რომელიც ისე უნდა ბრწყინავდეს, როგორც ელვა ღრუბლებში ძალა, რომლის გამარჯვების ხმები ოკეანეს ააღლევენ...

მანიბანდჰი მოჯადოებულებით უსმენდა.

— საჭიროა ძალა, რომელსაც წარმართავ თუ არა, ზეცაში გაისმება საშინელი ქუხილი და თვალისმომჭრელი შუქი გაანათებს ირგვლივ ყველაფერს...

— ამენ-რა! — შეჰყვირა მანიბანდჰმა. — ყოვლად ღირსო! — თქვენ მე ჰკუთაზე შემშლით!

— არა, — გაიცინა ამენ-რამ. — მე მხოლოდ მიძინებულ ღვთაებას ვაღვიძებ! მოჰენჯო-დარო ნაცარტუტად იქცევა. თავიდან აიცილეთ უბედურება, დიდებულო!

— რა უნდა ვქნა? — შესძახა მანიბანდჰმა.

— შატლებივით გასრისეთ საბჭოს წევრები, რომლებიც თქვენ გეწინააღმდეგებიან! დაე, თქვენი ლაშქარი გახდეს დიდი და უძლევე-

ლი, რათა გრგვინვის მსგავსი მისი ფეხის ხმის გაგონებაზე ჩრდილოელი ველურნი შეშინებული გაიქცნენ და მთის ხეობებსა და გამოქვაბულებს შეაფარონ თავი! თქვენ უნდა გახდეთ დიდი ქალაქის ერთგამგებელი. მოჰქნჯო-დარო და ეგვიპტე უნდა გაერთიანდნენ და საკადრისი პასუხი გასცენ ჩრდილოელ ველურებს. ოქრო თქვენ არ გაკლიათ. ამენ-რა თქვენი თანაშემწე იქნება. თვით ფარაონსაც განაცვიფრებს აღმოსავლეთის ახალი ბრწყინვალე მმართველის ძლიერება! და ყველანი ვიტყვი: კურთხეულ არს ცხოვრება!

ეგვიპტელის სიტყვების ჯადოსნური ძალა ზღვა ფიქრებსა და გრძნობებს ბადებდა მანიბანდჰის გულში. ნუთუ ყველაფერი ეს შესაძლებელია? მანიბანდჰი — ხელმწიფე! მანიბანდჰი დიდი! თითქოს გააგებულმა კობრამ უკბინა და მისმა გესლმა მთელ ტანში დაუარა. ცხვირის ნესტოები ებერებოდა. წელში ამაყად გაიჭვიმა. თვალებით ცეცხლს აკვესებდა. ხელები უთრთოდა. ამენ-რამ შეამჩნია ეს და გაიღიმა.

— ამენ-რა! — შესძახა მანიბანდჰმა. — კურთხეულ იყოს ჩვენი კავშირი! ჩვენ ვიხსნით ჩვენს ქალაქს და მეზობლების საიმედო დამცველნი გავხდებით! დაე, დიდმა ღმერთმა ძალა და უფლება მოგვანიჭოს! ჩვენ დიდგულობას მოვამლევინებთ ველურებს და გავაცამტვერებთ მათ...

მანიბანდჰმა ხელები ალაპყრო და ხმამაღლა შესძახა:

— დიდი ძალა და უფლება!

— დიდი ძალა და უფლება! — გაიმეორა ამენ-რამ. — კურთხეულ იყავ, დიდებულო! კურთხეულ იყავ! ჩვენს გარშემო ხელახლა აყვავდება ცხოვრება. თქვენ განძი ხართ აღამიანთა შორის! თქვენი სახელი მარად იდიდებს ამა ქვეყნად. როცა ძლევა მოსილებას მიაღწევთ, მთელ მსოფლიოში მშვენიერებით სახელგანთქმული ასულნი თავიანთ სიცოცხლეში ბედნიერებად მიიჩნევენ, თქვენ შემოგწირონ სილამაზე და სიყმაწვილე. პოეტები სიმღერებს შეთხზავენ თქვენზე, დიდებულო! აღარ იქნება ქვეყნად ფარაონი, მაგრამ მისი პირამიდა საუკუნეების განმავლობაში იქნება ცად აწვდილი და ღრეობის მიხედობამდე აღამიანთა თაობები თაყვანს სცემენ მის სიდიადეს. დიდებულო! ამენ-რამ დღეს ისეთი სიხარული განიცადა, როგორც თავის დღეში არ უნახავს...

ამენ-რა წავიდა. მანიბანდჰი დიდხანს იდგა ჩაფიქრებული.

შემოვიდა ვენი. მაგრამ დიდებულ ვაჟარს არ გაუგონია მისი ფეხის ხმა. იგი რამდენსამე წამს შეჰყურებდა მანიბანდჰს. ქალი თავისი სილა-

მაზის აბუჩად აგდებად მიიჩნევს მამაკაცის ჩაფიქრებას. ვენიმ წარბები ასწია.

— რაზე ჩაფიქრებულხართ, დიდებულო?

მანიბანდჰს თვალწინ ესახებოდა თავისი დაუშრეტელი, დაუმორჩილებელი ძლიერების სურათები. თავი არ აუწევია, ისე მიუგოდო:

— ვინ არის?

— მონაქალი.

— წყალი მომიტანე!

ვენი დაიბნა. მერე ოთახიდან გავიდა და ღოქით ხელში დაბრუნდა.

— დიდო ბატონო!

— სხვა რაღა გინდა?

— აგერ, წყალი.

მანიბანდჰს ხმა ეცნო. თავი ასწია.

— ვენი, შენა ხარ?

ქალმა გაიცინა.

— რატომ არ მითხარი წელან?

ვენი გაწითლდა.

! — მერე რა? ცუდად მოვიქეცი?

— არა, დევი. ეგ შენ ძალიან გიხდება...

— რატომ?

— არა, დევი, არა... — მან ვერაფრით ვერ გამოხატა თავისი ფიქრები. ვენიმ გამამხნეველად და ნღობით შეხედა. — შენ არ იცი, ვინა ხარ, ვენი, — ალერსით უთხრა მანიბანდჰმა.

— ვინა ვარ, დიდებულო?

— შენ დიდი დედოფალი გახდები! — განუცხადა უცებ. — მოჰენჯო-დაროს სახელგანთქმულო მოცეკვავე ქალო! ჯადოქარო, რომელმაც ცეკვაში სრულყოფას მიაღწიე და მთელი მსოფლიო დაიმორჩილე! ხვალ შენ მრისხანე სამეფოს მბრძანებლის მეუღლე იქნები...

— ჰოი, დიდებულო! — გაკვირვებით შესძახა ვენიმ.

— დიახ, ვენი! ეს სიმართლეა! მანიბანდჰი არასოდეს ცრუობს. შენ მე განცხრომასა და ლხინში გინახივარ, ახლა კი ჩემს დიდ ძლიერებას ნახავ. ყოვლად საძაგელი კაცი მიწოდე, თუ მძვინვარე უშემერმა მეომრებმაც კი მუხლი არ მოიყარონ ჩემ წინაშე!..

ვენიმ ვერაფერი გაიგო.

— ...ქვეყნად არავის არა აქვს ასეთი ძალა! არავის! არავის არ აქვს იმდენი მამაცობა, რომ წინ აღუდგეს ჩემს ძლიერებას, მსგავსს დიდი ინდის სწრაფი ტალღებისა. ვინ ეტყვის, გაჩერდი, შმაგო მდინა-

რევ? მე კი ვეუბნები: შენ დამარცხებული ხარ, შენ ჩემს ღონიერ მკლავებში მყავხარ-მეთქი მომწყვდეული! ხელისუფლების უქონლობა და თავაშვებულობა სუფევს მოპენჯო-დაროში. მაგრამ დიდი ქალაქი არ დაილუპება. მე ჩემს ხელისუფლებას დავუქვემდებარებ ყველა დაქუცმაცებულ ძალას და იმ ველურებს მოვსპობ! დევი! ამიერიდან „დიდი ხელმწიფე“ დამიძახე. შენი ალერსიც კი არ უნდა ჩრდილავდეს ჩემს ხელმწიფურ იერს...

ვენი უსმენდა და თანდათან უფრო ოცდებოდა. მანიბანდჰმა თავი დახარა და წყნარად დაასრულა:

— გწამდეს ჩემი! რწმენა ცხოვრების კეშმარიტი საფუძველია. მე შენ დიდ დედოფლად გაგხდი!

— მე მწამს თქვენი, დიდებულო!.. — მიუგო მოცეკვავემ.

უჩვეულო სახე მიიღო დიდებული მანიბანდჰის უზარმაზარი სასახლის წინ გადაჭიმულმა მოედანმა. მასზე გრძელ მწკრივებად იდგა ჯარისკაცულ ტანისამოსში გამოწყობილი ხალხი. ხელში ელვარე შუბლები ეპყრათ. ყოველ მათგანს ქარქაშში ჩაგებული მახვილი ეკიდა. წინათ დიდ ქალაქში არავინ იცნობდა ამ ადამიანებს. გუშინდელ დღემდე ისინი ქუჩაში დატანტალებდნენ და, მიუსაფართ, შიმშილი კლავდათ. ისინი შორეული ჩრდილოეთიდან ჩამოვიდნენ, რათა თეთრ-კანიან ველურებს მონად არ გახდომოდნენ, ახლა კი იძულებული შეიქნენ დიდებული მანიბანდჰისათვის შეეფიცათ ერთგულება. შიმშილით განაწამებმა ადამიანებმა კარგად იცოდნენ, რომ ომიანობის შემთხვევაში მრავალ მათგანს სიკვდილი ემუქრებოდა, მაგრამ ახლა იმითაც იყვნენ კმაყოფილნი, რომ კარგად კვებავდნენ და ხელფასსაც აძლევდნენ. მათ ჯერ კიდევ არ ესმოდათ, თუ რა მძიმე ბორკილები შეიბეს, არ იცოდნენ, რომ ჯარისკაცული საქმელი და ფული იგივე მონობა იყო, ოღონდ — მაცდური საფარველით მოსილი.

მხედართმთავრის საბრძოლო ტანისამოსი ყველასაგან განსხვავდებოდა: მას ეგვიპტური აბჯარი ჰქონდა ასხმული. მისი მახვილის ტარი ვერცხლით იყო მოზარნიშებული. იგი მხედართმთავრად დანიშნა ამენ-რამ, რომელიც კარგად ერკვეოდა დიდგვაროვან ადამიანთა ღირსებებში. მხედართმთავრის ვეება თვალებში დაუოკებელი, შიშისმომგვრელი ძალა ღვიოდა. მას ემსახურებოდა ძლიერი აღნაგობის ზანგი, რომელიც ჩრდილივით ჩუმად დასდევდა ყველგან, თავისუფალ დროს კი ღვინით უვსებდა ზოლმე ფიალას. ღამისათვის ზანგს თავის ბატონთან ქალები მოჰყავდა, თვითონ კი, როცა ჯარისკაცებს ღვინოს დააღვეინებდა, ნახევრად შიმველ მოცეკვავე ჰეტერებთან სატრფიალო თამაშით ტკბებოდა. ჰეტერები მის შავ კანს შესცქეროდნენ და მხიარულად იცინოდნენ.

ქალაქში გამალებით აშენებდნენ ციხესიმაგრეებს, მათ აგებას თვალყურს ადევნებდა თვით ამენ-რამ, რომელსაც ღამითაც კი არ ჰქონდა მოსვენება. ამ სამუშაოს ბოლო არ უჩანდა. მანიბანდჰს რომ მთელი ხარჯების გადახდა თვითონ ეკისრა, სულ მალე მას აღარ შეეძლებოდა

ერჩინა დღითი დღე მზარდი ლაშქარი. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ ამენ-რამ წვერზე ხელი გადაისვა და ამ მდგომარეობიდან გამოსავალ გზაზე მიუთითა.

განის საბჭოს წევრთა ნაწილი მონურად იხრიდა ქედს დიდებუ-ლი ვაჭრის წინაშე, და მანიბანდჰს ქალაქის ხაზინიდან შეეძლო ფუ-ლის მიღება სამხედრო ხარჯებისათვის. მთელ განაში არ მოიძებნებო-და არც ერთი მოქალაქე, რომელსაც საჩუქარი არ ჰქონოდა მიღებული მანიბანდჰისაგან, და ამიტომ ვერც ფულს დაუკავებდნენ მას. მანიბ-ანდჰმა დახმარებისათვის მიმართა განას. მან თქვა, რომ განა ერთად-ერთი ძალაა, რომელსაც შეუძლია დადუპვას გადაარჩინოს ქალაქი, და რომ ქალაქის დაცვა განის მთავარი საქმეა. განის საბჭოს უხუცესმა დრო იხელთა და, როცა ვიშალაქმა ზღვაზე იყო წასული სამკურნა-ლოდ, სასწრაფოდ მოაწერა ხელი და ბეჭედიც დაასვა ბრძანებულე-ბებს, რომლებშიც დადგენილი იყო ციხესიმაგრეების ასაშენებლად ზარჯის გაღება.

... მანიბანდჰი ეტლზე ავიდა. ფარაონის მიბაძვით, მან ბრძანა, ამი-ერიდან კანჯრები შეეხათ ხოლმე ეტლში. ვაჭარს თავს უშეშვებდა ლითონის მუზარადი, მკერდს კი ბრწყინვალე ჯაჭვის პერანგი უფარავ-და. მანიბანდჰს სადავეები ეჭირა და ქედმალურად გადმოსცქეროდა ბრბოს.

დიდებული ვაჭრის დანახვაზე ჯარისკაცები გაიჭგიმენ და თავები ასწიეს. დაიწყო ლაშქრის დათვალეირება. თვითეული ჯარისკაცი მახ-ვილის შემართვით ესალმებოდა დიდ ბატონს.

მანიბანდჰთან მონამ მოიკრიბინა.

— დიდო ბატონო! — მოახსენა მან.—ყოვლად ღირსი ბაიადი მობ-რძანდა!

— უკვე მოვიდა? — შეეკითხა მანიბანდჰი და ფეხი ჩამოდგა.— სთხოვე აქ მობრძანდეს!

მანიბანდჰი განის უხუცესს მიუბრუნდა და უთხრა:

— ყოვლად ღირსმა ამენ-რამ დროულად გამოგზავნა ბაიადი! ყო-ველთვის ყურად უნდა ვილოთ ხოლმე ესოდენ ბრძენ ადამიანთა რჩევა. უნდა განვანათლოთ ჩვენი ჯარისკაცების გონება!

ბაიადი დინჯად უახლოვდებოდა მანიბანდჰს. იგი სერიოზული და ღირსებით აღსავსე იყო. ჩვეულებრივი ოქროს კვერთხის მაგივრად ოქროსვადიანი მახვილი ეპყრა. მან შორიდანვე დალოცა მანიბანდჰი და ხელი მაღლა შემართა.

— სალამი თქვენდა, ყოვლად ღირსო! — ღიმილით უთხრა მანიბანდძმა.

როცა ბაიადი როგორც იქნა მოახლოვდა, განის უხუცესმა შესძახა:

— ჭარისკაცებო, დღეს თავისი მობრძანებით პატივი დაგვდო, ყოვლად ღირსმა მოხუცმა, ბაიადმა! დღეს აინთო ჩირალდანი, რომელიც გეზს უსახავს ჩვენი დიდი გმირის, მთავარსარდალ მანიბანდძის ლაშქარს. ჭარისკაცებო, სალამი უძღვევით დიდებულს!

ჭარისკაცებმა ხელშუბის წვერები დახარეს და ასე მიესალმნენ ბაიადს. მოხუცმა გრძნობამორევით მიმოიხედა ირგვლივ. მანიბანდძის ბრწყინვალე ჩაცმულობამ და სიდიადემ თვალი მოსჭრა მას.

— მისმინეთ, ჭარისკაცებო! — მიმართა ლაშქარს მოხუცმა ბაიადმა. — მე თქვენ გიამბობთ ძველისძველ იგავს. ერთხელ მაწანწალა ძაღლმა საკვები ვერ იშოვა. როცა შიმშილით სულ მთლად მიეხადა ღონე, სპილოს მიადგა და ყეფა დაუწყო; ფიქრა: ეს რომ მომაკვლევიანა, მთელ წელიწადს მეყოფა სარჩოდ და დიდებულად ვიცხოვრებო.

სპილო ყურებს აპანტურებდა და დიდხანს ისმენდა მშიერი ძაღლის ყეფას. მაგრამ როცა გაბეზრდა, უთხრა: შენ ეი, ძაღლო! ასე ხმა-ძაღლა რომ ჰყეფ, ყელი როგორ არ გაგიშრა? ახლა შიმშილი გტანჯავს, მაგრამ მალე წყურვილი მოგკლავსო; შენ ჩემთან საკამათო რა გაქვს? ძაღლებს მხოლოდ მღვრიე თხრილებში შეუძლიათ დალიონ წყალი, ჩვენ კი, სპილოები, უხვად ვსვამთო; ბრძენი ტყუილუბრალოდ არ ხარჯავს თავის ძალ-ღონეს, სულელი კი არასოდეს ეტევა თავის ტყავშიო.

ამ შეურაცხყოფელი სიტყვების გაგონებაზე ძაღლი გაშმაგდა. „ახლა კი დადგა შენი აღსასრულის დღე! — შეჰყვირა მან. — ფრთხილად იყავი, ჩემისთანა ძლიერ მებრძოლთან ჩხუბი არას გარგებს!“

სპილოს გაეცინა: „ეჰეი, გმირო! ნუთუ ვერ ხედავ, შენზე რამდენად დიდი ვარ?“

„გნებდავ, — მიუგო ძაღლმა, — მაგრამ რა მოხდა? ადამიანიც ხომ ბევრად პატარაა შენზე!“

„უგუნურო და უთვისტომო ძაღლო! — მიუგო სპილომ. — განა ჩვენ ღირსნი ვართ გავუტოლდეთ ადამიანს, რომელიც სხვებს კვებავს? ქვეყნად მუქთად არაფერი მოდის, — ვის პურსაც სჭამ, იმისთვის სიცოცხლესაც ნუ დაიშურებ! გადახედე პატიოსან ეზოს ძაღლებს, შე სულმდაბალო და საზიზღარო არსებავ, — რატომ იმათსავით არ იქცევი?“

მაშინ ძაღლმა უთხრა: „შენ მე სულმდაბალსა და საზიზღარ არსე-

ბას მეძახი, მაგრამ, უგუნურო, შენ ბორკილები გადაეცე ფეხებზე, მე კი თავისუფალი ვარ“.

სპილოს გაეცინა: „რა ყრია მაგ თავისუფლებაში? არც სასმელი გაქვს და არც საკმელი. შენ სხვის კარზე დაეძებ ლუკმაპურს, შენ ხომ მონებიც გცემენ, შენ ხომ ნიადაგ ჩაბინძურებულ სანაგვეზე დაეთრევი. მე კი ჩემს მონობას ვლოცავ! დაე, ჩემი დიდებული ბატონი ზურგზე შემაჯდეს, სამაგიეროდ სასმელ-საკმელი თავსაყარი მაქვს. როცა ქუჩაში მივდივარ, ადამიანები გაკვირვებული არიან და გზას მითმობენ“.

და მაშინ, ჯარისკაცებო, ძალღს შერცხვა და კუდამოძუებული განშორდა.

ბაიადი გაჩუმდა. მხიარულმა ლაპარაკმა გადაურბინა ჯარისკაცთა რიგებს. განის უხუცესს სახე გაუბრწყინდა.

მანიბანდჰი ბაიადთან ერთად შევიდა სასახლეში.

— ყოვლად ღირსო! — უთხრა მანიბანდჰმა. — დიდება შენდა! რა უბრალოდ გამოთქვი ესოდენ რთული რამ!

— ყველაფერი ეს თქვენი დამსახურებაა, დიდებულო! უხუცესებმა თქვენი წყალობით მიმიღეს დღეს განის საბჭოში. რა ვიქნებოდი მე უთქვენოდ?

მანიბანდჰს სახე გაებადრა.

როცა ბაიადი წავიდა, მანიბანდჰს სოფლის უხუცესი ეწვია. მან უამბო ვაჭარს იმ შფოთის შესახებ, რომელიც მოსდებოდა მის ადგილმამულებს.

— დიდო ბატონო! ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ჩრდილოეთიდან ლტოლვილნი მოვიდნენ. მათ დააშინეს გლეხები, და ახლა ყველას სამხრეთისაკენ სურს გაქცევა.

— მოიძებნებიან თუ არა იქ ჩემს ლაშქარში სამსახურის მსურველნი? — თხრობა შეაწყვეტინა მანიბანდჰმა.

— ყველანი თქვენი მსახურნი არიან და უყოყმანოდ შემოგწირავენ სიცოცხლეს!

მანიბანდჰის ეტლი გზას გაუდგა. სოფლის უხუცესი დიდებულ ვაჭარს ედგა უკან.

შუაღღე იყო, როცა ეტლი სოფლის მოსამართლის სახლის წინ გაჩერდა.

მოსამართლე მდიდარი კაცი იყო. ყველაზე ლამაზი და ძვირფასი, რაც სახლში მოედევებოდა, იმწამსვე აიღეს და მანიბანდჰს უძღვნეს. როცა ვაჭარი ეტლიდან ჩამოდიოდა, ფეხქვეშ ხალიჩა გაუშალეს.



ისმონდა მუსიკის ხმა. მის წინ მისალმების ნიშნად ცეკვა-ცეკვით გამო-  
გოგმანდა მშვენიერი ყმაწვილი ქალი. ქალიშვილს ხელთ ეყურა და  
თმაშიც ჰქონდა გარკობილი პურის თავთავები, თითქოს ნიაზე მობი-  
ბინე ჯეჯილს განასახიერებსო. გლეხების ბრბო შეძახილებით ესალმე-  
ბოდა მანიბანდს; ჩანდა, მოხარული იყვნენ თავისი ბატონის ნახ-  
ვისა.

მანიბანდში მოჯადოებულებით შესტქეროდა ქალიშვილს და ნელ-  
ნელა მიჰყვებოდა მას. აქეთ-იქით იღვწენ გლეხები და მოკრძალებით  
დაეხარათ თავი. ვაჭარს ყურში ჩაესმა ამენ-რას სახელი. მოიხედა,  
მაგრამ მხოლოდ მდაბლად დახრილი თავები დაინახა.

მანიბანდში დაჯდა. მის ფერხთით მოიკალათა მოსამართლემ. ქალი-  
შვილმა მაგარი სოფლური ღვინით ავსილი ფიალა მოართვა სტუმარს.  
მანიბანდში ბევრი ღვინის სმას იყო ჩვეული, მაგრამ ეს ძელგი ღვინო  
იმწამსვე აუეარდა თავში. დაფენილ ხალიჩებზე ჩამოსხდნენ სოფელში  
ყველაზე პატივცემული ადამიანები; ვინც უფრო მდიდარი იყო — წინ,  
სხვები მათ უკან. ყველანი გაკვირებული იყვნენ მანიბანდის თავ-  
მდაბლობით. ეს სახელგანთქმული მდიდარი კაცი სულაც არ ყო-  
ფილა ქედმაღალი! ნუთუ ეს ის ადამიანია, რომლის დიდების ნავსაც  
სათუთად ევლებიან ინდის მძლავრი ტალღები, ნუთუ ის არის, რომ-  
ლის სახელიც გულს უგმირავს დიდგვაროვან ადამიანებს? ნუთუ ის  
ზის მათ შორის უბრალო მოკვდავივით და არ ამჟღავნებს არც ქედ-  
მადლობას და არც გულზვიადობას? იგი — მათი მბრძანებელი — ზის  
მათ შორის და ალერსიანად იღიმება!

— გასინჯოს ბატონმა ჩვენი პურმარილი! — წარმოთქვა მოსამარ-  
თლემ.

ყველანი შეეჭნენ სამასპინძლო სასმელ-საჭმელს. მანიბანდში  
გადასჩვეოდა უბრალო კერძებს და სოფლური წესები აღარ ახსოვდა.  
იგი სხვებს აღეწებდა თვალს და ცდილობდა მათთვის მიეზაძა, მაგრამ  
არ გამოსდიოდა. ჰამდა ნელა, დარბაისლურად, რამაც განაცვიფრა  
გლეხები. მათ თავიანთი თავი ეჩვენათ დამშუულ მხეცებად, რომლე-  
ბიც ჰკუთას კარგავენ საკბილოს დანახვისას. კერძებს რძეს აყოლებ-  
დნენ. მერე მოიტანეს ხორცი, ხილი, კვერები.

სუფრას მონები ემსახურებოდნენ. ისინი ისე გულჩათხრობილნი  
და პირქუშნი როდი იყვნენ, როგორც დიდი ქალაქის მონები, მაგრამ  
სახეები კიდევ უფრო გამოთაყვანებული ჰქონდათ. რამდენიმე ქალი  
სადიდებელს მღეროდა სტუმრის პატივსაცემად. ქალიშვილი ისევ  
ცეკვავდა. მისი მოშიშვლებული მკერდი მშვენიერი იყო. შავკვრემან

ტანზე ვერცხლის სამკაულები უელავდა. იგი ცეკვავდა ლალად და გამომწვევად, გეგონება თვით მანიბანდპისთვის უნდოდა დაეკოდა გული თავისი სილამაზითა და სიყმაწვილით. ასეთია ქალის ბუნება: მას ერთი სული აქვს როდის მოხიბლავს და მოაჯადოებს ძლიერ, სახელოვანსა და პატივცემულ ადამიანს, რათა ღირსება შესძინოს საკუთარ თავს...

უკვე ბინდდებოდა, როცა ეტლი უკან გამობრუნდა. მანიბანდპი კმაყოფილი იყო. მაგარმა ლეინომ ძარღვებში დაუარა და ძილი მოჰგვარა.

მოპენჯო-დაროს სახელგანთქმული მოცეკვავე ქალი მარტოღმარტო დაეხეტებოდა უზარმაზარ სასახლეში. გაუთავებელმა სიარულმა დალალა იგი. „რა მოხდა? — ფიქრობდა ქალი. — რატომ არის ამ დღეებში დიდებული ვაჟარი ასე დაკავებული? ნუთუ დიდი ხელმწიფე გახდება? მაშინ მე დედოფალს დამიძახებენ?“

ვენის გული აუტოკდა. მაგრამ მერე გაიფიქრა: კიკათის, იმ პატარა სამეფოს, მმართველსაც კი ბევრი ქალი ჰყავდა. მოპენჯო-დაროს მბრძანებელს რამდენიღა ეყოლება? გული შეეკუმშა. ნუთუ მანიბანდპი დასცინის? ნუთუ ყველაფერი ეს სიცრუეა?

მანიბანდპი... მეფე... მრისხანე მბრძანებელი... ვენი... დედოფალი... დედოფალი...

ვენიმ ბრძანა ეტლი მოერთმიათ. მას უნდოდა ჯერ მუსიკის მასწავლებელთან მისულიყო, მერე კი ინდის ნაპირზე ჩაეჭროლა. ვენიმ მეეტლეს გარეშე გასეირნება გადაწყვიტა.

მთავარ ქუჩაზე რომ გავიდა, კამეჩები მოთოკა და ნელ-ნელა გაემართა. იგი კოხტად გამოწყობილი ხალხის ცქერით ტკბებოდა. უცებ ვილაცამ დაუყვირა:

— შენ, ეი, დაბრმავდი? ეს გზა მამაშენისა კი არ არის!

ვილაცამ ხმამალა გადაიხარხარა. ვენიმ მაშინვე იცნო ხმა. უნდოდა ჩუმად გაპარულიყო, მაგრამ ხალხი უთვალთვალეებდა და მხიარულად იცინოდა. მან დაინახა მოხუცი ვიშვაჯითი, რომელმაც კვლავ გაიხუმრა და გადაიხარხარა.

— ვიშვაჯით? — შესძახა ვენიმ. — თქვენა? დიდებულო!

— დიახ, დიახ, მე ვარ, — მიუგო მოხუცმა. — ოღონდ ნუ მეპირფერები. სად არის შენი თანამგზავრი? ხომ გითხარი, თქვენ ერთმანეთი არ გიყვართ-მეთქი? ისიც გითხარი, მე შენთან მოვალ იმ დღეს, როცა დამივიწყებ-მეთქი. ეტყობა, შორს არ არის ის დრო, როცა აქაურ მცხოვრებთა შთანთქმას მოჰყვები...

ვენის მოეჩვენა, რომ სისხლი გაეყინა ძარღვებში. მან ვერაფერი უპასუხა მოხუცს, მხოლოდ მღუპარედ შესცქეროდა. შემოიღმა ველური ხმით გადაიხარხარა. ვენიმ სასახლისკენ მოაბრუნა ეტლი.

როცა პალატში შეიბინა, მანიბანდჰი იქ დახვდა. იგი ახლახან დაბრუნებულიყო სოფლიდან და მონა სანდლებს ხდიდა. მოცეკვავის დანახვაზე ვაჰარმა გაიღიმა. ვენი დაჯდა.

— სად იყავი?

— სასეირნოდ.

მანიბანდჰმა მოწონების ნიშნად დაუქნია თავი. ვენიმ თითები შეაქო ვაჰარის მკერდზე დაკიდებულ ალმასს.

— მანიბანდჰ!

მისმა ნაზმა და ალერსიანმა ჩურჩულმა ააღელვა დიდებული.

— რა იყო, ვენი?

ქალმა მოუთხრო ქუჩაში მომხდარი ამბავი. მანიბანდჰი მოიღუშა..

— ეს ყველაფერი განის ცოდვებია, — თქვა ვაჰარმა. — მანიბანდჰი გაანადგურებს განას!

— კი მაგრამ, რად არის ვიშვაჯითი ასე კადნიერი, დიდებულო? ნუთუ მისი დამშვიდება არ შეიძლება?

— ამბობენ, ოდესღაც ყველაზე მდიდარი და სახელგანთქმული ვაჰარი იყო დიდი ქალაქისო. მოქალაქენი ჩვეული არიან მის პატივისცემას, მაგრამ არამზადებს, ეტყობა, დავიწყებით, რომ ვენი დედოფალია! ძვირად დაუჯდებათ თავიანთი დიდგულობა!..

გაილია ღამე. განთიადისას მანიბანდჰმა ვენის უთხრა:

— დევი! ჩემი ლაშქრის დასათვალიერებლად მივდივარ. დღეს ქალაქში ახალ წესებს შემოვიღებ: მხოლოდ დღისით იქნება გაღებული ყველა ჭიშკარი. ჭიშკრებთან საიმედო მცველებს დავყენებთ. ქალაქი ჩემი ჯარებით იქნება გარშემორტყმული. ამიერიდან ლაშქარი განის კი არა, მეფე მანიბანდჰის დროშის ქვეშ იქნება გაერთიანებული!

ვენი ფიქრში წასული ამთავრებდა მორთვა-მოკასმვას, როცა მანიბანდჰი ლაშქრის დათვალიერებიდან დაბრუნდა. მან თვალი შეავლო მოცეკვავეს და გაიცინა. ქედმაღლობა და გულზვიადობა ჟღერდა მის სიცილში.

— დევი!

— გისმენთ, დიდო ბატონო!

— დღეს მშვენიერი დღეა, ჩემო დედოფალო! ჩვენ მთელ ქალაქს მოვივლით ეტლით! ვერ ვისვენებ ამ დასუთულ პალატში...

— კეთილი! — დაეთანხმა ვენი.

მანიბანდპი შიდა პალატში შევიდა, ტანისამოსი გამოიცვალა და თმის ვარცხნა დაიწყო. უცებ დაცვენილ თმაში თეთრი ლერი შენიშნა. თმა თითზე დაიხვია და გადააგდო. წარბებქვეშიდან გახედა ვენის, — იგი ჯერ სულ ნორჩია, ახლალა შედის მოწიფულობის ხანაში.

სიხარული დასთამაშებდა ირგვლივ ყველაფერს — ქუჩებს, ბაღებს. ყველაფერი იზიდავდა მზერას, ახალისებდა გულს. მაგრამ მანიბანდპი დანალვლიანებული იყო. ნუთუ დაბერდა? ნუთუ ვენი მისთვის ძალიან ახალგაზრდაა? მაგრამ რაც უფრო ტანჯავდა ეს ფიქრი, მით უფრო მეტ ძალას გრძნობდა. რა უყოს თავის შმაგ გულს? მანიბანდპს უნდოდა, რომ მთელი ქვეყნის ქალებს ეთხოვათ მისთვის სიყვარული, მას კი ქედმაღლურად განეცხადებინა: თქვენ, ქალები, ცოდვის განსახიერება ხართ; თქვენ თვით სიბინძურე ხართ...

ერთ-ერთ ქუჩაზე გავლისას მანიბანდპმა მიწაზე მოკალათებული ლტოლვილნი დაინახა. ისინი შიმშილსა და ჩრდილოელ ველურებს გამოქცეოდნენ და დიდ ქალაქში ჩამოსულიყვნენ. უსახლკარონი იყვნენ და ახლა ხის ჩრდილი უწევდათ სახლობას. ეს ადამიანები აქვე ამზადებდნენ საკმელს და ჭუჭყიან ძონძებში გახვეულთ ეძინათ შიმველ ქვებზე. ისინი ტყის ბინადართ ჰგავდნენ, მთელ მათ აღჭურვილობას შეადგენდა გრძელი მშვილდები...

„რატომ არ უნდა ჩავრიცხო ეს კაცები ჩემს ლაშქარში?“ — გაიფიქრა მანიბანდპმა და გადაწყვიტა აუცილებლად გამოეგზავნა აქ თავისი ერთგული თანაშემწენი. დაე, განუმარტონ ამ უსახლკაროებს, რა იოლად მიიღებენ ისინი ბინასა და საკმელს.

მანიბანდპს ნალველი გაუქრა.

— დიდებულო! — წარმოთქვა ვენიმ. — რა უღმობელია ბედისწე-რა! გუშინ ამ ადამიანებს ჰქონდათ სახლ-კარი, რომლის ბატონ-პატრონიც თვითონ იყვნენ, დღეს კი არც ბინა გააჩნიათ, არც ქონება. მათ ყველა დასცინის და ველურებს უწოდებს. ყველას შეუძლია აწყენი-ნოს და შეურაცხყოფა მიაყენოს...

ვენის ხმაში გულისტკივილი გამოსჭვიოდა. მისმა ნათქვამმა ახლახან შეძენილი სიმშვიდე წაართვა მანიბანდპს. მისთვის უცხო იყო დამარცხებულთადმი თანაგრძნობა. ცოტაოდენი მანძილი რომ გაიარა, დიდებულმა უკან მოაბრუნა ეტლი.

— მოგწყინდათ სეირნობა, დიდებულო?

— არა, დევი! ღვინო მომინდა!

მანიბანდპის სახეზე მთვრალი კაცის უდარდელი განწყობილება

რომ ამოიკითხა, ვენის უეცრად მოაგონდა აწ შორეული, მივიწყებული — ვილიბპითური! მან გაიფიქრა, რომ უფლება არ აქვს აქ იყოს. ზვალ ეს ვაჰარი მეფე გახდება. ვინ უწყის, შეინარჩუნებს თუ არა იგი თავის ახლანდელ უფლებებს? უცებ კიდევ უფრო საშინელმა აზრმა გაუელვა თავში: „ნილუფარი!“

— დიდებულო, შემძლია თუ არა გკითხოთ...

— დიახ, მშვენიერო!

— არ გამიჯავრდებით?

— შენ გაგიჯავრდე?

— ჩემო ბატონო! სად არის ნილუფარი?

— ვინ იცის! — მანიბანდჰმა კმაყოფილებით ჩაიციხა. — რა საჭიროა ასეთი ეკვიანობა, მეტოქისადმი ასეთი ზიზღი? როგორც ქალბატონი ისურვებს, ისე იქნება.

— რა გინდათ მაგით თქვით, დიდებულო?

— მე ნიშნის მოგების საბაბს არ მივცემ ნილუფარს. ადრე თუ გვიან იგი იძულებული შეიქნება მონურად ტანშემოსილი იდგეს შენ წინაშე. აიყვან მოახლედ?

ვენი შეკრთა. ის ქალი ხომ მოკლავს!

— არა, არა, დიდებულო! ეს საშინელება!

მანიბანდჰმა გაიციხა.

— შენ ერთი რამ გავიწყდება, დევი! მანიბანდჰის წინაშე ჯიქიც კი ძალღივით კულდამოძუებული დადის.

ნასადილევს მანიბანდჰი საძინებელი ოთახისკენ გაემართა. ქუთუთოები დაშპიმებოდა. ახლაც ისევე უღარდელი იყო და უცებ ჩაეძინა. სასახლეში სიჩუმე სუფევდა. მონებმა სამუშაო დაამთავრეს და თავთავიანთ სენაკებში წავიდ-წამოვიდნენ. მანიბანდჰის ნათქვამით დამწუხრებულმა და შეშინებულმა ვენიმ აქშაი მოიხმო. როცა რამდენიმე ხნის შემდეგ აქშაი ქალბატონის პალატიდან გამოვიდა, თავი ამაყად ჰქონდა აწეული. მას ახალი ბრძანება მიეღო და სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ის, ვისაც ბატონის გული მოენადირებინა. თავის ერთგულ თანაშემწედ თვლიდა, და შესაძლოა... ვინ იცის, რა ღრმად შეტოპა ოცნებაში...

მარტოდმარტო დარჩენილი, დანალვლიანებული ვენი ოთახში ნომოდოდა. მერე ზედიზედ შესვა რამდენიმე ფიალა ღვინო, რომელშიც ეძებდა თავდავიწყებას.

ჰეკამ სქელ-სქელი კვერებით საესე თეფში დაღო მიწაზე, მერე ერთი კვერი აიღო და თქვა:

— ჰამე!

ნილუფარი ჰამას შეუდგა. მეზობელ სენაკებში მონები დიდებული ვაჭრის ახალ ლაშქარზე ლაპარაკობდნენ. ნილუფარი გულისყურით უსმენდა. რა ხანია არ ყოფილა ჰეკასთან!

— რა ლაშქარიო? — იკითხა ნილუფარმა.

— ბატონი ჯარისკაცებს აგროვებს! — ჰეკამ ყველაფერი უამბო, რაც იცოდა. — სად იყავი ამდენ ხანს, ნილუფარ? — ჰკითხა შემდეგ.

— ახლა მე ერთ პატარა სახლში ვცხოვრობ.

ნილუფარმა დაწვრილებით აუხსნა, როგორ შეიძლებოდა სახლამდე მისვლა.

— რას აკეთებ?

— რაც ცუდად დევს, ჩემთვის მიმაქვს, — გაიცინა ნილუფარმა.

— მარტო ცხოვრობ?

— არა, ქმართან ერთად.

— შენ ქმარი გყავს?

ჰეკა თითქოს ციდან მიწაზე ჩამოვარდა. მან გაიცინა, მერე ჩუმად გაიხედა კარში და, როცა დარწმუნდა, რომ ყურს არავინ უგდებდათ, თქვა:

— რას ამბობ! სასწაულია და ეგ არი!

— სასწაული რად არის? — გაიღიმა ნილუფარმა. — განა არ შეიძლება ქმარი მყავდეს?

— მერედა, ვინ მიგათხოვა?

— არავინ! გაჭირვებამ!

— არ მესმის! ჩქარა მიამბე. შენ ქმარს ნათესავეები ჰყავს?

— მასთან ერთი ქალიშვილი ცხოვრობს კიდევ, მისი ქვეყნიდანაა მოსული.

— ოჰო! მთელი ოჯახი გქონიათ და ეგ არის!

ცნობისწადილით შეპყრობილმა ჰეკამ ველარ მოითმინა და ჰკითხა:

— ვინ არის შენი ქმარი?

— პოეტი!

— პოეტი?! — შეეშინდა ჰეკას. — შენ იმასთან ცხოვრობ? შენ იმისი ცოლი ხარ?

— დამიჯერე, ჰეკა! — მხიარულად უთხრა ნილუფარმა. — მე არასოდეს მიფიქრია, რომ შეიძლებოდა წილად მხვდომოდა ასეთი ბედნიერება. მე არაფერი საქმე არა მაქვს ქვეყნად. ჩვენ სხვის ტანისამოს-

ში გადაცმული ვცხოვრობთ. ხალხს ჰგონია, რომ მე ჰაბუკი ვარ, ჩანდრა — ჩემი და, ვილიზპითური კი ჩანდრას ქნარი.

— ვაჰ! — გაკვირვებით შესძახა ჰეკამ. — მერედა, რას აკეთებთ?

— მე მამაკაცურად შემოსილი ვმღერი სიმღერებს, ხოლო ჩანდრა ცეკვავს. მაგრამ ჩვენ მხოლოდ მივარდნილ შუკებში ვართ ხოლმე, სადაც არ შეუძლიათ გვიცნონ. ჩანდრა ნამდვილი შემლოცველივით აჩვენებს ხალხს გველებს. ზოგჯერ სამივენი შემლოცველთა ტანისაპოსით გამოვდივართ ქუჩაში...

— ვინ არის ჩანდრა?

— კიკათის მეფის ასული, — ჩემად მიუგო ნილუფარმა. — იგი იბუღებული იყო საკუთარი სხეულით ევაჰრა ქალაქში. ახლა კი ძალიან კმაყოფილია ახალი ცხოვრებით.

ჰეკა ერთხანს დუმდა, მერე ჰკითხა:

— მაშ ალბათ არც კი გახსოვარ ახლა, ნილუფარ?

— მახსოვხარ, ჰეკა. მაგრამ აქ მოსვლა საშიშია. შენზეც ვშიშობ. თანაც, მართალი ღითხრა, სხვებთან არაფერი მესაქმება: სასმელ-საჭმელს ვშოულობთ, ბინაც გვაქვს. პოეტსაც ძალიან ვუყვარვარ. სხვა რა უნდა ქალს? თუ იგი ქმარს უყვარს, თუნდაც მთელი ქვეყნიერება დაქცეულა, მისთვის სულ ერთია. ახლა მე აღარ დამეზნევა გზა. მე არ მჭირდება მანიბანდჰი. დაე, ვენიმ დაიკავოს ჩემი ადგილი. განა მე აქ ბედნიერება განვიცადე?! მონაქალს არ შეიძლება ქმარი ჰყავდეს. მაგრამ ბედმა მრავალი პანდურისა და კინწისკერის შემდეგ მომანიჭა ბედნიერება, — განა მე შემიძლია ხელი ავიღო ყველაფერ ამაზე?! ჩვენ გაჭირვებაშიც კი ბედნიერნი ვართ. ამიერიდან ჩემთვის ყოველგვარი სილამაზე არსებობს ქვეყნად — სხივისანი აისიც და სააპო შებინდებაც. ქვეყნად ყველაზე ძვირფასია სიყვარული! ტყუილად როდი მიაჩნდათ, ჰეკა, ჩვენს წინაპრებს, რომ გათხოვება ყველაზე დიდი ბედნიერებაა ქალისათვის. მაგრამ იმ ქმართან კი არ არის ქალი ბედნიერი, რონელსაც ამოურჩევენ, არამედ იმასთან, ვისაც იგი უყვარს. სიყვარული წამიერი გრძნობა როდია, — ესაა გრძნობა, რომელიც ყველაფრის მიუხედავად იბადება და ცეცხლში იწრთობა...

გატაცებით ლაპარაკობდა ნილუფარი, მაგრამ ჰეკამ ვერაფერი გაუგო.

— უცნაურად ლაპარაკობ, ნილუფარ! მე მხოლოდ ერთ რამეს ვხედავ — მანიბანდჰი დიდ ლაშქარს კრებს და, როგორც ეგვიპტეში წვრთნიან, ისე წვრთნის მას.

— რისთვის?

- მანიბანდჰს ესიზმრება ხოლმე, რომ იგი ფარაონი უნდა გახდეს.
- ჰეკა! სტყუი!.. — გაცხარებით შესძახა ნილუფარმა.
- არა, მართალს ვამბობ.
- საიდან გაიგე?

— ნილუფარს ალბათ დაავეიწყდა, ვინ არის ჰეკა, — გაიცინა მონაქალმა. — მე ხომ ვიცოდი, რომ ნილუფარი დაბრუნდებოდა. ჯერ ვიფიქრე, რომ ლაშქარი შენს წინააღმდეგ იკრიბებოდა. მაგრამ მერე მივხვდი, რომ ამოდენა ლაშქარს ერთი ქალის გულისთვის არ შექმნიდნენ. მაშინ გადავწყვიტე ყველაფერი გამეგო. ღამით მოცეკვავე ქალის ტანისამოსში გამოწყობილი მოვხვდი მხედართმთავართან. მან ღვინო მასვა და ეგონა დავთვერი. მე მესმოდა, რაზე ელაპარაკებოდა სხვა მეთაურებს. ისინი მანიბანდჰსა და ფარაონზე ლაპარაკობდნენ რაღაცას...

ჰეკამ გესლიანად გაიცინა.

— ფარაონი თვით დიდი ღმერთის სწორია, ჰეკა! აბა, ეს ვაჭრუკანა როგორ გაუტოლდება?

— ეს სასაცილოც კია! მის სალანძღავ სიტყვასაც ვერ გამონახავ! რაც არ უნდა არჩიო, მაინც ყველა საალერსოდ მოგეჩვენება!

— განა ფარაონად გახდომა ოქროთი შეიძლება? ფარაონი! — დამცინავად წარმოთქვა ნილუფარმა. — ფარაონი!

— ვგონებ, მისი აღსასრული შორს აღარ არის, — შენიშნა ჰეკამ. — განა ასეთ ყოყოჩობას აიტანს ვინმე?!

ნილუფარს სული შეუბრწყუნა ვაჭრის თავხედობამ. ფარაონი! აღამიანთა შორის უდიდესი! აქამომდე არვის გაუბედავს გატოლებოდა მას! მანიბანდჰი უზომოდ მდიდარიც რომ იყოს, ფარაონის გვერდით ხომ დიდი მეომარნი და სახელგანთქმული ბრძენნიც კი მონათა სწორნი არიან! არც ერთ ქალს არ შეუძლია ეშმაკური მზერა ესროლოს მას. ფარაონის ღვთაებრივი გვარის ადამიანები მხოლოდ არაჩვეულებრივ საქმეებს სჩადიან. ისინი ღმერთებივით ბრძენნი და პირქუშნი არიან!

— ჰეკა! — შესძახა ნილუფარმა. — ფარაონს ზეცასთან აქვს კავშირი. იგი ყოვლად ძლიერს ელაპარაკება ხოლმე. რასაც იგი შეხედავს, ყველაფერი მის საკუთრებად იქცევა. მთელი სამყარო ემორჩილება მას. ვინ გაბედავს მასთან გატოლებას! ერთხელ ოზირისსა და იზიდას შევევედრე, ბიწიერი სიტყვები შეენდო მანიბანდჰისათვის. მე რომ მაშინ ღმერთთა რისხვა არ დამეცხრო, მისთვის არასოდეს დადგებოდა დღევანდელი დღე! შენ გგონია, ეს მხოლოდ ძალაუფლების წყურვი-



ლია? — ო, არა, ესაა ღვთისადმი ურჩობა, სიბილწე! რატომ ღუშხარ? თქვი რამე!

ჰეკამ ვერაფერი გაიგო მისი ნათქვამიდან.

— არ ვიცი, რა გიპასუხო, — უთხრა მან. — არც ის მესმის, თუ რატომ ლაპარაკობ ღმერთებზე!

— იმიტომ რომ ფარაონი ყოვლად ძლიერის ჩრდილია. წარჩინებულ მოქალაქეებს უმეცრების გამო მიაჩნიათ თავიანთი დიდი ღმერთი ყველაზე ძლიერად. აბა საიდან ეცოდინებათ, თუ რა დაუცხრომელია ცეცხლისმფრქვეველი მთების ღმერთის, ფთაჰის რისხვა, რა უსაზღვროა ძლიერება ოზირისისა?! მათ ჰგონიათ, რომ მთელი ძალა სიმდიდრეში მდგომარეობს!

— მხედართმთავარმა თქვა, ამენ-რა მანიბანდჰის პირველი თანაშემწეაო. — გაიხსენა ჰეკამ.

— ამენ-რა! — ნილუფარი შეერთა. — მაშ ისიც ჰკუაზე შემეცდარა. თავისი სიხარბისა და გაუმადლობის გამო კეთილს და ბოროტს ველარ არჩევს იგი.

შემოვიდა აპაპი.

— ვინ არის? შენა ხარ, ნილუფარ? დიდი ხანია მოხვედი?

პასუხს არ დალოდებია და ჰეკას მიუბრუნდა.

— ყური მიგდევ. შედი ერთი სამზარეულოში. აქშია ახლა იქ არ არის. იქნებ რამე საქმელი იშოვო.

ნილუფარს გაეღიმა. რა უსაზღვროა მათი სიყვარული! რა ვეებერთელაა ეს ზანგი! მის გვერდით ჰეკა სულ პატარა ჩანს.

— არა, არა, აპაპ, — მიუგო ჰეკამ. — მე არ წავალ! ხომ იცი, როგორი კაცია! ახლა არ არის, ერთი წუთის შემდეგ გაჩნდება.

აპაპმა გაიცინა.

— შენ ხომ თქვი, წავალო, — მიუბრუნდა ჰეკა ნილუფარს. — წახვედი კიდევ. მერედა, რა შეიცვალა? აქშია ისევ თავის ნებაზე ცხოვრობს. როდის დავაღწევთ თავს? მონაქალებს სიცოცხლე აქვთ გამწარებული. მაინც ვერაფერ ბედავს იმ ქოფაქის მოკვლას... მაგრამ თუ დრო ვიხელთე, იმწამსვე გავაქრობ. — მან ბრაზისაგან კბილები გაადრკიალა.

„წყეული მონობა! — გაიფიქრა ნილუფარმა. — რა იქნება, ჰეკამ რომ მოკლას აქშია? ვერაფერინაც ვერ გაიგებს... მაგრამ ჰეკას უთუოდ დაიჭერენ, რადგან მანიბანდჰმა იცის, რომ ჰეკას საშინლად სძაგს მოურავი“.

— შენ შეგიძლია ჰკუა ასწავლო, ჰეკა!

— როგორ, ნილუფარ?

— როცა შემოვა, ყვირილი ატეხე. მოცვივდებიან მონები და ლაზათიანად მიბეგვავენ.

— კი მაგრამ, მანიბანდჰი?

— ეტყვი, რომ აქშია აბუჩად გიგდებთ, თანაც უხამსი სიტყვებით იხსენიებს ბატონს. ჩემი ყურით გავიგონე, როგორ თქვა: „რას დამაკლებს დიდებულნი?“ ვაჭარი თქვენი საქმის გამოძიებას არ მოჰყვება. მისთვის ყველანი მონები ხართ და სხვა არაფერი.

ჰეკა გავიდა.

— რატომ არ მიდიხართ აქედან? — ჰკითხა ნილუფარმა აპაპს. — ჩვენ ყველანი სამხრეთისაკენ უნდა გავემართოთ. იქ არავინ გვიცნობს. ამბობენ, თეთრკანიანმა ველურებმა მთელი ჩრდილოეთი ააოხრესო. ქალაქში სიმშვიდე აღარ სუფევს. ვინ იცის, რა მოხდება?

— რა უნდა მოხდეს? სიკვდილს ვერსად გაექცევი!

— კი მაგრამ, ქალაქში უკანონობა ხდება. მანიბანდჰს განის დამხობა გადაუწყვეტია.

— ნუთუ კანონი ეხება მონას? მორჩილება და ბატონის სამსახური — აი, მთელი მისი კანონი. თუ ჩვენ დავგსაჯეს, ეს მხოლოდ შენი გულისთვის იქნება, ნილუფარ... ასაღელვებელი რა გვაქვს? რაც იყოს, იყოს.

— ქალაქში შფოთი დაიწყება, მანიბანდჰი არავის დაინდობს. მე ვიცი მისი ახალი განზრახვა. შიშისაგან გული საგულეს აღარ მაქვს...

— შენ ეგვიპტელი ხარ, შენ ფარაონს სცემ თავყანს. შენში ეგვიპტელთა ღმერთების რისხვა მეტყველებს. მაგრამ აქაური მცხოვრებნი ვერ გაგიგებენ შენ. ისინი არც ღმერთებს დაგიდევენ და არც კანონს! აქ არავის არაფერი სწამს. მოქალაქეებს მხოლოდ ერთი რამ სჯერათ: დიდი ქალღმერთი მაჰამაი განრისხებულია მათი ცოდვების გამო, ხოლო ღმერთი აჰირაჯი უბედურებას უგზავნის ქალაქს...

— მე ეგვიპტელი ვარ. მე მწამს, რომ ჩემი ღმერთი არსებობს. ეს ადამიანები კი არც ისე სულელები არიან, როგორც შენ გგონია...

აპაპმა ჩაიხითხითა.

— შენ ისე ლაპარაკობ, თითქოს ღვთაებრივი ძალით იყო აღვსილი. აბა ჩვენ როგორ გაგიტოლდებით? მონები მხრებით დაატარებდნენ შენს ტახტრევანს. მერე რა, რომ ბედმა შავი ღლე გარგუნა, მე მწამს, რომ კვლავ ქალბატონი გახდები. ნურსად წახვალ, ნილუფარ. რა გაწუხებს? რაკი მე და ჰეკა ზოგ რამეში ვტყუით, განა ამის გამო ზიცრუე გამეფდა ირგვლივ?!

ნილუფარმა სიტყვები ვერ გამოძებნა პასუხად. ჰეკა დაბრუნდა.

— ნილუფარ! აქში ისევ გეძებს, — უთხრა შეშინებულმა. — დრავიდ მოცეკვავეს გამოუგზავნია! წადი!

ეგვიპტელი წამოდგა. შორიახლოს ხმაური გაისმა.

— რა არის? — ჰკითხა ნილუფარმა.

— აქში რომელიღაც მონას სცემს. ო, ნი ამბის გაგება სურს...

ნილუფარი შეშინდა.

— რა უნდა გაიგოს? — თქვა აპაპმა. — სულელი! ოჰ, ერთი ეგ გამაგლეჩინა! წელში გაიმართა, ხელები დაემუშტა. თვალებში რაღაც ველური ნაპერწკლები გაუკრთა.

— აპაპ! — შიშით წამოიძახა ნილუფარმა. — რა დაგემართა?

— არაფერი... არაფერი... — წაიდუღუნა აპაპმა და გალიმება სცადა: ახლა უკვე გულში უბობოქრებდა ბრაზი.

ნილუფარი ხელში სწვდა მეგობარს.

— მივდივარ, ჰეკა! ნუ დამივიწყებ!

ნილუფარი ჩუმად გამოვიდა ოთახიდან. აპაპმა ღუმელით გააყოლა თვალი. რაოდენი სიმამაცა ამ ქალში!

ოთახებში დაძვრებოდნენ ვიღაც ადამიანები, რომლებიც აქშაის მსახურებად ასაღებდნენ თავს. ჰეკამ თქვა:

— ახლა საშიში აღარაფერია. ნილუფარი უკვე შორსაა.

— მეც მივდივარ! — პასუხის მაგივრად მიაძახა აპაპმა.

მალე მისი წასვლის შემდეგ ოთახში შემოვიდა მოურავი.

— ჩემო ლამაზო! ძალიან დავიღალე. ნეტავ სად წავიდა ის საძაგელი ნილუფარი?

მან წელზე ხელი მოჰხვია ჰეკას, მაგრამ ქალმა ხელი მოიშორა და უკან დაიხია. ბრაზისაგან სახე ანთებოდა.

— საძაგელი შენ თვითონა ხარ, აქში! ნილუფარი შენი ქალბატონი იყო. დაე, ბატონმა რაც უნდა ისა თქვას — მას აქვს ამის უფლება. მაგრამ შენ როგორ ბედავ შენი ქალბატონის ლანძღვას!

აქში მტრული თვალთ უმზერდა ჰეკას. როგორი სიძულელით მოიშორა მისი ხელი! მოურავის დაწითლებულ თვალებს რომ შეხედა, ჰეკა შეშინდა. მაგრამ ბრაზი მაინც ახრჩობდა. მან ჭიუტად იკბინა ქვედა ტუჩზე.

მოურავმა გადაიხარხარა.

— შშვენნიერო! მე მხოლოდ ერთი ქალბატონი მყავს. ეს შენა ხარ! წამო, მიიღებ შენს უფლებებს...

მან სქელი ტუჩები წამოსწია და ჰეკას კოცნა დაუპირა.

თხლამ! — ჰეკამ რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაართყა ლოყაში.

აქშიმ მიწაზე დასცა ქალი და ხვევნა დაუწყო, თან ველურად ხარ-ხარებდა.

ჰეკამ სახე დაუსისხლიანა. გაშმაგებული მოურავი გულმკერდზე დააჯდა და თავში ცემა დაუწყო. ჰეკა კბილებით ჩააფრინდა ფეხში. აქშიმ წამოხტა. მის წინ მონაქალი იდგა. აქშიმ ორჯერ ჩასცხო სახეში მუშტი. ჰეკას თვალი დაუბნელდა. იგი გონმიხდილი დაეცა...

მონებმა გაიგონეს ხმაური, კვნესა, მაგრამ როცა თავიანთი სენაკე-ბიდან გამოცვივდნენ, აქშიმ იქ აღარ იყო. ერთ-ერთ მონაქალს შიში გადავიწყებოდა და ხმამაღლა ლანძღავდა მოურავს.

— გაჩუმდი! — უთხრეს სხვა მონებმა. — ბატონი არ გააღვიძო, თორემ ენას ამოგაგლეჯს.

მონაქალი ატირდა. ერთ-ერთმა მონამ ჰეკას ოთახში შეიხედა და დანარჩენებსაც დაუძახა. ჰეკა გაუნძრევლად იწვა, თმა გასწეწოდა, ტანისამოსი შემოგლეჯოდა. ვიღაცამ წყალი ასხურა სახეზე. ჰეკა გონს მოვიდა.

— როგორა ხარ?

— ახლა კარგად. სად არის ის პირუტყვი?

— ვინ?

— აქშიმ! მე ფეხზე ვუკბინე!

— უკბინე?

ყველას გაეცინა.

— იმან გცემა?

ჰეკამ თავი დაუქნია, წამოდგა და სენაკიდან გავიდა.

მანიბანდჰს არ ეძინა. ჰეკა ოთახში შევიდა და მის ფერხით დაემხო.

— რა მოხდა, ჰეკა?

— დიდო ბატონო! — ტირილით მიუგო მონაქალმა. — მოურავმა აქშიმ გამარტყა.

მან ამოისლუკუნა. მანიბანდჰს შეეცოდა.

— კარგი, წადი, — ამის შემდეგ მოურავი ველარ გაბედავს შენს ცემას. გააბრაზე?

— არა, ბატონო. მთვრალი იყო... — ჰეკა ისევ ტიროდა.

ჭიშკართან ნიჟარები აახშიანეს. მანიბანდჰს აღარ ეცალა ტყუილ-უბრალეო ლაპარაკისათვის. მან მოუთმენლად გადახედა მკურნალებს, რომლებიც ნელსაცხებლებით უზელდნენ ტანს, და ჰკითხა:

— დიდხანს უნდა გელოდოთ?

— ყველაფერი მზად არის, დიღო ბატონო! ყველაფერი მზად არის! — საჩქაროდ უპასუხეს მათ.

— მერე? — მიუბრუნდა მანიბანდძი ჰეკას, რომელიც მორჩილად იდგა მის წინაშე.

— მეშინია ვთქვა, ბატონო...

— თქვი, ნუ გეშინია!

— მე, ბატონო, — მთრთოლვარე ხმით უთხრა ჰეკამ, — მე ფეხზე ვუკბინე...

მანიბანდძი გამხიარულდა.

— მერე რა მოხდა?

— იმან ისე მაგრად ჩამცხო, ბატონო!.. შე თქვენი მონა ვარ! თქვენა ხართ ჩემი სიცოცხლის ბატონ-პატრონი. მაგრამ მე არ შემიძლია ავიტანო მისი ძალადობა! იგი აბუჩად მიგდებს! მოგკლავო, მეუბნება!

— კარგი, კარგი, წადი! — სიცილით უთხრა მანიბანდძმა და წამოდგა. ტანი განიბანა, მოქრული საკურველი აისხა და აივანზე გავიდა.

მოისმა მისალმების შეძახილები. ეზოში ამენ-რას ეტლი შემოვიდა. ეგვიპტელი მხედრულად იყო გამოწყობილი.

ახლა ამენ-რა, როცა მოესურვებოდა, მაშინ ცხადდებოდა განის საბჭოში და, როგორც ბატონ-პატრონი, ისე გრძნობდა იქ თავს.

მონა მოწიწებით მიესალმა:

— მობრძანდით, ბატონო!

— ამენ-რამ დერეფნისაკენ გაიხედა და დაინახა საკურველასხმული დიდებული. მანიბანდძს თავზე ჩაფხუტი უელავდა. ამენ-რა მასთან ავიდა. ისინი დიდხანს გადაჰყურებდნენ მწყობრად მოსიარულე ჯარისკაცებს, მერე კი პალატში შევიდნენ.

— კმაყოფილი ხართ ჩემი ლაშქრით, ყოვლად ღირსო? — შეეკითხა მანიბანდძი.

— დიღო ბატონო! — შესძახა ეგვიპტელმა. — ჩემი აზრით, მოქენჯო-დაროში ნამდვილი ცხოვრება იწყება. შეიძლება გკითხოთ, დიღო ბატონო?

მანიბანდძმა თვალები მიაპყრო.

— რა მოუვა შემდგომ ყველაფერ ამას? — ეგვიპტელმა თავის ირგვლივ შემოათარა ხელი.

— არ მესმის თქვენი, ყოვლად ღირსო.

— მე თქვენი სიმდიდრის მემკვიდრეობით გადაცემას ვგულის-

ხნობ. ვგულისხმობ იმას, ვინც შეძლებს თქვენი ადგილი დაიკავოს. დიდგვაროვანი ქალისაგან ნაშობ ვაჟს, რომელშიც, როგორც სარკეში, ისე აისახება თქვენი დიდებულება. დიდო ბატონო! ღმერთებიც კი უღლდებიან. სად ჰპოვებს სიკვდილის შემდეგ სული სინჰვიდეს, თუ შენი მემკვიდრე — ნაწილი შენი არსებისა — არ აღმართავს აკლდამას, რომელშიც გარდაცვლილის საბედნიეროდ და განსასვენებლად მოთავსდება ყოველივე აუცილებელი?!

— მე არ მესმის თქვენი, — დაბნეულად თქვა მანიბანდჰმა.

— დიდო ბატონო! თქვენს მორჩილ მონას თოთხმეტი ვაჟი ჰყავს და ყველა ისინი შეადგენენ ერთ მთლიანს. ისინი სხვადასხვა დედასაგან იშვნენ, მაგრამ ყველა ამ ქალთაგანი დიდგვაროვანი იყო. მდაბიო ქალი მხოლოდ გასართობად ვარგა. მან არც კანონი იცის და არც ნაბუსი, დიდო ბატონო. დიდგვაროვანი ქალი, რომლის ბაგეებზე ღიმილი იშვიათად გამოკრთება, რომელსაც გულში მეუღლისადმი ერთგულება და პუღმივი სამსახურისათვის მზადყოფნა უდევს, — მხოლოდ ასეთი ქალია ღირსი გვარის გაგრძელებისა. მხოლოდ მას შეუძლია ჭირში ნუგეში გცეს და ლხინში შენი სიხარული გაინაწილოს. მაგრამ, დიდო ბატონო, თქვენ მეუღლე არა გყავთ. თქვენ თუ შვილი არ შეგეძინათ, თქვენი სამეფო დაიშლება. ხალხი ჯერ თავისი მბრძანებლის წინაშე იხრის ქედს, შემდეგ კი მისი მემკვიდრის წინაშე...

მანიბანდჰმა ღვინით სავსე ჭურჭელი აიღო.

— თქვენ მართალი ხართ, ყოვლად ღირსო! აქამომდე არ მიფიქრია ამაზე. მე მეგონა, როგორც ეულად მოველ ამქვეყნად, ისევე წავიდოდი. მაგრამ ახლა ყველაფერი სხვაგვარად წარიმართება. დაე, აღსრულდეს მამა-პაპათა წესი, ყოვლად ღირსო! ბოლომდე აღსრულდეს...

და ფიალების ავსებას შეუდგა. ამენ-რა ძლივს იკავებდა სიხარულს.

— დიდო ბატონო! — შესძახა ეგვიპტელმა.

— ასე იქნება, ყოვლად ღირსო! განა მანიბანდჰი, რომელიც ხელმწიფე შეიქნება, გაძლებს, რომ სასახლეში ქალი არ ჰყავდეს? მაშინ რაღა ფასი ექნება ქალების სილამაზეს?

— დიდო ბატონო! თქვენი ცოლი დიდგვაროვანი უნდა იყოს. მხოლოდ ასეთ ქალს შეუძლია სიცოცხლე გასწოროს თქვენი უდიდესი ხელისუფლების შესანარჩუნებლად! იგი ბალახის ღეროდ მიიჩნევს თავს თქვენთან შედარებით. ასეთ ქალს არ გააჩნია სისუსტე, რომელიც უბრალო მოკვდავთ ახასიათებთ...

ამენ-რა ხედავდა, როგორ ქაფქაფებდა ღვინო დიდებული ვაჭრის ფიალაში. უცებ მანიბანდჰს ხელი აუკანკალდა. ვენი! მან ხომ პირობა მისცა ვენის!.. ნუთუ მანიბანდჰი სიტყვის გატეხით დაიწყებს ღიდ საქმეს?

ღვინო ფიალის კიდეს გადასცდა.

— რა გემართებათ, დიდო ბატონო?

— არაფერი, ყოვლად ღირსო. ღვინო დაიღვარა. ჩემი დაუღვევრობის ბრალია...

— რა არის თქვენი დაუღვევრობის ბრალი, დიდო ბატონო?

— ღვინო რომ ფიალის კიდეს გადასცდა!

ამენ-რა გაოგნებული მისჩერებოდა.

— საუსე ფიალა გელოდებათ, ასე არ არის, ყოვლად ღირსო?

— ო, ღიან! — წამოიძახა ეგვიპტელმა და ფიალა მოიყუდა.

შიშმა დაიბუდა დიდი ქალაქის მკვიდრთა გულეში, ყველანი მოახლოებული მრისხანე ამბების წინაგრძნობით ცხოვრობდნენ. მანიბანდის სამხედრო მზადება არ შეიძლებოდა გამოჰპარვოდა გარეშე თვალს. ქუჩებსა და ბაზრებში ხშირად დაინახავდით ჯარისკაცებს, რომლებიც უცხოელთაგან იყვნენ შეკრებილნი. ისინი თავაშვებულად იქცეოდნენ, ეჩხუბებოდნენ ქალაქის მკვიდრთ, ზოგჯერ კი ცემით სიკვდილის პირამდე მიჰყავდათ რომელიმე ვაჭარი, აქაოდა ჩვენი შეკამათება როგორ გაბედაო. ჯარისკაცები ატარებდნენ აბჯარს, ჩაფხუტს და მულამ შეიარაღებულნი იყვნენ. ისინი ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ, და მოქალაქეები ვერ უმკლავდებოდნენ.

ქალაქი სწრაფად იცვლიდა იერს, ყველგან შენდებოდა ციხესიმაგრეები. მოჰენჯო-დაროს შეშფოთებულ მოქალაქეებს სურდათ დანამდვილებით გაეგოთ, თუ რა ჰქონდა განზრახული დიდებულ ვაჭარს.

ღვინის ღუქნებში ყოველდღე გროვდებოდნენ ახალგაზრდები. რამდენი ბოროტება ხდებოდა ახლა დიდ ქალაქში! განთქმული დარდინანდები ღვინოს სვამდნენ. როცა დათვრებოდნენ, ხალხს ჩააცივდებოდნენ და უადგილო რჩევა-დარიგებით აბეზრებდნენ თავს; ნახევრად შიშველ მოცეკვავეთა დანახვაზე ავყილობდნენ და უხამსად ოხუნჯობდნენ; მოცეკვავენიც ურცხვ ცეკვას მოჰყვებოდნენ, და მაშინ ქუჩებში იმართებოდა თავაწყვეტილი ღრეობა.

მთავარ ქუჩაზე ღუქანი დილიდანვე სავსე იყო ხალხით. კარგა შექეიფიანებულმა ახალგაზრდა მოქალაქემ მოითხოვა:

— კიდევ დამისხით!

ახალგაზრდა მსახურმა ქალმა ფიალა შეუუესო. მეღუქნე ამაყობდა ჩანჩალას დიდრონი ლამაზი თვალებით. მან დიდძალი ფული გადაიხადა ამ ლამაზი გოგოს შესასყიდად და, როგორც კი ჩანჩალამ ღუქანში ფეხი შემოდგა, შემოსავალმა იმწამსვე იმატა.

— აბა, ლამაზო! ერთი მითხარი, რას იზამ, ველურები რომ შემოვიდნენ? — ჰკითხა ერთმა მოქალაქემ.

— მე იმათ შემოვიპატიეებ, ღვინოს დავალევიებ, და როცა დათვრებიან...

მოქალაქემ ბარბაცით დაუმატა:



— ჩემი თვალების ისრებით გავგმირავ...

ხარხარმა მთელი ღუქანი შეძრა. აწკარუნდნენ მოცეკვავე ქალთა ფეხებზე შებმული რგოლები.

უეცრად ცაზე თვალბედითი სიბნელე ჩამოწვა. ირგვლივ ყველაფერი დაიბინდა. მაღლა სვეტებად აიჭრა მტვერი. მელუქნემ შეჰყვირა:

— კარი! კარი დაკეტეთ!

— რამ შეგაშინა? — გაიკვირვა მოქალაქემ. — განა უკვე მოვიდნენ? კარი რატომ უნდა დაკეტოთ? ყოველი შემთხვევისათვის კართან ჩანჩალა დააყენე.

კვლავ გაისმა ხარხარი. ეს კაცი მთელ ქალაქში იყო ცნობილი თავისი ოხუნჯობით. ღვინის ღუქანში მომუშავე მოახლე ქალებს მუდამ უხაროდათ მისი მოსვლა. ძალიან ბევრს სვამდა. ხოლო როცა ზარში მოიგებდა, შეეძლო მთელი მოგება დაუთვლელად ჩაებარებინა მელუქნისათვის ანდა ოქროს ფულები მოახლე ქალებისთვის გაენაწილებინა.

შავი ღრუბლების კიდეებზე მეწამული ათინათები გამოჩნდა. თითქოს ცაზე სისხლის წვეთებმა გამოყოვნაო. გეგონებოდა, აგერაგერ წამოვიდოდა სისხლის წვიმა. ამ სასწაულის დანახვაზე მოჭენჯოდაროს მცხოვრებნი შეძრწუნდნენ. არავის ახსოვდა, აქამდე ამნაირი რამ მომხდარიყო.

ქალები შიშით იკრავდნენ გულში ჩვილ ყრმებს და ცდილობდნენ მოახლოებული უბედურებისაგან დაეფარათ. უფრო ღიდ ბავშვებს ხელჩაკიდებულს მიათრევდნენ სახლში.

მოყვითალო ბინდმა მოიცვა ირგვლივ ყოველივე. მზის წითელი ბირთვიც გაყვითლდა. თითქოს მიწაც და ცაც გაფითრდნენ შიშისაგან. ინდის მრისხანე ტალღებიც კი ყვითლად აციმციმდნენ. ვილაცას რძით სავსე ჭურჭელი გაუვარდა ხელიდან, და მიწაზე ყვითელი ნაკადები წავიდ-წამოვიდა. ფინჯანში ბრინჯიც ყვითლად შეიფერა. არაფერი არ იყო ირგვლივ, რომ ამ წუთებში არ გაყვითლებულიყო.

ღუქნის ხშირი სტუმრები შეშინდნენ. ღიდთვალება ჩანჩალასაც გაუყვითლდა თვალების თეთრი გარსი. ახლა მისი თვალები საზარელი ჩანდნენ. ავარდა მტვრის კორიანტელი. ქარი მონადირისებრ გამალებული მისდევდა თავის მსხვერპლს...

უეცრად ცა მოიწმინდა, ჩამოვარდა კვლავინდებური საამო სიჩუმე. მტვრის სქელი ფენა ედებოდა ირგვლივ ყველაფერს. იმათ, ვინც შეშინებული შეჰყურებდა ზეცას, ფურთხება დაიწყეს — პირი მტვრით ამოვსებოდათ. აქამდე დაცარიელებულ ქუჩებში ისევ გაისმა ხმები.

ხალხი ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს, რომ ატყდა გულშემზარავი გრუხუნის, შეშინებულმა ქალებმა მოთქმა გააბეს. დედების შემყურე ბავშვებიც ატირდნენ. კაცები გაფითრდნენ, თითქოს შიში სწვდათ ყელში. მოხუცებულებმა მუხლი მოიყარეს და მოჰყვნენ ხმაბლალ ლოცვას; ზეცაც და მიწაც აუმხედრდნენ მათ, ყველანი მტრები არიან, რა იღონონ?!

გრუხუნის არ წყდებოდა და ხალხს თავზარსა სცემდა. თანდათან უფრო ხმაბლალა გაისმოდა გოდება. მცხოვრებნი შეშლილებივით გამოვრდნენ სახლებიდან.

მიწის საშინელი ზანზარი, რომელიც დამფრთხალი ადამიანების ყვირილს ერთვოდა, ზეცაში აღიოდა, კიდევ უფრო ძლიერდებოდა, უსასრულო სივრცეს ედებოდა და ჰაერს სძრავდა... ქარი ხარხარით დასთამაშებდა მიწას, ეჭახებოდა სახლების კედლებს. მცხოვრებნი ქუჩაში გარბი-გამოვრდნენ და ერთმანეთს აწყდებოდნენ, ძირს ეცემოდნენ და შემზარავად გაჰკიოდნენ. ყველაფერი აირია, თითქოს ქალაქში არასოდეს ყოფილიყოს სიმშვიდე. ჯარისკაცებს მახვილები დავიწყებოდათ და დაბნეული შეჰყურებდნენ ცას. ისინი შიშით ელოდნენ, რომ აგერ-აგერ სიკვდილი თავის ულმობელ ხახას დააფჩენდა და ყველას ცოცხლად ჩაყლაპავდა...

უცებ თვალი გაახილა იოგთა დიდმა მეფემ. მან სიამაყითა და სიდიადით გაუსწორა თვალი საზარელ ქარიშხალს, და მისი უხეში, მრისხანე სიცილი იყო გამოწვევა ირგვლივ გამეფებული ყოვლისმომსრველი სიკვდილისა. ეტყობოდა, მისი სული გამსჭვალული იყო უჩვეულო აღტაცებით. ხელები ფართოდ გაეშალა, თითქოს ამბობდა: „მოდირაღას უცდი! შემოვედ ჩემს გულში და შეეთვისე მას!“

იოგთა დიდი მეფე ქვემოთ, ინდის ნაპირისკენ დაეშვა. მაგრამ ქარიშხალი არ ცხრებოდა და წინანდებური ძალით ბობოქრობდა. მრავალი მცხოვრები დაიჭრა. ქალაქის გარეუბნებში ქარიშხალმა დაანგრია ერთმანეთს მიკრული ქოხმახები; მათი ბინადარნი ცხვრებივით უმწეოდ შექუჩილიყვნენ და აკანკალებულნი ელოდნენ აღსასრულს.

ბოლოს ქარიშხალი ჩადგა. ადამიანებმა შეჰყვირეს — ახლა უკვე სიხარულისაგან — და თავ-თავიანთ სახლებს მიაშურეს. თანდათან დაშოშმინდნენ, მაგრამ მაინც დიდხანს კანკალებდნენ. თავის ადგილს დაუბრუნდა იოგთა დიდი მეფეც, რომელსაც ქარიშხალმა თავზარი დასცა. იგი კვლავ ჩაიფლო თავის წმიდა ფიქრებში. დღეს თვითონაც კი ვერ შეძლო ქარიშხლის შეჩერება!

სალამოს ქუჩებში გამოჩნდა ვიშვაჯითი.

— ეპეი, მოჰენჯო-დაროს ნებიერო მკვიდრო! დატკბით თქვენი სიამაყის ნაყოფით! თქვენი მოჰენჯო-დარო მალე ჩაქრება, ვითარცა უხეთო ლამპარი. მაგრამ სამყარო წინანდებური დარჩება. შეხედეთ ცას! ყოველდამ ქრება თითო ვარსკვლავი, მაგრამ განა ამით ცა უვარსკვლავო ხდება?! აურაცხელი წლების განმავლობაში ცხოვრობენ ადამიანები ქვეყნად და მუდამ იღუპებიან, როცა სიამაყე ეუფლებათ. დედამიწის რისხვა კი არაა, ამპარტავნობა და ქედმაღლობა დაგლუპავთ თქვენ, მოჰენჯო-დაროს მკვიდრო! ახლა დიდებულ ვიშვაჯითს გული გაუძღება. ეპეი, მშვენიერო! გამოძყევით, მე თქვენსაზრდოს მოგცემთ!..

მას მიუახლოვდა დრავიდთა ბრბო. არავინ სცნობდა მათს ადამიანურ ღირსებებს, უკვე მრავალი დღეა მათხოვრებივით დაეხეტებოდნენ ქუჩებში. დიდმა ქალაქმა მონაჩმახად ჩათვალა უცხოელთა საშინელი ნაამბობი და უარი უთხრა მათ პურისა და ბინის მიცემაზე. მაწანწალა ძაღლებივით ეყარნენ ქუჩებში ლტოლვილნი, მათ ცოლებსა და ქალიშვილებს კი შესჩენოდნენ ავბორცი ადამიანები, რომლებიც ოქროთი ყიდულობდნენ სილამაზესა და უმანკოებას.

ვიშვაჯითის დაპირებამ ააღელვა ბეჩაიე ადამიანები. ბრბო იზრდებოდა. მცველები ფხიზლად იყვნენ. მათ შუბები შემართეს, მაგრამ ბრბო თანდათან უფრო მოურიდებელი ხდებოდა, თითქოს მთელ ქალაქს შთანთქმას უპირებსო. დრავიდებს არც ბინა ჰქონდათ, არც ქონება, არც საკმელი და ამიტომაც არავის მუქარას არ უფრთხოდნენ. ხმაური ძლიერდებოდა. შეშინებული მცხოვრებნი საჩქაროდ კეტავდნენ სახლებს. დაიხურა დუქნები.

მცველები თავს დაესხნენ ბრბოს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მოჰკლეს, ხალხმა მაინც არ დაიხია უკან. როგორც მშიერი ლომები დააცხრებიან მსხვერპლს, ისე ეცნენ დრავიდები მცველებს. შუბები წაართვეს და ღრიალით დაუწყეს ცემა მჩაგვრელებს. მათში კვლავ გაიღვიძა იმ სიშმაგემ, რომლითაც ისინი არიებს ებრძოდნენ. ახლა მათ ვერავინ გაუმკლავდებოდა — ვერც მოქალაქენი და ვერც შეიარაღებული მონები. დრავიდთა ყიჟინა ისმოდა ყოველი მხრიდან.

მოვიდა მანიბანდჰის რაზმი. მეომრები მწყობრად მოაბიჯებდნენ, ხელთ ვეებერთელა ფარები ეპყრათ. მათ მოჰქონდათ ანთებული ჩირაღდნები, თავზე ჩაფხუტები უელავდათ. მახვილისა და შუბის გარდა ყოველ მათგანს მშვილდ-ისარი და ისრებით სავსე კაპარჯი ჰქონდა. ბრძანებისთანავე ცალ მუხლზე ჩაიჩოქეს და ბრბოს თქეშივით დაუშინეს ისრები. გამძვინვარებული დრავიდები მშიერი ვეფხვებივით დააცხრნენ ჯარისკაცებს და მათი მწყობრი მიფანტ-მოფანტეს. გამოჩნდა

კიდევ ერთი რაზმი. უიარალო დრავიდებმა რამდენიმე წამში დაანგრიეს ქვაფენილი და სეტყვასავით დააყარეს ქვები ჯარისკაცებს. მეომართა წინა რიგები უკუიქცნენ და გაიფანტნენ. მაშინ ბრძოლაში ჩაებნენ ლაშქრის მთავარი ძალები. ისინი ელვასავით შეიჭრნენ ბრბოში და, სანამ დრავიდები რამეს იღონებდნენ, წვერბასრი შუბები ეძგერენ ადამიანის ხორცს. მიწა სისხლით შეიღება. ქალაქი კენესამ აავსო. დიდებული ვიშვაჯითი დაეცა, ხელშუბის დარტყმით დარეტიანებული.

ჩირალღნების შუქზე გამოჩნდა, როგორ მოვიდა მეომრებთან მაშველი ჯარი. მაშინ კი შედრკნენ დრავიდები. შიშისაგან გაქცეული და აღრიალებული ბრბოს დანახვაზე სისხლი მოსწყურდათ ჯარისკაცებს. საკმელს, რომლითაც იკვებებოდნენ, ძალ-ღონე შეემატებინა მათთვის, ძარღვებში მხურვალე სისხლი უჩქეფდათ და სამოქმედოდ აქეზებდათ. უჩვეულო ზარ-ზეიმით დაუწყეს ცემა გაქცეულ დრავიდებს...

...ქალაქის თავზე ღამის სიჩუმე ჩამოწოლილიყო, რომელსაც დრო-დადრო მანიბანდჰის მეომართა ფეხის ხმა არღვევდა. დღეს ისინი ქალაქის მკვიდრთა მშვიდობას იცავდნენ. მხოლოდ გამთენიის ხანს გამოჩნდნენ ფერმიხდილი, შეშინებული ადამიანები, რომელთაც ჯერ კიდევ სავსე ჰქონდათ გული ღამით თავს გადაამხდარი საშინელებით.

მოხუცმა ვიშვაჯითმა ყვირილი მორთო:

— ეჰეი, მოჰენჯო-დაროს მკვიდრნო! თქვენ მე უგუნურად მიგაჩინივართ... მაგრამ მე გონი არ დამიკარგავს! ახლა მე თქვენზე ბრძენი ვარ. მე მძაგს თქვენი აღვირახსნილობა! თქვენ გეშინიათ მანიბანდჰის ჯარისკაცებისა და მათი იარაღის! ნუთუ მტარვალს მისცემთ თქვენს თავისუფლებას? აღდექით! ბოროტების გასანადგურებლად სისხლის დაღვრაა საჭირო...

ორმა ჯარისკაცმა ხელი სტაცა მოხუცს, ქვებზე დააგდეს. ვიშვაჯითმა გონება დაკარგა; გატეხილი თავიდან სისხლი მოჰონავდა. ჯარისკაცები საკურვლის ჩხარუნით განშორდნენ.

მალე ვიშვაჯითი გონს მოვიდა. ყველანი შეჰყურებდნენ, მაგრამ გვერდს უვლიდნენ. ბევრს ცრემლი უბრწყინავდა თვალებში, თუმცა დახმარებას ვერავინ ბედავდა. ვიშვაჯითი ღუმილით ადევნებდა თვალს გაუბედავად ჩავლილ მოქალაქეებს.

უცებ მან ვილიბჰითური დაინახა და ახარხარდა. არაფერს არ შეეძლო გაეტეხა ამ დაუცხრომელი ადამიანის სულიერი ძალა. მისი სიძულვილი ძალადობის მიმართ როგორც ჩირალღანი ბნელში, ისე გიზგიზებდა დღეს!

ნილუფარი გვერდით იდგა, მამაკაცის ტანისამოსში გამოწყობილი.

ბერიკაცის თავზე კრილობა რომ შენიშნა, შეკრთა. ვიშვაჯითმა ვილიბპითურს ახედა და უთხრა:

— შენც? შენც შეგაშინეს?

— წადი, პოეტო! — უთხრა ნილუფარმა. — მე ვშიშობ შენზე...

მაგრამ ვილიბპითური თითქოს ადგილზე გაქვავდა. თვალეში სისხლი მოაწვა. მოხუცის სიტყვა ყურში უწიოდა. ახლა იგი მზად იყო სულ მთლად დაენგრია ეს ცოდვით სახე ქალაქი...

— შენ მაინც უთხარი, ჩანდრა! უთხარი! რა გვესაქმება ამ ხალხთან? უნდა გავიქცეთ აქედან... — მიმართა ნილუფარმა ჩანდრას.

მაგრამ ამას იყო მისი სიტყვები. ჩანდრას სახეზე გულგრილობა აღბეჭდოდა. მეფის ასულმა დარბეულ-აოხრებული სამშობლო მიატოვა და აქ მოვიდა; ეგონა, თავშესაფარს ეპოვებო. რა ნახა აქ? ქალაქის ყველაზე მდიდარი კაცი ერთსა და ესწრაფვის — დაიმონოს სხეები. ირღვევა დიდება დიდი ქალაქისა. სად უნდა წავიდეს ახლა?

ნილუფარს თვალეები ცრემლით აევსო. შიშისაგან გული უკანკალებდა. პოეტი და ჩანდრა დუმილით მიჰყვებოდნენ ეგვიპტელს. სახლში რომ მივიდნენ, ნილუფარი აქვითინდა. ორივენი გაკვირვებით შეჰყურებდნენ. რა დაემართა? სად არის მისი შეუპოვრობა? ისინი ვერ ხედებოდნენ, რომ გათხოვებასთან ერთად პირადი ბედნიერების შიშიც ეწვევა ხოლმე ქალს...

ქალაქის ქუჩებში სიმშვიდე და მყუდროება სუფევდა. სამაგიეროდ სახლებში შფოთავდნენ. „რა გვეშველება? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს მოქალაქენი. — ნუთუ ყველას დალუბვა გვემუქრება? ვინ მისცა მანიბანდჰს ასეთი ძალაუფლება? რატომ შეურაცხყოფენ უკანონოდ ჭარისკაცები ქუჩაში გამვლელთ?“

როცა ამ მითქმა-მოთქმამ ვიშალაქშას ყურამდეც მიაღწია, იგი ეტლში ჩაჯდა და განის უხუცესისკენ გაეშურა. იმას უკვე გავგო ყველაფერი.

— რა ვქნათ? — დაბნეულად თქვა მან. — დიდებულს ძლიერი ლაშქარი ჰყავს!

ვიშალაქშა გაოცდა.

— და ამას თქვენ, ჩვენი უხუცესი ამბობთ? ნუთუ დაგავიწყდათ, რომ მთელი ქალაქი ჩვენს მხარეზეა!

მაგრამ განის უხუცესს ხელები უღონოდ ჩამოეშვა და დუმდა.

მაშინ ვიშალაქშამ შიკრიკები დაგზავნა, რათა საბჭოს ყველა წევრი შეკრებილიყო. ეს ამბავი მთელ ქალაქს მოედო და მალე განის შენო-

ზას ათასობით მცხოვრები მოაწყდა. ჯარისკაცები შეეცადნენ გაეფანტათ ისინი, მაგრამ იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ.

სალამოს შეიკრება საბჭო. მაგრამ განის უხუცესი არ მოსულა. მაშინ ვიშალაქშა სავარძლიდან წამოდგა და თქვა:

მისმინონ საბჭოს პატივემულმა წევრებმა! მისმინოს ყველა მოქალაქემ! დღეს განის უხუცესი არ მოვიდა. დაე, მისი ადგილი დაიკავოს...

— დაე, მისი ადგილი დაიკავოს მთავარმა მრჩეველმა! — წამოიძახა ვილაკამ.

— არა, არა! არ გვინდა! — გაისმა ირგვლივ საპროტესტო შეძახილები.

ამენ-რა გაბედულად წამოდგა თავისი სავარძლიდან.

— თუ მთავარ მრჩეველს არ შეუძლია დაიკავოს განის უხუცესის ადგილი, მაშ სადღა არის სამართლიანობა, რომლითაც განთქმულია დიდი ქალაქი?

— მისმინოს საბჭოს პატივემულმა წევრებმა! — დაიწყო მანიბანდჰმა. — დღეს აღარ არის სამართლიანობა განაში.

ბრბოში შეჰყვირეს:

— ეგ ავი სულია! მაგას ნება არა აქვს დაიკავოს წმიდა ადგილი! გააგდეთ აქედან! ჩვენ გვინდა ვნახოთ, როგორ დაიღვრება მაგის სისხლი!..

მანიბანდჰს წარბები შეეკმუხნა. ჯარისკაცები მკიდროდ შემოერთყვენ თავიანთ წინამძღოლს და დასაცავად მოემზადნენ. მათი ნაბიჯებისაგან თითქოს მთელი ფიცარნაგი ირყეოდა ჩირალდნების შუქზე.

— სიწყინარე იყოს! — შესძახა ვიშალაქშამ. — მისმინეთ, პატივემულო კრების მონაწილენო! ქალაქის მცხოვრებნი არ ენდობიან მთავარ მრჩეველს და ამიტომაც იგი ვერ დაიკავებს განის უხუცესის ადგილს. დაე, საბჭოს თვითეულმა წევრმა გამოთქვას თავისი აზრი.

ამ დროს ბრბოში ხმაური ატყდა. ჯარისკაცები და მოქალაქენი ეკვეთნენ ერთმანეთს. ვიშალაქშამ შეამჩნია, რომ ჯარისკაცები ფიცარნაგს ალყას არტყამდნენ. მან შეჰყვირა:

— ქალაქის მკვიდრნო! განას საფრთხე ემუქრება! ალყას გვარტყამენ!

ბრბო ღრიალით გამოექანა ფიცარნაგისაკენ. გაისმა საერთო შეძახილები:

— აბა ერთი ვინმემ გაბედოს და სისხლი დაღვაროს ამ წმიდა ადგილზე!

ჯარისკაცებმა უკან დაიხიეს.

მაშინ უეცრად თავისი ადგილიდან წამოდგა ვინა. მის ხელში ხანჯალმა გაიელვა.

— დიდი ქალაქის მცხოვრებნო! — შესძახა მან. — მე ვამაყობ ჩვენი ქალაქის თავისუფლებით და სიცოცხლეს გამოვასალმებ ყველას, ვინც გაბედავს, რომ განას შეურაცხყოფა მიაყენოს!

მკველები, რომლებიც ფიცარნაგს ალყას არტყამდნენ, პატივისცემის ნიშნად მიესალმნენ განას. ათასობით მოქალაქე აპყუა მათ. მაგრამ აქვე გაისმა მანიბანდჰის სადიდებელი შეძახილები:

— დაე, ცოცხლობდეს ჩვენი მეუფე და მბრძანებელი, ადამიანთა შორის უძლიერესი, დიდებული მანიბანდჰი!

ბრბო მოულოდნელობისაგან გაირინდა. უცებ გაისმა შეძახილები:

— სიკვდილი მანიბანდჰს! სიკვდილი ამენ-რას!

ვითარება თანდათან უფრო იძაბებოდა. საბჭოს წევრებმა მახვილები იშიშვლეს. ჩამოვარდა სიჩუმე.

უცებ ბრბოში გაისმა ვიშვაჯითის ყვირილი:

— დიდი ქალაქის მკვიდრნო! შეხებ ჩემს თავს! ხედავთ სისხლს? ეს დიდი ქალაქის სისხლია! ნუთუ ყველას გსურთ მონები გახდეთ? აი, თქვენ წინაშე დგას მანიბანდჰის ეგვიპტელი მხედართმთავარი, ეს სულ იმისი ხრიკებია! მის ქვეყანაში ადამიანები საშინელთაგან ყველაზე საშინელ ცოდვებს სჩადიან. შეიპყართ იგი, წასვლის საშუალება არ მისცეთ! დაე, მანიბანდჰიც მასთან ერთად დაიღუპოს!

— ფრთხილად იყავით, უგუნურნო! — დაიქუხა ამენ-რამ. — სისხლმომწყურებულ მახვილებთან თამაში იოლი როდია! — მან ხელი ასწია და შესძახა: — მანიბანდჰ მეფეს...

მთელმა უზარმაზარმა ლაშქარმა ერთხმად შესძახა:

— ...დიდება!

ამენ-რამ სამგზის უსურვა დღეგრძელობა მანიბანდჰს, და მრავალ მოქალაქეს გული აუკანკალდა შიშით.

მაგრამ კვლავ გაიცინა ვიშვაჯითმა.

— იყვირეთ, დიდი ქალაქის მკვიდრნო! იყვირეთ: „სიკვდილი ცოდვით სავსე მანიბანდჰს! სიკვდილი ძალღ მანიბანდჰს!“

ბრბო ათასხმიან ექოდ გამოეპასუხა. ვიშვაჯითი მხრებზე შეისევს.

— ძველი ქალაქის, მოჭენჯო-დაროს მკვიდრნო! — ყვიროდა იგი, ბრბოს თავზე მოქცეული. — დღეს თქვენს თავისუფლებას მრისხანე განსაცდელი მოელის..

— მანიბანდჰ მეფეს... — წამოიძახა ვილაკამ.

მაგრამ მისალმების შეძახილი შთაინთქა ბრბოს ღრიალში:

— ...სიკვდილი!

ამას ყვიროდნენ ყველანი — მოქალაქენი, მონები, ღრავიდები.

ამენ-რამ მანიბანდძს შეხედა და თავისი ეტლისკენ გასწია. ჯარისკაცებით გარშემორტყმული მანიბანდძი უკვე მეორე ეტლზე იდგა.

როცა ისინი თვალს მიეფარნენ, წარმოუდგენელი ხმაური ატყდა ყველანი ითხოვდნენ მანიბანდძის სიკვდილით დასჯას, მაგრამ არავინ იცოდა, როგორ აღესრულებინათ ეს საერთო განაჩენი. განა არარად ჩააგდეს. მოჰენჯო-ღაროში უკვე აღარ იყო სამართლიანობა. აბა, ვის შესწევდა ძალა, დაეცვა დიდი ქალაქის ძლიერება?

უცებ კვამლი ავარდა და აღმაც იფეთქა — ვიღაცამ ცეცხლი წაუკიდა განის საბჭოს შენობას. გაისმა ყვირილი. ადამიანებმა თავთავიანთ სახლებს მიაშურეს. ზოგ ადგილას უკვე ხდებოდა ჯარისკაცებთან შეტაკებები, იღვრებოდა სისხლი. არავინ ზრუნავდა დაჭრილებსა და დახოცილებზე. მთელი ღამის განმავლობაში სკასაეთ გაჰქონდა ხმაური დიდ ქალაქს. მოქალაქენი ჯგუფ-ჯგუფად ქუჩიდებოდნენ და ყვიროდნენ:

— სიკვდილი მანიბანდძს!

ზოგჯერ სიბნელეში გაისმოდა:

— მანიბანდძ მეფეს დიდება!

...ეტლები, რომლებსაც მცველნი მიაცილებდნენ, ამენ-რას სასახლესთან გაჩერდნენ. მანიბანდძი და მისი მასპინძელი პალატში შევიდნენ და რბილ სავარძლებზე მიესვენენ.

— დიდო ბატონო, — უთხრა ამენ-რამ. — აღსრულდა! ახლა აღარაფერი გვემუქრება!

— რატომ ხარ აგრე დარწმუნებული?

— მე ვხედავ, რომ განის აღსასრულის ჟამმა დაჰკრა.

— კი მაგრამ, განა ხომ ჯერ კიდევ ძლიერია! — შეესიტყვა მანიბანდძი. — იგი ჯერ კიდევ ცოცხლობს. მთელი ქალაქი გადიარია...

— დიდო ბატონო! — გაიცინა ეგვიპტელმა. — მაპატიეთ, მაგრამ, როგორც ვატყობ, არასოდეს გინახავთ ამგვარი რამ.

— რა გინდათ სთქვათ?

— ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ვფიქრობდი. ახლა ისინი თქვენს ლაშქარს შემოესევიათ, ჯარისკაცები კი თავს დაიცავენ და უეჭველად გაიმარჯვებენ; ისინი მორჩილებით არიან შემეჭირებულნი. ენის გარდა, სხვა რა აქვთ მოქალაქეებს? განა ნამდვილ ლაშქარს გაუმკლავდებიან ისინი, მცველებსაც რომ ვერაფერს უბედავდნენ?!



— არც მცველები არიან ჩვენს მხარეზე! — შეესიტყვა მანიბანდძი.

— მოგვემხრობიან!

— ახლა ძველს ველარ დავუბრუნდებით!

— დიახ, დილო ბატონო! სხვა გზა აღარა გვაქვს.

— ქალაქი შფოთავს. ამ სულელებს არ ესმით, რა ხდება. ისინი მხოლოდ მაშინ მოვლენ გონს და ყველაფერს მიხვდებიან, როცა დრავიდები დაუწყებენ ძარცვას, ეს შეშლილი კი, რაც ჭკუა დარჩენიათ, იმასაც დააკარგვინებს, — თქვა მანიბანდძმა, რომელიც აღელებებისაგან სულს ძლივს ითქვამდა.

— ჩვენ ამბოხებებს ჩავახშობთ, მბრძანებლო! — შესძახა ამენ-რამ.

სიტყვა „მბრძანებლის“ გაგონებაზე მანიბანდძი შეკრთა. შორიდან მოისმა ყვირილი:

— სიკვდილი მანიბანდძს!

ვაჭარი წამოდგა. ამენ-რამაც მიატოვა საეარძელი.

— დაე, ხელმწიფე ნუ ინადვლებს! — თქვა ამენ-რამ და მოკრძალებით დახარა თავი.

მოისმა შეძახილი:

— დიდება მანიბანდძ მეფეს!

მანიბანდძი ისევ დაჯდა. ამენ-რას გამჭირახ თვალს არ გამოჰპარვია, კედლის ახლოს ჩამოკიდებულ მიჩიგდანთან როგორ შეირხა რაღაც.

— თქვენ ჭეშმარიტი მეფე ხართ! დღეიდან ამენ-რა ვერ გაბედავს თქვენს უკითხავად დაჯდეს თქვენ წინაშე, რათა არ შეურაცხყოს მეფის ტახტი, არ დაამციროს წმიდა ხელისუფლება. — ეგვიპტელმა უკან დაიხია და კედლის ახლოს დადგა. — სიცოცხლე მეფისა ყველაზე ძვირფასი განძია მთელ ქვეყანაზე. ხალხი იმისათვის არის შექმნილი, რომ მას ჰმონებდეს. — ამენ-რამ ნაბიჯი წარდგა და მრისხანედ წარმოთქვა: — არავის არ აქვს უფლება, შეესიტყვოს ხელმწიფეს. ვინც მეფეს აღუდგება წინ, ის ღვთის წინააღმდეგია. მაგრამ მეფეს არ შეუძლია თავისი ხელით აღასრულოს განაჩენი. იგი თავის ქვეშევრდომებზე ზრუნვითაა გატაცებული და დასჯის იარაღი მის ხელში ისევე გამოიყურება, როგორც ფეხმძიმე ქალის ხელში გამოიყურება ეს... — ამენ-რა დაიხარა, შუბს დასწვდა და დაასრულა: —...აი, ეს, ხელმწიფე! განა ფეხმძიმე ქალი შეძლებს შუბის ტყორცნას? შუბი რომ აიღო, ამისათვის ძალღონით სავსე ხელებია საჭირო. მეფის ერთგული მსახური რომ გახდეს, ამისათვის სიბრძნეა საჭირო... — ეგვიპტელის ბებრულ ხელებს მტკიცედ ეპყრათ შუბი. — ისინი, ვინც ქედს არ მოიხრიან მეფის წინაშე, გაისრისებიან, რადგან ქვეყანას არ სჭირდება მემამოხენი. ჩვენ აღე-

გვით მათ პირისაგან მიწისა! მაგრამ თუ გადარჩენილნი კიდევ შეეცდებიან აჯანყდნენ, თუ ისინი არ უღალატებენ თავიანთ წინამორბედთ... მაშინ...

— რა მაშინ?

— ჩვენ ასე მოვექცევით მათ!

ეს რომ თქვა, ამენ-რამ მიჩიგდანის კიდეს ჩასცა შუბი. ფარდის უკანიდან ღრიალით გამოვარდა ადამიანი. რამდენსამე წამს ფხარკალეზდა იატაკზე და ბოლოს მიყუჩდა. მოკლულის ირგვლივ სისხლის ტბორი დადგა. ამენ-რამ ზიზლით გადააფურთხა ტბორში. მანიბანდჰი გაოცებული შეჰყურებდა ეგვიპტელს.

— როგორ შეამჩნიეთ?

— ხელმწიფევ! ეგვიპტეში ეს ხშირად ხდება. კედლებსაც კი აქვთ ყურები გამობმული.

— გმადლობთ, დიდებულო!

— მე ნუ მიმადლით, ხელმწიფევ, ეს გონებამ და შუბმა მოიმოქმედეს.

მონის სისხლი ნელ-ნელა მოიღვარა ოთახში. ამენ-რამ მოკლულის ტანისამოსზე გაწმინდა შუბი. იგი ისე მშვიდად გამოიყურებოდა, თითქოს არაფერი მომხდარიყო. მისებრ გულწაწკრუთობი როდი იყო მანიბანდჰი; იმის შიშით, ვითუ სისუსტე გამოვამყლავნო, კრინტი არ დაუძრავს, უკან დაიწია და სავარძელზე დაჯდა.

ამენ-რამ ხელი ხელს შემოჰკრა. შემოვიდა სამი მონა.

— გაათრიეთ, — უთხრა ეგვიპტელმა. — ცოდვა ჩაიდინა: ჩვენს ლაპარაკს უგდებდა ყურს.

შიშისაგან მხრებში თავჩარგული მონები მოკლულის გვამს მიუახლოვდნენ. ამენ-რამ გაიღიმა და მანიბანდჰს შეხედა. იგი ფიქრებში გართულიყო.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. მანიბანდჰი წამოდგა და ოთახში სიარული დაიწყო. თავს მოუსვენრად გრძნობდა. საღამოს ბინდი თანდათან ქუფრდებოდა. გარედან მოისმა მეომართა ნიჟარების ხმა, იარაღის ჩახჩაუხი, კენესა, ყვირილი. უცნობი სიხარულის, ეჭვისა და შიშის გრძნობა დაუფლებოდა მის გულს. არ იცოდა რა ექნა...

ამენ-რას შესანიშნავად ესმოდა მანიბანდჰის მდგომარეობა. მან ფილა ღვინით შეავსო და ხელი ხელს შემოჰკრა. ოთახში შემოვიდა ლამაზი ქალიშვილი. ანიშნა თუ არა ბატონმა, ქალი მაშინვე დასწვდა ღვინის კუთრკელს და მანიბანდჰს მიუახლოვდა. თავზე, მოძრაობის

ტაქტის შესაბამისად, ერხეოდა ჩაქვის ფრთები. მანიბანდჰი ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს მსუბუქად მოსიარულე ქალიშვილს.

— ძლევამოსილო მბრძანებლო! — უთხრა ამენ-რამ. — ამჟამად ამბავი თქვენი სასახლო მოღვაწეობისა სისხლითაა დაწერილი დიდი ქალაქის ქუჩებში. მტრებს გარდუვალი დაღუპვა ელით. დღესვე მათი ცოლები გოდებით მოვლენ უსულო სხეულთა ასაკრეფად...

მანიბანდჰის გულს ცეცხლივით მოედო სურვილი.

— ამბოხება ჩახშობილ უნდა იქნას, ხელმწიფო! უმეფობისა და ურჩობის მოთმენა შეუძლებელია. როგორ ბედავენ ეს მემამოხენი, სიმშვიდე დაარღვიონ ქალაქში? რად ესერიან ქვებს ჩვენს ჯარისკაცებს? ხელმწიფო! ისინი უნდა დასაჯოთ! სამართლიანობამ უნდა გაიმარჯვოს.

მაგრამ მანიბანდჰი არ უსმენდა, იგი თვალს ვერ აშორებდა მონაქალს. ქალიშვილმა ღვინის ჭურჭელი თავის ადგილას დადო და უკან დაიწია. უცებ მანიბანდჰმა ხელი წაატანა მას, — ასე იფეთქებენ ხოლმე ალის ენები, როცა ცეცხლში ზეთის წვეთი ჩაეარდება, რომ კიდევ უფრო თვალისმომპრეოდ აღაშკამდნენ. ლამაზი ქალი ხალიჩაზე დაჯდა და თითები საკრავზე აათამაშა. მმატკბილი ჰანგები მოედო სასახლეს. რაოდენი სიხარულია ქალის სილამაზეში და მუსიკის ნაზ ტალღებში! უცებ მანიბანდჰმა აღტაცებით შემართა მახვილი და ზეცას შეხედა.

— დიღო მბრძანებლო! — წარმოთქვა ამენ-რამ. — ქალაქში სასტიკი ბრძოლაა გაჩაღებული!

მაგრამ მანიბანდჰმა მოუთმენლად გააქნია ხელი, თითქოს ამბობდა: „გაჩუმილი!“ ლამაზმა ქალმა სიმღერა წამოიწყო. ტკბილად ჟღერდა მისი ხმა...

სიმღერა მოქალაქეთა ყვირილმა ჩაახშო. ამენ-რა სასახლიდან გავიდა. მანიბანდჰი ჩაფიქრდა. მონაქალმა მუდარით აღსაყვს მზერა მიაპყრო მანიბანდჰს და წყნარად წარმოთქვა:

— ხელმწიფევ!

მანიბანდჰი მიუბრუნდა. წარბები გაოცებით ასწია.

— ბატონო! ნება დამრთეთ მოგემსახუროთ!

— რაზედ ამბობ? — ჰკითხა მანიბანდჰმა.

ლამაზმა ქალმა თავი დახარა. ამ დროს შემოვიდა ამენ-რა. მან გაიგონა მონაქალის სიტყვები და შორიდანვე თქვა:

— მე დღესვე გაგაგზავნი სასახლეში ხელმწიფესთან... ხელმწიფევ! ქალაქში შეუპოვარი ბრძოლა მიმდინარეობს.

— ჩვენ მივიღივართ! — თქვა მანიბანდჰმა და წამოდგა. ამენ-რამ

გასასვლელამდე მიაცილა. ჯარისკაცების გარშემორტყმული ეტლი დამის წყვილადში გაქანდა. მანიბანდჰი შეშფოთებული დაბრუნდა თავის სასახლეში.

მოახერხებს თუ არა გადარეულ მოქალაქეთა დაშოშმინებას? შეძლებს თუ არა გაანადგუროს მტრები და დაიმორჩილოს ქალაქი?

მოისმა მსუბუქი ნაბიჯების ხმა. მანიბანდჰმა თავი ასწია და დაინახა ლამაზი ქალი, რომელმაც ესოდენ მოაჯადოვა ამენ-რას სასახლეში. იგი კართან დაემხო და თაყვანი სცა ხელმწიფეს. მანიბანდჰი განცვიფრდა. ასეთ ბობოქარ ღამეს, როცა ირგვლივ სისხლიანი ქარიშხალი მძვინვარებს, სასახლეში მოვიდა ეს ქალი! მანიბანდჰმა ფრთხილად მოისვა გვერდით და მხიარულად გაიცინა...

...როცა მანიბანდჰის დაძახილზე პალატში შემოვიდა მხედართმთავარი, მან მანიბანდჰის გვერდით ნახა ლამაზი ქალი, რომელიც ბანანებს ფტქენიდა. მის წინ მრავალი შშვენიერი ხილი ეწყო. მანიბანდჰს ყურძნის მტევანი ეჭირა ხელში.

მხედართმთავარს მოკრძალებით დაეხარა თავი და ელოდა. საჭურველზე სისხლი შეხმობოდა. მანიბანდჰმა შეხედა და ჰკითხა:

— რა ხდება ქალაქში?

— ხელმწიფევ! მცხოვრებნი ურჩობენ, მაგრამ მალე ვაზღვევინებთ.

— შენ ჯილდოს მიიღებ! — უთხრა მანიბანდჰმა.

— ვფიცავ ერთგულად ვემსახურო ხელმწიფეს! — შესძახა მხედართმთავარმა. — ხელმწიფევ, ბრძანეთ უკან მოაბრუნონ ჯარი, რომელიც ზღვისაკენ გაგზავნეთ, — ეს ხელს შეუწყობს საქმის წარმატებას.

— დარწმუნებული ხართ, რომ ეს გამარჯვებას მოაახლოებს?

— ხელმწიფევ! ასე მიკარნახებს ჯარისკაცის ფამოცდილება. გააფთრებულ მოქალაქეებს შეუძლიათ მრავალი უბედურება დაატრიალონ... მწერალი ლაბანი იმწამსვე შეუდგა ქსოვილის ნაჭერზე ხელმწიფის ბრძანების წერას. უეცრად ქარმა დაქროლა და სანათი ჩააქრო. ლამაზმა ქალმა შიშით შეჰკვილა. მონამ და მონაქალმა მაშინვე შემოიტანეს რამდენიმე ახალი სანათი. ლამაზმა ქალმა გაიცინა და მანიბანდჰს მხარზე მიეკრა.

ერთ-ერთმა მონამ ბატონს ლამპარი დაუდგა წინ და წითელი ფისის ნაჭერიც მიათვა. მანიბანდჰი საკუთარი ხელით დალუქავს ბრძანებას და ფისზე დაასვამს სპილოს ძვლის ბეჭედს, რომელზედაც გამოსახულია მოჰენჯო-დაროს პირველი მეფე!

— ყური მიგდევ, მხედართმთავარო! — გაიცინა ლამაზმანმა. — მე

მსურს, რომ განთიადზე ქალაქში უკვე სიმშვიდე იყოს! ამ ხმაურმა თავი ამატკივია!

მანიბანდჰმა განცვიფრებით შეხედა მონაქალს. ხომ არ მოეჩვენა? მთელი ქალაქი სისხლითაა მორწყული, ეს ქალი კი იმას ნაღვლობს, რომ მახვილთა ჩახაჩუნისაგან თავი სტკივია!

— ქალბატონო! — მიუგო მხედართმთავარმა. — თქვენი ნათქვამი ბრძანებასავით ჟღერს ჩემთვის, და იგი დაუყოვნებლივ იქნება შესრულებული...

ლამაზმა ქალმა გაიღიმა და ქათქათა კბილები გამოუჩინდა. მხედართმთავარი წავიდა.

და კვლავ მხოლოდ ორნი დარჩნენ ოთახში — ქალიშვილი და მანიბანდჰი.

— ვინა ხარ? მგონი, მონა არ უნდა იყო!

— არა, თქვენთვის მუდამ მონა ვარ!

— რომელი ქვეყნიდან ხარ?

— თქვენი ქვეშევრდომი ვარ!

მანიბანდჰის ხელები მშვიერი გველებივით გაიწვადნენ ქალიშვილისკენ. მეფეს უღმობლად იზიდავდა ლამაზი ქალი, ტკბილი სიზმარივით აბრუებდა...

ეს ღამე ჯადოქრულ გრძნობებს ემსგავსებოდა... ქარიშხალი ფოთლებს აცახცახებდა, შორიდან მოჰქონდა ჯარისკაცთა მისალმების შეძახილები და მბრძანებლის ქება-დიდება... წყვილიაღში მოციმციმე ლამაზთა შუქი... მეფის პატივსაცემად წარმოთქმული მქუხარე სადღეგრძელოები, რომელთაც შეუძლიათ ჰკუთაზე შეშალონ კაცი... გვერდში — კი იღუმალეებით აღსავსე ქალი...

მანიბანდჰს თავბრუ დაეხვა. აი, იგი — პირველი ღამე მისი მეფობისა...

ქალი ფიალაში უსხამს ღვინოს — ყველაზე საუკეთესოს, სურნელოვანს, ალისფერი რომ დაჰკრავს, — ღვინოს, რომელიც ძალ-ღონეს მატებს კაცს. თითქოს მის ყოველ ყლუპში იმალება ყველა სურვილის აღსრულება, და გასურს შესძახო: დაე, მარად ბობოქრობდეს დამართობელი სიყმაწვილე!..

თანდათან უფრო ღრიალებს ქარიშხალი. სადღაც საბრძოლო ნიჟარა აახმიანეს. შორიდან მოისმის ბრძოლის ხმაური.

ღამის უკუნი, ყველაფერი რომ დაუფარავს, ლამაზი ქალის შავი თმა... ეს ქარიშხალი მისი ოხვრაა... დიადი სიამაყე, უსაზღვრო ძალა-უფლების შეგრძნება... საცოდავი ჰილუები წინააღმდეგობის გაწევას

უბედავენ!.. ქარიშხალი გამარჯვების სიმღერას მოსძახის და მანიბანდ-  
პიც ყურს უგდებს მას.

ფიალა ისევ ბაგესთან არის... თვალები თითქოს ქალის სილამაზის  
მომხიბლაობას ეწაფებიან... აღტაცება... დაუოკებელი სიხარული...  
წკრიალებენ ლამაზი ქალის სამკაულები... იქ კი დედამიწა სისხლში  
იხრჩობა... იქ იარაღის ჩახაჩუხი ისმის...

სიყვარული და გამარჯვება, სიამე და ძალაუფლება, ქალი და მა-  
ჰაკაცი, მონა და მეფე...

ქარიშხალი ძვინავს და ღრიალებს...

დაგადუგი გააქვს გულს. ძარღვებში სისხლის მაგივრად ცეცხლო-  
ვანი ღვინო ჩქეფს...

მძლავრი, ზეცის შემძვრელი შეძახილი:

— დიდება მანიბანდპ მეფეს!

— კიდევ დამისხი, ლამაზო!.. — ყვირის მანიბანდპი. — ერთი ფია-  
ლაც!..

ქალის კისკისი...

...ჩანდრამ, ვილიბპითურმა და ნილუფარმა თავიანთ სახლს შეა-  
ფარეს თავი. სანათი ბუტყავდა. სარკმელში დროდადრო ქარი შემოიჭ-  
რებოდა ხოლმე და სანათის აღს აათამაშებდა.

— დღეს დრავიდთა ტომი კლანჭებში ჰყავს მომწყვდეული სიკვ-  
დილს... — თქვა პოეტმა.

— დღეს მონები შევლას ითხოვენ... — მიუგო ჩანდრამ.

— ჩვენ რა გვესაქმება? — წამოიძახა ნილუფარმა. — ჩვენ არც  
ვძარცვავეთ ვინმეს, არც ვკლავთ. ნუთუ ჩვენც, ამ სახლში მშვიდად  
მსხდომთაც, არ აგვცდება სიკვდილი?!.

— ნილუფარ, რას ამბობ? — შესძახა პოეტმა. — დღეს ჩვენ უნდა  
გადავწყვიტოთ — მონებად დავრჩეთ თუ თავისუფლებისათვის დავი-  
ხოცოთ!

ნილუფარი ხელში სწვდა.

— შენ მთელი ჩემი სიცოცხლე ხარ! არ გაგიშვებ! მე მარტო ვარ,  
პოეტო, ირგვლივ გამოუცნობი ბედის საშინელი წყვდიალია.

— ნილუფარ! — ველარ მოითმინა ვილიბპითურმა. — შენ თავს იმ-  
ციერებ. რამ შეგშალა? რატომ ძრწი?

ნილუფარმა ხელები გაიწვდინა მისკენ.

— გვეედრები, ნუ წამართმევ სიცოცხლეს...

უცებ პოეტის ხელი აღიმართა და ნილუფარს სახეში მოხვდა.

— შეგეშინდა! — შესძახა პოეტმა. — ნუთუ შეიძლება უძლურობის ძრწოლაში იცხოვრო? ბრძოლაში დავბადებულვართ და ბრძოლაში მოკვდებით...

ნილუფარი გაოგნებული შეჰყურებდა მას.

— შენ გამარტყი?..

— განა მე უსამართლობა ჩავიდინე, უსულო სხეულზე რომ ხელი აღვმართე?

— მაშ მე უსულო სხეული ვარ? — წარმოთქვა სასოწარკვეთილმა ნილუფარმა. — შენ შეურაცხყოფა მომაყენე, პოეტო!

სადღაც ახლოს გაიშხეილა უღმობელმა შოლტმა — რომელიღაც მონას სცემდნენ.

— გესმის? — შეეკითხა ვილიბჰითური.

ნილუფარმა ყური მიუგდო. ვილიბჰითური სწრაფად წამოდგა. მბეჭეტავი სანათი აფირფილდა, იფეთქა და ჩაქრა.

შოლტი ისევ შხუოდა. შეძრწუნებულნი უგდებდნენ ყურს მის ხმას. ხოლო შორით, დიდ ქალაქში, ბაზოქრობდა კვენესა-გოდების ოკეანე. დროდადრო აღწევდა ლაშქრის მრისხანე ყიყინა. გეგონებოდა, ეს-ეს არის ძველი ქალაქის კედლები ღრიალით გადაეშვებიანო ბრძოლაში. ზეცაში კი თითქოს სიკვდილის ბოროტი აჩრდილი როკავდა.

ნილუფარი აქვითინდა. ჩანდრამ ალერსით მოჰხვია მხრებზე ხელი.

— ამისათვის კი შურისძიებაა საჭირო! — შესძახა ნილუფარმა.

გახარებულ ჩანდრას და პოეტს ერთბაშად აღმოხდათ:

— შურისძიება!

— შურისძიება! — შეეხმიანა წყვედიადი.

ფანჯრის იქით შესაბრალისად ღმუოდა ქარიშხალი.

უცნობი ჭაბუკი ირგვლივ შემოკრებილ მონებს ეუბნებოდა:

— გულისყურით მისმინეთ! რასაც მე გეტყვით, უცებ ძნელად გაიგებს კაცი.

მონები გარს შემოხვეოდნენ ჭაბუკს.

— დიდ ქალაქში უკანონობა ხდება. ქუჩებში დამშეული ძაღლებით დაძრწიან მანიბანდლის ჯარისკაცები, ისინი ძარცვავენ და ხოცავენ მშვიდობიან ადამიანებს. ყველას თვალწინ ხდიან ქალებს ნამუსს...

— რაზე ლაპარაკობ? ბატონს რაც ნებავს, იმას უზამს ქალს, — შეესიტყვა ერთ-ერთი მონა. — ვისი რა საქმეა?

— არა, თქვენ აგრე არ უნდა ფიქრობდეთ! თუმცა თქვენი სხეული დამონებულია, მაგრამ სულით მაინც არა ხართ მონები. ხოლო თუ თქვენი გონებაც მონობის ბაღეში მოჰყვა, მაშინ კი აღარასოდეს გელირსებათ თავისუფლება.

— თავისუფლებაო? — წამოიძახა ცალთვალა მონამ. — ერთი აგვიხსენი, რა არის თავისუფლება! განა შეიძლება შეცვალო კანონები, რომლებიც სამყაროს განაგებენ? განა ამიერიდან აღარ იქნებიან მონები და ბატონები?!

მონებს გაეცინათ. უცნაურ რამეებს ამბობს ეს ჭაბუკი! მონა მონაა, ბატონი — ბატონი. ასეა უხსოვარი დროიდან, ოდითგანვე. განა შეიძლება ყველაფერი ეს შეიცვალოს?

მონებმა ვერაფერი ვერ შეიგნეს. სამაგიეროდ მხიარულების საბაბი იშოვეს. იცინოდნენ ქალებიც. რა შუაშია აქ ნამუსი და უნამუსობა? განა ის, ვინც ნივთი იყიდა, უფლებამოსილი არ არის, როგორც უნდა ისე მოეპყრას მას?!

— შენ, როგორც გეტყობა, დიდებული მანიბანდლის მტერი უნდა იყო, — უთხრა ერთმა აყლაყულა მონამ. — განა მოიძებნება დიდ ქალაქში ადამიანი, რომელსაც შეუძლია მას გაუტოლდეს?! მაგას ისა სჯობია, ჩემო კარგო, თქვა, რომ შენ თვითონ ოცნებობ ჩვენს ბატონად გახდომაზე. ეგრე იყოს, გვიყიდე! მიეცი მანიბანდლს ფული და ჩვენც შენი ვიქნებით. რა საჭიროა ასეთ წვრილმან რამეზე ხმაურის ატეხა? ოღონდ ეს არის, შეძლებ კია, რომ ყველას გამოგვინახო სამუშაო?



— ჩვენ რომ გვიყიდოს, ფულია საჭირო! ფული! — წამოიწყო მისმა მეზობელმა. — მაგას კი, სიტყვების გარდა, არაფერი აბაღია. იქნებ ფულის მაგივრად თავისი გასათუთებელი ხელები მისცეს?

ხუმრობას სიცილი მოჰყვა. ცალთვალაც ხითხითებდა, თან ხელის გული მიედო ყურზე. ვილაცამ შესძახა:

— ესე იგი, სუყველანი გავთავისუფლდებით? ეს ზომ არასდროს არ მოხდება! ჩვენ სიკვდილის შემდეგაც კი ბატონთან დავრჩებით. რატომ ვართ მონები? იმიტომ, რომ ასეთია ჩვენი ბედი! სად შეუძლია ადამიანს ღმერთთაგან დადგენილი კანონები შეცვალოს? ჩვენ არც დედა გვყავს, არც მამა, ყველანი ბატონს ვეკუთვნით. იქნებ ისიც გინდა დაკვიპტიცო, რომ ჩვენ დიდგვაროვანნი ვართ? ყველაფერი რიგზე არა გვაქვს თავში. ან კი რა მოგეთხოვება ჭერ კიდევ სულ ბავშვი ხარ. მაგრამ რად უნდა დაგვიცინოდე? თუ წარჩინებული ხარ, განა ეგ უფლებას გაძლევს კრილობაზე მარილი დაგვაყარო?!

ატყდა ხმაური. ყველანი გაცხარებით კამათობდნენ, ხელებს იქნევდნენ და ჭაბუკზე უთითებდნენ. ცალთვალა ყველაზე ხმამალა ყვიროდა.

— მოიცათ! განა მაგ ბიჭმა ცუდი რამ თქვა?—წამოიძახა ერთერთმა მონაქალმა. — მაგას ყველასთვის კარგი უნდა. რატომ უნდა გალანძლოთ? შეხეთ, რა გულუხვად დაუჭილდობითა ღმერთებს, მაგრამ მაინც თქვენთან მოვიდა, თქვენ კი აბუჩად იგდებთ!

— იგი ლამაზია, — აჰყვა სხვა მონაქალი. — ჭერ კიდევ ახალგაზრდაა! ცოტა კიდევ დააცათ, და დიდი ქალაქის უმშვენიერესი ქალები ხალიჩებს გაუგებენ ფეხქვეშ!

ჰეკა შეჰყურებდა ნილუფარს და ელოდა, რას იტყოდა. ავი ეუბნებოდა თავის მეგობარ ქალს, რომ ეს მონები პირუტყვებით უგუნურნი არიან, მათ ფიქრიც კი არ შეუძლიათ თავიანთ კეთილდღეობაზე, ისინი არ დაუჯერებენ იმას, ვინც უკეთესი ცხოვრებისაკენ მოუწოდებს. მათთვის ღმერთი მხოლოდ ის არის, ვინც ფეხქვეშ გაქელავს!

მაგრამ ნილუფარი დუმდა. მას თანდათან უფრო იპყრობდა დევლა. მანიბანდჰმა რომ გაიგოს ყველაფერი? ნილუფარს იმწამსვე დაიჭერენ, და მაშინ...

„და მაშინ...“ — ეს იყო საშინელი სიტყვები. უცებ ნილუფარს მოეჩვენა, რომ გარს ერტყმოდნენ ალის მძვინვარე ენები, რომლებიც მზად იყვნენ დაეწვათ და დაეფერფლათ იგი. მან უმწეოდ გადახედა თავის მეგობარს. მაშინ კი ჰეკამ უეტრად გამკვიანი ხმით შეჰყვირა:

— რატომ არ უსმენთ? რომ იცოდეთ, ვინ მოვიდა თქვენთან ასეთი

თანაგრძნობით! რისი მონები ხართ თუკი დიდგვაროვან ადამიანებსა ყურს არ ათხოვებთ? თქვენი საქმეა ისინით. მეც მონაქალი ვარ. განა აქ ისეთ ვინმეს მოვიყუანდი, რომ თქვენს წინააღმდეგ ბოროტი წარახვა ედოს გულში?!

ჰეკამ თვალი მოავლო ბრბოს. ყველანი დამშვიდნენ. არა, თუ ეს პაბუკი დიდგვაროვანია, გაიფიქრეს მათ, რაღად მოვიდა აქ? განა არ შეეძლო თავის სასახლეში მოეხმო ისინი? მისი მშვენიერი სახის შემყურე იფიქრებს, რომ მას არ შეჰხებია მზის სხივები. და აი, იგი, ყოველგვარი სამკაულის გარეშე დგას ამ ჭუჭყიან მონებს შორის. რისთვის? ან კიდევ ჰეკა... ცოტაოდენი ხომ უნდა ეფიქრა, სანამ მას აქ მოიყვანდა?

ნილუფარმა კვლავ წინ წადგა ნაბიჯი. მაგრამ მონები ისევ ექვობდნენ. ერთმა მათგანმა თქვა:

— ჰეკა! შენ გინდა, რომ ჩვენ გვჯეროდეს ამ ადამიანისა. მაგრამ შიშსა გვგვრის. ვუყურებთ და გვგონია, რომ იგი რძისგან არის შექმნილი, რომ ყვავილზე უნაზესია. კი მაგრამ, რატომ არა აქვს სამკაულები? რატომ არის ახლა მონათა შორის? ვინ არის? ვინ არის ეს უცნობი პაბუკი?

ნილუფარი შემცბარი შესცქეროდა ჰეკას. მონებს არ გამოჰპარვიათ მისი დაბნეულობა.

— ვინ არის? — შეჰყვირეს აქეთ-იქიდან.

— როგორ მოვიქცეთ? — ჩუმად ჰკითხა ნილუფარმა.

ჰეკა შეშინებული ჩანდა. მან ძლივძლივობით ამოთქვა:

— მაშ ჩემი არ გჯერათ?

— შენ რატომღა არ გჯერა ჩვენი? — შესძახა ვილაკამ. — რატომ მხოლოდ ჩვენ უნდა გვჯეროდეს? შენ გვიბრძანე, უსმინეთო. ეგ რატომღა ყოყმანობს? წელან არა სთქვი, თქვენი მეგობარიო?

თითქოს ყველაფერი გათავდა. ჰეკა და ნილუფარი უმწეოდ შეჰყურებდნენ ერთმანეთს. რა ექნათ? გაქცევას ვერ მოახერხებდნენ — ისინი მკიდროდ იყვნენ გარშემორტყმულნი მონებით. უკნიდან კი მოდიოდნენ სულ ახალი და ახალი ცნობისმოყვარენი. ნილუფარი ელოდა, რომ აგერ-აგერ მონები შეიპყრობდნენ და მანიბანდჰს მიჰგვრიდნენ. იგი მაშინვე მიხვდებოდა, ვინ ედგა წინ...

ნილუფარს თვალი დაუბნელდა. ეგვიპტელს მოეჩვენა, რომ მიწას დაანარცხეს. და უცებ ყველასათვის მოულოდნელად დოლბანდი მოიხადა.

— ნილუფარი! — შეჰყვირა ერთ-ერთმა მონამ.

— ქალბატონი!

ყველაზე ახლოს მდგარმა ორმა მონამ შიშით დაიხია უკან.

— დიახ, ნილუფარი ვარ, — მკაცრად თქვა ეგვიპტელმა. — ასე ჩქარა დამივიწყეთ?

ბაგეებზე ზიზღნარევი ღიმილი დასთამამებდა. განსაცდელის მძიმე წუთმა სიმამაცე დაუბრუნა მას. მონებს თავზარი დაეცათ.

აი, იგი, სილამაზე, რომელიც ქალბატონმა არ დაუმალა მათ! მისი გრძელი ნაწნავეები შავი გველებივით იკლავნებიან, მაგრამ ისინი არ უგესლავენ მზესავით ნათელ სახეს, რადგან ღმერთთა ნებით ევალე-ბათ მისი შენახვა. ეს უბადლო სილამაზის ქალი მამაკაცის ტანისამოს-ში გამოწყობილი დგას მათ წინაშე! სამკაულები არა აქვს. სად იმალებოდა აქამომდე? მონები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იგი დიდებულს გაძოქცა!

მონები გოცებით ათვალეობდნენ თავიანთ ქალბატონს. მათი გულები შიშს შეეპყრო: ერთიც ვნახოთ და ხაფანგი იყოს? მათ აღშფოთებული მზერა ესროლეს ჰეკას.

— ნილუფარ! — შესძახა ვილაცამ. — შენ ხომ ქალბატონი იყავ... კიდევ გინდა ქალბატონად გახდომა? თუ რამე ხრიკები გაქვს ჩაფიქრებული? კი მაგრამ, რატომ გააპარე სასახლიდან? ქვეყნად ხომ არც ერთ ქალს არ ღირსებია ისეთი ბედნიერება, როგორიც შენ გხვდა წილად! ეგვიპტელი დუმდა. ძნელად შეატყობდით სახეზე, რას ფიქრობდა. საოცარი სილამაზით გაბრწყინებული, მიუწვდომელი და მკაცრი იდგა იგი მათ წინაშე... მშვიდი, უღრტვინველი!

მეორე მონამ დაუყვირა:

— შენ დაგავიწყდა, როგორია მონათა ცხოვრება, — შენ ხომ დიდხანს იყავ ქალბატონი!

— ჭეშმარიტად მართალს ამბობ! — მიუგო ნილუფარმა. — მაგრამ მე არ შემიძლია ქალბატონად დავრჩენილიყავ. არ შემეძლო თვალთმაქცობით დამეფარა ეს ცოდვა. და ამიტომაც ყველაფერზე ავიღე ხელი და წამოვედი...

ეგვიპტელმა ისევ მოიხვია დოღბანდი. თვალის დახამხამებაში კაბუჯად გადაიქცა. მაგრამ გააღო თუ არა პირი სიტყვის გასაგრძელებლად, იმავე მონამ პირში მიახალა:

— სცრუობ! შენ მხოლოდ იმიტომ წამოხვედი, რომ ახალი ქალბატონი გამოჩნდა, შენი მეტოქე. შენ ვეღარ გაუძელი და გამოიქეცი, რომ მტვერში არ გდებულებიყავ ყვავილის გირლანდივით, რომელსაც ახალი ქალბატონი ფეხქვეშ გაქელავდა... მე თვითონ ვნახე, როგორ

გეძებდა ბატონი, როგორ გადააქოთა სასახლის ყველა საიდუმლო კარნი. შენი გულისთვის არის, მოურავი აქმაი რომ გვაწამებს ნიადაგ!

ნილუფარი კანკალებდა. რა უნდა ეპასუხა? ეს თავხელი მონა მართალია!

უცებ ცალთვალამ წამოიწყო:

— მე მიეხვდი: ბატონს ჩვენი ერთგულების გამოცდა განუზრახავს! ქალბატონო! ნუთუ გინდა, რომ დაგვსაჯონ? რისთვის? განა ჩვენ გეურჩებოდით, როცა ბრძანების ნება გქონდა?

ნილუფარს ახელებდა მონათა გონებაჩლუნგობა.

— რაც გინდათ, ის ილაპარაკეთ, — შესძახა ბრანით, — ოღონდ ქალბატონს ნუ დამიძახებთ! მე ქალბატონი არა ვარ, მე ისეთივე უუფლებო მონა ვარ, როგორც თქვენ. მაგრამ გთხოვთ — ნუ დაკარგავთ ადამიანურ ღირსებას. თუ ჩემს ქალბატონობაში რამე გაწყენინეთ, დაე, ზეცამ მომაგოს სასჯელი. მაგრამ დამიმტკიცეთ, რომ თქვენ პირუტყვები კი არა, ადამიანები ხართ! თქვენ დაგამახინჯათ გამუდმებულმა ძალადობამ. თქვენ გადაეჩვიეთ ფიქრს, დაკარგეთ გრძნობის უნარი. მე არაფერი არ მინდა, ოღონდ გაიგეთ, უბედურნო: თქვენ ადამიანები ხართ და ისევე გაქვთ უფლება ბედნიერი იყოთ, როგორც იქვენს ბატონს...

— უფლება? მონას? — შეაწყვეტინა ვილაცამ. — ეს ჯერ არასდროს არ ყოფილა!

ნილუფარს ხმა ჩაუწყდა. თვალები ცრემლით აევსო. თითქოს ეს ეს არის აქვითინდებო. ჰეკამ ხელზე ხელი მოჰკიდა.

— შენ სტირი! — არ ცხრებოდა ცალთვალა. — როცა ჩვენ სიმართლის გაგება მოვიწოდებთ, თვალები ცრემლით აგვესო. გინდა, რომ მათ დაგვაბრძვონ და ბოროტისა და კეთილის განსხვავებაში ხელი შეგვიშალონ?

— ბოროტი! კეთილი! — ესლა აღმოხდა ძალიან განაწყენებულ ნილუფარს.

კვლავ ატყდა ხმაური. მდგომარეობა საშიში ხდებოდა. მაგრამ ამ დროს გამოვიდა აპაპი. მან ხელი ასწია და თქვა:

— მეგობრებო! ჩვენ მონები ვართ, ეს მართალია! მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ მხეცები ვართ?

— არა! — შესძახა ყველამ. — არც ერთი ადამიანი, რაც არ უნდა უჭირდეს, არ უწოდებს თავის თავს პირუტყვს!

— მაშინ რატომ უნდა დაჰყვნენ ჩვენი ქალები ბატონთა სურვილს?

აპაპის ნათქვამი ყველას ჰკუაში დაუჭდა. მონებმა კმაყოფილებით დაუქნიეს თავი.

— მაგის ნებას არავის მიეცემთ! — თქვა უცებ შორიასლო მღვარმა ჰაბუკმა მონამ. თვალეზში სიმტკიცე უელავდა. ახალგაზრდა მონენი ააღელვა მისმა შეძახილმა.

— ეს ძალმომრეობაა! — გადაურბინა ბრბოს.

ჰეკამ სიხარულით გადახედა ნილუფარს. მოეჩვენა, რომ მონობის საუკუნეობრივი მხუთრი, რომელიც სულს ხდიდა, უცებ საამო სიომ შეეცვალა. მან იგრძნო, რომ ახლა შეუძლია ამაყად თავაწუულმა იაროს. ჰეკას გულში ადამიანურმა ღირსებამ გაიღვიძა, ხოლო როდესაც უცებ მამაკაცთა მხარდაჰერა იგრძნო, მის სულს ძალა და სიმტკიცე შეემატა. ნილუფარმა გაიღვიძა.

— რა გინდათ? — ლაპარაკში ჩაერია ცალთვალა. — გინდათ ბატონებს გაუტოლდეთ? ეგ არასდროს მოხდება!

მაშინ ჰაბუკმა დაიწყო:

— ჩვენ მზადა ვართ ბრძოლისათვის!

— თქვენ ჯერ კიდევ არ აგხელიათ თვალი როგორც საჭიროა, — გაიციინა ცალთვალამ, — აგრე მალლა ახტომას კი აპირებთ.

— შენ ცალი თვალი არა გაქვს, — გაბედულად შეაწყვეტინა ჰაბუკმა, — და მაინც თვალხილულად მიგაჩნია თავი.

ცალთვალამ ბოროტად შეჰყვირა, მაგრამ მისი სიტყვები უეცრად ამტყდარმა ხარხარმა ჩაახშო. მონებმა კამათი დაიწყეს, მომხრეები ორივეს გამოუჩნდნენ.

ჰაბუკი ნილუფართან და ჰეკასთან მივიდა.

— ჰეკა! — უთხრა მან. — ჩვენ მზად ვართ გამოგყვეთ!

— ერთი ამას დამიხედეთ! — გაიკვირვა ჰეკამ. — როდის აქეთია, რაც „ჩვენ“ გახდით?

— „ჩვენ“ იმას ნიშნავს, რომ მარტო არა ვარ.

— რამდენი ხართ? — ჰკითხა ნილუფარმა.

— ორმოცი, — მიუგო ჰაბუკმა. იგი ჯანიანი იყო და ძლიერი.

— აუგი არ მეთქმის, გამომადლებით, — წყნარად უთხრა ნილუფარმა. — მზად იყავით! როცა საჭირო იქნება, განიშნებთ. მაგრამ საშიში კია. უნდა მოვიფიქროთ!

— ჩვენ ყველაფერი ვიცით, არაფრის არ გვეშინია!

ამ დროს გაისმა ნიჟარების ხმა, — მანიბანდჰი ბრუნდებოდა.

— შეიძლება სიცოცხლის ფასად დაგიჯდეთ!

— მონასა და მეკდარს შორის რა განსხვავებაა?  
ნილუფარს ბაგეზე ღიმი აუთამაშდა.

როცა ეგვიპტელი თვალს მიეფარა, ჰეკამ შინისკენ გასწია. დღეს მოზნდარმა ამბავმა სული შეუძრწუნა მას! როდესაც მძიმედ დაპკრილს, სიკვდილის პირას მდგარს, სიცოცხლეს დაუბრუნებენ, მას ეჩვენება, რომ სიკვდილი აუტანელ წამებაზე უმჯობესია. ამდაგვარი გრძნობა დაუფლებოდა ჰეკას.

იგი წამოწვა და ფიქრს მიეცა.

მანიბანდჰს არ დავიწყებია ჰეკას გულისთვის დაეჭუქსა აქში. მანაც, რასაკვირველია, ვერ გაბედა შესიტყვებოდა ბატონს, მაგრამ გულში გადაწყვიტა ამ დამცირებისათვის სამაგიერო მიეზლო თავხედი მონაქალისათვის. იგი მაშინვე გაემართა ჰეკასაკენ და, დაინახა, რომ იატაკზე იწვა.

აქში მიუახლოვდა მონაქალს და ოდნავ წაჰკრა ფეხი:

— ეპეი, შენ გეუბნებიან! ადუ! ძილის მეტი არაფერი იცი! გეტყობა, მთელ ღამეს საწოლიდან საწოლზე დარბიხარ, დღისით კი ყვინთავ!

ჰეკამ ლანძღვა დაუწყო. ხმა ახლა უფრო მტკიცედ უქლერდა, ვინემ ჩვეულებრივ, სიტყვებიც უფრო გაბედული იყო. აქში დაიბნა. ასე რამ გაათავხედა ეს საცოდავი მონა? ვერც ერთი მოახლე ვერ უბედავს ასე ლაპარაკს! ეტყობა, ბატონის ალერსიანმა სიტყვებმა გამოიწვია ეს!

— მიფრთხილდი, მონაქალო! — ბოროტად უთხრა მან. — ხომ არ დაგავიწდა, ვის ელაპარაკები?

ჰეკა დაჯდა, მერე ზეზე წამოდგა.

— საძაგელ ძაღლს! — მან ზიზღით გადააფურთხა.

აქში ბრაზით აკანკალდა.

— მე აქში მქვია, დაიმახსოვრე! — დაუღრიალა მან. — თუ მოვინდომე, ტყავს გაგაძრობ!

— თვითონ მიფრთხილდი! ვინ ხარ, აგრე რომ მემუქრები?

და რაც ძალი და ღონე ჰქონდა შეჰყვირა:

— შენს ბატონზე უფრო ამაღლდი? შენ გაბედე დიდი ბატონისთვის მანიბანდჰი გეწოდებინა? იმდენად უტიფარი გახდი, რომ სახელი უწოდე მას? მე თვითონ მოვიტხოვ, რომ ტყავი გაგაძრონ! შენ დღედაღამ იპარავ სამზარეულოდან საჭმელ-სასმელს და კიდევ იმას ბედავ, რომ შენი ბატონი შეუტაცხო?

აქში გამზადდა. ერთიც ვნახოთ და ამ მონაქალს დაუჯერონ? მან ხელი სტაცა ჰეკას და კედელთან მიაგდო.

— წერას აუტანიხარ... ახლავე მოგვლავ! თვითონ მეტმასნებოდი და ახლა გინდა დამლუპო? აგრე ადვილი როდია ჩემთან ანგარიშის გასწორება! დაიმახსოვრე: მე აქში არ ვიყო, თუ ბოლო არ მოვეულო შენს ხრიკებს... მე გაგსრეს შენ...

— მე გაგსრეს შენ! — გაისმა მრისხანე ხმა. ძლიერი შავი ხელი ყელში სწვდა აქშის და მალლა აიტაცა. აქში უშწეოდ აფართხალდა ჰაერში. ჰეკამ სიხარულით შესძახა:

— აპაპ!!

ზანგმა თავისკენ მოაბრუნა აქში და გაიცინა. მის თვალებში სიმზავე ბობოქრობდა. აქში შიშისგან ცახცახებდა სხეული ჩერად ქცეოდა. მან ძლივძლივობით ამოიხრიალა:

— დამინდე! მშობელი მამასავით ვიქნები შენთვის...

მაგრამ აპაპმა მხიარულად გადაიხარხარა. მან ჯერ ჰაერში შეაჯანჯლარა აქში, მერე კი მიწაზე დაანარცხა. აქშის ველური ყვირილი აღმოხდა. თავი გაეპო და სისხლმა შადრევანივით ამოხეთქა; რამდენიმე წამს იკრუნჩხებოდა. ის მოკვდა გველივით, რომელსაც კულში სწვდებინ და თავით მიწაზე დასცხებენ, — იგი წელში გაწყვეტილი სულს ლაფავს და ტანზე შელოღებულ ჭიანჭველასაც კი ვერ მოიშორებს.

— ეგ რა ჰქენი, აპაპ! — შეძრწუნდა ჰეკა. — ჩაძლდა...

აპაპმა ხმამაღალი სიცილით უპასუხა. უსაზღვრო იყო მისი სიხარული.

მანიბანდჰთან მონა შევიდა.

— დიდო ბატონო! — შესძახა მან; სირბილისაგან სულს ძლივს ითქვამდა.

— რა გინდა?

მანიბანდჰი გაჯავრდა, მოულოდნელად რომ შეუშალეს ხელი. მის წინ იჭდა დრავიდი მოცეკვავე.

— დიდო ბატონო! — კვლავ წარმოთქვა მონამ მთრთოლვარე ხმით.

— ჰო, რა მოხდა? თქვი! — გაბრაზდა მანიბანდჰი. — დაუჩემებია: „დიდო ბატონო, დიდო ბატონო“...

მონა შიშისაგან კანკალებდა.

— ჰოი, დიდო ბატონო! — კვლავ აღმოხდა მას.

— შენ ეი, მონავ! — დაიღრიალა განრისხებულმა მანიბანდჰმა. — როგორც ვატყობ, მაგ მხრებს ძალიან ემძიმებათ შენი თავი?!

მონა მიწაზე დაემხო. შიშით კინალამ სული გასძვრა. მანიბანდჰი გაკვირვებული შეჰყურებდა.

— რა იყო? რა მოხდა? — უფრო მშვიდად ჰკითხა მან.

— ბატონო! დამინდეთ! — ლულულულებდა მონა.

— თქვი, მონა, ნუ გეშინია! — ლაპარაკში ჩაერია ვენი. — რა ამბავი მოიტანე?

— ქალბატონო! მე ვნახე... აგერ ახლა...

— რა ნახე?

— ბატონო! სისხლი...

— სისხლი? — ჰკითხა ვენიმ. — რა სისხლი?

— მკვლელობა, ქალბატონო! მკვლელობა!

მანიბანდჰი წამოხტა.

— მკვლელობა? — მრისხანედ დაიქუხა მან. — ვინ მოჰკლეს? რომელმა მოჰკლა? ეჭვი, მონავ! ჩქარა მიპასუხე!

— ბატონო! ეზოში, სადაც მონები ცხოვრობენ, მოურავი აქშია წევს...

— აქშია?

— დაე, მოჰყვეს, ბატონო! — ჩაუბრუნდა ვენიმ. — შეეშინდა, სულელს.

— მოურავი აქშია მოჰკლეს, — ხელახლა წამოიწყო მონამ. — თავი აქვს გაჩეხილი, ეზო სისხლითაა მორწყული...

— მართალი სთქვი? — ჰკითხა მანიბანდჰმა.

— ბატონო, ჩემი ბრალი არ არის! — წაილულულა მონამ. —

მანიბანდჰმა ზიზლით მოარიდა პირი.

ვენი შეერთა. აქშია მოჰკლეს! მერედა სად! სასახლეში, სადაც არც ერთ შეიარაღებულ კაცს არ შეუძლია შესვლა. სასახლეში შესვლა-გამოსვლის ნება მხოლოდ მონებსა და მსახურთ აქვთ დართული, ყველგან მკველები დგანან!

— ვინ ჩაიდინა მკვლელობა? — ჰკითხა ვენიმ.

— მე არ ვიცი, მე არა ვარ დამნაშავე... ლულულულებდა მონა.

ვენიმ ფანჯარაში გაიხედა. აქიდან ჩანდა მოურავის გვამი.

„ყველას პირი შეუკრავს — მონებსაც და მსახურთაც! — გაიფიქრა მანიბანდჰმა. — არავინ არ მოისურვებს მკვლელის დასახელებას“. მან ბრძანა ეტლი მოერთმიათ.

ეტლს მკველთა რაზმი ამოუდგა, — ორასი ძლიერი შესანიშნავად



შეიარაღებული მეომარი ახლდა ხოლმე მანიბანდძს მგზავრობისას. მთელი ქალაქი მტრობდა მას!

— მეეტლევ! — შესძახა მანიბანდძმა. — ამენ-რას სასახლისაკენ გასწი!

მეეტლემ შოლტი მოიქნია. ეტლი გაქანდა.

გზად ჯარისკაცები ესალმებოდნენ თავის ბრძანებელს:

— დიდება მეფეს!

ყოველ მისალმებაზე ამაყად სწევდა თავს.

როცა მანიბანდძი სასახლეში შევიდა და საპატრო სტუმრ-ს.

სავარძელზე დაჯდა, ეგვიპტელმა მოკრძალებით უთხრა:

— ბრძანეთ, მეუფევ!

მანიბანდძი სასახლეში მომხდარ ამბავს მოუყვა. ამენ-რამ მოთმინებით მოისმინა ყოველი წვრილმანი.

— მერე? — შეეკითხა ბოლოს.

— თქვენთან მოვედი!

— კურთხეულ იყავ, მბრძანებელო! მკვლელი თუ იპოვეთ?

მანიბანდძმა სასოწარკვეთით გააქნია თავი. არ ეგონა, თუ მისი მონები გასცემდნენ დამნაშავეს. ახალი ექვეები ჩაებულა გულში.

ამენ-რა ჩუმად ფიქრობდა. სახეზე ვერ შეატყობდით, თუ რა იყო მისი ფიქრის საგანი. უცებ ეგვიპტელმა გაიცინა, თითქოს უნდოდა ეგრძნობინებინა, რომ ეს ყველაფერი უმნიშვნელო რამ იყო.

— ჩემო მბრძანებელო! მიიღეთ ჩემგან საჩუქარი. დღეს თქვენი მოხუცი...

— მრჩეველი და მარჯვენა ხელი! — შეუსწორა მანიბანდძმა.

— ...მოართმევს თავის მეუფეს პირველ საჩუქარს, რათა გაუფანტოს მწუხარე ფიქრი.

ამენ-რამ ხელი ხელს შემოჰკრა. მონაქალებმა შემოუყვანეს ღონიერი, გოლიათური აღნაგობის ზანგი და, ანიშნა თუ არა ამენ-რამ. მაშინვე თვალს მიეფარნენ.

შავი გოლიათი ისევ ისე იდგა.

— აი, თავისი ბატონის ჭეშმარიტად ერთგული მონა! იგი თქვენს საიმედო დასაყრდენი იქნება, ჩემო მბრძანებელო. მაგრამ ეს მონები მხოლოდ ამის... — მან მათრახი შემართა. — ...მხოლოდ ამის ღირსი არიან! აი, როგორი იარაღი შექმნა ხელისუფლებამ მარტორქის ტყვეისაგან! თუკი მარტორქის ტყავის გაქრა შეიძლება, მონისათვის ტყავის გაძრობა რატომ არ უნდა შეიძლებოდეს? მონავ!

— გისმენ, დიდო ბატონო! — მიუგო მონამ და თავიანი სცა.

— გასწი!

მონა წაეიდა.

— ხელმწიფევ! რაო, ახლა მონაქალზე მიდგა ჯერი? — ამენ-რამ გაიცინა. დამცინავი ღიმილის დროს ქვედა ტუჩი წინ წამოეწია, გეგონება საზიზღარი რამ დაინახაო. — ხელმწიფევ! თქვენი ლაშქარი უძლეველია, რადგან მას მართავს ძლევაშოსილი მეუფის კურბთეული სელი! გამომყევით ხელმწიფევ!

მანიბანდჰი წამოდგა.

მაღალ კედელზე, რომელიც ამენ-რას სასახლეს ერტყა. უზარმაზარი დოლი აბუბუნდა. მან ყურისწამლები ხმაურით შესძრა მთელი ქალაქი და ხალხიც შეაკრთო. ჯარისკაცები ამ ბუბუნს მეომრული ყინით უპასუხებდნენ, მოქალაქენი კი მრისხანედ გაჰყვიროდნენ:

— ჩვენ დავგლეჯთ ამ წყეულ დოლს! სიკვდილი მანიბანდჰს!

მთელ ქალაქში გაისმოდა შეძახილები: „დასცხეთ მოძალადეებსა და ჯალათებს! გაათრიეთ აქედან!“ მაგრამ დოლი კვლავ ძლევის ხმით ბუბუნებდა და ხალხს შიშს ჰგვრიდა.

ცუდად შეიარაღებული მცხოვრებნი ჯარისკაცებს ვერ უძლებდნენ და უკან იხევდნენ. ქუჩებსა და ბაზრებში სიცოცხლე ჩაკცდა. დუქანს არავინ აღებდა. ზოგიერთმა უცხოელმა ვაჭარმა დააპირა დახლებზე დაეღაგებინა თავისი საქონელი, მაგრამ მცველებმა გაძარცვის შიშით დაჭრობა შეაწყვეტინეს. მოქალაქენი მშიერი მგლებივით ესხმოდნენ თავს ჯარისკაცებს და ცდილობდნენ იარაღი წაერთმიათ. ზოგჯერ ცდა ამოოდ არ ჩაუვლიდათ ხოლმე. მაგრამ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას? განის უხუცესი არსად ჩანდა. ათასობით ადამიანი ეძებდა მას. აბა საიდან გაიგებდნენ, რომ მოხუცი მშიერ-მწყურვალე იტანჯებოდა ამენ-რას სასახლეში და რომ ეს თვით დიდებულ მანიბანდჰსაც კი არ გაუვლია გულში?!

რა მოელის ღიდ ქალაქს? ეს კითხვა ეკერა ყველას პირზე. დედები აღერსით შეჰყურებდნენ თავიანთ შეილებს, თვალებში შიშისა და ეჭვის ცრემლი ედგათ. ბერიკაცები დადარდიანებულიყვნენ. ყველა, ერც სახლიდან გამოდიოდა, საურთხეში იგდებდა თავს.

პატარა სახლში პოეტის და ჩანდრა იატაკზე ისხდნენ და ჰეკას უსმენდნენ. აპაპი მათ გვერდით იჯდა. როცა ჰეკა აქშაის მოკვლის ამბავს მოუყვა, ყველას გული აუკანკალდა. ჰეკამ გულზე მიადო თავი ნილუფარს და მწარედ ატირდა.

— სულელო! — უთხრა ნილუფარმა. — რა გატირებს?

— მეშინია, ნილუფარ! — ცრემლნარევი ხმით ჩურჩულებდა ჰეკა.

— რაც არ უნდა იყოს, ტირილით მაინც ვერ უშველი საქმეს. მაშ  
შენ ამბობ, რომ აპაპმა ჰაერში აიტაცა და მიწაზე დაანარცხა?

ნილუფარს გაეცინა. აპაპმა დასტურის ნიშნად დაუქნია თავი. ჩანდ-  
რა ხელით შეეხო აპაპის კუნთმაგარ მკლავებს, — ლითონივით მაჯარი  
იყო.

— უჰ! თქვა ჩანდრამ. ყველას გაეცინა.

ნილუფარი წამოდგა.

— მე საქმელს მოვამხადებ.

— რისგან? — ნაღვლიანად ჰკითხა ვილიბჰითურმა.

— რა ვქნათ? — ნილუფარი ისევ დაჯდა.

— ბაზარი დაკეტილია, — მოაგონა ჩანდრამ.

— ბრინჯი რამდენი გვაქვს? — შეეკითხა პოეტი.

ნილუფარმა ერთადერთი მუტა ბრინჯი აჩვენა.

— ეს ყველას გვეყოფა.

— მერე რაღა ვქნათ?

არავის არ უპასუხია.

— რატომ ვართ ასე უმწეონი? — შესძახა სასოწარკვეთილმა პო-  
ეტმა.

ნილუფარმა შეხედა.

— იმიტომ რომ ღარიბები ვართ და იძულებული ვართ ვიმალე-  
ბოდეთ.

ნილუფარი ბრინჯის მომზადებას წეუღვა. ჰეკა და ჩანდრა ეხმარე-  
ბოდნენ. პოეტი წამოწვა.

— შენც დაწევი, — უთხრა მან აპაპს. — ალბათ დააღალე?

— არა. — აპაპმა გაიცინა. — თქვენ თვითონ დაისვენეთ.

აპაპის სიტყვებმა გული აუჩუყა პოეტს. რა დაღლილი თვალები  
აქვს ამ ზანგს და ერთხელაც არ დაუჩივლია რამეზე... მაგრამ თვითონ?  
თვითონ რატომ წევს ასე მშვიდად ამ არეულ დროს?

— ახლა კი ალბათ უკვე ყველაფერი ეცოდინება მანიბანდჰს, —  
ჩაილაპარაკა ვილიბჰითურმა.

— ბატონს? — ჩაეკითხა აპაპი.

— იგი ბატონი როდია შენი, სულელო. ბატონი კი არა, მოძალა-  
დე და მტარგალია. შენ იმას ველური უნდა დაუძახო, ჯალათი...

პოეტი გაოცდა, როცა პასუხად გაიგონა:

— ჯალათი...

— ნილუფარ! გესმის? — სიხარულით წამოიძახა პოეტმა.

ნილუფარმა მღელვარებისაგან ცრემლები ვერ შეიკავა.

...და უცებ კვლავ შეზანზარდა მიწა. ერთხანს ყველამ დაივიწყა მტრობა. შეშინებული მოქალაქენი და ჯარისკაცები აქეთ-იქით გაიქცნენ. თუ აქამდე სიკვდილი დამარცხებულთ ემუქრებოდა, ახლა აღსასრული ყველას კარს მოადგა. ადამიანები უძლურად გრძნობდნენ თავს მრისხანე სტიქიონის წინაშე და თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ. ხოლო გრუხუნრი, რომელიც თვით მიწის წიაღიდან ამოდოდა, არ ცხრებოდა და, თითქოს უხილავ დაბრკოლებას წააწყდომ, ექოს სახით ბრუნდებოდა უკან.

შერყევისაგან ჩამოიქცა აპირაჯ ღმერთის ტაძრის წინ აღმართული ზღუდე. ამ დროს მანიბანდჰი ამენ-რას სასახლიდან ბრუნდებოდა.

— ჰოი, დიდო აპირაჯ! — აღმოხდა მას. — ნუთუ კიდევ გტანჯავს შიმშილი?

ეტლი გაჩერდა.

მანიბანდჰმა გასძახა:

— ჯარისკაცებო! აპირაჯ ღმერთი განრისხებულია. ჩვენ უნდა შევევედროთ ქალღმერთ მაჰამაის, დააცხროს უმიზეზო რისხვა თავისი ვაჟისა.

— ჩვენ მზად ვართ, ბატონო! — შესძახეს ჯარისკაცებმა.

— ბეეტლევ! ქალღმერთ მაჰამაის ტაძრისკენ გასწი! — უბრძანა მანიბანდჰმა.

ეტლი დაიძრა, მას ფეხების ბრაგუნითა და იარაღის ჩხარუნით დაედევნენ მცველები. ჯარისკაცთა დანახვაზე ყველანი შიშით გარბოდნენ.

ქალაქში არეულობა სუფევდა. მრავალი მოქალაქე ცდილობდა გასცლოდა მოჰენჯო-დაროს. „განა შეიძლება ამ ჯოჯოხეთში დარჩენა? მალე აქ არც საწმელი იქნება, არც სასმელი. ჩრდილოეთიდან სიკვდილი ახლოვდება“, — ამბობდნენ ერთნი. სხვები წინასწარმეტყველებდნენ, მალე დიდი ღმერთი თავის საშინელ ცეკვას ჩამოუვლის და მთელი ქალაქი დაინგრევავს. დიდ ქალაქში კარგა ხანია აღარ არის სიმშვიდე და მყუდროება, შეიძლება სრულიად უმიზეზოდ მოკლან კაცი და ამისათვის მკვლელს არავინ დასჯისო!

მანიბანდჰმა მცველები მაჰამაის ტაძრის ბქესთან დააყენა, თვითონ კი შიგნით შევიდა. მოჰენჯო-დაროს სიამაყე — იოგთა დიდი მეფე — ახლაც კი დიდებულ ჩათქრებულ პოზაში იჯდა. მას თითქოს არც ესმოდა, როგორ ზანზარებდა მიწა.

მანიბანდჰი ფერხთ ემთხვია მას და შესძახა:

— ჰოი, იოგთა შორის უდიდებულესო! ცხოვრება თავის გეზს იცვლის. როცა ღვთაებრივ ფიქრს მიეცემი, შენი რიდით თვით სიკვდილიც უკან იხევს, ვედრების ნიშნად ხელდაკრეფილი, რამეთუ ამ დროს შენ ხარ სწორი ზეცით მოვლენილი დიდი ღმერთისა.

ჰოი, იოგთა შორის უდიდებულესო! შეაჩერე რა დრო, შენი ბრწყინვალე სიძლიერით შეზღუდე ღმერთების ძლევამოსილი სიბოლო! სამივე დრო გემორჩილება შენ! სულის ყოველგვარი ტანჯვა უწყი შენ...

მოვედი შენს ბჭესთან და სასოებით გემთხვევი ფერხთ, ჰოი, მხილველო დიდო უფლისა! მოვედი და გვევდრები შენ!

მე — მეფე — ვითარცა მათხოვარი, ქედს ვიხრი შენს ფერხთა წინაშე. ჰოი, დიდო იოგო! აწ თვით ინდის მბრძანებელიც მზად არის გამსახუროს შენ. განახვნე თვალნი შენნი, შუქის მფარველნი, მშვენიერნი, ვითარცა დილა, რომელშიც დამალულია სასწაულებრივი, ყოველი სიკეთის მომნიჭებელი ძალა ცხოვრებისა, — ადამიანის სიცოცხლე მხოლოდ მსუბუქი თრთოლვაა ამ ძალისა... ჰოი, მამაკაცო დიდო იოგო, უმწეოდ ვდგავარ შენ წინაშე...

იოგს თვალი არ გაუხელია. მანიბანდჰი გაშმაგდა. იგი ახლა ხელმწიფეა, და მისი სიტყვების უგულვებელყოფა არვის ძალუძს! მაგრამ იმავე წუთს დაუცხრა რისხვა. მიხვდა, რომ უსულო სხეულს ელაპარაკებოდა. რომ მოწყალებას ქვას სთხოვდა. ნაღველი მოჰგვარა იოგთა მეფის ლაჩრულმა განდგომილებამ.

მანიბანდჰი გულდამძიმებული გამოვიდა ჯარისკაცებთან. ისინი გაოცებული შეჰყურებდნენ დიდ ბატონს. ძლივძლივობით ავიდა მანიბანდჰი ეტლზე. თავში მოუსვენარი ფიქრები უტრიალებდა. ეტლი დაიძრა. მას მიჰყვნენ მცველნი. სიმშვიდე დაირღვა. იოგთა მეფის მღუპარე მოძრაობამ სევდით შეებურა მანიბანდჰის გული.

სასახლეში დიდებულმა ერთი ფიალა ღვინო შესვა და მხოლოდ მასთან იგრძნო, რა ძალიან დაიღალა. ამენ-რასაგან გამოგზავნილი მონაქალი ვენის ემსახურებოდა. მანიბანდჰს უნდოდა რომელიმე მსახურისთვის დაეძახა, მაგრამ გადაიფიქრა.

მან თავი ასწია და დაინახა წინ მდგარი ახალი მონა — უზარმაზარი ზანგი, რომელიც შავ ღემონს ჰგავდა. მონა გრძნეულისაგან გამოძახებული სულივით დაემორჩილა ბატონის ბრძანებას.

მანიბანდჰი რბილ სავარძელზე მიწვა. მაგრამ ძილი არ ეკარებოდა. დამძიმებულ თავში ფიქრები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ.

როცა დარწმუნდა, ბატონს უკვე სძინავსო, მონა ერთხანს ოთახში მიმოდოდა. მანიბანდჰს ესმოდა მისი ჩუმი ფეხის ხმა. მალე დაჰკრეს

გონგი. შუალამე იყო. მონამ ბატონის ფერხებით იატაკზე მოიკალათა და დაიძინა...

...მანიბანდჰი სარეცელზე წამოჯდა. ცა საავდრო ღრუბლებს დაეფარა, რომლებშიც დროდადრო ელვა გამოკრთებოდა ხოლმე. მისი მთრთოლვარე შუქი აცისკროვნებდა პალატის მაღალ თაღებს. გარედან ისმოდა, როგორ ეცემოდნენ წვიმის წვეთები. ჰაერი არ იძვროდა.

უცებ სიჩუმეში გაისმა გამარჯვების ყიჟინა. მანიბანდჰმა სიტყვები ვერ გაარჩია. სადღაც შურისგების დაუცხრომელი სურვილის ჩირაღდანი აენტო, მისი ალი მოსდებოდა ხალხს, სისხლს უფორიაქებდა.

ღამე იწურებოდა. ცა ფერმკრთალდებოდა. მანიბანდჰმა დაინახა, აღმოსავლეთით ცისკიდურს როგორ განერთხა ალისფერი ზოლი, თითქოს ცა სისხლმა შეღებო...

მონას გაეღვიძა, თავი წამოსწია, შეშფოთებით მიმოიხედა. მაგრან ჩქამიც არ არღვევდა სამეფო სასახლის მყუდროებას. ბატონი უმოძრაოდ იჯდა დიდებულ სარეცელზე; ეტყობოდა, ფიქრს მისცემოდა.

მას შემდეგ, რაც განის შენობას ხანძარი მოედო, დიდ ქალაქში ყველაფერი აირია. ახლა მძარცველებსა და კაცის მკვლელებს აღარაფრისა ეშინოდათ. უხეში ძალა და თავზედობა განაგებდა ქალაქს. დღენიადავ ხდებოდა უწყესობა, რაც აქამდე გაუგონარ ამბავ შეიძლებოდა სჩვენებოდა კაცს. მოქალაქენი ახლა მიხვდნენ, რომ ყველაფერში თვითონ მიუძღვოდნენ ბრალი. მანიბანდში ჩრდილოეთის ველურთაგან თავდაცვის საბაბით აგროვებდა ძალებს; ქალაქის მკვიდრთ გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ საკადრის პასუხს გასცემდნენ დრავიდებსაც. თუკი ისინი მოქენჯო-დაროს სიმდიდრის ხელყოფას გაბედავდნენ.

თუმცა განის შენობა ცეცხლმა შთანთქა, მაგრამ საბჭოს წევრები ჯერ კიდევ ქვეყნის მმართველებად თვლიდნენ თავს. „დაე, მანიბანდში იტრაბახოს თავისი ლაშქრის სიძლიერით, — ამბობდნენ ისინი, — განის დასაცავად ქალაქის ყველა მცხოვრები აღდგება. განა საბჭოს დიდ პატივს არ სცემენ მოქალაქენი?“

საბჭოს წევრები ვიშალაქშას უზარმაზარ სასახლეში შეიკრიბნენ. ისინი აღშფოთებას გამოთქვამდნენ იმ უწყესობის გამო, რასაც სწადიოდნენ მანიბანდის ჯარისკაცები. ბოლოს წამოდგა ვიშალაქშა. ჩამოვარდა სიჩუმე. ყველას გული მიეცა. იგი ქალაქის ყველაზე პატივცემული კაცია. ნუთუ არ შეუძლია საკადრისი პასუხი გასცეს თავჯახულ მანიბანდს?

— მოქენჯო-დაროს საბჭოს პატივცემულო წევრნო! — მიმართა ვიშალაქშამ დარბაზში მსხდომთ. — ამჟამად განა დაქუცმაცებულია, ქალაქში უსამართლობა სუფევს. ჯერ კიდევ გუშინ დიდი ქალაქი ყველაზე ცნობილი იყო მთელ სამყაროში, დღეს კი მისი მცხოვრებნი წამოაჩოქეს. გეკითხებით: ნუთუ ჩვენ მოწმენი უნდა შევიქნეთ ჩვენი სახელგანთქმული ძლიერების აღსასრულისა? ნუთუ უმწეოდ უნდა ვუცქიროთ იმას, რაც ირგვლივ ხდება, და წინააღმდეგობის გაწევა ვერ უნდა გავუბედლოთ მოძალადეს? ნუთუ ქედი უნდა მოვიხაროთ მის წინაშე? დიდი ქალაქის საბჭოს წევრნო! მცხოვრებთა სისხლი მოგიწოდებთ თქვენ, ქუჩებში დაღვრილი ყოველი წვეთი სისხლი შურისგებას ითხოვს. დიდ ქალაქს სწყურია სამაგიერო მიუზღოს მოძალადეებს...

ვიშალაქმას მრისხანე ხმა თანდათან უფრო ხმამაღლა გაისმოდა. მან ბულები ალაპყრო და განაგრძო:

გახსოვდეთ: ჩვენი ვალა დავიცვათ დიდი ქალაქის ყველა მცხოვრების თავისუფლება! უწესრიგობის მსხვერპლნი მოგვიწოდებენ ჩვენ! გამოიღვიძეთ, თქვენ შური უნდა იძიოთ! დიდი ქალაქის საბჭოს წევრო! ნუთუ იმისთვის გადმოგვცა ხალხმა სახელმწიფოს ყველა უფლება, რომ მხოლოდ კეთილდღეობის დროს განვაგოთ იგი, ხოლო უბედურების ყამს თავი მოვარიდოთ და ჩვენი სიმხდალე კეთილგონიერებად გამოვაცხადოთ?! თვით სამართლიანობა მოგიწოდებთ, პატივცემულო მოქალაქენო!

ყველანი ჩაფიქრდნენ. ბოლოს სიტყვა წარმოთქვა ყოვლად ღირსმა ჩანდრაჰასმა:

— ვიშალაქმას პირით თვით ჰეშმარიტება ლაპარაკობდა, საბჭოს პატივცემულო წევრო! მისი ყოველი სიტყვა სამართლიანია! ვთქვათ, მანიბანდჰი ჰკუაზე შეცდა! ჩვენ არ გვმართებს წინდაუხედავად მოვიქცეთ! სიბრძნე იმაში მდგომარეობს, რომ ნაჩქარევი გადაწყვეტილება არ მივიღოთ...

ყველანი გამოცოცხლდნენ. სავარძლიდან წამოდგა ტანდაბალი და ჩასუქებული კაცი. ეს იყო საბჭოს წევრი ვარაჰა. მან უხეში, ხრინწიანი ხმით დაიწყო:

— შესაძლოა, ყველაფერი, რაც ვიშალაქმამ თქვა, ჰეშმარიტებაა, მაგრამ არც ჩანდრაჰასის სიტყვებია მოკლებული სიმართლეს. რატომ დაიწყო ქალაქში უცებ უწესობა? როცა ყლორტი ამოიწვერება, ამას ზიანი არ მოაქვს მიწისთვის. საბჭოს პატივცემულო წევრო! დადგა სასტიკი და მძიმე დრო. ჩვენს ქალაქს ფართო ვაჭრობამ გაუთქვა სახელი, ახლა კი იგი შეიზღუდა. განა ჩვენ ძალგვიძს ვიარსებოთ, თუკი ძმათაშორისი ომი არ შევწყვეტეთ?! განა მოჰქნჯო-დარო შეინარჩუნებს თავის ძლიერებასა და სიღიადეს?

ყველანი აჩოჩქოლდნენ. კვლავ წამოდგა ვიშალაქმა:

— არა, საბჭოს პატივცემულო წევრო! ეს ძმათაშორისი ომი როდია! ესაა ომი სამართლიანობასა და უსამართლობას შორის! თუ არ ვებრძოლეთ, მონებად ვიქცევით, რადგან მანიბანდჰი ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად იბრძვის, იგი სიხარბეს დაუბრმავებია...

— მანიბანდჰი სიმდიდრეს არ ელტვის! — უხეშად შეაწყვეტინა ვარაჰამ. — მას რომ მოესურვებინა, მთელი დიდი ქალაქის ყიდვას შეძლებდა. და მაშინ იგი არ მოითხოვდა უფლებებს უცხოელი ვაჭრებისათვის. განა მისმა სავაჭრო პრივილეგიებმა არ იზარალეს?!



ყოველი მხრიდან მოისმოდა შეძახილები:

— უგუნურად იქცევა ეგ მანიბანდჰი! სიმდიდრის წყურვილმა და-  
აბრმავეა!

— ჭეშმარიტია, ჭეშმარიტი, მანიბანდჰი სიხარბითაა დაბრმავებუ-  
ლი! — შესძახა ჩანდრაჰასმა. — მაგრამ არც ვარაჰას სიტყვებია მოკ-  
ლებული სიმართლეს. განა მანიბანდჰს ჩვენი დამონება სურს? იქნებ  
იმიტომბაა გაჯავრებული, რომ ყური არ ვათხოვეთ მას და ნება არ და-  
ვრთეთ, შეეცვალა განის უხუცესი? კანონის ძალით, დიდებული უფლე-  
ზამოსილი იყო დაეკავებინა მისი წმიდა ადგილი. რატომ მიმართა  
აღადობას? სისხლის ღვრა ხომ უღირსი საქმეა, საბჭოს პატივცემუ-  
ლო წევრნო, აქ რაღაც საიდუმლო იმალება! ჩვენ წერილი უნდა მივ-  
წეროთ მანიბანდჰს! ეგებ მაშინ მაინც გაირკვეს ყველაფერი.

ვინა შეკრთა და წამოდგა.

— ეს თავისდამამცირებელი საქციელია განისათვის, ყოვლად ღირ-  
სო ჩანდრაჰას! ეს შეუძლებელია! არც მანიბანდჰი გვათხოვებს ყურს!

— ვითომ რატომ? — შეესიტყვა ვარაჰა. — რა უნდა იყოს ამის  
მიზეზი? დიდგვაროვანი მულამ გაუგებს მეორე დიდგვაროვანს, ქალ-  
ბატონო! დიდი ქალაქის ძლიერებაც სწორედ იმაში მღვლოარეობს,  
რომ ჩვენ ერთი ზრახვები გვაქვს! მანიბანდჰი ძლევა მოსილი აღამიანია  
და თავისი მოვალეობის ერთგულიც. განა შეიძლება თავქარიანი საქ-  
ციელი ჩაიდინოს?! აქამომდე ხომ ამაყობდა მისით მოქნეჯო-ღარო!

და მაშინ დაიქუხა ვიშვაჯითმა, რომელსაც თვით განის საბჭოშიც  
ჯი არ ეკრძალებოდა შესვლა.

— შენ ამაყობ იმ უკეთურით? წყეულ იყოს შენი მოდგმა! სული  
შევიძრწუნდა, როცა აქამდე დაფარული ცოდვა უცებ გამოაშქარავდა?  
რა გაქვს სატრაბახო? ის, რომ აღამიანებს ატყუებდი და ამცირებდი?  
შენი სკივრები თვალისმომჭრელი ოქროთი არის სავსე! იქნებ ეგ  
გეამაყობა?

მერედა, სისხლი? განა სისხლი არაფრად ღირს? შენთვის სისხლი  
წყალია! გამორჩენის გულისთვის აღამიანებს პირუტყვებად აქცევდი  
ხოლმე. ახლა კი, შენი საქებარი ქალაქი საკუთარ შეცოდებათა მსხვერ-  
პლი რომ გახდა, შეგეშინდა?

დიდი ქალაქის საბჭოს პატივცემულო წევრნო! ოკეანე გადალა-  
ხავს ნაპირებს, მთები მიწაში ჩაძვრებიან, მაგრამ მანიბანდჰი არასო-  
დეს არ მოიშლის თავის ანგარებიან ზრახვებს!

დიდი ქალაქის საბჭოს პატივცემულო წევრნო! თქვენ აზრად მო-

გივიდათ ჰკითხოთ მანიბანდქს, თუ რა სურს მას. კი მაგრამ, რა უნდა შეაერდენს პატარა ბარტყებისაგან? აბა ერთი მიეცით, ჯიქს ბალახი, რათა იგი ადამიანს არ დაეხსას თავს!

საბჭოს ყოვლად ღირსნო წევრონო! მტრისაგან მიღებულ წყალობას სიკვდილი სჯობს...

ვიშვაჯითს ღელვისაგან სული შეუგუბდა. ამით ისარგებლა ვარაჰამ და წარმოთქვა:

— ჰოი, დიდო ქალაქის ბრძენთა ბრძენნო! შესაძლოა, ყოვლად ღირსი ვიშვაჯითი მართალია, მაგრამ რომელ ჩვენგანს არ ესმის, რომ ახლა იგი აღელვებული და აღზნებულია? ურთიერთ მტრობა და შუღლი მცირე სახელმწიფოთა ხვედრია. ჩვენი ძლიერების ტალღებზე გემივით ირწყევა მრავალი ქვეყანა, ჩვენი ძალაუფლება როგორც ღუზა, ისე იკავებს მათ. საკმარისია ჯაჭვი გაწყდეს, რომ გემები ქარიშხალმა მიმოფანტოს. ვინ არის ეს ღუზა? დიდებული მანიბანდქი!

— ანგარების გულისთვის თქვენ მზად ხართ ყველაზე ჭუჭყიანი და საძაგელი საქციელი ჩაიდინოთ!—კვლავ შესძახა ვიშვაჯითმა.—თქვენ ძავს სჭრით განას! გატყობთ, სულში სინდის-ნამუსის ნატამალიც არ დაგრჩენიათ. თქვენ არად აგდებთ ადამიანურ ღირსებებს; თქვენი ერთადერთი მიზანი გამდიდრებაა!

ქალაქის მცხოვრებთ უნდათ შური იძიონ — მათი სისხლი დაიღვარა! კიკათელი ლტოლვილნიც გვედრებიან, მათი შებღალული პატიოსნებისათვის ვიძიოთ შური. ამ დროს კი უკეთური, ბოროტმოქმედი მანიბანდქი გულს გიგმირავთ! განის ლაჩარი უხუცესი დამალულია, თქვენ კი ისე ირხევით, ვითარცა ბალახის ღერო ქარისაგან.

სად არის თქვენი სიამაყე, სად არის თქვენი ღირსება? თქვენ არ აცხადებდით, არავის წინაშე არ მოვიხრით ქედსო?! მიპასუხეთ, საბჭოს უპატივცემულებსო წევრონო! ადამიანთა სისხლი მოგიწოდებთ თქვენს! გაგაჩნიათ თუ არა სიმამაცე, რომ ამ მოწოდებას გამოეხმაუროთ?..

ვიშალაქშა თავჩაღუნული იჯდა. მას ესმოდა, რომ მოხუცი მართალი იყო. ჩანდა, არ შეიძლება გამოჰპარვოდა ცუდი რამ; მისი ყოველი სიტყვა სიმართლის მაუწყებელი იყო და ღრმად იჭრებოდა სულში.

ვინამ ჰკითხა ვიშალაქშას:

— რა ხდება განის საბჭოში, ყოვლად ღირსო?

ვიშალაქშამ ისევ ჩაღუნა თავი. მაშინ ვინა წამოდგა და გავიდა, — მას აქ აღარაფერი ესაქმებოდა.

ყველამ უფრო თავისუფლად იგრძნო თავი. დაუყოვნებლივ დაწე-

რეს ქსოვილის ნაჭერზე მანიბანდპისათვის გასაგზავნი უსტარი, რომელსაც განის საბჭოს ბეჭედი დაასვეს. ეტლზე, რომელშიც თეთრი კამეჩი შეაბეს, ავიდა ანთებულჭირაღდნებიანი ორი ქაბუკი; მათ შუაში ჩაუდგათ თექვსმეტი წლის ქალიშვილი, და მას გადასცეს უსტარი. ეტლი ყოველგვარი დაცვის გარეშე გაუდგა გზას.

როცა ეტლი საბჭოს გასცდა, საბჭოს წევრებმა შვებით ამოისუნთქეს. მალე ეტლის ზანზალაკების ხმა მიწყდა...

უჩვეულო ეტლის დანახვაზე ქალაქის მკვიდრნი ერთმანეთს ეკითხებოდნენ: „რა არის ეს? ძვირფასჩუღიანი თეთრი კამეჩი? ზაეისა და თანხმობის შეთავაზების ნიშანი ხომ არ არის? ნუთუ მტარვალ მანიბანდპი ისე ძლიერია, რომ განა ძრწის მისი ძლიერი ხელის წინაშე? ნუთუ არის ქვეყნად ამაზე სამარცხვინო რაში?!“

ჩანდრაჰასის ქალიშვილი ეტლზე დგას უსტარით ხელში. მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში, როცა განას დალუპვა ელოდა, გზავნიდნენ ელჩად ქალს, რომელზედაც არვის შეეძლო იარაღის აღმართვა. ნუთუ დიდი ქალაქისათვის დადგა ეს სამძიმო ეამი?

მოქალაქენი ვიშალაქშას სახლს შემოერტყნენ. ბრბოს ხმაური რომ გაიგონა, ვიშალაქშა აივანზე გამოვიდა. სახე დანალელიანებოდა, და ხალხი მიხვდა, რას აელეღვებინა იგი.

ბრბოს ერთი ტანადი, ქალარაწვერიანი მოხუცი გამოეყო, ხელი ასწია და წარმოთქვა:

— ჩუმად! დამშვიდდით!

ბრბო მიყუჩდა.

— მართალია ყველაფერი ეს, ვიშალაქშა? — ხმამალა ჰკითხა მოხუცმა. — ჩვენ გენდეთ, საბჭოს წევრად აგირჩიეთ. ჩვენი ქალები და ბავშვები მისალმებისას მუდამ სადიდებელს გიგალობდნენ და ყვა-ვილთა ჩქერს გაყრიდნენ. შენი სახელის გაგონებაზე სახეს ღიმილი ვვიციკროვნებდა. მაგრამ ნუთუ დიდ ინდს აღარ გააჩნია ცხოველ-ყოფელი ტენი? ნუთუ მასში მხოლოდლა შხამი მოედინება?— მოხუცს ხმა აუკანკალდა.— განის საბჭომ თვითონ, თავისივე ხელით, გადასცა მახვილი მოძალადეს, თითქოს ეუბნება: „დახოცე ეს უბედურნი, ჩვენ მოგეხმარებით. ჩვენც სწორედ იმას ველით, რომ შენი მონები გავხედეთ, მანიბანდპ! ჩვენ გვწამს შენი. ამ ლარობ-ლატაკებთან რა გვესაქმება! ჩვენ თანახმა ვართ ვებრძოლოთ მათ... შენ კი არა, მათ. იმათ, ვისაც ჩვენი სჯეროდა, მტრებად ვთვლით!..“

— არა ხარ მართალი, მოხუცო! — მწუხარედ შესძახა ვიშალაქშამ და უიმედოდ ჩაიქნია ხელი.

მაგრამ ბერიკაცი განაგრძობდა:

— მოგვისმინე, ვიშალაქშა! მოგვისმინე! სანამ ერთი ჩვენგანი მარცხ იქნება ცოცხალი, ჩვენ არ მივიღებთ სამართალს, რომლის მიხედვითაც ჭიქი ირმების ჯოგის ბატონ-პატრონი უნდა გახდეს. მაგ გულგრილ დუმილს ჩვენი ცოლებსა და ბავშვების პატიოსნება შეეწირება...

ვიშალაქშამ კვლავ ჩაჰკიდა თავი.

ხალხი პირმოღუშული წავიდ-წამოვიდა. ვიშალაქშა სასოწარკვეთილი მიეყრდნო კედელს, რომ არ წაქცეულიყო...

საბჭოს დანარჩენი წევრები უზარმაზარ დარბაზში ისხდნენ და თავს ირუგეშებდნენ, რომ უსტარი დაამშვიდებდა მანიბანდჰს.

ბინდლებოდა. ვარაპა უკვე მეორედ გამოსულიყო სასახლიდან და შორეთს გასცქეროდა, მაგრამ ეტლი არ ჩანდა. საბჭოს წევრებს შიში შეეპარათ. თანახმა არიან თუ არა ზავზე? თუ მანიბანდჰმა უარყო ეს მამაპაპური ადათი?

ბინდი თანდათან ქუფრდებოდა. საბჭოს წევრები ისევ იცდიდნენ და დროდადრო იყურებოდნენ ფანჯარაში. ყოველ ფაჩუნზე კარისკენ მიტრიალდებოდნენ ხოლმე. მაგრამ მოციქულები არ ბრუნდებოდნენ.

...როცა თეთრკამეჩშებმული ეტლი მთავარ ქუჩაზე გავიდა, უცებ მას ჯარისკაცები შემოეხვივნენ. ერთ-ერთმა მათგანმა მეეტლეს სახე-ნი ჩასცხო მუშტი.

— ძაღლო! ვერ გაიგონე, რომ გიბრძანეთ გაჩერებულიყავ?

მეეტლე შიშისაგან აკანკალდა. ქალიშვილი გაუნძრევლად იდგა. ჭაბუკები აღლვებით ალაპარაკდნენ:

— ჩვენ განის მოციქულები ვართ! უსტარის გადაცემა გვაქვს ნაბრძანები. დიდებული მანიბანდჰი გვინდა. პასუხი უნდა გაგვატანოს.

— სად არის უსტარი? — იკითხა ერთ-ერთმა ჯარისკაცმა.

— აგერ! — დაბნეულად მიუგო ქალიშვილმა.

ჯარისკაცმა ხელიდან გამოჰგლიჯა უსტარი. ქალიშვილმა შეჰყვირა.

ჯარისკაცებს გაეცინათ. მერე ამენ-რას სასახლისკენ გააქანეს ეტლი.

ქალიშვილი ეხვეწებოდა:

— მომეცით წერილი!

— რა გაწუხებს? — დაცინვით უყვიროდნენ ჯარისკაცები. — ჩვენ საიმედო კაცს გადავცემთ შენს თავს. შენ უწერილოდაც კარგი ხარ!

ისევ გაისმა ხარხარი. ჭაბუკები გაფითრდნენ. ქალიშვილმა ტირილი დაიწყო.

— კი მაგრამ, დიდებული მანიბანდჰი ხომ აქ არ ცხოვრობს! — შენშა ერთ-ერთმა ჭაბუკმა.

— „დიდებული“ კი არა — „მეფე“. ასე უნდა თქვა, სულელო! — მიუგო ჭარისკაცმა. — თორემ იცოდე, გასწავლით, როგორ უნდა ზრდილობიანად მოქცევა!

ჭაბუკი გაჩუმდა.

ამენ-რამ შორიდანვე დაინახა ტყეები. ჭარისკაცებმა უამბეს, რაც მოხდა. ეგვიპტელი დიდხანს ათვალეირებდა ქალიშვილს თავისი ბებრული თვალებით.

მერე სასახლეში შევიდა. იქ მიჰგვარეს მოციქულნიც. მეეტლე შეკოჭეს და მიწაზე მიაგდეს.

ამენ-რა რამდენიმე ხანს დარბაზში მიმოდოდა. მოციქულები შეშინებულნი იდგნენ მის წინ, ისევე როგორც ირმები, ჭიქს რომ მოჰკრავენ თვალს. ამენ-რამ ანიშნა და ჭარისკაცები გავიდნენ.

— როგორც გავიგე, თქვენი თხოვნა... — დაიწყო ამენ-რამ.

— ბატონო, მამამ ეპისტოლე უწოდა ამ წერილს, — შეაწყვეტინა ჭაბუკმა.

— შენ ეი, ყმაწვილო, ცოტა არ იყოს მოურიდებელი ყოფილხარ! ნუთუ არ უსწავლებიათ შენთვის, როგორ უნდა ელაპარაკო უფროსებს? — შეუყვირა ამენ-რამ.

— ყოვლად ღირსო! გთხოვთ მომიტევეთ, მაგრამ...

— ბატონო! მოციქულები ვართ თუ ტყვეები? — შეეკითხა უცებ ქალიშვილი.

— ყოვლად ღირსო! თქვენმა ჭარისკაცებმა შეურაცხვეყვეს. ჩვენ არმოველოდით... — განაგრძო ჭაბუკმა, მაგრამ, ამენ-რას მკაცრად გამომზიარალ თვალებს რომ შეეფეთა, გაჩუმდა.

ეგვიპტელის გამოხედვა სასტიკი იყო და ულმობელი.

— ვინა ხართ თქვენ?

ჭაბუკს მაშინვე არ უპასუხია. მან ჯერ ქალიშვილს გადახედა, მერე თავის ძმას და მხოლოდ მაშინ მიუგო მითრთოლვარე ხმით:

— ჩვენი მამა განის საბჭოს წევრია...

ჭაბუკი შეშინებული იყო, და ამენ-რა გაახარა ამან. დღეს ეს ყრმები — და მარტო ესენი კი არა, მოწინააღმდეგე ბანაკის ყველა ადამიანი — მისი მტრები არიან.

— შენ ვინა ხარ, ქალიშვილო?

— მე დიდებული ჩანდრაპასის ერთადერთი ასული ვარ. ეპისტოლე მე გამომატანეს, — ასეთია დიდი ქალაქის მამაპაპური ადათი...

— „დიდი ქალაქი! მამაპაპური ადათი!“—შეაწყვეტინა ამენ-რამ.—  
დაივიწყე ეგ სიტყვები! მეფის ნახვა გსურს?

— რომელი მეფის?

— მანიბანდჷ მეფის! — საზეიმო კილოთი წარმოთქვა ამენ-რამ. ჰა-  
ბუკებმა თავი ჩალუნეს.

— ჩვენ დიდებულ მანიბანდჷთან ვართ წარმოგზავნილი და არა მე-  
ფესთან. ჩვენ არ ვიცნობთ მაგნაირ მეფეს.

— უმეცარო, მალე გაიგებთ ყველაფერს! — და ამენ-რამ კმაყო-  
ფილებით დაამთავრა: — დიდი ხარ შენ, ყოვლად ძლიერო ოზირის!

მას უხაროდა, რომ ყველაფერი თავისთავად გადაწყდა. ჩანდრაპასი  
ეკუთვნოდა ძველისძველსა და წარჩინებულ გვარს. რა იქნება, ქალი-  
შვილი მანიბანდჷსათვის დაიტოვოს? მართალია, ჯერ ახალგაზრდაა,  
მაგრამ განა იგი არ იამაყებს დედოფლის მაღალი მდგომარეობით?

— სად შეიკრიბა განის საბჭო?

— საბჭოს წევრის, ყოვლად ღირსი ვიშალაქშას სასახლეში, — უპა-  
სუხა ერთ-ერთმა ჰაბუკმა.

— მართალს ამბობ, ყმაწვილო?

— ჩემთვის ტყუილის თქმა არ უსწავლებიათ, ბატონო.

ამენ-რა მეზობელ ოთახში გავიდა. იგი მალე დაბრუნდა.

— ახლა ვნახავ, რა უსწავლებიათ თქვენთვის და რის სწავლება და-  
ვიწყებიათ...

— ბატონო, მე არაფერში არ მიმიძღვის ბრალი! — შესძახა ჰა-  
ბუკმა.

— მაშ ასე, რა გინდათ თქვენ?

— პასუხს ველით, ბატონო!

— პასუხს? რა პასუხს?

— ეპისტოლეს პასუხს, ბატონო!

— კარგი! ცოტა ხანს კიდევ მოიცადეთ.

მან მოიხმო მწერალი — ბებერი, გამხდარი ეგვიპტელი, რომელიც  
იატაკზე დაჯდა და საწერად მოემზადა.

ამენ-რამ რამდენიმე სიტყვა უთხრა ეგვიპტურად. მწერალმა ამენ-  
რას ნათქვამი მოჰქნჯო-ღაროს ენაზე თარგმნა და სწრაფად დაწერა  
ყველაფერი.

— სამეფო ბეჭედი მოიტანე! — უბრძანა ამენ-რამ მონას.

ამენ-რამ ბეჭედი დაასვა წერილს და წაიკითხა, თან კმაყოფილებით  
იქნევდა თავს; მერე წერილი დაგრაგნა და ერთ-ერთ ჰაბუკს გაუწოდა.

— შეგიძლიათ წახედით. უთხარიო, რომ ვეზირმა გადმოგცათ სა-  
კუთარი ხელით. გაიგეთ?

ჭაბუკმა წერილი გამოართვა და კარს მიაშურა. მეორე ისევ უცქე-  
როდა ეგვიპტელს. ბოლოს მანაც გადადგა ნაბიჯი კარისკენ.

— ნუთუ მამათქვენს არ უსწავლებია წასვლისას გამომშვიდობება?

— მოგვიტევეთ, ბატონო! — ერთხმად მიუგეს ჭაბუკებმა და თავა-  
ზიანად დაუტრეს თავი.

ქალიშვილიც გაემართა კარისაკენ, მაგრამ ორმა შავმა მონაქალმა  
გადაუღობა გზა.

— გამიშვიო! — შეჰყვირა ქალიშვილმა. — მე ძმებთან ერთად მო-  
ვედი.

იგი ატირდა.

— სულელო! — დამცინავად უთხრა ამენ-რამ. — ამ ქვეყანაზე არა-  
ვინ მოდის ვინმესთან ერთად და არც ამა ქვეყნიდან მიდის ვინმესთან  
ერთად. დაე, ესენი წავიდნენ. ყმაწვილებო, ჩანდრაპასს უთხარიო, რომ  
თავისი ქალიშვილის შიში ნუ ექნება!

ქალიშვილი შეეცადა ტყვეობიდან თავი დაეღწია. შავმა მონაქა-  
ლებმა ასწიეს და მაგრად შეაჭანჭლარეს. მათ ხელში ხანჯლებმა იელვა.

— ფრთხილად, გოგონავ... მხოლოდ მორჩილება გიხსნის შენ...

ჩანდრაპასის ქალიშვილი შიშისაგან აკანკალდა.

ამენ-რამ გაიცინა.

— რისი გეშინია? დაე, წავიდნენ. შენ ხომ გააკეთე შენი საქმე —  
ეპისტოლე გადმოგვეცი. სადარდებელი რა გაქვს? ღირსეულ ადამიან-  
ებში ხარ, შენს პატიოსნებას ვერავინ ხელყოფს! დღეს ამენ-რამ ისე-  
თი წყალობა გაიღო, რომ ქვეყნად რომელ ქალსაც გინდა ალაფრთოვა-  
ნებდა. და თუ ვარსკვლავები შენს სასიკეთოდ განლაგდნენ, მანიბანდ-  
პის ცოლი გახდები. შენ დედოფალს დაგიძახებენ, გესმის?

ქალიშვილმა შეჰყვირა და გონება დაკარგა. მონაქალებმა ხელი  
დასტაცეს და პალატში შეიყვანეს. ჭაბუკები შიშით აცეცებდნენ თვა-  
ლებს, ამენ-რამ ბრაზით გადახედა მათ და შეჰყვირა:

— ელჩებს არ შეშვენით დროის ტყუილად დაკარგვა. გასწით!

ჭაბუკებმა თავიანთ ეტლს მიაშურეს. ჯარისკაცებმა ხელ-ფეხი გა-  
უხსნეს მეეტლეს, და იგი სადავეს დასწვდა. მალე ეტლი ბნელში გაუ-  
ჩინარდა. სამივეს ენა ჩაუარდნოდათ შიშისაგან. არავის რომ არ შეუ-  
მჩნევია, ისე, მშვიდობით მიადწიეს ვიშალაქშას სასახლემდე.

ჭიშკართან ეტლს დახვდნენ მონები, რომლებიც მოუთმენლად  
გასცქეროდნენ შორეთს. საბჭოს წევრები, რომ გაიგეს, ელჩები დაბ-

რუნებულანო, ზეზე წამოხტენ. პირმოღუშული ვიშალაქშა გულხელ-  
დაკრეფილი იდგა ყველას უკან.

მონები მეეტლეს შემოეხვივნენ. თვალთაგან ცრემლი სცვიოდა მას;  
ტანზე თოკის კვალი აჩნდა, რომლითაც ჯარისკაცებმა შეეკოქეს. თე-  
თრი ალაში ჩამოეხსნათ ეტლიდან და მის ადგილას მანიბანდჰის დრო-  
შა ფრიალებდა.

ქაბუკები სასახლეში შევიდნენ. საბჭოს წევრებს გული შეუქანდათ.  
როცა გაფითრებული ელჩები დაინახეს. ჩამოვარდა სიჩუმე. ბოლოს  
ჩანდრაჰასმა გაბედა და ჰკითხა:

— აღასრულეთ დავალება, შვილებო?

ქაბუკები ისე იყვნენ თავზარდაცემული, რომ ენა ვერ მოაბრუ-  
ნეს. ისინი ნელა მივიდნენ მამასთან. ჩანდრაჰასმა ეპისტოლე გამოართ-  
ვა და ხმამაღლა წაიკითხა:

— „ნებითა ხელმწიფისათა მემამოხეებს ვუცხადებთ: ვინც კეთილ-  
გონიერებას გამოიჩენს და თავის ერთგულებას დაამტკიცებს, მას  
მიეტევება ჩადენილი დანაშაული. ჩვენი დიდი ქალაქის შესანარჩუ-  
ნებლად აუცილებელია ყველა ძალის გაერთიანება. ძმათაშორის ომს  
სიკეთე არ შეიძლება მოჰყვეს. მანიბანდჰ მეფე“.

ჩანდრაჰასს წერილი ხელიდან გაუვარდა. ლეღვისაგან აკანკალებუ-  
ლი ხმით იკითხა:

— ჩემი ქალიშვილი სადღაა?

ქაბუკები დუმდნენ.

— სად არის ჩემი ქალიშვილი?— გაიმეორა მოხუცმა. — სად არის  
ჩემი თვალის სინათლე? მე ხომ თავს ვეველებოდი მას! სად არის? მე  
ვერ ავიტან უმისობას...

— ჩვენი და ამენ-რამ დაიტოვა, — მიუგო ერთ-ერთმა ვაჟმა. —  
იგი დედოფალი გახდება...

— ამენ-რა! — წამოიძახა ჩანდრაჰასმა. — მაშ ჩემი შვილი იმ გა-  
დამთიელის ხელშია? ჰოი, ყოვლად ღირსო საბჭოს წევრო!

— გაჩუმდი! — დაიჭექა ვიშალაქშამ. — ჯობს შენი ცოლი გაგ-  
ზავნო!

ჩანდრაჰასი ატირდა.

— ამენ-რამ შეურაცხვეყო ჩვენ, — უამბობდნენ ქაბუკები. — ნება  
არ დაგვრთო მანიბანდჰთან შეხვედრისა...

— თქვენ არ გინახავთ მანიბანდჰი? — შესძახა ვარაჰამ. — მაშ  
თქვენ ამენ-რას სასახლიდან მოხვედით?

ჩამოვარდა სიჩუმე. უცებ ხარხარი გაისმა. ყველანი მიბრუნდნენ



და დაინახეს ვიშვაჯითი. ბერიკაცმა ნაბიჯი წარდგა და ჩანდრაჰასს!  
მიმართა:

— ყოვლად ღირსო! თქვენს ასულს საჩუქრო ტანტი ელის! ამ შემთხვევის გამო საჩუქრებს არ ჩამოარიგებთ?

ჩანდრაჰასი ზიზლით შესცქეროდა მას.

— ...იქნებ მეფესთან პაექრობა გადაწყვიტეთ? ნუ იქმთ მაგას, ყოვლად ღირსო. ხვალ თქვენ მისი სიმამრი გახდებით. შესაძლოა, ლაქარი ჩაგაბაროთ, მხედართმთავრობა გიბოძოთ და ჩრდილოელ ელურთა წინააღმდეგ საბრძოლველად გააგზავნოთ?

და კვლავ ავის მომასწავებელი ხარხარი გაისმა დარბაზში. საბჭოს წევრებმა აღშფოთებით შეაქციეს ზურგი შეწლილს. ჩანდრაჰასმა მავდრებელი ხმით უთხრა:

— შენ ვერაფერს მიხვდები, ვიშვაჯით! შენ ხომ ღარიბი ხარ!..

— მე ყველაფერი მესმის! — შეაწყვეტინა ვიშვაჯითმა. — შენ სიმდიდრე გაქვს და გინდა, რომ იგი გადაარჩინო, ასე არაა? ჰოდა, გადაარჩინე! მაგრამ გახსოვდეს, უნდა ეცადო, რომ მთელმა ქალაქმა დანიწყოს თავისი სიამაყე და ღირსება...

— აგრე ნუ ამბობ, ვიშვაჯით! — უთხრა ვიშალაქშამ.

მოხუცმა ისევ გადაიხარხარა.

— ვიშალაქშა! სულ ცოტა ხნის წინ თავი გქონდა ჩაქინდრული! ახლა კი, ვხედავ, ისევ ასწიე. — უცებ მათხოვარი შემოტრიალდა და შესძახა: — ვინ გავიდა დარბაზიდან?

ყველამ კარს შეხედა, მაგრამ მხოლოდ ლანდს მოჰკრეს თვალი.

— გგონი, ვარაჟა იყო... — თქვა ვიშალაქშამ.

— ვარაჟა? შერე დაიქით! იგი მანიბანდჰთან წავიდა!

მაგრამ გვიანდა იყო — გარედან უკვე მოისმა იარაღის ჩხარაჩხურად და ჯარისკაცთა მქუხარე შეძახილები: „დიდება მანიბანდჰ მეფეს“!

საბჭოს წევრები გაირინდნენ. დარბაზში მონა შემოვარდა.

— ბატონო! მანიბანდჰის ლაშქარი ასლოვდება!

— ახლა ხომ მიხვდით, რასაც გეუბნებოდით? — გადაიხარხარა ვიშვაჯითმა. — რად ლელავთ, ყოვლად ღირსო ვაჰარნო? თქვენ სათავეში ჩაგიდგებათ ბრძენი, ძლევამოსილი მეფე!..

და შეშლილი ქუჩაში გაეარდა.

— შორს არიან? — იკითხა ვიშალაქშამ.

— ალყა შემოგვარტყეს, ბატონო! — უპასუხა შეშინებულმა მონამ.

— დაკეტეთ კიშკარი!

მონა ბრძანების შესასრულებლად გაექანა.

— საბჭოს ყოვლად ღირსნო წევრონო! ძველად მოჰენჯო-დაროს ყოველი მკვიდრი მრისხანე მეომარი იყო. მაშ ფიცი დავდოთ განის წმიდა სახელით, რომ იარაღს არ დავყრიოთ მტრის წინაშე!

გარეთ ხმაური გაძლიერდა. კარზე დააბრაახუნეს. მონები, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, იკავებდნენ ხის ურდულეებს. ჩანდრაჰასი იატაკზე დაეცა და აქვითინდა. საბჭოს დანარჩენმა წევრებმა მახვილ-ამოწვდილებმა წარმოთქვეს ფიცი. ქალებმა ამაყად ასწიეს თავი.

ჯარისკაცებმა კარი შემომამტვრიეს და სასახლეში შემოიჭრნენ. ზოგიერთი შეშინებული მონა დაიმალა, მაგრამ დანარჩენები მამაცურად იცავდნენ თავს. საბრძოლო ყიყინით გადაეშვა ხელჩართულ ბრძოლაში მანბანდღის კიდევ ერთი რაზმი. ყველას, ვინც წინააღმდეგობას უწევდა, უღმობელი მახვილი ჩეხდა.

ვეებერთელა ჯარისკაცი დაახტა თავზე წაქცეულ მონაქალს. თავის ქალამ ვერ გაუძლო და შუაზე გაეპო. შიშისაგან შეჰყვიერეს ქალებმა. დიასახლისმა შესძახა:

— ლაჩრებო! არც კი გრცხვენიათ, ქალებზე რომ ხელს აღმართათ!

ჯარისკაცებმა გადაიხარხარეს.

— ეჰეი, ლამაზო! ნუ ღელავ! ცოტა კიდევ მოიცადე და შენც ეწევი შენსას.

ვიშალაქმას ცოლის მიერ ნატყორცნმა ხელშუბმა ელვისებურ გაუარა მუცელში ერთ-ერთ ჯარისკაცს. იგი ყვირილით გაიშხლართა ძირს.

სასახლის შიდა ოთახებიდან გამოცვივდნენ მონები. ისინი გაშმაგებული ღრიალით დააცხრნენ ჯარისკაცებს, მაგრამ ამ უკანასკნელებმა უკან დაახევინეს. უზარმაზარ დარბაზში ყველაფერი დაიმსხვრა და დაიმტვრა. ოდესღაც, მხიარული დღესასწაულების დროს, იქაურობას ედებოდა ღვინის სურნელება, ახლა კი ღვარად დიოდნა სისხლი.

ორი ჯარისკაცი მივარდა ქალს.

— ფრთხილად! ნაბიჯი არ გადმოდგა! — შესძახა ვიშალაქმას ცოლმა.

და კვლავ ელვა გამოკრთა თითქოს ჰაერში. შუბი მთელი ძალით ჩაესო გულში მოახლოებულ ჯარისკაცს. იგი ძირს დაეცა და აფხარკალდა. ქალები თავიანთი დახოცილი ქმრების შუბებს დასწვდნენ. ზოგ მათგანს მახვილიც ეპყრა ხელთ.

ვიშალაქმამ დასძახა:

— დიდება...

— ...უფალს! — ერთხმად აპყვენ სხვები. — სიკვდილი მოძალადეებს!

კვლავ ღვარად მოჩქეფდა სისხლი. ორივე მხარე საშინელ დანაკლისს განიცდიდა. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ სახეზე საბჭოს წევრებს, — უკვე დიდი ხანია არ მოეკიდათ ხელი იარაღისათვის და ამიტომაც ისე ოსტატურად ველარ ხმარობდნენ მას, როგორც ჭარისკაცები.

შიშისაგან მოკრუნჩხული ჩანდრაპასი განიერი სარეცლის ქვეშ შემძვრალიყო და თვალდახუჭული ლოცულობდა:

— ჰოი, დიდო ღმერთო! შეგვიწყალე ჩვენ!.. მე უკვე მოხუცი ვარ...

თვალები ცრემლით აევისო: მას მოაგონდა, რამდენი ოქრო ჰქონდა შენახული სკივრებში.

მაღე ჭარისკაცებს თავისიანები წამოეშველნენ. საბჭოს წევრები კი, კრილობისაგან ღონემიხდილნი, ზედიზედ ეცემოდნენ და სიკვდილის წინ გაიძახოდნენ:

— სიკვდილი მანიბანდჰს!

— დაე, ცოცხლობდეს წმიდა განა! — ეხმიანებოდნენ გადარჩენილნი.

ვიშალაქშა დაილუპა. საბჭოს წევრები შედრკნენ.

— სიკვდილი მანიბანდჰს! — შესძახა ვიშალაქშას ცოლმა.

— გაჩუმდი, ბებერო! — რომელიღაც ჭარისკაცმა მახვილი მოუქნია.

როცა ქალი დაეცა, ჭარისკაცებმა შეპყვირეს:

— დანარჩენები შეიპყარით!

— მოდი ერთი ლამაზები გავსინჯოთ!

გაიეღვეს დანებმა, და ქალები, საკუთარი მახვილით განგმირულნი, ერთიმეორეს მიყოლებით დაეცნენ ძირს. მათი უკანასკნელი სიტყვა იყო: „ცოცხლობდეს წმიდა განა!“

ჭარისკაცები წამით გახვედნენ განცვიფრებისაგან, მერე კვლავ გადაიხარხარეს და სასახლის ძარცვას შეუდგნენ. უწინარეს ყოვლისა მათ გაანადგურეს ნივთები, რომლის გაყოფა შეუძლებელი იყო. ისინი სულმოუთქმელად ცლიდნენ ღვინით სავსე ჭურჭლებს და იტაცებდნენ ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ, — ვიშალაქშას გვარი ოდიითგანვე ეწეოდა ვაჭრობას, და სასახლეში ბევრი განძეული იყო.

ჭარისკაცები მთავარ დარბაზში შეგროვდნენ.

— ხომ არ დაგვრჩა კიდევ რამე? — შესძახა ერთ-ერთმა მათგანმა. — აბა დაძებნეთ!

კვლავ გადააქოთეს დარბაზი. 'სოგიერთები იატაკზეც კი დაფოტხაზუნდნენ და კურკუტანებში იყურებოდნენ. ამ დროს ვილცამ დაიწასა ჩანდრაპასი.

— შეხედეთ! აი, რა დარჩენილა!

— სად არის? სტაცე ხელი! — მთვრალი ჯარისკაცები სარეცელთან მიცვივდნენ და თავშესაფრიდან გამოათრიეს ჩანდრაპასი.

— შეხეთ, რა ლამაზი ყმაწვილია!

შიგ სასახლეში გააჩადეს კოცონი. ავარდა კვამლი.

ჯარისკაცი სახეში სცემდა ჩანდრაპასს და თან ეუბნებოდა:

— აი, თურმე როგორი ყოფილხარ! სულელები გეგონეთ, ხომ? კოცონის ალი ჰერს სწვდებოდა.

— ნუ მცემთ! — ევედრებოდა ჩანდრაპასი. — მე ხელმწიფის სიმამრი გავხდები... ფერხთ გემთხვევით...

ჯარისკაცები სიცილით იხოცებოდნენ:

— ერთი ამას უყურეთ! თვით ხელმწიფის სიმამრი გვცემს თაყვანს. რამოდენა კაცია! მაგრამ რატომღაც კანკალებს! ალბათ სცივა! უნდა გავათბოთ!

და ჯარისკაცმა სილა გააწნა.

— დაიცა, — გაიცინა მეორემ და კოცონს ავეჯის ნამტვრევები შეუკეთა. — ახლავე გავათბოთ, როგორც წესი და რიგია. მეფის სიმამრისთვის არაფერს დავიშურებთ!

მან ხელი დაავლო ჩანდრაპასს და კოცონში გადაისროლა. ვაჰრის შესაბრალისი ყვირილი ჯარისკაცთა ხმამალალ ხარხარში ჩაიკარგა. მეომრები სიმღერ-სიმღერით გამოვიდნენ სასახლიდან. ხანძარი თანდათან მძლავრდებოდა. მალე სასახლე სულ მთლად დაიწვრა. ასე შთანთქა ახალი სამეფოს ალმა მოქენჯო-დაროს ხუროთმოძღვართა დიდებული ქმნილება...

ხანძრის ამბავი სწრაფად გავრცელდა ქალაქში. ახლა ყველამ იცოდა, რა პასუხი მოჰყვა ზავის შეთავაზებას. ქარი მალა ტყორცნიდა ალის მიძინვარე ენებს. ხანძარი მეზობელ შენობებზეც გადავიდა და ვინას. მეუღლის მიერ აგებულ ახალ სახლსაც მოედო. ცეცხლი წაეკიდა ჯერ კიდევ აულეებელ ბამბუკის ხარაჩოებს და თითქოს ცას მისწვდა. ქალაქის შორეული ადგილებიდან მოჩანდა მეწამული არილი, და ხალხს ეჩვენებოდა, რომ თვით ცა იწვოდა. გაუმაძღარი ალის ენები ათასთავიანი გველებივით იკლაკნებოდნენ და, ქარის მხრებზე წამომსხდარნი, ნაცარტუტად ქცევას უქადდნენ მიდამოს.

შეშინებული ხალხი გარბოდა. მათ უკან მისდევდათ თვით სიკვდილი და მასთან ერთად შიში და უსასოობა.

ჩაბნელებული ქუჩები. მაღლა აღმოდებული ცა, ირგვლივ ლამის წყვილიადი, ფეხქვეშ მძიმე, შეგუბებული სუნთქვა მიწისა. შაში... შიში...

ადამიანები ყვირიან, მერე ჩუმდებიან... ისევ ყვირილი, ისევ სიჩუმე... ირგვლივ კიდევ არის რაღაც და თან არაფერი აღარ არის...

დედას დაეკარგა ვაჟი...

მამას გადაავიწყდა ოჯახი...

ცოლ-ქმარი ერთმანეთს განშორდა...

თელავენ ბავშვებს...

სამართლიანობის მეუფება შეირყა... უკანონობა, თვითნებობა... ყველანი შიშნაკრავნი გარბიან...

მთვრალი ჯარისკაცები ბრბოს მისცივდნენ. ისინი შემოეხვივნენ რამდენიმე ქალს, ერთ-ერთ მათგანს ძუძუთა ბავშვი წაჰკლიჯეს და ცეცხლში ჩააგდეს. ქალაქის მკვიდრთ გამოქომაგება ვერ გაბედეს...

მოქნჯო-დაროს დალილი, განაწამები მცხოვრებნი შედგნენ და ირგვლივ მიმოიხედეს. სირბილი აღარ შეეძლოთ. ან კი სადამდე უნდა ერბინათ?

ბავშვის გვამით ხელში ავიდა ვიშვაჯითი შემალღებულ ადგილზე.

— ღიღება თქვენდა, მოქალაქენო! ღიღება თქვენს სიმამაცეს! ღიღება თქვენს ძლიერებას!

— არ გვინდა შენი ქადაგება! — შეუღრინა ვილაცამ.

ვიშვაჯითმა საზარლად გადაიხარხარა, მან ხელი მიიღო გატეხილ შუბლზე, რომლიდანაც სისხლი ჟონავდა, და შეჰყვირა:

— გამოჩერჩეტებული ვიშვაჯითი კი არ გელაპარაკებათ, უგუ-  
შურნო! ბრძენი ადამიანი მოგმართავთ.

ვიშვაჯითის სახით მულამ თავის მეგობარსა და მრჩეველს გრძნობდა ხალხი: მოხუცს ხომ ბევრი რამ გამოეცადა ცხოვრებაში! და სალოსის გარშემო თავმოყრა დაიწყეს მოქალაქეებმა. სასომიხდილ გულეებში კვლავ აინთო იმედი.

ბრბოში ღრავილები და მონებიც იყვნენ. მათ მიმქრალ თვალებშიც აკიაფდა სიცოცხლისეული სხივი. ვილიბჰითური მუჯღუგუნებით პიიკვლევდა გზას; მის უკან მიძვრებოდნენ ნილუფარი, ჩანდრა, ჰეკა და აბაბი.

— რატომ იღუპებით თქვენ? — ყვიროდა ვიშვაჯითი. — იმიტომ

რომ განა ანგარებამ მოიკვა! ყველაზე დიდი ცოდვა ისაა, რომ დამონებული მონობას შეურიგდეს. თვითმკვლევლობით ზიანს ვერ მიაყენებთ თქვენს მტერს... თუ მოსმენა არ გინდათ — შემიძლია გავჩუმდე. მაგრამ გახსოვდეთ, — მან ბრბოს თავზე აღმართა ბავშვის გვამი. — ხეალ თქვენც ეს დაგემართებათ! ამ ბავშვმა, სანამ მოკვდებოდა, აუტანელი ტანჯვა იგემა... ნუთუ თქვენ გინდათ გაიზიაროთ მისი ხვედრი?

— არა, არასოდეს! — დაიყვირა ვილაცამ.

— არასოდეს! — ერთხმად მიუგო ბრბომ, გეგონებოდათ, ქურუმის მიერ წარმოთქმულ წმიდა ლოცვის სიტყვებს იშეორებსო მაჰამაის ტაძარში.

თითქოს ზეციდან ისმოდა ძახილი:

— არასოდეს!

— მამ ფიცი დადეთ, დიდი ქალაქის მკვიდრნო, რომ არ დაემორჩილებით მტარვალს და თქვენს სიცოცხლესა და პატიოსნებას დაიცავთ! — განაგრძო ვიშვაჯითმა, — თქვენც დაიფიცეთ, მონებო და დრავიდებო! ხელი გაუწოდეთ ერთმანეთს!

მამაკაცებმა გამშაგებული ყვირილით უპასუხეს. ქალები ატირდნენ. ვილიბჰითურის თვალებში ნაპერწკლებმა გაიელვა. ჰეკა და აპაპი სიძულვილმა ააქანკალა.

— იყავით ამაყნი! — შესძახა ვიშვაჯითმა. — ვისაც ადამიანური ღირსების შენარჩუნება გწყურიათ, შური იძიეთ! მხოლოდ თქვენ თვითონ ძალგიძთ დაიცავთ თქვენი პატიოსნება. — მოხუცი თანდათან უფრო მრისხანედ ლაპარაკობდა. — ეს მტარვალი არ სცნობს ადამიანთა თანასწორობას, მას არ გააჩნია სამართლიანობა, სამეფო გვირგვინი მისთვის ადამიანის სიმართლეზე ძვირფასია... დიდი ქალაქის მკვიდრნო! გახსოვდეთ: ქვეყნად მანამ არ იქნება მშვიდობა, სანამ სამეფო გვირგვინს არ გათელავთ... იყავით ამაყნი, დიდი ქალაქის მკვიდრნო! მალა ასწიეთ თავი, და ღამის წყვდიადი განიბნევა!..

ვიშვაჯითის სიტყვები როგორც ურო გრდემლს, ისე ხვდებოდა მიზანს. მისი ხმა ქუხდა, თვალები კი შუქს აფრქვევდნენ. თითქოს უნდოდა სულში დაგროვებული მთელი სიმდიდრე სულ მთლად დაეხარჯა!

— ჩვენ ვერ გავიმარჯვებთ, თუ ცალ-ცალკე ვიქენით! ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ — ხუთი თითის შეკვრით კეთდება მუშტი... დიდი ქალაქის მკვიდრნო! განა ასეთ მომავალზე ვოცნებობდით? ნუთუ იმისათვის ვებრძოდით მთელი ღამის განმავლობაში ბნელს, რომ დილით მზე ჩვენს დანახვზე სირცხვილით გაწითლებულიყო?! მოდი ფიცი დაედოთ

რომ არასოდეს მოვიხრით ქედს მანიბანდჰის წინაშე! ფიცი დავდოთ, რომ მის ლაშქარს გავფანტავთ, მის ტახტს ფეხქვეშ გავთელავთ! გავკვეთთ ცოდვით სავსე წყვილიადის ფარდას! შურს ვიძიებთ ჩვენს ახლობელთა მიერ დაღვრილი ყოველი წვეთი სისხლისათვის! მტრის ყოველი ქრილობა გამარჯვების დღესასწაულთან მიგვაახლოებს!

მოხუც ვიშვაჭითს ხველება აუტყდა. ბრბოდან მოისმა ხმა:

— ჩვენ არასოდეს შევეურიგდებით მანიბანდჰს! არ ვიწამებთ მის საბაგელ სიცრუეს!..

ეს იყო ვილიბჰითური; იგი მკერდზე იკრავდა ბავშვის გვამს. ბრბო შეივრხა. ვილაყამ მახვილი მიაწოდა პოეტს.

— განა ჩვენ სუსტნი ვართ? — შესძახა ვილიბჰითურმა. — ვინ თქვა, რომ ჩვენ ძალა არა გვაქვს? მოძალადეებმა დაანგრიეს და ცეცხლს მისცეს ჩვენი სახლები. მოდი ფიცი დავდოთ, რომ მათივე სისხლით ჩავაქრობთ ხანძარს. მათი სისხლით ჩამოვბანთ ჩვენს ქალაქს ბილწ ცოდვებს...

პოეტის ხელში გაიღვა მახვილმა, — ხანძრის ათინათში აღისფრად მოჩანდა იგი, თითქოს გასისხლიანებულიაო. ვილიბჰითურმა მახვილი ზეცად აღაპყრო და განაგრძო:

— აი, რით სურთ დაგვამარცხონ! მაგრამ ჩვენ ამავე მახვილით გავანადგურებთ მოძალადეებს, რათა ამიერიდან ადამიანმა აღარასოდეს გამოადნოს ამის მსგავსი მკვლევლობის იარაღი... მე პოეტი ვარ. მე თქვენ გიმღერებთ, თქვენ კი სიმღერას მახვილთა ჩხარაჩხურით უპასუხებთ. ვინ დასწვა ჩვენი სიხარული ხანძართა ალით? იმან, ვისაც სურს დაარღვიოს ჩვენი ერთობა! ვისაც სურს თავისი სიხარბისა და გაუმაძღრობის ცეცხლში დაგვეფერფლოს, შიშის ზარი და უბედურება დაატეხოს თავს ჩვენს ოჯახებს! მას სიხარულს ჰგვრის ჩვენი ბავშვების ტირილი! მას სურს მეუღლეთა სისხლით შეღებოს ჩვენი ცოლების ფეხები. მას სურს ჩვენს ძვლებზე ააგოს თავისი სასახლეები. მაგრამ ჩვენ გავიმარჯვებთ! ჩვენ დავამარცხებთ მანიბანდჰსაც და ჩრდილოელ ველურებსაც! ჩვენ დავამარცხებთ ყოველგვარ მტერს...

მან თავის ზემოთ ასწია ბავშვის გვამი.

— აი, რა გვისახავს გეზს! ვინ იცის, იქნებ ეს ბავშვი მშენებელი ან მომღერალი გამოსულიყო და მისით ეამაყა დიდ ქალაქს! ნუთუ იმისათვის დაიბადა, რომ ერთხელ მთვრალ ჭარისკაცს, ოქროს გროვაზე წამომჭდარი საძაგელი ძაღლის ყეფას აყოლილს, ცეცხლში ჩაეგდო?! მანიბანდჰი უდანაშაულო მსხვერპლთა ძვლებზე აშენებს თავის სამეფოს. მაშ დანაგრეით მისი სამეფო, დიდი ქალაქის მკვიდრნო! დღეს

თვით მიწა მოგვიწოდებს ჩვენ, — იგი წითლადაა შეღებული თავის  
შვილთა სისხლით და შურისგებას ითხოვს!..

უცებ რომელიღაც ქალმა ბრბოს თავი დააღწია და ვილიბჰითურთან  
პივიდა.

— მომეცი ჩემი ბავშვი!

— ბავშვი? — ჩაეკითხა პოეტი. — იგი მკვდარია, ქალბატონო!

— ვიცი, — მტკიცედ უპასუხა ქალმა. თვალები ანთებოდა, თმა  
ვასწეწოდა, ტანისამოსი შემოფლეთოდა. — განა მე, დედამ, შეიძლება  
არ ვიცოდე ეს?! მომეცი ჩემი ბავშვი! მე მას დიდი ქალაქის მკვიდრთ  
მივართმევ ძღვნად!

ვილიბჰითურმა ბავშვის გვამი მისცა დედას.

— დიდი ქალაქის მკვიდრნო! — შესძახა ქალმა. — აჰა, გამომარ-  
თვით! ჩემი ქმარი ველურებმა მოჰკლეს, მაგრამ მის სანაცვლოდ გყავ-  
დეთ შისი ვაჟი! — ქალმა ბრბოში გადაისროლა ბავშვი და გა-  
დაინახარა. — ჩემი ბავშვი ცოცხალია! — გაშმაგებით წამოიძახა მან.

— ცოცხალია! — ერთხმად შეჰყვირა ხალხმა. — იგი არასოდეს არ  
მოკვდება. ჩვენს ყოველ ამოსუნთქვაში ცოცხლობს მისი შეწყვეტილი  
სულთქმა. მან თავისი სიკვდილით სიცოცხლე გვაჩუქა... ფიცსა ვდებთ,  
დედავ. რომ შენ მრავალი შვილის მშობელი იქნები, შენ კვლავ  
იზვიებ!..

წინ გამოვიდა ჩანდრა.

— დიდი ქალაქის მკვიდრნო! კიკათის ფერფლი მოგიწოდებთ თქვენ.  
ჩვენ შური უნდა ვიძიოთ მისი დაღუპვისათვის. კიკათელ ქალებს აქაც  
კი პირუტყვებით ეპყრობიან, შეურაცხყოფას აყენებენ... თქვენს წმიდა  
ქალაქში ქალები ერთ მუჭა ბრინჯად ყიდიან თავიანთ სხეულს!

ბრბო აღშფოთებით აბუზუნდა. ყველას სიძულვილით აენთო თვალე-  
ბი. მათ ჩანდრასკენ გაიწვდინეს ხელი და შესძახეს:

— ქალბატონო! მოგვიტევეთ! ჩვენ შურს ვიძიებთ მჩაგვრელებზე!  
სისხლი გვიღელავს, გვიბრძანე!

— მახვილები იშიშვლეთ! — შესძახა ვილიბჰითურმა. — ნუთუ  
დაგავიწყდათ, რომ ელვას თქვენი ხელიდანაც შეუძლია გამოკრთეს?  
იშიშვლეთ ხმლები და ფიცი დადეთ, რომ მანამ არ ჩააგებთ ქარქაშში,  
მანამ მტრის სისხლით არ მოიკლავენ წყურვილს!

ათასობით მახვილმა იელვა ჰაერში.

— ვფიცავთ!

— ვფიცავთ!

— მოქალაქენო! — შესძახა უცებ ჰეკამ. — მე მონაქალი ვარ. დიდი



ბრძენი არ გახლავარ, მაგრამ ვგრძნობ, რომ პირუტყვი არა ვარ. ჩემი გულიც და გონებაც ერთს გაიძახიან: „სიკვდილი მანიბანდჰს!“

— სიკვდილი მანიბანდჰს! — აჰყვა ვილიბპითური.

— სიკვდილი! — შეჰყვირა ხალხმა.

წყვედიანად იხე ჩანდა, თითქოს ბრბოს არც დასაწყისი ჰქონდა და არც დასასრული. იგი ირხეოდა, ვითარცა აბობოქრებული ოკეანე, და მისი ხმაური ნაპირზე მოვარდნილ ტალღათა ღრიალს ჰგავდა. შურისძიების წყურვილს დაეთრო ბრბო.

— სიკვდილი მანიბანდჰსის უცხოელ მსახურთ! — შესძახა ვიშვაჯითმა.

— სიკვდილი ამენ-რას! — ბანი მისცა ხალხმა. — ტყავი გავაძროთ უცხოელ მოძალადეებს!

მრავალმა მათგანმა ქვები წამოკრიფა. სხვები აღიჭურვენ ხელშეებით, კეტებით — ყველაფრით, რაც ხელში მოხვდათ.

შურისგების ალტაცებული შეძახილების გაგონებაზე ვიშვაჯითი აქვითინდა, თითქოს ამ წუთს დიდი ხნის ნალოდინევი ბედნიერება დაუბრუნდაო. ამან ყველა განაცვიფრა. მათხოვარმა მკერდზე მიიხუტა ვილიბპითური.

— განის უხუცეს ვიშვაჯითს... — შესძახა ვილაყამ.

— ...დიდება! — აბუბუნდა ხალხი.

ხმალამოწვდილი ხალხი ქუხდა:

— დიდება ვიშვაჯითს, განის უხუცესს!

— დიდი ქალაქის მკვიდრნო! — ალაპარაკდა ვიშვაჯითი, როცა შეძახილები მიწყდა. — თქვენ მხედართმთავარი გჭირდებათ!

მან თავისი სისხლით დაისველა თითი და ვილიბპითურს ბეჭედივით დაასო შუბლზე.

— აი, ეს იქნება თქვენი მხედართმთავარი. თუ ხვალამდე ვერ მიატანა, ახალი აირჩიეთ. თუ ისიც დაიღუპა — მესამე გაგიძღვებათ წინ!

ხალხმა ალტაცების შეძახილებით უპასუხა.

— აახმინეთ საბრძოლო ნიჟარები! — წამოიძახა ვილიბპითურმა. — დიდი ღმერთი ჩვენს მხარეზეა!

გაისმა ნიჟარის ხმა.

— თავისუფლებისათვის მებრძოლნო! — შესძახა ახალგაზრდა მხედართმთავარმა. — სისხლი ვალვრევიწოთ მტერს!

— სისხლი ვაღვრევეინოთ მტერს! — ბანი მისცა ხალხმა.

— სისხლი! ახლა კი მოიკლავს წყურვილს დიდი ქალღმერთი! ყველანი მზად იყვნენ ან გაემარჯვათ, ან დახოცილიყვნენ! თავის მჩაგვრელთა წინააღმდეგ აღდგა ხალხი.

— მოქალაქენო! — კვლავ მიმართა ვილიბჰითურმა ხალხს. — ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან ჩვენი გზა სიმართლის გზაა! მაშ კიდევ ერთხელ დავძახოთ...

— სიკვდილი მანიბანდჰს! — კვლავ დაიქუხა ხალხმა.

შეძახილებმა შეძრა ძველისძველი ქალაქი.

ჰეკა გაოცებული შესცქეროდა ნილუფარს. შეგობარს თვალთაგან ცრემლი სცვიოდა.

— რა დაგემართა? — ჰკითხა მან. — ასეთ დროს რა გატირებს? ნილუფარს არ უპასუხია.

— თქვი, რა დაგემართა? — შეწუხდა ჰეკა. — რამ აგალღევა? ნილუფარმა შეგობარის გულმკერდში ჩარგო თავი. ჰეკამ თავზე ხელი გადაუსვა და ჰკითხა:

— მეტყვი თუ არა, ნილუფარ?

— რა მოგველის, ჰეკა? — ენის ბორძიკით უთხრა ნილუფარმა. — ყველაფერი ეს საზარლად მეჩვენება...

— კი მაგრამ, შენ ხომ ბრძოლა გწყუროდა? ახლა კი სტირი?

— მე ახლაც მზადა ვარ საბრძოლველად. მაგრამ გული მიკანკალეხს.

— გეშინია?

— ჰო!

— ასე ძვირად გიღირს შენი სიცოცხლე?

— ჩემი სიცოცხლე არა, ჰეკა...

— მე ჰეშმარიტად მწამს მხედართმთავრისა...

— კი მაგრამ, ის ხომ უმწეოა და მფრთხალი!

ჰეკას ჰკუთხა არ დაუჭდა ნილუფარის ნათქვამი. რატომ ზედაც იგი სატრფოში მხოლოდ მის სისუსტეს? როგორ შეიძლება ქალმა მამაკაცის სუსტ მხარეებზე ილაპარაკოს და ალერსით დააჭილღოვოს? ვილიბპითური მხედართმთავარია! თვით განის უხუცესმა დაასვა სისხლით შუბლზე ნიშანი. მამასადამე, იგი მამაცი და უშიშარი მეომარია!

— შენ ამცირებ პოეტს, ნილუფარ, — ზიზლით უთხრა ჰეკამ. — ის, ვისზედაც შენ სტირი, შენი ცრემლებისაგან შეიძლება ბევრად უფრო დასუსტდეს და სულ უმნიშვნელო დაბრკოლების წინაშეც კი უკან დაიხიოს! გული მოიეც, ნილუფარ! შენ დიდი ბედნიერება გხვდა წილად: დღეს მთელმა ხალხმა აირჩია შენი ქმარი მხედართმთავრად. რაოდენ საამაყოა ეს შენთვის!

— ჰეკა!..

ნილუფარს ხმა უთრთოდა. მას ბევრი რამ უნდოდა ეთქვა, მაგრამ მოიძებნებოდა კი ქვეყნად სულიერი, რომელიც გაიგებდა მის გულის-ტკივილს?! აგერ ჰეკაც ზედმეტად თვის მის სიტყვებს, უადგილოდ მიიჩნევს მის ლელვას.

— მე არ მინდა დავლუპო ჩემი სიყვარული, ჰეკა. მე მინდა ვიხსნა იგი. მთელი ამ მრავალათასიანი ბრბოდან მაინცდამაინც ვილიბჰითური მიდის წინ, და შენ ეს სამართლიან საქმედ მიგაჩნია? გამარჯვების დაფნის გვირგვინს მუდამ ის მოიხვეჭს ზოლმე, ვინც უკანაა. გმირები ბრძოლაში იღუპებიან... მესმის, მან უნდა იომოს, თვითონაც მხარში ამოვუდგები ბრძოლის დროს, მაგრამ ერთილა მინდა: დაე რიგითი მეომარი იყოს! მხოლოდ შენ შეგიძლია დამიბრუნო ქმარი! შენა ხარ ერთადერთი, ვისაც შემიძლია ვთხოვო ეს. ოდესღაც გულთან ახლოს მივიტანე შენი ტანჯვა-წამება. ნუთუ დღეს შენ უარს მეტყვი ამაზე?

— რა გინდა? — მკაცრად ჰკითხა ჰეკამ.

— როგორმე მოახერხე, რომ მხედართმთავრად სხვა აირჩიონ! პოეტი არ ელტვის დიდებას...

— მე ახლა უნდა მძულდე, ნილუფარი! — ბრაზით უთხრა ჰეკამ. — შენ ლაფიდან ამომიყვანე და გამარჯვების გეზი დამისახე, ახლა კი, როცა ბრძოლაა საჭირო, ლაჩრულად იხევ უკან? რა უბადრუკი ყოფილხარ!..

— ჰეკა! — შეუძახა აპაპმა.

— შენ ვერ ხვდები, რომ იგი გულს გაუტეხს პოეტს, — მიუბრაუნდა ჰეკა აპაპს. — სისხლიო, რომ გაიგონა, შიშისაგან აცახცახდა. შეეშინდა...

შეეშინდა!

ნილუფარს ყურში უწიოდა: შეეშინდა!

თითქოს მთელი ქვეყანა გაიძახოდა: შეეშინდა!!!

ნილუფარმა კინაღამ დაიკვნესა, მაგრამ თავი შეიკავა და მკაცრად ჰკითხა:

— წამომყვები თუ არა?

— არა!

ნილუფარის გულში ქედმაღლობამ გაიღვიძა:

— მაშ არ წამოხვალ?

— რა გინდა, ბოლოს და ბოლოს? — გაბრაზდა ჰეკა.

— არაფერი. მარტო წავეალ!

— გირჩევნია თავი მოიკლა!..

ნილუფარმა გაიცინა.

— თავი მოვიკლა? და ამას შენ მირჩევ? წარმოიდგინე, მართალი ხარ, — მხოლოდ თავის მოკვლალა დარჩენია უბედურ ნილუფარს! ნუთუ მას აღარაფრის უნარი შესწევს? — თვალეში სიცივე ჩაუდგა. სივრცეს მიშტერებოდა და ამბობდა: — თავის მოკვლა! რა მშვენიერი გამოსავალია! რა საუცხოო საჩუქარს მიძღვნის ჩემი სიყვარული! მან შეშლილივით გადაიხარხარა.

— როგორ არ გრცხვენია, ჰეკა! — საყვედურით შესძახა აპაპმა. ჰეკამ მტკიცედ მიუგო:

— ის, ვინც თავის ბედნიერებასა თუ უბედურებაზე უფრო მეტს ფიქრობს, ვინემ სხვისაზე, უთუოდ დაიღუპება.

— ნილუფარ! — მიმართა აპაპმა ეგვიპტელს. — რატომ დუმხარ? ნილუფარს ქვითინი წასკდა.

— ახლა მე აღარავის ვჭირდები... ჰეკასაც კი არ სურს, რომ ჩემი დარდი გავუზიარო. მაგრამ მე შებრალება არ მესაჭიროება. თუ სიკვდილი მიწერია, მოვკვდები...

— ნუ გაბრაზდები ჰეკაზე! — უთხრა აპაპმა. — რაზედაც ის უარს იტყვის, მე გავაკეთებ, — ჩვენ ხომ გუშინდელი მეგობრები არა ვართ. განა ჩვენ წინათ ერთმანეთს ვუმალავდით სიხარულს თუ დარდს? მაშ რომელმა შხამმა მოწამლა ჩვენი მეგობრობა, თუკი გაწვდილი ხელი შეველას ვერ პოულობს?

— ეგ ჰეკას ჰკითხე!

მაგრამ ჰეკა წავიდა. ახლა, როცა არჩევანი უკვე მომხდარი იყო, მას უნდოდა წვეთად შემატებოდა ხალხის ზღვას, — მხოლოდ თავის მსგავსებთან ერთიანობაში აღწევს ადამიანი წარმატებას და ჭეშმარიტ სიდიადეს.

— მე ვენისთან წავალ... — თქვა ნილუფარმა. — ის არის მთელი ჩვენი უბედურების მიზეზი! ის რომ არა, ამდენი სისხლი არ დაიღვრებოდა.

— არ მესმის შენი სიტყვები! ნუთუ ერთ ქალს შეუძლია ამდენი ბოროტმოქმედების მიზეზი იყოს? — გაიკვირვა აპაპმა. — სიხარბისა და ანგარების ნაყოფია ყოველგვარი უბედურება.

— წამომყვები, აპაპ? — ნილუფარმა ამაყად ასწია თავი.

— აპაპი მხდალი არ არის. მაგრამ განა ეს შეაჩერებს ძალმომრეობას?

— გეშინია სიკვდილის? — გამომწვევად ჰკითხა ნილუფარმა.

— მე? — აპაპმა გაიცინა. — სიკვდილის? — ისევე გაიცინა. — წავიდეთ, ნილუფარ. დაე, ისე იყოს, როგორც შენ გსურს!

ეგვიპტელს გაუხარდა, თითქოს ამ სიტყვის თქმაზე გაიფანტა ღრუბელი, რომელიც მთის მწვერვალს ფარავდა, და მასზე კვლავ აელვარდა მზის სხივები.

— შენ ძალიან კეთილი ხარ, აპაპ!

ეგვიპტელი და ზანგი აჯანყებული ქალაქის ქუჩებში მიდიოდნენ. მოედანზე ნილუფარმა ვილაც ბავშვი მოიხმო.

— შეასრულებ, რასაც გთხოვ, ბიჭუნავ?

— შენ მიაწოდე მახვილი ჩვენს მხედართმთავარს?

— ჰო, მე ვიყავი. მიცანი?

ნილუფარმა ტანისამოსში გახვეული განძეულობა ამოიღო.

— რა უნდა გავაკეთო? — მოუთმენლად ჰკითხა ბიჭმა.

— მისმინე! მე მხედართმთავრის ცოლი ვარ...

— მე ყველაფერს გავაკეთებ, რასაც მიბრძანებთ, ქალბატონო...

— მისმინე-მეთქი... — სიტყვა შეაწყვეტინა ნილუფარმა. — ხედავ ამ ძვირფასეულობას? რაღაც არ უნდა დაგიჯდეს, მხედართმთავარს უნდა ჩააბარო! თუ ჩემზე გკითხოს რამე, უთხარი, მანიბანდჰის სასახლეში წავეიდა-თქო...

— თქვენ იქ მიდიხართ?

— ჰო. მისი ცოლის მოსაკლავად მივდივარ.

— მეც თქვენთან ერთად წამოვალ!

— არა, დარჩი. რაც გიბრძანეს, ის გააკეთე. შენ ჯერ პატარა ხარ. ბავშვმა შორჩილად დახარა თავი.

— ხომ არაფერი დაგავიწყდება?

— არა, ქალბატონო! სადაც საჭიროა, იქ მივიტან. შეგიძლიათ მენდოთ. მე ბედნიერებად მიმაჩნია ვემსახურო იმას, ვინც მზად არის სიცოცხლე გასწიროს თქვენთვის!

— სწორად ვერ სთქვი, ჩემო ბიჭუნავ... ის მხედართმთავარი კი არ არის სახელოვანი, რომელიც სიცოცხლეს სწირავს, არამედ ის, ვისაც შეუძლია სიცოცხლეს გამოასალმოს მტერი. მამ წახვალ?

— მივდივარ, ქალბატონო!

ნილუფარი მანამდე გასტკეპროდა მიმავალს, სანამ იგი ღამის წყვილადში არ მიიშალა. მერე აპაპს მიუბრუნდა:

— ეს სწორედ ის განძეულობაა, რომელიც ჰეკამ სასახლიდან წამოიღო.

ზანგი სადღაც სივრცეში იცქირებოდა.

— მე ვეუბნებოდი პოეტს, გაყიდე-მეთქი, მაგრამ მუდამ მიპასუხებდა: შეინახე! დადგება დღე, როცა ეგ განძეულობა ასჯერ უფრო

ძვირფასი იქნებაო. — ნილუფარი ერთხანს დუმდა. — და აი, ეს დღეც დადგა! — იგი კვლავ გაჩუმდა. მერე წყნარად თქვა: — ახლა მე ალვასრულე ჩემი ვალი. წავიდეთ, აპა!

ირველივ ბრძოლა იყო გაჩაღებული. ეგვიპტელმა და ზანგმა ფეხაკრევით გაიარეს შესახვევები. სასახლის კიშკართან მცველები იდგნენ.

— მოდი ვცდი, იქნებ ბალის საიდუმლო კიშკრით შევალწიო, — წახურჩულა ნილუფარმა. — მომყევი...

ისინი გალავანთან მიფორთხდნენ, თან ხეთა ჩრდილს აფარებდნენ თავს. საიდუმლო შესასვლელი გაიარეს, კედელს აეკრნენ და სმენად იქცნენ. მათ ყურამდე მკაფიოდ მოატანა ამენ-რას ხმამ:

— კურთხეულ იყავ, მეფევე! მეამბოხეებს მალე გავანადგურებთ. ამიერიდან შენი სამეფოს დიდებისა და სიმდიდრის კიდევ უფრო გაზრდაზე უნდა ვიფიქროთ.

— განა დაემხო. ვის ეკუთვნის მისი ხაზინა?

— შენს გარდა, არავის, მბრძანებლო, — უპასუხა ამენ-რამ, — თვით მეფის სიმდიდრე შეადგენს მის სამეფოს ძლიერების საფუძველს. დაე, დედოფლად ის ქალიშვილი გახდეს, ჩანდრაპასთა, ძველისძველი და წარჩინებული გვარისა. დიდი ქალაქის მკვიდრნი ქედს მოიხრიან შენ წინაშე, და ეს ქორწინება გამარჯვებას განამტკიცებს. მომიტევე, ბატონო, მაგრამ მე არც ნილუფარი მომდის ჭკუაში, არც ვენი, — ისინი არ იმსახურებენ დედოფლის მაღალ ღირსებას. განა სასაცილოდ არ აგვიგდებს ხალხი, როცა სამეფო ტახტზე დაინახვენ ქალს, რომელიც ქუჩებში ცეკვავდა და მოწყალებას ითხოვდა?! რას იფიქრებენ ეგვიპტის დიდგვაროვანი ადამიანები?

ჩამოვარდა სიჩუმე.

ნილუფარი და აპაი ფანჯარას მიუახლოვდნენ.

— გაიგონე? — ჩურჩულთ ჰკითხა ნილუფარმა.

— დიახ. ნუთუ ქალბატონი ფიქრობდა, რომ სხვა რამეს გაიგონებდა?

— ახლა ვიცი რა უნდა ვქნა!..

ნილუფარი შიდა პალატის კარში შეძვრა. მას უკან მიჰყვა აპაიცი. მბჟუტავ სანათთა შუქზე მან დაინახა დრავიდი მოცეკვავე ქალი — იგი ნაღვლიანი და ჩაფიქრებული იყო. აპათან ერთად სვეტს ამოფარებული ნილუფარი რამდენსამე ხანს ათვალთვარებდა მეტოქეს. მისი კანი ღამესავით შავია, მაგრამ სილამაზე თვალს სჭრის კაცს!

ნილუფარი სვეტს მოშორდა და ნაბიჯი წარდგა. მისი ლანდი კე-

დელზე გაცურდა. ვენიმ ვერაფერი შეამჩნია, მხოლოდ ფაჩუნმა გამოაფხიზლა.

— ვინ არის? — იკითხა შეშინებულმა.

პასუხი არ იყო.

— ვინ არის? — გაიმეორა ვენიმ და სავარძლიდან წამოდგა.

— მე ვარ, ჩემო ლამაზო!..

— ვილიბჰითურ!!

— ჩუ! არა, ვილიბჰითური არა ვარ.

ვენი თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა ბინდბუნდს. მის წინ იდგა მშვენიერი ქაბუკი. მისი ჩრდილი სანათთა შუქზე თრთოდა.

— ვინ ხარ? აქ რატომ მოხველ? შენ ისე ახალგაზრდა ხარ, — განარა ხნიდან შეიცან სიყვარული?

— ვერ მიცანი? შენი სიყვარულით ვიდაგვი, შენ კი, ულმობელო, ვერ სცნობ შენს სატროს? — ქაბუკმა დოლბანდი მოიძრო, ფუშფუშა თმა ჩამოეშალა მხრებზე. ნილუფარმა გაიღიმა. — აი, ასე ვიცვამდი, როცა სასახლეში მოვდიოდი შენს საცქერლად.

— ჩემს საცქერლად?

— დიახ, შენს საცქერლად! — ნილუფარმა ჩუმად გაიციხა. — ოღონდ ხმა არ ამოიღო. დიდებული ამენ-რა გვერდითაა. ისინი მომკლავენ. მაგრამ არც შენ დაგადგება კარგი დღე. განა საექვოდ არ ეჩვენებათ, ასეთ დროს რომ მოვედი შენთან?!

შეშინებულმა ვენიმ უკან დაიხია.

— გეშინია? — ჰკითხა ნილუფარმა.

— არა, ვფიქრობ, როგორ მოვიქცე...

— წინათ არაფერზე დაფიქრებულხარ! ახლა რას გარგებს ფიქრი? ეგვიპტელის დამცინავი კილო გულში მოხვდა ვენის. მან ოთახის შუაგულისაკენ დაიხია. ნილუფარი თვალბედითი აჩრდილივით მისდევდა.

— ნილუფარ! გახსოვდეს, რომ შენი მტერი ვარ!

— მე ეგ არ დამვიწყებია...

— და ასე უშიშრად შემოხველ ჩემთან? საოცარი ვინმე ხარ!

— ნილუფარი მუდამ აოცებდა ყველას! — დამცინავად წარმოთქვა ეგვიპტელმა.

— შენ სიკვდილის კლანჭებში ხარ ჩავარდნილი, — უთხრა ვენიმ. — ნუთუ სიკვდილიც გინდა გააოცო?

— მე ვიცი, რომ ვენის სხვისი დახმარების გარეშე არ შეუძლია ზიანი მომაცუნოს.



— იმ ღამეს შენ მარტო არ იყავი, — ბოროტად თქვა მოცეკვავემ. — ახლა კი მოგკლავ!

ნილუფარმა ზიზლით გაიცინა.

— შენ გგონია, პოეტი იყო ჩემთან? აგრე რომ ყოფილიყო, განა ცოცხალი გადარჩებოდი, სულელო?!

— ნილუფარ! დღეიდან ჩემი მონა იქნები!

— ჩემი ბატონი ხომ გაგიხდა მონად, მოცეკვავევ! განა ეს ცოტა შენთვის?

უცებ ვენიმ სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

— რაზე მოხვედი?

— ქალბატონს, მგონი, ეშინია, რომ ვინმემ არ დამინახოს. მე აქ წყალობის სათხოვნელად არ მოვსულვარ, არც იმისათვის, რომ შენს დაკრულზე ვიცეკვო. თუ გგონია, რომ რასაც მოისურვებ, იმას მიზამ, სტდები. მხოლოდ შენი ქმარი და ბატონი თუ გაბედავს, რომ დამემუქროს, რადგან მას მონები, მსახური და ლაშქარი ჰყავს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სამართლიანობა მის მხარეზეა. მე მოველ შენთან, რადგან შენი კეთილშობილებისა მჯერა; ეს რომ არა, შენსკენ არც კი გადმოვაფურთხებდი. †

— ხა-ხა! ნილუფარს ჩემი კეთილშობილებისა სჯერა! რა ბედნიერი ვარ! — მან კვლავ ბოროტად გაიცინა. — იქნებ იმიტომ მოხველ, რომ წყალობა მიიღო? გაქვს ოქრო?

— განა ყველაფერს ოქრო განსაზღვრავს, თანაც სხვისი?

— შენ გაბედე ასეთ საშიშ დროს მოსულიყავ! რისთვის მოხვედი? იქნებ გინდა რამე მიაშობო ან მიჩიო?

ვენიმ ღვინით სავსე ჭურჭელი აიღო, ოქროს ფიალა აავსო და ჰკითხა:

— რატომ დუმხარ?

მან ფიალა გაუწოდა ნილუფარს.

— დალევ?

— არა! — ბრაზით მოუქრა ნილუფარმა.

— კი მაგრამ, რატომ? ეგებ ფიქრობ, რომ მეორე ფიალა არა მაქვს? მაგაზე ნუ სწუხარ, ბევრი მაქვს. შეხე, აი, ეს აღმასებითაა მოოპვილი... იქნებ ძვირფასი თვლებით შემკული ფიალით სმას ხარ ჩვეული? მითხარი და იმ ფიალით მოგართმევ ღვინოს...

— არა! — გაიმეორა ნილუფარმა და ტუჩზე იკბინა.

— სულ არ სვამ? — გაუკვირდა ვენის. — ძალიან თავშეკავებული ხარ. ღვინოც ძვირია ახლა. ისეთს კი, აქ რომ გვაქვს, ვერსად ნახავ!

რას იზამ... აბა საიდან გეცოდინება, რომ ღვინო ცხოვრების ერთ-ერთი დიდი სიამოვნებაა?! — მან ერთი ყლუპი მოსვა. — დროება იცვლება: ჯერ ამაღლდები, მერე კი ეცემი... ალბათ ეს ძალიან არასასიამოვნოა, არა? — მან გაიღიმა. — გამოტყდი, ნილუფარ, იგონებ თუ არა ზოგჯერ იმ დღეებს, როცა ქალბატონი იყავი?

— ღიახ, მე ვიგონებ ხოლმე იმ დღეებს, როცა ქალბატონი ვიყავი, შენ კი ბრბოს თვალგასახარად ცეკვავდი და წყალობას ითხოვდი.

ერთ წამს მეტოქენი დუმდნენ, მათი ყურადღება მიიპყრო შორეულმა ხმაურმა, რომელიც უცებ შემოიჭრა სასახლის პალატში. იარაღის ჩხარუნს მებრძოლთა ყიჟინა არღვევდა ხანდახან.

— დაიწყო... — ღიმილით თქვა ნილუფარმა.

— ასევე მალე დამთავრდება, — მშვიდად მიუგო ვენიმ და თან ხელახლა შეავსო ფიალა. — სად არის შენი ახალი სატრფო?

ნილუფარი არ დაბნეულა.

— შენ რომ ატყუებდი, ისა? შენი ყოფილი სატრფო?

ვენიმ ფიალა ძირს დაუშვა და გაიცინა.

— შენ იმასთან ერთად იმალები?

— მე მოვიხმე იგი, მაგრამ მიპასუხა: „ახლა სიყვარულის დრო არ არის, ნილუფარ. სანამ ხალხი არ განთავისუფლდება, მანამდე ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ ჰპოვებს თავისუფლებას. ხოლო თუ თავისუფლება არ იქნა, განა ჩვენ შევძლებთ ერთმანეთის სიყვარულს? დამონებული ადამიანი არ არის თავის სურვილთა ბატონ-პატრონი!“

— არ არის! — წამოიძახა ვენიმ. — იგი ჭეშმარიტად უძლურია სულით!

— შენი სულის ძალა რალაში მდგომარეობს? იმაში ხომ არა, რომ პოეტი სიღარიბეში დააგდე, თვითონ კი მოჭენჯო-დაროს ყველაზე მდიდარსა და ანგარ ვაჭარს დაუდექი ხასად?

— ისეთივე ხასად, როგორც ჩემამდე შენ იყავი.

ქალებმა თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს. არც ერთ მათგანს არ უნდოდა სისუსტე გამოეჩინა და განრისხებულიყო, — სახელოვანია ის მეომარი, რომლის მოწინააღმდეგეც უბრძოლველად ითხოვს შველას.

— შენ გგონია, დიდებულს უყვარდი? — შეეკითხა ვენი.

— შენ კი გიყვარს მანიბანდჰი? — გაიცინა ნილუფარმა.

ვენიმ მესამედ შეავსო ფიალა.

— შენც ხომ გიყვარდა იგი? — გესლიანად უთხრა მოცეკვავემ.

— მე? არა!

- დიდებული ამტკიცებდა ამას!
- ეგ ვაჭარი მუდამ ატყუებს შენნაირ სულელ ქალებს...
- ფრთხილად! — იფეთქა ვენიმ.
- გაცხარდი? სად არის შენი გულგრილობა, ლამაზო?
- შენ არ გრცხვენია შენი წარსულის?

— მე მონა ვიყავი, ვენი. ახლაც მონა ვარ მხოლოდ. მანიბანდჰმა მიყიდა მე. ძვირფასეულობა დამკიდა და მითხრა: „ატარე ეს სამკაულები და სიტკბოება მომგვარე, მე კი შენ გაგათამაშებ!“ განა მე შემეძლო უარი მეთქვა? სიყვარულის ხე რომ თავისუფლად გაზრდილიყო, მაშინ შენ შეგეძლებოდა გემსჯელა მის ღირსებასა თუ მანკიერებაზე. მაგრამ მე თავიდანვე მონობის ბორკილებით ვიყავი შებოჭილი. — იგი ძალიან ახლოს მივიდა ვენისთან და უქმეხად უთხრა: — დაგარწმუნა, რომ ვულალატე? რა თქმა უნდა, იგი ძღვევამოსილი ადამიანია. რასაც იტყვის, იმასვე იმეორებს ხალხი, რომელიც მის ნასუფრალს აგროვებს. სხვაგვარად როგორ უნდა გაიტანონ თავი?! მე არ მინდოდა, რომ მთელი ჩემი ცხოვრება ამ გაუთავებელ სიცრუეში გამეტარებინა! მე ქმრად ავირჩიე ის, ვინც მხედართმთავარი გახდა და ბეჩავი ხალხის დასაცავად აღმართა მახვილი. განა შენ გაიგებ, ვენი, რაოდენ დიდნი არიან ადამიანები, რომლებიც სიმაართლისათვის იბრძვიან?! აღდგნენ მონები, აღდგნენ მოქალაქენი, აღდგნენ დრავიდები. და ახლა მათი წინამძღოლია დევნილი პოეტი, რომელმაც ოდესღაც მიატოვა ყველაფერი, რაც მისთვის ძვირფასი იყო, და გამოჰყვა ცვალებადი ხასიათის გულხარბ მოცეკვავე ქალს...

— ნილუფარ! — შეტყვირა ვენიმ. წარბები შეიკმუნხა. მან კვლავ ველარ შეიკავა თავი.

ნილუფარი ისევ ზეიმობდა.

— ოდესღაც, — განაგრძო ეგვიპტელმა, — მას სათუთად და მშვენიერად ესახებოდა შენი ცხოვრება. ერთხელ შენ მოტყუებით შეჰპირდი, რომ ამქვეყნად მისთვის ყველაფერს გააკეთებდი. ახლა კი მტრად გაუხდი!

უბედურო, დღეს შენს თვისტომთ შიმშილი ტანჯავთ! ქალები გულადად იბრძვიან მამაკაცებთან ერთად, ყოველგვარი წყენა დაეიწყებიათ. შენ კი ამ დროს მოძალადის დიდებულ სასახლეში მიირთმევ ღვინოს და წამითაც არ გაგონდება, რომ შენც ნაწილი ხარ იმ ხალხისა, შენც დრავიდი ხარ!

— დიას, დრავიდი ვარ! — გაიცინა ვენიმ. — დრავიდთა ტომს ეუკუთენი. შენ კი იმიტომ მოხვედი, რომ ეგ გამახსენო? ახლა დავპირ-

დი იმათ? მე მახსოვს ის დღე, როცა მმართველს სურდა ხასად წავეყვანე სასახლეში; ხოლო ქურუმნი მზად იყვნენ ეს ძალადობა ეკურთხებინათ. მაშინ არავინ გამომქომაგებია — არც დედა, არც მამა, არც ძმა, არც და; მოქალაქეებიდან ვერავინ გაბედა, რომ მტარვალს შეპასუხებოდა...

— შენც ხომ ვერ გაუბედე შეკამათება?

— იმ დღეს მე მივატოვე სამშობლო, მივატოვე მამისეული სახლი!.. დიახ, მე დრავიდი ვარ, მაგრამ ახლა ვერ მივუბრუნდები ჩემს ტომს. რას შევიძინე მე იქ, გარდა ვაჭირვებისა? მანიბანდჰს უფრო დიდი ქონება აქვს, ვინემ ნიშანტს. მის ხელშია ძალაუფლება, მაგრამ მას არასოდეს უთქვამს უარი ჩემი სურვილის შესრულებაზე. რატომ? შენ გეკითხები, დედაკაცო! იმიტომ... იმიტომ რომ მანიბანდჰი ლომია კაცთა შორის...

— მანიბანდჰი ძალღია! — შეაწყვეტინა ნილუფარმა.

— ფრთხილად! — შესძახა ვენიმ და ბოროტად შეხედა ეგვიპტელს. — მგონი, ჭკუაზე შეიშაღე! ენა დაიმოკლე და ბევრს ნუ ყბელობ, თორემ...

— თორემ? მონებს გინდა დაუძახო? ეგ არის შენი ღირსება?

— არა, მონებს არა. ისინი არ დამკვირდებიან იმისათვის, რომ შენ გაგისწორდე, უბადრუკო!

ნილუფარმა გაიკვირვა.

— რატომ, ვენი?

ვენიმ ზიზღით შეავლო თვალი ეგვიპტელს და უპასუხა:

— ერთხელ შენ უთხარი პოეტს: „ვენის ჭკვიანად მოაქვს თავი, მაგრამ მე არასდროს და არაფერში ჩამოეუფარდები მას. ნილუფარს ჯერ არასდროს მოუხრია ქელი ვინმეს წინაშე. თუ ამ პირუტყვ დედაკაცს ცოტა რამ მაინც გააჩნია ადამიანისა, მას სამუდამოდ დაამახსოვრდება ნილუფარი ისეთად, როგორც იყო იგი ამ ღამეს. არ არსებობს უარესი სასჯელი, ვინემ მტრის სულგრძელობით სარგებლობა...“

— მე მახსოვს ეგ სიტყვები, მაგრამ რას გარგებს მათი გამეორება?

— ...მერე შენ სთქვი: მაგრამ ადამიანობა კიდევ რომ გააჩნდეს, არასოდეს არ მოიქცეოდა ისე, როგორც მე მოვიქეცი, — იგი სულმდაბალი არსებაა. მე სიცოცხლეს ვაჩუქებ მას, დაე, სინდისმა ძიძგნოს თავისი ბასრი ბრჭყალებითო. — ვენიმ ავის მომასწავებლად გადაიხარხარა. — შენ ამბობდი: ადამიანი მხოლოდ მაშინ თავისუფლდება სინდისის ქენჯნისაგან, როცა ჩადენილი ცოდვისათვის სასჯელს მიაგებსო

ღმერთი. მაშ გასწი აქედან! არ მინდა დავღვარო შენი სისხლი. მე შენ გაგიშვებ! წადი და ხანჯლის მარჯვედ ხმარება ისწავლე! თუ უკანასკნელად შეიყვარე, ნუ ჩაახრჩობ მაგ სიყვარულს შენი პირველი სატრფოს სიძულვილში. მე მინდოდა შური მეძია შენზე. მაგრამ დღეს ვნახე, რა ღარიბი, საცოდავი და უბადრუკი ყოფილხარ. განა მე შემშვენიის როგორც სწორს, ისე გელაპარაკო?!

— შენ საკუთარი წარმოშობა დაგვიწყებია. ან ახლა ვინ ხარ? დიდებული ვაჭარი შენი მეუღლე და ბატონია. ოდესღაც ჩემი ბატონიც იყო. მაგრამ როცა მოესურვება, მაშინ გამოგადებს კარში...

— არა, სულელო დედაკაცო, მე დედოფალი ვარ!

ამის თქმაზე გული შეუქანდა ვენის.

— უგუნურო! — გაიცინა ნილუფარმა. — შენ მირაეს დასდევ უღაბნოში! იცი თუ არა, რა აქვს განზრახული ამენ-რას? ჩემი ყურით გავიგონე, როგორ მოუწონა დიდებულმა ჩანაფიქრი. დედოფალი გახდება ჩანდრაპასის ასული, იგი წარჩინებული გვარისაა. შენ უღირსად ჩატვალეს! და იცი, რატომ? შენ ქუჩა-ქუჩა ცეკვავდი და მოწყალე-ბას ითხოვდი!

ვენიმ შეჰყვირა და თავში ხელი იტაცა. ფიალა იატაკზე დავარდა. თავისი მოწინააღმდეგე ასე დაბნეული რომ დაინახა, ნილუფარი დაცხრა. მან ფიალა ასწია და თქვა:

— ქალბატონო! რას უგულბებლყოფ ოქროს, როცა თვითონ ოქროში გაცვალე თავი?

— მართალს ამბობ, ნილუფარ? — წყნარად ჰკითხა ვენიმ და უცებ იფეთქა და შეჰყვირა: — არა, მე არასოდეს არ დავიჭერებ მაგას! მანიბანდჰი მაგისტანა კაცი არ არის. შენ ყველაფერს იგონებ, დედაკაცო! შენ შეგიძლია ყოველგვარი სისაძაგლე ჩაიდინო...

— ქალბატონო! — შეაწყვეტინა ნილუფარმა. — შენ საზიზღარ სიტყვებს ვილიბჰითურის კეთილშობილურ ლაპარაკს ვადარებ. ასე გახსოვს იგი! უბედური პოეტი ახლაც შენზე ტირის... — მან ნალვლიანად გაიცინა. — მე კი ყველაფერი მახსოვს. ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანია შევიწინარჩუნო ღირსება: სიყვარულშიც და სიძულვილშიც. მე მანიბანდჰმა მიყიდა. პოეტმა კი სრული თავისუფლება მოგანიჭა, მონად არ გაუხდინხარ. მე მას იმ წუთიდან შევეთვისე, როცა მითხრა: „ნუ იქნები მონა, შენ თავისუფალი უნდა იყო“. შენი გულისთვის პოეტი ყველაფერს თმობდა. „ვეკნი! — გითხრა მან. — რაც გინდა, ისა ჰქენ!“ შენ კი მანიბანდჰს დაუწყე ფეხების ლოკვა, თითქოს ძალი ყოფილიყავ, რომელსაც გემრიაელი ლუკმა გადაუგდეს. პოეტი! იგი აისის სხი-

ვებზე უფრო წმიდაა. ხოლო მანიბანდპი მშვიერი მგელია, სისხლს მოწყურებული; იგი ვერასდროს შეძლებს გაიგოს სიდიადე ადამიანის გულისა. ბევრჯერ უთქვამს ჰეკას: ნილუფარ! არ დამივიწყო, როცა ქალბატონი გახდებო. და მე არ ვივიწყებდი მას, ძალაუფლების მოყვარული დემონი ვერ მწვდა ყელში. დღეს ჰეკა აჯანყებულთა წინა რიგებშია. იგი მონად აღარ გრძნობს თავს. ჩანდრა, რომელიც ოდესღაც მეფის ხელისუფლების შარავანდელი იყო მოსილი, ახლა კი მათხოვრად ქცეულა, დრავიდებს უდგას სათავეში. მთელ ქალაქში გაისმის მონების, დრავიდებისა და მოქალაქეების ყიჟინა. შენ კი? შენთვის ეს ადამიანები თითქოს უცხონი არიან. შენ ერთს შეგიძლია შეწყვიტო ბრძოლა, შეგიძლია მოჰკლა მანიბანდპი. და მაშინ აღარ დაიღვრება სისხლი...

— კი მაგრამ, ლაშქარი? — გაიცინა ვენიმ. — განა ჯარისკაცები მახვილს დაუშვებენ ძირს? მერედა, ყოვლად ღირსი ვარაჟა?

— ისინი თითქმის განიარაღებულნი არიან... იხსენი, იხსენი პოეტი, ქალო, — მთრთოლვარე ხმით ეუბნებოდა ნილუფარი. — შენ ხელშია მისი სიცოცხლე...

ვენი თანდათან დამშვიდდა და მიუგო:

— აი. თურმე რა გდომებია, აი, რატომ გადაგავიწყდა შიში! კმარა, გაჩუმდი!

— ჩვენ მონები ვართ, ვენი, — უთხრა ნილუფარმა. — მე შენ გელაპარაკები არა როგორც დედოფალს, არამედ როგორც მონაქალს, რომელიც სიცრუის ქსელშია გაბმული. მე შენი ძალაუფლების წინაშე კი არ ვიხრი ქედს, არამედ იმიტომ, რომ პოეტს ოდესღაც უყვარდი, გახსოვდეს, ჩვენ ყველანი მონები ვართ, ერთმანეთის მსგავსი მონები. ეგვიპტის ფარაონი მოძალადეა, კიკათის მმართველი მოძალადეა, მანიბანდპიც მოძალადეა, მაგრამ ჰეკა, ჩანდრა და ნილუფარი არასოდეს გახდებიან მოძალადენი. მე მჯერა შენი სულგრძელობისა. შენ არ დაგიძახია მონებისათვის, და მე ამან დამარწმუნა, რომ შენ ჯერ კიდევ შეგიძლია ხალხის მხარეზე იყო. წყალობა მოილე, ვენი! მე შენი და ვარ. დღეს შენს სინდისზეა დამოკიდებული ათასობით ხალხის სისხლისათვის შურისძიება...

ვენი ღუმდა.

— ...რით დამთავრდება ბრძოლა? შეიძლება პოეტი დიდი მხედართმთავარი გახდეს, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ დაიღუპოს! დღეს ნილუფარი ყველასაგან განდგომილია, რადგან პოეტი უყვარს. ვინც მის აქ ყოფნას გაიგებს, იფიქრებს, შეეშინდაო. მაგრამ ლაჩრად ნუ ჩამთ-

ვლი, ვენი! მე მოველ შენთან იმ იმედით, რომ შენს გულში ჯერ კიდევ არის ადამიანობა...

ვენიმ ეგვიპტელს შეხედა.

— ნილუფარ! შენ გაიმარჯვე... მაგრამ არ ვიცი რა ვქნა!.. მანიბან-დპი პატივცემული ჩანდრაჰასის ასულს შეირთავს... ვილიბპითურის გვერდით ნილუფარია... ახლა მე დრავიდიც კი აღარა ვარ! — ვენი წამოდგა და კვლავ გაავსო ფიალა. ერთი-ორი ყლუბი მოსვა და თქვა:— მაშ ვინა ვარ მე?.. — ფიალა გამოცალა. ბარბაცით მივიდა სავარძელთან და დაჯდა, მერე თვალმილულულმა გამოხედა ნილუფარს; — წადი ხელს ნუ მიშლი დავიძინო...

— ვენი!

მოცეკვავებმ გაიღიმა და ეგვიპტელს ანიშნა, რომ წასულიყო.

— არა, შენ მაინც მხეცზე უარესი ხარ, — აღშფოთდა ნილუფარი. — ღირსების ნასახიცი აღარა გაქვს. საკუთარი სულიც კი გაყიდე. მე წავალ, მაგრამ გახსოვდეს: ყველანი იტყვიან, რომ ნილუფარი მოწყალე იყო. იგი ცდილობდა ადამიანად ექცია თავისი მტრის ერთგული ძაღლი. ჯობდა ჩემი მოკვლა გებრძანებინა...

ვენიმ თვალები ასწია და წაილულულა:

— შენი ტანჯვა მალე დასრულდება, ნილუფარ... მე არ მინდა, რომ შენ იტანჯო... როცა შენ, დაუძღვრებული, კვლავ მოხვალ ჩემთან და ფერხთ შემთხვევი, მე სიცოცხლეს გაჩუქებ და მონად გაგიხდი...

ნილუფარს ზიზლით დაემანჯა სახე. მას მოუნდა მოეკლა ეს უბადრუკი არსება, მაგრამ რისხვა დაიოკა.

— შენ სიკვდილის პირას დგახარ და იცინი, ვენი! ამაყსა და ქედმაღალს, სიკვდილი არ ავცდებია...

— წადი, წადი... — ლულულეებდა ვენი. — ტყუილებრალოდ რად უნდა მოკვდე?.. შემინდვია... უთხარი შენს მეუღლეს, რომ მისი უძლური სულის მფარველად მიმაჩნისხარ და იმიტომ გაპატიე, — ის რომ არა, ნაკუწ-ნაკუწ ვაქცევდი შენს სხეულს და ძერებსა და ყორნებს მიუყურდი საძიძვანად... — იგი იღიმებოდა და თანდათან ეცლებოდა ძალ-ღონე. — მეძინება, ნილუფარ. ნუ მიშლი ძილს...

ვენი თავდავიწყებას მიეცა, თან რაღაცას ღიღინებდა...

ის იყო ნილუფარი ოთახიდან გამოძვრა, რომ მის თვალწინ იელვა მახვილმა. ნილუფარი უკუიქცა და შიშით შეჰყვირა:

— სულმდაბალო დიაცო! შენ არა სთქვი, აქ არავინ მოვაო? ეგ არის პატიება?

ნილუფარმა წყვილიადს მიაპყრო თვალი. როგორც საზარელი ქანდა-

ება, ისე იდგა მის წინ ამენ-რა. ამენ-რა!!! კაცი, რომლისაც ყველაზე უფრო ეშინოდა ამქვეყნად...

— თქვენა ხართ? — შიშით შეჰყვირა ქალმა.

— დიახ, მე ვარ! — ამენ-რა მივარდა ნილუფარს, ყელში სწვდა და იატაკისაკენ დახარა. ეგვიპტელი ქალის ხელში დანამ იელვა: რამდენჯერმე მოასწრო მოქნევა, მაგრამ ამენ-რას ღონიერ ხელთაგან დასხლეთა ვერ შეძლო. მან სასოწარკვეთით შეჰყვირა. მახვილი დაეშვა ურჩი მონაქალის კისერზე, და აი, ნილუფარის თავი მიწაზე გაგორდა. ამენ-რამ უსულო სხეულს ხელი გაუშვა. იგი მძიმედ დაეცა ძირს.

მაგრამ იმავ წუთს ორი მძლავრი ხელი შემოეჭდო ამენ-რას. ეგვიპტელი ყოველმხრივ ცდილობდა თავის დაღწევას, მაგრამ ღონიერ თითები სულ უფრო და უფრო მიიწევდნენ ყელისაკენ და ბოლოს გააკეთეს კიდევ თავისი საქმე: ამენ-რას ხელ-ფეხი მოუღუნდა, თვალები გადმოკარკლა, ენა გადმოუვარდა...

აპაპა გადაიხარხარა. როგორც იქნა მოიკლა შურისძიების წყურვილი. რომელიც მრავალი დღის განმავლობაში ტანჯავდა! მან ზიზლით მიადგო გვამი. მკვდარი ამენ-რა კიდევ უფრო საშინელი იყო, ვინემ ცოცხალი. მისი სახის დანახვაზე გულს უსაზღვრო სიძულვილი ეუფლებოდა, — სახეზე ვაჟკაცური ბრწყინვალეობა კი არ აჩნდა, არამედ მხოლოდ თავხედობისა და ვერაგობის უხეში გამომეტყველება აღბეჭდოდა...

ზანგმა მიიხედ-მოიხედა. იატაკზე ამენ-რას უსულო გვამი ეგდო. აპაპი შიშისაგან აცახცახდა. დიდი ვეზირი ამენ-რა მონის ხელითაა მოკლული! ყოვლად დიდებული მანიბანდჰის სასახლეში!

ნილუფარის უსიცოცხლო თავი უღიმოდა აპაპს. მან ხელში აიღო იგი. თვალები ცრემლით ავესო. აი, როგორი დასასრული ელოდა თურმე ამ მშვენებას, ამ სიმამაცეს!

მოისმა ხმაური. აპაპი გაიქცა, მაგრამ შიშისაგან საიდუმლო კარი დაავიწყდა და შეცდომით შევარდა ვენის ოთახში.

მოცეკვავე შესმული ღვინისაგან თითქმის გონმისდილი იყო. როცა მან დაინახა აპაპი, რომელიც შავ დემონს ჰგავდა, შეშინებულმა შეჰყვირა:

— ქურდი! ქურდი!

აპაპი კარისაკენ გაქანდა.

ყვირილზე გამოცვივდნენ მონები და მონაქალები. ქალბატონის ოთახში ქურდი შეპარულა! თავისი პალატიდან გამობრძანდა დიდებული ვაჭარი. მან შორიდანვე იცნო აპაპი. მანიბანდჰმა მშვიდად გა-



იწვდინა ხელი, და ამენ-რასაგან ნაჩუქარმა მონამ მშვილდ-ისარი მი-  
აწოდა.

აპაპს ცალი ხელი დაკავებული ჰქონდა, — ნილუფარის თავი ექირა.  
მივარდნილმა მონებმა სწრაფად შეეკოქეს იგი. მაგრამ მანიბანდპი ახლა  
აღარავის ენდობოდა. მან თვითონვე გასტყორცნა ისარი, რომელმაც  
გული გაუგმირა აპაპს. ზანგმა მხოლოდ ამის დაყვირება მოასწრო:

— სიკვდილი მანიბანდპს! დღეგრძელობა განას!

მანიბანდპმა გადაიხარხარა.

— მონებსაც იქით ჰქონიათ გზა!

აპაპის ვეება სხეული ძირს დაენარცხა. კიდევ რამდენსამე წამს  
ფხარკალებდა სიკვიდილისწინა ტანჯვა-წამებაში, მერე კი მიყუჩდა. მა-  
ნიბანდპმა მიაფურთხა უმოძრაო სხეულს.

ამასობაში მოცეკვავე გონს მოეგო და სავარძლიდან წამოდგა.

ირგვლივ ერთი აურზაური იდგა.

— რა მოხდა? — შესძახა ვენიმ. — თქვენ იბრძვით?

მანიბანდპი მისკენ გაემართა. გზად ფეხი წამოჰკრა ნილუფარის  
თავს, რომელიც ვენის ფეხებთან მიგორდა. ქალმა აიღო იგი და შეათ-  
ვალიერა, მაგრამ იმწამსვე შიშისაგან შეჰყვირა და ხელიდან გაუვარდა.  
მკვლელობა! უღმობელი მკვლელობა!

— ნილუფარი მკვდარია! — მოსწყდა მის ბაგეებს.

მაგრამ მისი აღშფოთება დაღლილობამ შეეცვალა. მან გაიცინა.

— დევი! — უთხრა მანიბანდპმა. — ეკალი ამოძრობილია... — იგი  
ამენ-რას ნაჩუქარ მონაქალს მიუბრუნდა. — შეინახე! ხვალ ამ ეკლის  
მეშვეობით მეორე ეკალსაც ამოვადრობთ...

მონებმა აპაპის სხეული გაიტანეს. ვენის ეტირებოდა. მაგრამ მის  
გვერდით მანიბანდპი იდგა. მან ღვინით ფიალა შეავსო და ხარბად დაე-  
წაფა. დიდებული ვაჭარი ილიმებოდა.

ვენიმ შავ მონაქალს შეხედა, — მას ოთახიდან გაჰქონდა ნაჭერში  
შეხვეული ნილუფარის თავი...

ამ დროს ერთ-ერთმა ჯარისკაცმა მიმართა მანიბანდპს:

— დიდო მეფეო! ჯარისკაცებმა საგულისხმო რამ გვამცნეს...

— რა მოხდა?

— მკვლელობა, ბატონო!

ჯარისკაცებით გარშემორტყმული მანიბანდპი მოკლულის სანახავად  
გაეშურა. მონებმა ჩირაღდნები დახარეს გვამზე. მანიბანდპს თვალი  
აუჭრელდა. კინალამ გონება დაკარგა. მტკიცე კედლებით დაცულ, ლაშ-  
ქრით გარშემორტყმულ მის სასახლეში ასეთი თავხედური მკვლელო-

ბა მოხდა! აღარ არის ყველაზე ახლო მეგობარი! მანიბანდჰი აკანკალდა: ახლა იგი მარტოდმარტოა!..

ამენ-რა!

არყოფნის მხარეს მიაშურა იმან, ვინც ღმერთებმა ბრწყინვალე ნიჭით დააჩილდოვეს, მაგრამ სიცოცხლე არ გაუხანგრძლივეს, რომ მას თავისი იმედები აღსრულებული ენახა, ხოლო სწრაფვა — მიზანს წვდომილი. ხვალ გამარჯვების დღე გათენდება! როგორ გაუხარდებოდა მას! როგორ ილტვოდა გამარჯვებისაკენ! მანიბანდჰი მეფე გახდება! ფარაონი სამეგობროდ გაუწვდის ხელს. ის ბრძენი ადამიანი კი მკვდარია, იგი დაეცა რომელიღაც მონის თათებით მოშთობილი. იგი მოხუცებული იყო. მანიბანდჰმა ვერ შეძლო მისი დაცვა!..

ვეზირის წამებისაგან შესულილი სახე მანიბანდჰისკენ იყო მიქცეული, თითქოს შურისგებას ითხოვსო...

— შურისგება! — მძვინვარედ შეჰყვირა მანიბანდჰმა. მერე ძალი მოიცა და გასძახა: — მხედართმთავარო!

— გისმენ, დიდო ბატონო!

— ხვალვე აღიმართოს მემამოხეთა ძვლების ბორცვი და ზედ აიგოს ამენ-რას დიდებული აკლდამა. დაე, მთელი დიდი ლაშქარი მივიდეს ამ სახელოვანი ადამიანის ნეშტის თაყვანის საცემად...

— როგორც მეფე ბრძანებს! — მიუგო მხედართმთავარმა.

მალე სასახლეში გამოცხადდნენ ეგვიპტელი მკურნალნი და ნელსაცხებელი წაუსვეს ამენ-რას ცხედარს, რათა კარგად შენახულიყო იგი. ტყუილად როდი მოიყვანა ეს მკურნალნი ფარაონის მოხუცება მხედართმთავარმა.

მოქენჯო-დაროს ქუჩებში ფიცხელი ბრძოლა იყო გაჩაღებული. ჯარისკაცების მხეცობამ ვერ გასტეხა ქალაქის მკვიდრთა მხნეობა; ისინი მამაცურად ესხმოდნენ თავს მანიბანდჰის რაზმებს. ორივე მხარე დიდად დაზარალდა. ფხარკალებდნენ სასიკვდილოდ განწირულნი, კენესოდნენ დაჭრილები. ბრძოლის ხმაური ჰგავდა განუწყვეტელ ღრიალს ტალღებისას, რომლებიც კლდეებს აწყდებიან.

ვილიბჰითურს გარშემო ხალხი შემოეკრიბა და ამაყად თავაწეული მღეროდა:

— მხნედ იყავით, დიდი ქალაქის მკვიდრო! თქვენ არავის მისცემთ იმის უფლებას, რომ ახლობლები ამოგიწყვიტონ! განა შეიძლება მშვიდად იძინო, როცა სახლს ცეცხლი გასჩენია?! როცა ადამიანს ღირსება გაუღვიძლება, მტარვალის სისასტიკის დანახვისას სისხლი აღეგზნება ძარღვეებში... შემოკრბით, მონებო, ღრავიდებო და მოქალაქენო! დაღვარეთ სისხლი, რათა მიწა ბალნარად იქცეს! დაამსხვრიეთ ფარი, რომელსაც სამეფო გვირგვინს ეძახიან, თავი გაუჩეჩქვეთ გველს, რომლის ნესტრიდან შხამი ინთხევა!..

სიმღერით აღფრთოვანებული მოქენჯო-დაროს მკვიდრნი კვლავ გადაეშენენ ბრძოლაში. ისინი წინანდებურად დაქუცმაცებული აღარ იყვნენ. როგორც ერთი კაცი, ისე აღდგა მთელი ქალაქი. ქალებს სახურავებზე აჰქონდათ შეშა, ზეთით სავსე ქილები, ქვები. და როცა სახლებს ჯარისკაცები მოადგებოდნენ, მათ სეტყვასავით აცვიოდათ ქვები, თავზე ესხმოდათ მღულარე ზეთი.

ქალაქის მცველები ვარაჰას ბრძანებით ჩაებნენ ბრძოლაში და მანიბანდჰს მიემხრნენ. ისინი თავიანთი უფროსის ერთგულნი იყვნენ და ვერ ბედავდნენ ქალაქის მკვიდრთა მხარეზე გადასულიყვნენ. ეს რომ გაიგეს, მოქალაქენი შეყოყმანდნენ, მაგრამ უკანდახევა სიკვდილს ნიშნავდა.

ბრძოლაში ბავშვებიც მონაწილეობდნენ. ისინი მალულად ადევნებდნენ თვალს მტრის მოძრაობას. მათი ყმაწვილური სიმამაცის შემყურე უფროს ადამიანებს გამბედაობა ემატებოდათ. ამ დღეებში ბავშვებიც მათსავით დადინჯდნენ. ზოგჯერ ჯარისკაცები ახერხებდნენ ხელში ჩაეგდოთ მცირეწლოვანი მშვერავები, მაგრამ მტრები ვერაფერს ათქმე-

ვინებდნენ ხოლმე ბავშვებს და ხოცავდნენ, მერე ნაკუწ-ნაკუწ აქცევდნენ და სახლების ფანჯრებში ყრიდნენ.

ხალხი შიშისაგან ძრწოდა. ღამით ისინი ჩუმად გამოდიოდნენ ქუჩებში და გვამთა შორის ეძებდნენ დაჭრილთ. სახლებში შეჰყავდათ, უვლიდნენ, ცდილობდნენ სიცოცხლე დაებრუნებინათ მათთვის.

სისხლის ღვრით დაშინებულმა უცხოელმა ვაჭრებმა თავიანთი კაცები აახლეს მანიბანდჰს. ისინი სთხოვდნენ მფარველობა გაეწიათ მათი საქონლისათვის.

ბრძოლა თანდათან უფრო სასტიკი ხდებოდა. სასწორი ხან აქეთ იხრებოდა, ხან იქით: არავინ იცოდა, რომელი მხარე სძლევედა.

ვილიბჰითური და ჰეკა თვალს ადევნებდნენ ბრძოლას.

უცებ მათთან მოირბინა ბიჭმა.

— მხედართმთავარო მთელ ღამეს დაგეძებდით. თქვენ იბრძოდით და პონა გამიძნელდა. თქვენმა მეუღლემ გამომატანა აი ეს... მიბრძანა, აუცილებლად გადმომეცა თქვენთვის...

ჰეკამ მაშინვე იცნო ძვირფასეულობა.

— რა გითხრა, ბიჭუნავ?

— მანიბანდჰის ცოლის მოსაკლავად მივდივარო, დევი.

— როდის იყო ეგ?

— წუხელ!

— რა გულადია, ჰეკა, არ შეშინდა! — ჩუმად თქვა ვილიბჰითურმა.

— კი მაგრამ, რატომ არ დაბრუნდა? ახლა ხომ დილაა!

ჰეკა საშინელმა წინაგრძობამ შეაკრთო.

— აპაპიც გაჰყვა? — შეეკითხა ვილიბჰითური.

— დიას!

სიყვარულმა შეშალა ჰეკაზე, ჰეკა! სხვაგვარად მას არასოდეს მოუვიდოდა ასეთი შეცდომა. მან ყველაფერი თვითონ მოიფიქრა, მარტოდმარტო, რადგან მთელი სიცოცხლის განმავლობაში მარტოდ-მარტო იბრძოდა მან ვერ შეძლო ბოლომდე გაეგო აზრი ჩვენი ბრძოლისა. შენ გძულს იგი?

ჰეკა დუმდა.

— ნუ ხარ უღმობელი. ჰეკა! ნუ გამოიჩენ ნილუფარისადმი უსამართლობას. იგი ცუდი ადამიანი არ არის...

— მაგრამ ის არ გამოგყვია ჩვენი — მიუგო ჰეკამ.

— მან ვერ შეძლო დაევიწყებინა თავისი თავი, და სწორედ ამაში მდგომარეობს მისი სისუსტე! მას რომ სიყვარულზე უარის თქმა შესძლებოდა, ვერავითარი შიში ვერ შეაჩერებდა. იგი დამნაშავე არ არის.

აბა რა უნდა ქნას ქალმა სიყვარულს მოწყურებული გულით?! მაგრამ ნილუფარი ასეთ დროსაც კი არავის გადალობვია გზაზე.

— მაგრამ ნილუფარი არ დაბრუნებულა, პოეტო! ვინ იცის, რა დამართა! — წამოიძახა ჰეკამ.

საშინელი ეჭვებისაგან გული უსკდებოდა. მას ძალიან ებრალებოდა ნილუფარი. ჰეკას მოაგონდა თავის მეგობარ ქალთან უკანასკნელი საუბარი, და თვალები ცრემლებით აევსო. როგორ შეურაცხყო ნილუფარი!

— რას მიბრძანებთ? — შეეკითხა ბიჭი.

— ეგ ძვირფასეულობა შენ გქონდეს! — უპასუხა ვილიბპითურმა. — თუ არც ერთი ჩვენთაგანი გადაჩა ცოცხალი, ხომ არ დაგივიწყებ?

— ვის შეუძლია დაგივიწყოთ დიდ ქალაქში! — შესძახა ბიჭმა.

— შენ ჯერ ბავშვი ხარ! — უთხრა ჰეკამ. — ყველაფერს ვერ მიხვდები. წადი, ითამაშე!

ბიჭი წავიდა. ჰეკამ და პოეტმა ერთმანეთს შეხედეს. ადამიანის სიყვარული უხმობდა მათ ბრძოლის ველზე, სიცოცხლის დიადი ბრძოლის ველზე. ხალხი მკვიდროდ შემოეხვია მათ. გაისმა ნიჟარის ხმა. ჰეკამ და ვილიბპითურმა მახვილები იშიშვლეს და საბრძოლო ყიყინა დასცეს. ის, რაც ესოდენ მნიშვნელოვანი ჩანდა, როცა ორივენი მარტოდ რჩებოდნენ, ახლა გაუფასურებელიყო. მათ კვლავ დაავიწყდათ თავიანთი თავი.

ალის ენები ცას სწვდებოდა. ქალაქი უზარმაზარი ღუმელივით გიზგიზებდა. მაგრამ კიდევ უფრო ძლიერი იყო აგზნებული გულები მოქალაქეებისა, რომლებიც ისწრაფოდნენ გაეცამტვერებინათ მანიბანდში და მისი ლაშქარი. კვალმა სულ მთლად გააშავა ზეცა; იგი თითქოს მოგაგონებდათ, რომ ადამიანის ანგარება და სისასტიკე ყოველგვარ საზღვარს გადასცდა.

მანიბანდში კანჯრებშებმული ეტლით გამოვიდა სასახლიდან. მას გარს ერტყა მცველთა რაზმი. დიდებული ვაჭარი ჯარისკაცებს შორის გაჩერდა და სიტყვით მიმართა მათ:

— ჯარისკაცებო! მძიმე დრო დადგა. მაგრამ გულადი მეომარი ბოლომდე მიჰყვება თავის გზას და არავითარ დაბრკოლებას არ უშინდება.

ნამდვილი მეომარი ის არის, ვისაც უნარი შესწევს მოსრას მტერი. ამბოხებულებმა თავიანთი რაზმები გააერთიანეს. ისინი არ სცნობენ სამართლიანობას. მათ აქეზებენ ადამიანები, რომლებიც თავიანთი ვერა-

გული ზრახვების აღსასრულებლად ილტვიან. ხალხი უგუნურია, იგი ბრმად მიჰყვება ამ ადამიანებს. მათ წინ უძღვის შეშლილი, რომელიც ოდესღაც ყველაზე წარჩინებული ადამიანი იყო მოჰენჯო-დაროში. მაგრამ იგი ავხორცობამ დაღუპა, და ღმერთებმა საშინელი სასჯელი მიაგეს მას — წაართვეს ყველაფერი, რაც ჰქონდა. ამ ადამიანებმა მხედართმთავრად აირჩიეს სწორედ ის დრავიდი, რომელიც ცდილობდა შფოთი ჩამოეგდო კიკათის სახელმწიფოში, ხოლო როცა დამარცხდა, ქალიშვილი აცდუნა და მშობლიური მხარე მიატოვებინა.

ჯარისკაცებო! დღეს მთელი ხალხის ბედნიერება თქვენს ხელთაა. ჩრდილოეთიდან მოდიან ველურები, მათ სურთ პირისაგან მიწისა ალგვავონ ჩვენ. განა ჩვენ შეგვიძლია დავამარცხოთ ისინი, თუ ძმათაშორის ომს არ შევწყვეტთ?! მრავალი დიდგვაროვანი მოქალაქე მოგებამ გაიტაცა და თავიც წააგო. უკანასკნელ წუთებამდე გვაფრთხილებდა დიდი ამენ-რა, მოვრიდებოდით ხიფათს, მაგრამ ძმათაშორის ომი მაინც არ შეწყვეტილა. მოქალაქეთა შორის ყველაზე ბრძენი ადამიანი — ყოვლად პატივცემული ვაჰარი ვარაჰა — თავისი მცველებითურთ ჩვენს მხარეზე გადმოვიდა. იგი სიმართლისა და სამართლიანობის მხარეზე გადმოვიდა.

ჯარისკაცებო! დაე, ჩვენს სამეფოში გაისმას თქვენი მახვილების ჩახაჩუხი დაე, იგი ზღვის ტალღათა დგაფუნზე მძლავრი იყოს! აღმართეთ მხესავით მოელვარე შუბები. დაე, შედრკეს მიწა, დაე, შიშისაგან გაირინდოს თვით ვეება ინდი თქვენი მრისხანე ფეხის ხმის გაგონებაზე. მაშ გასწით წინ, მსგავსად შეუპოვარი ქარიშხლისა! — მანიბანდჰმა მახვილი შემართა და შესძახა: — სიკვდილი! სიკვდილი მეამბოხეებს! გავფანტოთ ჩვენი სამეფოს ცაზე ჩამოწოლილი შავი ღრუბლები! თუ სამეფო არ შევინარჩუნეთ, ხალხი უსახლკაროდ და მშვიერ-მწყურვალე დარჩება, ხოლო ღმერთები ათასნაირ საზარელ სენს გამოგვიგზავნიან თავიანთი უკმაყოფილების ნიშნად...

— სიკვდილი! სიკვდილი! — შეჰყვირეს ჯარისკაცებმა.

— დიდება მანიბანდჰს — დიდ ღმერთს ამა ქვეყნისას!

— ღმერთები ბრძანებენ ჩავახშოთ ამბოხება!

— ცოდვისაგან დავიცვათ სამეფო!

ახალი ძალით გაჩაღდა ბრძოლა. ყველგან გაისმოდა ჯარისკაცთა მძვინვარე შეძახილები. ბრძოლის ხმაური ცისკენ მიემართებოდა; გეგონება, ცაში ეს-ესაა სამეფოს სისხლიანი დროშა აფრიალდება, ხალხი მუხლებზე დაეცემა და მუდარით ითხოვს პატიებასო. თანდათან უფრო ხმამაღლა გაისმოდა იარაღის ჩახაჩუხი. ყვავილის მოწყვეტილი ფურ-

ცლებივით ცვიოდნენ ძირს სისხლში მოსვრილი ადამიანები. გულშემ-  
ზარავად გრგვინავდა დოლი, თითქოს სამყაროს აღსასრულს წინასწარ-  
მეტყველებსო. და კვლავ შეძახილები, დოლის ბრავაბრუგი, ქარის წი-  
ვილი, მახვილთა ელვარება, წყვდიადის საზარელი ხარხარი.

ქუჩებში ეტლით მიმოდრიოდა მანიბანდპი და ჯარისკაცებს ამხნე-  
ვებდა. მშვილდ-ისრებით შეიარაღებული მცველები მკიდროდ შემორ-  
ტყმოდნენ თავიანთ ბატონს.

მანიბანდპთან ცხენი მოაგელვა მხედართმთავარმა.

— ხელმწიფევ! ჯარისკაცები დაიქანცნენ... მეამბოხეები უამრავნი  
არიან, ვითარცა ტალღები ოკეანეში... — მძიმედ სუნთქავდა, ტან-  
საცმელი სისხლით მოსვროდა.

მანიბანდპმა მოწიწებით შესძახა:

— ჩემო მხედართმთავარო, დღეს შენ უნდა დაიმორჩილო ეს ოკე-  
ანე და აიძულო, რომ შიშით გაიჩინდოს! ის, ვინც დღეს მოკვდება,  
უკვდავებას დაიმკვიდრებს! აახშიანეთ ბუკი და ნიჟარა! ჯარისკაცებო!  
დასცხეთ მეამბოხეებს, დაე, იფიქრონ, რომ გოლიათი მთები დაძრუ-  
ლან მათკენ...

ხელმწიფვის სიტყვების გაგონებაზე ჯარისკაცები გაორკეცებულნი  
სიშმაგით გადაეშენენ ბრძოლაში. თითქოს ქარიშხალი მოაწყდა მე-  
ამბოხეებს. ჯარისკაცები ხედავდნენ, როგორ დაქროდა ეტლით მანი-  
ბანდპი, და იქ, სადაც მისი მახვილი აღიმართებოდა, ილუპებოდნენ  
მეამბოხენი. და მტრებს ეჩვენებოდათ, რომ თვით ღმერთი წინამძღო-  
ლობდა მათ!

მაგრამ ამ დროს მოქალაქეთა შორის გაისმა პოეტის შთამაგონებე-  
ლი სიტყვები:

— დიდი ქალაქის მკვიდრო! ფვიცავ დედის წმიდა სახელს, დღეს  
მთელი სამყარო თქვენ შემოგყურებთ, თვით მანიბანდპიც გაჯავრე-  
ბული აღრქიალებს კბილებს! მტერი სისხლში იხრჩობა. დღეს თქვენი  
ძლიერი ხელი როგორც ელვა, ისე კვეთს საძულველ სამეფოს  
ქელმადლობას.

— ერთი ნაბიჯილა დარჩა, მეომარო! — შესძახა მანიბანდპმა. —  
გამარჯვების მთვარე ამოდის ცაზე. ხვალ თქვენი ბრწყინვალე ღიღება  
მზის სხივების დარად მოეფინება მთელ ქვეყანას. ჯარისკაცებო! დაე,  
მანამდე ნუ ჩააგებთ ქარქაშში ხმლებს, სანამ ისინი წყურვილს არ  
მოიკლავენ!

კვლავ გაისმა ვილიბპითურის ხმა:

— დღეს ჩვენი სიმართლის ვარსკვლავთა სხივებმა განაბნინეს

მანიბანდჰის ბოროტებათა და ცოდვათა წყველიაღი! დიდი ქალაქის მკვიდრო! მანიბანდჰის სისხლის გარდა ვერაფერი ჩააქრობს ჩვენი შურისძიების წმიდა ცეცხლს. ქალები ჩვენს მხარდამხარ იბრძვიან! თვით ქალღმერთი მაჰამაი ჭეშმარიტად ჩვენთანაა, — იგი მახვილით ხელში საბრძოლო ყოყინით მიიწვევს წინ და გარდუვალი სიკვდილით ემუქრება მტერს. იცოდეთ: თქვენი სისხლის ყოველი წვეთი ლეგენდად იქცევა, და საუკუნეების მანძილზე ხალხი როგორც წმიდა სიმღერას, ისე გადასცემს თქვენზე შეთხზულ თქმულებებს თაობიდან თაობას. თქვენი შთამომავალნი ამაყად ასწევენ თავს, თქვენ მიერ გაღებული მსხვერპლის ამბავს რომ გაიგონებენ!

ორივე მხარის მეომარნი ერთმანეთში აირივნენ ბრძოლის დროს. მათი გამაგება ყოველგვარ საზღვარს გადასცდა. ერთმა მეამბოხემ ტუჩები მიადო ჭრილობაზე მკერდში დაჭრილ მტრის ჯარისკაცს. რომ დაინახეს, ჩვენი თანამებრძოლი მტრის სისხლს სვამსო, მოქალაქეებმა გამარჯვების ყოყინა დასცეს: „დიდება უფალს!“, „დიდება მაჰამაის!“, „დიდება წმიდა განას!“.

მანიბანდჰის ჯარისკაცები შედრკნენ.

მხედართმთავარმა ხელმწიფესთან მიიბრინა.

— ხელმწიფე! ჩვენი ძალები სუსტდება!

— ნაწილი ჯარისკაცები აქ დატოვეთ, — უბრძანა მანიბანდჰმა, — დანარჩენებმა სხვადასხვა მხრიდან დასცხოვნ. დაე, ყველგან გაისმოდეს ჩვენი გამარჯვების ყოყინა!

დაიქუხა საბრძოლო მუსიკამ. მასში ჩაიკარგა კენესა და ყვირილი. მანიბანდჰის ეტლი გრიგალივით დაჭკროდა ბრძოლის ველზე. ხელმწიფე ამხნევებდა თავის ლაშქარს. უამრავი ისარი მოსწყდა მშვილდებს, იელვა ხმლებმა, მიწაზე გაგორდა მოკვეთილი თავები. აჯანყებულთა დიდი რაზმი ვილიბპითურის მეთაურობით დაწინაურდა. ჩირადანთა შუქზე ლაპლაპებდა მისი მახვილი. მცველები გარს შემოერტყნენ მანიბანდჰს და მოქალაქეთა თავდასხმის მოსაგერიებლად მოეშაბდნენ.

მაგრამ უცებ ყოველი მხრიდან მოისმა მეფის მეომართა საბრძოლო ყოყინა. მოქალაქენი შედრკნენ: მათ იფიქრეს, მტერმა მაშველი ძალა მიიღო და ალყაშემორტყმული ვართო.

უცებ ჰეკას გულში მოხვდა ისარი. იგი წაბარბაცდა, მაგრამ მაინც შესძახა: „სიკვდილი მანიბანდჰს!“ ისარს წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდა სისხლი. ჰეკამ სწრაფად ამოიძრო ჭრილობიდან ისარი და დაიკენესა. პოეტი მობრუნდა და რომ დაინახა, ჰეკა ძირს ეცემო, ხელი მოჰკიდა.

— ის იყო... ის... — მიუთითა ჰეკამ. — მანიბანდჰი...

პოეტმა იმ მხარეს მიიხედა, საითაც ჰეკამ ანიშნა. მანიბანდჰის ეტ-



ლი უკვე შორს იყო. ბრაზისა და სინანულის ცრემლები წასკდა თვალ-თაგან პოეტს.

— ჰეკა!.. შენც... — აღმოხდა მას.

— მხედართმთავარო! დამტოვე! — მისუსტებული ხმით უთხრა მან. — აქ უკვე ბევრი ადამიანი გამოესალმა სიცოცხლეს... მათზე უნდა იდარდოთ... ისინი უნდა გახსოვდეთ...

ქალიშვილს უღონოდ ჩამოუვარდა თავი. პოეტს წუთით დაავიწყდა, რომ ბრძოლის ველზე იყო.

— ჰეკა! — ნალვლიანად წარმოთქვა მან. — შენც მიდიხარ, ჰეკა? ჰოი, მაღალო ღმერთო, ეს რა ჰქენ?!

კვლავ გაისმა მტრის საბრძოლო ყვირინა. ვილიბპითური შეკრთა, მახვილი შემართა, მაგრამ მაშინვე ძირს დაუშვა. არ უნდოდა მიეტრევივინა ჰეკას გვაში. არა, მკვდარნი არ იტანჯებიან... მან ფრთხილად დაუშვა გვაში მიწაზე და მახვილი აიღო.

სიკვდილის დამთრგუნველი ხმით შესძახა მან:

— დიდი ქალაქის მკვიდრნო! ამ მონაქალის სისხლი შურისძიებად გვიხმობს!

მოქალაქენი, დრავიდები, მონები წუთით გაირინდნენ და თავიანთ წინამძღოლს მიუგდეს ყური. მაგრამ მათი დამარცხების ეამი უკვე დამდგარიყო. მანიბანდჰის ჯარისკაცები მხეცებივით მისცივიდნენ მემამოხეებს. მათი შემოტევა ისე ძლიერი იყო, რომ ქალაქის მკვიდრთ შიშით შეჰყვირეს. გამარჯვების ნიშნად იღრიალეს მეფის მეომრებმა:

— დიდება მანიბანდჰ მეფეს!

პოეტი განრისხებული უყურებდა, როგორ თხელდებოდა თანდათან აჯანყებულთა რიგები; ხალხი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა.

— ლაჩრებო! — შეჰყვირა მან. — სად გარბიხართ! ხვალ მანიბანდჰი დაგხოცავთ! — მაგრამ მისი ხმა ბრბოს საზარელ ღრიალში დაინთქა. პოეტი რაც ძალი და ღონე ჰქონდა ყვიროდა: — დიდი ქალაქის მკვიდრნო! გამხნევდით! მტრის ძალები ილევა! გამარჯვება შორს აღარ არის! რად გინდათ სიცოცხლე, თუკი მონად გაქცევინა?!

მაგრამ ყური აღარავინ ათხოვა. ისართა ღრუბელმა ჩამოაბნელა ზეცა, მოსრა ირგვლივ ყოველი არსი. პოეტმა მახვილი შემართა და შეუპოვრად იცავდა თავს ალყადშემორტყმულ მეფის მეომართაგან. აჯანყებულთა ახალგაზრდა წინამძღოლი სისხლისაგან იცლებოდა. უკანასკნელად შესძახა:

— სიკვდილი მანიბანდჰს!

პოეტს ისარი მოხვდა მხარში. მან გრძნობა დაკარგა.

ჯარისკაცები უკან მისდევდნენ მოქალაქეებს. მანიბანდჰმა მახვილი აღმართა და წამოიძახა:

— მაღალო ღმერთო! დაე, იზეიმოს შენმა გამარჯვებამ!

სიხარულისაგან ხმა ჩაუწყდა. პატივცემულმა ვარაჰამ ჩირაღდნის შუქზე დაინახა, რომ მანიბანდჰის მახვილს სისხლის წვეთი მოსწყდა და დიდებულ ვაჰარს შებლზე დაეცა. ამით განცვიფრებული ვარაჰა აკანკალდა: თვით მაღალმა ღმერთმა მიულოცაო გამარჯვება მტრის სისხლით...

ვარაჰამ მახვილი აღმართა და შესძახა:

— ჯარისკაცებო! აღიდეთ თქვენი ხელმწიფე!  
ლაშქარმა გამარჯვების ყიჟინით უბასუხა.

შუალამე გადასულიყო. მეფის სასახლის შუა დარბაზში რამდენიმე მონა შიშისაგან სულგანაბული უზელდა ტანს ხელმწიფეს ნაირ-ნაირი ნელსაცხებლით. მის წინ ნახევარწრედ ჩამომსხდარიყვენენ ბრძოლით განაწამები სარდალნი. აპირაჯ ღმერთის უზარმაზარ ტაძარში ყურის-წამლებად გუგუნებდა ზარი.

დიდი ქალაქის გზაჯვარედინზე უამრავი ჩირაღდანი გიზგიზებდა. ოდესღაც ათასობით ადამიანი მხიარულად ცეკვავდა ამ მოედანზე. ახლა აქ მეფის ლაშქარი დაბანაკებულიყო. ჯარისკაცებს ღვინოს ასმევდნენ, რომ მათი დაქანცული სხეულისათვის სიმხნევე დაებრუნებინათ. მეომართა წინ როკავდნენ მოცეკვავენი. ტალღებად იკმეოდა საამო სურნელება. დიდი ქალაქის სისხლით მორწყული ქუჩები დაცარიელებულიყო. აღარავინ იყო დაქრილთა შესაბრაალისი კვნესის გამგონე. მხოლოდ ვარსკვლავთა კრებულნი თრთოდნენ ცაზე, თითქოს კითხულობდნენ: „ეს არის შენი სიბრძნე, ადამიანო? როცა შენს მსგავსს ანგარების გულისთვის ჰკლავ, ხომ არ ღუპავ ამით შენს ოცნებებს და სანუკვარ სურვილთ?“

ზარი კი ისევ გუგუნებდა, თითქოს თვით ღმერთი წარმოთქვამსო მანიბანდჰ მეფის სადღეგრძელოს...

...უმაწვილი ქალი ჩირაღდნით ხელში ჩუმად მიმოდოდა ქუჩაში მიმოფანტულ გვამებს შორის. ეტყობა, გული ქვად ქცეოდა და დაჭრილთა კვნესა არ ეკარებოდა. დროდადრო ქალი მიწისკენ ხრიდა ჩირაღდანს, მოკლულს სახეში ჩააცქერდებოდა და გზას განაგრძობდა. ქალაქში ჩამოვიდნენ მშიერი ტურები. მათი გულშემზარავი კივილისაგან კიდევ უფრო საშინელი ჩანდა ღამე.

ქალი გვამთა დიდ გროვასთან შეჩერდა და თვალიერება დაუწყა.

— წყალი! — მოისმა კენესა.

ქალი შეკრთა. ჩირაღდანი მიუახლოვა, სახეში ჩააქერდა დაჭრილს და ყურისწამლები ხმით შეჰყვირა, თითქოს დაქარგული საუნჯე იზოვაო: „ვილიბპითურ!“ იგი დაჭრილის გვერდით დაეშვა. დაჭრილი გონმიხდილი იწვა. ქალმა მიიხედ-მოიხედა. ახლომახლო წყალი არ იყო. ატირდა.

— პოეტო

მას არ უპასუხია.

— ბრძოლა წაგებულა, მხედართმთავარო! — ცრემლების ყლაპვით უთხრა ქალმა. — მაგრამ სიცოცხლე გრძელდება...

დაჭრილმა გაიგონა მისი სიტყვები.

— ვინა ხარ? — ჰკითხა მან.

ქალი შეეშველა და დაჭრილი წამოჯდა.

— მუდამ როდი იქნება ღამე, პოეტო! ძალ-ღონე მოიკრიბე, გაჰკვეთე ეს ბნელი საბურველი, რომ ნათელი დილა გამოჩნდეს...

პოეტი გონს მოვიდა.

— გააჩერე ზარები, დაე, გუგუნი შეწყდეს! გული მისკდება ამ ხმებისაგან... მათ სამხიარულო რეკვაში სიცრუე იმალება; მე არ მინდა ვისმინო იგი!..

მაგრამ ქალმა მტკიცედ უთხრა:

— ნუ შეგაშინებს დამარცხება! მოუხმე ამ ქვეყნის ყველა სიბრაღულს, იგი განმკურნავ სალბუნად დაგედება ჭრილობაზე...

პოეტმა ყური მიუგდო და უპასუხა:

— დევი ხედავ მკაცრ სიმართლეს? სიცოცხლე ჯალათთა ფეხქვეშაა გათელილი... პლანეტები და ვარსკვლავები შიშისაგან თრთიან. დიდი ღმერთის რისხვა ელვასავით კრთის შავ ზეცაში.... ქარი გაიხლართა სწრაფად მსრბოლ ღრუბლებში — ღმერთის გაწეწილ თმაში... ზანზარებს მიწა, ისმის გარდუვალი დაღუპვის გრგვინვა-ქუხილი... რა საშინელია ეს ხმაური! გააჩერე იგი, გააჩერე!..

მან მხარზე მიაყრდნო თავი ქალს. ქალის თვალებში ცრემლები კიაფობდა. ნუთუ ეს მხედართმთავარი აშინებდა დღეს მტერს? რა უძლეური და უსუსურია იგი ახლა!

— დევი! ეს ისარი... ამოიღე...

— ვილიბპითურ!

იგი პოეტისაკენ დაიხარა და მხარზე დააქერდა: ჭრილობიდან სის-

ხლი სდიოდა. პოეტი თვალმოუშორებლივ შეჰყურებდა ქალს. ჩირად-დნის შუქი დაეცა მის სახეს.

— შენა ხარ? — შესძახა პოეტმა. — ჩანდრა!

ქალმა ცრემლით სავსე თვალები მიაპყრო დაჭრილს. მთელი თავისი სულიერი ძალები მოიკრიბა და ნელა, ფრთხილად ამოსწია ისარი.

პოეტმა დაიკვნესა:

— ფრთხილად, ჩანდრა! თორემ ისართან ერთად სულიც ამომძვრება...

— არა, ნუ გეშინია! ისარი ამოვა შენი სხეულიდან და კრილობა მოგიშუშდება... შენ აღსდექ, რათა დამცილების ისარი ამოგეძრო მთელი ქვეყნის სხეულიდან. ნუთუ ეს ტკივილიც ისევე აუტანელია, როგორც კაცობრიობის ტანჯვა-წამება?

ვილიბპითურმა თავი გააქნია. ჩანდრამ კრილობიდან ისარი ამოაძრო, ტანისამოსი გახია და მაგრად შეუხვია პოეტს მხარი.

— ჩანდრა! — შესაბრალისად თქვა მან. — გზა ამებნა და ბნელში დავბორიალებ. თითქოს უღრან ტყეში ვარ, ირგვლივ უზარმაზარი ხეებია... სამეფო! ამბობება! რა მემართება, ჩანდრა?.. — მცირე ხანს დუმდა. — ჰეკა წავიდა. იგი უკანასკნელ წუთამდე იბრძოდა... კი მაგრამ, ნილუფარი?

ჩანდრამ თავზე ხელი გადაუსვა პოეტს და უთხრა:

— შენ. სწუხარ მასზე? იტანჯები? ნილუფარი წავიდა. მას არ უბრძოლია ჩვენთან ერთად. მაგრამ რა ვუთხრათ აპაჰს, როცა დაბრუნდება და იკითხავს: ჩემი ჰეკა სად არისო? რა ვუპასუხოთ, ვილიბპითურ? ცხოვრებისეული სიმართლე მკაცრია... ეს სიმკაცრე თანაგრძნობით უნდა შევარბილოთ, ვილიბპითურ! დაე, ადამიანებმა სიყვარულით იცხოვრონ...

— ქვეყნად არ არის სიყვარული, ჩანდრა, — ამოიკვნესა პოეტმა. — ეს სამყარო სამუდამოდ მიატოვა ყოველგვარმა წმიდამ! ადამიანის სიმღერებში აღარასოდეს აეღვარდება ნათელი შუქი, მსგავსი განთიადის წინ ირმის ნახტომის ბრწყინვალეობისა...

რა უიმედოა ჩვენი მომავალი! მე ვიფიცებოდი, ქედმაღლობას გავანადგურებ-მეთქი... რა მერე? მე დავმარცხდი, ჩანდრა! ახლა ყველა თავისუფალი ადამიანი მონად იქცევა... მანიბანდჰი სისხლს გაუშრობს მათ, და უკეთურნი გაიმარჯვებენ დიდ ქალაქში... გამბედაობა დავკარგე. მე მარტო ვარ!.. მტრებს სურთ ჩაკლან ჩემი სიმართლე... ამიერიდან მრავალი საუკუნის განმავლობაში ჯალათებსა და მტარვლებს დათარგუნვილი ეყოლებათ ადამიანი...

— განა სიმართლის მოკვლა შეიძლება, პოეტო? თუ ქვეყნად დარჩნენ ადამიანები, ისინი შენს კვალს არ დაკარგავენ. ისინი არასოდეს დამარცხდებიან. მანიბანდჰი მოკვდება, მაგრამ ვილიბჰითური მუღამ იცოცხლებს...

— ზარებს რეკავენ... — ბურანში ამბობდა პოეტი. — ცა და მიწა გრგვინავს... ნილუფარ! სადა ხარ, ნილუფარ?

— ნილუფარი წავიდა!

— წავიდა! ჰოი, უღმობელო, უკანასკნელი დარტყმა რომ აგემე ჩემს გულს! განა ამან მოგანიჭა სიხარული, განა ამან მოგგვარა შეება?

— პოეტო! — უთხრა ჩანდრამ. — დალილი ხარ. დაიძინე!

— ...ვილიბჰითური სულელი როდია, ნილუფარ, იგი მხედართმთავარია! ვენისთან წახვედი? რისთვის? ხედავ, დაჭრილი ვარ... ნილუფარ! ნუთუ აღარ მოხეალ? უკანასკნელად შემოგწირავ მთელ სიმღიდრეს ჩემი ცხოვრებისას...

ჩანდრა ატირდა.

— ...შენ არა გაქვს გული, ნილუფარ! ეს მართალია, ქალებს გული არა აქვთ. რა მემართება?... ვცდილობ დაგივიწყო, მაგრამ ვილაც მეჩურჩულება: „სულელო, თვითონ ნილუფარმა დაგივიწყა...“ კიდევ რამდენ საუკუნეს უნდა იწვოდეს ჩემი გული შენი სილამაზის სახმილით? როცა ჩემთან მოდიხარ, შენი ალერსიანი შემოხედვისაგან ჩემი გული — ეს გადაბუგული უდაბნო — ამწვანებას იწყებს... ნუთუ შენს თვალებს აღარ შემორჩა ალერსი, შენს სულს — ვნებიანი სურვილი, ტუჩებს — სიყმაწვილის გიჟმაჟი მხურვალება?... რამდენი ღღეა... რამდენი ღამე... ტალღები აწყდებიან ნაპირს, მხეფებად იფანტებიან. და ახლა აღარაფერი აღარ არის... აღარაფერი...

მან გრძნობა დაკარგა. გონს რომ მოეგო, იკითხა:

— ვინა ხარ?

ჩანდრამ ალერსით მიუგო:

— მე ვარ, ვილიბჰითური! დაივიწყე ეს ლაფითა და ცოდვებით სავსე ქვეყანა, მსგავსი შავი აბრეშუმისა, რომელიც გულგრილია ყოველგვარი საღებავებისადმი! აღსდექ და ჰპოვე ძალი ღვთისადმი შენს სიყვარულში! სიცოცხლის ერთი მომხიბლავი წამი მრავალი საუკუნის წყვდიადს სჯობს...

პოეტმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და წამოჯდა.

— მთელი სამყარო აღსავსეა გრგვინვა-ხმაურით, საშინელი ძალადობის ალი თავისი ენებით ლოკავს მთელ მსოფლიოს! შეხედე, სიცოცხლე ბრძოლაა... სიყვდილ-სიცოცხლის წყვდიადში ცაცინათელასავით

დაბორიალებს ადამიანი. ირგვლივ ქუფრი ღრუბლები ჩამოწოლილან, ისმის ქუხილი... წავიდეთ, ჩანდრა! მე არ შემიძლია მკვდრებთან დავიძინო. მე მინდა ვნახო ცოცხალი და ძლიერი ადამიანები!..

ჩანდრა წამოდგომაში მიეშველა. ისინი ნელ-ნელა გაჰყვნენ სისხლით მორწყულ ქუჩას.

— ჩანდრა! — აღელვებით წამოიძახა პოეტმა დაღუპულ მებრძოლთა დანახვაზე. — მათ უკვდავება დაიმკვიდრეს!

— ეგ ტყუილია, პოეტო! ნუ გაჩერდები მკვდართა და უძლურთა წინაშე, წინ გასწი! ჩვენ ხომ ცოცხლები ვართ! ჩვენ არ შეგვიძლია ვიყოთ იმათთან, ვინც უკვე სამარის კართან დგას...

ირიყრაყა. ზარები მიუჩრდნენ. პოეტი და ჩანდრა სისხლიან გვამებს შორის მიეხეტებოდნენ დიდი ქალაქის ქუჩებში.

უცბად გაისმა ძახილი:

— ვინ მოდის? სდექ!

მათ ერთმანეთს გადახედეს.

— ჭარისკაცები! ეგენი არ გაგვიშვებენ, ჩანდრა!

— შენ მხედართმთავარი ხარ! შენ ახლაც კი მხედართმთავარი ხარ, ვილიბჰითურ! მაშ რად ისმის ხმაში შიში? გული გიკანკალებს?

— დავიღალე, ჩანდრა!

— ვილიბჰითურ! ჩვენ ახლა შეგვიპყრობენ. ესენი სულმდაბალი ადამიანები არიან! ნამუსს ხდიან ქალებს! — ჩანდრას თვალები ანთებოდა. მძინვარებისაგან კანკალებდა. — მაგრამ ისინი ვერ ჩამიგდებენ ხელში!

ჭარისკაცები უკვე ახლოს იყვნენ. პოეტს უზარმაზარი ტანისა ეჩვენა ისინი. თითქოს გული გაუქვავდა: იცოდა, რომ სიკვდილი ახლოს იყო. უცებ ხელში სწვდა ჩანდრას, იგი მოვალე იყო დაეცვა ქალი, თუმცა ამისათვის აღარ ჰყოფნიდა ძალ-ღონე.

— დამტოვე, ჩანდრა! გაიქეცი!

— არა, მხედართმთავარო!

ჭარისკაცები გარს შემოერტყენ მათ. ჩანდრას ხელში ხანჯალმა იელვა, და იგი იმავე წამს სისხლში მოსვრილი დაეცა მიწაზე.

— სულელი! — თქვა ერთმა ჭარისკაცმა.

პოეტი ქალის გვერდით დაეშვა.

— ჩანდრა!

— ვილიბჰითურ! — ძლივძლივობით მიუგო მან.

— ვილიბჰითურ! — ბოროტად შესძახეს ჭარისკაცებმა. — შენ კიდევ ცოცხალი ხარ?

ჯარისკაცი მხრებში სწვდა პოეტს და შეანჯღრია. პოეტმა ნალვლიანად თქვა:

— იგი კვდება...

— კვდება და მოკვდეს! განა შენ შეგიძლია ხელი შეუშალო მის სიკვდილს?

— ჯარისკაცო! — უთხრა ჩანდრამ. — ვილიბჰითური მხედართმთავარი! იგი შენს ხელმწიფეს აღემატება... იგი პოეტია...

ქალმა ველარ დაამთავრა. უსიცოცხლოდ ჩამოუვარდა თავი.

— შენც წახვედი, ჩანდრა!..

ჯარისკაცებმა მაშინვე შეიპყრეს პოეტი და წინ გაიგდეს. მათ არ აცალეს უკანასკნელ წუთებში ყოფილიყო ჩანდრასთან. ისინი ჭილდოს მისაღებად ისწრაფოდნენ...

დილის გრილმა სიომ დაჰბერა. ამოიწვერა მზის პირველი სხივები. მღუმარედ იჭდა ვენი თავის ძვირფას სავარძელზე, ხელში ნილუფარის თავი ეჭირა. მის დაბინდულ თვალთა წინ ზედიზედ ჩაიარეს წარსული ცხოვრების სურათებმა. მაგრამ რა მოხდა იმ ღამეს, როცა მასთან ეგვიპტელი ქალი მოვიდა? ამის მოგონება კი უჭირდა... ეს ღამეა თავი... უკვე სისხლი შეხმობია...

შემოვიდა ხელმწიფე.

— დევი! რა გიჭირავს ხელში?

ვენი დაიხარა, არ იცოდა, რა ეპასუხა. მან ფრთხილად დადო სავარძელზე ნილუფარის თავი, წამოდგა და თავყვანი სცა თავის მბრძანებელს.

— ქალბატონს ახალი სიამოვნება სწადია? — მან გაიციანა.

ვენი შეკრთა. სიამოვნება! ნუთუ ახლა სიამოვნება ესაჭიროებოდა მის გულს? უცებ ყელი გაუშრა. სამინელი წყურვილი იგრძნო. სახე გაუფითრდა. მანიბანდჰი გაოცებით და ეჭვის თვალით შესცქეროდა მოცეკვავეს.

მონაქალმა ნაჭერში შეახვია ეგვიპტელის უსიცოცხლო თავი და პალატიდან გაიტანა. ვენიმ ღვინო ჩამოასხა ფიალებში. ერთი მათგანი მანიბანდჰს გაუწოდა.

— დევი! დღეს პირველი დღეა ჩვენი მეფობისა! დიდი სიხარული გვეწვია.

ვენიმ სულმოუთქმელად დაცალა ფიალა და ისევ შეავსო. უცებ მას გაახსენდა დღე, როცა კიკათის მთავარმა განიზრახა ძალით ჩაეგდო ხელში... არავინ გამოეჭომაგა მაშინ, თვითონაც გამბედაობა დაკარგა. მხოლოდ ვალიბჰითურმა დაიცვა იგი..

— მეამბოხეთა წინამძღოლი ცოცხალად შეუპყრიათ... — თითქოს ძილში ჩაესმა მანიბანდპის სიტყვები.

— ვისზე ამბობთ, ხელმწიფევე?..

— შენ იცნობ იმ კაცს, დევი...

ვენიმ ფიალა დაცალა. და ისევ შეავსო ღვინით. მერე ჩუმად გაიცინა. მას არც ლაპარაკი უნდოდა, არც ფიქრი...

— იმან გააშმაგა ის პირუტყვები...

ვენიმ რამდენიმე ყლუბი მოსვა.

— ვინ იმან? იმ შეშლილმა? ვიშვაჯითმა?

— არა, ვენი! ვიშვაჯითი სულელია და მეტი არაფერი. იგი ახლაც თავისუფლად იხეტიალებს ქალაქში, როგორც ჩვენი სამეფოს ძლიერების დამამტკიცებელი საბუთი!

მანიბანდპმა გაიცინა. ვენიც უაზრო სიცილს მოჰყვა და კვლავ შეავსო ფიალა.

— რა გიხარია? — შეეკითხა მანიბანდპი და მოცეკვავეს მკლავში ზელი მოჰკიდა.

— ჩვენ ხომ გავიმარჯვეთ, მანიბანდპ!.. — მხიარულად მიუგო ვენიმ. — მაგრამ რატომ არ იტყვი, ვინ არის ის მეამბოხე?

მანიბანდპი დაჟინებით ჩააცქერდა თვალებში.

— ვერ ზედები?

— ვერა!

— ვილიბპითური!

ვენიმ კვლავ გადაიხარხარა. სასახლის ფანჯრებს იქით მისალმების შეძახილები გაისმოდა: თავის მბრძანებელს აღიდებდნენ ჯარისკაცები.



სახლების ჩაშავებულ ნანგრევებს ჯერ კიდევ ასლიოდათ კვამლი. კენესოდნენ ნანგრევებში მოყოლილი დაქირლები; ირგვლივ ჩანდა მოკლულთა გვამები — უთავო, ხელებდაქრილი და ფეხებმოკვეთილი; ზოგ მათგანს შუბი ჰქონდა გაყრილი გულში. ნანგრევებს შორის ირ-ხეოდნენ ჩამომხრჩველ ბავშვთა გვამები.

მაგრამ ბაზრებში უკვე გაცხოველებული ვაჭრობა მიმდინარეობდა. უცხოელ ვაჭრებს, დამყარებული წესრიგით კმაყოფილთ, ყველაზე ძვირფასი, ნაირ-ნაირი საქონელი გამოეტანათ დუქნებში.

მოჭენჯო-დაროს ორი მთავარი ქუჩის გადაკვეთაზე, რომლებიც ფარ-თო მოედანს ქმნიდნენ, მოკლულებს აგროვებდნენ, საზიდრებზე ყრიდნენ და ქალაქგარეთ მიჰქონდათ. მონებმა ქვაფენილი მორწყეს და ყვავილე-ბის გირლანდები მოიტანეს. შუაგულ მოედანზე, ძველი ქვის კვარცხლ-ბეკის პირდაპირ, ხის ეშაფოტი ააგეს. ტრიუმფალურ თაღებზე ფრია-ლებდნენ დროშები.

ღია ფერის ახალ ტანისამოსში გამოწყობილი ჯარისკაცები ქალაქ-ში დაეხეტებოდნენ და ღვინის დუქნებთან ჩერდებოდნენ. მათ ართობ-დათ ნახევრად შიშველ მროკავთა ყურება. გამარჯვებით ალტაცებული ჯარისკაცები ყვავილებს ესროდნენ მოცეკვავეებს.

ცხელი შუადღე რომ დადგა, ქალაქის მკვიდრნი წამების ადგილს მოაწყდნენ. ძარღვებში უკვე გასცივებოდათ სისხლი და თვითონაც უკვირდათ, რა გაბედულად იბრძოდნენ ისინი დიდებული ვაჭრის ჯა-რისკაცთა წინააღმდეგ. შეშინებულნი და ენაჩავარდნილნი იყრიდნენ თავს მოედანზე. ხანდახან წინ მდგარნი, უკანათაგან შევიწროებულნი, ძალიან ახლოს მიდიოდნენ ეშაფოტთან. მაშინ მხედართმთავარი ყვი-როდა: „უკან დაიწიეთ! უკან დაიწიეთ!“ ჯარისკაცები ხელკეტებით და-ერეოდნენ ხოლმე ხალხს და უწყალოდ სცემდნენ, მაგრამ არავის შეეძ-ლო წინააღმდეგობა გაეწია. მოქალაქენი უსიტყვოდ იხევდნენ უკან. ისინი ცხვრის ფარას ჰგავდნენ. და განა შეიძლება სხვაგვარად მოექცე პირუტყვის? მოქალაქენი ფერმიხდილნი და გამხდარნი იყვნენ. შიმში-ლით იტანჯებოდნენ, მაგრამ საჭმელს ვერ შოულობდნენ. ახლა ისინი ბატონის მონა-მორჩილნი გამხდარიყვნენ.

ქალები გულზე იხუტებდნენ გაღუულ ბავშვებს. წინათ, როცა დღე-

სასწაულზე ან ტაძარში მიდიოდნენ, მათ შეეძლოთ მოხუც ქალთა ანაბარა დაეტოვებინათ ბავშვები შინ. ახლა მრავალნი გამოეთხოვნენ სახლ-კარსა და ნათესაებს. ბავშვებს, ყველაზე ძვირფასთ, რაც მათ ებოდათ, აღარ შეეძლოთ მშვიდად სძინებოდათ აკვნებში.

უცებ მოხმაურენი გაჩუმდნენ. ასეთი სიჩუმე ჯერ არასდროს არ ყოფილა მოქენჯო-დაროს საზეიმო თავშეყრასა თუ ღღესასწაულებზე. დაჰკრეს დაფდაფები.

მონამ საჩაროდ გამოაცხადა:

— მეფე მანიბანდძ დიდი, ინდის ხეობის ქვეყნებისა და დრავიდთა ყველა ქვეყნის ერთგამგებელი, დამცველი რწმენისა და კანონისა!..

ყველანი წამოდგნენ. ჯარისკაცებმა შესძახეს:

— ცოცხლობდეს მეფე მანიბანდძ დიდი!

მანიბანდძი ლომის ნაბიჯით უახლოვდებოდა ეშაფოტს. მას უკან მოჰყვებოდა ვენი. მათ მოსდევდნენ მონები და მონაქალები, რომლებსაც ღვინით სავსე ჭურჭლები და ფიალები მოჰქონდათ.

ნაგვიანვე ოხვრასავით აღმოხდა ხალხს:

— ცოცხლობდეს მეფე მანიბანდძ დიდი!

მეფის მხედართმთავარმა შესძახა:

— დიდება ამა ქვეყნის მაღალ ღმერთს!

ხალხმა ხმამაღლა გაიმეორა ეს სახოტბო სიტყვა, თუმცა ყველას სევდა-ნალღველი აწვა გულზე. ის, ვინც ღღეს ოქროს ტანტზე დაბრძანდება, არის მომნიჭებელი სიცოცხლისა და სიკვდილისა. არავის შეეძლო წინ აღსდგომოდა იმას, რაც ხდებოდა.

მანიბანდძი დაჯდა, მის უკან ჩამოსხდნენ დიდებულნი.

ჯარისკაცებმა უკან დაახვეინეს მონებს. მათ ადგილას ტყვეები გამოიყვანეს; ხელები ჰქონდათ გაკრული.

ვენი თვალმოკუტული იყურებოდა ირგვლივ. რა საჭიროა ეს ამდენი ხმაური? მონაქალმა ფიალა აავსო და ქალბატონს მიაწოდა. ვენი დაეწაფა სასმისს.

— დევი! კურთხეულ იყავ! — დაუძახა შუმერმა მეომარმა.

ვენიმ შეხედა და გაიცინა. სიმოვრალემორეული, ადგზნებული პეალები ჰქონდა მოცეკვავეს. დროდადრო ჟრუანტელი უვლიდა ტანში.

ვენის მზერა ტყვეებზე შეჩერდა. დაბინდულ თავში გაუელვა აზრმა: „ახლა მას მოკლავენ ხალხის დასაშინებლად! შენ კი გულგრილად უცქერ...“ შავი ბურუსი გადაეთვარა მის გონებას...

ვენი შეკრთა. მან ხელი გაიწვდინა მანიბანდპისაკენ, მთელი ტანით გადაიხარა მისკენ და ლულულულით ჰკითხა:

— ხელმწიფევ! აგერ ის... ვინ არის იგი, ხელმწიფევ?

მანიბანდპს დინჯად ეჭირა თავი. მან ვენის მზერას თვალი გააყოლა და ამაყად წარმოთქვა:

— ეგ მეამბოხე კაცი პოეტია, დევი!

— პოეტი!.. — წაიდუღუნა ვენიმ. — რომელი პოეტი?

— ვილიბპითური!

ვენიმ გაიცინა.

— მაშ ისიც... ისიც... — დუღუნებდა მოცეკვავე.

მანიბანდპი თვალს არ აშორებდა მას.

— ეჭეი, მონაქალო! — თქვა ვენიმ.

— გისმენთ, ქალბატონო!

— ერთიც დამისხი!

მონაქალომა ფიალა აუვისო. ვენიმ სულმოუთქმელად დაცალა.

მაშინ მანიბანდპი მიბრუნდა და გასძახა:

— მონაქალო!

— გახლავართ, ბატონო!

— არა, შენ არ მინდიხარ!

მანიბანდპმა თვალი მოავლო ირგვლივ და ამენ-რას ნაჩუქარ მონაქალს ანიშნა. მონაქალი მოვიდა. მანიბანდპმა რაღაც ჩასჩურჩულა.

— როგორც მიბრძანებთ, ხელმწიფევ! — მიუგო მონაქალმა და მაშინვე განშორდა.

ვენის თანდათან უფრო უმძიმდებოდა თავი. მოცეკვავეს უკვე აღარაფერი ესმოდა, მხოლოდ და მხოლოდ იცინოდა. მერე მოაგონდა ნილუფარის ნათქვამი — მოძალადეები ყველანი ერთნაირი არიან, გინდ მოჰქენჯო-დაროდან იყვნენ ისინი, გინდ კიკათიდან თუ ელაშიდან... ეგვიპტიდან თუ შუმერიდან... ერთნაირი არიან... ყველანი ერთნაირი არიან... ასე თქვა ნილუფარმა...

ქუთუთოები დაუმძიმდა. სიჩუმე ეწადა ვენის სულს, ხალხი კი ხმაურობდა, ჯარისკაცები ხმამალა ყვიროდნენ... რა აყვირებთ? ნუთუ არ შეუძლიათ წყნარად ილაპარაკონ?.. ვილიბპითური... მაშ ისიც... ისიც... მეამბოხეა... მხედართმთავარი... დამცველი...

სათითაოდ მოჰყავდათ ტყვეები. მანიბანდპმა სიამაყით ახედა ცას. თვით ქარი უმღეროდა სადიდებელს! ეს ტყვეები... ტანისამოსი შემოგლეჯიათ... სხეული ჰრილობებით აქვთ დაფარული... მაინც არ მოიხარეს ქელი. ტყვეთა გამოხედვა მშვიდია და უშიშარი, მათი ღირსება და

სიამაყე გაუტეხელია. მათ წინაშე იჩრდილება მანიბანდპის მთელი სამეფო დიდებულება! განა იგი თავისი სიმართლის დამამტკიცებელია? მას მხოლოდ მახვილის დატრიალება შეუძლია...

დუმილითა და შიშით ადევნებდნენ თვალს მცხოვრებნი, რაც მათ ირგვლივ ხდებოდა. ფიცარნაგზე მჭდარი ჯალათები მოემზადნენ. პირისახე ლენისაგან ასწითლებოდათ და ამის გამო კიდევ უფრო სასტიკი ჩანდნენ. როცა იცივოდნენ, თეთრი კბილები თვალბედითად უელავდათ. ამ აღამიანებისაგან არ შეიძლება ელოდე დანდობას!

ბრბოში ჩუმი ლაპარაკი გაისმა. აგერ ჯალათის საზარელი კუნძი; მასზე თავს დაადებინებენ ტყვეს, აღმართავენ პირფართე მახვილს... და...

ბევრნი ტყვეებს შორის თავიანთ ნათესავეებს ცნობდნენ, და ჰკვივლისაგან გული უსკდებოდათ. სულ ცოტა ხნის წინ ესენი იყვნენ ბავშვები, რომლებსაც მამები მუხლებზე დაისვაგდნენ, ეფერებოდნენ და აჰმევენდნენ, ახლა კი... ყოვლად ღირსი ვარაჰა, რომლის ბრძანებითაც ქალაქის მცველები მანიბანდპის მხარეზე გადავიდნენ, ვეზირთ უპირველესი გამხდარიყო და მეფის გვერდით იჯდა. თავს ოქროს დიადემა უმშვენებდა. მოქალაქენი ბრაზით შესცქეროდნენ მოღალატეს.

ვენი ბრბოს ათვალიერებდა. რა მხდალნი და უბადრუკნი არიან ყველანი... ისინი სძაგდა ვენის. მაგრამ რატომ ეწადა მის გულს შეწყალება? რა აღელვებდა?.. აი, მზე ჩავიდა... მალე კვლავ დაბნელდება!..

ამ დროს დაბრუნდა მანიბანდპის გაგზავნილი მონაქალი.

— თქვენი ბრძანება შესრულებულია, ხელმწიფევი! — უთხრა მან. ვენიმ მანიბანდპს შეხედა: იგი ისე ზვიადად იჯდა, როგორც თვით ქედმაღლობა.

მხედართმთავარმა შესძახა:

— ისმინეთ, ქალაქის მკვიდრო! ისმინეთ! მეფე მანიბანდპ დიდმა, ინდის ხეობისა და დრავიდთა ქვეყნების ერთგამგებელმა, სარწმუნოებისა და კანონის დამცველმა, სახელოვანმა გმირმა ბრძანა ღვთის შეურაცხოფის გამო დავსაჯოთ მემამბოხენი. როგორც მიწათმოქმედი იცავს ფრინველთაგან თავის ყანას, ისე გარიდებთ დიდი მეფე მტერთაგან საფრთხეს... აბა, მოქალაქენო, დასძახეთ: „მანიბანდპ მეფეს...“

— ...დიდება! — შეეხმიანა ბრბო.

დაჰკრეს დაფდაფები.

ახოვანმა ზანგმა მახვილი შემართა. ჯარისკაცებმა ხელი სტაცეს პირველ ტყვეს და კუნძთან მიათრიეს. ძრწოლვით შეჰკუთრებდნენ მოქალაქენი, როგორ გაგორდა მიწაზე მოკვეთილი თავი. ბევრმა შიშისაგან

შეპყვირა. გაშმაგებული, თვალბდაქყეტილი 'შესცქეროდა ხალხი სიკვდილით დასჯას. იზრდებოდა მოკვეთილ თავთა გროვა. ზედიზედ მოპყავდათ ტყვეები, და ისევ ისე ულმობლად აღიმართებოდა ჯალათის მახვილი.

უცებ ხალხი აჩოჩქოლდა. მანიბანდჰმა თავი ასწია.

ეშაფოტზე ვილიბჰითური იდგა. იგი თვალს ავლებდა ქვის კვარცხლბეკზე 'შეკრებილთ. ყველაზე წინ იჯდა მანიბანდჰი. მის ფერხთით ისწდნენ ელამელი, შუმერელი, ეგვიპტელი და კრეტელი სტუმარნი...

პოეტი ჯალათს მიუბრუნდა:

— მზადა ხარ?..

ჯალათი შეკრთა. რა შეუპოვარია ეს მეამბოხე!

პოეტმა კვლავ გაიხედა კვარცხლბეკისაკენ, და მაშინ დაინახა ვენი. პოეტს ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. ტანისამოსი შემოგლეჯოდა, მხარი გასისხლიანებოდა... მონაქალმა აღასრულა მეფის ბრძანება: ახლა ვილიბჰითურს გულზე ეკიდა ნილუფარის თავი; მისი თმა ყელზე შემოჰხვეოდა პოეტს.

ვენის გული აუკანკალდა. მოცეკვავემ ვერ გაუძლო პოეტის მზერას და თავი ჩაღუნა. მერე შეპყვირა, ხელი ასწია და ღვინო მოითხოვა. ფილა თვალის დახამხამებაში დაცალა.

პოეტი ამაყად იცქირებოდა გარშემო. ახლა იგი თვით მეფეზე მალლა იდგა...

ყველანი გაჩუმდნენ. ეს ხომ მხედართმთავარია! იგი არ შეიძლება შეურაცხყო რაიმე სიტყვით. მას სახელოვანი ქალის თავი ჰკიდია კისერზე. ქალი მეუღლეზე ადრე გამოესალმა სიცოცხლეს...

მაშინ კი ჯარისკაცებმა შეპყვირეს, — ეშინოდათ ამ ავის მომასწავებელი მღვთმარებისა. მაგრამ გამარჯვების ყიჟინა, მათ რომ დასცეს, უსუსურად განიბნა ჰაერში: ხალხი აღუშფოთველი იყო.

ვილიბჰითურმა გაიღიმა.

— ვილიბჰითურ! შენც მიდინხარ? ვინლა იძიებს შურს ამ უკეოურებზე? — გაისმა ხალხში.

მოქალაქეებს შიში გადავიწყებოდათ და ქვითინებდნენ.

— ნუ მიგვატოვებ, მხედართმთავარო!

ვილიბჰითური მოკვდება, მაგრამ სამუდამოდ დარჩება მათ გულში... ჯარისკაცები ხალხს მისცვიდნენ. შეეშინდათ, ვაითუ ისევ ამბოხება დაიწყოსო.

ხალხში გაისმა შეძახილი:

— დიდება ჩვენს მხედართმთავარს!

ათასობით ბაგემ გაიმეორა ეს სიტყვები. პოეტმა გაიღიმა და ვენის შეხედა.

დღეს ადამიანები უკანასკნელად ესალმებოდნენ თავიანთ მხედართმთავარს. აი, იგი ქედღუხრელი დგას! ვინ იტყვის, რომ დამარცხდა? დღეს ვილიბჰითური ჭეშმარიტად გამარჯვებულია! უკანასკნელად სცემს პატივს თავისუფლების ლაშქარი თავის მხედართმთავარს, უკანასკნელად ისმენს ნილუფარი მის გულისცემას. უკანასკნელად შეჰყურებს ვენი...

ხმაური თანდათან ძლიერდებოდა, და მანიბანდჰმა შესძახა:

— ეჰეი, მხედართმთავარო! ჩქარა დაამთავრე!

მხედართმთავარმა ნიჟარა აახშიანა.

ხალხის მისასალმებელი შეძახილებით შემოფოთებულმა ჯალათმა მიუგო:

— ბრძანეთ, ბატონო!

ბრბოში აღიმართა ათასობით ხელი. დედები ყვიროდნენ:

— შვილო! ნუ მიგვატოვებ!

ხალხი შეირხა. ვილიბჰითურმა ხელი ასწია.

— მშვიდობით...

— დიდება ვილიბჰითურს, სიცოცხლის დამცველს!

კვლავ დაისადგურა მდუმარებამ. რა მშვენიერია უკანასკნელი წამი! გაივლის ეს წამი, და პოეტი აღარ იქნება ამქვეყნად. მას არ აუგებენ პირამიდას. მაგრამ იგი იცოცხლებს, იგი არ მოკვდება!

ვილიბჰითურმა ისევ ასწია ხელი და ვენის შეხედა. სახეზე კეთილი ღიმილი დასთამაშებდა.

პოეტი უშფოთველია. ვენის მოეჩვენა, რომ მთელი სამყარო — ცაზე გართხმული ღრუბლები, მიწა — ყველაფერი დატრიალდა...

ჯალათმა მახვილი შემართა. ხალხმა თვალი დახუჭა. ქალებს შესაბრალისი ოხვრა აღმოხდათ:

— ვილიბჰითურ!..

— მხედართმთავარო!..

ბიჭუნა ნილუფარის ძვირფასეულობით ხელში პოეტისაკენ გაექანა, მაგრამ ჯარისკაცებმა ხელი ჰკრეს...

აი, ნილუფარის თავი მიწაზე გაგორდა. ძირს დაეცა პოეტის მოკვეთილი თავიც.

გაისმა მქუხარე ხმა:

— ვილიბჰითურს დიდება!..

— დიდება! — აჰყვა მოქვეითინე ხალხი.

ვილიბპითურმა ჭეშმარიტად გაიმარჯვა. იგი მკვდარიც მეუფებს ხალხზე!..

მანიბანდპის გული სიძულვილითა და რისხვით აღივსო.

ახლა სხვა ტყვეები გამოჩვენეს დასახოცად, რათა სამეფოსთვის გზა გაეკაფათ, ამტვრევდნენ ჭეშებს — იმ ჭეშებს, რომლებიც ნამსხვრევებად ქცეულნიც კი არასოდეს გაქრებიან, არამედ მტერის მარცვლებად ქცეულნი, მეფეთა პურში მოხვდებიან ხოლმე და კბილებში აწიკწიკდებიან.

დაპკრეს დაფდაფები. მეამბოხეთაგან აღარავინ გადაჩა ცოცხალი. დათრგუნვილნი, დამცირებულნი ბრუნდებოდნენ ადამიანები თავ-თავიანთ სახლებში. ისინი მიუსაფრად დარჩნენ მოციმციმე ვარსკვლავებს ჭეშე. ამიერიდან აღარ იქნება მხიარული ცეკვა. სამუდამოდ გაქრა სიხარული...

ხალხი წავიდ-წამოვიდა. ვილიბპითურის უსულო თავი ღიმილით შეს-ცქეროდა მათ. დაცინვა ხომ არ გამოსჰვიოდა უსიცოცხლო მზერაში? არა!

მანიბანდპმა ვენის შეხედა, — ქალი გახევებული იჯდა. ვილიბპითურმა მიუტყვა. იგი წავიდა — ჭეშმარიტი მეუფე ხალხისა, გული ხალხისა. აღარასოდეს გაისმება დრავიდი პოეტის სიმღერა.

მთელი სამყარო ძრწის... პოეტის სხეული დაჯიჯგნილია და სისხლში მოსვრილი... ხალხი ტირის და მოთქვამს... ასე როგორ შეიძლება უყვარდეს ათასობით ადამიანს ერთი კაცი?

მანიბანდპი წამოიძვრა. ვენი ისევე ჩაფიქრებული იჯდა.

— წავიდეთ, ქალბატონო! — უთხრა მანიბანდპმა.

მაგრამ ვენიმ ვერ გაიგო მისი ნათქვამი. მან უაზროდ შეავლო თვალი მანიბანდპს.

— წავიდეთ, ქალბატონო! — გაუმეორა მანიბანდპმა.

ვენის შეკრთა და წამოდგა.

— თქვენ ძალიან ბევრი დალიეთ!

— მე?—ვენიმ გაიცინა და წაბარბაცდა. მანიბანდპმა ხელი შეაშველა. ქალი დაეყრდნო და წინ წავიდა. ბაგეზე კვლავ დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა, თვალებში ნაპერწყმები უკრთოდა...

ეტლი დაიძრა. აწკარუნდნენ ზანზალაკები. ჭარისკაცებმა, რომლებიც მეფეს შემორტყმოდნენ, მძიმე ნაბიჯით გასწიეს წინ. აკრიალდა მუსიკა. ათასობით ხალხი თაყვანს სცემდა თავის მბრძანებელს.

— ხელმწიფე, რატომ იხრება ხალხი? — გაკვირვებით შეეკითხა ვენი. — ნუთუ ისინი წელში არიან გამტყდარნი?

— ქალბატონო! — წამოიძახა შემკრთალმა მანიბანდპმა.

ვენიმ კვლავ გაიცინა.

მანიბანდჰს ისევ ამაყად ეჭირა თავი. ვენი გვერდში უჭდა და თავი მხარზე მიედო. მანიბანდჰს ეგონა, რომ ქალი მისი ხელისუფლების დიდი ზემომის ცქერისაგან ჰკუთხუ შეცდა.

ეტლი გაჩერდა. მანიბანდჰი ჩამოსვლაში მიეშველა ვენის. მხარში ამოუდგა, სასახლეში შეიყვანა და მონაქალებს გადასცა. მათ ქალთა პალატში წაიყვანეს იგი. მონაქალების მხრებზე დაყრდნობილი ვენი ისევ იცინოდა.

მანიბანდჰმა თავის ოთახს მიაშურა. აი, როგორც იქნა, მიაღწია მეფობას! ყველანი უფრთხიან. მაგრამ რა შეიცვალა? დღეს მას არა ჰყავს ახლობელი ადამიანი. იგი ისევ მარტოდმარტოა!

შემოვიდა ვარაჰა.

— ხელმწიფევ!

— ვინა ხარ?

— თქვენი ვეზირი, ხელმწიფევ! თქვენს ბრძანებას ველი! ამენ-რას სასახლეში განის უხუცესი და ვაქარ ჩანდრაჰასის ასული არიან დამწყვდეული. რას მიბრძანებთ, ხელმწიფევ?

— გაუშვით!

— კი მაგრამ, ისინი ხომ ხელახლა ატეხენ ამბოხებას, ხელმწიფევ? ვილიბითური ისევ ცოცხალია ხალხის გულში.

— რახან აგრეა, გაანადგურეთ, ვეზირო! მე არ მინდა, რომ ისინი მრავალი ადამიანის მკვლელობის მიზეზი შეიქნენ!

ვარაჰა განშორდა.

ხელისუფლების განუზომელმა, დაუმცხრალმა წადილმა შეიპყრო მანიბანდჰი. მას სურდა, რომ ხელის ერთ გაქნევაზე თვით მზეც დამორჩილებოდა, ქარიშხალი გარინდულიყო. დაე, ზეციდან გარდმოხდნენ ვარსკვლავთ კრებულნი და ფერხთ ემთხვიონ...

უსაზღვროა წადილი მეუფებისა. მიწის მფლობელს ზეცის დაპყრობაც უნდა...

ჩამობნელდა. ლაშქრები აინთო. თითქოს მთელი სასახლე ბანაობდა საკმევლის სურნელოვან ტალღებში. მემუსიკენი საკრავთა სიმებს ათრთოლებდნენ. ირგვლივ ირხეოდა ყურთასმენის დამატკობელი ჰანგები.

მთავარ შესასვლელთან მანიბანდჰის ჯარისკაცებსა და მსახურთ მოეყარათ თავი. ახლა ისინი ქალაქის ბატონ-პატრონები არიან. ჯარისკაცები ოხუნჯობდნენ; წამდაუწუმ გაისმოდა ხარხარი. მხილველთა ნაამბობში მეტი სიცრუე იყო, ვინემ სიმართლე. ჯარისკაცები ღვინოს სვამდნენ. მათ შორის ტრიალებდა თითქმის ტანშიშველი მოცეკვავე ქალი,



იგი ფიალებს უვსებდა ღვინით. გამომთვრალი ჯარისკაცები სულელურად იცინოდნენ და ხარბი თვალებით ჰამდნენ ტანწერილ ქალს...

ამ დროს ვილაც კაცი გადმოხტა სასახლის გალავნიდან. ტანისამოსი ჭუჭყიანი ეცვა, თავი გასისხლიანებოდა, თმა შეწებებოდა.

ბერიკაცი მიწაზე გაწვა და დააყურა. ირგვლივ სიჩუმე იყო. იგი წამოდგა და სასახლისაკენ გაემართა, თან ხეებს ეფარებოდა. ერთი ფიქრილა უტრიალებდა ახლა თავში: საკუთარი ხელით მოეკლა მანიბანდჰი...

სვეტდასვეტ მიიწვედა წინ ვიშვაჯითი. ერთ ოთახში შეიხედა, — ცარიელი იყო. იგი შევიდა და სასახლის უზარმაზარი პალატის სიბნელეს შეერია. თვლემა და ხმატკბილი ჰანგები განცხრომას ქმნიდნენ. სიმები დროდადრო ხმამალლა, მკაფიოდ ჟღერდნენ, ზოგჯერ კი გრიგალივით ამოიჭრებოდნენ. ისმოდა ფეხის რგოლთა წკარუნი. მერე ხმები ყუჩღებოდნენ, თანდათან ილეოდნენ, თითქოს რაღაცას იხვეწებინათ.

გარშემო ლამპრები ენთო. სიბნელეში მათი ალი მოციმციმე ოქროსფერ წვეთებს ჰგავდა, შორიდან კი უკიდევანო ცაზე მიმობნეულ ვარსკვლავებს.

ყველგან ყვავილების გირლანდები ეკიდა. ქარი მათი სურნელით იყო გაჟღენთილი...

სურნელოვან კვამლში გახვეულ დარბაზში გვერდიგვერდ ისხდნენ ვენი და მანიბანდჰი. ქალმა ცოტა დაისვენა, ტბაში იბანავა და ღვინო თითქმის გამოუხედა.

ვენიმ მაცდურად აძგობა შეღებილი წარბები, მიბნედილი მზერა მიაპყრო მანიბანდჰს და თვალები დახარა... მანიბანდჰს მოეჩვენა, რომ თვით ქალურობის განსახიერებამ ჩახედა გამომწვევად სულში.

მანიბანდჰმა ღვინით სავსე ჭურჭელი ასწია და ფიალა აავსო. რომ დაინახა, როგორ იღვრებოდა სასმისში სისხლისფერი ღვინო, ვენი აკანკალდა. რა საშინელი სიზმარი ნახა შუადღისას! მის გახსენებაზე თმა ყალყზე დაუდგა...

ალმასით მოოჭვილი ფიალა პირთამდე იყო სავსე აქაფებული ღვინით. მანიბანდჰმა ფიალა ვენის გაუწოდა.

— საყვარელო!

მას „ქალბატონი“ არ დაუძახია, როგორც იცოდა ხოლმე. ვენი უაზრო თვალებით შესცქეროდა მანიბანდჰს, გული ეჭკვებით ჰქონდა ავსებული. ქალმა ფიალა გამოართვა და თქვა:

— შხამი... შხამი...

ამ დროს ვენის გაახსენდა, რომ ვილიბჰითურმა მიუტევა დანაშაული. მანიბანდჰი ნელ-ნელა წრუპავდა ღვინოს. უცებ ვენიმ გაიცინა. იგუ

ისევ დამთვრალიყო. დღისეულმა ქეიფმა მოთენთა იგი. ღვინო თითქოს სიცოცხლესა და სითბოს უღვრიდა სხეულში, თუმცა თავი კი დამძიმებულია.

ორივენი ღუმდნენ. მერე გაისმა მანიბანდპის ზმა. ვაჭარი ზარხომორეული თვალებით შესცქეროდა და ეუბნებოდა:

— დღეს, შენ ეს კარგად იცი, ვენი, შევასრულე ცხოვრების სასტიკი მოვალეობა. ამიერიდან დიდი ხელმწიფე ვარ! არვის ძალუძს მე გამიტოლდეს. თვით ეგვიპტის ფარაონიც ქედს მოიხრის ახლა ჩემ წინაშე! აქამომდე მოქენჯო-დარო პირველი იყო ვაჭრობასა და ხელოვნებაში, მაგრამ ახლა მანიბანდპი მბრძანებლური ხელით ყველას ქედს მოახრევიანებს თავის წინაშე. ქვეყნად ვერც ერთი ადამიანი ვერ გაბედავს ამაყად აწეული თავით მოვიდეს მანიბანდპთან. დღეს მანიბანდპი უძლეველია. იგი ისე იბრძოდა, თითქოს დიდი მაჰადევის ძალ-ღონის პატრონი ყოფილიყოს. მან უკუაქცია და გაფანტა მტერი!..

მანიბანდპი თავისი თავით კმაყოფილი ილიმებოდა. ხელი, რომელშიც ფიალა ეპყრა, უკანკალებდა, და ღვინოც მოძრავი ჩანდა. მან ფიალა გამოცალა. ვენიმ ისევ აუვსო.

— წინათ ცხოვრება მაიას უსასრულო ქსელივით იყო გაშლილი ჩემ წინაშე, — ამბობდა იგი. — ახლა მე მასში ვიპოვე ცენტრი, საიდანაც შეეძლებ სამყაროს მართვას. მე, — იგი გაიჯგჷმა, — მე ყველაფერს დავიმორჩილებ!

ფიალა ისევ დაიცალა. და კვლავ აივსო. მანიბანდპს სახე წამოუჭარხლდა.

— ვენი, — შესძახა მან. — ამენ-რა ცოცხალი რომ იყოს, როგორ გაიხარებდა! დღეს ასრულდა ყველა მისი ოცნება. მას არა ერთხელ გავუფრთხილებივარ, რომ შეეცდომა არ დამეშვა. იგი ახლაც თვალწინ მიდგას...

ვენიმ გაიცინა. მანიბანდპი შეკრთა.

— რა გაცინებს, ვენი?

— არაფერი! ის რომ ცოცხალი იყოს?.. იგი მხოლოდ უბედურებას მომიტანდა, ამენ-რა რომ გვერდში ჰყოლოდა, მანიბანდპი დიდგვაროვან ქალს შეირთავდა, ხოლო ვენის გზიდან ჩამოიცილებდა...

მანიბანდპმა გოცებით შეხედა ვენის.

— დიდგვაროვან ქალს? — წამოიძახა მან.

— დიდგვაროვან ქალს! — გაიმეორა ვენიმ. ზმა მკაცრად უყდერდა — იმიტომ, რომ ვენი მხოლოდ და მხოლოდ მოცეკვავეა! სამეფოს ღირსება მოითხოვს, რომ ოქროს ტახტზე დიდგვაროვანი ქალი იჯდეს.

სხვაგვარად დიდებულები პატივს არ სცემენ თავიანთ მეფეს. მათ ხომ კარგად ახსოვთ, რომ ვენი მათხოვარი იყო, ქუჩებში ცეკვავდა. განა ეს შეურაცხმყოფელი არ არის სახელმწიფოსათვის? არავის სურს ჩაიხედოს მეფის გულში, მას მხოლოდ ოქროსა და ძალაუფლების გამო აფასებენ...

მანიბანდჰს გაეცინა. უცებ ვენიმ შეჰყვირა:

— მანიბანდჰ! ნუთუ ამისთვის მომეცი სიტყვა? განა ასეთ დასასრულს ველოდი? ჩანდრაპასის ასულს შეირთავ ცოლად? და შენ გგონია, რომ მაგაზე დაგთანხმდები?

ვენიმ ბოროტად გადაიხარხარა. მაგრამ მანიბანდჰმა უშფოთველად დაისხა ღვინო ფიალაში.

— დალევთ ღვინოს, დევი?

— არა!

მანიბანდჰმა გაიცინა.

— დამშვიდდი, ვენი! იცი თუ არა, ვინ იყო ის მანიბანდჰი, რომელსაც ახლა ელაპარაკები? იგი უბრალო მსახური იყო და სინდჰულათა ეძახდნენ. იცი რატომ მიღირს ასე ძვირად მოჰყენჯო-დარო? ერთხელ მეთევზეებმა მიპოვეს ოკეანის ნაპირას. მათ აღმზარდეს...

მანიბანდჰმა ღვინო მოსვა და განაგრძო:

— ინდმა აჩუქა მათ ჩემი თავი და ამიტომაც დამარქვეს სინდჰულათი\*. სიღარიბეს და ტანჯვას გავექეცი, გემის ტრიუმში დავიმაღლე და ეგვიპტეში ჩავედი. იქ შევიცან ჭეშმარიტად ცხოვრება; თითქოს თვალი ამეხილა. მთელი სამყარო გადაიშალა ჩემ თვალწინ...

სვეტს ამოფარებული ვიშვაჯითი შეკრთა.

— ...მეჩვენებოდა, რომ ეს სამყარო მიხმობდა, და მე გადავწყვიტე დამეპყრო იგი. მე ძლევამოსილი გავხდი. მე ყველაზე განთქმული მდიდარნი მცემდნენ თაყვანს...

ვიშვაჯითი ამოსუნთქვას ვერ ბედავდა, სმენად ქცეულიყო. თითქოს მის წინაშე მქლავნდებოდა საშინელი საიდუმლოება, რომლის ამოცნობასაც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ცდილობდა...

შემოვიდა მონაქალი და ხელახლა შემოიტანა ღვინით სავსე დოქი. მერე ლამპარს თავმომწვარი პატრუქი გამოუცვალა და შიგ ზეთი ჩაასხა.

მანიბანდჰმა ფიალა გაუწოდა ვენის.

— ერთიც დალიეთ, ქალბატონო! მე მსურს მთელი სამყარო დათვარეს და დატრიადღეს...

\* ს ი ნ დ ჰ უ ღ ა თ ი — ინდისაგან ბოძებული (ძველინდ.).

ვენის ახლაც ჩაესმოდა ყურში: „მე ყველაზე განთქმული მდიდარი მცემდნენ თაყვანს!“ მაგრამ ეს ზომ სიმართლეა, სასტიკი სიმართლე! რას დააკლებს მანიბანდჰს ვენის დაცინვა?

— არ არის ქვეყნად ძალა, რომელიც წინ აღმიდგება მე, — ამბობდა მანიბანდჰი. — ახლა ყველაფერი ჩემს ხელშია!

— ეჭვი, მონაქალო! — თქვა მან უცებ. — რატომ ხარ აქ კიდევ? მონაქალმა თაყვანი სცა და უპასუხა:

— მაპატიეთ, ბატონო, ფიქრმა წამიღო!

მონაქალი კარისაკენ გაეშურა. ვენი გააკვირვა მანიბანდჰის მოულოდნელმა უკმაყოფილებამ.

— ხელმწიფევე, რატომ გააგდეთ მონაქალი?

— დღეს ის არ არის საჭირო! დღეს უსაზღვრო სიხარულის დამეა. დღეს ჩვენ არავინ გვკვირდება! რა ამაყი ვარ, ვენი! ყველანი, ყველანი მიესალმნენ ჩემს გამარჯვებას... ვენი, შენ ალბათ ხვდები, რა ბედნიერი ვიყავი იმ დროს!

ვიშვაჯითმა ტუჩზე იკბინა. ეს რა ურჩხულია! ადამიანები, რომლებმაც ღირსება დაკარგეს, მიესალმნენ მანიბანდჰს, მაგრამ მას კი არ შებრალებია ისინი, არამედ მათმა შეძახილებმა კიდევ უფრო გააღვივეს მისი გულზვიადობა და ქედმაღლობის ცეცხლი. რა უღმობელი გული აქვს! ვიშვაჯითში მთელმა მისმა სიმამაცემ გაიღვიძა. მას ეჩვენებოდა, რომ ვიშალაქმას და ვილიბჰითურის სულელები უხმობდნენ და მოუწოდებდნენ, რომ სისხლით ეზღვევინებინათ მათი დაღვრილი სისხლი...

იგი არ აპატიებს! უცებ ვიშვაჯითს გული შეუქანდა. ნუთუ მკვლელობას გაბედავს? მანიბანდჰი სასტიკი მბრძანებელია. მაგრამ იქნებ ასე უწერია დაბადებიდან? იქნებ იმიტომ გახდა ასეთი, რომ მისი დედ-მამა, როცა ბავშვი ჭერ კიდევ არ იყო დაბადებული, ხშირად ლაპარაკობდნენ ამგვარ რამეზე?

იგი მისი შვილია. მანიბანდჰი ვიშვაჯითის ვაჟია. ახლა ეს უეჭველია. მაგრამ რა საშინელია ამ კაცისაგან ჩადენილი ამბები! იგი ცდილობდა თვითნებობად ექცია კანონი...

„წარჩინებული ადამიანი! კეთილშობილური სისხლი!“ ვიშვაჯითს გაეღიმა. არც თვითონ ყოფილა დიდებული. იგი მიჰყვებოდა ცხოვრების გზას, ამაყად თავაწეული, მას ეგონა, რომ მთელი სამყარო მის ფერხთა ქვეშ იყო ფართხმული. და აი, ერთხელ თითქოს მეჭი დაეცა. და ყველაფერი, რაზედაც წინათ ოცნებობდა, თვალის დახამხამებაში დაიმსხვრა.

...იმ საბედისწერო უამს, როცა ვიშვაჯითმა გაიგო, რომ დედამისი სატრფიალო კავშირში ყოფილიყო მონასთან, ბრაზისაგან გული კინალამ

გაუსკდა. ნუთუ მონის შეყვარება შეიძლება? ნუთუ ასე უნდა დაკნინდეს ადამიანი? მას არ ჰყავდა ნამდვილი მამა! არ იყო კაცი, რომელზედაც ხალხს შეიძლებოდა ეთქვა: „ვიშვაჯით, აი მამაშენი!“ და ვიშვაჯითმა გადაწყვიტა მოეკლა საკუთარი დედა.

მაგრამ რა შეიცვლებოდა ამით?! სულ ერთია, იგი მაინც მონად დარჩებოდა. ამიტომ ვიშვაჯითი მიბრუნდა და, გაბრაზებულმა, მოკლა დედაბერი, რომელმაც ეს საიდუმლო გაანდო. მამა! რაოდენი ტანჯვა იყო იმის შეგნება, რომ თვითონ განცხრომასა და ფუფუნებაში იზრდებოდა, ხოლო მამამისი — მონა, ემსახურებოდა და ცდილობდა ეამებინა მისთვის. სასოწარკვეთილებისა და გულგრილობის ბურუსმა მოიცვა ვიშვაჯითის სული. გონება დაუსუსტდა. იგი ღვინოს დაეწაფა. არ უნდოდა ენახა არც მრუში დედა, არც მონა მამა, არც ვაჟარი მამინაცვალი, რომელსაც დიდხანს მიაჩნდა თავის შვილად. იგი ღვინოში ბანაობდა. მთელი ქალაქი შეძრწუნდა, როცა ნახა, რომ მის გართობას და ავხორცობას საზღვარი არ ჰქონდა...

ერთხელ ვიშვაჯითის ქარავანი, რომელიც ეგვიპტისაკენ მიემართებოდა, მეკობრეებმა გადაარკვეს. როცა ამ ამბავმა ვიშვაჯითის ყურამდე მიადღწია, ფიალა ზელიდან გაუვარდა და ღვინო მიწაზე დაიღვარა. ვიშვაჯითი მათხოვრად იქცა. მაშინ უთხრეს ისიც, რომ ქარიშხალმა ჩაძირა გემი, რომელზედაც მისი ცოლი და ვაჟიშვილი იყო.

იმ დღეს მოქალაქეებმა პირველად გაიგონეს მისი შმაგი ხარხარი. ვიშვაჯითი ჭკუაზე შეცდა...

გავიდა მრავალი წელი. და დღეს ცოდვეები ახალი სახით წარმოუდგნენ. მისი ვაჟი მოცეკვავესთან ერთად ზის ტანტზე, ლხენა-სიამეს ეძლევა და ღვინოს შეექცევა. ვაჟი მათხოვრისა, რომელიც მეფე გახდა...

ხოლო მამა დანით დგას და უცდის ხელსაყრელ დროს, რათა საკუთარი შვილი მოკლას! ეს შეუძლებელია! ეს არასოდეს მოხდება! განა ვიშვაჯითს ძალუძს საკუთარი სისხლით შეღებოს მიწა?..

სწორედ ამ დროს ვიშვაჯითს ყურში ჩაესმა ვილიბჰითურის ხარხარი. თვალწინ წარმოუდგა ცეცხლში დამწვარი ბავშვი: „ნუთუ შენც დაგავიწყდი? განა ეგ შენი შვილია? შენი შვილი დიდი ხანია მოკვდა...“

მოკვდა? ვინ თქვა მოკვდაო? მაშ ვინ ზის აქ? მეფე!

ვიშვაჯითს ისევე აერია გონება. „არა, ეს შენი შვილი არ არის! ეს ათასობით ადამიანის მკვლელია... ათასობით ქმრის, მამისა და ვაჟიშვილის სისხლი ითხოვს ზღვევას. უსმინე დალუპულთ, ვიშვაჯით!“

მან გაიგონა, როგორ იკითხა ვენიმ:

— მანიბანდ! ჰკუაზე ხომ არ იშლები?

— არა, ვენი! — მიუგო აღგზნებულმა მანიბანდმა. — რამდენი დღე გავიდა! მე არასოდეს მითხოვია რამე შენთვის. დღეს მე ყველა დავამარცხე. ნუთუ შენ არ გახდები ჩემი გულის მპყრობელი?..

ვენიმ გაიცინა. მანიბანდი შეკრთა.

— რა დაგემართა?

მოცეკვავე შეშლილივით ხარხარებდა.

— ვენი! — შეჰყვირა მანიბანდმა.

ქალმა უცებ შეწყვიტა სიცილი. მანიბანდმა თქვა:

— დღესაც კი, საყვარელო... დღესაც კი...

მანიბანდი ბარბაცით წამოდგა.

— რად შექცევი აგრე სასტიკად, ვენი?

ქალი ადგა. იგი ფართოდ გახელილი თვალებით შეჰყურებდა მანიბანდს, ისევე როგორც ფურირემი შესცქერის მოაზლოებულ ჭიქს. ნუთუ დღეს დამარცხდება?

მანიბანდი აღგზნებული მიიწვედა მისკენ და ცდილობდა ხელში ჩაეგდო.

— მეფე ვერავისგან აიტანს აბუჩად აგდებას, ვენი! დღეს შენ უფლება არა გაქვს გაამაყდე! დღეს მთელი ქვეყანა ჩემია, ლაშქარი ჩემია, შენ ჩემი ხარ... მე მთელი მსოფლიოს მეუფე ვარ...

ვენიმ შეჰყვირა:

— შენ ჰკუაზე იშლები!

მან უკან დაიხია. მანიბანდი თვალების ბრიალით უტევედა, ტუჩები უთრთოდა. ვენი მიხვდა, რომ ყველა სიტყვა ამაო იყო.

მანიბანდი ხარხარებდა.

— ვინ არის ჩვენს შორის ჰკუაზე შეშლილი, დედაკაცო, — შენ თუ მე? შენ დაგავიწყდა, ვინა ვარ! მე ვარ მეფე, ამქვეყნად ღვთის თანაშემწე...

— სიცრუეა! — შეჰყვირა ვენიმ. — შენ მკვლეელი ხარ! შენ ადამიანის სახოვანი ავი სული ხარ! შენ მოჰკალი იგი... შენ ლაჩარი ხარ... ის კი გმირი იყო... ბელადი იყო... მთელ ქვეყანას სძულხარ, ნადირო...

ღელვისაგან სული შეუგუბდა.

— ცუდად წაგივა საქმე, ყოყლოჩინა დედაკაცო! — შეჰყვირა განრისხებულმა მანიბანდმა. — ტყავს გაგაძრობენ ზვალ... ძველი სატრფო გაგახსენდა?..

იგი ვენისკენ გაექანა. ქალმა ზმამაღალი ყვირილით მიაშურა კარს. ამ დროს მიწა შეზანზარდა. ვენი ბალში გაეარდა.

რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გარბოდა. მანიბანდჰი დაედევნა. მას მიჰყვა მოხუცი ვიშვაჯითი.

— ვენი! — ყვიროდა მანიბანდჰი. — ვენი! სად გარბიხარ?

მოცეკვავეს არ ესმოდა მისი. იგი უკვე მოედანზე იყო.

ვიშვაჯითი ყვირილით მისდევდა მათ, მაგრამ გრგვინვა ანშობდა მის ხმას.

— მანიბანდჰი! — ყვიროდა იგი. — შენ ჩემი შვილი ხარ! შესდექ შეხედე მამაშენს!..

იგი არ ფიქრობდა იმაზე, რომ მის წინ მკვლელი იყო, — ქარიშხალს მიაპობდა და თავის შვილისკენ მიეშურებოდა მამა...

მანიბანდჰმა მოიხედა; დანით ზელში მოსდევდა ბერიკაცი, მისი უკანასკნელი მტერი. რატომ აღრე არ გამოასალმა სიცოცხლეს?

იელვა... ვენი არ გაჩერებულა... ერთხელ ნილუფარი გაექცა, ახლა ვენი... მაგრამ ვერსად წაუფა...

— სადა ხარ, პოეტო? — ყვიროდა ვენი. — სადა ხარ? მიხსენი!

პასუხი არ იყო. მხოლოდ გრუხუნის მძლავრობდა ცაში.

— ვილიბპითურ! — ეძახდა მოცეკვავე. — ვილიბპითურ!

ვენის მხოლოდ ახლა გაახსენდა უბედური პოეტი, როცა იგი ცოცხალი აღარ იყო. ჰოი, დედაკაცო, მისი სულის ამფორიაქებელო! როცა იგი ცოცხალი იყო, შენ მშობარა გველივით უფრთხობდი! როგორ შემოგყურებდა სიკვდილით დასჯის წინ, ქედმაღალო დიაცო...

— ვილიბპითურ!.. ვილიბპითურ! — ყვიროდა ხელებგაშლილი ვენი. . ვიშვაჯითი დაეწია მანიბანდჰს.

— სად გარბიხარ? დაეხსენ მაგ ქალს!..

— ვინა ხარ, გზაზედ რომ მელობები! — შეჰყვირა მანიბანდჰმა. — ეს ქალი ვერსად წამივა! თვით ღმერთიც ვერ დააცხრობს ჩემს რისხვას! გაჩაღდა ბრძოლა.

— რახან აგრეა, მოგკლავ! — დაიქუხა ვიშვაჯითმა.

იელვა დანამ. ღრუბლებიდან ელვა გამოკრთა. მანიბანდჰმა ხელში ხელი ჩასჭიდა მოხუცს. მან მყისვე დააღწია თავი ვიშვაჯითს და დანა წაართვა. ბრანისაგან გაშმაგებული მოხუცი მანიბანდჰს ეცა...

ისევ გამოკრთა ელვა.. გაისმა ვიშვაჯითის საშინელი ყვირილი:

— შვილო! შენ მომკ...

ხმა ჩაუწყდა. მკერდზე ხელი იტაცა და ძირს დავარდა. მანიბანდჰმა შიზლით დააგდო მიწაზე დანა. მას არ გაუგონია მოხუცის სიტყვები.

ისევ გამოკრთა ელვა. მანიბანდჰმა დაინახა ვენი. ნუთუ დაემალება? სიამაყე ნებას არ მისცემს მანიბანდჰს აიტანოს ასეთი შეურაცხყოფა...

მიწის წიალიდან საზარელი გრგვინვა მოისმა. მაგრამ მანიბანდძს გული არ შეტოკებია. იგი გაშმაგდა. ნუთუ დღეს ეს ქალი დაამარცხებს? დღეს, როცა ათასობით ადამიანი შიშით დაემხო მის წინაშე?

უცებ ვიშვაჯითმა ხმამალლა გადაიხარხარა. მანიბანდძი შედგა.

— შეილო!

მანიბანდძი განცვიფრებული უყურებდა მოხუცს. შეილიო? ქარა-შხალმა ამოიღმუვლა. შეილი! მოხუცმა შეილი უწოდა თავის მკვლელს; მის ხმაში შესაბრალისად გაისმა სინაზე გულისა, რომელიც მზად იყო ყველაფერი ეპატიებინა...

— ვიშვაჯით!

— მანიბანდძ! — ამოიკენესა მოხუცმა. — შეილო! მე შენი... მე შენი... მამა ვარ... მამა ვარ, მანიბანდძ... შენ დამჭერ... შენ... შენ...

ეს რა ესმის მანიბანდძს? იქ ვენი გარბის, აქ კი შესაბრალისი ძახილი: „შეილო!“

ვიშვაჯითმა ისევ დაიკენესა.

— შენ არ მიცნობდი, — ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმით ამბობდა იგი. — მაგრამ, შეილო, მე მუდამ გელოდი შენ, თვით უკანასკნელ დღემდე... ჩემო ბიჭუნავ...

აგერ-აგერ გაუსკდება გული მანიბანდძს. ელვა კრთის. უკუნ წყვდიადში ქუხს ქარიშხალი. გრუხუნებს მიწა, თითქოს მთები მოსკდნენო ზევადალ...

მანიბანდძის ხელში მახვილმა გაიელვა. მან ორთა ბრძოლაში გამოიწვია წყვდიადი და შეჰყვირა, თითქოს არ სურდა გაეგონა ვიშვაჯითის, ამ შეშლილის ხმა:

— ვენი! ვენი!

მისი ძახილი მიწის გრგვინვაში შთაინთქა. გააფთრებისაგან სული შეუგუბდა. კანკალმა აიტანა.

მაგრამ ეს რა არის? ფეხქვეშ მიწა ირყევა... მანიბანდძის ბაგეებმა წაიჩურჩულეს: „მიწა იძრა!“ ვენი!.. დაე, მოკვდეს!.. მიწისძვრა... ყველაფერი აირია.

სინაზით აღსავსე ხმა ეძახდა:

— შეილო!.. მოდი გულში ჩამეკარ... მე დაგიფარავ...

მანიბანდძი ფეხზე ძლივს იდგა.

საშინელი ხმაურით ინგრეოდნენ სახლები, წუთით ახშობდნენ მიწის გრუხუნს. გრიალით აწყდებოდნენ ერთმანეთს უზარმაზარი ქვები. კედლები, სვეტები — ყველაფერი ემხოზოდა რყევისაგან. მანიბანდძმა თვალი მოჰკრა ქვების გროვას, რომელიც თოვლის ზეავივით მოგრგვინავ-



და. შიშისაგან გახევდა... აქვს თუ არა დასასრული სტიქიონის ამ მძინვარებასა და სიშმაგეს?

და კვლავ გულშემზარავი ძახილი:

— მანიბანდჰ...

სუნთქვა შეეკრა ვიშვაჯითს, მაგრამ მას არ შეეძლო მომკვდარიყო. ერთადერთი სურვილია შემორჩენოდა... თითქოს სიყვარული განაგებდა სიკვდილს თავისი ხელით...

სიკვდილი დაჰფარფატებდა ქალაქს. ნანგრევებიდან მოისმოდა კენესა, უეცრად კვდებოდა ხალხი! ადამიანები წივილ-კივილით აწყდებოდნენ ბუჩქებში ერთმანეთს. მიწის გრგვინვა ცას სწვდებოდა, თითქოს უნდოდა სქელი ღრუბლებიდან მომავალი ქუხილი ჩაეხშო. თანდათან ქუფრდებოდა ბინდი...

ქუხილისაგან ირღვეოდა ცა. მანიბანდჰს ეჩვენებოდა, თითქოს ვიღაც სცემდა მკერდში ხელს, ისე ძლიერი იყო ეს ქუხილი. შიშისგან ძრწოდა.

უცებ ვიშვაჯითმა შეჰყვირა:

— ღმერთო მალალო! ნუთუ ჩემს უკანასკნელ წუთებშიც არ მოვა ჩემთან შვილი? ნუთუ, მეფედ გამხდარი, ქვად იქცა იგი.

მოხუცმა გადაიხარხარა.

უკანასკნელი მემამბოხე განგმირულია. უკანასკნელი მემამბოხე მიწაზე ფხარკალებს...

მანიბანდჰს ბინდი ეფარებოდა თვალებზე...

რა შესაბრალისია ეს ძახილი!.. მამა!.. არა... არა... მან მოკლა იგი... არა... მამა არ არის... მეფის მამა და — შეშლილი?.. ღმერთო მალალო!.. ინგრევა სამეფო... ეს რა ესმის მანიბანდჰს თავის უკანასკნელ წუთს?.. ვენი!.. ვენი!.. იგი წავიდა. მანიბანდჰი მკვლელია!.. მან თავისი მამა მოკლა... აქამდე მას არავინ გააჩნდა ქვეყნად... რატომ გამოჩნდა ეს მოხუცი?.. დიდო ქალღმერთო მამამაი! რა უღმობელი ხარ! რატომ აპხადე დღეს ფარდა ამ საშინელ სიმართლეს?!

სისხლი სისხლი მოსდის!.. ისეთივე სისხლი, როგორც მანიბანდჰის ძარღვებში ჩქეფს... ეს სისხლი მემკვიდრეობით მიიღო მანიბანდჰმა და მეფე გახდა... სიცრუეა... სიცრუე... მაგრამ მოხუცი სიკვდილის უამს ამბობს ამას... დიდო მამამაი! დიდო მამადე!

ტკივილისაგან გული შეუტოკდა. მამა შვილის მოსაკლავად მოვიდა, მამა შვილის წინააღმდეგ ამხედრდა, და შვილმა — თავისი ხელით! — მოკლა მამა!.. ხოლო ვენი გაუჩინარდა... ქარიშხალი ყველაფერს გაა-

ხალგურებს... ჯერ კიდევ დღეს მანიბანდჰი მეფე იყო. ნუთუ მამამისი მათხოვარია?..

მოხუცი გონივრული ამბობდა:

— შეილო! ასეთ ავდარში გარეთ ყოფნა არ შეიძლება!

მანიბანდჰს უნდოდა თავი ქვისთვის ეხალა და მომკვდარიყო. სად არის მისი სამეფო? იგი ბოროტმოქმედია, მკვლელია... მან მშობელი მამა მოკლა...

...ქალაქის დასავლეთ ნაწილში კარსარავინი უეცრად ყალყზე შედგა, თითქოს ვნებისგან დამთვრალაო, აბორგდა და სიშმაგისაგან დაწითლებული თვალები მოავლო ქვეყანას, მზად იყო ყველაფერი წაეღეკა. ხმაურობდნენ მდინარის ტალღები, ერთმანეთს აწყდებოდნენ. გრუხუნით წამომიართა მიწა, და წყალი აღმოსავლეთისაკენ გაქანდა. თითქოს თვით აპირაჯის გველთა ლაშქარი დაიძრა წინ. ხოლო ჩრდილოეთით, მდინარის კალაპოტში, გაჩნდა ხნარცვი, და წყალმა მას მიაშურა, მაგრამ მიწის წილიდან ამოფრქვეულმა ცეცხლმა ყურისწამლები ხმაურით დაუწყო ძალა ამოტყორცნა...

ველურად აცეკვდნენ ინდის ტალღები. ისინი თითქოს უყვიროდნენ მანიბანდჰს: „მოდი ჩვენთან, დიდო ცოდვილო, ჩვენ გაგსრესთ შენ, რა ხანია გელოდებით...“

მანიბანდჰი შეშლილივით შესცქეროდა მამას და ძალი არ შესწევდა თვალი მოეშორებინა მისთვის...

კარსარავინი ყველაფერს ლეკავდა ირგვლივ, შორეულ სოფლებსაც კი. აღიდებულ მდინარეში ილუპებოდნენ ადამიანები, ბალები, სახლები. ღრიალით მოაწყდა მდინარე ქალაქს. როცა ორი მდინარე ერთმანეთს შეხვდა, მათი დინება ისე გაფართოვდა, რომ წყვილიანი გამძვინვარებული აბორგდა მათ თავზე. ტალღებმა უთხრეს მას:

— გვიფრთხილდი, თორემ ცუდად წაგივა საქმე!

და მათ შორის ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ხეები ტყდებოდნენ და ძირს ცვიოდნენ, საზარელ ხმაურში დაინთქა ყველაფერი... ღრუბლებმა დაიქუხეს ცაში:

— ერთხელ კიდევ!..

ტალღებმა უპასუხეს:

— გვიფრთხილდი!

მანიბანდჰმა შეპყვირა:

— მამა!

...ტალღები ხედავდნენ, როგორ როზგავდა ელევა შავ ღრუბლებს, რა გახარებული ხარხარებდნენ. მძიმე დარტყმებისგან ირყეოდა მიწა.

დიდებული სასახლეები, საუკუნეობით დაგროვილი სიმდიდრე თვალის დახამხამებაში ქრებოდა.

ილუპებოდა მოქენჯო-დარო... ახლა ამათ იყო ღმერთებისადმი ლოცვა-ვედრება. ქეები დაუნდობლად ლუპავდნენ ადამიანებს. მიწამ პირი დაათრინა... გეგონებოდათ, ათასობით უროს სცემდნენ მრისხანედ მთელ დედამიწას, სამყარო კი ევედრებოდა:

— ნუ დაგვლუპავ!..

ღრუბლები ხარხარებდნენ:

— დადგა ჟამი!

ყოველი არსი ძრწოდა წყველიაღში და იმეორებდა:

— დადგა ჟამი...

სიბნელე აცახცახდა. გამომკრთალმა ელვებმა დაისრეს იგი. ქექა-ქუხილი დანავარდობდა ცასა და მიწას შუა. თვით სიკვდილი დაეშვა მოქენჯო-დაროზე...

ახლა აღარ იყო აღარც ღარიბი, აღარც მდიდარი, არ იყო არც გრძნობა, არც გონება, არც ნათესაობა, არც გულისტკივილი, არც ხელოვნება, არც ოსტატობა. არ იყო არაფერი... ადამიანი ქიაზე უფრო სუსტი შეიქნა...

— ...შვილო! — ოხერას გული ამოაყოლა ვიშვაჯითმა. ძლივტლივობით ამოთქვა: — გაიქეცი!

მანიბანდპი კი ისევ ქარიშხლის მიერ მიმოფანტულ ნაპერწყლებს შეჰყურებდა. სად იპოვოს ხსნა? მანიბანდპს წამით მოეჩვენა, რომ იგი სულ პატარა ბიჭი იყო და მამაც ცოცხალი ჰყავდა...

უცებ ხანძარი მოედო მთელ ცას. აღიმართა ალის ენები. ქარი დააცხრა მათ, და კიდევ უფრო გაჩაღდა ცეცხლი...

მანიბანდპი დაიხარა და მამას დააცქერდა. მოკვდა! მოკვდა! მამა! თვალი როგორ დაუბრმავდა და როგორ ვერ იცნო მამამისში თავისი თავი?! მანიბანდპის წინაშე მრავალჯერ ფხარკალებდნენ სიკვდილის მოლოდინში ადამიანები, მაგრამ დღეს... მისი გული პირველად მოიცვა სიბრაულელმა. პირველად და უქანასკნელად... ახლა მას აღარაფერი ძალუძს...

უცებ გაახსენდა ვენი! სად არის? მანიბანდპის ვნება გაუქრა, იგი აღარ ისწრაფოდა გაეთელა ეს ყვავილი და დამტკბარიყო მისი სურნელით... ოლონდ მამა... ოლონდ შვილი...

რა საზარელი ხმაურია ირგვლივ! სად შეაფაროს თავი? დღეს ღმერთებს ვნება გაუღვიძრდათ. მრავალი საუკუნის შემდეგ თვალი აახილა დიდმა მაჰადევმა, და მაჰამაიმ, ავხორცობით ათრთოლებულმა, იხმო იგი...

მანიბანდკს მუხლებზე ედო მამის გვამი და ფიქრობდა სულმდაბალ დიაცზე! რა საძაგლობაა! მეფის მამა რომ გამოსალმებოდა სიცოცხლეს... იგი დიდებულ აკლდამაში განისვენებდა... ახლა კი მიცვალებულის სული საუკუნეობით იხეტიალებს დედამიწაზე... ნეტავ მანიბანდკს შეეძლოს მისი ფერფლი შეაგროვოს და ძველ წეს-ჩვეულების მიხედვით დამარხოს!..

მანიბანდკი წამოდგა. იგი ცოცხალი დარჩება! განა მეფედ ქცეული ღმერთებს დაუვარდება?! კვლავ იძრა მიწა. მანიბანდკი ძირს დაეცა. საით მიექანება ეს დედამიწა? სად მიჰყავს იგი უხილავ მესაქეს?

მანიბანდკმა შიშისაგან თვალები დააპყვიტა, შუბლზე ცივი ოფლი დაასხა. ქალაქის გადამბუგავი ცეცხლი უახლოვდებოდა მას. ალის ენები იცინოდნენ:

— სად იქპართ დამალვას, სულელო!.. მოგვიცადე!..

შეშინებულმა მანიბანდკმა უკან დაიხია.

... იყო სასტიკი ბრძოლა სინათლისა და სიბნელისა.

ღრუბლებსა და მიწას შუა მძვინვარებდა ქარიშხალი.

მანიბანდკი უკუიქცა, მაგრამ ქვების გროვას გადააწყდა.

— მაჰადევ! ღმერთთა შორის უდიდესო მაჰადევ! — შეჰყვირა მან. ქარიშხალი დაჰხარხარებდა თავზე.

...ტალღები აწყდებოდნენ მაჰამაის ტაძარს. სვეტები ინგრეოდა და ნამსხვრევებად იქცეოდა. ქალღმერთის ქანდაკება ტალღებში ჩაიძირა. იოგთა დიდი მეფე მორევმა ჩაითრია. წყალმა წაიღო იგი და ქვებზე მიანარცხა. თავი გაუტყდა. იქ, სადაც ათასობით ადამიანის მისალმების შეძახილები ისმოდა, ახლა ტალღები მეუფებდნენ და საზარლად ცეკვავდნენ...

აპირაჯის ტაძარი წყლით აივსო. ტალღები სისინებდნენ ტაძრის კედლებზე გამოსახულ გველთა მსგავსად. ქარმა ჩამოჰკრა უზარმაზარ ზარს, და ისიც თვით სიკვდილის ხმასავით აგუგუნდა...

მალე წყალი მიადგა მთელ მსოფლიოში განთქმულ საცურაო აუზს. აუზის წყალი მოვარდნილ ღვარს შეუერთდა, და იქ, სადაც ლამაზმანები მალალი თეძოსთავებითა და სავსე მკერდით თავს იწონებდნენ და მამაკაცებს თავბრუს ახვევდნენ, მრისხანედ აგუგუნდნენ ტალღები. წყალში ჩაიძირა ის საფეხურებიც, სადაც მოზეიმე მოქალაქენი კოცნიდნენ თვალებშიბნედილ ქალებს...

წყვდიადი, წყვდიადი, დაუსრულებელი წყვდიადი. წარბები მოღუშეს ღმერთებმა, აპირაჯმა კუდი გაშალა ცაში. შავ კამეჩთა მსგავსი ღრუბლები ბლავილით გარბოდნენ ჯოგებად...

მანიბანდჰი გაიქცა... მის წინ ჩამოინგრა კედელი... გზა მოჭრილი ჰქონდა. ხელმწიფემ ხელიდან განაგდო მახვილი. ოდესღაც ეს მახვილი ქედს ახრევენებდა ქალაქის მკვიდრთ, მის გაქნევაზე ძუძუებს აკრიდნენ ქალებს, მიწაზე ცვიოდნენ მამაკაცთა გასისხლიანებული თავები. ნაკუწ-ნაკუწ იქცეოდა ქალთა მთრთოლვარე სხეული... ახლა ეს მახვილი საჭირო აღარ იყო...

მიწიდან ღრუბლებად ამოიჭრა ფერფლი. მერე წვიმის თქეშვიით წამოვიდა ძირს. უცებ მანიბანდჰს ტანისამოსზე ცეცხლი მოედო. ფერფლმა გამურა. მისმა ხელებმა შემოიძარცვეს მეფის ძვირფასი სამოსი. მანიბანდჰმა გვირგვინი მოიძრო და ცას შესტყორცნა...

დღეს იგი მეფე იყო, მბრძანებელი მთელი ქვეყნისა... მანიბანდჰმა გადაიხარხარა. სიხარული! მეფე!

— მაჰადე! იდიდე! — შეჰყვირა მანიბანდჰმა. — ყოვლად ძლიერო მაჰამაი! დიდება შენდა!

იგი გაშმაგებით ხარხარებდა, ბრძოლაში იწვევდა ღმერთებს, მაგრამ მისი ხმა არ ისმოდა.

ქარი გაჰყვიროდა: „აღარავინ დარჩება ამქვეყნად ცოცხალი!“

ტალღები ღრიალებდნენ: „იავარჯყოფთ სამყაროს!“

მანიბანდჰი! მეფე! ნუთუ ამ საშინელი დღისათვის მიადწია მან დიდებულებას? ის იყო ბაგე შეახო სამეფო თასს, რომ იგი ხელიდან გაუვარდა, დაიმსხვრა და ღვინო ძირს მოიღვარა... რისთვის დახოცა მშვიდობიანად მცხოვრები ამდენი ხალხი? რისთვის შელება სისხლით მიწა?

განირღვა მიწის გული, ამოხეთქა წყალმა, დიდმა ინდმა ნაპირები გადმოლახა. ისევე აღმოხდებდა მზე, და იგი ამ ღვართქაფში ჩაიძირება. დედამიწაზე უძველესი ქალაქის, მოჰენჯო-დაროს ხსენებაც კი აღარ დარჩება...

ბედი! ულმობელი ბედი!

უცებ მანიბანდჰს კვნესა მოესმა... შესაბრაალისი, გულის გამგმირავი... ვინ არის? ვენი?

ძალა მოიკრიბა და წინ გაემართა. ქვა გადასწია და მის ქვეშ დაინახა მოკრუნჩხული ბავშვი. ეს ბიჭუნა თავისი მხიარული კისკისით უამებდა გულს დედას, როცა კენჭებითა და მინის ნატეხებით თამაშობდა. ბავშვს ხელები მალლა აეწია და თავის განძრევას ლამობდა. მანიბანდჰს სიბრალულით აღევსო გული. მან ქვების აქეთ-იქით გადაწევა დაიწყო. უცებ მიწაზე რაღაც მოელვარე შენიშნა და შეათვალღერა.

ძვირფასი თვლები!

ოღესლატ მანიბანდჰმა ნილუფარს უძღვნა ისინი. მისი სიყვარულის მოწმენი იყვნენ ეს თვლები...

მანიბანდჰს მწარედ ჩაეცინა. სამკაულები ნანგრევებს შორის ჰყარია. რა ფასი აქვს ახლა მის სიყვარულს?

მანიბანდჰი! მეფე!

ღრიალებს ქარიშხალი! სიკვდილი მძვინვარებს ირგვლივ!

მანიბანდჰმა მუხლი მოიყარა.

— ჰოი, მაჰამაი! — შესძახა მან. — რას სჩადის შენი ძე აპირაჯი? ნუთუ ასე ძლიერია მისი შიმშილი, ჰოი, დედაო? შენ ასაზრდოებ სამსახურს, მაგრამ არ ძალგის დაგვიფარო ჩვენ, შენი ყრმანი, შენი თაყვანისმცემელი! ეს უსამართლობაა! ჰოი, დიდო მაჰამაი! აპირაჯს უფლება არა აქვს წინ აღვიდგეს შენ!.. მაშ შეაჩერე ეს დიდი ნგრევა, ეს დაღუპვა... ჰოი, ყოვლად ძლიერო სატრფოვ ღვთისაო...

მანიბანდჰი ზეზე წამოდგა. გულს მოეშვა. ნუთუ მაჰამაი არ შეიწყნარებს მის ვედრებას?

მან ფრთხილად აიყვანა ხელში ბავშვი.

გრუხუხი შეწყდა, მიწა დამშვიდდა. ყველაფერი გაირინდა... მანიბანდჰმა ნაბიჯი გადადგა წინ... სიბნელეში წაიფორხილა და კინალამ წაიქცა. იგი ნაზად იკრავდა მკერდზე ბავშვს. მოძალადე... მამის მკვლეელი...

უცებ მოსკდა საშინლი ღვარი, თითქოს თვით ოკეანემ გადმოლახაო ნაპირები. და კვლავ გაშმაგებით აბორგდა ქარიშხალი. მრისხანედ ღრიალებდნენ ტალღები, მუსრს ავლებდნენ ყველაფერს თავიანთ გზაზე... სამყარო წყვდიადში შთაინთქა...

„ჩვენი ცნობანი ინდოეთზე მკითხველმა მოწყალედ უნდა მიიღოს, რადგან ინდოეთი ყველაზე შორეული ქვეყანაა, და მხოლოდ ცოტას მოუხილავს იგი პირადად, სხვები, რომელთაც მისი ზოგიერთი ნაწილი უნახავთ, ყურმოკრულთ ლაპარაკობენ მის შესახებ...“, — წერს ძველი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი. სტრაბონის ცნობა ინდოეთზე I საუკუნეს ეკუთვნის, ხოლო ინდოეთის ისტორია ისევე ძველია, როგორც ისტორია ბაბილონისა და ეგვიპტისა. იგი იწყება მესამე ათასწლეულში ან, შესაძლოა, მეოთხე ათასწლეულის დამლევსაც ჩვ. წელთაღრიცხვამდე.

დაახლოებით ხუთი ათასი წლის წინათ, როცა მთელი ევროპა უღრანი ტყეებით იყო დაფარული, სადაც დაეხეტებოდნენ პირველყოფილ მონადირეთა ტომები, ინდის ნაპირებზე კეთილმოწყობილ ქალაქებში ცხოვრობდა ხალხი. მრავალი წლის განმავლობაში უცნობი იყო ამ ქალაქების არსებობა, არ იყო დაწერილი ისტორია ხალხისა, რომელიც ასეთ შორეულ წლებში ესახლა ინდის ხეობაში. მხოლოდ ორმოციოდ წლის წინათ შეუდგნენ არქეოლოგები მდინარისპირა ბორცვების გათხრას.

მოქენჯო-დარო — მკედარი ბორცი — ასე უწოდებენ ადგილობრივი მცხოვრებნი პრაიენცია სინდის ცენტრალურ ნაწილში, მდინარე ინდის სანაპიროს გაყოლებაზე აღმართულ ბორცვს. თაობიდან თაობას გადასცემდნენ ამ ადგილის მკვიდრნი ლეგენდებს იღუმალი ბორცვის შესახებ. მოხუცებულნი ზღაპრებს უყვებოდნენ ბავშვებს ჯადოსნურ, ულამაზეს ქალაქზე, სადაც ცხოვრობდნენ ძლიერი, ამაყი, ბედნიერი ადამიანები, რომლებმაც რაღაცით განარისხეს ღმერთები, და ღმერთებმა სასჯელი მიაცემთ; უამბობდნენ, თუ როგორ გასცდა მიწა, თან ჩაიტანა ქალაქი და უამრავმა ადამიანმა უფსკრულსა თუ გაშმაგებული მდინარის ტალღებში ჰკოვა სამარე.

ინდოელი მეცნიერნი დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ ამოეცნოთ მოქენჯო-დაროს საიდუმლო, მაგრამ კოლონიალიზმის პირობებში თითქმის შეუძლებელი იყო დიდი არქეოლოგიური ძიების წარმოება.

1922 წელს მოქენჯო-დაროს ეწვია მცირერიცხოვანი არქეოლოგიური ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ინდოელი და ინგლისელი მეცნიერნი. მათი ყურადღება უწინარეს ყოვლისა მიიპყრო ბუდას მონასტრის ნანგრევებმა, რომლებიც, როგორც გამოირკვა, ეკუთვნის II საუკუნეს. ამით მკედარი ბორცვის საიდუმლო თითქმის ამოცნობილ იქნა.

მაგრამ აი, ბუდას ტაძრის ნაშთთა შესწავლისას რ. დ. ბანერჯი ტაძრის სამირკვლის ქვეშ, მიწის სიღრმეში მოულოდნელად აღმოაჩინა გამოქვაბული აგურისაგან ნაგები უზარმაზარი შენობა დერეფნების, ოთახებისა და დარბაზთა ლაბირინთებით. დაიწყო სხვა ადგილების გათხრა, და ნელ-ნელა მიწის სქელი ფენიდან, რომელიც ალაგ-ალაგ თხუთმეტ მეტრსაც აღწევდა, გამოჩნდა აგურის ერთსართულიანი და ორსართულიანი ნაგებობები, აგურით ამოშენებული კები, საფეხურებდატანებული დიდი აუზი, აგურისაგან გაკეთებული წყალსადენისა და კანალიზაციის მილები, ცხრა მეტრამდე სისქის გალავანი, რომელიც ქალაქს ერთყა ვარშემო. „და აი, ბოლოს და ბოლოს, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მთელი ქალაქი — სინდის მოქენჯო-დარო, —

წერს ინდოეთის ძველი ისტორიის მკოდნე ს. ა. დანგე. — ამ აღმოჩენამ ვეროპელი ბატონებიც კი აიძულა ელიარებინათ, რომ ინდოეთის ცივილიზაციის იატორია იწყება 3000 წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მამსალამე, ინდოელები ნაკლებად ძველი ხალხი როდი არიან ეგვიპტელებთან, ბერძნებთან, რომაელებთან, ქალებთან და სხვებთან შედარებით».

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მოქენჯო-დაროს მსგავსი კულტურული კერები აღმოჩენილ იქნა ჩვენს მეცნიერთა მიერ შუა აზიის, ამიერკავკასიის, უკრაინისა და მოლდავეთის ტერიტორიაზე. ეს ამტკიცებს, რომ შორეულ წარსულში იმ ხალხებს, რომლებიც სახლობდნენ ჩრდილოეთ ჩინეთიდან ბალკანეთის ნახევარკუნძულამდე და უკრაინის სტეპებიდან ცენტრალურ ინდოეთამდე, ბევრი რამ საერთო ჰქონდათ. დაკავშირებული იყვნენ ეს ხალხები ერთმანეთთან თუ მათი კულტურის განვითარებაში მსგავსი თვისებები საზოგადოების ეკონომიური პირობების, სოციალური ურთიერთობისა და საწარმოო ძალების მსგავსებით აიხსნება, — ამის პასუხი ჯერ კიდევ ვერ მოუძებნიათ მეცნიერებს.

რამ მიიყვანა დაღუპვამდე ოდესღაც აყვავებული და ამჟამადაც განმაცვიფრებელი კულტურა ძველი ინდოეთისა? რა ტრაგედია დატრიალდა 3—4 ათასი წლის წინათ ინდის ნაპირებზე, რომლის შედეგადაც არსებობა შეწყვიტა ძველი აღმოსავლეთის ერთ-ერთმა ძალზე მდიდარმა საუკრო, ეკონომიურმა და კულტურულმა ცენტრმა? ვინ იყვნენ თანამედროვე ინდოელთა შორეული წინაპრნი და რა ბედი ეწიათ მათ? შესაძლოა, მოქენჯო-დაროს მკვიდრთ არც დარჩენიათ შთამომავალნი? სტიქიურ უბედურებას ხომ არ ემსხვერპლა მოქენჯო-დარო? ეგებ პომპეის ბედი ხედა წილად? ან იქნებ ადიღებულმა ვერაგმა ინდმა წალკა დიდი ქალაქი, ინდმა, რომელსაც ახლაც დიდი უბედურება მოაქვს ხალხისათვის?

არქეოლოგების მტკიცებით, ძველი ქალაქი არა ერთხელ წაუღევას მდინარე ინდს, და მისი მცხოვრებნი ხშირად იძულებული ხდებოდნენ მიეტოვებინათ თავიანთი სახლ-კარი.

დასავლეთის მეცნიერებაში ყველაზე უფრო გავრცელებული ჰიპოთეზების მიხედვით, მოქენჯო-დაროს და მის ირგვლივ მდებარე დასახლებათა დაღუპვა აიხსნება კარგად შეიარაღებულ არიების ტომთა შემოქრით. მათ დაუნგრევიათ მთელი რიგი ქალაქები, ნაწილობრივ გაუნადგურებიათ, ნაწილობრივ კი მონად გაუხდიათ მშვიდობიანი მოსახლეობა, ხელოსნები და ვაჭრები.

შორს არ არის ის დღე, როცა მეცნიერები მიაკვლევენ, თუ როგორ ცხოვრობდნენ აღაშიანები შორეულ წარსულში, რა აღელებდათ, რა აფიქრებდათ, რა აოცნებებდათ, ან დაღუპვამდე რამ მიიყვანა ერთ დროს აყვავებული ქალაქი. მანამდე კი, სანამ მეცნიერება უტყვი წარწერების იდუმალებზე აღმოცენებულ ფანტაზიას დაამსხვრედა, მკვლევარებს მხარში უდგანან მწერლები. მათ ნაწარმოებთ საფუძვლად უდევს არქეოლოგიურ გათხრათა მონაცემები, ქრონიკები, ზოგჯერ კი ლეგენდები და მითებიც. ამ მწერალთა შემოქმედებაში იგრძნობა მისწრაფება — მეცნიერულად გაიზარონ ისტორია და ჩასწდნენ იმ პერიოდის ინდოეთის საზოგადოების სოციალ-ეკონომიური პირობების არსს.

ასეთ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის რანგეა რაგჰავი (1923—1962).

„მე მუღამ მიტაცებდა ინდოეთის ისტორია, — ამბობდა რ. რაგჰავი, — რამდენი დაუწერელი ფურცელია მასში, რამდენი რამ არის შებუტვილი მითებისა და თქმულებათა ნისლით...“



რომანში „დიდი ქალაქის დაღუპვა“ რანგეა რაგაკეი აცოცხლებს ინდოეთის წარსულის სურათებს, რათა თანამემამულეთ უკეთესი მომავლის რწმენა და მისკენ სწრაფვა გაუღვივოს.

„დიდი ქალაქის დაღუპვა“ მთლიანად არ შეიძლება მივაკუთვნოთ ისტორიულ ჟანრს, რამდენადაც მას საფუძვლად უდევს არა ისტორიული სინამდვილე, არამედ მეცნიერული ჰიპოთეზა; მაგრამ არც ფანტასტიკურ რომანად ჩაითვლება იგი, რადგანაც რანგეა რაგაკეის ფანტაზია ასე თუ ისე დამყარებულია არქეოლოგიური გათხრების მონაცემებზე და მეცნიერთა ვარაუდზეც.

აქად. ვ. ვ. სტრუევი, აკრიტიკებს რა დასავლეთეუროპელ მეცნიერებს, რომლებიც ცდილობენ მოქენჯო-დაროს დაღუპვა გარეგანი ფაქტორებით ახსნან (არიების ტომთა შემოსევა), წინ წამოსწევენ ახრს, რომ მოქენჯო-დაროს მზის ჩასვენების მთავარი მიზეზი უნდა ვეძიოთ საზოგადოების შინაგან განვითარებაში. „სოციალურ უთანასწორობას მძლავრად უნდა შეერყია ამ მდიდარი ქალაქ-სახელმწიფოს შინაგანი სამყარო“, — წერს მეცნიერი მოქენჯო-დაროსა და მისი მსგავსი ქალაქების შესახებ.

თავის რომანში რ. რაგაკემა აღადგინა სურათი უძველესი ეპოქის ინდოეთის საზოგადოების ცხოვრებისა, გვიჩვენა როგორ ეცემა მსოფლიოში სახელგანთქმული ქალაქი ერთ მუქა ვაჰართა გამდიდრებისა და მშრომელი ხალხის გაყვლეფის, მონების მძიმე უუფლებო მდგომარეობის შედეგად.

დიდი ქალაქი დასაღუპავად არის განწირული. გაუმძღარ, გულხარბ ვაჰართა მიერ მოხვეჭილი აურაცხელი სიმდიდრე, იმის მაგიერად, რომ ბედნიერება მოუტანოს საზოგადოებას, ღუპავს მას, ამხინჩებს ადამიანის სულს. „ეკეი, დიდი ქალაქის მკვიდრო დიდებასა და ავბორცობას დაუთვრისხართ... ღვინომ და ქალებმა, ოქრომ და მედიდრობამ თაებრუ დაგახვიათ თქვენ!“ — შესძახებს რომანის ერთ-ერთი გმირი, მოხუცი ვიშვაჯითი.

ოდესღაც ქალაქი მოქენჯო-დარო ჰყვარდა. ეს იყო მაშინ, როცა მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნოდა. მრავალი ასეული წლის განმავლობაში შრომობდნენ ადამიანები მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ. მათ შექმნეს დიდებული კულტურა, რომლის სახელიც შორს გასცდა ინდოეთის საზღვრებს. მაგრამ აი, ინდოელი ვაჰრები სხვა საქონელთან ერთად მონებსაც ეზიდებიან ეგვიპტიდან. მონებით ვაჰრობა ყველაზე უფრო სარფიანი საქმეა ფულსა და სიმდიდრეს დახარბებული ვაჰრებისათვის, რომლებსაც ფეხქვეშ გაუთელავთ ადამიანის უფლება და ღირსება.

სიმდიდრისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების წადილი ბორტმოქმედების გზაზე აყენებს ვაჰარ მანიანდს. გაიძვერა ავანტიურისტი ამენ-რა პატივმოყვარეობის დაუოკებელ გრძობას უღვივებს გულში ვაჰარს, დაიყოლიებს მას, ჩააონებს გაანადგუროს ქალაქის თვითმმართველობა — განა, გახდეს ქალაქის ერთბიროვნული მმართველი. მანიანდის დაქირავებულ ჯარისკაცთაგან შეშინებული ქალაქის მამანი — განის წერხნი — ხალხის ინტერესებს ღალატობენ და მტარვალის მხარეზე ვადიან. მაგრამ მონებისა და ქალაქის ღარიბ-ღატაკთა მოთმინების ფილა პირთამდე აიუსო. იფეთქა აჯანყებამ, რომელსაც მიემხრნენ არიების მიერ დაბეუულ-აობრებული მეზობელი კიკათის სამთავროდან ღტოლვილი...

მოქენჯო-დაროს გათხრების დროს მეცნიერებმა ქალაქის სხვადასხვა ნაწილში იპოვეს უამრავი ადამიანის ჩონჩხი; ზოგი მათგანი უთავო იყო. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ადამიანები მოკლულნი იყვნენ. სახლების ნანგრევებში ნაპოვნია აურა-

ცხელი განძი; როგორც მეცნიერები ფიქრობენ, მდიდარი მოქალაქენი ძვირფასეულობას კედლებში ინახავდნენ, როცა მოქენჯო-დაროს საფრთხე ემუქრებოდა.

არქეოლოგიური გათხრების ეს მონაცემები მარჯვედ გამოიყენა რ. რაკავაძე და თავის რომანში დახატა მღელვარე ვითარება დიდ ქალაქში, რომელიც ბარბაროსთა შემოსევის მოლოდინშია. ქუჩებში მიმოფანტული ადამიანთა გვამები მოწმობენ იმ საუკუნრო-სასიოცხლო ბრძოლას, რომელიც აჯანყებულებს გაუმართავ მტარვალ მანიბანდის წინააღმდეგ.

აჯანყება ჩახშობილია, მანიბანდის თავისას ეწია: მისი პატივმოყვარული ოცნება — გამხდარიყო თავისებური ფარაონი მოქენჯო-დაროში — თითქოს საცაა უნდა ახდეს. მაგრამ თუკი შეიძლება სიმდიდრითა და სისასტიკით დაიმორჩილო ხალხი ანდა იყიდო სუსტნი, გაანადგურო ურჩნი, სიყვარულისა და ბედნიერების ყიდვა ყოვლად შეუძლებელია. ხალხის დამთრგუნველი მანიბანდის, რომელმაც მთელი ძალაუფლება ხელში ჩაიგდო, ისეთი სუსტი ქალის მიმხრობასაც კი ვერ ახერხებს, როგორცაა მოცეკვავე ვენი, რომელმაც ვაჟრის აურაცხელი სიმდიდრისა და შორს გავარდნილი სახელის გულისთვის თავდაპირველად უარყო ვილიბითურის წმინდა სიყვარული, შემდეგ კი მწარედ ინანა.

აეტროის იდეალების ხორცშესხმად გვევლინება ვილიბითური. შემთხვევით როდი გამოჰყავს რ. რაკავაძე პოეტი მთავარ გმირად. პოეტები ოდიოვანე იყვნენ თანამემამულეთა ღირსებისა და პატიოსნების განსახიერება, ისინი თავიანთი ფიქრებითა და ოცნებებით გამოხატავდნენ მათ სანუკვარ ფიქრებსა და ოცნებებს, იბრძოდნენ სამართლიანი საქმისათვის, დამცველად ევლინებოდნენ ჩაგრულ ხალხს.

ვილიბითური მზეს მოკავას: მისი სხივები სიოცხლეს ანიჭებს ყოველ არსს, უკეთესი მოპავლის რწმენით აღავსებს ადამიანთა გულს. ავხორცი მანიბანდის უხეშ ძალას დამორჩილებული ნილუფარი მხოლოდ პოეტის გავლენით კპოევებს ქეშმარიტ ბედნიერებას პირად ცხოვრებაში, სიმართლისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ადამიანის სიყვარული — აი, ვილიბითურის სიოცხლის მთავარი მიზანი, სწორედ ამ სიყვარულს, მონობისაგან ხალხის განთავისუფლების დიად სურვილს შესწირა თავი მგზნებარე პოეტმა.

რ. რაკავაძე თავის რომანზე მუშაობდა ინდოელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობის წლებში. რომანი გამოქვეყნდა იმ დროს, როცა უკანასკნელმა ინგლისელმა ჯარისკაცებმა ცერემონიალური მარშით გაიარეს ბომბეის ცნობილი ჰიშარი, რომელიც ოდესღაც საგანგებოდ იყო აგებული ინგლისის ბრწყინვალე პიროვნებათა სახეიმი შესვლისათვის, ავიდნენ სამხედრო ხომალდებზე და საშუალოდ დატოვეს ინდოეთი.

ორი საუკუნის მძიმე ჩაგვრისაგან განთავისუფლება უაღრესად დიდი მოვლენა იყო ინდოელი ხალხის ცხოვრებაში. ამიტომაც, თუმცა რომანში ოთხი ათასი წლის წინანდელი მოვლენებია აღწერილი, მაგრამ მათში მაინც პოულობს გამოხმაურებას თანამედროვეობის მრავალი მორალურ-ეთიკური პრობლემა, რომელიც ალღევებდა ინდოელ მწერლებს ორმოციანი წლების მიწურულში.

რომანი გამსჭვალულია მონობის წინააღმდეგ მღელვარე მოწოდებით. მტარვალთაგან მოწყალეების თხზენით კი არა, გადამწყვეტი ბრძოლით შეიძლება მონობის დამხობა — ასეთია აზრი, რომელიც წითელ ზოლად გასდევს მთელ რომანს. «ყველაზე დიდი ცოდვა ისაა, რომ დამონებული მონობას შეურიდეს», — ამბობს ვიშვაჭითი — საზოგადოების მანიერებათა გაბედული მაშხილებელი.

ინდოეთში მრავალი საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა ბრძოლა ქალის გან-

თავისუფლებისათვის. თავის რომანში რ. ჩავჭავე სეაშს ინდოეთის საზოგადოებაში ქალის მდგომარეობის ისეთ აქტუალურ პრობლემებს, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა. მწერალი ილაშქრებს იმ დამამძიმებელი მდგომარეობის წინააღმდეგ, როცა ქალი მოჩვენებით სიმდიდრეზე ცვლის თავს, და ამტკიცებს, რომ მხოლოდ ის საზოგადოებაა კუემარიტად თავისუფალი, სადაც ქალსა და მამაკაცს თანასწორი უფლებები აქვთ.

რომანი თავდება დიდი ქალაქის დაღუპვით. ნანგრევებად ქცეული მოქენჯო-დარო აღიდებულმა ინდმა წაღეკა. ეს სტიქიური უბედურება უნდა გავიგოთ როგორც ზღვევა იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც ფეხქვეშ გათელეს ყოველგვარი ჯემანური. ასეთი გახსნა რომანის კვანძისა ხელოვნურია და ამავე დროს რამდენადმე სიმბოლურიც: ბუნების ძალები თავს დაატყდებიან მოქენჯო-დაროს იმ წუთებში, როცა ზეიმობს მტარვალი, რომელმაც სისხლში ჩაახრჩო ხალხის აჩანებდა.

რამ დაღუბა სინამდვილეში დიდი ქალაქი მოქენჯო-დარო? რამდენად ახლოა რელობასთან რ. ჩავჭავეის ფანტაზია? მხოლოდ ძველი წარწერები არიან ალბათ ქალაქის იმ უკანასკნელი დღეების მოწმენი, და ისინიც ღუმან. მაგრამ გაიღის წლები, წარწერები დუმის დაარღვევენ და ნათელს მოჰყენენ მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქის ისტორიას.

РАНГЕЯ РАГХАВ  
Гибель великого города  
Р о м а н  
(На грузинском языке)  
«Сაბჭოთა საქართველო»  
Тბილისი, მარჯაიანიშვილი, 5.  
1978

ს. ბ. № 828

რედაქტორი ც. ჯაფარიძე, მხატვარი დ. ჯაბუა, მხატვრული რედაქტორი რ. მახარაძე, ტექნიკური რედაქტორი ვ. ჭიჭინაძე, კორექტორები: თ. ტურიაშვილი, გ. მალანია, გამომშვები ა. სააკაძე.

გადაეცა წარმოებას 28/X-77წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/11-78 წ. საბეჭდი ქაღალდი № 1, 60×84<sup>1</sup>/<sub>16</sub>. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 23,02. სააღრ.-საგამომც. თაბახი 21,54.

ტირაჟი 15.000 შეკვ. № 2516

ფასი 9 მან. 20 კაბ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი 7

Тбилисская книжная фабрика, Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7

